# განათლება

რედაქტორი: თემურ ჯაგოდნიშვილი
თანარედაქტორი: დავით გურგენიძე

# GANATLEBA

Georgian Technical Unicversity
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditor: Davit Gurgenidze

№ 3 (42) 2023

ISSN 2346-8300
DOI: https://doi. org/10.36073/2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

# განათლება

# GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

3(42)
2023

# გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით

(ოქმი №7)

№ 3(42), 2023 წელი

**რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**თანარედაქტორი:**

**დავით გურგენიძე** — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი

**ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია,** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

**პასუხისმგებელი მდივანი: ლია ქათამაძე** — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**სარედაქციო კოლეგია:**

**აბრალავა ანზორ** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ბერიაშვილი მამუკა** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ბონდარენკო თამარ** — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**გაბისონია ირაკლი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეკანი
**გაგოშიძე გიორგი** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**გასიტაშვილი ზურაბ** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
**კოპალიანი კარლო** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
**კუტუბიძე იაშა** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკადემიური საბჭოს მდივანი
**მაღრაძე ვახტანგ** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**მებუკე თამარ** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**მენთეშაშვილი ლია** — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
**მეტრეველი ლია** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ქურდაძე მარინა** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ყიფიანი გელა** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ჩაჩხიანი ზურაბ** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**ხახუტაშვილი ელისაბედ** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ჯაგოდნიშვილი ივანე** — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეკანი
**ჯავახიშვილი ნიკო** — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ირჟი კლაპკა** — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
**იურე ზოვკო** — პროფესორი, ზადარის უნივერსიტეტი (ხორვატია)
**ზდისლავ კრასნოდებსკი** — პროფესორი, ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
**ერიკო ჰაიაში** — პროფესორი, ჯანმრთელობის ფონდის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი (იაპონია)
**ნენსი კ. გიში** — პროფესორი, პოტრლანდის უნივერსიტეტი (აშშ)
**ტომას შმიდტი** — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)
**სესილია ოდე** — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

**სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები**

მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპ. VI, სართ. VIII, ოთახი № 805ბ

**ტელ.: +995 599 557 993; +995 577 938 858**

**web-გვერდი:** https://gtu.ge/Journals/newsletters/

**ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com**

**ISSN 2346-8300**

**DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300**

# GANATLEBA

**International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)**

**№ 3(42), 2023**

**EDITOR** – **Temur Jagodnishvili,** Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

**COEDITOR**:

**Davit Gurgenidze** –Academician of the National Academy of Sciences of Georgia, Rector of Technical University of Georgia

**TECHNICAL EDITOR** – **Asmat Pipia,** Doctor of Business Administration

**RESPONSIBLE SECRETARY – Lia Katamadze** – Associate professor Georgian Technical University

**EDITORIAL BOARD:**

**Abralava Anzor** – Professor, Georgian Technical University
**Beriashvili Mamuka** – Professor, Georgian Technical University
**Bondarenko Tamar** – Associate professor Georgian Technical University
**Gabisonia Irakli** – Professor, Georgian Technical University
**Gagoshidze Giorgi** – Professor, Georgian Technical University. Full member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician
**Gasitashvili Zurab** – Professor, Georgian Technical University, Deputy rector in the scientific field
**Kopaliani Karlo** – Professor, Head of Administration of Georgian Technical University
**Kutubidze Iasha** – Professor, Georgian Technical University, Secretary of the Academic Council
**Magradze Vakhtang** – Professor, Georgian Technical University
**Mebuke Tamari** – Professor, Georgian Technical University
**Menteshashvili Lia** – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences
**Metreveli Lia** – Professor, Georgian Technical University
**Kurdadze Marina** – Professor, Georgian Technical University
**Kipiani Gela** – Professor, Georgian Technical University
**Chachkhiani Zurab** – Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences
**Khakhutashvili Elisabeth** – Associate professor, Georgian Technical University
**Jagodnishvili Ivane** – Professor, Georgian Technical University
**Javakhishvili Niko** – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
**Irji Klapka** – professor, Karlos University (Czechia)
**Jure Zovko** – Professor, University of Zadar (Croatia)
**Zdzislaw Krasnodebski** – professor, University of Warshaw (Poland)
**Eriko Hayashi** – Professor, The Joundation for Global Health Care, Research Institute (Japan)
**Nancy K. Gish** – Professor, University of Portland (USA)
**Tomas Schmidt** – Professor, University of Bern (Switzerland)
**Cecilia Ode** – University of Amsterdam (Netherlands)

**The authors are responsible for the accuracy of the facts in the article**

**Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU**
**TEL.: (032) 236 57 07**
**web-said's adress: http://gtu.ge/Journals/newsletters**
**e-mail: ganatleba2018@gmail.com**

**ISSN 2346-8300**
**DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300**

# შინაარსი

## ჩვენი იუბილარები


თემურ ჯაგოდნიშვილი – 75 ..... 11


## განათლების მეცნიერებანი


**ია ბურდული**
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხო ენის (გერმანულის)
პროექტული სწავლების მრავალმხრივი პერსპექტივა ..... 17

**რაგიმა მამედზადე, ნაიბა ხიალოვა**
სოციალური მასწავლებლის როლი თანამედროვე სკოლაში ..... 23

**მარინე სურმავა**
21-ე საუკუნის მსოფლიოს განათლების პრობლემა - კრიტიკული აზროვნების აუცილებლობა ..... 27

**მანანა ქაჯაია**
კარნახი და გონებრივი კონცენტრაცია ..... 31

თამარ შაიშმელაშვილი
მულტიმედიური ტექნოლოგიების როლი მეორე ენის ათვისებაში ..... 35


## ჟურნალისტიკა


**თემურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი, დავით გოცირიძე**
იმანენტური პროცესები ქართულ მედიასივრცეში და საქართველოს ინფორმაციული
პოლიტიკის ახალი პრიორიტეტები გლობალიზაციის ეპოქაში ..... 39

**გიგლა გობეჩია, მაია თუნგია**
მედიის პერსონალიზაციისა და კასტომიზაციის ზოგიერთი ასპექტი
თანამედროვე მედიაინდუსტრიაში ..... 47

**თამარ მალაღურაძე, თეონა ფანქველაშვილი**
„დღის წესრიგის“ კვლევის ისტორიიდან ..... 52

**თამარ ბონდარენკო**
სტრიმი, როგორც ახალი მედიაჟანრი ..... 56

**იზოლდა რიკაძე**
ჟურნალისტის სოციალური პასუხისმგებლობა კრიზისების გაშუქებისას ..... 59

**თეონა რობაქიძე**
მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები - ინფორმაციულ საზოგადოებაში ..... 64

**ნათია სორდია**
მედიაზე ზემოქმედების პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორები (ქართული სატელევიზიო
სივრცის მაგალითზე) ..... 71

## ფილოლოგია

**ნუგზარ სიხარულიძე**
სოციო ფუნქციონალური კლასი და ნეოლოგიზმთა მდგრადობა ..... 75

**რაგიმა მამადზადე**
ბავშვთა დევიანტური ქცევის გამოსწორების მეთოდები ..... 79

**თამაზ ნუცუბიძე**
მამულიშვილთა ნაკვალევზე ..... 84

## საერთაშორისო ურთიერთობები

**თამარ დარჩია**
აშშ-ის ტრიუმფალიზმის თეორია და „ცივი ომის“ დასასრული ..... 88

**ედიშერ ასათიანი**
რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში ..... 94

**ელგუჯა ბიბინიძე**
რუსული „სუვერენული დემოკრატიისა“ და დასავლური ღირებულებების შედარებითი ანალიზი ..... 100

**გიორგი ბუბუნაური**
აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ცენტრალურ აზიაში: ავღანური ვექტორი ..... 106

**სალომე კანდელაკი, მანანა დარჩაშვილი**
ანტირუსული განწყობები პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინაში ..... 112

**კახა პეტრიაშვილი**
რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები სპარსეთის ყურეში ..... 117

**გიორგი ხუბულაშვილი**
რუსეთის დაპირისპირების საფუძველი დასავლურ სამყაროსთან ..... 123

## საჯარო ადმინისტრირება

**ნინო ნიშნიანიძე, მარი ტოხოსაშვილი**
სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გავლენა მმართველობის პროცესებზე ირანში ..... 130

**ქეთევან კარიჭაშვილი**
საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების
ნორმატიულ-თეორიული ანალიზი ..... 139

## ისტორიის მეცნიერებები

**ვაჟა დანელია**
მესხური თამაშები: მითი თუ სინამდვილე?! ..... 150

## სოციალური მეცნიერებები

**არსენ ბურჯალიანი, ნათია არჩვაძე**
სტრესი და მისი დაძლევის ფსიქოლოგიური მეთოდები ..... 155

**ანა სვანიძე**
საჯარო სამსახურის  განვითარების  ეტაპები  თანამედროვე საქართველოში ..... 160

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

**ზურაბ ჩაჩხიანი, ლოლიტა დარჩიაშვილი**
$UMn_2$ - $UFe_2$ სისტემის მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებები ..... 163

**არჩილ გრიგალაშვილი, თეიმურაზ ბერძენიშვილი, ეკატერინე გობეჯიშვილი, ქეთევან ილურიძე**
ERP სისტემების შერჩევა/დანერგვის თანმდევი საწარმოო რეინჟინერინგის
განხორციელების პრობლემები ორგანიზაციაში ..... 169

**მანანა წულუკიძე, მალხაზ ბიბილური, ლალი ჩაგელიშვილი**
ფაზური გარდაქმნები. დნობა და გამყარება..... 174

**მზია წიკლაური**
სამკურნალო და საკვები მცენარეები პირიქითა ხევსურეთში ..... 179

## ეკონომიკა და ბიზნესი

**ელისაბედ ხახუტაშვილი**
ინოვაციური მენეჯმენტის როლი ტელეკომუნიკაციაში ..... 186

**თამარ როსტიაშვილი, ასმათ ფიფია, სალომე ფოდიაშვილი,**
მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის კრიტერიუმები ..... 191

**მაია სოსელია, ასმათ ფიფია, დავით ფოდიაშვილი**
მცირე და საშუალო ბიზნესის როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკაში ..... 196

**ბაკურ ქრისტესიაშვილი**
ტურიზმი როგორც ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი ..... 200

**გურამ ლომაია, დემნა კვარაცხელია**
შრომის მწარმოებლურობის ტრანსფორმირება სხვადასხვა სექტორში, ხელოვნური ინტელექტის
რევოლუციის საფუძველზე ..... 204

## CONTENT

### OUR ANNIVERSARIES

**Temur Jagodnishvili – 75** ..... 11

### EDUCATION SCIENCES

*Ia burduli*
Diverse perspectives of project-oriented learning in German as a foreign language at the Georgian Technical University ..... 17

*Ragima Mamadzade, Naiba Khialova*
The Role of a social teacher in a modern school ..... 23

*Marine Surmava*
The problem of 21st century world education - the need for critical thinking ..... 27

*Manana Kajaia*
Dictation and mental concentration ..... 31

*Tamar Shaishmelashvili*
The role of multimedia technologies in second language acquisition ..... 35

### JOURNALIZM

*Temur Jagodnishvili, Davit Gotsiridze*
Immanent processes in Georgian media space and new priorities of Georgian information policy in the era of globalization ..... 39

*Gigla Gobechia, Maya Tungia*
feedback economy. New perspectives of media business ..... 47

*Tamar Malaghuradze, Teona Fankvelashvili*
From the history of "Agenda" research ..... 52

*Tamara Bondarenko*
Stream as a new media genre ..... 56

*Izolda Rikadze*
Journalist's social responsibility when covering crises ..... 59

*Teona Robakidze*
Means of mass communication in the information society ..... 64

*Natia Sordia*
Political and Economic factors impacting on media at the example of Georgian TV broadcasting ..... 71

## PHILOLOGY

*Nugzar Sikharulidze*
Stability of Neologisms in Relation with their Communication spheres ..... 75

*Tagima Mamadzade*
Methods of correction for deviant behavior of children ..... 79

*Tamaz Nutsubidze*
In the footsteps of compatriot ..... 84

## INTERNATIONAL RELATIONS

*Tamar Darchia*
The theory of US triumphalism and the end of the "Cold War" ..... 88

*Edisher Asatiani*
Russian interests in the South Caucasus ..... 94

*Edisher Bibinidze*
A Comparative Analysis of Russian "Sovereign Democracy" and Western Values ..... 100

*Giorgi Bubunauri*
The main directions of US foreign policy in Central Asia: the Afghan vector ..... 106

*Salome Kandelaki, Manana Darchashvili*
Anti-Russian attitudes in post-Soviet Ukraine ..... 112

*Kakha Petriashvili*
Main vectors of Russian foreign policy in the Persian Gulf ..... 117

Giorgi Khubulashvili
The basis of Russia's confrontation with the Western world ..... 123

## LAW

*Nino Nishvnianidze, Mari Tokhosashvili*
The impact of civil society development on governance processes in Iran ..... 130

*Ketevan Karichashvili*
Normative and theoretical analysis of the constitutional reforms implemented in Georgia ..... 139

## HISTORY SCIENCES

*Vaja Danelia*
Meskhuri games: myth or reality?! ..... 150

## SOCIAL SCIENCES

*Arsen Burjaliani, Natia Archvadze*
Stress and Psychological Methods of Overcoming it ..... 155

Ana Svanidze
Development stages of public service in modern Georgia ..... 160

## S C I E N C E S

*Zurab Chachkhiani, Lalita Darchiashvili*
Magnetic properties of solid solutions of the $UMn_2$ - $UFe_2$ system ..... 163

*Archil Grigalashvili, Teimuraz Berdzenishvili, Ekaterine Gabejishvili, Ketevan Iluridze*
Challenges in the Selection and Implementation of ERP Systems in
Organizations and Subsequent Production Reengineering ..... 169

*Manana Tsulukidze, Malkhaz Bibiluri, Lali Chagelishvili*
Phase transitions. Melting and solidification ..... 174

*Mzia Tsiklauri*
Medial and food plants in ,,pirikita khevsureti" ..... 179

## ECONOMICS AND BUSINESS

*Elisabed khakhutashvili*
The Role of Innovation Management in Telecommunications ..... 186

*Tamar Rostiashvili, Asmat Pipia, Salome Podiashvili*
Small and medium business management criteria ..... 191

*Maia Soselia, Asmat Pipia, Davit Podiashvili*
The role and importance of small and medium-sized businesses in the market economy ..... 196

*Bakur Kristesiashvili*
Tourism as a tool of economic development ..... 200

*Guram Lomaia, Demna Kvaratskhelia*
Transforming labor productivity in various sectors based on the artificial intelligence revolution ..... 204

# ჩვენი იუბილარები

**თემურ ჯაგოდნიშვილი – 75**

პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი უნიკალური თვისებებით დაჯილდოებული ადამიანია - ღვთისგან ბოძებული ნიჭით, მონდომებით, სისადავითა და უბრალოებით გამორჩეული.

ცხოვრების ქარტეხილების დაძლევამ აქტიურ მებრძოლად აქცია. მრავალი წიგნის ავტორმა, ჯილდოებისა თუ პრემიების ლაურეატმა უამრავ სფეროს დაამჩნია წარუშლელი კვალი, კერძოდ, ფოლკლორისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობას, ქართული ენის სწავლების მეთოდიკას, ჟურნალისტიკამცოდნეობას, ლინგვისტიკას, კომუნიკატივისტიკას, რადგან მისი ინტერესთა არეალი განუზომელია...

პროფ. თ. ჯაგოდნიშილი ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისთვის საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებაა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არა ერთი საერთაშორისო საზოგადოების წევრი... მის პიროვნულ ღირსებას თავისი საქმიანობით, მრწამსითა და რწმენით ზომავენ. იგი ყოველთვის არის იქ, სადაც ქართველი კაცის კაცობა გადის და ქართული ეროვნული საქმე კეთდება. ბატონ თემურს, ჭეშმარიტად, საპატიო ადგილი უკავია იმ მამულიშვილთა შორის, რომლებიც ღირსეულად ცხოვრების მაგალითს იძლევიან.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის პედაგოგიურმა ნიჭმა და უღალატო ადამიანურმა ალღომ სტუდენტებთან ურთიერთობაშიც იჩინა თავი. ბევრი მათგანის უანგარო დამკვალიანებელს უამრავი ჰყავს მადლიერი. თანამშრომელთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელია, ამიტომაც დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

როგორც ჭაბუა ამირეჯიბმა ბრძანა: ცხოვრებაში ყოველთვის იყო, არის და იქნება არწივის, სვავისა და ბეღურის ასპარეზი და ადამიანი ერთს, მეორეს ან მესამეს თავისი შესაძლებლობებისა და, რაც მთავარია, ზნეობის მიხედვით ირჩევს. ზოგი მთელი ცხოვრება მამონს ემსახურება, ზოგი კი მთავარ შესალეწ ციხედ საკუთარ თავს ირჩევს და უფლის

მიერ ბოძებული ტალანტის გამრავლებას ისახავს მიზნად.

თემურ ჯაგოდნიშვილი მთელი ცხოვრება საკუთარი მისიის ძიებასა და მის აღსრულებას ცდილობს.

გადაშლი მის წიგნებს და პირველი გვერდიდან ბოლომდე ისე ჩადიხარ, შესვენების სურვილიც არ გაქვს, და მერე უკვე სიამოვნებით უბრუნდები შენთვის განსაკუთრებით საინტერესო ადგილებს, მრავალჯერ კითხულობ, რომ უფრო ღრმად ჩასწვდე და ნათლად გაისიგრძეგანო ავტორის ჩანაფიქრი თუ თვალსაწიერი.

თემურ ჯაგოდნიშვილის გულწრფელ ნაღვაწს თვალს რომ გადაავლებ, სურვილი გიპყრობს, მასზე ბევრი საქებარი სიტყვა თქვა და დაწერო (რაც ძალიან არ უყვარს), მაგრამ ერთობ რთულია, ისე თქვა და ისე დაწერო, რომ მისი გემოვნებისა და ინტელექტის შესაბამისი იყოს.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებაა. განუზომელია მისი ღვაწლი და დამსახურება: მრავალი წელია, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იღვწის და მის სახელს არაერთი წარმატებული გარდაქმნა უკავშირდება, თუმცა მანამდეც საინტერესო გზა ჰქონდა გავლილი.

ბატონი თემური, როგორც ბრწყინვალე ორგანიზატორი, მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა, სწორუპოვარმა მათემატიკოსმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ილია ვეკუამ აღმოაჩინა. მოგეხსენებათ, როგორი კეთილი ირონიით უყურებენ ზუსტი მეცნიერებების წარმომადგენლები ჰუმანიტარებს და ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჭაბუკ ფილოლოგს ილია ვეკუაზე, რომ თავის თანაშემწედ აიყვანა (1973-1977).

თ. ჯაგოდნიშვილის ორგანიზატორული ნიჭი და ნოვატორული იდეების მეყსეულად სწორად შეფასების უნარი შეუმჩნეველი არც სხვა აკადემიკოსებს დარჩენიათ, ამიტომაც იგი სხვადასხვა დროს მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა ასპირანტურის დარგის სწავლული მდივნის (1977-1981), ასევე, ენისა და ლიტერატურის განყოფილების სწავლული მდივნის (1981-1988) თანამდებობებზე.

ყველაზე სრულად თემურ ჯაგოდნიშვილის ნოვატორული ბუნება და „კეთილად განმგებელი მოღვაწეობა“ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოვლინდა: იგი იყო ახლადგახსნილი ქართული ენის კათედრის, შემდეგში ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრის გამგე (1992-2006); შეთავსებით ახალდაარსებული ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ჰუმანიტარული განათლებისა და სამეცნიერო მუშაობის დარგში (1993-1998), ამავე ფაკულტეტის მაგისტრატურის ხელმძღვანელი (1999-2003).

უნივერსიტეტში სტრუქტურული გარდაქმნების შემდეგ იყო ქართული ენისა და მედიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2004-2006), ქართული ენისა და მედიის მიმართულების ხელმძღვანელი (2006-2011). 2011 წლიდან დღემდე ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსია. სხვადასხვა დროს შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ფოლკლორის განყოფილების წამყვანი მეცნიერი თანამშრომლისა (1988-1990) და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის პროფესორის თანამდებობებზე (1991-1993).

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პედაგოგიური მუშობის პარალელურად, თ. ჯაგოდნიშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სხვა სფეროებშიც: 1996-2004 წლებში იყო სტუ-ის გაზეთების – „აღმაშენებელისა“ და „საუნივერსიტეტო მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის კრებულ „შრომების“ რედაქტორის მოადგილე, სტუ-ის სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“ რედაქტორის მოადგილე (ამჟამად ამ ჟურნალის რედაქტორია); სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი; არის იუნესკოს ასოცირებული წევრის FIPLV (FIPLV – თანამედროვე ენების ასოციაციათა ფედერაცია) ჟურნალ HomoLoquens-ის რედკოლეგიის წევრი, საქართველოს მულტილინგვისტური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი; სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი (2006-2020); 12 წლის განმავლობაში იყო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) მიწვეული პროფესორი და ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი; არჩეულია საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (2000), საქართველოს ლიტერატურისმცოდნეობის აკადემიის წევრად (2002), ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (2023), ფაზისის აკადემიის წევრად (2023); დაჯილდოებულია ღირსების ოდენით (2014), ი. გოგებაშვილის მედლით (2018), სტუ-ს ოქროს მედლით (2023), მწერალთა კავშირის მიერ 2023 წელს დაჯილდოვდა გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიით, არის საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2012).

პროფესორ თ. ჯაგოდნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს სხვადასხვა სფეროს. იგი 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათგან 50-მდე წიგნი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა.

ბატონმა თემურმა დიდი წვლილი შეიტანა ცნობილი ქართველი პოეტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის შემოქმედებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის – ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ნაწერების შესწავლაში. მისი კვლევების შედეგები ასახულია სამ წიგნსა („რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება“, თბ., 1979; „რაფიელ ერისთავი“ (ცხოვრება-შემოქმედება), თბ., 1986: „რაფიელ ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები“ – გამოსაცემად მომზადება, რედაქტირება, თბ., 1986) და სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნებულ 10 სტატიაში.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის მეცნიერულ ნაშრომებში განსაკუთრებული ადგილი უკავია კაპიტალურ გამოკვლევას „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“, ნაწილი I (XIX საუკუნე), (თსუ, თბ., 2004), რომელიც „ქართული ფოლკლორისტიკის დიდ შენაძენად“ შეფასდა. ეს 817-გვერდიანი გამოცემა ქართული მეცნიერული ფოლკლორისტული აზრისა და პრაქტიკის განვითარების ტენდენციებისა და გზების პირველი სისტემური კურსია. ამ ნაშრომის გამოცემას ასედაც გამოეხმაურნენ: „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“ ორიენტირადაც წარმოჩნდება, მრავალ დარგში მსგავსი ფუნდამენტური გამოკვლევა არ მოგვეპოვება (ი. გოგორიშვილი, „ქართული ფოლკლორისტიკის დიდი შენაძენი“, „მწიგნობარი“, 2005, გვ. 191).

ქართული ზეპირსიტყვიერების შემსწავლელი მეცნიერული დარგის ჩასახვა-განვითარების ისტორიის საკითხების კვლევები წარმოდგენილია, მონოგრაფიებში „ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან“ (1986) და „ქართულ-რუსული ფოლკლორისტული ურთიერთობები XIX საუკუნეში“ (1989), სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებში.

2019 წელს გამოიცა თ. ჯაგოდნიშვილის კაპიტალური ნაშრომი „ნარკვევები XX საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიიდან“, რომელიც შეიცავს XIX-XX სს. გზასაყარის მეცნიერული ფოლკლორისტული აზრის განვითარების ტენდენციების კვლევის შედეგებს; ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, შალვა ნუცუბიძის, პეტრე მირიანაშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, თედო ბეგიაშვილის ღვაწლის გამომზეურებას XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ფოლკლორისტიკის განვითარებაში.

ქართულ ფოლკლორისტიკაში მნიშვნელოვან მოვლენად შეფასდა პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის მონოგრაფია „ერეკლეს ეპოსი“ (თბ., 2007). ერეკლე მეორის შესახებ ქართულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში 150-ზე მეტი ფოლკლორული ტექსტის (პოეტურისა და პროზაულის) ფუნქციონირების მიუხედავად, არაერთი ფოლკლორისტი (პ. უმიკაშვილი, ს. ცაიშვილი, ქს. სიხარულიძე, ზ. კიკნაძე...) უარყოფდა ერთიანი ეპიკური ქმნილების არსებობას, რადგან მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ვერ ხერხდებოდა ამ ეპოსის ზეპირსიტყვიერი ტექსტის იმგვარი რესტავრაცია, როგორიც მიღებულია მსოფლიო ფოლკლორისტულ პრაქტიკაში. პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა ფუნქციურ-სტრუქტურული კვლევით გამოავლინა ერეკლე მეორის ეპოსის ფოლკლორული ტექსტი და დაადგინა მისი ციკლური სტრუქტურა.

ამ ნაშრომის შევსებული, გადამუშვებული გამოცემა 2021 წელს განხორციელდა, ხოლო ინგლისურენოვანი გამოცემა 2023 წელს შესდგა.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფოლკლორის XIX-XX საუკუნის კავკასიის რუსული და ქართული პრესის ფურცლებზე, პეტერბურგის წიგნსაცავში დაცული მასალის გამომზეურებასა და ანოტირებული ბიბლიოგრაფიის ფორმატში მეცნიერულ მიმოქცევაში ჩართვის საქმეში. ამ მხრივ გაწეული მუშაობა ასახულია რუსთაველის ფონდის გრანტების ეგიდით გამოცემულ კრებულში „1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა“ (ორ ნაწილად: ნაწილი I (2019), ნაწილი II (2020)). აქტიურად მონაწილოებს ქართული ხალხური პროზის მრავალტომეულის შედგენასა და გამოსაცემად მომზადებაში, კერძოდ, შეადგინა ხალხური „როსტომიანის“ ტომი.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა საყურადღეობო ნაშრომები შექმნა კომუნიკატივისტიკის სფეროში. მისი რედაქციითა და თანაავტორობით 2008 წელს გამოიცა ვერბალური კომუნიკაციების ერთგვარად პროპედევტიკური ნაშრომი „აკადემიური წერა (კვლევისა და წერის სახელმძღვანელო)“, რომელიც ამ დარგში ერთ-ერთი პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოა და გამოირჩევა კვლევის სიღრმითა და შთამბეჭდაობით. 2019 წელს განხორციელდა ამ ნაშრომის შევსებული და გადამუშავებული გამოცემა „წერისა და კვლევის სახელმძღვანელოს“ სახელწოდებით. ამ ნაშრომში წარმოჭრილი პრობლემების

კვლევების კონკრეტულ შედეგებს შეიცავს მისი თანაავტორობით შექმნილი წიგნი „წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“ (2017). პიროვნებათა-შორისი და ჯგუფთაშორისი კომუნიკაციების საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაზრდიდან გამომდინარე, სამეტყველო ურთიერთობების პრობლემებს ეხმაურება პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის მიერ თანაავტორობით შექმნილი ნაშრომი „ვერბალური კომუნიკაციები“ (2009). ეს ნაშრომი ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი პირველი ცდაა კომუნიკაციის რაობის, საფუძვლების, კომუნიკაციური პროცესების ტიპოლოგიის, სფეროების, მოდელების, აქტების, სემიოტიკის საკითხების სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში შემოტანისა. კომუნიკატივისტიკის სფეროში პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა (ასევე თანაავტორობით) შექმნა საინტერესო ნაშრომი „კომუნიკატორის ენობრივი პიროვნება“ (თბ., 2007), რომელშიც წარმოდგენილია ქართული ზეპირი მეტყველების ბუნების კვლევის შედეგები. აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომი ქართულ სინამდვილეში ამგვარი სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდა არის.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის მიერ კვლევებით დადასტურებულია იმ აზრის სისწორე, რომ ენობრივი პიროვნება (ვისთვისაც მეტყველება პროფესიული საქმიანობის უმთავრესი საშუალებაა) ენობრივი მოდელების გათავისებითი იშვება, საკუთარი ენობრივი პრაქტიკით კი მათი არსებობის საფუძვლებს ამყარებს.

ვერბალური კომუნიკაციების მიმართულებით მან გამოსცა კიდევ ერთი საყურადღებო მეცნიერული ნაშრომი „ახალი რიტორიკა – საჯარო კამათის ტექნოლოგიები“ და მისი ქრესტომათიული ნაწილი „რიტორიკა“ (2018).

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი ამ ნაშრომის თანაავტორია, შესრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტის – „სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ და „საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა“ - ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამოსამართლო მჭევრმეტყველების“ ფარგლებში. „ახალი რიტორიკა – საჯარო კამათის ტექნოლოგიები“ მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლით გამოირჩევა. ესაა ახალი რიტორიკის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შემოტანა-დამკვიდრება, სადაც აქცენტირებულია ტექსტების შესწავლა არა მიბაძვის მეთოდოლოგიით, რაც ანტიკური რიტორიკის საფუძველს წარმოადგენდა, არა სიტყვათა შერჩევა-განლაგების კლასიკური რიტორიკის პრინციპები, არამედ ტექსტის კომპოზიციის განსაზღვრის, სიტყვით, მეტყველებით მიზნის მიღწევის ტექნოლოგიები და თეორია, რომლის მესაძირკვლედ გ. პასკალი მიიჩნევა. პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა ამ ნაშრომის ქრესტომათიული ნაწილისათვის გადმოაქართულა I საუკუნის რომაელი ავტორის - დემეტიოსის ნაშრომი „სტილის შესახებ“ და ფრანგი მკვლევრის - ჟერარ ჟანეტის შრომები - „რიტორიკა და განათლება“ და „ახალი რიტორიკა“. აღნიშნული ნაშრომისა და მისი ქრესტომათიის „რიტორიკის“ მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირსებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი წარდგენილი იყო ფრანკფურტის წიგნების საერთაშორისო ფესტივალზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მეტყველების ტექნოლოგიების საკითხებზე პროფ. თემურ ჯაგოდნიშვილმა უფრო ადრე (2000 წელი) გამოსცა წიგნი „ქართული ორატორული ხელოვნება“, ხოლო ამ სახელმძღვანელოს ქრესტომათიულ ნაწილად, თანაავტორებთან ერთად გამოაქვეყნა ამავე სახელწოდების კრებული, რომელშიც შევიდა სასამართლო მჭევრმეტყველების აღწერა-დახასიათების შემცველი ქართული სასამართლო მჭევრმეტყველების ნიმუშები.

სასამართლო მჭევრმეტყველების პრობლემათა კვლევის მიმართულებით პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა 2020 წელს (თანაავტორებთან ერთად) ქართულ სინამდვილეში პირველად განახორციელა მნიშვნელოვანი პროექტი: დაამუშავა და გამოსცა სამართალმცოდნეობის სფეროში ენისა და სამართლის ურთიერთმიმართებების ამსახველი ნაშრომი „ლინგვოკრიმინალისტიკის“ სახელწოდებით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნაშრომს ის გარემოება სძენს, რომ სამართალმცოდნეობის სფეროში შეაქვს, ერთი მხრივ, სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზის წარმოების ცოდნა (პიროვნების ინდენტიფიცირება მისი ლინგვისტიკური იდეოსტილის მიხედვით), მეორე მხრივ, ექსპერტლინგვისტისათვის აუცილებელი ის ცოდნა, რაც სამართალწარმოებაშია გამოსაყენებელი. ამ ნაშრომით განისაზღვრა სტუ სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაში ახალ სასწავლო კურსის შეტანა.

შთამბეჭდავი შედეგით გამოირჩა პროფ. თემურ ჯაგოდნიშვილის ნაშრომები ქართული ენის სწავლების, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის მიმართულებებში. სახელმწიფო ეროვნული პრემიით შეფასდა მისი თანაავტორობით განხორციელებული დიდი მეცნიერული პროექტი ექვსენოვანი (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული) მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი, რომელიც 18.560 ტერმინს შეიცავს. ეს ლექსიკონი ანალოგიური ლექსიკონებისაგან

იმით განსხვავდება, რომ უფრო სრულყოფილია და ერთგვარად ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან პირველად დამუშავებულულ კრაინულ-ენოვან მეტალურგიულ ტერმინებსაც შეიცავს.

აღნიშნული ლექსიკონის გამოცემაში მონაწილეობდნენ რუსეთის, უკრაინის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების მეტალურგიის დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერები. 2012 წელს ლექსიკონის თანაავტორთა ოთხკაციან ჯგუფს (პროფ. გ. ქაშაკაშვილი, პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი, ო. მეტრეველი (როჟკო), ო. მიქაძე) საქართველოს სახელმწიფო ეროვნული პრემია მიენიჭა. 2017-2020 წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის ორტომეულის შედგენასა და გამოსაცემად მომზადებაში.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფ. თემურ ჯაგოდნიშვილმა ქართული კულტურის აქტუალური პრობლემის გადაწყვეტაში – დიდი საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ხანძთის მონასტრის ადგილმდებარეობის დადგენაში. გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ხანძთის მონასტრის ადგილმდებარეობის გარკვევის მიზნით, 2014 წელს უხელმძღვანელა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციას. გიორგი მერჩულის აგიოგრაფიული თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის ანალიზის საფუძველზე წამოაყენა მოსაზრება ორი – ძველი და ახალი ხანძთის მონასტრის არსებობის შესახებ. მისი აზრით, გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებულმა ხანძთის მონასტერმა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო მეტროპოლიის სტატუსი შეიძინა (განსაკუთრებით გრიგოლის მიერ ანჩის ეკლესიის ეპისკოპოსის ცქირის დამარცხების შემდეგ). გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, როდესაც ქვეყანა გაძლიერდა და გაძლიერდა მონუმენტალიზმი და ფუნქციონალიზმი, მიუვალი მომცრო ნაგებობის ხანძთა ვეღარ ასრულებდა სასულიერო მეტროპოლიის ფუნქციას. ამიტომ საჭირო გახდა ახალი, უფრო მასშტაბური, ხანძთის მონასტრის აგება ადვილად მისადგომ ადგილზე. ასე აიგო X საუკუნეში ახალი ხანძთა ძველი ხანძთიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით სოფელ ფორთას სიახლოვეს. ძველმა ხანძთამ კი თანდათანობით დაკარგა პოპულარობა და დავიწყებას მიეცა. ამჟამად მას ნუკას საყდარი ჰქვია. ცნობები ამის შესახებ თვით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტშია დაცული.

აღნიშნული გამოკვლევის შედეგები ავტორის მიერ 2014 წლის 4 ნოემბერს მოხსენდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს და მიტროპოლიტ მეუფე ანანიას და მიიღო უმაღლესი ლოცა-კურთხევა. ექსპედიციის მიხედვით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი (რეჟისორი კობა ცხაკაია), რომელიც იმავე წელს მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალზე საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის ნაშრომები, რომლებიც ლიტერატურათმცოდნეობაში მეცნიერული ბიოგრაფიის ჟანრს განეკუთვნება და ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებში ჰეტერობიოგრაფიად, ანუ სხვა პირის მიერ დაწერილ ცნობილ მოღვაწეთა ბიოგრაფიად იწოდება.

ამ ჟანრის ნაშრომებში პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი პრინციპულად იცავს მოღვაწეთა, მეცნიერთა ბიოგრაფიების შესაბამის მეცნიერებათა დარგებისა და პროფესიული მოღვაწეობის სფეროების ისტორიებთან კავშირის პრინციპს და ამ გზით ცდილობს კვლევის ობიექტთა ცხოვრებისა და მეცნიერული შემოქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობის წარმოჩენას. ამ მიმართულებით შექმნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის ისეთი წიგნები, როგორებიცაა: „ნოდარ ტაბიძე“ (2006), ამ ნაშრომის გადამუშავებული და გაფართოებული ვერსია „თაობათა მოძღვარი“ (2011 წ.), „XXL-LXX ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და ზოგიც სხვა“ (მოსკოვი, 2011, ქართულ ენაზე); „სოფლისა მნათობი და მწყემსი კეთილი“ (2014 წ.), „ბორის იმნაძე – სადღეგრძელოდ ჩამოქნილი სიცოცხლის ხიბლი“ (2017), „ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს“ (2013), „სერგო მაზმიშვილი“ (2007) და სხვა.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა კალამი სცადა მთარგმნელობაშიც. ასე, მაგალითად, მან რუსული ენიდან თარგმნა და პროფ. ლ. მინაშვილთან ერთად გამოსცა ტიციან ტაბიძის უცნობი მეცნიერული გამოკვლევა „ახალი ქართული ლიტერატურა – მეცხრამეტე საუკუნე – მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე“ (თსუ გამომცემლობა, 2008), რუსუდან რცხილაძესთან ერთად რუსულიდან თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა („გრძნობით გამთბარი პოეტური სამყარო“) დაურთო აკადემიკოს ნანა ხაზარაძის თანადგომით გამოცემული ცნობილი მოსკოველი პოეტის - სერგეი სურგუჩოვ-თაყაიშვილის პოეტურ ქმნილებათა კრებულს „ლექსები ჩნდება ვით აფეთქება“ (2014).

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის მიერ პროფ. ლ.

მინაშვილთან ერთად გამოცემული ტიციან ტაბიძის უცნობი ნაშრომი „ახალი ქართული ლიტერატურა“ (თბილისი, 2008). 1929 წელს დაიწერა და უცნობი იყო ქართული საზოგადოებისათვის. იგი არ შესულა ტ. ტაბიძის თხზულებათა არც ერთ კრებულში. მასში განხილულია ქართული ლიტერატურის ისტორია IX ს. დასაწყისიდან XX ს. 30-იან წლებამდე. ნაშრომი გამიზნული იყო რუსულენოვანი მკითხველისათვის. პროფ. თ. ჯაგოდნიშვილმა რუსულიდან თარგმნა ნაშრომის ტექსტი და მიიღო მონაწილეობა გამოსაცემად მომზდებაში.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი აქტიურ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა და ეხმიანება დროის სვლას და, რაც მთავარია, სულისკვეთებას. ამის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს, მაგალითად, მის მიერ თანაავტორობით გამოცემული წიგნი „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემების ცნობარი“ (2017), რომელიც ასევე წარდგენილი იყო გერმანიაში (ფრანკფურტი) მოწყობილ წიგნების საერთაშორისო ფესტივალზე.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის სრული დახასიათებისათვის მიზანშეწონილია იმისი აღნიშვნაც, რომ მის მიერ ქართული ფილოლოგიისა და კულტურის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა შეადგინა სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნები „ბერი კაცი ვარ ნუ მამკლავ“ (1990) და „ისევ სუნთქავენ ქართული ოცნებით მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები“ (2017).

თ. ჯაგოდნიშვილს სულით ხორცეულად აქვს გათავისებული ჩვენი ეროვნული ტრადიციები და ყოფითი რეალიები. ეს ვლინდება მშობლიურ სოფელთან – ხაშმთან დამოკიდებულებაში, სადაც ყოველ შაბათ-კვირას იმყოფება. როგორც თავად ბრძანებს, ქალაქი სოფლითაა და სოფელი - ქალაქით. ქართული არა მხოლოდ ყოფა, არამედ ქართული სულიერი კულტურაც კი ქართულ სოფელში ინასკვება და ქალაქში იძენს სრულყოფილად თავის შინაარსსაც. ქართული კულტურა, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ცენტრისკენულია. იგი ცენტრიდან, ანუ მეტროპოლიიდან კი არ მიემართება რეგიონისკენ, არამედ, პირიქით – რეგიონებიდან ცენტრისკენ.

სოფელში ყოველი მიბრუნება, ბატონი თემურის აზრით, ძირებისკენ მიბრუნებაა. ეს არ არის უბრალო სივრცე. სოფლის გარემო საკუთარი თავის შეცნობაში, რაღაც ახლის აღმოჩენაში ეხმარება ადამიანს. სხვაგვარი ენერგიით აღსავსე ბრუნდება ქალაქში. პერიოდული მიმოსვლა მისტერიალური ხდება, რასაც ადამიანები სულის მოთქმას ეძახიან და გაცილებით ღრმაა, ვიდრე სულის მოთქმა.

სოფელმა ხაშმმა მისცა საქართველოს დიდი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, საოცარი პროფესიონალი ფილოლოგი გაიოზ იმედაშვილი, დიდი მესიტყვე, ჟურნალისტი, გამომცემელი და მწიგნობარი იოსებ იმედაშვილი, ქართული კულტურის ისეთი სახელოვანი მოღვაწეები, როგორებიც არიან რევაზ ინანიშვილი, დიმიტრი ნახუცრიშვილი, აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი თამარ ბაქრაძე, პოეტი მიხეილ ქვლივიძე...

ასე რომ, მშობლიური სოფლის სიტყვიერების, ხელოვნებისა თუ გონებრივ-ინტელექტუალური სამყაროსადმი სწრაფვის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი, რომელიც 75 წელიწადია, მუხჩაუხრელად და მკლავმოუღლელად მიჰყვება ცხოვრების ოღრო-ჩოღროიან გზას.

75 წელი ერთი შეხედვით, საკმაოდ დიდი მონაკვეთია ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ თემურ ჯაგოდნიშვილისთვის – უდიდესი შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, მაღალი ინტელექტისა და კულტურის, მუდმივად სასიკეთო საქმეებისათვის შემართული ადამიანისთვის –75 წელი ნამდვილად ცოტაა, დრო-ჟამის ერთი გაელვებაა.

ასე რომ, ბატონ თემურს სრბა ჯერ არ დაუსრულებია, მრავალი საინტერსო იდეა აქვს განსახორციელებელი, კვლავაც საოცარი ალღოთი საზღვრავს სიახლეების ღირსება-ნაკლოვანებებს.

ბატონ თემურ ჯაგოდნიშვილს, დიდი ოჯახის თავკაცს, მოსიყვარულე შვილს, ერთგულ მეუღლეს, ღირსეული შვილების მამას, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების რჩეულ პაპას, უღალატო მეგობარსა და თვალსაჩინო მეცნიერს, ვულოცავთ იუბილეს – დაბადების 75 და მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს!

ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობას, ქმნის ხალისსა და აუსრულებლის ასრულებას ვუსურვებთ!

*საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

*ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი*

*ჟურნალ „განათლების“ რედაქცია*

# განათლების მეცნიერებანი

# EDUCATION SCIENCES

## VIELFÄLTIGE PERSPEKTIVEN DES PROJEKTORIENTIERTEN LERNENS DEUTSCH ALS FREMDSPRACHE AN DER GEORGISCHEN TECHNISCHEN UNIVERSITÄT

*Dr. Ia Burduli, Professorin*
*Georgische Technische Universität*

**Abstrakt**

Mehrere Sprachen zu Erlernen und zu beherrschen ist die Herausforderung der Europäischen Union heutzutage. Die Umsetzung der neuen Lehrmethoden in die Unterrichtspraxis und der qualitätsorientierte Fremdsprachenunterricht ist ein aktuelles Ziel der Georgischen Technischen Universität. Projektorientiertes Fremdsprachenlernen ist die neue Chance für die Georgische Technische Universität, insbesondere im Bereich hybrider Bildungsräume.

Beim projektorientierten Lernen mit linearen und integrativen Modellen im Unterricht spielen psycholinguistische Richtungen eine wichtige Rolle. Beim projektorientierten Lernen stehen die Interessen der Studierenden im Vordergrund. „Ich“ und „Wir“ stehen im Vordergrund. Bei einem Rollenspiel kann ein Studierender die Rolle des Moderators oder Betreuers übernehmen. Mit Hilfe von simulierten Prozessen, simulierten Büros, Laboren, Workshops, Interviews, Shows und verschiedenen Programmen setzen die Studierenden die Theorie in die Praxis um, leiten den Lernprozess selbst und entwickeln auf diese Weise soziale und Handlungskompetenzen, demokratische Richtungen westeuropäischer Erfahrungen. Der Unterricht basiert nicht nur auf sprachlichen Fähigkeiten (Lesen, Schreiben, Hören, Sprechen), sondern auch auf regionalen, wissenschaftlichen, sozialen, politischen und kulturellen Kenntnissen. Dies zeigt auch die internationale und empathische Ausrichtung.

In Georgien machen sich Lehrer für Deutsch als Fremdsprache (DaF) Sorgen um die Motivation der deutschen Sprache. Diese Frage gehört einerseits zur Sprachpolitik und Landespolitik, andererseits kommt aber auch die Lehrmethodik in Betracht. Durch die projektorientierte Vermittlung der deutschen Sprache konnte die deutsche Sprache nicht nur an der Universität, sondern auch in den Hochschulen und Schulen gefördert werden. Die Studierenden oder die Autoren der Projekte konnten ihre Erfahrungen und Erfolge mit dem Schüler austauschen. Zur Diskussion stellen die Studierenden Fragen, von denen sie glauben, dass sie mit der Projektinitiative zusammenhängen.

Das projektorientiertes Lernen der Fremdsprache wird durch angewandte Linguistik im Unterricht erreicht. Darüber hinaus sind die modernen deutschsprachigen Lehrbücher für die deutsche Sprache als Fremdsprache nach der Methodik des projektorientierten Lernens konzipiert. Dementsprechend können diese Lehrmaterialien erfolgreich im Lehrplan umgesetzt werden.

Die Möglichkeit zur Selbstentfaltung und Gleichberechtigung motiviert die Studierende Deutsch zu lernen. Projektorientiertes Lernen fördert die Möglichkeit, verschiedene Fächer in interdisziplinärer Zusammenarbeit zu verknüpfen, und die Georgische Technische Universität hat gute Einrichtungen und Labore für projektorientiertes Lernen.

Schlüsselwörter: angewandte Linguistik, Projektinitiative, interdisziplinärer Zusammenarbeit.

**Einführung:**

In Georgien steht für die Lehrkräfte der DaF Motivation der Deutschen Sprache in der Frage. Wie kann man jemandem zur Deutsche Sprache motivieren? Auf der einen

Seite gehört diese Frage zur Sprachpolitik und Staatspolitik, auf der anderen Seite kommt die Methodik der Lehre in Betracht.

Wie sagt man, oft lernen wir durch die Lehren. *Projektorientiertes Lernen* bezieht sich im wesentlich auf Selbsterfahrung. Es ist schon bemerkbar, durch die Konzepte und die Methodik des Projektorientierten Lernen wird das Leitbild für die Lehre moderner, interdisziplinär und sowie international erstellt, wobei erhebt auch die Motivation die Deutsche Sprache zu erlernen.

*Projektorientiertes Lernen* der Fremdsprache ist die neue Gelegenheit für die Georgische Technische Universität, besonders im Bereich von den hybriden Bildungsräumen, die für Georgien im Zeitalter der Digitalisierung und Covid-19 Pandemie eine große Herausforderung ist.

**Hauptteil:**

Warum ist das Projektorientiertes Lernen der DaF aktuell eine hervorragende Möglichkeit für solche Länder wie Georgien?

Durch das Projektorientiertes Lehren der Deutschen Sprache könnte Deutsch nicht nur an der Universität fördert werden, sondern auch in den Hochschulen. Selbst die Studierende bzw. die Autoren der Projekte könnten ihre Erfahrungen und Leistungen mit den Schülern und Schülerinnen austauschen.

Warum ist Projektorientiertes Lernen eine wirksame Methode des praktischen Problemlösens, die den Interessen der Studentinnen und Studenten entgegenkommt?

Beim projektorientierten Lernen mit linearen und integrativen Modellen im Unterricht spielen hier auch eine wichtige Rolle psycholinguistische Richtungen. Beim projektorientierten Lernen sind die Interessen der Studentinnen und Studenten vorgezogen. „Ich“ und „Wir“ stehen im Vordergrund.

Die Projektinitiative geht meistens von den Studierenden aus. Die Projektthemen sind mit Interessen und Bedürfnisse, sowie aktuellen Problemen und Erlebnissen der Studenten*innen angeknüpft. Zur Diskussion stellen die Studierende Fragen, die nach ihrer Meinung mit der Projektinitiative verbunden sind. Des Weiteren können sie die Interaktion als ein Rollenspiel simulieren oder einen Workshop konzipieren.

Fallbeispiel 1: **Strukturen der Projektinitiative (Wirtschaftskommunikation DaF) –**

**Schritte für das Projekt / Die Messe**

**Schritt 1.** Eine Tätigkeit eines Bürokaufmannes/ einer Bürokauffrau beschreiben Bürokaufmann bzw. Bürokauffrau hat … zu… /ist verpflichtet, …zu…

**Schritt 2**. Einen Plan bilden: Ein Produkt und Standstelle beschreiben, Zielgruppe nennen, einen Vortrag der Teilnehmer*innen der Messe planen.

**Schritt 3.** Die Pflicht der Vertragspartner einer Messe beschreiben (Focus auf die Vokabel).

**Schritt 4**. Rechte des Käufers oder des Verkäufers berücksichtigen

**Schritt 5.** Eine Rechnung vorstellen

Projektorientiertes Lernen der DaF wird durch die angewandte Linguistik im Unterricht verwirklicht. Darüber hinaus sind die modernen deutschsprachigen Lehrbücher der DaF entsprechend der Methodik vom projektorientierten Lernen gestaltet. Dementsprechend können diese Lehrmaterialien im Curriculum erfolgreich implementiert werden.

Die Lehren orientieren sich nicht nur an den sprachlichen Kompetenzen (Lesen, Schreiben, Hören, Sprechen), sondern auch an den landeskundlichen, wissenschaftlichen, sozialen und politischen, sowie kulturellen Kenntnissen. Dadurch zeigen sich auch die internationalen und empathischen Richtungen. Im solchen offenen Lehrraum und vielfältigen Setting können die die Studenten*innen kreativer und leidenschaftlich arbeiten. Nach gegebenen Materialien und bestimmten Übungen können die Studenten*innen „ein Labor” für den Projektauftrag erstellen. Aufgrund ist es wichtig bei Projekten die Gestaltung der kommunikativen Übungen und der Übungen von Rollenspielen zu berücksichtigen.

Fallbeispiel 2**: Masterstudenten*innen von unterschiedlichen Studienfächern besprechen**

**eine Projektinitiative - *Die Messe***

**Schritt I – Brainstorming: von der Idee zum Ergebnis** Was soll der Sinn der Messe sein?

**Ergebnisse:**

- Eine Messe mit der internationalen Bedeutung veranstalten!
- Werbung ist der Schlüssel! Die Messe soll in live übertragen werden.

**Schritt II – Organisatorische Fragen diskutieren**

Was sind die Kerntätigkeiten des Bürokaufmannes / der Bürokauffrau?

Kernpunkte der Gesprächsführung:

a. Die Sätze werden mit *zu Infinitiv* aufgebaut

b. Die Vokabeln des Lehrbuches: Wirtschaftskommunikation (Goethe Institut, Langenscheidt Verlag, neu) benutzen

– Was versteht man unter dem Begriff kompetente Mitarbeiter*in?

| Teilnehmer innen | Antworten |
|---|---|
| A | *Mit meiner Ansicht, die kompetente Mitarbeiterin/er soll fähig sein die folgenden Anforderungen einwandfrei und fehlerfrei zu erfüllen.* |
| B | *An der ersten Stelle steht Selbstkompetenz. Zur Selbstkompetenz gehören Merkmale wie Kritikfähigkeit, Flexibilität, Selbständigkeit, Zuverlässigkeit, Verantwortung und – Pflichtbewusstsein.* |
| C | *An der zweiten Stelle steht die Sozialkompetenz. Dazu gehörten die Fähigkeit und Bereitschaft, Konflikte mit Kollegen zu vermeiden, oder sinnvoller zu lösen. Eigenschaften, wie Kompromissfähigkeit und Solidarität spielen eine wichtige Rolle.* |
| D | *Ich füge noch über Fachkompetenz hin, dass jemand das Vermögen und die Bereitschaft zeigt, sein/ihr fachliches Wissen und Können einzusetzen. Sein/ihr Fach-und Allgemeinwissen zeigt sich bei der täglichen Bewältigung von Aufgaben* |
| E, F | - *Als Bürokaufmann/ Bürokauffrau sollte z.B. Kosten erfassen können, fähig sein Rechnungen zu kontieren*<br>- *Ja, in der Lage sein ein- und ausgehende Aufträge abzuwickeln, Fachliteratur, Dokumentationen und andere Hilfsmaterial nutzen können und usw.* |
| G | *Ja, in der Lage sein ein- und ausgehende Aufträge abzuwickeln, Fachliteratur, Dokumentationen und andere Hilfsmaterial nutzen können und usw.* |
| H | *Er/ Sie agiert innerhalb der betrieblichen Aufbau-und Ablauforganisation selbst-, sozial-und methodenkompetent und bearbeitet die ihm/ihr übertragenen Aufgaben lösungsorientiert auf Basis seines /ihres Verständnisses für Intrapreneurship. Darüber hinaus kommuniziert er/sie zielgruppenorientiert, berufsadäquat und agiert kundenorientiert.* |

**Ideensammlung (Brainstorming)**

**Schritt III – Entwurf der Messe**

**Kernpunkte:**

Art des Angebots

Zielgruppe

Überzeugungsmethoden

Bei einem Rollenspiel kann ein Student*in eine Rolle vom Moderator*in bzw. Betreuer*in übernehmen. Am Anfang werden andere Studenten*innen bzw. die Teilnehmer*innen unter der Supervision/Betreuung ein interessantes Projektthema aussuchen. Die Vorschläge werden dann vom Betreuer*in berücksichtigt. Dazu werden auch das Verhalten, Vorstellungen sowie die Verhältnisse betrachtet. Moderator*in bespricht mit den Teilnehmer*innen auf die Frage bezogene Ideen, Pläne und Erfolge. Dadurch kommt die Gruppe zu einem Ergebnis. Während der Diskussion kommt man auch zu Nebenfragen, die man mit dem Hauptthema verknüpfen kann.

Die Möglichkeit der Selbstäußerung und der Gleichgerechtigkeit motiviert den Studenten*innen Deutsch zu lernen.

Im Rahmen eines Projekts schaffen die Studierenden selbst eine Textwerkstatt bzw. einen Workshop: Die Student*innen wählen ein Thema aus, kommen zum Kern der Sache, sammeln Fachbegriffe, bilden einen Text. Sie diskutieren, teilen ihre Erfahrungen und ziehen Parallelen. Darüber hinaus können die Studierenden ihre Fachrichtungen mit der deutschen Sprache verbinden. Nach diesen Richtungen verbessern Sie Ihre kommunikativen Fähigkeiten.

Mithilfe von imitierten Prozessen, imitierten Büros für die Übersetzung, Interviews, Shows und verschiedenen Sendungen setzen die Studierenden die Theorie in die Praxis um, sie führen selbst den Lernprozess und entwickeln auf diese Weise Sozial-und Handlungskompetenz, demokratische Richtungen der westeuropäischen Erfahrungen.

In der digitalen Umgebung werden die Projekte im Sinne von Websites, YouTube - Kanäle und Businessplänen gebildet. Veranstaltungen und eine Zeitung oder eine Sammlung z.B. für eine Fachsprache bilden. Außerdem können sie Foren einrichten, wo sie ihre Ideen und aktuellen Fragen schriftlich besprechen. Beispielsweise können Design- und Architektur Studierende ihre eigenen Produkte online bewerben. Sie können mit ausländischen deutschsprachigen Studierenden Kontakte aufnehmen, mehr Informationen über das Studium und das Leben von Jugendlichen erhalten. Damit führen sie interkulturelle Kommunikation.

An der Georgischen Technischen Universität Projekte der DaF zu schaffen, ist besonders interessant für die Fächer der Masterstudiengänge, für die Wirtschaftskommunikation (DaF) und die Übersetzung der Fachsprache.

Projektorientiertes Lernen ist für alle Stufen an der Georgischen Technischen Universität möglich. Für Grundlage der Sprachkenntnisse kann das lineare Modell auch

implementiert werden. Anfänger*innen können ein Projektthema wie z.B. „meine Heimat“, „über mich“, „Umweltfreundlichkeit” usw. als Fotocollagen darstellen.

**Beispiel: die Sonne:**

Projektorientiertes Lernen fördert eine Möglichkeit, verschiedene Fächer in interdisziplinärer Kooperation zu verknüpfen. Es wird Beispielsweise für das Umweltschutzprojekt Chemie-, Geologie-, Ingenieur- und Politikwissenschaften unter einem Dach und Fach gebracht, sowie IT und Media Arts – für Digitalisierung.

An den technischen, naturwissenschaftlichen, rechtswissenschaftlichen Fakultäten und für die Studiengänge der Medienwissenschaften hat die Georgische Technische Universität gute Einrichtungen und Labors für projektorientiertes Lernen. Dadurch wird an der Georgischen Technischen Universität im DaF-Bereich einen bedeutenden Motivationsfaktor dargestellt.

**Fazit:**

Die Umsetzung der neuen Lehrmethoden in die Unterrichtspraxis und die qualitätsorientierte Lehre der Fremdsprachen ist ein aktuelles Ziel der Georgischen Technischen Universität.

Projektorientierten lernen ist eine vielversprechende



Möglichkeit, das Interesse der Studierenden zu wecken und Deutsch als Fremdsprache an der Universität zu fördern.

Es ist entscheidend, dass die Lehrkraft, sowie die Universität Projektarbeit intensiv umsetzen, Internationale Projekte für die Lehrerinnen und Lehrer der DaF und die Fortbildung der weiteren praktischen, sprachlichen und angewandten linguistischen Fähigkeiten der Lehrkraft nach dieser Richtung unterstützen.

## Die Bibliographie


1. Chan, W. M. (2000): Metakognition und der DaF-Unterricht für asiatische Lerner. Möglichkeiten und Grenzen. Münster/ New York/ München/ Berlin. Wachmann. Internationale Hochschulschriften, Band 327, 388 Seiten ISBN 978-3-8309-5865-9
2. Goethe Institut (2018): Projektarbeit im Dafunterricht. Sprache, kultur und Deutschland. Mexiko-Stadt. Goethe Institut. https://www.goethe.de/resources/files/pdf168/121.pdf
3. Eismann V.(2012):Wirtschaftskommunikation Deutsch, Neu. Lehrbuch 978-3-468-90465-3
4. Berlin-München-Wien-Zürich-New York
5. Innerwinkler S. (2010): sprachlich Inovationen in Politischen Diskurs. Peter Lang, Internationaler Verlag der Wissenschaftler, Frankfurt am Mein, ISBN 978-3-631-60084
6. Karagennakis E. (2009): Projektorientierte Landeskunde im DaF-Unrerricht –Eine Kooperation zwichen DaF Lernern und Lehramtsstudierenden. Profil, Freiburg.
7. ISSNI 1869-3334
8. https://opus.bibliothek.uni-wuerzburg.de/files/3245/Landeskunde_DaF_Karagiannakis.pdf.


## Diverse perspectives of project-oriented learning in German as a foreign language at the Georgian Technical University


***Ia Burduli, Professor***
***Georgian Technical University***


## Summary


Learning and mastering several languages is the challenge of the European Union today.

The implementation of the new teaching methods in teaching practice and the quality-oriented teaching of foreign languages is a current goal of the Georgian Technical University. Project-oriented foreign language learning is the new opportunity for the Georgian Technical University, especially in the area of hybrid educational spaces.

Psycholinguistic directions play an important role in project-oriented learning with linear and integrative models in the classroom. In project-oriented learning, the interests of the students are given priority. “I” and “we” are in the foreground. In a role play, a student can take on the role of the moderator or supervisor. With the help of imitated processes, imitated offices, laboratories, workshops, interviews, shows and various programs, the students put theory into practice, they lead the learning process themselves and in this way develop social and action skills, democratic directions of Western European experiences. The lessons are based not only on linguistic skills (reading, writing, listening, speaking), but also on regional, scientific, social, political and cultural knowledge. This also shows the international and empathetic directions.

In Georgia, teachers of German as a foreign language (DaF) are concerned about the motivation of the German language. On the one hand, this question belongs to language policy and state policy, but on the other hand, the teaching methodology comes into consideration. Through project-oriented teaching of the German language, German could not only be promoted at the university, but also in the school. Even the students or the authors of the projects could exchange their experiences and achievements with the pupil. For discussion, students ask questions that they believe are related to the project initiative.

Project-oriented learning of the foreign language is achieved through applied linguistics in the classroom. In addition, the modern German-language textbooks for the German language as a foreign language are designed according to the methodology of project-oriented learning. Accordingly, these teaching materials can be successfully implemented in the curriculum.

The opportunity for self-expression and equality motivates students to learn German. Project-oriented learning promotes an opportunity to link different subjects in interdisciplinary cooperation and the Georgian Technical University has good facilities and laboratories for project-oriented learning.

Keywords: applied linguistics, project initiative, interdisciplinary collaboration.

## საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხო ენის (გერმანულის) პროექტული სწავლების მრავალმხრივი პერსპექტივა

*ია ბურდული, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

რამდენიმე ენის შესწავლა და ცოდნა დღეს ევროკავშირის გამოწვევაა. სასწავლო პრაქტიკაში სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა და უცხო ენების ხარისხზე ორიენტირებული სწავლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ამჟამინდელი მიზანია. უცხოური ენების შესწავლა პროექტულ სწავლებაზე ორიენტირებით ახალი შესაძლებლობაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის, განსაკუთრებით ეს გამოიკვეთა ჰიბრიდულ სწავლებაზე ფოკუსირებისას.

პროექტზე ორიენტირებული სწავლებისას, როდესაც მეცადინეობა სწორხაზოვან და ინტეგრირებულ მოდელებს ეყრდნობა, ფსიქოლინგვისტური პროცესები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პროექტზე ორიენტირებული სწავლებისას პრიორიტეტულია სტუდენტთა ინტერესები: "მე" და "ჩვენ" წინა პლანზეა. როლურ თამაშში სტუდენტს შეუძლია შეასრულოს მოდერატორის ან ხელმძღვანელის როლი. იმიტირებული პროცესების, იმიტირებული ოფისების, ლაბორატორიების, ვორქშოფების, ინტერვიუების, შოუების და სხვადასხვა პროგრამების შექმნით სტუდენტის თეორიული ცოდნა პრაქტიკულ ხასიათს იძენს. სტუდენტები თავად წარმართავენ სასწავლო პროცესს და ამ გზით უყალიბდებათ მათ სოციალური და ქცევითი უნარები, რაც დასავლეთ ევროპის გამოცდილების დემოკრატიულ პრინციპებს ეყრდნობა. პროექტული სწავლება ეფუძნება არა მხოლოდ ენობრივი კომპეტენციების განვითარებას (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი), არამედ ისეთი სამეცნიერო, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განათლების მიღებას, რომელიც საერთაშორისო და ემპათიურ ღირებულებებს ითვალისწინებს.

საქართველოში გერმანული ენის შემსწავლელი კონტიგენტის შემცირების გამო, გერმანული ენის პედაგოგები დილემის წინაშე დგანან. გერმანული ენის შესწავლის მოტივაციის საკითხი ერთი მხრივ ენობრივ პოლიტიკასა და სახელმწიფო პოლიტიკას მიეკუთვნება, მეორე მხრივ კი მას სწავლების მეთოდოლოგია განაპირობებს. გერმანული ენის სწავლება პროექტული სწავლების მეთოდზე დაყრდნობით მხოლოდ სტუდენტებს შორის კი არ აამაღლებს მოტივაციას არამედ სკოლებშიც კვლავ გაზრდის ინტერესს ამ უცხოური ენის მიმართ, თუკი სტუდენტებს, პროექტების ავტორებს მიეცემათ შესაძლებლობა სკოლებში მოსწავლეებს გაუზიარონ თავიანთი პროექტები, გამოცდილება და მიღწევები. სტუდენტები უპასუხებენ მოსწავლეთა კითხვებს, რომლებიც, მათი აზრით, დაკავშირებულია პროექტის ინიციატივასთან.

უცხო ენის პროექტზე ორიენტირებული სწავლება გამოყენებითი ლინგვისტიკის საშუალებით მიიღწევა. გარდა ამისა, გერმანული ენის, როგორც უცხო ენის თანამედროვე გერმანულენოვანი სახელმძღვანელოები შექმნილია პროექტზე ორიენტირებული სწავლის მეთოდოლოგიით. შესაბამისად, ამ სასწავლო მასალების წარმატებით დანერგვა შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში.

თვითგამოხატვისა და თანასწორობის შესაძლებლობა სტუდენტებს უბიძგებს ისწავლონ გერმანული. პროექტზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს სხვადასხვა საგნების ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობასა და ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს კი ძალიან კარგი ინფრასტრუქტურა და ლაბორატორიები აქვს პროექტზე ორიენტირებული სწავლებისათვის.

საკვანძო სიტყვები: გამოყენებითი ლინგვისტიკა, პროექტის შერჩევის ინიციატივა, ინტერდისციპლინარული თანამშრომლობა.

# РОЛЬ СОЦИАЛЬНОГО ПЕДАГОГА В СОВРЕМЕННОЙ ШКОЛЕ

***Д.ф.п. Мамедзаде Рагима Рзабала***
***Азербайджанский Университет Языков***
***Кафедра Педагогики***

***Ст.пр. Хиялова Наиба Батыхан***
***Азербайджанский Университет Языков***
***Кафедра Педагогики***

**Резюме**

Социально-педагогическая деятельность — это разновидность профессиональной деятельности, направленная на оказание помощи ребенку в процессе его социализации, освоения им социокультурного опыта и на создание условий для его самореализации в обществе. Осуществляется она социальными педагогами как в различных образовательных учреждениях, так и в других учреждениях, организациях, объединениях, в которых может находиться ребенок. Социальный педагог выступает посредником между личностью и образовательным учреждением, семей, средой посредством организации взаимодействия всех служб в условиях учреждения, координации взаимодействия различных специалистов, ведомств и административных органов для комплексного разрешения проблем ребенка.

Ключевые слова: социальный педагог, современная школа, воспитательная работа, личность, обучающиеся дети

**Введение**

Современная школа остро нуждается в поддержке и развитии системы социально- психологического сопровождения учащихся. Рост детской преступности, подростковая наркомания, компьютерная зависимость и «виртуальная» агрессия у детей, отсутствие системы общечеловеческих ценностей у подрастающего поколения (толерантности, умения общаться, культуры) - все эти проблемы остро стоят перед школой, и всем обществом в целом. Их решение невозможно без профессиональной работы профильных специалистов - социальных педагогов.

**Основная часть**

В сферу профессиональных обязанностей социальных педагогов входит работа с детьми, подростками, молодежью и их родителями, взрослыми в семейно-бытовой среде, с подростковыми и молодежными группами, объединениями.

Это означает, что главной сферой деятельности социального педагога является социум (сфера ближайшего окружения личности, сфера человеческих отношений). При этом приоритетной (особенно в современных условиях) является сфера отношений в семье и ее ближайшем окружении, по месту жительства. Социальный педагог работает с детьми, их семьями, семейно-соседским окружением и цель его деятельности - организация профилактической, социально-значимой деятельности детей и взрослых в социуме.

Таким образом, социальный педагог:

- организует воспитательную работу в классе, группе, направленную на формирование общей культуры личности, адаптацию личности к жизни в обществе, уважение к окружающей природе;

- изучает психолого-педагогические особенности личности и её микросреды, условия жизни, выявляет интересы и потребности, трудности и проблемы, конфликтные ситуации, отклонения в поведении и своевременно оказывает социальную помощь и поддержку обучающимся и воспитанникам;

- выступает посредником между личностью и образовательным учреждением, семьёй, средой, органами власти; способствует реализации прав и свобод - обучающихся, созданию комфортной и безопасной обстановки, обеспечению охраны их жизни и здоровья;

- создаёт условия для развития талантов, способностей обучающихся во внеурочное время;

- взаимодействует с учителями, родителями (лицами, их заменяющими), специалистами социальных служб, семейных и молодёжных служб занятости и других служб в оказании помощи обучающимся, детям, нуждающимся в опеке и попечительстве, детям С ограниченными физическими возможностями, а также попавшим в экстремальные ситуации;

- участвует в разработке, утверждении реализации образовательных программ учреждения, несёт ответственность за качество их выполнения в пределах своей компетенции.

Актуальность работы социального педагога в школе в современных условиях

В организации своей работы школьный социальный педагог даёт приоритет созданию здорового микроклимата в коллективе, гуманизации межличностных отношений, способствует реализации способностей каждого, защите интересов личности, организации досуга, включению в социальную полезную деятельность, изучает специальные проблемы школьников и учителей, принимает меры к их решению. Социальный педагог поддерживает постоянную связь с семьями учащихся. Особое внимание он уделяет проблемам защиты ребёнка от родительской жестокости, эгоизма, вседозволенности.

Направления социальной работы, которой занимается социальны педагог:

- оказание материальной помощи (денежная, патронат, пособия и льготы, помощь вы быту);

- организация социальной заботы (работа с людьми, подбор сотрудников, проверка, пропаганда лучшего опыта);

- влияние на человека

Процесс влияния на человека - это процесс педагогического и психологического воздействия. Этим занимается социальный работник, социальный педагог. Что же является главным в работе социального педагога, чем она отличается от работы педагога школы, педагога - предметника и даже классного руководителя или воспитателя школы - интерната или группы продлённого дня?

Учителю чаще всего приходится работать с классом или группой, и, в основном, его методы направлены на работу с коллективом. Социальный педагог работает с отдельной личностью, с отдельным ребёнком, подростком, а если с группой, то небольшой, если с семьёй, то и здесь с каждым в отдельности.

Социальный педагог выявляет нуждающихся в социальной помощи детей. Это неуспевающие дети, которые в силу своих способностей не могут усвоить школьного курса. Это дети, которые переживают стрессы или в коллективе сверстников в школе или в семье. Это больные дети, с теми или иными недостатками, школьники, которые приобщались к наркотикам или алкоголю. Чаще всего они состоят на учёте в комиссии по делам несовершеннолетних. Кроме того - социальный педагог работает с одаренными детьми.

Сегодня актуальна проблема нехватки различных секций и клубов, разнообразных трудовых, турис-тических и краеведческих отрядов. Как следствие внеучебное время школьника мало занято в организационном плане. Социальный педагог становится организатором внеучебного времени школьника, объединяясь в своей воспитательной работе с родителями.

Социальный педагог координирует работу педагогического коллектива с трудными детьми, семьями, с окружающей социальной микросредой и общественностью микрорайона, что также немаловажно сегодня. Он периодически информирует педагогический коллектив школы о психологическом климате в классах, о каждом трудном ученике и об оказании ему помощи, а также играет главную роль в подготовке и составлении плана социальной работы школы.

Основные формы, методы работы, документация, права и обязанности школьного социального педагога

- Образовательно-воспитательная, т.е. обеспечение целенаправленного педагогического влияния на поведение и деятельность детей и взрослых; содействие всех социальных институтов, учреждений физической культуры и спорта, средства массовой информации.

- Диагностическая, т.е. постановка «социального диагноза», для чего проводится изучение личностных особенностей и социально-бытовых условий жизни детей, семьи, социального окружения; выявление позитивных и негативных влияний и различного рода проблем.

- Организаторская, т.еорганизация общественно-ценной деятельности детей и взрослых, педагогов и волонтеров в решении задач социально-педагогический помощи, поддержки воспитания и развития реализации планов и программ.

- Прогностическая экспертная, т.е. участие И прогнозировании, проектировании процесса В программировании, социального развития конкретного микросоциума, в деятельности различных институтов социальной работе.

- Организационно-коммуникативная, т.е. включение добровольных помощников, населения микрорайона в социально-педагогическую работу. Организация совместного труда и отдыха, налаживание взаимодействия между различными

институтами в их работе с детьми, с семьями.

- Охранно-защитная, т.е. использование имеющегося арсенала правовых норм для защиты прав и интересов личности. Содействие применению мер государственного принуждения и реализации юридической ответственности в отношении лиц, допускающих прямые или косвенные противоправные воздействия на подопечных социального педагога.

- Посредническая, т.е. осуществление связи в интересах ребенка между семьей, образовательным учреждением и ближайшим окружением ребенка. Сюда можно дополнить еще одну функцию самообразование.

Для любого профессионала важно постоянно пополнять свой интеллектуальный багаж. Этот факт касается и социального педагога.

Задачи социального педагога в школе.

Что делает социальный педагог в школе?

Он занимается, прежде всего, организацией оптимального взаимодействия между ребенком, родителями и педагогическим коллективом. Как правило, ему приходится работать с трудными семьями и в связи с этим выстраивать сотрудничество с органами опеки и иными социальными институтам.

Социальный педагог и психолог есть практически в каждой школе, в большинстве учреждений эти две специальности слились воедино, однако это абсолютно разные профессии, по сути, даже не смежные.

Социальный педагог в школе представляет собой специалиста, призванного

обеспечить взаимодействие семьи, образовательной организации, разного рода социальных институтов целях воспитания детей, оказания им помощи к приспособлению у быстроменяющимся условиям окружающей среды.

Главная цель работы социального педагога в школе — это быть посредником между личностью обучающегося и школой, семьей, средой, специалистами социальных служб, ведомств и административных органов.

1. Главная из задач - создание благоприятных условий для развития и саморазвития ребенка.

2. Вторая задача способствовать установлению гуманных, нравственно здоровых отношений в социальной среде

3. Третья задача - охрана прав ребенка.

Первым пунктом работы социального педагога является организация диагностической работы и составление паспорта семьи учащихся школы.

К числу детей, нуждающихся в помощи социального педагога, относятся:

- сироты;
- опекаемые;
- живущие в неполной семье;
- инвалиды или имеющие серьезные нарушения здоровья;
- имеющие необходимость в сохранении или получении жилой площади;
- часто испытывающие стресс (в семье или классе);
- дети, родители которых употребляют алкогольные напитки или наркотические средства;
- дети-курильщики и те, кто распивает спиртное и знаком с наркотиками;
- страдающие от нехватки пищи;
- социально дезадаптированные;
- имеющие низкую школьную успеваемость;
- дети-вундеркинды, нуждающиеся в персональном развитии своей одаренности.

Достоинства профессии:

- Статус. Должность социального педагога уважаема и почитаема.

- Востребованность. Сейчас во многих государственных или частных заведениях требуются такие сотрудники, так как детей которым нужна психологическая или социальная помощь, немалое количество.

- Значимость. Это очень полезная профессия, которая дает своим подопечным шанс найти свое место в обществе, стать полноценным человеком. Возможность помогать детям, делать их жизни лучше приносит моральное удовлетворение

- Уникальность. Сотрудник работает с нетипичными случаями, когда обычный подход к ребенку невозможен. Только он сможет найти индивидуальное решение проблемы.

**Недостатки профессии:**

- Требования. Педагог должен обладать большим количеством знаний и навыков, касающихся этой должности сотрудник должен разбираться в психологии, анатомии, физиологии воспитанников, а также знать законодательные и нормативные акты. Он обязан обладать выдержкой, терпением, коммуникабельностью, стрессоустойчивостью, толерантностью, организованностью.

- Нагрузка. Данная работа является очень тяжелой в эмоциональном и физическом плане. Сотрудник сталкивается с большим количеством

бумажной работы, с посещением множества семей, учреждений. Каждый ребенок уникален, к нему необходимо найти правильный подход.

- Ответственность. Социальный работник отвечает за своего воспитанника, за предоставление ему всех необходимых условий.

- Риск. Общение с неблагополучными семьями подразумевает ежедневную опасность для эмоционального или физического здоровья сотрудника.

**Заключение**

Социальный педагог в своей повседневной деятельности призван объединять усилия семьи, образовательного учреждения, общественности, для оказания помощи в реализации учебной и внешкольной программ. Социальная педагогика здесь, как и прежде, как практическая деятельность ориентирована в основном на работу с детьми и семьей, но с уклоном в область реализации инициатив, навыков и умений работы с передовым учебным материалом и инновационными технологиями обучения. Его главная цель - улучшить способность человека к социальному функционированию, создать в социуме условия (социально-экологические, психологические, социально-медицинские) способствующие достижению этой цели, раскрытию потенциальных возможностей человека.

**Литература:**


1. Г.Ахмедов, Н.Зейналова «Педагогика» Баку. 2019
2. Семенов Г.С. « Методики работы социального педагога», М, 2004 г.
3. Мардахаев Л.В. Социальная педагогика: Учебник. — М.: Гардарики, 2005. - 269 с.
4. Ляпина Е.Ю. «Профилактика социально- опасного поведения школьников», Волгоград, 2007 г.
5. Социальная работа с семьей: учебное пособие/Холостова Евдокия Ивановна-3-е изд. Дашков и К, 2009г
6. Дормаш С.В.., Заводова Т.Е. «Социальный педагог», Минск 2004г.


**THE ROLE OF THE SOCIAL TEACHER IN MODERN SCHOOL**

**Summary**


Socio-pedagogical activity is a kind of professional activity aimed at helping a child in the process of his socialization, mastering his socio-cultural experience and creating conditions for his self-realization in society. It is carried out by social teachers both in various educational institutions and in other institutions, organizations, associations in which the child may be. The social pedagogue acts as an intermediary between the individual and the educational institution, families, and the environment by organizing the interaction of all services in the institution, coordinating the interaction of various specialists, departments and administrative bodies for a comprehensive solution of the child's problems.

A social educator in his daily activities is called upon to unite the efforts of the family, educational institution, and the public to provide assistance in the implementation of educational and extracurricular programs. Social pedagogy here, as before, as a practical activity is focused mainly on working with children and families, but with an emphasis on the implementation of initiatives, skills and abilities to work with advanced educational material and innovative teaching technologies. Its main goal is to improve a person's ability to function socially, to create conditions in society (socio-ecological, psychological, socio-medical) conducive to achieving this goal, revealing a person's potential.


Key words: social pedagogue, modern school, educational work, personality, students

# 21-ე საუკუნის მსოფლიოს განათლების პრობლემა - კრიტიკული აზროვნების აუცილებლობა

*სურმავა მარინე, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

კრიტიკული აზროვნების სოციალური წყაროები. აღნიშნული საკითხი იძლევა კრიტიკული აზროვნების ანალიზის საშუალებას და ადგენს საზღვრებს. ზოგადად, ბუნების და საზღვრების კრიტიციზმი დამოკიდებულია ადამიანის არა მარტო ინდივიდუალიზმზე, არამედ მის შინაგან ატრიბუტებზე. ღია საზოგადოებაში კრიტიკული მეთოდი შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც რევოლუციური პოზიცია. ღია საზოგადოება თანდათანობით შეიძლება გახდეს „აბსტრაქტული საზოგადოება". შესაძლებელია, მან დაკარგოს თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილი, რომლებიც ან საერთოდ არ მონაწილეობენ, ან იშვიათად შედიან ურთიერთობაში. ანონიმურად და მარტოობაში ცხოვრობენ. აღსანიშნავია, რომ ისინი, როგორც წესი მიუხედავად იმისა, საზოგადოება გახდა აბსტრაქტული, ხალხთა სოციალური წყობაც შეიცვალა ადამიანებს გაუჩნდათ სოციალური მოთხოვნილება, რომელსაც ისინი ვერ იკმაყოფილებენ აბსტრაქტულ საზოგადოებაში. რა თქმა უნდა შეუძლებელია და არც შეიძლება იყოს აბსოლუტურად აბსტრაქტული ან უპირატესად, აბსტრაქტული საზოგადოება. ხალხი ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს, შედის მოქმედ სოციალურ კავშირებში და ცდილობს შემლებისდაგვარად დაიკმაყოფილოს ემოციური მოთხოვნილებები, მათ უმეტესობას არ აქვთ რეალური ფუნქცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობა - ესაა პროცესის რევოლუციური გადასვლა ჩაკეტილიდან - ღია საზოგადოებაში, რომელიც დაიწყო დიდი ხნის წინ და ჯერაც არ დასრულებულა, ისმის კითხვა შესაძლებელია ის როდესმე დასრულდეს? საზოგადოების პროგრესის პერსპექტივა შედგება საზოგადოებრივ ცხოვრებაში არა ჩაკეტილობის მთლიანად განდევნაზე, არამედ პირველ ყოვლისა ღიაობის ელემენტებით. ოპტიმალური ბალანსის ძიებაში, ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ რეალური საზოგადოება მთლიანობაში ან სხვადასხვა მათგვარი ჯგუფები - დინამიური ღია საზოგადოებაა. შესაბამისად, ოპტიმალური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება ნაკლებად სავარაუდოა „ყველა დროისათვის და ხალხებისათვის", იგი დამოკიდებულია რეალურ ისტორიულ კონტექსტზე „აქ და ახლა". მნიშვნელოვანია ცვლილებების პროცესში ოპტიმიზაციის პროცესების დაჩქარება უფრო მარტივად გადასვლა უპირატესად ღია საზოგადოებაში. დამტკიცებულია, რომ სწრაფი ცვლილებები იწვევს სხვადასხვაგვარ და სოციალურ კონფლიქტებს, მაგალითად ქონებრივი სტრატიფიკაციასა და სიღარიბეს, რაც მნიშვნელოვნად შესამჩნევია. მეორე მხრიდან, მეტისმეტად ნელმა და მშვიდმა მოქმედებამ შეიძლება განაპირობოს მთელი რიგი ქვეყნების ჩამორჩენა, მსოფლიოს ლიდერი ქვეყნებიც შეიძლება მუდმივ აუტსაიდერად აქციოს.

საკვანძო სიტყვები: კრიტიკული აზროვნება, განათლება, სრულყოფილება, რეფორმა, საზოგადოება, პრობლემა.

**შესავალი**

ამერიკელი მეცნიერი, რიჩარდ პაუელი კრიტიკული აზროვნების თეორიასა და პრაქტიკის ერთ - ერთი წამყვანი სპეციალისტი 1992 წელს გამოქვეყნებულ ინტერვიუში - თანამედროვე განათლების პრობლემებზე მსჯელობისას მეცნიერი კრიტიკული აზროვნების შესწავლის აუცილებლობაზე საუბრობს და მას ერთ - ერთ მთავარ გადასაწყვეტ საკითხად მიიჩნევს. პაუელი განათლების არსისა და მნიშვნელობის შესახებ განმარტებას იძლევა და ხაზს უსვამს ეფექტური სწავლებისა და პროდუქტიული შემოქმედებისათვის მის უდიდეს მნიშვნელობას.

**ძირითადი ნაწილი**

კრიტიკული აზროვნების დეფინიციის განმარტებისას იგი რამდენიმე განსაზღვრებას გვთავაზობს: კრიტიკული აზროვნება - აზროვნებაა. როდესაც ჩვენ ვფიქრობთ აზროვნებაზე ვცდილობთ საკუთარი აზროვნების მიზანდასახულად გაუმჯობესებას. ამ შემთხვევაში, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ მომენტს: კრიტიკული აზროვნება ის აზროვნებაა, რომელიც სრულყოფილებისაკენ გიზიდავს - ეს სრულყოფილება კი ცოდნასთან ერთად აზროვნების

პროცესში იბადება, ანუ ხდება განსაზღვრულ სტანდარტებზე აზროვნების სრულყოფა. კითხვაზე მნიშვნელოვანია თუ არა სტუდენტებისათვის გახდნენ საჭირონი შესძლებენ თუ არა ისინი უკეთ მომზადებულნი შეხვდნენ მთელ რიგ გამოწვევებს, კითხვაზე მეცნიერი პასუხობს: დღესდღეობით ჩვენი სტუდენტები მეტნაკლებად არიან ჩართულნი მსოფლიოში აჩქარებული მიმდინარე პროცესებში, სამყაროში მომრავლდა ინფორმაციები, რომლებიც სწრაფადვე ძველდება.

ეს ის მსოფლიოა, სადაც იდეები მუდმივ რეკონსტრუქციას, გადახედვას და გადააზრებას მოითხოვს ეს არის მსოფლიო, სადაც ერთი უბრალო აზროვნების გზა საკმარისი არ არის სადაც საკუთარი აზროვნება მუდმივად უნდა იყოს სხვების აზროვნებასთან ადაპტაციაში, სადაც ანგარიშგასაწევია ჭეშმარიტებისაკენ მუდმივი ლტოლვა და საოცარი სიზუსტე, სადაც სამუშაო გამოცდილება მუდმივად პროგრესირდება და სრულყოფილდება. ადრე განათლების სისტემა სტუდენტებს არ ამზადებდა ისეთი სწრაფი და დინამიური ცვლილებებისათვის, არაპროგნოზირებად სიძნელეებში, აღებული გეზის და მიმართულების არსებობაში განათლების სისტემის წარმომადგენლებს აცხადებს მეცნიერი, გვიწევს გავხდეთ კრიტიკულად მოაზროვნეები, რათა მაგალითი მივცეთ ჩვენს სტუდენტებს. ყველაფერი კი ჩვენი პროფესიისადმი, ძლიერი გამოწვევაა რაც გვაიძულებს ვაკეთოთ ის, რასაც აქამდე არ აკეთებდა არც ერთი პედაგოგი, არც ერთი გენერაცია. ისინი, ვინც ამისათვის მზად არიან, უნდა დადგნენ იმ პედაგოგების გვერდით, რომლებსაც აქვთ ამგვარი გამოცდილება და გაუღვივონ სურვილი, რაც უფრო მეტად ართულებს ძალზე მნიშვნელოვან და კეთილშობილურ სამუშაო პროცესს. კრიტიკული აზროვნება კარგად მოფიქრებული რეფორმების ბირთვია, რამდენადაც იგი 21 საუკუნის ცვლილებების მთავარი მამოძრავებელია. მეცნიერი იმედს გამოთქვავს, რომ კოლეგები ალღოს აუღებენ ახალ რეალობას და შესაბამისად განათლებაში ასეთი სიძნელეების ერთ - ერთ შედეგს წარმოადგენს მსოფლიო ქვეყნების „სწრაფ და შენელებულ“ ეკონომიკებად გადაკეთების მცდელობას, რაც განაპირობებს „სწრაფი ეკონომიკის“ ქვეყნების თავიანთი ტემპების გაზრდას გადაწყვეტილებების მიღების დროს, მთელი რიგი სიახლეების გამოყენებისა და სამუშაო დროის შემცირების გზით.

მეცნიერი თვლის, რომ სავსებით რეალურია „სწრაფი და ნელი“ ეკონომიკების მქონე ქვეყნების დაშორიშორება. სწრაფი ეკონომიკის ქვეყნები, გაზრდიან თავიანთი განვითარების ტემპებს, არა მარტო ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, არამედ სათანადო გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანის გზით შეძლებენ ყველა ოპერაციების დაჩქარებული ტემპით განხორციელებას. სწრაფი ეკონომიკის მოწყვეტა და დაშორება ნელი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან სავსებით რეალური და სახიფათოა. ვისაც არ უნდა ჩამორჩენა, უნდა გააცნოებიეროს ახალი რეალიები, განათლებაში, მატერიალური წარმოების პროცესში. გაითვალისწინოს სწრაფი განვითარება საინფორმაციოს საშუალებები, მსოფლიოს მოწინავე მიღწევების დანერგვის აუცილებლობა. მსოფლიო მაშტაბებით თანამედროვე ურთიერთკავშირების გამოყენება, რაც აუცილებელი პირობაა იმ ცვლილებებისთვის, რომელიცმომავალშიუზრუნველყოფსგლობალური ეკონომიკის სწრაფ და ეფექტურ განვითარებას. მეცნიერი რიჩარდ პაუელი მომავალში ინფორმაციულ საზოგადოების ევოლუციას ასე წარმოგვიდგენს, მთავარი კაპიტალი იქნება არა ინფორმაცია, არამედ ეფექტური მწარმოებელი და შედეგი. მისი მტკიცებით კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ერთ - ერთ მთავარ საგანს, რომელსაც სტუდენტები ეუფლებიან სასწავლებელში, სფეროს სპეციალიზაციის მიუხედავად, სწავლის ხარისხი, წარმატებები კარიერაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მიერ ჩადებული წვლილი, მათსავე საქმიანობის წარმართვა - ყველაფერი დამოკიდებულია მათსავე უნარებზე, თუ როგორ მოაგვარონ პრობლემები და მიიღონ შესაბამისად გადაწყვეტილებები. სამწუხაროდ, მთელი რიგი ქვეყნებივერახერხებენშეუერთდნენგანვითარებულ ეგრეთ წოდებულ (სწრაფი ეკონომიკის) მქონე ქვეყნებს. რაც თანდათანობით გარდაუვალი პროცესს წარმოადგენს. თავისუფალ დემოკრატიულ საზოგადოებაში, პირველ ადგილზე სრული მზადყოფნა ჭეშმარიტების დასადგენად სიტუაციის კრიტიკულად შეფასებისა და ჯანმრთელი კამათის პროცესში, რამდენადაც, ცივილიზებული კამათი არის გადაწყვეტილების მიღების ბუნებრივი გზა, იმდენად კრიტიკული აზროვნება თავისუფალ დემოკრატიულ საზოგადოებაში, გარდაუვალი პირობაა წარმატების მისაღწევად. ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელია ყოველდღიურობაში ამიტომ სწავლების პროცესში მოაზროვნე ადამიანთა წინაშე დგება მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისა და საკუთარი ქვეყნის კულტურული ტრადიციების აღდგენა - შენარჩუნების საჭიროება:

**კრიტიკული აზროვნების ფუნდამენტალური როლის გააზრება.** კრიტიკული აზროვნება

საერთო გაგებით, გონებრივი აქტივობაა, რისთვისაც აუცილებელია საკუთარი შეცდომების გამოსააშკარავებლად და გამოსასწორებლად. მეცნიერის აზრით თუ ჩვენ დაუშვებთ „აფსოლიტური საკუთარი ობიექტური სიმართლის მეფობის შესაძლებლობას“, მაშინ კრიტიკული აზროვნება შეიძლება ჩაითვალოს დროებითად თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ როდესაც კრიტიკა ისმის მუდმივად, ეს ერთგვარად აუფერულებს წარმატებების გზებს, მიზნებს შედეგებს და პერსპექტივებს.

მეცნიერი აღნიშნავს მეცნიერულ **ცოდნაში კრიტიკული და დოგმატური აზროვნების კავშირების აუცილებლობას.**

კრიტიკული აზროვნება - მეცნიერულ ცოდნაში განსაზღვრული ელემენტია, მაგრამ რამდენად თვითდამაკმაყოფილებელია იგი? კრიტიკა, რომელიც მიმართულია შეცდომების აღმოფხვრაზე და სიცრუეზე უნდა ეყრდნობოდეს მტკიცებულებებს, რომელიც აქტუალურია შესაბამისი პრობლემებთან. თეორია ან წარმოდგენა მუდმივად ატარებს „დოგმატიურ“ ანდა ხშირად „კრიტიკულ“ ფაზას. ამრიგად დოგმატიური - არაკრიტიკული - აზროვნება არ წარმოადგენს არსებული გადაწყვეტილებებისათვის გამართლებულ და გარდაუვალ შემდგარ პოზიციას. როდესაც ვინმე წარმოადგენს მეცნიერულ თეორიას, მან უნდა კითხვაზე, როგორც გააკეთა ეიზენშტეინმა: „რა შემთხვევაში დავუშვებ, რომ ჩემი თეორია არ შედგება“? უფრო გასაგებად რა შემთხვევაში ჩავთვლი, რომ წარმოდგენილი თეორია უარყოფილია ან ფალსიფიცირებულია? შოკის მომგვრელია, როცა ზოგი თვითმარქვია ფსიქოანალიტიკოსს ნებისმიერი მოსაზრება შეუძლია გამოკვეთოს, საკუთარი თეორიის დასადასტურებლად. ამრიგან მეცნიერის აზრით, აღსანიშნავია, რომ დოგმატური აზროვნება შეიძლება დავყოთ 2 ნაწილად: გამართლებული დოგმატიკა, როგორც კრიტიკის წინაპირობა და მიუღებელი - ყოველდღიური დოგმატიკა. აღსანიშნავია, რომ დოგმატიური და კრიტიკული აზროვნების ანალიზს და თანაფარდობას მივყავართ უფრო დიდ პრობლემასთა, გონების და რწმენის თანაფარდობასთან, რომელიც იშლება შემდეგ ასპექტებში: პირველი მათგანი წარმოადგენს ავტორებთან კავშირს, რწმენას და ნდობას, დოგმატური აზროვნება მოგზაურობს დამოუკიდებლად, არა მარტო ცოდნის შესაძენად და გასაღრმავებლად, არამედ აზროვნების მათ შორის კრიტიკული აზროვნების, კულტურის ფორმირებისათვის.

**დასკვნა**

მეცნიერის აზრით, მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნება და აპოლოგეტიკა დემარკაციის პრობლემის გადაწყვეტა. კრიტიკული აზროვნების - დილემა დოგმატიური აზროვნებაა. დოგმატიურ - მეთოდოლოგიური სტატუსი რაციონალური შემეცნებით და აზროვნებით განისაზღვრება. მითითებული დილემაა, რომელიც საჭიროებს ერთგვარ კონცენტრაციას, როგორც დოგმატიური აზროვნების გამოკვლევის ერთ - ერთი გზა. მითითებული დილემა მოითხოვს შემდგომ კონცენტრაციას. რაც შეეხება დაცვით აზროვნებას, იგი მოწოდებულია გრძნობდეს უსაფრთხოებას, მეოცნებე აპოლოგეტები მოტივირებულნი არიან არა სიმართლეზე, არამედ სურვილზე, რომ საკუთარი თავი დაიცვან შეცდომებისაგან. აქედან გამომდინარე, აპოლოგეტები კონცენტრირებულნი არიან მტკიცებულებებზე, რომლებიც მხარს უჭერენ მათ აზრებს და არ აინტერესებთ პრობლემები, ეს პოზიცია მაშინაა მისაღები, როდესაც აზროვნების აპოლოგეტიური მეთოდი განსაზღვრულად გამოიყენება მეცნიერული პრობლემების განხილვაში. ამ შემთხვევაში აპოლოგეტიური აზროვნება წარმოადგენს დოგმატიკის ისეთ სახეს, რომელიც მხარს უჭერს უარყოფას.

**ლიტერატურა:**


1. ბაქრაძე კ., ლოგიკა, თბ., 1982;
2. პაუელი რ., კრიტიკული აზროვნების თეორია და პრაქტიკა. 1992;
3. ტიაგლო ა. ვ., კრიტიკული აზროვნება, ხარკოვი. 1997;
4. კრიტიკული აზროვნება და ბიბლიოთეკა. ამერიკული სემინარები. 1992;
5. ვოროპაი ტ. ს. კრიტიკული აზროვნება. 1997.

**The problem of 21st century world education - the need for critical thinking**

***Marine Surmava, associated professor***
***Georgian Technical University***

**Symmary**

Social sources of critical thinking.

This issue allows for critical thinking analysis and sets boundaries. In general, criticism of nature and boundaries depends not only on the individualism of a person, but also on inner attributes of man. In an open society, the critical method can be referred to as a revolutionary position. An open society can gradually become an "abstract societyIt is possible to lose a large part of modern society, who either do not participate at all or rarely enter into relationships. They live anonymously and alone. It is worth noting that they, as a rule, despite the fact that the society has become abstract, the social structure of the people has also changed, people have social needs that they cannot satisfy in the abstract society. Of course, it is impossible and cannot be an absolutely abstract or predominantly abstract society. People organize various religious groups, join active social networks and try to satisfy their emotional needs as much as possible, most of them have no real function in public life. The state of modern society - this is the revolutionary transition of the process from closed to open society, which began a long time ago and has not yet ended, the question is whether it will ever end? The perspective of the progress of the society consists not in the complete elimination of closure in public life, but first of all in the elements of openness. In the search for an optimal balance, we must also remember that the real society as a whole or different groups like it is a dynamic open society. Therefore, the formation of optimal attitudes is unlikely "for all times and peoples", it depends on the actual historical context "here and now". It is important to accelerate the optimization processes in the process of change to more easily transition to a predominantly open society. It has been proven that rapid changes cause various and social conflicts, such as property stratification and poverty, which are significantly noticeable. On the other hand, too slow and quiet action can cause a number of countries to lag behind, and even the leading countries of the world can become permanent outsiders.

Key words: critical thinking, education, excellence, reform, society, problem.

# კარნახი  და გონებრივი კონცენტრაცია

*მანანა ქაჯაია, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ენის შემსწავლელთათთვის საწყის ეტაპზე მეტად ხელსაყრელი ცნობილი მეთოდი არის კარნახი. კარნახის დროს ვლინდება ის პრობლემები, რომლებიც მოსმენის, გაგების, ენის ფონემატური სტრუქტურისა და ორთოგრაფიის გააზრების დონეს განსაზღვრავს.

სტატიაში საუბარია ჩართულობისათვის გამიზნული კარნახის სხვადასხვა ტიპზე: ფონემურ, ტექსტობრივ, ორთოგრაფიულ, ტრადიციულ, გამოტოვებულ, ესტაფეტურ, თავისუფალ და შემოქმედებით, სტენოგრაფიულ და სხვა სახეობათა კარნახზე.

კარნახისთვის შერჩეული მასალა უნდა შეესაბამებოდეს შემსწავლელების ცოდნის დონეს, ენობრივი კომპეტენციის შესაბამისად. სპეციალისტების რჩევით, მასალის შერჩევის სარგებელი წყაროა სახელმძღვანელო, სადაც იქნება უცხო და სახალისო ტექსტები.

შერჩეული მასალა უნდა შეიცავდეს ენობრივ ასპექტებს, რომლებზეც მათ უკვე ნამუშევარი აქვთ (გრამატიკა, ლექსიკა, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) შემსწავლელებს უნდა ავუხსნათ მათთვის უცნობი სიტყვები, აბრევიატურები, საკუთარი სახელები და ა.შ.

თვითშეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს შემსწავლელთათვის. მათ უყალიბდებათ შეცდომის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება. ხაზგასმულია, რომ შეცდომის აღიარება და გამოსწორება, ენის შემსწავლელთა წინსვლის აუცილებელი პირობაა. თვითშეფასებით ისინი გრძნობენ მეტ ვალდებულებას და ცდილობენ, მაქსიმალურად ობიექტურნი იყვნენ.

თვითშეფასების ყველაზე გავრცელებული ხერხია სწორ პასუხებთან შესასწავლი ენის შედარება. ამ შედარების გზით ისინი, თავიდან აღმოაჩენენ საკუთარ შეცდომებს და შემდეგ აანალიზებენ, რატომ დაუშვეს ეს შეცდომები, რისი ცოდნა დააკლდათ, რა ვერ გაითვალისწინეს, იქნებ კონცენტრაცია ვერ მოახერხეს საკითხთან დაკავშირებით ან მართებული გზა არ აირჩიეს.

განხილულია წერითი სახეობების დავალებები, რომელთაგან ერთ–ერთს წარმოადგენს წინადადებისა და ტექსტის შედგენა. ტექსტი უნდა იყოს შესწავლილი ენის სალიტერატურო მასალიდან, როგორც სტანდარტული ენის ნიმუში და აღებული უნდა იყოს თანამედროვე წყაროდან. შთამბეჭდავი ტექსტი მოტივაციას უმაღლებს შემსწავლელს.

დღესდღეობით გავრცელებულია შემოქმედებითი კარნახი და შერჩევითი კარნახი. საუბარია მათ მნიშვნელობასა და პრაქტიკაში გამოყენებაზე.

საკვანძო სიტყვები: ორთოგრაფია, ფონემური, სახეობები, ტექსტი, კარნახი, შემოქმედებითი, შერჩევითი.

**შესავალი**

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომაც ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს არაქართულენოვან შემსწავლელთა ენის სწავლებას. მიზანი არის, შემსწავლელი უზრუნველყოს ისეთი ცოდნით, რომ შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია, სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და გაგება, ქართული კულტურული ფასეულობის პატივისცემა, სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციო-კულტურული თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა. ამ მიზნის მისაღწევად, შემსწავლელმა უნდა აითვისოს, როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია, ენის სწავლების უნარ-ჩვევები, სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა). უნდა ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა.

**ძირითადი ნაწილი**

ენის დამწყები შემსწავლელთათვის მეტად ცნობილი მეთოდი - კარნახი ეხმარება მათ, სრულყონ მართლწერა შესასწავლ ენაში და, ასევე ასოებისა და ბგერების შესაბამისი კარნახის წერის მეშვეობით, გამოუმუშავდეთ კონცენტრაციის უნარი. აუცილებელი პირობაა მათი აქტიური ჩართულობა პროცესში. ძირთადი აქტივობების

მრავალფეროვნების წყალობით, მისი გამოყენება შეიძლება სისტემატურად, ისე, რომ შემსწავლელებს არ მობეზრდეთ კარნახის წერა.

კარნახი ავლენს იმ პრობლემებს, რომლებიც მოსმენის, გაგების, ენის ფონემატური სტრუქტურის და ორთოგრაფიის გააზრების დონეს ავლენს, აგრეთვე ავლენს იმ პრობლემებს, რაც არის ბგერათა აღქმა და სწორად წერა.

წერითი დავალების ერთ–ერთ სახეობას წარმოადგენს წინადადებებისა და ტექსტების შედგენა. ტექსტი უნდა იყოს შესწავლილი, როგორც სალიტერატურო სტანდარტული ენის ნიმუში და აღებული უნდა იყოს თანამედროვე წყაროდან, შთამბეჭდავი ტექსტი მოტივაციას უმაღლებს შემსწავლელებს. საწყის ეტაპზე რეკომენდებულია იოლი ფრაზებით აგებული ტექსტების არჩევა, რომლებიც ცნობილია უკვე მათთვის.

კარნახისთვის შერჩეული მასალა უნდა შეესაბამებოდეს შემსწავლელების ცოდნის დონეს, ენობრივი კომპეტენციის შესაბამისად.

სპეციალისტების რჩევით, მასალის შერჩევის სარგებელი წყაროა სახელმძღვანელო, სადაც იქნება უცხო და სახალისო ტექსტები. შერჩეული მასალა უნდა შეიცავდეს ენობრივ ასპექტებს, რომლებზეც მათ უკვე ნამუშევარი აქვთ (გრამატიკა, ლექსიკა, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) შემსწავლელებს უნდა ავუხსნათ მათთვის უცნობი სიტყვები, აბრევიატურები, საკუთარი სახელები და ა.შ.

ჩართულობისათვის სასურველია გამოყენებულ იქნას კარნახის სხვადასხვა ტიპი:

ა) ფონემური კარნახი.

ბ) ტექსტობრივ-ფონემური კარნახი.

გ) ორთოგრაფიული კარნახი.

დ) ტრადიციული, კლასიკური კარნახი.

ე) გამოტოვებული ასოები.

ვ) კარნახი „თავად გაასწორე“.

ზ) ესტაფეტა.

თ) აკლია სიტყვა

ი) დიქტოგლინი

კ) თავისუფალი კარნახი

ლ) შემოქმედებითი კარნახი

მ) ურთიერთკარნახი

ნ) სტენოგრაფიული კარნახი

ო) კარნახი „დეპეშა“

პ) შერჩევითი კარნახი

**ფონემური კარნახის** დროს ლექტორი უსახელებს ენის შემსწავლელებს ცალკეულ ბგერებსა და ასოებს. დაწერონ შესაბმისი ასო. ბგერების ამოცნობა კარგია ენის სწავლების დასაწყის ეტაპზე.

**ტექსტობრივ–ფონემური კარნახის** დროს, ლექტორი კითხულობს მოკლე ტესქტს. შემსწავლელები იწერენ ბგერებს (გამოსახავენ ასოებს).

შემსავლელები სწავლობენ როგორ ისმის და იცვლება შესწავლილი ენის ბგერები გაბმულ ტექსტში.

**ორთოგრაფიული კარნახი** გულისხმობს იზოლირებული სიტყვების კარნახს.

**კლასიკური ტიპის კარნახი** გულისხმობს მსმენელების მიერ ტექსტის თანამიმდევრული მონაკვეთის ჩაწერის უნარის განვითარებას. ეს კარნახი მიზნად ისახავს შემსწავლელების ტექსტის გაგების უნარს, განვითარებას და აჩვენებს გრამატიკის ცოდნის ხარვეზებს.

უმჯობესია სქემატურად და თვალსაჩინოდ სათითაოდ გამოიკვეთოს ყველა შეცდომა სწორი ვარიანტის ჩვენებით.

შეცდომების ანალიზი წერის მიმართულებით, ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. კარნახი და მისი ანალიზი.

2. წერითი დავალება და მისი ანალიზი

3. ნაწერის გასწორებისას მიენიშნოს ყველა შეცდომა, სწორი ფორმის მინიშნებით.

4. გამოიყოს სპეციალური ადგილი შეცდომების გასწორებისათვის.

5. შეიქმნას სპეციალური დავალებები, ტექსტები ტიპურ შეცდომათა გაანალიზებისათვის.

ამგვარად, შეცდომები რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს.

აუდიტორიაში შესაძლებელია იმ შენიშვნების განხილვა, რომელთაც ყველაზე ხშირად უშვებენ შემსწავლელები.

**გამოტოვებული ასოები** რეკომენდებულია დაწყებით დონეზე.

ფურცელზე დაწერილ სიტყვებში გამოტოვებულია ასოები. ეს გამოტოვებული სიტყვები უნდა შეავსონ შემსწავლელებმა.

მაგალითად:

მამი–ა

ბი–ა

ბებ–ა და სხვა.

**კარნახი „თავად გაასწორე“:**

ბუნებრივ ტემპში წაკითხული ტექსტი, სავარაუდოდ, შემსწავლელებმა უნდა დაწერონ. თითოეული წინადადების ნელი წაკითხვის შემდეგ წერენ კარნახს. ბოლოჯერ წაკითხვის შემდეგ შემსწავლელები თვალს ადევნებენ საკუთარ ნაწერებს და შეაქვთ ბოლო ცვლილებები.

შემსწავლელები იწერენ ტექსტს რვეულში ქსეროასლიდან, დაფიდან ან პროექტორის სლაიდიდან, ისე, რომ არ იხედებიან თავიანთ შეს-

რულებულ ნაწერებში, მათ მოეთხოვებათ ტექსტის უშეცდომოდ გადაწერა.

შემსწავლელები თავიანთ ნაწერებს ასწორებენ. შესაძლებელია შემსწავლელების დაწყვილებაც. მორიგეობით კოპირებული ტექსტის წაკითხვის შემდეგ ისინი ცვლიან ნაწერებს და უსწორებენ ერთმანეთს შეცდომებს. საბოლოოდ ლექტორი აფასებს მათ ნაწერებს.

**ესტაფეტა:**

ლექტორმა ტექსტი უნდა მიაკრას შორს ისე, რომ შემსწავლელები ვერ ხედავდნენ. ტექსტის სიგრძე ისე უნდა შეირჩეს, რომ დასჭირდეთ 7–8 წუთი დავალების შესასრულებლად. ტექსტი დაყოფილი უნდა იყოს რამდენიმე ნაწილად. ჯერ პირველი ნაწილი უნდა დაიმახსოვრონ და ჩაწერონ, შემდეგ დანარჩენები.

საბოლოოდ თვითონ რვეულით მიდიან ტექსტთან და ორიგინალის მიხედვით ამოწმებენ საკუთარ ნამუშევარს.

ლექტორი უკითხავს შემსწავლელებს ტექსტს ან ჯგუფის თითოეული წევრი უკითხავს ტექსტს გარკვეული ჯგუფის წევრებს. უნდა შეირჩეს მოკლე ტექსტი და შეესაბამებოდეს შემსწავლელების ენის დონეს. ლექსიკურად უნდა იყოს მრავალფეროვანი ან შეიცავდეს იმ გრამატიკულ მასალას, რასაც გადიან. დავალების დასრულების შემდეგ შემსწავლელები ასწორებენ თავიანთ ნაწერებს ორიგინალთან შედარების გზით.

**აკლია სიტყვა** – შეირჩევა მოკლე ტექსტი, სადაც ამოღებული იქნება სიტყვა. ისინი კონტექსტის მიხედვით მოფიქრებულ სიტყვას სვამენ გამოტოვებულ ადგილას.

**დიქტოგლინი:**

შემსწავლელები არაფერს წერენ ლექტორის წაკითხვის დროს. წაკითხვა ხდება 2–3–ჯერ. ამის შემდეგ იწყებენ წერას. ქმნიან ორიგინალურ ტესქტს.

**თავისუფალი კარნახი:**

ტესქტს ვკარნახობთ არა წინადადებებით, არამედ აბზაცებით და მსმენელი წერს, როგორც იმახსოვრებს.

შეკითხვები: რამდენი ნაწილისგან შედგება ტექსტი? რამდენი წინადადებაა პირველ ნაწილში? რომელ სიტყვაშია მოსალოდნელი შეცდომის დაშვება? და ა.შ.

**შემოქმედებითი კარნახი:**

ტექსტი ირჩევა შემსწავლელთა ცოდნის დონის შესატყვისად. ორჯერ იკითხება ტექსტი. პირველი გაცნობითი კითხვაა. მეორე წაკითხვის დროს ისინი წერენ.

**ურთიერთკარნახი** სრულდება წყვილებში. ვურიგებთ ქსერომასალებს ტექსტებით. შემსწავლელები კითხულობენ დარიგებულ ტექსტებს და უხსნიან შემსწავლელებს უცხო სიტყვებს.

საჭიროა მკაფიოდ სიტყვების გამოთქმა, სწორი პაუზების დაცვა.

შემდეგ ერთობლივად ამოწმებენ ნაწერს.

შესაძლოა მივცეთ დავალება: მოიძიონ და გახაზონ სინონიმები, ანტონიები, ზედსართავი სახელები.

**„სტენოგრაფიული“ კარნახი:**

„უფროსი“ უკითხავს ტექსტს თავის „ასისტენტს“. ასისტენტი ვერ ასწრებს მთელი ტექსტის ჩაწერას, მაგრამ ვერ ეუბნება „უფროსს“. მხოლოდ საკვანძო სიტყვებს და ფრაზებს იწერს. შემდეგ ქმნის ტესქტს, რომელიც მაქსიმალურად ახლოს არის ორიგინალთან.

**კარნახი დეპეშა:**

ლექტორი კარნახობს სიტყვებს. არსებითი და ზედსართავი სახელები წარმოდგენილია სახელობით ბრუნვაში. მსმენელები ადგენენ წინადადებას და სწორად იყენებენ ბრუნვის ნიშნებს, კავშირებს, თანდებულებს.

მაგ.: ბავშვი: ჩავიდა: სოფელში: ბებია: ხაჭაპური: გამოცხვა.

**შერჩევითი კარნახი:**

ლექტორი უკითხავს ტექსტს

მსმენელებს ევალებათ ამოიწერონ მხოლოდ განსაზღვრული ტიპის ინფორმაცია. ე.ი. მუშაობენ წინადადების გრამატიკულ აგებულებასა და მორფოლოგიაზე.

**დასკვნა**

ამრიგად, კარნახში დაშვებული შეცდომები სასურველია მთელ ჯგუფთან ერთად განზოგადდეს და არა ინდივიდუალურად, თუმცა, წერის მიმართულებიდან გამომდინარე, მაინც ინდივიდუალური ხასიათი ეძლევა.

ლიტერატურა:

1. გოჩიტაშვილი ქ., 2021. მეორე ენაზე წერის სწავლების მეთოდები და სტრატეგიები. გამომცემლობა „მერიდიანი“
2. ჯაყელი თ., ხუციშვილი მ., 2006. წერის უნარ–ჩვევათა განვითარება. თბილისი–სამეცნი.
3. კიღურაძე თ., ქუთათელაძე ე., 2013 ქართულის როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. „ქართულის როგორც უცხო ენის სწავლების“ პროგრამა. თბილისი.
4. Hyland F., (1998). The impact of teacher written feedback on individual writers. Journal of second language writing, 7(3): 255-86

## Dictation and mental concentration

***Manana Kajaia, Associated professor***
***Georgian Technical University***

### Summary

A very well-known method for language learners is adictation. During a dictation, the problems that reveal the level of understanding of listening, comprehension, phonemic structure of the language and orthography are revealed.

The article discusses different types of dictation for engagement: phonemic, textual, orthographic, traditional, omitted, free and creative, shorthand and other dictations.

The material selected for dictation should correspond to the level of knowledge of the learners, in accordance with the language competence. According to the advice of specialists, a useful source of material selection is a textbook, where there will be foreign and amusing texts.

The selected material should include language aspects they have already worked on (grammar, vocabulary, orthography, punctuation). Learners should be explained unfamiliar words, abbreviations, proper names, etc.

Self-esteem is of great importance for learners. They develop their own attitude towards mistakes. It is emphasized that recognizing and correcting mistakes is a necessary condition for the progress of language learners. With self-esteem, they feel more obliged and try to be as objective as possible.

The most common way of self-assessment is to compare the language being studied with the correct answers. Through this comparison, they discover their own mistakes and then they analyze why did they make these mistakes, what they lacked in knowledge, what they failed to consider. Maybe they didn't manage to concentrate on the issue or they didn't choose the right way.

Tasks of writing types are discussed, one of which is composition of sentence and text. The text should be studied from the literary material of the language as a sample of the standard language and should be taken from a contemporary source. An impressive text increases the motivation of the learner.

A creative dictation, a selective dictation is common nowadays. It is about their importance and usage in practice.

Key words: orthography, phonemic, species, text, dictation, creative, selective.

# მულტიმედიური ტექნოლოგიების როლი მეორე ენის ათვისებაში

*თამარ შაიშმელაშვილი, ასისტენტ-პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

მულტიმედიის საგანმანათლებლო მიზნით გამოყენების საკითხი აქტუალური გახდა 21-ე საუკუნეში და უკვე საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს სხვა საგანმანათლებლო საშუალებათა შორის. ენის კურსის წარმატებით დაუფლებას ბევრად განაპირობებს ელექტრონული საშუალებების გამოყენების გზები, ხერხები და მეთოდები, რომლებიც ეფექტიანი სასწავლო პროცესის წინაპირობაა.

კოვიდპანდემიამ დაგვანახვა, რომ დისტანციურ სწავლებასა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას დადებითი მხარეც ჰქონდა: ერთი მხრივ, სასწავლო საგნების ათვისებას შეუწყო ხელი და სწავლების პროდუქტიულობა გაზარდა, მეორე მხრივ, კომუნიკაციისა და აქტიური მოსმენის უნარი გაიუმჯობესეს სტუდენტებმა. ეს გამოცდილება გასათვალისწინებელია მეორე ენის სწავლა/სწავლების დროს, ენობრივი კომპეტენციების (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) განვითარების თვალსაზრისით. ენის სწავლებასთან ინტეგრირებული მულტიმედია საშუალებები მეორე ენის წარმატებით დაუფლებას ბევრად განსაზღვრავს. მათი პოტენციალი ძალიან დიდია.

კვლევამაც - რამდენად ეფექტიანია მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენებით ლექსიკური ერთეულების ათვისება, სწორედ აღნიშნული დაადასტურა.

ტრადიციულ სასწავლო ტექსტებთან ერთად მულტიმედიური რესურსების გამოყენება საგრძნობლად აიოლებს ენის დაუფლების პროცესს. ამ პროცესში ეფექტიანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: ვერბალური და დემონსტრირების მეთოდები, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები და ჯგუფური მუშაობა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს მეთოდები ენის ათვისების პროცესში უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას.

ელექტრონული კომუნიკაცია იმ კულტურის შესწავლასაც გულისხმობს, რომელი ენის დაუფლებისთვისაც იღწვის სტუდენტი. ტექნოლოგიურ საშუალებებს ამ მხრივ დიდი შესაძლებლობა აქვს, ხელს უწყობს მათი ცოდნის ამაღლებას და დადებით განწყობას უქმნის მათ განსხვავებული კულტურის რეალიების მიმართ.

სპეციალისტების განმარტებით, მულტიმედიის გონივრული გამოყენება ეფექტიანი, ინოვაციური და დადებითი შედეგების მომტანია სასწავლო პროცესში. მულტიმედიური ტექსტები, ნახატები, დიაგრამები, ფოტოები, ვიდეო და აუდიო ფრაგმენტები... ყურადღების კონცენტრაციისა და ინტონაციის მიზნობრივ შერჩევასთან ერთად, საჭირო სასწავლო პროგრამის დამოუკიდებლად ათვისებასა და ლექსიკის სწავლების ტრადიციული სისტემის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ამავე დროს, იზრდება ლექსიკის ათვისების ხარისხი და მეცადინეობებზე დაზოგილი დრო შესაძლებელია მეტყველების უნარების განვითარებას მოხმარდეს.

სადღეისოდ აქტუალურია მულტიმედიური საშუალებების გამოყენების აუცილებლობა მეორე ენის სწავლა/სწავლების პროცესში. მულტიმედიური ტექნოლოგიები როგორც სააუდიტორიო, ისე საშინაო დავალებების შესრულებისას, მნიშვნელოვნად ზრდის ენობრივ კომპეტენციას.

საკვანძო სიტყვები: მულტიმედია, ვიზუალური ეფექტები, ინოვაციური, მულტიმედიური ტექნოლოგიები, ლექსიკური ერთეული, მეორე ენის სწავლა/სწავლება

**შესავალი**

თვალსაჩინოება შემეცნების პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი საფეხურია. იან ამოს კომენსკი თვალსაჩინოებას „სწავლების ოქროს წესს“ უწოდებს. იგი სწავლების ამოსავალია და ყურადღების კონცენტრირებას, დაკვირვების უნარს და აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს. სიტყვის მნიშვნელობის გახსნასა და მის დამახსოვრებაში მიმიკაც კი მონაწილეობს.

დადგენილია, რომ აზრის, ჩანაფიქრის გამოთქმისას მეხსიერებაში 10-დან 14%-მდე რჩება, ხედვისას, ვიზუალური ინფორმაციის – 25% აღიქმება, ხოლო მოსმენისას და ხედვისას, ინფორმაციის - 65% (ჯაგოდნიშვილი, 2009, გვ. 76).

ეს ფაქტები სწავლების აუდიო-ვიზუალური საშუალებების, სმენითი და მხედველობითი თვალსაჩინოების გამოყენების ეფექტს ცხადყოფს, რომლებიც, ბუნებრივია, უნდა ავსებდნენ ერთმანეთს. მას უკავშირდება ენობრივი ცნობიერების ამაღლება, გამდიდრება, ენის სწავლების უნარ-ჩვევების განვითარება.

დოკუმენტური, მხატვრული თუ სხვა სახის ვიდეოები, ფილმები, პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ილუსტრაცია სამეტყველო უნარების განვითარებაში (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) საგრძნობ როლს ასრულებს.

**ძირითადი ნაწილი**

რამდენად ეფექტიანია მულტიმედიური მეთოდების გამოყენებით ლექსიკური ერთეულების ათვისება?

მულტიმედიური კომპლექსის გამოყენება შესაძლებელს ხდის, სტუდენტებმა, მეორე ენის სწავლა/სწავლების პროცესში ლექსიკა უფრო ეფექტიანად აითვისონ, ვიდრე ეს ტრადიციულად ხდებოდა. კონკრეტულ შემთხვევაში, ძირითადად ვაკვირდებოდი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო (1+4) პროგრამის A ბლოკის ეთნიკურად აზერბაიჯანელ მსმენელებს.

მათ უმრავლესობას მეორე ენის ათვისების არცთუ სახარბიელო საფუძველი აქვს, სკოლებში კარგად არ ისწავლეს ან საერთოდ არ უსწავლიათ. ამიტომ მოსამზადებელი პროგრამის მსმენელთან ლექტორს გაორმაგებული მუშაობა სჭირდება. ამ მხრივ მულტიმედიური ტექნოლოგიები მისწრებაა.

ფერები, გრაფიკა, ხმა, ვიდეოეფექტები ზრდის სტუდენტთა შემეცნებით აქტივობას და მასალის ათვისებას აიოლებს. ამ დროს ჩართულია აღქმის ყველა არხი - ვიზუალური, სმენითი, ემოციური... მულტიმედიური რესურსების წყალობით ლექციები ემოციური, ფერადი და მიმზიდველია. სასწავლო პროცესი ინტერაქციური ხდება, შემეცნებითი ინტერესი კი იზრდება.

თანამედროვე ვიდეოტექნოლოგიები რომ უფრო ახლოსაა მოსწავლეებისთვის, ვიდრე წიგნების სამყარო, - წერენ სპეციალისტები.

ისინი ვიდეოჩვენების დიდ მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას, ვიდეოს ცოდნის მიღების თანამედროვე საშუალებად მიიჩნევენ, უფრო მეტი მოტივაცია ჩნდება, როცა იცი, რომ ახალ ინფორმაციას იღებ რეალური ფაქტების ხილვითო.

როდესაც თვალი - გრძნობადი ორგანო - მიჯაჭვულია ეკრანს, უმჯობესდება ცოდნის მიღებისა და დამახსოვრების ხარისხი.

ამდენად, მულტიმედიის გამოყენება შესაძლებელს ხდის ცალკეულ სტუდენტზე ინფორმაციული დატვირთვის გაზრდას და სასწავლო პროცესის განხორციელების მაქსიმალურ ვიზუალიზაციას. მულტიმედიური სასწავლო საშუალებების - ხმის, ვიდეოსა და ტექსტის სინთეზი ახალი მასალის ყველა მეთოდის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა, კონკრეტულად:

ა) იზრდება ლექსიკური ცოდნის არეალი;

ბ) ლექსიკის დონე საგრძნობლად ვითარდება;

გ) ლექსიკური ერთეული აზრის ჩამოყალიბების საშუალებად გამოიყენება.

ლექსიკის სწავლების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო მიზნებით შედგენილ მოსასმენ ილუსტრირებულ ტექსტებს, თემატურ დიალოგებს/მონოლოგებს, მარტივ აღწერით ტექსტს. იქნება ეს ყოფითი თემები (საუბარი საკუთარი თავის შესახებ; სახლი და უახლოესი გარემო; ყოველდღიური ცხოვრება; თავისუფალი დრო, გართობა; ჯანმრთელობა; საჭმელ-სასმელი, საყიდლები; ამინდი; წელიწადის დროები (თვეები, კვირის დღეები); ბუნების მოვლენები...) თუ სოციოკულტურული და კულტურული კონტექსტები (წეს-ჩვეულებები; დღესასწაულები და ტრადიციები; ყოფითი რეალიები)...

სასწავლო მასალასთან ერთად ეფექტიანია მულტიმედიური ტექსტების გამოყენებაც. მაგალითად, ბუნების მოვლენებზე საუბრის დროს ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გაცნობა, ანდა ილუსტრაციების და ვიდეოს ფრაგმენტების ჩვენება.

ვერბალური მეთოდით ამინდის და წელიწადის დროების ლექსიკის ათვისებისას, მიზანშეწონილია მულტიმედიური რესურსის ჩართვაც - ახალ ლექსიკურ ერთეულებზე მულტიმედიური პრეზენტაციის მომზადება სლაიდებით. სასურ-ველია მხატვრული ნაწარმოების მოძიება და ვიდეოს მოსმენა, ლექსის წარმოთქმაც არავერბალური მეტყველების (ინტონაციის, მიმიკა-ჟესტი-კულაციის, რიტმული მოძრაობების) მისადაგებით.

ცხოვრებისეულ სიტუაციებზე სასაუბროდ, იქნება ეს საყიდლებზე წასვლა თუ ექიმთან ვიზიტი, მულტიმედიური ვიდეო ანდა აუდიო დიალოგების მოსმენა ბევრად აიოლებს ახალი ლექსიკური ერთეულების ათვისებას. ამ დროს ხელსაყრელია როლური სიტუაციის გათამაშებაც. ზოგადად, სათამაშო სიტუაციების შექმნა ლექსიკური ერთეულების ათვისება-დამახსოვრებას და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. როლური თამაში მეხსიერებას ავითარებს, სტუდენტი უფრო თავისუფალი და აქტიურია, გასაქანს აძლევს ფანტაზიას...

ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად შედეგიანია შემდეგი აქტივობებიც: საგნის ნიშან-თვისებების (მაგ., მრგვალი, გრძელი, მოკლე, დიდი, პატარა) მიხედვით შესაბამისი ილუსტრაციის შემოხაზვა, ანდა, წინასწარ შედგენილი გრაფიკული ილუსტრაციების მიხედვით, ცხოველის და

ფრინველის განმასხვავებელი ნიშნების პოვნა.

ახალი სიტყვების მნიშვნელობების ახსნისას ანუ სიტყვების სემანტიზაციის დროს, ენის შემსწავლელთათვის ახალი სიტყვებისა და სტრუქტურების სემანტიკური მნიშვნელობების ეფექტიანად მიწოდებას ბევრად განაპირობებს მულტიმედიური ტექნოლოგიების ჩართვა ამ პროცესში.

დემონსტრირების მეთოდი არავერბალური გზით, კონკრეტულად, ნახატებით და პიქტოგრამებით სიტყვების, ანდა მათემატიკური ნიშნების ამოსაცნობად, - მოხერხებულია. და თუ ნახატები სლაიდებით არის ტექსტთან გაერთიანებული, ეფექტი ორმაგდება. მეორე ენის დასაუფლებლად კარგი აქტივობაა ანბანის რიგზე მცენარეთა და ყვავილთა, ამდა ცხოველთა ილუსტრაციების დალაგება, ასევე გაბნეული ასოებისგან სიტყვების შედგენა ილუსტრაციებთან მისადაგება.

ხმაბაძვითი სიტყვების ახსნა არავერბალური გზით ხმოვანი საშუალებებით ხდება. თუმცა სასურველია ცხოველის ხმის დაკავშირება შესაბამის ნახატთან ანდა სიტყვის/მოკლე წინადადების დაკავშირება შესაბამის ილუსტრაციებთან, მიმიკების და ჟესტების ნაცვლად ვიდეოს ან ანიმაციის გამოყენება, ვიდეოჩვენებით ცხოველის ან ფრინ-ველის ქმედების განსახიერება; ხმაბაძვითი სიტყვების (ცხოველების, ფრინველების... ხმები) მოსმენა.

ლექსიკის სწავლებისას ვიზუალური ეფექტები: პრეზენტაცია, ფოტო-ვიდეო მასალა, ილუსტრაციები ხელს უწყობს ლექსიკის უკეთ დამახსოვრებას. როდესაც სტუდენტები თბილისის ღირსშესანიშნაობებს ეცნობიან, მულტიმედიური რესურსი - ილუსტრაციები და ვიდეომასალა ძალიან ეფექტურია.

მულტიმედიური საშუალებები გვეხმარება მყარი შესიტყვების ფრაზეოლოგიური ერთეულების ახსნის დროს: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“, „ყურებაზე ხახვი არ დამაჭრა“... ამ დროს ახსნა-განმარტებით მეთოდთან ერთად კომპლექსურად, ვიზუალური ეფექტები ასრულებს არსებით როლს. ფიქრობენ, რომ ახსნა-განმარტებითი და ილუსტრაციული მეთოდების ერთობლივი გამოყენება ლექსიკური ერთეულების სემანტიზაციის ეტაპზე წარმატებულია. გრაფიკული მხარე ხელს უწყობს ლექსიკური მასალის ათვისებას და წარმოდგენილი მასალის ეფექტიან დამახსოვრებას. იგივე შეიძლება ითქვას ვერბალურ მეთოდსა და მულტიმედიური რესურსების კომპლექსურ გამოყენებაზე.

ვიზუალური თვალსაჩინოების მეთოდით (ჟესტების, მიმიკის ენით) განწყობილების გამომხატველი მარტივი ტექსტის მოსმენისას, გაცილებით ეფექტიანია სურათების და ვიდეო-ფრაგმენტების დართვა. სინონიმური უცხო სიტყვების გარჩევისას ასევე მულტიმედიური რესურსის ჩართვა. მაგალითად. სიტყვა „ლამაზის“ ახსნა იოლია, მაგრამ სინონიმ „თვალწარმტაცის“ ასახსნელად შეგვიძლია გამოვიყენოთ ძალიან ლამაზი ადგილები, ხედები, ქალაქები... და დავურთოთ ილუსტრაციები.

ასევე „ცნობილის“ სინონიმ „ღირსშესანიშნავის“ ახსნისას ვაჩვენოთ მსოფლიოს რომელიმე ღირსშესანიშნავი ადგილი.

პოლისემიური სიტყვების სწავლებისას, ვიყენებ პრეზენტაციას სლაიდებით და ილუსტრაციებით. ხოლო პარაფრაზებით სიტყვის მნიშვნელობის ახსნისას კომპლექსურად მულტიმედიური საშუალებების გამოყენება ურიგო არ არის.

სიტყვაწარმოების დროს ნაწარმოები სიტყვები ელექტრონულ ლექსიკონებში ენის შემსწავლელებმა თავად უნდა მოიძიონ და შეასრულონ დავალება. თუნდაც განმარტონ ფრაზეოლოგიზმები და ინტერნეტიდან ილუსტრაცია მოარგონ.

დიალექტიზმებზე მუშაობა მრავალფეროვანი თვალსაჩინოების გამოყენების საშუალებას იძლევა. იქნება ეს ქართული მწერლობიდან ნაწყვეტების გაცნობა - წაკითხვა, ნაწყვეტები ქართული კინოფილმებიდან, საქართველოს ილუსტრირებული რუკის გამოყენება, თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობის სპეციფიკით და სხვა.

ლექსიკის ათვისების პროცესში ყველა კომპონენტია ჩართული, როგორც მართლწერა, ისე ელექტრონული ლექსიკონებით სარგებლობა. ელექტრონული არხების გამოყენებით სტუდენტი ინდივიდუალურადაც ეძებს იმ სინტაგმას, რომლის წევრიცაა ესა თუ ის სიტყვა ტექსტში, ადგენს მის მნიშვნელობას და ასრულებს სავარჯიშოებს. ახალი სიტყვების დადგენასა და ვარჯიშში, შესაბამისად, ტექსტის შინაარსის გაგებაც იოლდება.

## დასკვნა

მულტიმედიური ინფორმაცია, რომელიც სმენისა და მხედველობის ერთდროული ზემოქმედების შედეგია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტზე და ეხმარება რთული ტექსტის უფრო ღრმად და საფუძვლიანად გააზრებაში; ცოდნის შეძენასა და ჯანსაღი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში; სტუდენტი მოტივირებულია ახალი სასწავლო საშუალებების გამოყენებით.

მსმენელს უადვილდება ინფორმაციის სწრაფად აღქმა და დამახსოვრება; ხმოვანი და ვიზუალური

ეფექტებით გაფორმებული ტექსტი ავითარებს შემოქმედებით აზროვნებას. სასწავლო თემის დინამიკური და სასიამოვნო ფორმით წარდგენა სტუდენტების ყურადღებას უფრო მეტად იპყრობს.

აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოა უცხო ლექსიკური ერთეულების ათვისებისას. ელექტრონული საშუალებები ენის შესასწავლად შესანიშნავ გარემოს ქმნის. ვიზუალური და აუდიოხერხები საგრძნობლად ეხმარება მსმენელს ელემენტარულ დონეზე სიტყვაწარმოებაში, ამა თუ იმ სიტყვის, მარტივი ფრაზეოლოგიზმების გაგებაში, პოლისემიურ სიტყვებზე დაკვირვებაში, აქტიური ლექსიკური ფონდის შევსებასა და სიტყვიერი მარაგის გამდიდრებაში.

**ლიტერატურა:**


1. გოჩიტაშვილი ქ., (2013), „საინფორმაციო ტექნოლოგიები უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში“, საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისთვის, N 2, თბილისი. https://multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/150122053812.pdf
2. კომენსკი ი. ა., (1949) „დიდი დიდაქტიკა“, თბილისი.
3. შავერდაშვილი ეკ., (2014): „უცხოური ენების სწავლების საფუძვლები“, ნაწ.1.თბილისი.
4. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი. (2009): „ვერბალური კომუნიკაციები“, თბილისი.


## The role of multimedia technologies in second language acquisition


***Tamar Shaishmelashvili, Assistant-Professor***
***Georgian Technical University***


### Summary


The issue of using multimedia for educational purposes has become relevant in the 21st century and already occupies a large place among other educational means.

It was used by language learners to build an intensive relationship with the target language. The successful mastery of the language course is greatly determined by the ways and methods of using electronic means, which are a prerequisite for an effective learning process.

It must be said that during the covid pandemic, distance learning and the use of electronic technologies had also positive side: on the one hand, it contributed to learning subjects of study and increased teaching productivity, on the other hand, students improved their communication and active listening skills.

This experience should be taken into account when learning / teaching a second language in terms of developing language competencies (reading, writing, listening, speaking). Multimedia tools integrated with the language course greatly determine the successful acquisition of a second language.

The purpose of the research - how effective is the study of lexical items using multimedia technologies - confirmed this.

Electronic communication also involves the study of the culture for which the student is trying to master the language. Technological means have great potential in this regard. This helps to expand their knowledge and forms a positive attitude towards various cultural realities.

According to specialists, the reasonable use of multimedia brings effective, innovative and positive results in the educational process. Multimedia texts, pictures, diagrams, photos, video and audio fragments... Along with the improvement of attention concentration and intonation, it helps to master the necessary program of study and organize processes of study. At the same time, the level of vocabulary acquisition increases and the time saved on lessons can be used for the development of speaking skills.

Today, the need to use multimedia tools in the learning/teaching process is relevant. Multimedia technologies, both in the audience and in homework, significantly increase language competence.


Keywords: Multimedia, Visual effects, Innovative, Multimedia technologies, Lexical unit, Learning/teaching a second language

# ჟურნალისტიკა

# JOURNALIZM

## იმანენტური პროცესები ქართულ მედიასივრცეში და საქართველოს ინფორმაციული პოლიტიკის ახალი პრიორიტეტები გლობალიზაციის ეპოქაში

*თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ივანე ჯაგოდნიშვილი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*დავით გოცირიძე*

**რეზიუმე**

ქართული მასმედიის ისტორიაში გამორჩეულს ქმნის მისი ჩართვა თეორიულ კვლევებში გასული საუკუნის 90-იან წლებში. ამ დროისათვის ევროპაში მედიაცნობიერების განვითარების ორი ეტაპი იყო განვლილი.

XXI საუკუნის დასაწყისში ქართული მედია არსებითი ტრანსფორმაციის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. ამ გარემოებამ განსაკუთრებული სიმძლავრე შესძინა საინფორმაციო სივრცისა და მედიის კონტროლის პრობლემას. პრინციპული მნიშვნელობა შეიძინა მასკომუნიკაციის ვექტორმა, გლობალიზაციის პირობებში მედიის ფუნქციონირებამ.

ქართული მედიის დასავლურ მოდელზე სისტემური გადასვლა ეტაპობრივად მიმდინარეობს. ყველაზე რთული, ბუნებრივია, გარდამავალი ეტაპი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ შინაგანად არაერთგვაროვანი იყო. გადასვლის პროცესში არაერთმა უცხოელმა ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა. ამ ეტაპზე განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა დასავლეთისა და საქართველოს მედიასტანდარტების თავსებადობის პრობლემამ.

აღნიშნული პრობლემა სპეციალურად გამოიკვლია მედიის განვითარების ფონდმა, – დაამუშავა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ანტიდასავლური განწყობილებები, წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის გაშუქება, კრიმინალის გაშუქება ქსენოფობიურ კონტექსტში, სოციალური საკითხების გაშუქება ამავე კონტექსტში, სექსუალური ძალადობის, არასრულწლოვანთა, შშმ პირთა პრობლემების გაშუქება, სოციალურ მედიაში ფარული ჩანაწერების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის ფაქტები, ფარული გადაღებების, დანაშაულის პრეზუმციის დარღვევები, რელიგიის, ჰომოფობიის საკითხები და სხვა.

გლობალურ საინფორმაციო პროცესებში ჩართვამ მწვავედ დააყენა „ინფორმაციული სუვერენიტეტის“ პრობლემა.

საქართველოში მასმედიის განვითარების კვლევები ძირითადად პრესის ისტორიას მოიცავდა და ერთიან კვლევით პარადიგმაში არ მოქცეულა. ნაშრომში ამ ამოცანის რეალიზების ცდაა წარმოდგენილი.

საკვანძო სიტყვები: ქართული მედია, მედიის კვლევები, ინფორმაციული სუვერენიტეტი, დასავლურ მედიასისტემებში ინტეგრირება.

**შესავალი**

საქართველოს ჩართვა მასმედიის თეორიული კვლევის პროცესში მეოცე საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ პერიოდს უკავშირდება, როდესაც ევროპამ უკვე გაიარა მედიაცნობიერების ჩამოყალი-

ბების ორი ეტაპი. XXI საუკუნის დასაწყისში ზოგადად მედიის და კერძოდ ქართული მედიის წინაშე დადგა ტრანსფორმაციის საკითხი, რამაც საინფორმაციო სივრცისა და მედიასექტორის კონტროლისთვის ბრძოლას განსაკუთრებული სიმწვავე მიანიჭა. ერთ-ერთ პრინციპულ ოპოზიციას, რომელზედაც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მასკომუნიკაციის განვითარების ვექტორი, გლობალიზაციისა და მედიის ურთიერთმიმართება წარმოადგენდა.

ქართული მედიასისტემის დასავლურ მოდელზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი რთული და არაერთგვაროვანი პროცესი იყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მრავალმა უცხოელმა ექსპერტმა. გლობალიზაციის პრობლემიდან გამომდინარე, გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭა დასავლეთისა და საქართველოს მედიასტანდარტების თავსებადობის საკითხებს, რასაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა მედიის განვითარების ფონდმა. შესწავლილ იქნა მედიასთან დაკავშირებულ ისეთი საკითხები, როგორიცაა:

1. ანტიდასავლური განწყობები წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის კლევისა და არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება;

3. კრიმინალის გაშუქება ქსენოფობიურ კონტექსტში;

4. სოციალური პრობლემები ქსენოფობიურ კონტექსტში;

5. რელიგია;

6. ჰომოფობია;

7. სექსუალური ძალადობა, არასრულწლოვანი, შშმ პირი;

8. ფარულ ჩანაწერები სოციალურ მედიაში, პირადი ცხოვრების ხელშე-უხებლობა;

9. ადამიანის დადანაშულება;

10. ფარული გადაღება [1].

გლობალურ საინფორმაციო პროცესებში ჩართვამ საკმაოდ მწვავედ დააყენა „ინფორმაციული სუვერენიტეტის“ პრობლემა, მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ განუზომლად გაიზარდა ე.წ. „ტრანსნაციონალური“ ინფორმაციული ნაკადები ქართულ საკომუნიკაციო სივრცეში. ეს ფაქტი დაკავშირებულია ქვეყნის საინფორმაციო სივრცეში ახალი სუბიექტების შემოსვლასთან. ქართულ მედიაბაზარზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ისეთი მედიაგიგანტებს, როგორიცაა CNN და BBC, ხოლო სოციალურ ქსელებში Facebook-სა და Twitter-ს, რომელთა მასალებიც რეგულარულად ჩნდება როგორც პერიოდულ პრესაში, ასევე სატელევიზიო სივრცეში. მასმედიაში მიმდინარე პროცესების თავისებურ შეჯამების მცდელობად უნდა ჩავთვალოთ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის გამოკვლევა. [2]

**ძირითადი ნაწილი**

საქართველოში მასმედიის განვითარებასთან დაკავშირებული შრომები ძირითადად პრესისა და პუბლიცისტიკის ისტორიას ეხება და ერთიან კვლევით პარადიგმაში არ მოქცეულა. თეორიული ნაშრომები ძირითადად სინქრონულ მონაკვეთს მოიცავენ და განვითარების ფაქტებს ეხებიან. ამ კუთხით საინტერესოა იოსებ ჭუმბურიძის სადისერტაციო ნაშრომი „თანამედროვე ქართული პრესის ძირითადი ტენდენციები (2000-2006 წლები)“, რომელშიც გაანალიზებულია აღნიშნული პერიოდის ძირითადი ტენდენციები.

მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს ქართული მედიასივრცის გლობალურ საინფორმაციო სივრცეში ინტეგრირების საკითხი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის დახმარება, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები იჩენენ ქართული მასმედიის მიმართ, რისი დასტურიცაა სპეციალური სემინარები, კონფერენციები და პუბლიკაციები, რომელთა მიზანია ქართველი ჟურნალისტების დახმარება პროფესიულ სრულყოფაში. ამ მხრივ საინტერესოა „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“, რომლის კოორდინატორ-რედაქტორები არიან: გია ნოდია და ალვარო პინტოს ქოლტბახი. პოლიტიკურ ლანდშაფტის ერთერთმა კონსტრუირებელ ელემენტად ისინი მედიას მიიჩნევენ [4]

ასევე საყურადღებოა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ გამოცემული მასმედიის სისტემური ანალიზი, რომელშიც ასახულია მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის პრინციპები.

თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითია ნაშრომი „მესამე სექტორის განვითარების სტრატეგია ახალ გარემოში“. [5]

ქართულ მედიაზე დაყრდნობით არის შექმნილი წიგნი: „აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან” რომელიც შეიცავს ინფორმაციას პრესაში მიმდინარე პროცესების შესახებ [6]. ქართული მედიასივრცის გამოწვლილვითი ანალიზის შედეგია ტატიანა რეპკოვას სტატია „ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარება დი დემოკრატიის პირობებში“, [7] რომელშიც ავტორი მსჯელობს სიტუაციაზე, როდესაც ჟურნალისტის პროფესია სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ვინაიდან მედია სფერო დაიპყრეს დილეტანტებმა, რომლებიც

შორს არიან პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვისაგან.

2001 წელს, კომპანია „ნიკოლომ“-ის მიერ ჩა-ტარებული საქართველოს მედია ბაზრის კვლევის შედეგად, მკითხველთან ნდობისა და კითხვადო-ბის რეიტინგში, „ალია“, „რეზონანსი” და „ახალი ვერსია“ ლიდერობენ, ხოლო „ალიასა“ და „რეზონანსს”, „კვირის პალიტრასთან” ერთად გავრცელების ყველაზე ფართო არეალი აქვთ)“ [8]

ქართულ მედიასივრცეში არსებული მდგომა-რეობის მიმოხილვა გვაჩვენებს, რომ მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალურ საინფორმაციო სივრცესთან კონტაქტი, რომელიც განსაზღვრავს ახალ მედიააქსიოლოგიას და მიზნობრივ აუდი-ტორიასთანდამოკიდებულებისპრინციპებს.ქვეყნის ინფორმაციული ლანდშაფტი არაერთგვაროვანია და სხვადასხვა სახის მედიაფაქტურებისგან შედ-გება (ბეჭდითი, აუდიალური, ეკრანული თუ სხვ.). მედიასაშუალებები ერთმანეთისგან არამარტო კომუნიკაციური ფაქტურით განსხვავდებიან, არამედ მიზნობრივ აუდიტორიასთან კონტაქტის სპეციფიკითაც, რაც თავს იჩენს ინფორმაციულ სტრატეგიებში. ქართული მედიასივრცის ანალიზმა თვალნათლივ დაგვანახა მედიის პოლიტიზების მაღალი ხარისხი, რაც განაპირობებს ჟურნალისტის ნაკლებ თავისუფლებას.

ნაშრომი „2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექ-ტები“ წარმოაჩენს „მესამე ათასწლეულის დამ-დეგის და „ვარდების რევოლუციის“ პერიოდის მედიის პრიორიტეტებს, მედიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმსაზღვრელ პარამეტ-რებს; განვითარებულ დემოკრატიებსა და ქარ-თულ სინამდვილეს შორის არსებულ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს“ [8]. გარდამავალი პერიოდის ქართულ პრესაში არსებულ მდგო-მარეობას ეხება ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილის ნაშრომები: “თანამედროვე ქართული პრესის შესახებ”, „ქართული მასმედიის გარდატეხის ასაკი“, და „ქართული მედიის 15 წლიანი მარათონი” [8; 9; 10]. ავტორი საკმაოდ საინტერესოდ განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ახალი ათასწლეულის ქართული მედიის ზოგადი შტრიხები; სახელმწიფო ქართული პრესის პრიზმაში;დესტაბილიზაციის “საინფორმაციო უზრუნველყოფა”; სახელისუფლო ბრძოლები - პრესის ძირითადი ასპექტი და სხვა, რითაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ წლების ატმოსფეროზე.

ავტორის დაკვირვებით, იმ ქვეყნებში, სადაც მედია დამოკიდებულია სამთავრობო ინსტიტუ-ტებზე, გაცილებით უფრო ხშირად ხდება მმარ-თველთა პროპაგანდისტული მიზნების მსხვერ-პლი. ამგვარ ვითარებაში მედია არ წარმოადგენს უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული კონ-ტროლის და გამჭვირვალობის უზრუნველმყოფ ინსტრუმენტს.” [10, 41]

ქართული მასმედიის ახალ-ეკონომიკურ ფორ-მაციაში გადასვლამ შეცვალა მედიასაშუალე-ბებზე საკუთრების ფორმა და დემოკრატიულობა ინფორმაციულ სუბიექტივიზმის ოპოზიციაში გამოვლინდა. ლ. კუტუბიძე აღნიშნავს, რომ 2000-2015 წლებში რამდენჯერმე შეიცვალა ლიდერები მედიასფეროში, რაც, ძირითადად, პოლიტიკური რეჟიმების მონაცვლეობით იყო გამოწვეული. ეს კი იმას ადასტურებს, რომ მედიისა და ხელისუფლების ურთიერთობის პრინციპები ჯერ კიდევ შორსაა დემოკრატიულისგან. პრესის ფუნქციონირების ვექტორის ცვალებადობას პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებასთან ერთად ფუნდამენტური კრიზისის მაჩვენებლად მიიჩნევს.

გარდამავალ პერიოდში შეიცვალა ინფორმა-ციაზე წვდომის ფორმები. შექმნილ ეკონომიკურ ვითარებაში სერიოზულ კრიზისი განიცადა ბეჭდვითმა მედიამ და ინფორმაციის მიწოდების ძირითადი ფორმა ხდება ტელევიზია, რომელიც, თავის მხრივ, ელექტროენერგიის მიწოდებაზე იყო დამოკიდებული. პრესამ უკვე საგრძნობლად დაკარგა თავისი აუდიტორია, ხოლო ინტერნეტი და ელექტრონული მედია საზოგადოებისთვის ახალი ხილი იყო და ცალკეული ელიტური ჯგუფების პრივილეგიად რჩებოდა; შესაბამისად ,იმ ეტაპზე საფუძვლიანად ვერ უწევდნენ კონკურენციას ტელევიზიას. „შექმნილ სიტუაციაში ტელევიზია იქცა სასურველ ინსტიტუციად, რომელსაც შეეძლო სერიოზული ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე“, ამან, ბუნებრივია, გამოიწვია ბიზნესმენთა და პოლი-ტიკოსთა გაზრდილი ინტერესი მისი ხელში ჩაგდების მიზნით. განსაკუთრებით მწვავდებოდა ბრძოლა ტელეკომპანიებისთვის წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ინფორმაციაზე კონტროლი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საზოგადოებრივი აზრის მობილიზების თვალსაზრისით. ბრძოლა ტელევიზიებისთვის პოლიტიკური ბრძოლის ნაწი-ლად იქცა, რასაც ადასტურებს ის რეპრესიული ღონისძიებები, რომელიც ხორციელდებოდა ცალკე-ული ტელევიზიების მიმართ. ასე, მაგალითად, ტელეკომპანია „იმედის“ ძალმომრეობით ხელში ჩაგდება, „რუსთავი 2-თან დაკავშირებულ მოვ-ლენები, ტელეკომპანია „ივერიის“ გაუქმება

და „მაესტროს“ დემონტაჟი. საინტერესოა, რომ ამგვარი ცვლილებები, ძირითადად, პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოუყალიბებლობის გამო ხელისუფლებისთვის საკმაოდ უმტკივნეულოდ განხორციელდა [10, 27].

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის საქართველოს მედიასივრცეში არსებულ რამდენიმე ძლიერი აქტორი იკვეთება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს „რუსთავი 2-ის“ სპეციფიკური როლი ჯერ კიდევ 2000 წელს, მედიის ანალიზი ამგვარ სქემას წარმოაჩენდა: საზოგადოებრივი აზრის აქცენტირების ფუნქციას ასრულებდა „რუსთავი 2”. საინფორმაციო პროგრამის - „კურიერი 9 საათზე“ ანონსი, ზედმიწევნით გათვლილი, პოლიტიკურად და ემოციურად დამუხტული, ტონს აძლევდა საინფორმაციო ამინდის შემქმნელ სხვა მედიასაშუალებებს (პირველ რიგში, „რეზონანსსა“ და „ალიას“); „ღამის კურიერი“ (11 საათზე), პლურალიზმის დაცვის ეფექტით, ოსტატურად ავითარებდა მთავარ აქცენტებს. სათანადო განწყობის შესაქმნელ ფონს ქმნიდა არა მხოლოდ დღის საინფორმაციო გამოშვებები, არამედ, სხვა გადაცემებიც და არხის სტრატეგიული დიზაინიც. [10, 27]

ინფორმაციული პროდუქტის შემქმნელსა და მომხმარებელს შორის ახლებური ურთიერთობები დამყარდა. ისინი მხარეთა რეალურ ინტერესებს დაეფუძნა და მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნების გათვალისწინება მოითხოვა. ამ პერიოდში არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბეჭვდითი მედია და ტელევიზია.

ახალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ჟურნალისტები არჩევანის წინაშე დააყენა. ახალი დროება ახალ გმირებსა და თემებს მოითხოვდა, რომელთა სწორ განსაზღვრაზე იყო დამოკიდებული ჟურნალისტის შემდგომი კარიერა. უკვე ამ ეტაპზე შეინიშნებოდა გარკვეული დაბნეულობა, რაც კარგად აისახა ია აბულაშვილის სტატიაში „მედიის რექვიემი პოსტრევოლუციურ საქართველოში” („რეზონანსი“,23 ივლისი,2004 ). [11]

პოლიტიკა და ჟურნალისტიკა გახდა „ერთმანეთზე ორიენტირებული ძალაუფლების ორი სივრცე, რომლებიც ერთმანეთს ასაზრდოვებდნენ... დღეს მედია - სივრცე გამოეთიშა საზოგადოებრივ ორგანიზმს და პოლიტიკის იმედზე დატოვა ქვეყანა, თვითონ კი მის უსიცოცხლო იარაღად იქცა“.

პრესისა და პოლიტიკოსების მჭიდრო თანამშრომლობაზე ასეთი ფაქტიც მეტყველებს: როდესაც ტელეკომპანია „იმედმა“ აღნიშნული მოვლენების გამო შეცვალა სამაუწყებლო სტრატეგია, მისი ჟურნალისტების ერთმა ჯგუფმა პოლიტიკური პარტია დააარსა, ხოლო მეორემ – საკუთარი პრინციპების საწინააღმდეგო ჟურნალისტური მასალებით დაიმკვიდრა ადგილი ახალ მედიასივრცეში [10, 30].

სხვადასხვა დროს ინფორმაციული სფეროს ლიდერებად სხვადასხვა მედია საშუალებები მოგვევლინენ. პოსტსაბჭოთა საქართველოს ტელესივრცეში, გარდა „რუსთავი 2-სა“ და „იმედისა“, 2010-2015 წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიციები ეჭირა „მაესტროს“, „კავკასიას“. „მაესტროს“ პოპულარობის პიკი საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდს დაემთხვა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სააკაშვილის რეჟიმის დამხობაში. საყურადღებოა ისიც, რომ არჩევნების დამთავრებიდან მალე ეს ტელეკომპანია ახალი მფლობელი ხელში გადავიდა.

ტელემაყურებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, შეიქმნა სხვადასხვა პროფილური არხები, რომლებიც მოსახლეობის ცალკეული წარმომადგენლების ინტერესებზე იყვნენ ორიენტირებულნი. დიდი გავრცელება მოიპოვა რეგიონალურმა ტელევიზიებმა. ქართული ტელესივრცის ერთერთ საყურადღებო ტენდენციად იქცა ეთნიკურ უმცირესობებზე ორიენტირებული რეგიონალური ტელეარხები.

აღნიშნული ეპოქის ინფორმაციული პოლიტიკის გააზრებისთვის საინტერესოა ბექა ჭედიას ნაშრომი „მასმედიის როლი ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემაში“. მასში განხილულია მასმედიის გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ბექა ჭედია მასმედიას განიხილავს როგორც პოლიტიკურ ინსტიტუტს და ამ სფეროში მიმდინარე პროცესებს ტიპოლოგიური კუთხით იკვლევს. მისი აზრით, მასკომუნიკაციის როლს ტრანსფორმირებად ქვეყნებში განსაზღვრავს არა პოლიტიკური სისტემის ტიპი, არამედ ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული სისტემები. ტელევიზია პრესისგან განსხვავებით უფრო ხელმისაწვდომია ხელმოკლე მოქალაქეებისთვის. ავტორი ასევე ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური თემატიკის დომინირებაზე მედიასფეროში და საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებულ აგიტაციურ-პროპაგადისტულ ხერხებზე. ასევე ყურადღება მახვილდება ხელისუფლებისა და ოპოზიციის განსხვავებულ ინტენციებზე მედიასთან მიმართებაში. პირველი ლეგიტიმურობის დონის შენარჩუნებას ცდილობს, ოპოზიცია კი, პირიქით.

ავტორი აზრით, საქართველოში მედია წარმოადგენს პოლიტიკური ბრძოლის იარაღს, თუმცა ჩამოყალიბდა ოპოზიციის მოკავშირედ, რადგან „დასავლეთში პოლიტიკოსები იმაზე ფიქრობენ - რა ილაპარაკონ, ჟურნალისტები იმას ლაპარაკობენ, რასაც ფიქრობენ. საქართველოშიც ჟურნალისტები ფიქრობენ - რა ილაპარაკონ და ანგარიშს უწევენ პოლიტიკურ კონიუნქტურას, ელიტებს, ლიდერებს... და არა საზოგადოებას. [12, 141-144]

ამჟამად პრინციპულად შეიცვალა ქართული მედიაბაზრის მდგომარეობა. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია საინფორმაციო სფეროში ისეთი „მოთამაშის“ შემოსვლით, როგორიცაა გლობალური საინფორმაციო ქსელი „ინტერნეტი“. ინტერნეტმა გააუქმა საინფორმაციო საზღვრები. ახალმა ტექნოლოგიებმა შესაძლებლობა მისცა ელექტრონულ მედიას არა მარტო გადაელახა ვიწრო ნაციონალური ფარგლები, არამედ ინფორმაციის განსხვავებული წყაროებიდან გაეგო სიახლეები, გადაემოწმებინა ტელევიზიით გადმოცემული ახალი ამბების აუთენტურობა. ინფორმაციულ მრავალფეროვნებასთან ერთად, ინტერნეტს რევერსული ფუნქციაც ჰქონდა (რაც შემდგომში ტელევიზიებმაც გადმოიღეს) და მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევდა სასურველ ინფორმაციას ნებისმიერ დროს დაბრუნებოდა. ელექტრონულ მედიის ინფორმაციული ექსპანსია მედია ქრონოტოპის სპეციფიკითაც იყო გაძლიერებული, ვინაიდან შლიდა დროისა და სივრცის ტრადიციულ გაგებას და ინფორმაციის ქართველ მომხმარებელს საკმაოდ კომფორტულ პირობებს უქმნიდა. ამასთანავე ინფორმაციის გადაცემის ჰიპერტექსტული მოდელი მომხმარებელს საშუალებას აძლევდა ტექსტის შინაარსის ნებისმიერი ტრანსფორმაცია მოეხდინა და ჩართულიყო ინტერაქციულ კომუნიკაციურ რეჟიმში, რის საშუალებასაც ვერც ტელევიზია და ვერც პრესა ვერ იძლევიან, ვინაიდან მათი ზემოქმედების ობიექტი კონკრეტული პიროვნებები კი არ არიან, არამედ მთელი საზოგადოება ან გარკვეული სოციალური ჯგუფები.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. შოშიტაშვილის სადისერტაციო ნაშრომი, რომელშიც განხილულია გლობალიზაციის ფონზე სატელევიზიო სივრცეში წარმოშობილი პრობლემები [13].

ნაშრომი საკმაოდ ინფორმაციულია და განიხილავს მნიშვნელოვან პრობლემას - მასობრივი კომუნიკაციის როლს საზოგადოების განვითარებაში. „კომუნიკაციის“, „მედიის“, „მასობრივი კომუნიკაციის“ ცნებითი კატეგორიები შეპირისპირებულია „მასის“, „პუბლიკის“ და „აუდიტორიის“ კონცეფტებთან; ავტორი წარმოადგენს საკუთარ აზრს – მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციების, მასმედიის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ თეორიის, მედიის სოციო-დინამიკურ თეორიის, მასობრივი კომუნიკაციის ძირითად მიმართულებების, მასობრივი კომუნიკაციის ძირითადი ნორმატიულ პრინციპებისა და თეორიების შესახებ. სპეციალური კვლევის საგანია ტელემედია, რომელსაც ავტორი საქართველოს სატელევიზიო სივრცეში არსებულ პრობლემური საკითხებთან მიმართებაში იკვლევს. კერძოდ, შეისწავლის:

- საქართველოს სატელევიზიო სივრცეში არსებულ პრობლემურ საკითხებს;
- სატელევიზიო სივრცის საერთო სურათს;
- ტელევიზიების სარედაქციო პოლიტიკას;
- რთულ გარემოში სარედაქციო პოლიტიკის კონტროლის მექანიზმებს;
- ტელემედიაში სიტყვის თავისუფლების ხარისხს, ტელევიზიის იდეოლოგიურ, პროპაგანდისტულ ფუნქციას;
- პლურალიზმსა და სატელევიზიო არხების დაყოფას პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით;
- ტელემედიის საკანონმდებლო გარემოს, რეგიონულ ტელევიზიებს;
- ტელევიზიების სუსტ და ძლიერ მხარეებსა და ტელევიზიის პროგრამულ პრიორიტეტებს;
- საზოგადოებრივ მაუწყებელს და მისი გარდაქმნის მექანიზმებს [13].

ინფორმაციული სივრცისთვის ბრძოლა, რომელიც გლობალიზაციის პერიოდის მოვლენების თანმდევი პროცესია, ბუნებრივია, წარმოშობს ეთიკურ პრობლემებსაც, რომელთა დარეგულირებაც შექმნილ ვითარებაში საკმაოდ პრობლემატურია. ეს პრობლემები გამოკვლეულია ია მახარაძის ნაშომში „თანამედროვე მედიის ეთიკური ასპექტები“ [14].

კერძოდ, შესწავლილია ჟურნალისტური ეთიკის მნიშვნელობა ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობისას, ამ დემოკრატიული ინსტიტუციის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს მასმედიაში, ჟურნალისტური გამოძიების სფეროში მომუშავე ჟურნალისტთა დახმარება. წამოყენებულია მოსაზრება, რომ მედიაეთიკის განვითარება აუცილებელია ქვეყნისათვის, რომელიც რეფორმებს ატარებს. მედიაეთიკის განვითარება აახლოებს მასმედიას საზოგადოებასთან, რადგან ობიექტური და სამართლიანი ჟურნალისტური პროდუქტი ამაღლებს ჟურნალის-

ტის მიმართ ნდობის ხარისხს; ასევე შესწავლილია პრობლემები, რომელიც მედიამ უნდა განვლოს. კერძოდ, განსაზღვროს პროფესიული ქცევის ნორმები; ამ ნორმების დასამკვიდრებლად შექმნას მექანიზმი, რომელიც მომხმარებლისა და მასმედიის ურთიერთობის დარეგულირებას უზრუნველყოფს. აქ იგულისხმება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორიცაა: რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ეთიკური მედია? როგორია მედიის წარმომადგენლების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე? ნაშრომში ეთიკური მედიის განვითარების მოდელი წარმოდგენილია ევროპულ, ამერიკულ, რუსულ, ქართულ ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული მასალებით და ავტორის შემოთავაზებული სწავლების მეთოდიკით, შეფასებებითა და კომენტარებით. [14]

გლობალიზაციის ტენდენციებისა და სიტყვის თავისუფლების კავშირი შესწავლილი აქვს მარინე დარსაველიძეს სადისერტაციო ნაშრომში „Deontological Aspects of Freedom of Speech“ [15]. ავტორი ეხება იმ ძირეულ გარდაქმნათა არსს, რომელიც დაკავშირებული იყო გლობალური სოციო-პოლიტიკური პარადიგმის შეცვლასთან, კერძოდ, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის დემონტაჟთან. პრესის თავისუფლების პრობლემას ეს ავტორი დიაქრონულ პერსპექტივაში განიხილავს. პრობლემის კროსკულტურული ანალიზის პროცესში მ. დარსაველიძე მიმოიხილავს დასავლეთის მოწინავე ქვეყნების მიერ აღნიშნული ფენომენის ინტერპრეტაციის მოდელებს.

მ. დარსაველიძე მედიისა და ხელისუფლების ურთიერთობების შესახებ ორ ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებას განიხილავს. პირველის მიხედვით, ჟურნალისტს პოსტსაბჭოთა მედიაში არ შეუძლია ეფექტურად მუშაობა და პროფესიული წარმატების მიღწევა, ვინაიდან ინერციით ჯერ კიდევ არ არის დაძლეული სამთავრობო შეზღუდვები;

მეორე მოსაზრების მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების დაბალი განვითარების გამო, სახელისუფლო ინსტიტუტები იტოვებენ უფლებას თავად განსაზღვრონ გარკვეულ პრიორიტეტები აღნიშნულ სფეროში, ხოლო საზოგადოების თითოეულ წევრს მოეთხოვება მათი პატივისცემა [15].

XXI საუკუნის პრესის უმთავრეს პრობლემად რჩება სარედაქციო დამოუკიდებლობა. გარდა პოლიტიკური ზეწოლისა, არსებობს ორგანიზაციული ზეწოლაც, რომელიც რედაქტორებისა და გაზეთების მფლობელების მხრიდან ხორციელდება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მედიასაშუალების მფლობელის ცვლა, როგორც წესი, მყისიერად აისახება ჟურნალისტების პრინციპულ პოზიციებზე, რასაც ისინი პროფესიონალიზმის ფაქტორით ხსნიან.

ეკონომიკური ფაქტორი, უკიდურესად პოლიტიზებული სოციალურ გარემოში ლიდერების პერმამენტული ცვლა, რომლებიც განსაზღვრავდნენ ღირებულებებსა და ქცევის ნორმებს, ასევე შიშის ფაქტორი ჟურნალისტს სოციო-პოლიტიკური კონფორმიზმისკენ უბიძგებდა.

ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლედის დასასრულს ბეჭდითი მედიის სფეროში საინტერესო ცვლილებები დამკვიდრდა ელექტრონული მედიის გამო. ელექტრონულმა მედიამ შესაძლებელი გახადა გაზეთის ფიზიკური ვერსიის პარალელურად მისი ელექტრონული ვარიანტის შექმნა. ამ ფორმით გაზეთებმა თანდათან დაიბრუნეს მკითხველი.

პოსტმოდერნისტული აზროვნების კვალი აისახა საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობაზეც. თანამედროვე საქართველოში მედიის განვითარების ერთიანი ვექტორის არაარსებობის პირობებში, ფაქტობრივად, არ არსებობს ინფორმაციული სუვერენიტეტი. იგი ჩანაცვლებულია „პრესის თავისუფლების ფსევდოილუზიით“, რომლის საფუძველსაც ქმნის შეუზღუდავი პრობლემატიკა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, მორალური, ეთიკური და ენობრივი ცნობიერების თვალსაზრისით შეუზღუდავი მედიაგარემო.

მოქალაქეები ერთნაირად ცინიზმით განიმსჭვალნენ მედიისა და პოლიტიკის მიმართ, რადგან პოლიტიკოსები მხოლოდ ერთმანეთთან აწარმოებენ დიალოგს და არანაირად არც მონაწილეობს ხალხი [8, 231].

## დასკვნა

პოსტსაბჭოთა ქვეყნები უნებურად აღმოჩნდნენ „პოსტმოდერნულ მდგომარეობაში", ანუ იმ მსოფლმხედველობის პირისპირ, რომელსაც დასავლეთის წამყვანი ქვეყნები დიდი ხნის განმავლობაში ამკვიდრებდნენ.

გლობალური პოლიტიკური გარდაქმნების განხორციელების იდეოლოგიური უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად იყო გართულებული პოლიტიკური სიტუაციის დაუბალანსებლობით. ხშირ შემთხვევაში, პარტიული და კომერციული ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე მაღლა იდგა. ეს პოსტმოდერნისტული ქაოსი პირდაპირ აისახებოდა მედიაზე, რომელიც, ფაქტობრივად, პარტიულ -კომერციულ სტრუქტურად იქცა და მედიის თავისუფლება მედიაკონფორმიზმით ჩაანაცვლა.

მკვლევართა დიდი ნაწილი პოსტმოდერნიზმს ახალი კულტურული ეპოქის გარდამავალ ეტაპად მიიჩნევს, ვინაიდან სტაბილური კულტურის არსებობა შეუძლებელია გარკვეულ ღირებულებათა სისტემის გარეშე.

ქართულ მედიასივრცეში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა ცხადყოფს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალურ საინფორმაციო სივრცესთან კონტაქტი, რომელიც განსაზღვრავს ახალ მედია აქსიოლოგიას და მიზნობრივ აუდიტორიასთან დამოკიდებულების პრინციპებს.

ინფორმაციული ლანდშაფტი არაერთგვაროვანია და სხვადასხვა სახის მედია ფაქტურებისგან შედგება (ბეჭვდითი, აუდიალური, ეკრანული თუ სხვ.). მედიასაშუალებები არამარტო კომუნიკაციური ფაქტურით განსხვავდებიან, არამედ მიზნობრივ აუდიტორიასთან კონტაქტის სპეციფიკითაც, რაც თავს იჩენს ინფორმაციულ სტრატეგიებში. ქართული მედიასივრცის ანალიზი თვალნათლივ ადასტურებს მედიის პოლიტიზირების მაღალი ხარისხს, რაც, თავის მხრივ, ჟურნალისტის ნაკლებ თავისუფლებას განაპირობებს.

„პოლიტიკური რომანტიზმი“, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო გარდამავალი პერიოდისათვის, ჩაანაცვლა მედიასკეპტიციზმმა, რაც მედიაზე სახელისუფლო ორგანოების, მედიამფლობელების მკაცრი მეურვეობით არის გამოწვეული.

ამ პერიოდში გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, მედიასივრცეში ჩნდებიან ახალი აქტორები - საერთაშორისო მედიაკორპორაციები და მედიაბიზნესის წარმომადგენლები. ახალი ბიზნესურთიერთობები ცვლიან მედიასფეროს ბიზნეს კონტაქტების ფუნქციონალურ არეალს, რომელშიც ჟურნალისტის თავისუფლებას უკვე მედიასაშუალებების მფლობელის ინტერესები უპირისპირდება.

მედიის მუდმივი განახლებისა და მედიასივრცის გაფართოების პროცესში იცვლება როგორც მედიაშეტყობინების კომუნიკაციური ფაქტურა (შემოდის ინფორმაციის აუდიალური, ვიზუალური და კომპლექსური მატარებლები, რომელთაც განსხვავებული ზემოქმედებითი პოტენციალი აქვთ), ასევე კომუნიკაციის მონაწილეთა ფუნქციები.

## ლიტერატურა


1. მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები, მედიის განვითარების ფონდი, თბილისი, 2013;
2. მასმედიის სისტემური ანალიზი. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. თბილისი, 2007;
3. ჭუმბურიძე ი., თანამედროვე ქართული პრესის ძირითადი ტენდენციები (2000-2006 წლები). სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2006;
4. ნოდია გ., ქოლტბახი ა. პ., საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. თბილისი, 2006;
5. მესამე სექტორის განვითარების სტრატეგია ახალ გარემოში. „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“, თბილისი, 2004;
6. აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან. საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, 2001;
7. რეპკოვა ტ. ახალი დროება: „პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარება დემოკრატიის პირობებში”, თბილისი, 2006;
8. კუტუბიძე-ზუბაშვილი ლ., თანამედროვე ქართული პრესის შესახებ, „ჟურნალისტური ძიებანი”, I, თბილისი, 2001;
9. კუტუბიძე-ზუბაშვილი ლ., ქართული მასმედიის გარდატეხის ასაკი, „ჟურნალისტური ძიებანი”, II, თბილისი, 2002;
10. კუტუბიძე-ზუბაშვილი ლ., ქართული მედიის 15 წლიანი მარათონი. თბილისი, 2007;
11. აბულაშვილი ი. მედიის რექვიემი პოსტრევოლუციურ საქართველოში გაზ. „რეზონანსი“, 23 ივლისი, 2004;
12. ჭედია ბ., მასმედიის როლი ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემაში. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2009;
13. შოშიტაშვილი ნ., ტელემედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა პოსტრევოლუციურ (2003-

2009) საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010;
14. მახარაძე ი. თანამედროვე მედიის ეთიკური ასპექტები. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014;
15. Darsavelidze M.Deontological Aspects of Freedom of Speech , Ph.D. Thesis Summary, Tbilisi, 2009.

**Immanent processes in Georgian media space and new priorities of Georgian information policy in the era of globalization**

***Temur Jagodnishvili, professor***
***Georgian Technical University***

***Ivane Jagodnishvili, professor***
***Georgian Technical University***

***Davit Gotsiridze***

**Summary**

The uniqueness of Georgian Mass Media stems from its involvement in the theoretical studies of the 1990s. By this time, two stages of development of media awareness had passed in Europe.

At the beginning of the 21st century, the Georgian media was faced with the necessity of essential transformation. This circumstance added a special power to the problem of information space and media control. The vector of mass communication, the functioning of the media in the conditions of globalization, has acquired a fundamental importance.

The systematic transition of the Georgian media to the Western model is taking place gradually. The most difficult, naturally, was the transition stage because it was internally heterogeneous. A number of foreign experts participated in the transition process. At this stage, the problem of the compatibility of the media standards of the West and Georgia became particularly acute.

The mentioned problem was specially researched by the Media Development Fund - it dealt with such issues as: anti-Western sentiments, coverage of public opinion polls in the pre-election period, coverage of crime in a xenophobic context, coverage of social issues in the same context, coverage of problems of sexual violence, minors, people with disabilities, hidden recordings in social media , facts of violation of privacy, covert filming, violations of presumption of guilt, issues of religion, homophobia and others.

Involvement in global information processes has acutely raised the problem of "informational sovereignty".

Researches on the development of mass media in Georgia mainly included the history of the press and did not follow a unified research paradigm. The paper presents an attempt to realize this task.

Post-Soviet countries unintentionally found themselves in a "post-modern state", in the face of the worldview that the leading countries of the West had been establishing for a long time.

The review of the current situation in the Georgian media space reveals that the contact with the global information space plays an important role, which determines the new media axiology and the principles of relationship with the target audience.

Keywords: Georgian media, media studies, informational sovereignty, integration into western media systems.

# მედიის პერსონალიზაციისა და კასტომიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე მედიაინდუსტრიაში

*გიგლა გობეჩია, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*მაია თუნგია, ასისტენტ-პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ციფრიზაციის ეპოქამ უამრავი რამ შეცვალა ბიზნესის წარმოების სფეროში. ცხადია იგი მედია-ბიზნესსაც შეეხო. შეიძლება ითქვას, 21-ე საუკუნემ ფაქტობრივად მეორე სუნთქვა გაუხსნა მედია ბიზნესს.

მედიის გლობალურ ლანდშაფტში აუდიტორიასთან შეუფერხებელმა და მყისიერმა უკუკავშირმა, აუდიტორიის ჩართულობამ ყველა ტიპის მედიაორგანიზაციის ფუნქციონირებაზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინა.

თუ ინტერნეტამდელ ეპოქაში საშუალო და დაბალი ფენის ადამიანი დიდი მედიის ველში ნაკლებად ხვდებოდა, ინტერნეტიზაციამ და ციფრიზაციამ მას სრულიად ახალი შესაძლებლობების ველი გაუხსნა. მედიის ველი გახალხურდა, გაგლობალურდა, საერთაშორისოდ იქცა და ამას ლოგიკურად მოჰყვა ავტორობის განთავისუფლების კონცეფცია. ძალიან მალე ეს მიდგომა სწორედ რომ ამოსავალი წერტილი გახდა კრეატიული ადამიანებისთვის. მათ თვალწინ უზარმაზარი შესაძლებლობების ველი გადაიშალა ამბის თხრობის, ანუ storytelling-ის თვალსაზრისით. საინტერესო ამბავი საერთო მნიშვნელი გახდა ბრენდის ეკონომიკაში, პიროვნების მატერიალურ კეთილდღეობაში, შიშველი რეკლამის სრულ იგნორირებაში, საკუთარი პერსონის ინტელექტუალური შესაძლებლობების საიმიჯო და ფინანსურ შემოსავლებად ტრანსფორმირებაში, თავს მოხვეული მედიარეკლამების არიდებაში და სხვა.

ინტერნეტმა საშუალო ადამიანს, მასის ყოფილ წევრს, საკუთარი ხმა გაუჩინა. ეს მოვლენა ძალიან ბევრმა ადამიანმა დროულად გაითავისა მთელ მსოფლიოში და ასევე დროულად შეახტა იმ მატარებელს, რომელიც გლობალური ინფორმაციული ეშელონის თანამდევია.

ტრადიციული მედიის იმპერატივის დროს როგორც კონტენტი მდინარებდა ცალ კარში, ისევე სარეკლამო ტექსტები დომინირებდა ტრადიციული მომხმარებლის - მკითხველის, მსმენელის, მაყურებლის - საინფორმაციო ველზე. ინტერნეტის უსწრაფესმა განვითარებამ, ციფრიზა-ციის ეპოქამ სრულიად შეცვალა როგორც მედიის, ასევე სამომხმარებლო ლანდშაფტი. განთავისუფლებულმა ავტორებმა, ყოფილმა მომხმარებლებმა თვითონვე დაიწყეს აუდიტორიის შემოკრება და ამ აუდიტორიამდე დაშვების ნებართვის განკარგვა.

შეიქმნა უკუკავშირის მყარი სისტემა, რომელმაც სრულიად ახალი ფინანსურ-მარკეტინგული შესაძლებლობები წარმოაჩინა ყველასათვის, ვინც კრეატიულად აზროვნებდა და მოქმედებდა. წარმატებული ბლოგერები და ვლოგერები ამის საუკეთესო ნიმუშია. მაგალითად, ამერიკელი ვლოგერის ჯასტინ ეზერიკის (Justine Ezarik) ვლოგების მაყურებელთა ოდენობამ 2019 წელს მილიარდიან ზღურბლს გადააჭარბა. მარტო იმ წელს მისი შემოსავალი 75 მილიონ დოლარს გასცდა.

მარკეტინგული სტორითელინგი ხუთ ფუძე სვეტზეა ორიენტირებული. ესენია - კომპანიის წარმომავლობა, კორპორატიული ისტორიები და მიღწევები, სოციალური მისია, კომპანიის პროდუქტები და სერვისები და საკუთრივ მომხმარებლები. თუმცა ეს წესები საქმიანი ანუ ბიზნესჟურნალისტიკისთვისაა მისაღები და არა ინდივიდუალური მესტორითელინგეებისთვის. მათი ინტერესის არეალი ხშირ შემთხვევაში ნაკლებად პროგნოზირებადია და მისამხრობი.

მედიალოგები და მარკეტინგის მკვლევარები კარგა ხანია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კარგი ამბავთხრობისთვის სამი მახასიათებელია მთავარი - შერჩეული თემის აქტუალობა, თემის კარგი მთხრობელ-მიმტანი აუდიტორიამდე და მომზადებული ამბის, ისტორიის, თემის, პრობლემის ხარისხი კონტენტწარმოების ყველა ფორმატის დაცვით.

საკვანძო სიტყვები: კონტენტის პერსონალიზაცია, კასტომიზაცია, ინდივიდუალური მედია, მარკეტოლოგია, მედიაინდუსტრია

## შესავალი

თანამედროვე მედია ვალდებულია მიიღოს ის გამოწვევები, რომლებიც ინტერნეტ სივრცისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. წინააღ-

მდეგ შემთხვევაში კრახი გარდაუვალია. აუდიტორიის გარეშე მედია უფრთო ფრინველს დაემსგავსება. დღევანდელი აუდიტორია რადიკალურად განსხვავდება ინტერნეტამდელის პერიოდისაგან. ფაქტია, ახალმა აუდიტორიამ რადიკალური ცვლილება და აღზევება განიცადა.

გარდა ამისა, ისიც ფაქტია, რომ ინტერნეტმა გლობალური საინფორმაციო სივრცე კომპრომისების არენად აქცია. თუ არ დაყვები აუდიტორიის მოთხოვნას, დაემშვიდობები რეიტინგს, უკუკავშირს. ამიტომ მედიალოგებმა და პრაქტიკოსებმა იმედის თვალი მიაპყრეს მარკეტოლოგიაში კარგად აპრობირებულ კონტენტის პერსონალიზაციისა და კასტომიზაციის პროცესს, რომელთა მედიასივრცეში გადმოტანა მოიცავს მომეტებულ შესაძლებლობებს.

**ძირითადი ნაწილი**

პერსონალიზაციისა და კასტომიზაციის შესაძლებლობამ სრულიად გარდაქმნა მედიის ლანდშაფტი მთელ მსოფლიოში. ეს აღმოჩნდა მომხმარებლებისთვის მეტად ხელსაყრელი მოდელი და ამიტომაც იგი მალე გახდა მედიატრენდი, რომელიც სულ უფრო და უფრო იხვეწება და ვითარდება.

ბეჭდური მედიის მსოფლიო კომიტეტის (WAN-IFRA) ინფორმაციით, ინტერნეტმა ფრიად შეზღუდა და სულ სხვა კალაპოტის გაჭრის აუცილებლობის წინაშე დააყენა თანამედროვე ჟურნალ-გაზეთები და არა მარტო ისინი. გამოწვევები უამრავია, გამოსავალი კი ორიგინალური და მდგრადი მოდელების მოძიებაში. ბოლო რამდენიმე წელია ბეჭდურმა მედიამ გეზი პერსონალიზებულ კონტენტზე აიღო. ეს დროის მოთხოვნაცაა და არა ზოგიერთი შეუმჩნევლად მიმდინარე ტრენდი, რომელიც შესაძლოა მალე გაქრეს. ამიტომაც საჭიროა დროის შესაბამისად მოქმედება და არა მზარდი ინტერესების ჩაცხრომის მოლოდინი. პერსონალიზაციისა და კასტომიზაციის წარმატებული პრაქტიკა გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში და სხვაგან მოწმობს იმას, რომ მედიაორგანიზაციებმა, განსაკუთრებით ბეჭდურმა, როგორც პრინტმა, ასევე ონლაინმაც, ხარისხიანი კონტენტის დაპერსონალებაზე და საჭიროების შემთხვევაში კასტომიზაციაზეც უნდა იფიქრონ. [1]

კონტენტის პერსონალიზაცია, ანუ თითოეული მომხმარებლის ინტერესთა სფეროზე, გემოვნებაზე, მოცულობითობაზე, ანალიტიკურობაზე, ფერადოვნებაზე, გეოგრაფიულობაზე და სხვა პარამეტრებზე გათვლილი, შერჩეული და დახარისხებული ჟურნალისტური მასალა იძლევა იმის საშუალებას, რომ ფიზიკურ პლანში გადარჩეს მედიაორგანიზაცია და მისი კოლექტივი, მოიზიდო მეტი მომხმარებელი, უკან ჩამოიტოვო კონკურენტები სწორედ ამგვარი ნოვატორული მიდგომის გამო. [2] თუმცა არსებობს ე.წ. ექო-კამერის მეთოდი კონტენტის მიწოდების სფეროში. პერსონალიზირებული მომხმარებელი მხოლოდ იმ კონტენტს მიიღებს, რასაც მოითხოვს, რასაც შეუკვეთავს მედიაორგანიზაციას და მის ჟურნალისტს. ამ შემთხვევაში მომხმარებელი თავად ირჩევს არაპლურალისტულ კონტენტს, რაც უთუოდ მოახდენს გავლენას მისი სწორად ინფორმირებულობის ხარისხზე. ამიტომ მედიაორგანიზაციებს არა მარტო იმაზეც უწევთ ფიქრი, რომ თავიანთ პერსონალიზებულ მომხმარებლებს მიაწოდონ მათთვის სასურველი საინფორმაციო-ანალიტიკური მასალები, არამედ მოძებნონ გზები, რათა მომხმარებლებს მათთვის საინტერესო სფეროში ახალი იდეები, მიმართულებები და პერსპექტივებიც გააცნონ.

მომხმარებლებთან ურთიერთობა ნებისმიერი მედიის ბიზნესმოდელის მთავარი საყრდენია. ადრე აუდიტორიის თანამონაწილეობითი კულტურა ნიველირებული იყო. ახლა ამ მოდელის გამოუყენებლობა მომხმარებელთან ერთად კანტიკუნტად შემორჩენილ სარეკლამო შემოსავალს საერთოდ გააქრობს. [3] დღეს ჟურნალისტიკა განიხილება როგორც სერვისი, აქედან გამომდინარე, მონაწილეობითი კულტურის დამკვიდრება მედიაორგანიზაციებს შესაძლოა მაშველ რგოლადაც კი მოევლინოთ.

პერსონალიზირებულ მედიას ახასიათებს ფსიქოლოგიური მომენტი. ყოველმა მომხმარებელმა იცის, რომ კონტენტი სწორედ მისი შეკვეთითაა მომზადებული, მაგრამ არა მის საამებლად, არამედ შესამეცნებლად და გასაცნობიერებლად. უბრალოდ მედიაორგანიზაცია შემკვეთი ინდივიდისგან თავის მეტაკონტენტურ ნომერში (გაზეთი, ჟურნალი) თუ პროგრამაში (ტელევიზია, რადიო) ბეჭდავს და გადასცემს მხოლოდ იმას, რაც შემკვეთის ინტერესებშია. ამიტომ ის მეტი ყურადღებით ეკიდება რედაქციისაგან შერჩეულ მასალას. მეტად ერთვება უკუკავშირში და ამით ფაქტობრივად თანამონაწილე ხდება კონტენტშემოქმედებითი თანამშრომლობისა. ამგვარი მიდგომა მას გარკვეულწილად ლოიალურსაც ხდის. ასე ვღებულობთ თანამონაწილეობის ჩინებულ მოდელს. თანამონაწილეობითი ჟურნალისტიკა კი ერთ-ერთი წამყვანი ტრენდი გახდა მედიაში გლობალური მასშტაბით.

მარკეტოლოგიაში ჩატარებული კვლევებით

დადგენილია, რომ ინდივიდუალური მიდგომა დაახლოებით 31 პროცენტით ზრდის შემოსავალს მასობრივ მარკეტინგთან შედარებით. ხარისხიანი კონტენტი მასობრივ მარკეტინგში სრულიად შესაძლებელია, რომ საერთოდ ჩაიკარგოს და შეუმჩნეველიც დარჩეს.

პერსონალიზებული მედიის მთავარი ფუნქციას წარმოადგენს გარკვეული ინტერესებით გაერთიანებულ მიზნობრივ აუდიტორიას მოუმზადოს შეკვეთა - მიაწოდოს ხარისხიანი კონტენტი. მეტიც, გამოიყენოს ე.წ. როლური პერსონალიზაციის (role-based personalization) პრინციპი და უფრო დაავიწროვოს მიზნობრივი აუდიტორია შემდგომში თანამშრომლობის იმედით. ამგვარი ურთიერთობა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის პერსონალიზირებული მომხმარებლიდან საინტერესო ინფორმაციის, გამოცდილები, ტექოლოგიის მოპოვების მხრივ.

ინტერნეტამდე პერსონალიზაციასა და კასტომიზაციას მომსახურებისა და საცალო ვაჭრობის ინდუსტრიაში იყენებდნენ. ახლა ეს მეთოდი მედიაბიზნესის ახლებურად გააზრებისა და აგების შესანიშნავ საშუალებად იქცა. ერთი შეხედვით ეს ორი ტერმინი ახლოსაა ერთმანეთთან, მაგრამ მათ შორის მაინც არის გარკვეული სხვაობა.

პერსონალიზება ნიშნავს მომხმარებელთა შესახებ დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოგროვებას და მათ ანალიზს. რაც შემდგომში მედიის მიერ გამოიყენება მსგავსი ინტერესების მქონე მომხმარებლებისთვის საჭირო შეთავაზების მოსამზადებლად. ინტერნეტის მონაცემთა ბაზა - Big Data იძლევა იმის საშუალებას, რომ შეიქმნას პოტენციური მომხმარებლის, სა მიზნე აუდიტორიის პორტრეტი კონტენტზე მოთხოვნილების კუთხით. ასე და ამგვარად, მუშავდება შეთავაზების ტექსტი, ე.წ. ოფერი თავად მომხმარებლის ჩართულობის გარეშე. რაც ქმნის მისი მხრიდან გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ილუზიას.

კასტომიზაციის დროს მომხმარებელს თავად შეუძლია აირჩიოს არა კონტენტის თემატიკა, არამედ მისი ავტორი, ჟანრი, ფერადოვნება, მულტიმედიურობა, მოცულობა და სხვა. [4]

სიღრმისეულად თუ ჩავუკვირდებით, ეს ორი მეთოდი სინამდვილეში ერთმანეთის გაგრძელებაცაა და მომხმარებელთა რაოდენობისა და ლოიალურობის გაზრდისკენ მიმართული ხერხებიც. მეტიც კონტენტის მოხმარებისას შესაძლებელია მომხმარებელი თავადაც ჩაგერთოს ემოციით, გამოხატოს თავისი ინტელექტი და გამოიყენოს ინტერაქტიულობის მეთოდიც.

მომხმარებელთა ინტერესების სფეროს გამოთვლა თანამედროვე ალგორითმებით სირთულეს არ წარმოადგენს. ეს ის ბაზისია, რაზეც თავისუფლად შეიძლება დაშენდეს მომავალი პერსონიზებული მედიაგამოცემის ორგანიზება. ინტერნეტში რეგისტრირებული მომხმარებლის ტრაფიკი მარტივად იძლევა იმის საშუალებას, თუ რა უნდა, რა თემებზე შეიძლება მას შესთავაზო მომავალი გამოცემა. თუმცა აქ თავს იჩენს ე.წ. ,,ბუნდოვანი, ანუ ცივი სტარტის“ - არცთუ უმნიშვნელო პრობლემა.

რას ნიშნავს ბუნდოვანი-ცივი სტარტი? ეს საკითხი ნებისმიერ ადამიანს, ძალიან ბევრ მომხმარებელს აქვს გამოცდილი. ნებისმიერი მომხმარებელი რაღაც დროს იწყებს მედიასთან ურთიერთობას. სწორედ აქედან იწყება მათ შორის ურთიერთობის კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც თანამედროვე საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების პირობებში მასშტაბურ თანამშრომლობით ურთიერთობაში გადადის. ასე ხდება მომხმარებელი იდეური თანამშრომელი, იდეური მომხრე და მეკავშირე უკვე შეთანხმებული კონტენტის გააზრება-გაცნობიერებასა და პოპულარიზაციაში. თანამედროვე მედიაბიზნესში ეს მოდელი დამაჯერებლად იკრებს სიჩქარეს.

ბუნდოვანი - ცივი სტარტის მდგრადობას განაპირობებს კონტენტის ხარისხი, მიწოდების ფორმატი და უნიკალური დეტალები, რომლებიც ფაქტობრივად კონტენტის სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს. თანამედროვე, კომპიუტერიზებული მომხმარებელი, მით უფრო ციფრული თაობა, კონტენტს ორობითი, ანუ ბინარული სისტემით ღებულობს. მათთვის კონტენტი, როგორც წესი, ან თეთრია, ან შავი, ანუ ან მისაღებია, ან მიუღებელი. ამიტომაც იწევს წინა პლანზე კასტომიზაციის ელემენტები, რომელიც ფაქტობრივად ნათლად განსაზღვრავს მედიაკონტენტის ბედს, მისი სიცოცხლისუნარიანობის ციკლს.

ასე რომ, ხარისხიანი კონტენტისთვის ამბის თხრობას თავისი მნიშვნელოვანი დეტალებითურთ და მასზე მომხმარებლის რეაქციის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალში კონტენტის სწორი მარკეტინგისთვის.

მედიის პერსონალიზებული სერვისი კონტენტწარმოებისა და მოხმარების სერვისის ერთგვარ გამოწახნაგებას უწყობს ხელს. კერძოდ, თბება ან რთულდება ურთიერთობა მედიაორგანიზაციას, თავად ავტორსა და კონტენტის მომხმარებელს

შორის. შესაძლოა, მათ შეავსონ კიდეც ინფორმაციულად ერთმანეთი, ან პირიქით, გაიყოს მათი გზები. ყველაფერი ტაქტიკაზეა დამოკიდებული. თუმცა ერთი რამ საყოველთაოდ ცხადზე უცხადესია. მედიის მონოლოგური რეჟიმის ეპოქა სამუდამოდ დასრულებულია და ამიტომ ნებისმიერი მედიაორგანიზაცია იძულებულია, ეთანამშრომლოს მომხმარებელს, იქნება ეს მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი. მან ხელი უნდა შეუწყოს ამგვარი სერვისით იმ კონტენტის აღმოჩენას, რაც შესაძლო იყო მომხმარებელს გამორჩენოდა ინფორმაციის ოკეანეში.

**დასკვნა**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პერსონალიზაცია და კასტომიზაცია მომავალში მედიის ერთგვარად საიმედო მაშველი რგოლი გახდება. ამგვარ ურთიერთობაში ორივე მხარეს მოუწევს ურთიერთსასარგებლო და საჭირო ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, რადგან ინტერაქტიულობის მომენტი ამის შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, მედიაორგანიზაციებს მოუწევთ ერთგვარი ბალანსის დაცვა მიწოდებულ კონტენტსა და მის იმერსიულობას შორის ხარისხის კუთხით.

**ლიტერატურა:**


1. https://gipp.ru/overview/obzory-sobytiy-v-media-srede/smartpaper-one2one-pervaya-v-germanii-personalizovannaya-gazeta/
2. https://quod.lib.umich.edu/m/mij/15031809.0007.105/--changing-business-models-in-the-media-industries?rgn=main;view=fulltext
3. https://www.cogitatiopress.com/mediaandcommunication/article/view/2709
4. https://www.rbc.ru/society/11/02/2014/56bf73239a7947299f72d5b7


**feedback economy. New perspectives of media business**


***Gigla Gobechia, associate professor***
***Georgian Technical University***

***Maya Tungia, Assistant Professor***
***Georgian Technical University***


**Summary**


The era of digitization has changed a lot of things in the field of doing business. Obviously, it also touched the media business. It can be said that the 21st century actually gave a second breath to the media business.

In the global media landscape, seamless and immediate audience feedback, audience engagement has had a profound impact on the operations of all types of media organizations.

If in the pre-internet era, the middle and lower class people were less exposed to the field of big media, internetization and digitization opened up a completely new field of possibilities for them. The field of media has become populous, globalized, international, and this logically followed the concept of liberation of authorship. Very soon this approach became the starting point for creative people. In front of them, a huge field of possibilities opened up in terms of storytelling. An interesting story has become a common denominator in the brand economy, the material well-being of a person, completely ignoring naked advertising, transforming one's intellectual abilities into image and financial income, avoiding self-indulgent media advertisements, and more.

The Internet has given the average person, a former member of the masses, a voice of their own. Many people around the world grasped this event in time and also jumped on the train that is the global information echelon.

During the imperative of traditional media, as the content flowed through one door, advertising texts dominated the information field of the traditional consumer - reader, listener, viewer. The rapid development of the Internet,

the age of digitization, has completely changed both the media and consumer landscape. Freed authors, former users themselves began to gather an audience and dispose of permission to access this audience.

A solid feedback system was created that opened up completely new financial-marketing opportunities to everyone who thought and acted creatively. Successful bloggers and vloggers are the best examples of this. For example, the number of vlog viewers of the American vlogger Justine Ezarik exceeded the billion mark in 2019. That year alone, his income exceeded 75 million dollars.

Marketing storytelling is based on five pillars. These are - company background, corporate history and achievements, social mission, company products and services, and specific customers. However, these rules are acceptable for business or business journalism and not for individual Mestori speakers. Their area of interest is often less predictable and favorable.

Mediaologists and marketing researchers have long come to the conclusion that there are three main characteristics for good storytelling - the relevance of the selected topic, a good storyteller-presenter of the topic to the audience, and the quality of the prepared story, story, topic, problem, following all formats of content production.

Keywords: content personalization, customization, individual media, marketing, media industry.

# „დღის წესრიგის“ კვლევის ისტორიიდან

*თამარ მალაღურაძე, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თეონა ფანქველაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

თანამედროვე პოლიტიკურ კომუნიკატივისტიკაში „დღის წესრიგის დადგენის თეორიამ“ (“Agenda-Setting Theory”) მყარად დაიკავა თავისი ადგილი იმ კვლევით ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც შესაძლებელს ხდის, ზუსტად შეფასდეს, რა გავლენას ახდენს მასობრივი კომუნიკაცია სოციუმზე. ყველაზე ზოგადად, ის გულისხმობს კავშირის არსებობას მასმედიის შეტყობინებებსა და იმას შორის, რას მიიჩნევს აუდიტორია მნიშვნელოვნად, ან ყურადღების ღირსად. მედია კარნახობს კრიტერიუმებსა და პრინციპებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებისადმი, კონკრეტული ადამიანებისა და მოვლენებისადმი თავიანთი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისას.

„დღის წესრიგის დადგენის თეორია“ ფორმალურად შეიმუშავეს მაქსველ მაკომბსმა და დონალდ შოუმ აშშ-ში 1968 წ. საპრეზინდენტო არჩევნების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. თეორია ვარაუდობს, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს ძალიან დიდი გავლენა აქვს თავიანთ აუდიტორიაზე. საზოგადოებისათვის რეალურად აქტუალური პრობლემის ჩანაცვლება ხდება იმით, რასაც მკს მიიჩნევს უფრო მნიშვნელოვნად - როდესაც ახალი ამბავი ხშირად და ყველაზე თვალსაჩინო ადგილას შუქდება, აუდიტორიაც ამ საკითხს განიხილავს, როგორც უფრო მნიშვნელოვანს. დღის წესრიგის დადგენის კონცეფცია მაკომბსმა და შოუმ გამოიყენეს 1968 წ. ჩაპელ-ჰილში, ჩრდილოეთ კაროლინაში, აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინაროების ანალიზისას. მათ ერთმანეთს შეადარეს, რა პრობლემა გამოიკვეთა ახალი ამბების კონტენტში, როგორც მნიშვნელოვანი და ის, თუ რას აღიქვამდა საზოგადოებრიობა არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად. ამის შედეგად შეძლეს იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რა დონით განსაზღვრავდა მკს საზოგადოებრივ აზრს. დღეს ეს გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგან დღის წესრიგის დადგენაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს სოციალურ მედიას, რომელიც არა მარტო ავსებს ტრადიციული მკს-ის დღის წესრიგს, არამედ აყალიბებს პარალელურ დღის წესრიგსაც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ახალი ამბების სპექტრის გაფართეობით. პარალელური დღის წესრიგის შექმნის შემდგომი ნაბიჯია ალტერნატიული დღის წესრიგის შექმნა. ეს ალტერნატიული დღის წესრიგები, რომლებიც ძლიერდება, მყარდება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, როგორც წესი, ავსებენ იმ ნიშებს, რომლებიც ხშირად პროფესიული მედიის ყურადღების მიღმა რჩება.

საკვანძო სიტყვები: „დღის წესრიგის დადგენის“ თეორია, პრიორიტეტების ჩამწკრივება, მედიის გავლენა, პარალელური და ალტერნატიული დღის წესრიგები

**შესავალი**

თანამედროვე პოლიტიკურ კომუნიკატივისტიკაში „დღის წესრიგის დადგენის თეორიამ“ (“Agenda-Setting Theory”) მყარად დაიკავა თავისი ადგილი იმ კვლევით ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც შესაძლებელს ხდის, ზუსტად შეფასდეს, რა გავლენას ახდენს მასობრივი კომუნიკაცია სოციუმზე. ყველაზე ზოგადად, ის გულისხმობს კავშირის არსებობას მასმედიის შეტყობინებებსა და იმას შორის, რას მიიჩნევს აუდიტორია მნიშვნელოვნად, ან ყურადღების ღირსად. სწორედ მედია კარნახობს იმ კრიტერიუმებსა და პრინციპებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებისადმი, კონკრეტული ადამიანებისა და მოვლენებისადმი თავიანთი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისას. დღის წესრიგის დადგენის შესწავლა ეფუძნება ჰ. ლასუელის შრომებს. სწორედ მან წარმოადგინა საახალამბებო ინფორმაციის თეორიული მოდელი, რომელსაც შეუძლია აუდიტორიაზე ზემოქმედება [1]. ახალი ამბების კონტენტ-ანალიზმა ლასუელს მისცა შესაძლებლობა, დაედგინა, რომ ახალი ამბები არა მარტო ინფორმაციას აწვდიან მოქალაქეებს, არამედ პროპაგანდისტულ ფუნქციებსაც ასრულებენ, ანუ მონაწილეობენ იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში ეს იდეები საფუძვლიანად იქნა დამუშავებული XX ს. მედიამკვლევართა შრომებში (Tuchman, 1978; Abel, 1984; White, 1950; Lasswell, 1948; Hood, 1972; McCombs, Shaw, Weav-

er (eds.), 1997; Shoemaker, 1991). ამ მკვლევართა შრომებში არაერთხელ იქნა ხაზგასმით აღნიშნული, რომ ახალი ამბების წარმოების პროცესში გარდაუვალია სინამდვილის დამახინჯება, რომელსაც იწვევს ფილტრაციის აუცილებლობა. ფართოდ აღიარება მოიპოვა „კარისკაცების“ კონცეფციამ: ათასობით მოვლენიდან „კარისკაცი“ პუბლიკაციისათვის არჩევს მხოლოდ ათეულს და ამ დროს ხელმძღვანელობს თავისი პოლიტიკური შეხედულებებითა და გემოვნებით; შედეგად, ახალი ამბავი გაივლის გარკვეული მაკონტროლებელი ადამიანების ან სტრუქტურების („კარისკაცების“) ხელში [2]. გარდა ამისა, ახალი ამბავი გადის გზას „ახალი ამბების შემგროვებლიდან“ „ახალი ამბის გადამამუშავებლამდე.“ შედეგად, წარმოების ყოველ ეტაპზე ახალი ამბავი იცვლის ფორმასაც და შინაარსაც და კარდინალურად გადამუშავებული ხვდება მედიაში.

**ძირითადი ნაწილი**

„დღის წესრიგის დადგენის თეორია“ სოციალური მეცნიერებების თეორიაა და ის პროგნოზების გაკეთებასაც ცდილობს. თეორია ვარაუდობს, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს (მკს) ძალიან დიდი გავლენა აქვთ თავიანთ აუდიტორიაზე, რამეთუ ჩააგონებენ მას, რაზე უნდა იფიქროს და არა იმას, თუ სინამდვილეში რაზე ფიქრობს, რა აწუხებს მას (აუდიტორიას), ანუ საზოგადეობისათვის რეალურად აქტუალური პრობლემის ჩანაცვლება ხდება იმით, რასაც მკს მიიჩნევს უფრო მნიშვნელოვნად - როდესაც ახალი ამბავი ხშირად და ყველაზე თვალსაჩინო ადგილას შუქდება, აუდიტორიაც ამ საკითხს განიხილავს, როგორც უფრო მნიშვნელოვანს.

„დღის წესრიგის დადგენის თეორია“ ფორმალურად შეიმუშავეს მაქსველ მაკომბსმა და დონალდ შოუმ აშშ-ში საპრეზინდენტო არჩევნების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. [3] სინამდვილეში დღის წესრიგის დადგენის შესწავლა გაცილებით ადრე, 1922 წ., დაიწყო, თუმცა შესატყვისი ტერმინი ჯერ არ არსებობდა. ფაქტობრივად ამ საკითხს ეხება უოლტერ ლიპმანი თავის წიგნ „საზოგადოებრივი აზრის“ პირველ თავში „გარე სამყარო და სურათები ჩვენს თავებში.“ [4] ლიპმანი ამტკიცებს, რომ მკს არის მთავარი დამაკავშირებელი მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებსა და აუდიტორიის ცნობიერებაში არსებულ სახეებს შორის. ლიპმანის შემდეგ 1963 წ. ბერნარდ კოენმა აღნიშნა, რომ პრესა „შესაძლოა ყოველთვის ვერ აღწევს წარმატებას, როცა ცდილობს, უთხრას თავის მკითხველებს, თუ სინამდვილეში რაზე უნდა დაფიქრდნენ, მაგრამ საოცარ წარმატებას აღწევს, როდესაც ეუბნება, თუ რაზე უნდა იფიქრონ.“ ეს ფრაზა, ერთი შეხედვით, აბსურდული ჩანს, მაგრამ კარგად წარმოაჩენს, რა როლს ასრულებს მედია საზოგადოების პრიორიტეტების განსაზღვრაში - ის, რაც პრიორიტეტულადაა წარმოჩენილი პრესაში, სულაც არ ნიშნავს, რომ მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანია. კოენისავე მტკიცებით, სხვადასხვა ადამიანისათვის სამყარო სხვადასხვანაირი იქნება იმის მიხედვით, თუ როგორ სურათს დაუხატავენ მას მწერლები, რედაქტორები და იმ გაზეთის გამომცემლები, რომელსაც კითხულობს. ჯერ კიდევ 1960 წ. კოენმა გამოთქვა იდეა, რომელიც მოგვიანებით მაკომბსისა და კოენის ნაშრომში „დღის წესრიგის დადგენის თეორიად“ ჩამოყალიბდა.

მართალია, მაქსველ მაკომბსს ადრეც გაუჩნდა გარკვეული ინტერესი ამ სფეროსადმი, მაგრამ ის კოენის ნაშრომს გაეცნო ლოს-ანჟელესში, კალიფორნიის უნივერსიტეტში პედაგოგად მუშაობისას და სწორედ კოენის ნაშრომმა მოახდინა მასზე და შემდგომ დონალდ შოუზე გავლენა. დღის წესრიგის დადგენის კონცეფცია მაკომბსმა და შოუმ გამოიყენეს 1968 წ. ჩაპელ-ჰილში, ჩრდილოეთ კაროლინაში, აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინაროების ანალიზისას.

მართებულიიქნებაგავიხსენოთ,თურასიტუაცია იყო აშშ-ში ამ არჩევნების პერიოდში, მით უმეტეს, რომ ის ამერიკის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული საპრეზიდენტო არჩევნები. 1968 წ. 5 ნოემბერს პალესტინელმა იმიგრანტმა მოკლა დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი რობერტ კენედი, რომელიც ლიდერობდა. ეს მოხდა მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობიდან სულ რაღაც ორი თვის შემდეგ, რამაც მასობრივი რასობრივი არეულობა გამოიწვია მთელ ქვეყანაში. ამის პარალელურად ყველგან ვიეტნამში ომის საწინააღმდეგო საპროტესტო გამოსვლები იმართებოდა. დემოკრატებმა კანდიდატად წამოაყენეს ჰუბერტ ჰამფრი, ხოლო რესპუბლიკელებმა - ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგი ჰქონდა დამოუკიდებელ, ე.წ. „მესამე პარტიის“ კანდიდატ ჯორჯ უოლესს, რომელმაც რამდენიმე შტატში გაიმარჯვა. როგორც ცნობილია, არჩევნები ნიქსონმა მოიგო, ხოლო 1968 წ. არჩევნები გარდამტეხადაა მიჩნეული აშშ-ს ისტორიაში - დასრულდა დემოკრატიული პარტიის დომინირება, რომელიც 1932 წ. ფრანკლინ რუზველტის გამარ-

ჯვებით დაიწყო. ეს მოკლე ექსკურსი ცხადყოფს, თუ როგორი გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა კანდიდატებს შორის და ადვილი წარმოსადგენია, რამდენად იქნებოდა მედია მასში ჩართული.

მაკომბსმა და შოუმ შეისწავლეს ლიპმანის იდეა „ადამიანთა თავებში სურათების აგების“ შესახებ, შეადარეს მკს-ის დღის წესრიგის საკითხები იმ ამომრჩეველთა დღის წესრიგის საკვანძო საკითხებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გადაწყვეტილი, ვისთთვის მიეცათ ხმა. შედეგად მათ აღმოაჩინეს მკს-ის მიერ დღის წესრიგის ფორმირების არსებობის მტკიცებულება, როცა დაადგინეს, რომ ახალი ამბებისა და ამომრჩეველთა დღის წესრიგი ძალიან კორელირებული იყო. მაკომბსი და შოუ იყვნენ პირველები, რომელთაც წარმოადგინეს მკს-ის ძალისა და საზოგადოებრივ დღის წესრიგზე გავლენის ემპირიული მტკიცებულებები. ამან ეს თეორია ავტორიტეტული გახადა სოციალური მეცნიერებების სხვა თეორიებს შორის.

დაახლოებით იმავე დროს, როდესაც მაკომბსმა და შოუმ თავიანთი თეორია ჩამოაყალიბეს, მსგავსი კვლევა ჩაატარა შედარებით ნაკლებად ცნობილმა მეცნიერმა ჯ. რეი ფანჰაუზერმა. სამივე მეცნიერმა თავისი დასკვნები ერთსა და იმავე სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოადგინა. ფანჰაუზერის სტატია უფრო გვიან გამოქვეყნდა, ვიდრე მაკომბსისა და შოუსი, ამიტომ დღის წესრიგის აღმოჩენისათვის ფანჰაუზერმა ვერ მიიღო ისეთი დიდი აღიარება, როგორიც მაკომბსმა და შოუმ. ევერეტ როჯერსის თქმით, ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ერთი, ფანჰაუზერმა ოფიციალურად სახელი არ უწოდა თავის თეორიას; მეორე, მან თავისი კვლევა არ გააგრძელა პირველი სტატიის გამოქვეყნების შემდეგაც. როჯერსი ასევე ვარაუდობდა, რომ ფანჰაუზერი ამავე საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისაგან გეოგრაფიულად იზოლირებული იყო სტენფორდში, ხოლო მაკომბსმა და შოუმ თავიანთი კვლევით დაინტერესეს ის ადამიანები, რომლებიც დღის წესრიგს საზღვრავდნენ.

1968 წ. „ჩაპელ-ჰილის კვლევაში“ მაკომბსმა და შოუმ კორელაციის მაღალი კოეფიციენტი (r>9) დაადგინეს იმას შორის, თუ რა მიაჩნდა ჩრდილოეთ კაროლინის (ჩაპელ-ჰილის) 100 მაცხოვრებელს არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად და რას წარმოაჩენდნენ მკ-ის ადგილობრივი და ნაციონალური საშუალებები, როგორც უმნიშვნელოვანესს.

მაკომბსმა და შოუმ ერთმანეთს შეადარეს, რა პრობლემა გამოიკვეთა ახალი ამბების კონტენტში, როგორც მნიშვნელოვანი და ის, თუ რას აღიქვამდა საზოგადოებრიობა არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად. ამის შედეგად შეძლეს იმის დადგენა, კონკრეტულად რა დონით განსაზღვრავდა მკს საზოგადოებრივ აზრს. 1972 წ. შემდეგ, როდესაც ზემოხსენებული ნაშრომი „Public Opinion Quarterly”-ში დაიბეჭდა, 400-ზე მეტი კვლევა გამოქვეყნდა, რომლებიც მკს-ის დღის წესრიგის განმსაზღვრელ ფუნქციების ეხებოდა და თეორია დღესაც აქტუალურად ითვლება.

**დასკვნა**

დღეს ეს გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგან დღის წესრიგის დადგენაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს სოციალურ მედიას, რომელიც არა მარტო ავსებს ტრადიციული მკს-ის დღის წესრიგს, არამედ აყალიბებს პარალელურ დღის წესრიგსაც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ახალი ამბების სპექტრის გაფართეობით. პარალელურ დღის წესრიგთან ერთად იქმნება ალტერნატიული დღის წესრიგიც, რადგან პარალელური დღის წესრიგი შეიძლება აუცილებლად ალტერნატიული არც იყოს. ალტერნატიული დღის წესრიგი ყველაზე ხშირად არაპროფესიონალურ პოლიტიკურ მედიაში ჩნდება და მჭიდრო კავშირშია თავის აუდიტორიასთან. არაპროფესიონალები საზოგადოებრივ დისკურსში წამოჭრიან ისეთ საკითხებს, რომლებიც აქტუალურია მათთან (მედიებთან) იდეურად, პოლიტიკურად ან კულტურულად ახლოს მყოფი მომხმარებლებისათვის. ეს ალტერნატიული დღის წესრიგები ძლიერდება, მყარდება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და, როგორც წესი, ავსებენ იმ ნიშებს, რომლებიც ხშირად პროფესიული მედიის ყურადღების მიღმა რჩება.

ჯ. დიარინგმა და ე. როჯერსმა, შეაჯამეს რა „დღის წესრიგის დადგენის“ თეორიის მრავალრიცხოვან კვლევათა შედეგები, შექმნეს კონცეფცია, რომელიც წარმოაჩენს სამი კონკურენტული „დღის წესრიგის“ ურთიერთქმედებას: 1) პოლიტიკური „დღის წესრიგი,“ რომელსაც აყალიბებს სახელმწიფო, 2) მედია-დღის წესრიგი, რომელსაც ქმნის მკს და 3. საჯარო „დღის წესრიგი,“ რომელიც იქმნება საზოგადოებრივ ცნობიერებაში წინა ორი „დღის წესრიგის“ ზემოქმედების შედეგად.

ლიტერატურა:


1. Lasswell H. D. Propaganda Technique in the World War. N.Y., 1927. P. 220-221 https://ia601208.us.archive.org/26/items/PropagandaTechniqueInTheWorldWar/Propaganda%20Technique%20In%20the%20World%20War.pdf
2. Lasswell H. The Structure and Function of Communication in Society // The Communication of Ideas / Ed. by L. Bryson. N.Y., 1948 http://sipa.jlu.edu.cn/__local/E/39/71/4CE63D3C04A10B5795F0108EBE6_A7BC17AA_34AAE.pdf
3. McCombs M., Shaw D. The Agenda-Setting Function of Mass-Media // Public Opinion Quarterly.1972https://edisciplinas.usp.br/pluginfile.php/5524493/mod_resource/content/2/Aula.pdf
4. Lippmann W. Public Opinion. N.Y., 1922 https://monoskop.org/images/b/bf/Lippman_Walter_Public_Opinion.pdf


**From the history of "Agenda" research**


***Tamar Malaghuradze, associate professor***
***Georgian Technical University***

***Teona Fankvelashvili, PhD student***
***Georgian Technical University***


**Summary**


In the modern political communication, the "Agenda-Setting Theory" has firmly taken its place among the research tools and makes it possible, accurately assess the impact of mass communication on society. Mostly, it refers to the relationship between mass media messages and what the audience considers important or worthy for their attention. Media dictates the criteria and principles by which the people are guided to form their attitudes towards political processes, specific people and events.

"Agenda setting theory" was formally developed by Maxwell McCombs and Donald Shaw in the USA in 1968, based on the results of the presidential election survey. The theory assumes that mass media has a very strong influence on the audience. The public relevant problems can be replaced by the topics what the media considers more important – frequently covered news at the most visible place, is considered as more important issue for the audience. The concept of agenda setting was used by Macombs and Shaw in 1968 in Chapel Hill, North Carolina, while analyzing the current US presidential elections. They compared the problematic issues highlighted in news content to the issues that public perceived as the most importan during the elections. As a result, they determined at what level MCS influenced on public opinion. Today, this influence has become even stronger, as social media is making significant changes in agenda setting, that not only complements to the traditional media agenda, but also creates a parallel agenda by expanding the range of news available for the public. The next step in creating a parallel agenda is to create an alternative agenda. These alternative agendas, supported and strengthened by modern technologies, tend to fill the niches that often stays behind the attention of professional media.

# Стрим как новый медиажанр

***Тамара Бондаренко, асоц. профессор***
***Грузинский технический университет***

**Резьюме**

Статья посвящена изучению стрима как нового уникального медиажанра, который дает возможность зрителям наблюдать за интересным контентом в режиме реального времени и взаимодействовать с создателями. Он предоставляет новые возможности для развлечения, информирования и маркетинга. Несмотря на некоторые риски, стриминг продолжает развиваться и влиять на медийную индустрию.

Ключевые слова: стрим, медиажанр, контент, медийная индустрия.

**Введение**

Стрим – это новый медиажанр, который набирает все большую популярность среди зрителей разных возрастных групп. Эта форма медиаконтента позволяет людям наблюдать за любимыми стримерами, играющими видеоигры, делающими косметический макияж или просто ведущими интересные дискуссии.

Одной из главных причин популярности стримов является их интерактивность. Зрители имеют возможность в реальном времени комментировать происходящее и взаимодействовать со стримером через чат. Это создает ощущение присутствия и позволяет ощутить более тесную связь с контентом.

Стриминг также позволяет зрителям развлекаться и отдыхать от повседневной рутины. Некоторые люди найдут для себя новый хобби или интересы, видя, как профессиональные стримеры ведут игровые сессии или делятся своим опытом.

Этот медиажанр также открывает новые возможности для маркетинга и продвижения продуктов. Бренды могут использовать стриминг, чтобы привлекать внимание к новым продуктам или проводить рекламные акции через стримеров-партнеров. Это хороший способ донести информацию до целевой аудитории и сформировать позитивный образ бренда.

**Основная часть**

Прямые трансляции в социальных сетях набирают популярность. Аудитория требует «живого» видео, и легко понять, почему. Живое видео (и видео в целом) придает публикациям человечность, с которой текст и изображения сегодня не могут конкурировать. По оценкам, в 2018 году 47% потребителей по всему миру сообщили об увеличении количества прямых трансляций по сравнению с предыдущим годом. И это число будет только расти. Проводя прямые трансляции на такие каналы, как Facebook, Instagram, LinkedIn, YouTube вы создаете привлекательный контент, который улучшает ваше положение в алгоритмах их новостных лент. Потоковое вещание в социальных сетях также дает вам возможность привлечь зрителей.

**Стрим** (англ. stream, поток) — это видео в интернете, которое пользователь (стример) транслирует аудитории в режиме реального времени. Стример выходит в прямой эфир в соцсетях или на специальных сайтах — стриминговых площадках. «Стрим зародился в сегменте видеоигр и киберспорта. Геймеры транслировали происходящее у них на мониторе и комментировали ход игры, при этом зрители могли подключиться к обсуждению в специальном чате.

Так появилось самое популярное стриминговое направление — **игровое**. Интернет-трансляции с мировых соревнований по киберспорту или мастерское прохождение сложных уровней различных видеоигр привлекают тысячи, а иногда и миллионы зрителей.

Постепенно стриминг набрал популярность за пределами игровой среды. Стримы снимают кулинары, спортсмены, бьюти-блогеры, путешественники, медийные личности, посетители мероприятий и наблюдатели уникальных природных явлений.

С началом войны в Украине, когда независимая журналистика в России была «уничтожена». Были закрыты радио «Эхо Москвы», телеканал «Дождь», газета «Новая газета», почти все независимые журналисты были вынуждены перейти в интернет- пространтсво. Единственным местом получения и распространения правдивой информации становятся стриминговые площадки. Котрикадзе и Дзядко, Невзоров, Муратов, Фейгин. Стримы этих журналистов и экспертов набирают огромное количество просмотров.

Особенной популярностью с начала войны пользуются стримы Марка Фейгина и Алексея Арестовича. Марк Фейгин, российский адвокат и оппозиционер. Ведёт собственный канал «Фейгин Live» на **YouTube**, насчитывающий на март 2023 года более 2 млн под-

писчиков и 760 млн просмотров, а также одноимённый аккаунт в **Telegram**. Как пигет сам Фейгин: «Канал ФЕЙГИН LIVE создан для организации свободного информационного обмена, анализа и политической экспертизы актуальной повестки в России и мире. Мы создаём среду неподцензурной информационной политики и антиправительственной деятельности. Мы надеемся дожить до конца нынешней политической системы и помогаем приблизить этот момент». С 2021 по 2023 проводил на YouTube-канале стримы с бывшим внештатным советником руководителя офиса президента Украины Алексеем Арестовичем, которые после начала вторжения России в Украину приобрели формат регулярной (5—7 раз в неделю) сводки с фронта. Эксперт по коммуникациям Оксана Мороз объясняет такую популярность этиъ стримов: «Тогда все были в стрессе, а он был единственный, кто успокаивал. Он имел статус «советника главы Офиса Президента», и именно это придало ему популярность. Если бы на его месте был другой, он бы получил ту же популярность и фан-клуб».

Но популярность этих стримов, конечно, не только в «успокоении». Правильно выстроенная модель коммуникации принесла популярность этим стримам. В своих стримах Фейгин и Арестович исспользуют мифологическую модель коммуникации. Это особый вид коммуникации, при которой мифы выступают инструментом влияния коммуникатора на аудиторию. Мифы соединяют в себе рациональное и иррациональное, что позволяет обращаться напрямую к бессознательному и к эмоциям человека. Здесь мы подошли к проблеме архетипического сознания личности, когда на первый план выходит манифестация более глубокого слоя бессознательного.

"Коллективное бессознательное является абсолютно всеобщим, и потому, его содержания могут быть найдены повсюду".

Карл Юнг является основоположником теории о том, что архетип — это явление коллективного бессознательного. Его работы в области мифов представляют особый интерес для современного общества в связи с тем, что он описал архетипы, используемые сегодня специалистами по связям с общественностью, рекламе и в СМИ. Основные архетипы, которые описаны Юнгом.

- Герой — символизирует собой победу, предприимчивость, профессионализм, успех.
- Мудрец — ум, объективность.
- Искатель — развитие, поиск себя, индивидуальность.
- Любовник — привлекательность, сексуальность, чувственность.
- Славный малый — душевность, доброта, этичность, верность.
- Хранитель — комфорт, безопасность, покой.

Все эти архетипы представлены в анализируемых стримах. Арестович выступает как герой, который своей уверенностью символизирует победу, мудрец, любовник, который своими стримами воздействует на бессознательное зрителей, которые благодаря этим стримам получают уверенность в победе добра над злом. «Мифологические архетипы являются моделями поведения, они во многом определяют отношение человека к окружающим, миру и событиям. Мифы являются одними из самых эффективных средств коммуникации, так как изначально являются **правдивыми**. Реальность должна соответствовать мифу, а не наоборот”.

С первых дней войны, когда общество находится в тупике от происходящего ужаса, стримы Фейгина-Арестовича объединяют как украинское общество, так и разрозненное мировое сообщество. Украина – это герой (архетип Добра), который борется с Россией (Зло). Талантливый манипулятор он создает образ Украины, который спасает весь мир от зла. Зло в устах Арестовича, тоже сильно, но тем важнее победа Добра. Они не только рассказывали о войне, анализировали произошедшие события. В этом и заключена популярность именно этих стримов, в правильно выстроенной мифологической модели коммуникации, воздействии на коллективное бессознательное.

**Заключение**

Для современных СМИ миф и архетип характерное явление, но использование этой модели в стримах , позволяет сделать вывод, что стрим это новый медиажанр, за которым будущее журналистики. Конечно стриминг имеет свои риски и проблемы. Приватность и безопасность зрителей, а также самих стримеров, становятся все более актуальными вопросами. Некоторые стримеры могут столкнуться с некорректным поведением или негативными комментариями от зрителей. Поэтому сообщества стримеров и стрим-платформы активно работают над созданием правил и механизмов защиты от потенциальных нарушений.

**Литература:**

1. Маслова В.А. Когнитивная лингвистика: учеб. пособие Минск. 2005. – 256 с.
2. Архетип и символ / Карл Г. Юнг - СПб.:Питер, 2005
3. Теория архетипов и практика брендинга / Иващенко А. -http://www.advertology.ru/article19720.html
4. К. Г. Юнг Психология бессознательного М., 2021
5. *https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B8%D1%84%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B3%D0%B8%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D0%BA%D0%BE%D0%BC%D0%BC%D1%83%D0%BD%D0%B8%D0%BA%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F*

**Stream as a new media genre**

***Tamara Bondarenko, PhD***
***Georgian Technical University***

**Summary**

The article is dedicated to the study of streaming as a new unique media genre that allows viewers to watch interesting content in real time and interact with creators. It provides new opportunities for entertainment, information and marketing. Despite some risks, streaming continues to develop and influence the media industry. Stream is a new media genre that is gaining more and more popularity among viewers of different age groups. This form of media content allows people to watch their favorite streamers playing video games, doing cosmetic makeup, or simply having interesting discussions. Gradually streaming gained popularity beyond the game environment. Streams are filmed by culinary people, sportsmen, beauty bloggers, travelers, media personalities, visitors to events and observers of unique natural phenomena. Since the beginning of the war in Ukraine, when independent journalism in Russia was "destroyed", almost all independent journalists were forced to go online. Streaming platforms are becoming the only place for obtaining and spreading true information. Streams of Mark Feygin and Alexey Arestovich are especially popular since the beginning of the war. Correctly constructed communication model brought popularity to these streams. In their streams, Feygin and Arestovich use a mythological model of communication. This is a special kind of communication, in which myths act as an instrument of the communicator's influence on the audience. For modern media, myth and archetype is a characteristic phenomenon, but the use of this model in streams allows us to conclude that the stream is a media genre for which future journalists will follow.

# ჟურნალისტის სოციალური პასუხისმგებლობა კრიზისების გაშუქებისას

*იზოლდა რიკაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატიაში საუბარია ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხზე ნებისმიერი მოვლენის გაშუქებისას და გამოკვეთილია, როგორ იზრდება მედიის მორალური და სოციალური პასუხისმგებლობა კრიზისული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას. ამ პრიზმიდან ჟურნალისტის პასუხისმგებლობის დასანახად სტატიაში განხილულია, არაერთი კრიზისული მოვლენა, რომლის გაშუქებისას ჟურნალისტები საკუთარ სიცოცხლესაც კი რისკის ქვეშ აყენებდნენ. სტატიაში მოხმობილია არაერთი პრაქტიკოსი ჟურნალისტისა და მედიამკვლევარის მოსაზრებები ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

პროფესიონალური მედია კარგად აცნობიერებს, რომ მხოლოდ კანონი არ მოუწოდებს მას პასუხისმგებლობისკენ, ის გრძნობს საკუთარ პასუხისმგებლობას საზოგადოების, სახელმწიფოს, რედაქციისა და იმ ადამიანების წინაშე, ვისზეც წერს. კეთილსინდისიერი და დიდი პასუხისმგებლობით განმსჭვალული ჟურნალისტი ყველაზე მძაფრად საკუთარი თავის წინაშე გრძნობს მორალურ პასუხისმგებლობას.

ჟურნალისტის პასუხისმგებლობის გრძნობასა და მაღალ მორალურ ღირებულებებზე საუბრისას მოვიხმობთ მელვინ მენჩერის მოსაზრებას, რომლის თანახმად: „პასუხისმგებლობა - ეს არის რეპორტიორის ერთგულება ამბის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოების მიმართ. პასუხისმგებლობა რეპორტიორისაგან მოითხოვს, რომ ამბავი იყოს სრული, სამართლიანი, დაბალანსებული და ნათლად გადმოცემული“.

ჟურნალისტური პასუხისმგებლობის კომპლექსური განხილვა ეფუძნება მის მნიშვნელობას და სპეციფიკურ როლს თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც სოციალური ურთიერთობების გზაჯვარედინზე მას აქტიური პოზიცია უკავია. ჟურნალისტის სოციალური, სამოქალაქო და იურიდიული პასუხისმგებლობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რადგან ვინც წერს, ის პასუხისმგებელი არის თავის სიტყვებზე.

სოციალური პასუხისმგებლობა ჟურნალისტისგან მოითხოვს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში იმოქმედოს ეთიკურად. მედიაეთიკის დაცვა მართლაც უმნიშვნელოვანესია ჟურნალისტისთვის, მაგრამ კრიზისულ ვითარებაში, როდესაც სხვადასხვა საშიშროებასთან ერთად შესაძლოა სიცოცხლის რისკის საფრთხეც დადგეს, როგორ უნდა იმოქმედოს პასუხისმგებლობის მქონე მედიამ? როგორც საკითხის შესწავლამ აჩვენა, ამისთვის მნიშვნელოვანია მედიას ჰქონდეს კრიზისულ ვითარებაში გაწერილი ქცევის წესები, ჟურნალისტები შეიარაღებულნი იყვნენ კრიზისულ ვითარების გზამკვლევებით. ამ მიმართულებით განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი ჟურნალისტები ნაკლებად იცნობენ კრიზისულ ვითარებაში ქცევის სტანდარტებს, მედიასაშუალებების უმეტესობას არ აქვს გაწერილი, როგორ უნდა იქცეოდნენ ჟურნალისტები არაორდინარულ, რთულ სიტუაციებში, თუმცა ჟურნალისტები დიდი რისკის ფასად მაინც მიდიან კრიზისების გასაშუქებლად და საზოგადოებას საჭირო ინფორმაციას აწვდიან.

**შესავალი**

თანამედროვე ეპოქაში მედია უმძლავრეს სოციალურ ინსტიტუტად იქცა. შესაბამისად, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისა და ჟურნალისტის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი.

1983 წელს პარიზში მიღებული „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპების“ მესამე მუხლში ფორმულირებულია ჟურნალისტის სოციალური პასუხიმგებლობა: „ჟურნალისტიკაში ინფორმაცია უნდა აღიქმებოდეს როგორც საზოგადოებრივი სიკეთე და არა როგორც მოხმარების საგანი. ჟურნალისტი იზიარებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის გამო. ის პასუხისმგებელია არა მხოლოდ მათ წინაშე, ვინც აკონტროლებს მედიასაშუალებას, არამედ უპირველესად ფართო საზოგადოების წინაშე, ითვალისწინებს რა სხვადასხვა სოციალურ ინტერესს. ჟურნალისტის სოციალური პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ ყველა ვითარებაში ის მოქმედებდეს თავის მორალური ღირებულებებთან შესაბამისად. ჟურნალისტი ვალდებულია საკუთარი მოვალეობა პატიოსნად შეასრულოს“.

განსაკუთრებით დიდია ჟურნალისტის სოციალური პასუხისმგებლობა, როდესაც ის აშუქებს

კრიზისული სიტუაციას - საომარ მოქმედებებს, ტერორისტულ აქტს, სტიქიურ უბედურებას, მასობრივ არეულობას, პანდემიას, ციხის ბუნტს ან სხვადასხვა ჯგუფების დაპირისპირებას.

**ძირითადი ნაწილი**

**შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქება**

ჟურნალისტის უდიდეს სოციალურ და მორალურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქება. იქიდან გამომდინარე, რომ გარკვეულწილად, მედია გავლენას ახდენს ამბებზე, რომელსაც აშუქებს, მას შეუძლია გაამწვავოს ან განმუხტოს კონფლიქტი, გავლენა მოახდინოს მის ესკალაციაზე ან ხელი შეუწყოს შეიარაღებული დაპირისპირების დასრულებას.

შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქების დროს ჟურნალისტის საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმია - ფაქტების სინამდვილე და მოწოდებული ინფორმაციის სისრულე.

საომარი მოქმედებების გაშუქებისას პასუხისმგებლობის კიდევ ერთი ასპექტი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ აღიქვამს მიღებულ ინფორმაციას აუდიტორია. ჟურნალისტი ინფორმაციის გადმოცემისას თუ „ფერებს გაამუქებს“, ამით პანიკას და შიშს დათესს მოსახლეობაში თუ პირიქით, შეამსუბუქებს ვითარებას, ის სრულად ვერ გადმოსცემს მოვლენას, რითაც მოსახლეობას ხელს შეუშლის რეალობის სათანადოდ აღქმაში.

ჟურნალისტს, რომლიც შეიარაღებულ კონფლიქტს აშუქებს განსაკუთრებული ყურადღება და პასუხისმგებლობა იმის გამოც აკისრია, რომ სულ უმნიშვნელო შეცდომასაც კი, შესაძლოა მოსახლეობის დიდი მსხვერპლი მოჰყვეს ან კიდევ, გავრცელებულმა ინფორმაციამ ნეგატიურად იმოქმედოს საომარი მოქმედებების მსვლელობაზე.

საომარი კონფლიქტის გაშუქებისას ჟურნალისტები საკუთარ სიცოცხლესაც კი სწირავენ. ასეთ გაცნობიერებულ რისკზე წასვლა დიდი სოციალური პასუხისმგებლობის განცდის შედეგია. ამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას რუსეთ-უკრაინის ომის დროს დაღუპული ჟურნალისტების სტატისტიკას. 2023 წლის 16 მაისის მონაცემებით, რუსეთ-უკრაინის ომში 17 სამოქალაქო ჟურნალისტი და მედიის თანამშრომელი დაიღუპა. 2014-2015 წლებში კი უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებს 7 ჟურნალისტი ემსხვერპლა.

შეიარაღებული კონფლიქტების გაშუქება მოუწიათ ქართველ ჟურნალისტებს 90-იან წლებსა და 2008 წლის აგვისტოში. 2008 წლის 5 დღიან ომში რამდენიმე უცხოელი და ქართველი ჟურნალისტი დაიღუპა. ჟურნალისტები დაიღუპნენ 90-იანი წლების საომარი მოვლენების გაშუქებისასაც. მიუხედავად ასეთი თავდადებისა, პოლიტიკოსები და სამხედროები საომარი მოქმედებების გაშუქების გამო ჟურნალისტებს აკრიტიკებდნენ და თავიანთ კრიტიკას ამყარებდნენ იმით, რომ დაუდევრობით თუ შეგნებულად მედიაში გაჟღერებული ინფორმაციების შემდეგ იბომბებოდა პოზიციები, სადაც ჩვენი მეომრები იყვნენ განლაგებულნი. სიღრმისეულ ინტერვიუში აფხაზეთისა და აგვისტოს ომის მონაწილე სამხედროები, ასევე პოლიტიკოსები ბრალდებებს უყენებდნენ ჟურნალისტებს იმის გამო, რომ გასცეს იმაზე მეტი ინფორმაცია, რაც საჭირო იყო. მათი თქმით, ზედმეტ გულმოდგინებას თუ კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედების წესების არცოდნას დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა. თუმცა ნებისმეერ „უნებლე შეცდომას“ გადასწონის ქართველი ჟურნალისტების გმირობა და საკუთარი საქმისამი თავდადება ჭუბერის უღელტეხილზე აფხაზეთიდან დევნილების მიერ გავლილი „სიკვდილის გზის“ გადაღებისას. მაშინ როდესაც აფხაზეთიდან გამოდევნილი ადამიანები ოჯახის წევრების, ახლობლებისა და საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ, ჟურნალისტები დიანა ციბაძე, ინგა გორგიძე და ოპერატორი ნოდარ ლეკვეიშვილი სიცოცხლის რისკის ფასად იღებდნენ ისტორიულ კადრებს, რომელიც ომის სასტიკ შედეგს ასახავდა.

მედიას შეუძლია ხიდის როლი შეასრულოს დაპირისპირებულ მხარეებს შორის. დიდი სოციალური პასუხისმგებლობით იყო გამსჭვალული ჟურნალისტი ნენად პეიჩი, რომელიც ბოლო წუთამდე ინრძოდა ბალკანეთში მშვიდობის შენარჩუნებისთვის. მან პირდაპირ ეთერში აჩვენა სარაევოში მშვიდობის მოთხოვნით გამოსული 100 000-ზე მეტი ადამიანი. ტელევიზიაში დაპატიჟა სხვადასხვა მხარეს მდგარი პოლიტიკოსები და მათ აიძულა ხელი მოეწერათ მშვიდობის აქტისთვის. სამწუხაროდ, მხარეებმა ეს შეთანხმება მხოლოდ 6 საათის განმავლობაში დაიცვეს.

**ტერორისტული აქტების გაშუქება**

კრიტიკის ქარცეცხლში მოექცნენ ქართველი ჟურნალისტები 2017 წლის ნოემბერში გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის გაშუქების გამო, რომლის დროსაც ლიკვიდირებული იქნა ტერორისტი ახმედ ჩატაევი. სპეცოპერაციის გაშუქებისას ქართველი ჟურნალისტების მისამართით გაისმა ბრალდება, რომ სპეცოპერა-

ციის დეტალურად გაშუქება ტერორისტების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამ კრიტიკას სოციალური ქსელით გამოეხმაურა ერთ-ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, რომელმაც ბრალდების ისარი ხელისუფლებისკენ გადაიტანა. მისი მოსაზრებით, სპეცოპერაციის მიმდინარეობის დეტალების გასაიდუმლოება შესაბამის სახელმწიფო უწყებას უნდა უზრუნველეყო და არა ტელეკომპანიას, რადგან ჟურნალისტების ინტერესი სწორედ ინფორმაციის მოძიება და გავრცელებაა.

საინტერესოა კრიზისების გაშუქების მიმართულებით მეზობელი ქვეყნების გამოცილებაც. ამ მიმართულებით დემოკრატიული ქვეყნის მაგალითს ნამდვილად არ იძლევა რუსეთი, სადაც 2004 წელს ჟურნალისტებს ხელი მოაწერინეს ანტიტერორისტულ კონვენციაზე. ოფიციალური განმარტებით, ამის საფუძველი 2002 წელს მოსკოვის თეატრალურ ცენტრში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის გაშუქებისას გამოვლენილი არაპროფესიონალიზმი გახდა.

ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიება შედეგიანი აღმოჩნდა. 2004 წლის 1 სექტემბერს ჩრდილო ოსეთში, ბესლანის ტერორისტული აქტის გაშუქება (სადაც 350 მძევალი და 31 ტერორისტი დაიღუპა) კრემლმა პროფესიული თვალსაზრისით დადებითად შეაფასა. ბესლანის ტერაქტის განმავლობაში ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ინფორმაციის გავრცელებას. მედია მხოლოდ ოფიციალურ წყაროებს ეყრდნობოდა და თავს არიდებდა სხვა ნებისმიერი სახის ინფორმაციის გავრცელებას. შესაბამისად, საზოგადოებამ არ იცოდა რეალურად რა ხდებოდა ბესლანში. კრემლმა რეპორტიორები ბესლანში არ შეუშვა. რუსი ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია ამტკიცებდა, რომ ბესლანში მიმავალი გზაზე ჩაით მოწამლეს. კრემლის კრიტიკოსი ჟურნალისტი ანდრეი ბაბიცკი კი მოსკოვის აეროპორტში ყალბი საბაბის საფუძველზე დააპატიმრეს. მოსკოვის ყოველდღიური გაზეთის „იზვესტიას“ რედაქტორი სამსახურიდან გაათავისუფლეს გაზეთში დაბეჭდილი ფოტოს გამო, სადაც ბესლანელ მშობლებს სისხლიანი შვილები ეკავათ ხელში. 4 სექტემბერს ბესლანში ჩრდილოეთ ოსეთის პოლიციამ საზღვრის უკანონოდ კვეთის საბაბით დააპატიმრა ქართველი ჟურნალისტები - რუსთავი 2-ის რეპორტიორი ნანა ლეჟავა დაა ოპერატორი ლევან თეთვაძე. დაკავებისას პოლიციამ ჟურნალისტებს ჩამოართვა ვიდეოკასეტები, სადაც ბესლანის მაცხოვრებელების ინტერვიუები იყო ჩაწერილი.

ბესლანის კრიზისის ბოლო, მესამე დღეს რუსეთის პირველმა არხმა 6 წუთი დაუთმო, მაშინ როდესაც ეპეციალურ ოპერაციას პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ BBC და CNN. BBC-ის ვეტერნი რეპორტიორის, კეიტ ეიდის აზრით, რუსეთის ხელისუფლება არასწორად მოიქცა, როდესაც ბესლანის კრიზისის ცოცხალ ეთერში გაშუქება აკვეთა.

მელვინ მენჩერს ცხელი წერილიდან რეპორტაჟის წაყვანის ქრესტომათიულ მაგალითად მოჰყავს „ასოშიეიტედ პრესის“ რეპორტიორების პროფესიული მუშაობა პაკისტანის ოპოზიციის ხელმძღვანელ ბენაზირ ბჰუტოზე თვითმკვლელი ტერორისტის თავდასხმის გაშუქებისას. რეპორეტიორები, რომლებიც. ქ. რავალპინდიში ბჰუტოს წინასაარჩენო კამპანიის გაშუქებისთვის იმყოფებოდნენ, ტერორისტული აქტის მომსწრები გახდნენ და წინასაარჩენო კამპანიის ნაცვლად, ტერორისტული აქტის გაშქება მოუხდათ. ერთმა რეპორტიორმა საავადმყოფოშიც კი შეაღწია და ინტერვიუ ჩამოართვა ქირირუგს, რომელიც ბენაზირ ბჰუტოს გადარჩენას ცდილობდა. მოგვიანებით, ამ შემთხვევის გაშუქებისა და ოპერატიულობისთვის რეპორტიორებმა ჯილდო მიიღეს.

კრიზისული სიტუაციების გაშუქების კვლევისას გვერდი ვერ ავუარეთ ისრაელის 2023 წლის 6 ოქტომბრის ტერაქტს, რომელსაც 1500-მდე ადამიანი ემსხვერლა. დიდი სოციალური პასუხისმგებლობის განცდით მუშაობს დღეს მსოფლიო მედია ისრაელში. ჩაფხუტებითა და ჯავშანჟილეტებით აღჭურვილი ჟურნალისტები შედიან ყველაზე სახიფათო ტერიტორიებზე და საზოგადოებას სიმართლეს უყვებიან იმ ძალზე დრამატულ მოვლენებზე, რომელიც ისრაელში ტერორისტების თავდასხმის შედეგად განვითარდა. CNN-ის ინფორმაციით, 11 ოქტომბრის მდგომარეობით ღაზის სექტორში, სულ მცირე, 7 ჟურნალისტი იყო დაიღუპული. გამოცემა იუწყებოდა, რომ ღაზას კრიზისის დროს განსაკუთრებული რისკის ქვეშ ჟურნალისტები არიან, რომლებსაც ინფორმაციის შეგროვება კონფლიქტის ზონებში ექსტრაორდინალურად სახიფათო ვითარებაში უწევთ.

**პანდემიის გაშუქება მედიაში**

ქართველ ჟურნალისტებს ისევე, როგორც მსოფლიო მედიას, კოვიდპანდემიის გაშუქება მოუწია. ქართველმა ჟურნალისტებმა სპეციალური ეკიპირება მოირგეს და დაინფიცირების რისკის მიუხედავად, გადასცეს რეპორტაჟები ინტენსიური თერაპიის განყოფილებიდან, სადაც განსაკუთრებით მძიმე პაციენტები იყვნენ განთავსებული.

კოვიდპანდემიის გაშუქებისას ჟურნალისტებმა

წარმატებით გაართვეს თავი ამოცანას, გაემიჯნათ ინფორმაცია და ინფოდემია, მძლავრი დეზინფორმაციული ნაკადი, დამახინჯებული და მცდარი ცნობები, რაც სდევდა პანდემიის გავრცელებას (იქნებოდა ეს ყალბი ცნობები ვირუსის წარმოშობაზე, მის დიაგნოსტირებაზე, თუ ვირუსის საპრევენციო და სამკურნალო საშუალებებზე). .

**სტიქიური უბედურების გაშუქება**

დიდი სირთულე ახლდა 2015 წელს 13 ივნისს თბილისში მდინარე ვერეს ადიდების შედეგად გამოწვეული სტიქიური უბედურების გაშუქებას. რადგან აზვირთებულმა მდინარემ დააზიანა ზოოპარკის ვოლიერები და ცხოველები ქუჩაში გაიქცნენ. სტიქიას 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 2 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მტაცებელი ცხოველის თავდასხმის მხვერპლი გახდა მშვიდობიანი მოქალაქე, თუმცა დიდი რისკის მიუხედავად, ჟურნალისტებმა მაინც გააშუქეს ვერეს ტრაგედია.

2023 წლის 3 აგვისტოს შოვიში მოვარდნილ ღვარცოფს 32 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ ტრაგედიამ მკაფიოდ გამოაჩინა, რაოდენ აუცილებელია კრიზისის დადგომისას ყველა სტრუქტურის კოორდინირებული და გამართული მუშაობა, რაც ასევე გულისხმობს მოსახლეობისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდებას. მომეტებული რისკის გამო, პირველ დღეებში მედია სტიქიის ზონაში არ დაუშვეს. ჟურნალისტებს ტრაგედიის ეპიცენტრიდან მოშორებით, მიმდებარე სოფლი-დან უწევდათ ინფორმაციის გადაცემა. ზოგმა მედიასაშუალებამ კი დრონები გამოიყენა ტრაგედიის უფრო ზუსტი სურათის შესაქმნელად.

**დასკვნა**

საკითხის შესწავლამ გამოკვეთა, რომ კრიზისების გაშუქებისას მედია გარკვეულ პრობლემებს აწყდება. კერძოდ, ოფიციალური სტრუქტურები აგვიანებენ ინფორმაციის გავრცელებას. ინციდენტის ადგილზე მომუშავე ჟურნალისტები ვერ იღებენ მკაფიო ინსტრუქციას, ჟურნალისტთა უმეტესობა არ იცნობს საქართველოს მთავრობის ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც კრიზისების მართვის მიმართულებით ხელისუფლების პოლიტიკას განსაზღვრავს. საკითხში ჩაღრმავებამ დაგვანახა, რომ საქართველოში მედიასაშუალებების უმეტესობას არ ჰყავს სპეციალიზებული ჟურნალისტი ტერორიზმის, რადიკალიზაციის ან ძალადობრივი ექსტრემიზმის გაშუქების მიმართულებით. აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას გამოვიყენეთ ა/ო „მედიის განვითარების ფონდის კვლევები“, რომელმაც ადგილობრივი და საერთაშორისო მედიის 30 წარმომადგენელი გამოკითხა. შექმნილი სურათიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ ჟურნალისტებს ჰქონდეთ კრიტიკულ სიტუაციაში გაწერილი ქცევის წესები, ე. წ. კრიზისული სიტუაციის გზამკვლევი და იცავდნენ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გაწერილ ჟურნალისტების უსაფრთხოების სახელმძღვანელო წესებს.

**ლიტერატურა:**


1. გემაზაშვილი ზ., საზღვარგარეთული მედიათეორიები, უნივერსალი, თბ. 2011,
2. მელვინ მენჩერი, „ახალი ამბების გაშუქება და წერა“, დიოგენე, თბ. 2013.
3. ჰიუსტონი ბ. ჟურნალისტ-გამომძიებელთა და რედაქტორთა ასოციაცია - ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო, თბ. 2009 წ.
4. https://netgazeti.ge/news/691619/ - ღაზის სექტორში, სულ მცირე, 7 ჟურნალისტი დაიღუპა
5. https://mdfgeorgia.ge/uploads//Crisis%20Publication-GEO.pdf - კრიზისული სიტუაციების გაშუქება, საჭიროებათა კვლევა (მედიის განვითარების ფონდი)
6. https://studfiles.net/preview/5083185/page:19/ - „Свобода и социальная ответственность прессы“.

**Journalist's social responsibility when covering crises**

***Isolda Rikadze, PhD student***
***Georgian Technical University***

**Summary**

This article discusses the issue of journalist's responsibility when covering any event and highlights how the media's moral and social responsibility increases when disseminating information about crisis events. In order to see the journalist's responsibility from this prism, the article discusses a number of crisis events, which journalists even put their lives at risk to cover. The article includes the opinions of a number of practicing journalists and media researchers regarding the journalist's social responsibility.

The professional media is well aware that not only the law calls for responsibility, it feels its own responsibility to the society, the state, the editors and the people it writes about. A conscientious and responsible journalist feels the moral responsibility most strongly toward themselves.

Speaking about the journalist's sense of responsibility and high moral values, we will invoke Melvin Mencher's opinion, according to which: "Responsibility is the reporter's commitment to the story, journalism and society." The responsibility of the reporter requires that the story be complete, fair, balanced and clearly conveyed."

A complex discussion of journalistic responsibility is based on its importance and specific role in modern society, where it occupies an active position at the crossroads of social relations. The social, civil and legal responsibilities of a journalist are closely related, because those who write are responsible for their words.

Social responsibility requires a journalist to act ethically in any case. The protection of media ethics is really important for a journalist, but in a crisis situation, when life may be threatened along with various dangers, how should a responsible media act? As the study of the issue showed, it is important for the media to have written rules of behavior in a crisis situation, journalists were armed with crisis situation guides. The research carried out in this direction showed that Georgian journalists are less familiar with the standards of behavior in crisis situations, most of the media outlets have not written down how journalists should behave in extraordinary, difficult situations, although journalists go to cover crises at the cost of great risk and provide the public with the necessary information.

# მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ინფორმაციულ საზოგადოებაში

*თეონა რობაქიძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

პოლიტიკის დინამიკურ სამყაროში კომუნიკაცია წარმოადგენს ერთის მხრივ ინსტრუმენტს, ხოლო, მეორეს მხრივ, ფუნდამენტს, რომელზეც პოლიტიკური ლიდერები და ორგანიზაციები აშენებენ თავიანთ რეპუტაციას, აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს და საბოლოოდ აღწევენ თავიანთ მიზნებს. ინფორმაცია კი იკავებს ცენტრალურ ადგილს თანამედროვე სისტემებში და მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინფორმაციის გადაცემის (კომუნიკაციის) გარეშე, შეუძლებელი ხდება სისტემების, განსაკუთრებით კი პოლიტიკური სისტემის ჯანსაღი ფუნქციონირება და სტაბილურობის შენარჩუნება.

ინფორმაციულ-კომუნიკაციური რევოლუციის შედეგად, ჩვენ დავიწყეთ ცხოვრება ინფორმაციულ ერაში, გლობალურ ,,ელექტრონულ საზოგადოებაში", სადაც ,,ინფორმაციის ახალი წესები" **პრევალირებს**. ჩვენს დროში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მისი გავლენის დიდ დიაპაზონზე აღარავინ დავობს. ეს არის ეპოქა, სადაც პოლიტიკაც ახალ თვისებებს იძენს; მას უწევს მოქმედება ახალ სიბრტყეში, სადაც თავად გვევლინება ერთდროულად როგორც **დეტერმინატორის,** ასევე დეტერმინირებულის როლში; მართვა და პოლიტიკური მიზნების რეალიზება უპირობოდ მოითხოვს ეფექტურ კომუნიკაციას, რაც თავის მხრივ წარმოუდგენელია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გარეშე.

სტატიაში განხილულია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, როგორც პოლიტიკური მენეჯმენტის სისტემური სტაბილობის მხარდამჭერი, მათი სახეები, როლი და მნიშვნელობა თანამედროვე პოლიტიკურ ლანდშაფტში. სტატია ეძღვნება თანამედროვე პოლიტიკური მენეჯმენტის საკომუნიკაციო ხასიათის ანალიზს და დაკავშირებულ საკითხებს. აანალიზებს ღირებულებებისა და მნიშვნელობების როლს, რომლებიც კომუნიკაციის პროდუქტია და გავლენას ახდენს პოლიტიკური მიზნების წარმოება-განხორციელებაზე. როგორც აღმოჩნდა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს განუსაზღვრელი გავლენა აქვს მართვის პროცესის ყველა ეტაპზე, მითუმეტეს თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების პირობებში, სადაც პოლიტიკური მენეჯმენტის საკომუნიკაციოსაფუძველიხდებაფუნდამენტურად მნიშვნელოვანი პირობა მენეჯმენტის ნებისმიერი პროცესის ეფექტური განხორციელებისთვის, სტაბილურობასა და წარმატებისათვის.

სტატია ეხება მრავალმხრივ გზებს, რომლითაც მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები მოქმედებს როგორც პოლიტიკური მართვის სტაბილურობის მხარდამჭერი, ხელს უწყობს პოლიტიკური მენეჯმენტის ობიექტთა ინფორმირებას, პროცესის გამჭვირვალობას და ზრდის აქტორთა ანგარიშვალდებულებას, რაც აუცილებელია პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

**შესავალი**

21-ე საუკუნეში მმართველობის თანამედროვე, დემოკრატიულ პირობებში, როდესაც საუბარია ახალი ტიპის საზოგადოებაზე, სადაც ინფორმაცია, მისი გავრცელების გზები და ტენდენციები განსაკუთრებულ როლს ასრულებს, როდესაც ხაზს უსვამენ ქსელური საზოგადოების ჩამოყალიბებას და მისი გავრცელების განსაკუთრებულ ტემპებს, რომელიც სულ უფრო მეტადაა მიჯაჭვული მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს და სრულად თუ არა, მაინცადამაინც ვირტუალურ, ქსელურ რეალობაში ცხოვრობს, რთულია გაარკვიო, რა უფრო ახდენს გავლენას ერთმანეთზე - პოლიტიკა მასკომუნიკაციის საშუალებებზე, თუ პირიქით. **მედიატიზაციის** პირობებში, პოლიტიკას უფრო მეტად უწევს თანამედროვე **მედიალოგიკას** დაემორჩილოს თუ მაინც მედია უფრო განიცდის პოლიტიკის ველის გავლენას.

თანამედროვე საზოგადოების გააზრება, გაანალიზება მასობრივი კომუნიკაციის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც "დღეს ჩვენ ძალიან ვართ დამოკიდებულნი მედიის არსებობასა და მის შინაარსზე". უკვე დიდი ხანია, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. დღეს პოლიტიკური მენეჯმენტის აქტორები საკუთარ სტრატეგიებს სწორედ **მედიალოგიკის**

შესაბამისად ადგენენ. ისინი ცდილობენ გამოიყურებოდნენ შესაბამისად, გამოჩნდნენ იქ და ისე რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით, მათი იმიჯი და ნათქვამი აუდიტორიამდე მივიდეს.

ურთიერთქმედება მასობრივ კომუნიკაციასა და პოლიტიკურ მენეჯმენტს შორის რთული და მრავალმხრივია. მასობრივი კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან საშუალებებს, გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, ხელს უწყობს სამოქალაქო ჩართულობას და, საბოლოოდ, გავლენას ახდენს პოლიტიკური მენეჯმენტის სტაბილურობასა და ეფექტურობაზე.

რთული კავშირი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებსა და პოლიტიკური მენეჯმენტის, როგორც მართვის მოდერნულ ფორმას შორის, შეიძლება გავიგოთ კომუნიკაციის მრავალმხრივი ზემოქმედების კუთხით. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები მოქმედებს როგორც გამტარი, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას მმართველებსა და მართულებს შორის; სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური მენეჯმენტის სუბიექტებსა და ობიექტებს შორის. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები აყალიბებს საზოგადოებრივ დისკურსს, პოლიტიკურ ნარატივებს და გავლენას ახდენს კოლექტიურ ცნობიერებაზე. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები მოქმედებს როგორც დამკვირვებელი, ამოწმებს პოლიტიკურ აქტორთა ქმედებებს, აკისრებს ლიდერებს პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას პოლიტიკური მენეჯმენტის ობიექტთათვის- მოქალაქეებისთვის, რათა გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, განწყობები და დამოკიდებულებები, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში, წვლილი შეიტანონ პოლიტიკურ დიალოგსა და პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირებაში.

**ძირითადი ნაწილი**

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების განხილვა პოლიტიკური მენეჯმენტის სისტემური მხარდამჭერის ჭრილში, ვერ იქნება სრულყოფილი მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე სახეებისა და მათ როლის განსაზღვრის გარეშე.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ესაა ინფორმაციის ფიქსაციის, კოპირებისა და სისტემური პერიოდული გავრცელების ტექნიკური საშუალებები, ანუ პრესა, რადიო, ტელევიზია და ინტერნეტ ჟურნალისტიკა. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს ახასიათებთ: პერიოდულობა და სისტემურობა, ინფორმაციული პროცესის მთლიანობა, ოპერატიულობა, **კონტენტუალობა**, დისკრეტულობა.

შეგვიძლია გამოვყოთ მასობრივი კომუნიკაციის რამდენიმე ძირითადი საშუალება, ინფორმაციული საზოგადოების პირობებში, რომელთაც ეყრდნობა და რომელთა მეშვეობითაც ხდება პოლიტიკური მენეჯმენტის უზრუნველყოფა :

1. ბეჭდური მედია, რომელიც მოიცავს გაზეთებს, ჟურნალებს და სხვადასხვა სახის ბეჭდურ პუბლიკაციებს. ციფრული მედიის ზრდის მიუხედავად, ბეჭდური მედია რჩება ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ. გაზეთები, კვლავაც მნიშვნელოვანია სიღრმისეული გაშუქებისა და გავრცელებისთვის. ინფორმაციულ საზოგადოებაში, ბეჭდური მედია ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს სიღრმისეული ანალიზისა და ინფორმაციის ხელშესახები წყაროს შეთავაზებით.

2. სამაუწყებლო მედია- სამაუწყებლო მედია მოიცავს ტელევიზიას და რადიოს, რომლებიც საკმაოდ ძლიერი იარაღია სხვადასხვა პოლიტიკური დისკურსის გასავრცელებლად. ტელევიზია თავისი ვიზუალური და აუდიო ელემენტებით ღრმა გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. წლების განმავლობაში სწორედ ტელევიზია წარმოადგენდა ინფორმაციის მიღებას ძირითადი წყაროს. რაც შეეხება რადიოს, მიუხედავად მისი მოხმარების ტენდენციების ასეთი ვარდნისა ინტერნეტის პოპულარობის ზრდის კვალდაკვალ, რადიო კვლავ რჩება საკმაოდ ხელმისაწვდომ მობილური საშუალება.

3. ონლაინ და ციფრული მედია - ინტერნეტის გამოჩენამ რევოლუციურად შეცვალა მედია ლანდშაფტი. ონლაინ და ციფრული მედია მოიცავს ვებსაიტებს, სოციალური მედიის პლატფორმებს, ბლოგებს და ონლაინ საინფორმაციო გამოშვებებს. ონლაინ და ციფრული მედია, ,,ახალი მედიის'' სახელით დაიმკვიდრა თავი, ეს არის მასობრივი კომუნიკაციის, თანამედროვე, უკონკურენტო საშუალება, რომელმაც მოახდინა რევოლუცია ინფორმაციის წვდომის, გაზიარებისა და მოხმარების გზაზე. ,,ახალი მედია'' ინფორმაციის რეალურ დროში განახლების, ინტერაქტიურობისა და გლობალური წვდომის საშუალებას იძლევა.

4. სოციალური ქსელები- სოციალური მედიის ქსელები, ისეთი პლატფორმები, როგორიცაა Facebook, Twitter, Instagram, YouTube თუ სხვა გახდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის თვალსაჩინო წყარო. ისინი ხელს უწყობს ახალი ამბების, მოსაზრებების და პირადი გამოცდილების გაცვლას

გლობალური მასშტაბით. სოციალური ქსელები ინდივიდებს საშუალებას აძლევს, წვლილი შეიტანონ ინფორმაციულ საზოგადოებაში მათი შეხედულებების გაზიარებით, მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებითა და სოციალურ- პოლიტიკური მოძრაობების ორგანიზებითაც კი.

5. განვითარებადი ტექნოლოგიები- განვითარებადი ტექნოლოგიები, როგორიცაა ვირტუალური რეალობა (VR), გაძლიერებული რეალობა (AR) და პოდკასტი, აყალიბებს მედია ლანდშაფტს. VR და AR გვთავაზობენ ისტორიების თხრობის გამოცდილებას, ცვლის ინფორმაციის წარმოდგენისა და მოხმარების გზას. პოდკასტი უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ პლატფორმას სიღრმისეული დისკუსიებისა და დისკურსის შინაარსისთვის. ახალი მედია და განვითარებადი ტექნოლოგიები აფართოებს ინფორმაციული საზოგადოების საზღვრებს ინფორმაციის გადაცემისა და აუდიტორიის ჩართულობის ინოვაციური გზების დანერგვით.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალები განსხვავებულ გამოსახვით სისტემას ემყარება: პრესა გრაფიკულ ნიშნებსა და ფოტოგრაფიას, რადიომაუწყებლობა (ბგერითი ხასიათის ნიშანთა სისტემას **(აუდიურობას)**, ტელევიზია, კინო და ინტერნეტი აუდიოვიზუალურ სისტემას. მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში საზოგადოებისა და მასობრივი კომუნიკაციის ურთიერთობის მექანიზმი ემყარება: საკანონმდებლო დოკუმენტებს, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა შინაგან კანონებს, არასამთავრობო მარეგულირებელ სტრუქტურებს. საკუთრების ფორმა განსაზღვრავს მასობრივი კომუნიკაციის ტიპებსაც. მსოფლიო პრაქტიკაში სამი ასეთი ფორმა ჩამოყალიბდა - სახელმწიფო, კერძო-კომერციული, საზოგადოებრივი - არაკომერციული. ამჟამად, საქართველოში, ისევე როგორც აშშ-ში და ევროპაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფინანსების რამდენიმე ტიპი არსებობს: აუდიტორიის მიერ, რეკლამების დამკვეთების მიერ , სახელმწიფოს მიერ, სააბონენტო გადასახადით (საზოგადოებრივი მაუწყებლობა), რეკლამების დამკვეთისა და აუდიტორიის მიერ და სხვა შერეული ფორმები.

ჩვენ ეპოქაში ძირითადი პოლიტიკური დისკურსი ღიაა იმისათვის, რომ იგი წარმოდგენილ იქნას მასობრივი კომუნიკაციის ზემოთჩამოთვლილ საშუალებებში. ეს არის არა მხოლოდ მზაობა, არამედ აუცილებლობაც კი; პოლიტიკის მედიატიზაციის პირობებში, პოლიტიკოსები ნებისმიერ განცხადებას, ნებისმიერ თემაზე საუბარსა თუ გამოჩენას საინფორმაციო ველში, პოლიტიკური სიტყვის თქმის ჟანრში აქცევენ და ცდილობენ ხშირად მოხვდნენ ამ ველში, რადგანაც ესმით მედიატიზაციის მნიშვნელობა. ეს მოვლენა ზოგჯერ აღიქმება პოლიტიკის კოლონიზაციად მედიის მიერ, ზოგჯერ კი პირიქით, მედიის კოლონიზაციად პოლიტიკის მიერ.

პოლიტიკური მენეჯმენტის კომუნიკაციური ბუნება, თავის თავშივე გამორიცხავს მის განხორციელებას კომუნიკაციის გარეშე. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გავლენის ზრდა პოლიტიკურ სისტემაში, მით უფრო მართვის უაღრესად აქტუალურ ფორმაში, როგორიცაა პოლიტიკური მენეჯმენტი, სრულ შესაბამისობაშია ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციით გამოწვეულ ცვლილებებთან. ახალი ტექნოლოგიების შექმნა ყოველთვის იწვევდა უმნიშვნელოვანეს ძვრებს ნებისმიერი საზოგადოების განვითარებაში. კომუნიკაციის პროცესში ამგვარი როლი შეასრულა დამწერლობამ და ბეჭდურმა წიგნმა,ფოტოგრაფიამ და ტელეგრაფმა, კინომ და რადიომ, მაგნიტოფირმა და ტელევიზიამ და ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა. ახალი ტექნოლოგიები უდიდეს როლს ასრულებს ნებისმიერი საზოგადოების მართვის პროცესში და ბუნებრივია, გამონაკლისი არც ინფორმაციული საზოგადოებაა, სადაც ინტერნეტიზაციისა და ,,ახალი მედიის'' მეშვეობით, პოლიტიკური სისტემა მუდმივ ინტერაქციაშია სხვა სისტემებთან; პოლიტიკური მენეჯმენტის აქტორის უპირველესი ამოცანა ხომ იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი პრინციპები თავს მოახვიოს სხვა ობიექტებს, შეცვალოს მათი ქცევა და მოიპოვოს გავლენა, ამიტომაც ახორციელებს პოლიტიკურ კომუნიკაციას, რაც გულისხმობს პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემის პროცესს, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების წყალობით. სწორედ ამ უკანასკნელთა მეშვეობით ინფორმაცია მოძრაობს პოლიტიკური მენეჯმენტის სუბიექტსა და ობიექტს შორის, სისტემის ერთი ნაწილიდან მეორეში და ბრუნავს პოლიტიკურ სისტემასა და სოციალურ სისტემას შორის .

მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას მედიაწარმოადგენს. მართალია, მედიის სხვადასხვა ფორმები აუდიტორიის სხვადასხვა რაოდენობაზეა გათვლილი, მაგრამ თითოეული მათგანი საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. რაც უფრო ფართო აუდიტორიაზე გასვლაა პოლიტიკური ძალის მიზანი, მით უფრო ხშირად იყენებს პოლიტიკური აქტორი მედიის ყველაზე გავრცელებულ ფორმას .

თანამედროვე პირობებში, კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებას ტელევიზია და სოციალური ქსელები წარმოადგენს. ტელევიზიაცა და სოციალური ქსელებიც, როგორც მკს-ის ყველაზე გავრცელებული ფორმა, ფლობს განსაკუთრებულ ძალაუფლებას პოლიტიკური მენეჯმენტის პროცესში. ეს არის პოლიტიკური პროდუქტის გაყიდვის ყველაზე მოქნილი და თანამედროვე გზა, მარტივი მიზეზით- მოსახლეობის უმრავლესობა ინფორმაციას მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ იღებს სწორედ ტელევიზიისა და სოციალური ქსელების საშუალებით. ტელევიზიის ასეთი მნიშვნელობა პოლიტიკური მენეჯმენტისთვის განისაზღვრება, ერთი მხრივ, კომუნიკაციის ამ ფორმის ხელმისაწვდომობით მოსახლეობის უმრავლესობისთვის, მეორე მხრივ, კი თავად პოლიტიკის თავისებურებით, უფრო ზუსტად კი ელექტორალური მოქმედების თავისებური ემოციონალურ-კოგნიტური სტრუქტურით, რასაც კარგად იყენებს პოლიტიკური გარემო საკუთარი მიზნების მისაღწევად.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება საქართველოში, შეგვიძლია განვიხილოთ მედიის განვითარების ფონდის (MDF) ერთ-ერთი უახლესი კვლევა- ,, რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო თანხების განაწილების პრაქტიკა'', რომელიც 2021 წელს ჩატარდა და ნათლად ასახავს ინფორმაციისა და რეკლამის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო სახსრების განაწილების 2021 წლის პრაქტიკას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საჯარო მონაცემებსა და, გარკვეულ შემთხვევებში, საჯარო უწყებებიდან დამატებით გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ 2021 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან სარეკლამო და საინფორმაციო მომსახურების მიზნით მედია საშუალებებთან გაფორმებული მომსახურების კონტრაქტებიდან ყველაზე დიდი წილი - 35.6 % სწორედ ონლაინ მედიაზე მოდის; შემდეგ კი - 16.4 % ნაციონალური და შერეული დაფარვის ტელევიზიებზე. როგორც ვხედავთ, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში ონლაინ მედიის მზარდ პოპულარობისა და გავლენის მსოფლიო ტენდენცია, იდენტურია საქართველოშიც.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები უდიდეს ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური პოზიციების ჩამოყალიბებაზე. ეს ხდება არა იმდენად ინდივიდთა პოზიციებზე მათი სპეციფიკური ზემოქმედების გამო, არამედ რამდენადაც ისინი იქცნენ იმ ცოდნის მოპოვების საშუალებებად, რომლებზეც დამოკიდებულია პოლიტიკური ცხოვრება. ინფორმაციულ საზოგადოებაში პოლიტიკური მენეჯმენტის სუბიექტიცა და ობიექტიც გადაწყვეტილებებს იღებს არა იმის მიხედვით, რაც ობიექტურად სწორი ან რეალურია, არამედ რაც მათ ინფორმაციის სახით მიეწოდებათ.




დიაგრამა. ინფორმაციის გავრცელების მიზნით საბიუჯეტო სერვის კონტრაქტების განაწილება მედიასაშუალებების ტიპოლოგიის მიხედვით

აქ, ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკის მენეჯმენტის ემოციური ხასიათის დაფიქსირება. ეს არის ინფორმაცია, რომელსაც ობიექტს აწვდიან მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით, რაც უქმნის მას შთაბეჭდილებას, უყალიბებს გარკვეულ პოზიციას ისე, რომ უბრალოდ, იღებს მას როგორც მოცემულობას. პოლიტიკური მენეჯმენტის სტრატეგიით გათვლილი და გაკეთებული ნებისმიერი პოლიტიკური განცხადება, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით ვრცელდება არის პოლიტიკური გზავნილი, რომელსაც აღიქვამს აუდიტორია. ეს გზავნილები განსხვავებულია თავისი შინაარსით, თუმცა ამოცანა ერთი აქვს _ გამოიწვიოს სასურველი რეაქცია. **ჯეიმსონის** აზრით, "პოლიტიკური განცხადებები რომ არ არსებობდეს, ჩვენ ისინი უნდა შევქმნათ, რადგანაც ეს ახდენს პოლიტიკური ინსტიტუტების **ლეგიტიმიზაციას** და ამტკიცებს იმას, რომ ცვლილება პოლიტიკურ სისტემაში შესაძლებელია; რომ ჩვენს ხმას შეუძლია შექმნას რაღაც განსხვავებული.

პოლიტიკური განცხადებების არსებობა ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას აქვს მომავალი". პოლიტიკური განცხადებების პრეზენტირება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით არის გარანტია იმისა, რომ ის მრავალრიცხოვან აუდიტორიაზე გავრცელდება, ხოლო მათი ინტერაქტიური ხასიათი, იძლევა გარანტიას, რომ კონკრეტულმა პოლიტიკურმა

განცხადებამ საპასუხო, ხშირად სასურველი რეაქცია გამოიწვიოს.

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები არის საუკეთესო ფორმა პოლიტიკურ სივრცეში წარმატების მისაღწევად, მეტიც პოლიტიკური მენეჯმენტის პროცესის სტაბილური და სისტემური უზრუნველყოფის მხარდასაჭერად, რადგანაც პოლიტიკური მენეჯმენტის სუბიექტი ცდილობს ელექტორატის მაქსიმალური რაოდენობა მოიცვას, ამის რეალიზების საუკეთესო საშუალებას კი სწორედ **მკს**-ის საშუალებები წარმოადგენს; სწორედ მათი საშუალებით არის შესაძლებელი პოლიტიკურ იერარქიაში გარკვეული ადგილის დაკავება. ახალი დროის პოლიტიკა, **სარჩინელის** თქმით, "არ არის კომპეტენტური, თუ ის არ არის კომპეტენტური **მკს**-ის სფეროში. პოლიტიკური აქტორის რეიტინგის ზრდაც დიდწილადაა დამოკიდებული მის უნარზე, იმუშაოს საზოგადოებასთან, რადგანაც ტრადიციული პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ საორგანიზაციო უნარების ქონაში გამოიხატებოდა, დღეს უკვე არაეფექტურია. ინფორმაციულ საზოგადოებაში ადგილი აქვს პოლიტიკის პერსონალიზაციას.

როგორც ვთქვით, მასობრივი კომუნიკაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტიკური ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში, რამეთუ მისი გავლენა ვრცელდება პოლიტიკური მენეჯმენტის სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის სტაბილურობაზე; კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ როგორ მოქმედებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ინფორმაციულ საზოგადოებაში და რა გზით უზრუნველყოფს პოლიტიკური მენეჯმენტის სტაბილურობის მხარდაჭერას? მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ძირითადი ფუნქციები, რომლებსაც **მკს**-ის საშუალებები ასრულებს პოლიტიკურ მენეჯმენტში:

- მოქალაქეობის ინფორმირება- მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება. დემოკრატიულ საზოგადოებაში კი ინფორმირებული მოქალაქეობა გადამწყვეტია პოლიტიკური სტაბილურობისთვის. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესში: უზრუნველყოფს საზოგადოებაში სათანადო ცოდნის გადაცემას პოლიტიკური საკითხების, პოლიტიკისა და მთავრობის მუშაობის შესახებ, რაც ეხმარება მოქალაქეებს გააცნობიერონ თავიანთი არჩევანის შედეგები და ამასთან, მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმით მკს-ს შეუძლია გავლენა მოახდინოს საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრების დღის წესრიგზე.
- პოლიტიკური მენეჯმენტის პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობა - პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობა სტაბილურობის ფუნდამენტური ელემენტია. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტიკური აქტორების პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მათი ქმედებების ღიად წარმართვის უზრუნველსაყოფად. ამ თვალსაზრისით, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით პოლიტიკური მენეჯმენტის ობიექტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია აქტორთა შესახებ, როგორიცაა პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ფინანსური ჩანაწერები, შეხვედრის ოქმები თუ სხვ. ეს გამჭვირვალობა კი ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას მმართველებისა და მმართველობის კანდიდატებისადმი.

**ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა.** ანგარიშვალდებულება არის ნებისმიერი სტაბილური პოლიტიკური სისტემის ქვაკუთხედი. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები მოქმედებს როგორც დამკვირვებელი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური აქტორების პასუხისმგებლობას თავიანთ ქმედებებზე და გადაწყვეტილებებზე; იმის ცოდნა, რომ მათი ქმედებები მუდმივი საზოგადოების შეფასების ქვეშაა, ხელს უწყობს რომ აქტორებმა იმოქმედონ თავიანთი ამომრჩევლების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

**საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.** მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ღრმა გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს პოლიტიკური მენეჯმენტის სტაბილურობაზე: უზრუნველყოფენ რა პლატფორმებს საჯარო დისკურსისთვის და დიალოგისთვის, ფლობენ უნარსა და შესაძლებლობას გავლენა იქონიონ ადამიანების მიერ მოვლენების/საკითხების ინტერპრეტაციაზე.

კრიზისის მენეჯმენტი- მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში კრიზის დროს. იქნება ეს სტიქიური კატასტროფა, ეკონომიკური ვარდნა თუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო მდგომარეობა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები

გვეხმარება კრიტიკული ინფორმაციის გავრცელებაში, ხელს უწყობს ერთიანობას .

დასასრულს, შეგვიძლია თამამად აღვნიშნოთ, რომ მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები ეს არის უმნიშვნელოვანესი იარაღი, ერთი მხრივ პოლიტიკოსების ხელში, რომლებიც მათი მეშვეობით სულ უფრო უკეთ ახერხებენ ხალხის ინტერესები ,,შეუსაბამონ'' სახელმწიფოს ინტერესებს და აწარმოონ ეფექტური პოლიტიკური მენეჯმენტი გავლენის მოსაპოვებლად, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფენ რა მოქალაქეთა ინფორმირებულობას, ჩართულობას და მობილიზებას, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ასევე წარმოადგენს საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ძალას პოლიტიკურ ლანდშაფტში სასურველი ცვლილებების მისაღწევად.

**დასკვნა**

20 საუკუნის ბოლოსათვის საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ახალი საზოგადოების როგორც ინფორმაციულის, კომუნიკაციების საზოგადოების შესახებ საუბარი. დღეს თითქმის აღარავინ დავობს იმაზე, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების სწრაფი გავრცელების საფუძველზე, სამყაროში რადიკალურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი . შეიძლება ითქვას, რომ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელება უფრო პროდუქტიული წარმოებისათვის, რაციონალური ორგანიზებისა თუ ინფორმაციის ეფექტური გამოყენების პროცესისათვის ხელშემწყობი ფაქტორია. სწორედ ამ პროცესს შეიძლება ეწოდოს "ინფორმაციული რევოლუცია", რომლის ნაყოფიცაა ინფორმაციული საზოგადოება.

ინფორმაციული საზოგადოების ცნება გასული საუკუნის შუა წლებში პირველად იაპონიასა და აშშ-ში გაჩნდა. იგი უკავშირდება კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში მომხდარ პროგრესს. ეს ტექნოლოგიური პროცესი კი წარმოიშვა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს მომსახურების სფეროს ეკონომიკური როლის ზრდა და ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვება. ეს ორივე გარემოება აძლიერებს ადამიანის როლს საზოგადოებაში და წარმოშობს გადაწყვეტილებათა მიღების ტექნოკრატიულ სისტემებს. ინფორმაცია, როგორც ცოდნის გადაცემის საშუალება მნიშვნელოვანი იყო ყველა საზოგადოებაში; ახალი საზოგადოების განმასხვავებელ ნიშანს ის წარმოადგენს, რომ ახალი ტექნოლოგიური პირობების წყალობით ინფორმაციის გენერირება, დამუშავება და გადაცემა იქცა ძალაუფლებისა და წარმოების წყაროდ.

პოლიტიკური მენეჯმენტის პროცესში ინფორმაციის დამუშავება მიმართულია ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე. ინფორმაციონალიზმი ორიენტირებულია ტექნოლოგიურ განვითარებაზე; ინფორმაციის მოპოვება, მისი დამუშავება, შენახვა და გადაცემა არის ის ძირითადი ამოცანები, რომელიც მართვის წინაშე დგას. ახალი ტექნოლოგიების შექმნა ყოველთვის იწვევდა უმნიშვნელოვანეს ძვრებს ნებისმიერი **საზოგადოების** განვითარებაში. კომუნიკაციის პროცესში ამგვარი როლი შეასრულა დამწერლობამ და ბეჭდურმა წიგნმა,ფოტოგრაფიამ და ტელეგრაფმა, კინომ და რადიომ, მაგნიტოფირმა და ტელევიზიამ, უახლესმა ციფრულმა და ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა. ტექნოლოგია უდიდეს როლს ასრულებს ნებისმიერი საზოგადოების მართვის პროცესში და ბუნებრივია, გამონაკლისი არც ინფორმაციული საზოგადოებაა, სადაც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს განუსაზღვრელი გავლენა აქვს როგორც მმართველებზე, ასევე მართულებზე. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების პირობებში, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ეფექტური გამოყენება წარმოადგენს ფუნდამენტურად მნიშვნელოვან პირობას პოლტიკური მენეჯმენტის ნებისმიერი პროცესის ეფექტური განხორციელებისთვის, სტაბილურობასა და წარმატებისათვის.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები უზრუნველყოფს პოლიტიკური მენეჯმენტის პროცესის სტაბილურობას, მისი როლითა და ფუნქციებით მოქალაქეების ინფორმირებაში, გამჭვირვალობის ხელშეწყობაში, ანგარიშვალდებულების ზრდაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და კრიზისის მენეჯმენტში.

დასასრულს, არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების როლი, როგორც პოლიტიკური მენეჯმენტის სტაბილურობის მხარდამჭერი. მკს ემსახურება ინფორმაციის მიწოდებას, ქმნის პლატფორმებს დიალოგის და ხელს უწყობს პასუხისმგებლობის დაკისრებას. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე, სამოქალაქო ჩართულობასა და მმართველთა მოქმედებებზე აყალიბებს პოლიტიკური სტაბილურობის დინამიკას. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების განვითარებადი ლანდშაფტი, თავისი გამოწვევებითა და შესაძლებლობებით, მოითხოვს ფრთხილ და კრიტიკულ მიდგომას მისი პოტენციალის ეფექტურად

გამოყენების მიზნით. პასუხისმგებლობით სავსე, ეთიკური და მიუკერძოებელი გაშუქების მნიშვნელობის აღიარება გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მკს კვლავაც იყოს პოლიტიკური სტაბილურობის საყრდენი მუდმივად განვითარებად სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში.

## ლიტერატურა


1. ბერძენიშვილი, ა. (2000). პოლიტიკური სოციოლოგია. თბ
2. მაცაბერიძე მ. (2003) პოლიტიკური მარკეტინგს საფუძვლები, ,,მეცნიერება'', თბილისი
3. Volodenkov S.V ( 2017) POLITICAL MANAGEMENT AS AN INFORMATION AND COMMUNICATION REGULATION PROCESS OF MODERN PUBLIC RELATIONS
4. H. T. Wilson (1985) Political Management
5. Dennis W. Johnson (2008) Routledge Handbook of Political Management, New York
6. ესებუა ფ. (2011 )პიერ ბურდიეს სოციოანალიზი: ენერგოსექტორი - პოლიტიკის ველისა და ჟურნალისტიკის ველის გადაკვეთის წერტილი ქართულ პრესაში


**Means of mass communication in the information society**


***Teona Robakidze, PhD student***
***Georgian Technical University***


**summary**


In the dynamic world of politics, communication is both a tool and a foundation on which political leaders and organizations build their reputations, shape public opinion, and ultimately achieve their goals. Information occupies a central place in modern systems and has a significant impact on social, economic, and political relations, we can safely say that without information transfer (communication), the healthy functioning and stability of systems, especially the political system, becomes impossible.

As a result of the information-communication revolution, we started living in the information era, in the global "electronic society", where "new rules of information" prevail. In our time, no one disputes the special importance of the means of mass communication and its wide range of influence. This is the era where politics also acquires new features; He has to act in a new plane, where he appears to us simultaneously in the role of both the determiner and the determined; Management and realization of political goals absolutely require effective communication, which in turn is unthinkable without mass communication means.

The article discusses the means of mass communication as a supporter of the systemic stability of political management, their types, roles, and importance in the modern political landscape. The article is devoted to analyzing the communicative nature of modern political management and related issues. Analyzes the role of values and meanings that are the product of communication and influence the production and implementation of political goals. As it turned out, the means of mass communication have an indeterminate influence on all stages of the management process, especially in the conditions of the modern information society, where the communication basis of political management becomes a fundamentally important condition for the effective implementation, stability, and success of any management process.

The article deals with the multifaceted ways in which mass communication media acts as a supporter of stability of political governance, helps to inform the objects of political governance, transparency of the process, and increases the accountability of actors, which is necessary to maintain the stability of the political system.

# მედიაზე ზემოქმედების პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორები (ქართული სატელევიზიო სივრცის მაგალითზე)

*ნათია სორდია, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

მედიის როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით გაიზარდა მეოცე საუკუნეში. თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია იქცა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ელემენტად, მისი როლი ამ სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მედიის თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხს.

მედიის თავისუფლების და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს - როგორ ემსახურება სიმართლეს ესა თუ ის მედიასაშუალება და რა სისტემაში უწევს მას ფუნქციონირება. ამ სისტემას ქმნის რამდენიმე - საკანონმდებლო, ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ფაქტორების ერთობლიობა, ანუ პოლიტიკური სისტემა და საზოგადოებრივი კონტექსტი განმსაზღვრელია მედიის და მისი შინაარსის ანალიზისთვის, რადგან გასათვალისწინებელია მასმედიის ორგანიზაციებზე სახელმწიფოს კონტროლის ხარისხი, მედიის მიკერძოებულობის დონე და მედიის და პოლიტიკური ელიტის ინტეგრაცია.

„მედიის სისტემების შედარება- მედიისა და პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი“ - დ.ჰალინის და პ.მანჩინის ეს მონოგრაფია მსოფლიოს ქვეყნების მედიასისტემების ერთგვარი კლასიფიკაციაა. ავტორების აზრით, ყველა ქვეყნის მედიასისტემა ეფუძნება კომპონენტებს: განვითარებულ მედიაბაზარს, რომელიც დაფუძნებულია მასობრივ პრესაზე, პოლიტიკურ პლურალიზმს მედიაში, სახელმწიფოსა და მასმედიის ურთიერთობასა და ჟურნალისტიკის პროფესიონალიზმის დონეს. (ჰალინი & მანჩინი, 2015) ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მკვლევრებმა მედიისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთობის სამი მოდელი შემოგვთავაზეს: **ლიბერალური** (ჩრდილოატლანტიკური მოდელი); **კორპორატისტული დემოკრატიის** (ჩრდილო-ცენტრალური ევროპის მოდელი) **პოლარიზებული პლურალიზმის** მოდელი, რომელიც სამხრეთ ევროპის მედიტერიანულ ქვეყნებს ახასიათებთ. პოლარიზებული პლურალიზმის მოდელისთვისაა დამახასიათებელი მედიის პარტიულ პოლიტიკაში ინტეგრირება, კომერციული მედიის განვითარების მწირი ისტორია და სახელმწიფოს გავლენის მაღალი ხარისხი. ევროპის ცენტრალური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სხვა ისტორიული წარსული და მოცემულობა აქვთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, შესაბამისად, რთულია მათი პირდაპირ მიკუთვნება ჰალინისა და მანჩინის მიერ კონცეპტუალიზებულ სამიდან რომელიმე ერთ მოდელში, რადგანაც მედიამ გარკვეული მემკვიდრეობითობა საბჭოთა კომუნისტური მოდელისგან მიიღო. ნაშრომი მიზნად ისახავს, მცირე ექსპერტული კვლევის საფუძველზე ვაჩვენოთ, როგორია ქართული მედიასისტემის არსებული მოდელი და რა ახდენს ძირითად გავლენას სატელევიზიო მედიის ფუნქციონირებაზე.

საკვანძო სიტყვები: მედია, მედიის თავისუფლება, დამოუკიდებლობა, პოლიტიკური გავლენა, პოლიტიკური სისტემა, მედიასისტემა;

**შესავალი**

დემოკრატიული ტრანზიცია რთული პროცესია. იგი მრავალი ინსტიტუტის, მათ შორის მასმედიის, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების ცვლილებასა და ურთიერთობის ტრანსფორმაციასაც მოიცავს. შემთხვევითი არ არის, რომ მედიასისტემაც სწორედ ისტორიულ-კულტურული გარემოებების გავლენით ყალიბდება. რა სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები ახდენს გავლენას მედიაზე და როგორია მისი პრიორიტეტები? ამის გასარკვევად დავგეგმეთ მედიაზე ზემოქმედების ფაქტორების და იმ გარემოებების შესწავლა, რაც გავლენას ახდენს სატელევიზიო მაუწყებლების მუშაობაზე, თუ რამდენადაა დამოკიდებული სატელევიზიო მედიის თავისუფლების ხარისხი გარე ფაქტორებზე - საკანონმდებლო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგენელზე, როგორ ინარჩუნებენ სარედაქციო დამოუკიდებლობას სატელევიზიო მაუწყებლები და რაზეა დამოკიდებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხარისხი - კანონმდებლობაზე, რეგულირების მექანიზმებზე, ფინანსურ შემოსავ-

ლებზე, მფლობელზე თუ პოლიტიკურ აქტორებზე. კითხვებს პასუხს სცემს კვლევა, რომელიც მედიის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტების - აკადემიური სფეროს წარმომადგენლების და მედიამკვლევრების მონაწილეობით ჩავატარეთ.

**ძირითადი ნაწილი**

კვლევის მეთოდად სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი ავირჩიეთ. შეირჩა ათი რესპონდენტი - მედიააკადემიის წარმომადგენლები, მედიის მკვლევარები, მოქმედი ჟურნალისტები და პროდიუსერები. თითოეულ მათგანთან შედგა ინტერვიუ, რომლის კითხვარიც რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. ეს კრიტერიუმებია:

- არსებული კანონმდებლობა და მედიის რეგულირების სფერო
- პოლიტიკური გავლენის ხარისხი
- მედიის პროფესიონალიზმი
- საზოგადოების ინტერესი და აუდიტორიის პრიორიტეტები
- მედიაში არსებული პლურალიზმი და პოლიტიკური პოლარიზაცია

ჩაღრმავებული ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სატელევიზიო მედიის, როგორც მასობრივი ინფორმაციის ყველაზე გავლენიანი საშუალების ფუნქციონირებაზე გავლენას მეტწილად პოლიტიკური და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ფაქტორები ახდენს - სარეკლამო ბაზრის მასშტაბი, საკანონმდებლო ბაზა, ეკონომიკური ფაქტორი, მფლობელის პოლიტიკური ინტერესები და ა.შ. ეს გარემოებები ხდება იმის მიზეზი, რომ მედია ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების პრიორიტეტების დაკმაყოფილებას და პლურალიზმის განმტკიცების ნაცვლად მეტი პოლარიზების ხელშემწყობი ხდება.

ტელევიზია, როგორც ინფორმაციის მიღების წყარო, მედიის სხვა საშუალებებს შორის პირველ ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის სოციალური მედიის მოხმარება ყოველდღიურობაა, ტელევიზია მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი საინფორმაციო არხია საზოგადოებისთვის. ეს რამდენიმე გარემოებით აიხსნება: მაყურებლის ჩვევა, ინფორმაციის გადაცემის ეფექტიანობა, რაც ტელევიზიას ინფორმაციის დომინანტ წყაროდ აქცევს და ხელმისაწვდომობა - ტელევიზია არის „უფასო“ საინფორმაციო საშუალება სხვა საშუალებებთან შედარებით, რაც მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. გასათვალისწინებელია ქვეყნის მოსახლეობის სოცალური და ეკონომიკური მდგომარეობა - ინტერნეტი, მიუხედავად საყოველთაო ინტერნეტიზაციის დაწყებისა, ჯერაც არ არის სრულად ხელმისაწვდომი ქვეყნის ყველა რეგიონში.

გავლენის მიუხედავად, სატელევიზიო მედია, შედარებით **ნაკლებად თავისუფალია** და თავად არის გავლენის ქვეშ. შედარებით ნაკლები თავისუფლების ხარისხი, კვლევის მონაწილეთა დაკვირვებით, რამდენიმე კრიტერიუმზეა დამოკიდებული, მათ შორის უმთავრესია პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედება - საერთო ეროვნული მაუწყებლები სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის გავლენის ქვეშ არიან; მედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა კი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებისგან თავისუფლებას ნიშნავს, ანუ დამფინანსებლისგან თავისუფლებასაც, რაც რთულად მისაღწევია. პირველ რიგში, პოლიტიკური გავლენის ხარისხის და სარეკლამო ბაზრის მცირე მასშტაბის გამო.

პოლიტიკური გავლენის მაღალი ხარისხი ხშირად არაა გამოხატული უშუალო და პირდაპირი ჩარევით. უფრო მეტად ამ გავლენის ხარისხზე მეტყველებს მფლობელსა და პოლიტიკურ ძალას შორის კორელაცია, ან პირიქით - რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფსა და მედიის მფლობელს შორის ანტაგონიზმი. ტელევიზიების მფლობელები ძირითადად არიან ის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის მიმართ კეთილგანწყობილნი არიან, ან თავად წარმოადგენენ ამა თუ იმ პარტიას. ეს მოცემულობა პირდაპირ აისახება საინფორმაციო გამოშვებებზე. ტელევიზიის მფლობელების კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების მიმართ აფილაციას ის საჯარო ინფორმაციაც ადასტურებს, რომელიც შესაბამისობის დეკლარაციების სახით კომუნიკაციის ეროვნული კომისიისთვისაა წარდგენილი.

თითქმის ყველა კვლევა და მარტივად, მონაცემებზე დაკვირვებაც ადასტურებს, რომ არსებულ მოცემულობაში მაუწყებლისთვის გარედან ფინანსური დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად ფუნქციონირება ძალიან რთულია, რადგან ახალი ამბების წარმოებას ფინანსები სჭირდება. დაფინანსების ერთ-ერთი ასეთი წყარო სარეკლამო შემოსავლებია, სარეკლამო ბაზრის მასშტაბი კი მედიალანდშაფტის მოცულობას ჩამორჩება.

კომუნიკაციის ეროვნული კომისიის მონაცემებით, მაუწყებლების დაფინანსების ძირითადი წყარო სარეკლამო, სასპონსორო, პროდუქტის განთავსებით, ტელეშოფინგით, საეთერო დროის გაყიდვით, სახელმწიფო დაფინანსებით, მფლობელისგან მიღებული შემოწირულებით, ფასიანი

სოციალური რეკლამით თუ ფასიანი პოლიტიკური რეკლამით მიღებული შემოსავლებია. საქართველოში სულ 116 სამაუწყებლო არხია ავტორიზებული, კომერციული სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებულმა თანხამ კი მხოლოდ 2022 წელს 73 მილიონი შეადგინა, რაც იმავე წლის მაუწყებლების ჯამური შემოსავლის - 281 მილიონის დაახლოებით 25%-ს შეადგენს. შემოსავლის ეს წყარო კლების ტენდენციით ხასიათდება (ბოლო ერთ წელიწადში 8%-ით); პარალელურად, კანონმდებლობის ცვლილებამ და აზარტული თამაშების რეკლამირების შეზღუდვამ თითქმის 70%-ით შეამცირა უშუალოდ ამ სექტორიდან მიღებული სარეკლამო შემოსავალი (2021 წელი - 18 მილიონი, 2022 – 4.8 მილიონი);

აკრძალვები მცირე ზომის მაუწყებლებისთვის რთულად გადასატანი აღმოჩნდა, განსაკუთრებით, რეგიონული მაუწყებლებისთვის. სარეკლამო ბაზარი ისედაც მწირია და „არ ჰყოფნის“ ეროვნულ დონეზე მაუწყებელ ტელევიზიებს. ყველა მაუწყებელი ფაქტობრივად დეფიციტურია, ანუ ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე იღებს ფულს. შესაბამისად, ეს მოცემულობა მეტ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ტელევიზია სხვა შემოწირულობებზე, მათ შორის, მფლობელისგან მიღებულ დაფინანსებაზე იყოს დამოკიდებული.

პოლიტიკურ ჯგუფებთან აფილირებული მფლობელების არსებობასა და სარეკლამო ბაზრის მოცულობასთან ერთად კიდევ ერთი ფაქტორი, რაც მედიის არსებულ სისტემაზე გავლენას ახდენს, პოლარიზაციაა. ქვეყნის პოლიტიკურად პოლარიზებული გარემო პირდაპირ აირეკლება მედიაში. ამას კიდევ უფრო ამძაფრებს პოლიტიკური პარალელიზმი (რაც გულისხმობს როგორც მედიის და პოლიტიკური პარტიების ურთიერთმიმართების სიმჭიდროვეს, ასევე საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ დაყოფებთან შესაბამისობას (ჰალინი & მანჩინი, 2015). მედიაექსპერტების შეფასებით, შექმნილია პოლარიზაციის ველი, ანუ პოლიტიკური პარალელიზმის კლასიკური სურათი, როცა ყველა პოლიტიკურ ძალას, ყველა პოლიტიკურ ჯგუფს, პატარას თუ დიდს, ჰყავს აფილირებული მაუწყებელი ეროვნულ დონეზე.

პოლარიზაცია, კვლევის მონაწილეების დაკვირვებით, გარემოს უფრო ტოქსიკურს და აგრესიულს ხდის. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ 2003-2012 წლებისგან განსხვავებით, როცა მსხვილი მაუწყებლები ძირითადად ხელისუფლების გავლენის ქვეშ იყვნენ, საპირისპირო პოლუსი თითქმის არ არსებობდა, ახლა შექმნილია ვითარება, როცა რამდენიმე პოლუსი არსებობს, მაგრამ პოლარიზაცია მაინც მაღალია. მხარეებს შორის სხვაობა ძალიან დიდია, რაც ადამიანების, საზოგადოების ჯგუფებად დაყოფას და მკვეთრ დაპირისპირებას იწვევს, ეს კი ჩვენს მსგავს მცირე საზოგადოებაში საფრთხის შემცველია.

დღეს, პოლარიზების არსებული ხარისხის პირობებში, საზოგადოებაში ნეიტრალურ მაუწყებელზე მოთხოვნა იზრდება, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი პოლარიზაციითა და რადიკალიზაციით დაიღალა. არსებული მედიაგარემო საზოგადოებას, გარდა იმისა, რომ მისთვის საინტერესო საკითხებზე აქცენტირებას ვერ სთავაზობს, ასევე ვერ სთავაზობს რეალურ პლურალიზმს. მედიასისტემის მკვლევრები ორი სახის - შიდა და გარე პლურალიზმს გამოყოფენ. იქ, სადაც მედიასა და პოლიტიკას შორის პოლიტიკური პარალელიზმის დონე მაღალია, ძირითადად, გარე პლურალიზმია დამახასიათებელი, ანუ გვხვდება მრავალი სხვადასხვა მიმართულებისა თუ ორიენტაციის მქონე მედიასაშუალება, რომელიც განსხვავებული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს ასახავს. შიდა პლურალიზმი კი ნიშნავს პლურალიზმს, როცა განსხვავებული აზრებისა და მრავალფეროვნების თავმოყრა ერთ კონკრეტულ მედიასაშუალებაში ხდება. ქართულ რეალობაში „შიდა პლურალიზმს“ მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებელი, კერძო მაუწყებლების შემთხვევაში კი პოლიტიკური პარალელიზმი მაღალია და შეიმჩნევა მკაფიო აფილაცია პოლიტიკურ ძალებთან. ასეთი სურათი კი ქართულ მედიას ყველაზე მეტად მანჩინისა და ჰალინის მიერ აღწერილ პოლარიზებული პლურალიზმის მოდელთან აახლოებს.

## დასკვნა

ტელევიზია, რომელმაც არსებობის დღიდან მოიპოვა პოპულარობა, დღეს, მიუხედავად საყოველთაო ინტერნეტიზაციისა, ინფორმაციის მიწოდების ყველაზე გავლენიან და მთავარ წყაროდ რჩება. მისი პოპულარობა ქმნის ცდუნებას პოლიტიკური ჯგუფებისთვის, სწორედ ტელევიზია გამოიყენონ აუდიტორიისათვის სასურველი ინფორმაციისა და თვალსაზრისის მიწოდების წყაროდ. მფლობელის ფინანსები და ინტერესები მედიას ამ ინტერესებზე დამოკიდებულს ხდის, რადგან მას საარსებოდ ფინანსები სჭირდება, დაფინანსების გარეშე კი არსებულ ბაზარზე ფუნქციონირება რთულია, ყოველ შემთხვევაში

ისე, რომ მედიასაშუალებას რეიტინგი და გავლენა ჰქონდეს. შესაბამისად, სუსტი სარეკლამო ბაზარი ერთერთი მთავარი გამოწვევაა. მედიის დამოუკიდებლობა მეტწილად პოლიტიკურ კონიუნქტურაზეა დამოკიდებული, რადგან მედიის მფლობელები ძირითადად სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფთან აფილირებული პირები არიან, რაც პირდაპირ განაპირობებს მედიის დისკურსს. პოლარიზაცია, რომელიც პოლიტიკაში დომინირებს, პირდაპირ აისახება პოლარიზაციაზე მედიაში და საზოგადოებაში და პლურალიზმის ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება, რის შედეგადაც ზარალდება საზოგადოება, რომლის საინფორმაციო პრიორიტეტებს მედია ვერ პასუხობს და პოლარიზებული პოლიტიკური დღის წესრიგის ტყვეობაში რჩება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Denis, M. (1983). Mcquail's Mass Communication Theory.
2. Fred T. Siebert, T. B. (1956). Four Theories of the Press.
3. H. Lasswell, D. L. (1979). Propaganda and Communication in World History. Honolulu.
4. Herman, C. N., & Chomsky, N. (1988). Manufacturing Consent. The Political Economy of the Mass Media. New York: , Toronto: Random House, ;.
5. https://caucasusbarometer.org/ge/me2009ge/INFSOU1/. (თ. გ.).
6. Mancini, D. C. (2012). Comparing Media Systems Beyond the Western World. Cambridge University Press.
7. დეფლორი, დ. (2009). მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის. თბილისი.
8. თათარაშვილი, ნ. (2003). ტელეჟურნალისტიკის საკითხები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
9. სურგულაძე, ი. (2003). მასობრივი კომუნიკაცია - თეორიის საკითხები. თბილისი.
10. ჰალინი, მ., & მანჩინი, ჰ. (2015). მედიასისტემების შედარება, მედია და პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი. თბილისი.


**Political and Economic factors impacting on media (at the example of Georgian TV broadcasting)**


***Natia Sordia, PhD student***
***Georgian Technical University***



**Summary**

The role of media in the public-political life particularly intensified in XX century. Free and independent media became one of the main elements of the modern democratic country and its role for good operation of this system is so much important, that the quality of media freedom determines the quality of democracy of the state.

The quality of the media freedom and public confidence towards it is driven by various factors – how this or that media serves the truth and in which system it has to operate. This system is developed by unity of several factors – legislative, economic, political and public ones, i.e. political system and public context are definitive for media and its content analysis, as the quality of state control over mass-media organizations, level of media biasness and integration of media and political elite are to be considered.

The monograph of D. Hallin and P. Manchini "Comparing Media systems – Three Models of Media and Politics" serves as a classification media systems of all countries of the World. According to the authors, media system of all countries lies on the components: developed media market, which depends on the mass press, political pluralism in media, state and mass media relationship and the level of professionalism of the journalism. (Hallin & Manchini, 2015). Besed on these criteria, researchers offered us three models of media and politics relationship: Liberal (the North Atlantic model); Corporatist Democracy (the North-Central European model), polarized pluralism model, typical to the Mediterranean countries of the South Europe. Integration of media in the party politics, scarce history of commercial media development and high quality of the state influence are the attributes of the polarized pluralist model. Unlike central European states, the Eastern European countries have another history and background, accordingly, it is hard to immediately attribute them to one of the models, conceptualized by Hallin and Manchini, due to the particular Soviet heritage, the media inherited. Based on the small expert research, the thesis aims at showcasing the current model of Georgian media system and the main factors of influence on TV media operation.


Key words: media, media freedom, independence, political influence, political system, media system;

# ფილოლოგია

# PHILOLOGY

## სოციო ფუნქციონალური კლასი და ნეოლოგიზმთა მდგრადობა

*ნუგზარ სიხარულიძე, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ენობრივი სისტემის ფუნქციონირებას კომუნიკაციის პროცესში გააჩნია მკვეთრად გამოხატული სოციალური მხარე.

ეს შეიძლება გაერთიანებული იყოს ხუთ სოციოფუნქციონალურ კლასში: სამეცნიერო, საწარმოო, ტექნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო.

სამეცნიერო სოციოფუნქციონალურ კლასს შეადგენენ ახლად წარმოებული სიტყვები რომლებიც ასახავენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე საქმიანობის შედეგებს იქნება ეს მცნებები, ნივთიერებები, ელემენტები, პროცესები თუ სხვა.

მაგ: antibiosis N. – An association of organisms which results in injury to one of them.

საწარმოო-ტექნიკურ სოციოფუნქციონალურ კლასს წარმოადგენენ ნეოლოგიზმები რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკური და საწარმოო მოწყობილობის, აპარატურის, დანადგარებისა და ამ სფეროსათვის დამახასიათებელი მრავალი სიახლის შექმნასთან.

მაგ: defroster N. – a device for keeping away frost, or for melting ice, as on airplanes, automobile windshields.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სოციოფუნქციონალურ კლასს განეკუთვნებიან ნეოლოგიზმები რომლებიც სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს შეადგენენ.

მაგ:welfarism N. – The policies of a welfare state, autarky.

ყოფითი ლექსიკური ნეოლოგიზმები.
მაგ: grinder N. – A large sandwich.

სამხედრო ლექსიკის სოციოფუნქციონალური კლასი განისაზღვრება ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებით რომლებიც აისახება ახალ ლექსიკურ ერთეულებში.

მაგ: bake N. – A small piloted rocket-bomb.

საყოველთაო ფაქტია რომ ნეოლოგიზმების ნაწილი ქრება დროთა განმავლობაში. რაც დამოკიდებულია როგორც ლინგვისტურ ასევე ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე. თუ ლინგვისტურ ფაქტორებს განსაზღვრავს სიტყვათ-წარმოების მექანიზმების ეფექტურობა, ექსტალინგვისტური დამოკიდებულია საზოგადოებრივი საქმიანობის აქტუალურობის და მიმდინარეობის განვითარებაზე.

ანალიზმა გვიჩვენა რომ საბაზისო ლექსიკა ძირითადად განვითარდა ისეთი ერთეულებით რომლებიც განეკუთვნებიან საწარმოო-ტექნიკურ (812 ერთეული), სამეცნიერო (539 ერთეული) და ყოფითი (560 ერთეული) ნეოლოგიზმების სოციოფუნქციონალურ კლასებს. პოლიტიკური და სამხედრო ნეოლოგიურს 218 და 119 ერთეული შესაბამისად.

ასევე განისაზღვრა ახალი ლექსიკის მდგრადობის ინდექსი სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ეკუთვნის სამეცნიერო სოციუფუნქციონალურ კლასს - 74%, ყოფითს 69% და საწარმოო-ტექნიკურს 68%. მდგრადობის ინდექსი საკმაოდ დაბალია საზოგადოებრივ-პოლიტიკური

სოციოფუნქციონალური კლასისათვის 44%. ხოლო სამხედრო ლექსიკურ მდგრადობის ინდექსი სხვებთან შედარებით ყველაზე მცირეა და განისაზღვრა მხოლოდ 17%.

ჩატარებული ანალიზი შეიძლება ითქვას რომ ნათლად ასახავს იმ მოვლენებსა და განვითარების ტენდეციებს რომელიც დამახასიათებელი იყო შესაბამისი ისტორიული პერიოდისათვის.

**შესავალი**

ენობრივი სისტემის ფუნქციონირებას კომუნიკაციის პეოცესში გააჩნია მკვეთრად გამოხატული სოციალური მხარე. არსებობს ავტორთა სხვადასხვა მიდგომა სოციო ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიმართ. სოციოფუნქციონალური კლასი განიხილება როგორც სიტყვათა ჯგუფი რომლებიც განეკუთვნებიან ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს.

ძირითადად ყველა ეს მოსაზრება შეიძლება გაერთიანებული იყოს ხუთ სოციოფუნქციონალურ კლასში: სამეცნიერო, საწარმოო, ტექნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო და ყოფითი.

**ძირითადი ნაწილი**

სამეცნიერო სოციოფუნქციონალურ კლასს შეადგენენ ახლად წარმოებული სიტყვები რომლებიც ასახავენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე საქმიანობის შედეგებს იქნება ეს მცნებები, ნივთიერებები, ელემენტები, პროცესები თუ სხვა.

მაგ: antibiosis N. – An association of organisms which results in injury to one of them, capture N. – The cohesion to, or absorption by, an atomic nucleus of a bombarding particle, luteinization N. – The causing of the forming of a corpus luteum, Vita zyme N. – An enzyme comprising vitamins as part of its chemical structure, scientific empiricism – A movement growing out of logical empiricism. It emphasizes especially the unity of sciences; trace element – A chemical element occurring in small quantities, but essential for healthy plant growth.

საწარმოო-ტექნიკურ სოციოფუნქციონალურ კლასს წარმოადგენენ ნეოლოგიზმები რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკური და საწარმოო მოწყობილობის, აპარატურის, დანადგარებისა და ამ სფეროსათვის დამახასიათებელი მრავალი სიახლის შექმნასთან.

მაგ: defroster N. – a device for keeping away frost, or for melting ice, as on airplanes, automobile windshields, Gosport N. – A tube used for one-way communication from one cockpit of an airplane to another, teleprinter N. – teletypewriter, tray-agriculture N. – growing plants in water which is enriched with mineral salts, airfoil N. – a thin body, such as a wing, designed to obtain reaction from the air through which it moves, punch card N. – A perforated card used for automatically computing data.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სოციოფუნქციონალურ კლასს განეკუთვნებიან ნეოლოგიზმები რომლებიც სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს, პოლიტიკურ ორგანიზაციებს, პარიებს, საზოგადოებებს, საერთაშორისო ურთიერთობებს და ამ სფეროსთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებს შეადგენენ.

მაგ: welfarism N. – The policies of a welfare state, autarky N. – Condition of national self-sufficiency, especially freedom from dependence on imports, dollar gap N. – shortage of dollar exchange in a country, bracket N. – Group whose income falls a certain income tax category, Les Cagoulards N. – A right wing French secret society, blue-ribbon jury N. – a specially selected group of jurors, qualified to consider a particular case.

ყოფითი ლექსიკური ნეოლოგიზმები აერთიანებენ ესეთ ლექსიკურ ერთეულებს რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობასთან მისი არსებობისათვის საჭირო ყველა სფეროში: იქნება ეს საგნები, მცნებები, ხელოვნება, სპორტი თუ მრავალი სხვა ცხოვრების თანამედროვე საზოგადოება.

მაგ: grinder N. – A large sandwich, skimmer N. – A woman's hat, shallow, with a wide brim, progressive jazz N. – Type of incoherent, dissonant jazz, dub V. – To give a film a new sound track, beach wagon N. – A large automobile, the rear seats of which can be removed and the back of which opens to permit storing of baggage.

სამხედრო ლექსიკის სოციოფუნქციონალური კლასი განისაზღვრება ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებით რომლებიც აისახება ახალ ლექსიკურ ერთეულებში იქნება ეს საომარი მოქმედეწბები, შეიარაღება, ტექნიკა, სტრატეგიული და ტაქტიკური მოქმწდებები, ორგანიზაციულ - საწესდებო თუ

მათთან დაკავშირებული მრავალი სხვა ქმედება, თუ მცნება.

მაგ:track N. – The route of an actual flight on the earth's surface, or the actual path of a vessel in the water; bake N. – A small piloted rocket-bomb, drop zone N. – The approximate landing place of paratroops; shock troops N. – Troops especially trained and equipped for hand-to-hand combat; air-to-underwater missile N. – An unmanned projectile, operated by jet motors and used by aircraft against submarines; janfu A. – (joint army navy foul-up) Confused, or mismanaged.

საყოველთაო ფაქტია რომ ნეოლოგიზმების ნაწილი ქრება დროთა განმავლობაში. რაც და-მოკიდებულია როგორც ლინგვისტურ ასევე ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე. თუ ლინგვისტურ ფაქტორებს განსაზღვრავს სიტყვათწარმოების მექანიზმების ეფექტურობა, ექსტალინგვისტური დამოკიდებულია საზოგადოებრივი საქმიანობის აქტუალურობის და მიმდინარეობის განვითარებაზე. ორივე ასპექტის შესწავლამ შეიძლება მოგვცეს გარკვეული სურათი დაკავშირებული როგორც წმინდა ლინგვისტურ მექანიზმთან ასევე დაგვანახოს არსებული სოციალური ფონის ცვლილება გარკვეული დროის შემდეგ. კერძოდ, დარჩენილი ნეოლოგიზმების საფუძველზე რომლებიც გახდნენ ენის ძირითადი ლექსიკის შემადგენელი ნაწილი მათი აქტიურ სოციოფუნქციონალურ დანიშნულებიდან გამომდინარე მიგვითითოს საზოგადოების განვითარების მიმართულებებსა და პრიორიტეტებზე.

**დასკვნა**

ნეოლოგიური მასალის ანალიზმა ისტორიულ ჭრილში (მეორე მსოფლიო ომი და შემდგომი პერიოდი) გვიჩვენა, რომ ლექსიკამ რომელიც აისახა ახალი სიტყვების სახით სხვადასხვა ლექსიკონებში, განიცადა ნაწილობრივი განთესვა და მხოლოდ გარკვეული ერთეულები გახდა საბაზისო ენის შემადგენელი ნაწილი. ასევე ანალიზმა გვიჩვენა რომ საბაზისო ლექსიკა ძირითადად განვითარდა ისეთი ერთეულებით რომლებიც განეკუთვნებიან საწარმოო-ტექნიკურ (812 ერთეული), სამეცნიერო (539 ერთეული) და ყოფითი (560 ერთეული) ნეოლოგიზმების სოციო-ფუნქციონალურ კლასებს. რაც შეეხება საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო ნეოლოგიურ ლექსიკას მათი წვლილი შედარებით მცირეა. 218 და 119 ერთეული შესაბამისად.

ასევე განისაზღვრა ახალი ლექსიკის მდგრადობის ინდექსი სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ეკუთვნის სამეცნიერო სოციუფუნქციონალურ კლასს - 74%, ყოფითს 69% და საწარმოო-ტექნიკურს 68%. მდგრადობის ინდექსი საკმაოდ დაბალია საზოგადოებრივ-პოლიტიკური სოციო ფუნქციონალური კლასისათვის 44%. ხოლო სამხედრო ლექსიკურ მდგრადობის ინდექსი სხებთან შედარებით ყველაზე მცირეა და განისაზღვრა მხოლოდ 17%.

ჩატარებული ანალიზი შეიძლება ითქვას რომ ნათლად ასახავს იმ მოვლენებსა და განვითარების ტენდეციებს რომელიც დამახასიათებელი იყო შესაბამისი ისტორიული პერიოდისათვის.

**ლიტერატურა**


1. MED Magazine. Issue 38 May 2006. The monthly webzine of the Macmillan English Dictionaries. A new word is born: How do new words make it into dictionaries .
2. Oxford English Dictionary. Word lists from 1930s, 1940s, 1990s, 1960s.
3. Nicola Prentis. The complex process that dictionaries use to decide which words are obsolete. Quarts Newsletter. August 2017.
4. Webster's Universal dictionary of the English Language. Ed. Under the supervision of Thomas H. Russel, A.C. Bean. Vol. 1-2 1936, 2024 p.
5. Dictionary of New Words. By Mary Reifer. New York, Philosophical library, 1955, 234p.
6. Types of word Formation in English. By Richard Nordquist. 2020.
7. Petersen, Alexander M, et al,, Statistical Laws Governing Fluctuations in Word Use from Word Birth to Word Death". Nature News, Nature Publishing Group, 15 Mar. 2012. www.nature.com/articles/srep00313.

**Stability of Neologisms in Relation with their Communication spheres**

*Nugzar Sikharulidze, Professor*
*Georgian Technical University*

Summary

Language system in the process of communication has certain social aspects. It can be divided into five different social and functional classes: scientific, industrial, technical, social-political, military, and colloquial.

For example: Antibiosis – an association of organisms which results in injury to one of them (scialytic); Defroster – a device for keeping away frost, or for melting ice, as on airplanes, automobile windshields (technical); Welfarism – the policies of a welfare state (social); Bake – a small, piloted rocket – bomb (military); Grinder – a large sandwich (colloquial).

Number of neologisms, as a rule, disappear in the due course of time, and only part of them remain. This can be the result of both linguistic and extralinguistic factors.

Extralinguistic factors obviously depend on the events which are more vital and important for society. Thus, the neological part of the new words which remains in the language can reflect and give a reliable picture of the development in every field of human activity.

The analyses of these new lexical units (post-war II period) have revealed that the word stock has mostly increased with the units of industrial and technical (812), scientific (539) and colloquial (560) neologisms. Number of political and military units are less – 218 and 119 units relatively.

The analyses have also revealed the percentage of the stability of different classes. The highest among them were scientific – 74%; colloquial -69% and industrial – 68%. Less are social – 44% and military – only 17%.

The data, based on the above analyses, reflect the trends and tendencies of the society development after the second word war.

# Методы коррекции при девиантном поведении детей

*Д.ф.п. Мамедзаде Рагима Рзабала*
*Азербайджанский Университет Языков*
*Кафедра педагогики*

**Резюме**

Деструктивное поведение – это проявление внутренней деятельности человека практическим или вербальным способом, итогом которого является разрушение чего-либо. Как правило, деструктивное поведение направлено на коммуникацию между людьми, взаимоотношения, материальные предметы, собственное физическое или эмоциональное состояние.

Внутренний мир человека подвергается опасности, он начинает разрушать все вокруг: проявляет грубость по отношению к людям или животным, портит имущество, совершает насильственные действия и т.д. Часто деструктивное поведение еще называют девиантным, и это, по сути, правильно, ведь деструктивное поведение является регрессивной, негативной формой проявления девиантности.

Ключевые слова: дети, неадекватное поведение, принятие правила, действия ребенка, методы корректировки

**Введение**

Впервые цели деструктивного поведения детей начал изучать Альфред Адлер, а в дальнейшем — его ученик и последователь Рудольф Дрейкурс. В настоящее время можно выделить целый ряд известных специалистов — практиков, серьезно раз-рабатывающих данную тему как основу для воспитания современных детей - О. Крисченсен, У. Николл, Л. Алберт, Д. Динкмайер-мл., М. Попкин и др.

**Основная часть**

Исследователями в чистом виде выделено четыре ведущие цели деструктивного поведения, проявляющиеся в дошкольном и младшем школьном возрасте:

— привлечение внимания;

— борьба за власть;

— месть;

— демонстрация несостоятельности, или избегание неудачи.

В подростковом возрасте появляются еще три цели:

— потребность в принадлежности к группе;

— потребность в достижении превосходства над окружающими;

— потребность в достижении психофизиологического возбуждения.

Однако эти цели слабо изучены и всегда сочетаются с целями деструктивного поведения, проявляющимися в дошкольном и младшем школьном возрасте.

С точки зрения адлериановской психологии, эти цели находятся на уровне подсознания, а выявить их и скорректировать мы можем с помощью определенных технологий, описанных ниже.

**1. Привлечение внимания.**

Поведение ребенка, привлекающего внимание:

— постоянно дергает родителей — «мам, поиграй со мной», ноет, жалуется, что у него что-то не получается и ему нужно помочь;

— в школе постоянно дергает учителя — поднимает руку, просится выйти, снова просит о помощи и т.п.;

— дети могут совершать и более серьезные действия, например, воровать или прогуливать школу.

Все это ребенок делает для того, чтобы на него обратили внимание.

Как взрослому определить, является ли целью деструктивного поведения привлечение внимания? Вам следует в этот момент задать себе вопрос: «Что я при этом чувствую?» Если вы понимаете, что такое поведение вас раздражает или ребенок требует от вас уделить ему много времени — это индикатор того, что цель ребенка — привлечь к себе внимание. Также можно проверить себя, задав вопрос ребенку: «Солнышко, а может быть для тебя сейчас важно, чтобы я уделила тебе внимание?» При этом необходимо понаблюдать за ребенком и увидеть «реакцию узнавания», если она имеется. На вербальном (словесном) уровне ребенок может просто согласиться, сказав «да». Когда ребенок отвечает «нет», важно наблюдать за его мимической реакцией. На невербальном уровне возможны варианты: кивок головой, частое моргание, прекращение двигательных реакций, остановка или расширение зрачков.

Почему же дети требуют внимания неадекватным образом?

Им не хватает внимания и дома, и в школе.

Взрослые приучили детей к негативному вниманию, например, «Я обращу на тебя внимание и сделаю замечание, когда ты плохо себя ведешь; а если ты хорошо себя ведешь, тогда и внимание на тебя обращать не нужно». Такая ситуация часто возникает в школе, когда учитель постоянно обращает внимание на плохое поведение ученика. Ребенок делает вывод: «На меня будут обращать внимание, если я буду плохо себя вести».

Дети иногда не знают, как вызвать позитивное внимание, но зато прекрасно понимают, как привлечь негативное внимание.

Рекомендации по коррекции поведения. Необходимо учесть, что они эффективно сработают, только если будут использоваться в совокупности.

Если ребенок требует внимания неадекватным образом, то в этот момент не стоит уделять ему внимания. Вместо этого следует сказать, например: «Через 10-15 минут я освобожусь, и мы с тобой займемся тем, чем ты хочешь». Важно указывать короткое время, поскольку ребенок не воспринимает длительное время, для него это — вечность.

Самому проявлять инициативу, чтобы уделить внимание ребенку.

Приучать детей к позитивному вниманию. Необходимо показать детям их значимость и ценность, когда они соответствуют ожиданиям взрослых.

Желательно понаблюдать за своей речью, не уподобляетесь ли Вы мачехе из сказки «Золушка», которая подвергала критике поведение падчерицы. У вашего ребенка много достоинств, но есть недостатки.

**2. Борьба за власть.**

Борьба за власть бывает активной и пассивной. Пассивная заключается в том, что ребенок молча выслушивает все, что говорит ему взрослый («Делай уроки», «Хватит болтать по телефону» и т.п.), но не выполняет ничего из того, что ему говорят. Активная борьба за власть выражается в том, что ребенок сопротивляется не только невербально, но и на словах: «Не буду, не хочу» и т.п.

Как определить, является ли целью деструктивного поведения борьба за власть? Взрослому нужно задать себе вопрос, что он чувствует, когда возникает подобная ситуация. Если он чувствует злость, то это явный индикатор борьбы за власть. Проверить данную гипотезу можно, спросив ребенка: «Может, тебе очень важно показать мне (учителю), что ты решил сам?» или «Может, тебе важно показать мне, что я не смогу заставить тебя делать то, что считаю нужным?» После заданного вопроса взрослый должен отследить реакцию узнавания. На самом деле намерения ребенка вполне понятны: он, взрослея, ищет свое «место под солнцем», стремится попробовать и продемонстрировать свою силу и значимость. Взрослым необходимо учитывать, что с самого раннего возраста ребенок пытается определить свои возможности и делает он это методом проб и ошибок: «Поддадутся родители или нет? Ага, получилось! Теперь надо попробовать завоевать еще больше пространства…» и т.п.

Как же корректировать поведение ребенка, который борется за власть?

Никогда не вступать в борьбу за власть с ребенком в тот конкретный момент, когда он нам ее навязывает.

Обязательно сообщать ребенку о правилах, принятых в семье, начиная со слов «У нас принято…» Например, «У нас принято по субботам убирать квартиру» или «У нас принято тихо разговаривать, когда кто-то работает за столом». При этом достаточно большая нагрузка ложится на самих взрослых, которые не должны придерживаться так называемых «двойных стандартов» при выполнении тех же правил. Ребенку непонятно, почему он должен прекратить разговаривать по телефону в тот момент, когда папа этого требует, и в то же самое время мама часами может разговаривать по телефону с подругами. Или почему он должен убирать за собой тарелку со стола, если папа этого не делает. И так далее.

Следующий шаг — предоставление ребенку выбора — поступить в соответствии с принятыми правилами или их нарушить. Таким образом воспитывается ответственность за свои действия — не взрослый, а сам ребенок решает, как ему поступить, он учится делать выбор и принимать решения.

Далее взрослый сообщает о возможных логических последствиях выбора ребенка. Например, «У тебя есть выбор — ты можешь участвовать в уборке, а можешь и не участвовать. Если ты успеешь убрать свою комнату до (какого-то времени), у нас останется время сходить в кино, сможешь пригласить кого-то в гости, поиграть на компьютере и т.д. (Здесь взрослый предлагает один из вариантов времяпрепровождения). «Если комната останется неубранной — что ж, очень жаль, но никто к тебе придти не сможет» или «Тебе придется заняться уборкой комнаты в другое время , например, когда мы планировали сходить в кино. Ты же знаешь, у нас принято в квартире поддерживать порядок. Так что выбор остается за тобой».

Если ребенок нарушает семейные правила, родитель должен объяснить логические последствия. Последователи Альфреда Адлера и Рудольфа Дрейкурса подчеркивают принципиальное отличие логических последствий от наказаний.

Как уже было сказано выше, так или иначе, ребенку важно бороться за власть, демонстрировать свою силу и значимость. Существуют три зоны, в которых взрослый может помочь ребенку себя проявить. Это управление информацией, управление людьми, управление финансами. Используя эти зоны, мы можем помочь ребенку почувствовать и проверить собственные силы.

— Когда мы наказываем ребенка, мы сознательно стараемся сделать ему больно. Более того, мы, возможно, хотим заставить ребенка страдать. Цель применения логических последствий — не заставить страдать, а научить нести ответственность за свои поступки.

— Когда мы наказываем ребенка, то кричим, демонстрируем свои негативные эмоции в отношении личности ребенка. Если взрослый объясняет логические последствия, ребенок не чувствует негативного отношения к себе, поскольку неодобрению подвергается не личность ребенка, а его действия. Таким образом мы обучаем ребенка конструктивным поступкам. Мы можем спокойно проговорить проблему выбора, выяснить, какие логические последствия возможны, предложить ребенку выбрать и обязательно выполнить выбранный нами вариант, иначе все системные и после-довательные воспитательные усилия сведутся на «нет».

— Наказание иногда совершенно не связано с проступком. Например, если ребенок получил плохую оценку в школе в пятницу, то в воскресенье ему не разрешено идти в кино. Нет логической связи между событиями. Логическое последствие должно быть напрямую связано с проступком.

— Для ребенка не должно быть слова «никогда». Например, «никогда не пойдешь...». Такие угрозы, как правило, не выполняются. Ребенок к этому привыкает и в итоге не воспринимает слова как запрет. Более того, если мы, используя логические последствия, ограничиваем его в игре на компьютере или просмотре любимых передач по телевизору, то такое ограничение должно быть кратковременным — вечер или максимум один день. В противном случае дети привыкают к длительности наказания и, в конце концов, перестают на него реагировать.

— Когда мы наказываем, мы используем свою силу. Какой вывод при этом делает ребенок? «Кто сильнее, тот и прав». В случае реализации логических последствий мы обучаем ребенка делать выбор, принимать разумные решения и нести за них ответственность.

**3. Месть (нарушение доверительных отношений между ребенком и взрослым).**

Мстительное поведение у ребенка возникает, если борьба за власть между ним и взрослым носит затяжной характер, и обеим сторонам от этой борьбы становится больно. Снова подсознательно мы делаем так, чтобы ребенок страдал. Как правило, чтобы изменить мстительное поведение у ребенка и у взрослого, необходимо вмешательство посредника, например семейного психолога.

Действия ребенка: обзывается, портит имущество, обманывает, ворует, старается сделать больно взрослому на словах и на деле. Такое негативное поведение может быть направлено не только на одного конкретного человека, но и перенесено на всех взрослых. Ребенок учится делать больно, следуя примеру взрослых.

Как определить, является ли месть целью деструктивного поведения ребенка? Взрослый может задать себе вопрос, что он чувствует в этот момент, и если отвечает, что ему больно и обидно, то, скорее всего, в основе отношений между ребенком и взрослым лежат мстительные отношения. Можно попробовать также спросить ребенка: «Может, тебе очень важно показать мне, как бывает больно и обидно, когда тебя обижают или не доверяют?» Само слово «месть» не использовать. Далее наблюдать за реакцией узнавания.

Как же корректировать поведение ребенка в этом случае?

Сначала необходимо задать вопрос ребенку: «Кто и чем тебя обидел?» Если в основе отношений лежит месть, то обида «сидит на кончике языка», и, как правило, ребенок сразу ее озвучит.

Взрослый просит прощения, при этом категорически запрещается использовать слово «но». Лучше просто сказать: «Прости, мне неприятно, что я тебя обидел», не добавляя, например, «но ты сам в этом виноват».

Определение зоны конфликта. Необходимо обсудить с ребенком, какие взаимные действия вызывают обиду.

Определение ожиданий: что мы ждем друг от друга. К сожалению, в семье мы редко проговариваем друг другу свои ожидания, предполагая, что близкий

человек и так должен это знать. Такое заблуждение и приводит к конфликту ожиданий, начиная с первых дней жизни молодой семьи.

Проведение переговоров — как удовлетворить ожидания друг друга.

Необходимо помнить, что восстановление отношений сразу не происходит, иногда на это требуется не менее 1 года; чем младше ребенок, тем быстрее могут восстановиться доверительные отношения.

**4. Демонстрация несостоятельности или избегание неудачи.**

В основе лежит потеря ребенком мужества: он не верит в собственную успешность, считает себя хуже других. Поведенческие реакции: прогулы, вранье, отказ от выполнения домашних заданий, не выходит к доске, прячется за спины окружающих, не дописывает задания, всем видом демонстрирует: «Я хуже других, я ничего не умею». Такие дети обычно бесконфликтны, однако они активно показывают собственную беспомощность.

Как определить эту цель деструктивного поведения? Взрослый может задать себе вопрос: «Что я чувствую в этот момент?». Если ответ: «Я в отчаянии, у меня опускаются руки», — скорее всего, ребенок демонстрирует несостоятельность. Можно задать вопрос ребенку: «Может, ты не веришь в собственные силы, в то, что можешь быть успешным?» При этом наблюдаем за проявлением реакции узнавания.

**Заключение**

Скорее всего, существуют серьезные причины демонстрации несостоятельности: постоянная критика в адрес ребенка; авторитарность семьи; частые сравнения с лучшим; пренебрежение со стороны окружающих; психологическая травма, физическая или сексуальная.

**Рекомендации:**

*Полностью прекратить критиковать ребенка. Если не удастся избежать критики, то на одно критическое замечание похвалите ребенка не менее 10 раз в течение 8 часов (данные специалистов НЛП).

*Для таких детей очень важно дробить задания на мелкие части, чтобы они могли выполнить их успешно. Ребенку, чтобы почувствовать себя успешным, необходимо приобрести опыт.

*Признавать, отмечать, праздновать не конечный результат, а сам процесс. Например, «Радость моя, вчера у тебя было 18 ошибок в тексте, а сегодня всего 11. Какие же слова ты написал сегодня правильно?»

«Я тобой горжусь» — эта фраза ставит ребенка в зависимость от оценки взрослого. Лучше спросить: «Ты собой гордишься?» — это дает возможность ребенку постепенно ощущать свою внутреннюю силу.

*С таким ребенком важно работать пошагово: сначала показать ему, как выполнять задание, потом сделать вместе с ним, а в конце предложить выполнить задание самостоятельно. Не забывайте, что задания для самостоятельного выполнения, особенно вначале, должны быть небольшими.

*Постоянно и бесконечно поддерживать, подбадривать и ободрять ребенка. Это требует большого самоконтроля от взрослого.

**Список использованной литературы:**


1. Аддиктивное поведение подростков и юношей в системе образования : обзор психол.-пед. исследований / С.А. Минюрова, О.В. Кружкова, И.В. Воробьева, А.И. Матвеева // Образование и наука. – 2022. – Т. 24, № 6. – С. 84-121.
2. Безенкова Т.А. Роль учреждений дополнительного образования в профилактике аддиктивного поведения подростков : монография / Т.А. Безенкова, О.А. Андриенко. – Электрон. изд. – Магнитогорск: Магнитогор. гос. техн. ун-т им. Г.И. Носова, 2022.
3. Валиева, С. М. Киберадиктивное поведение у подростков: особенности проявления и условия профилактики // Скиф. Вопросы студенческой науки. – 2022. – № 5. – С. 178-184
4. Кибальник А.В. Модель организации волонтерской деятельности младших подростков, направленной на профилактику аддиктивного поведения / А.В. Кибальник, И.В. Федосова // Казанский педагогический журнал. – 2019. – № 3. – С. 72-77.
5. Линькова А.А. Профилактика аддиктивного поведения подростков / А.А. Линькова, В.А. Романьков // Повышение качества профессиональной подготовки специалистов социальной и образовательной

сфер : сб. науч. ст. – Витебск, 2022. – С. 182-186
6. Маст С.В. Первичная психолого-педагогическая профилактика аддиктивного поведения подростков: проблемы, перспективы их решений // Современная наука: актуальные проблемы теории и практики. Серия: Познание. – 2020. – № 10. – С. 63-68
7. Панькин П.В. Информационная зависимость как форма аддиктивного поведения подростков: современные тенденции и профилактика // Педагогическое образование. – 2022. – Т. 3, № 4. – С. 87-91.
8. Пронина Н.А. Профилактика у подростков аддиктивного поведения // Педагогика современности. – 2021. – Вып. 1. – С. 55-57
9. Цыганова В.А. Социально-педагогическая профилактика аддиктивного поведения подростков / В.А. Цыганова, Г.Г. Бородаева // Фундаментальные и прикладные научные исследования: инноватика в современном мире : сб. ст. по материалам междунар. науч.-практ. конф., Уфа, 29 мая 2019 г. – Уфа, 2019. – Ч. 3. – С. 132-136.
10. Шаломова Е.В. Педагогические условия профилактики аддиктивного поведения подростков в средних общеобразовательных организациях : дис. … канд. пед. наук / Шаломова Елена Викторовна. – Владимир, 2019. – 207 с.

## Methods of correction for deviant behavior of children

***D.f.p. Mammadzadeh Rahim Rzabala***
***Azerbaijan University of Languages***
***Department of Pedagogy***

### Summary

Destructive behavior is a manifestation of a person's internal activity in a practical or verbal way, the result of which is the destruction of something. As a rule, destructive behavior is aimed at communication between people, relationships, material objects, one's own physical or emotional state.

The inner world of a person is endangered, he begins to destroy everything around: he shows rudeness towards people or animals, spoils property, commits violent acts, etc. Often destructive behavior is also called deviant, and this is, in fact, correct, because destructive behavior is a regressive, negative form of manifestation of deviance.

Most likely, there are serious reasons for demonstrating incompetence: constant criticism of the child; family authoritarianism; frequent comparisons with the best; neglect from others; psychological trauma, physical or sexual. Recommendations:

* Stop criticizing your child completely. If you cannot avoid criticism, then praise the child for one critical remark at least 10 times within 8 hours (data from NLP specialists).

*For these children, it is very important to break down tasks into small parts so that they can complete them successfully. To feel successful, a child needs to gain experience.

*Recognize, celebrate, celebrate not the end result, but the process itself. For example, “My joy, yesterday you had 18 mistakes in the text, and today there are only 11. What words did you write correctly today?”

“I’m proud of you” - this phrase makes the child dependent on the adult’s assessment. It’s better to ask: “Are you proud of yourself?” - this allows the child to gradually feel his inner strength.

*It is important to work with such a child step by step: first show him how to complete the task, then do it with him, and at the end offer him to complete the task independently. Do not forget that tasks for independent completion, especially in the beginning, should be small.

*Constantly and endlessly support, encourage and encourage the child. This requires a lot of self-control from an adult.

# მამულიშვილთა ნაკვალევზე

*თამაზ ნუცუბიძე, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

წარმოდგენილ ნაშრომში „საქართველოში კვლავაც დაირწევა მამულიშვილთა აკვანი“ ნაჩვენებია, თუ როგორ მოიყვანა მამულის სიყვარულმა საქართველო დღევანდელობამდე. ყურადღებაა გამახვილებული იმ მამულიშვილებზე, რომლებმაც თავისი სიცოცხლე შესწირეს მამულის სიყვარულს.

საქართველოში კვლავაც დაირწევა მამულიშვილთა აკვანი, საქართველო შობს გმირს, თუ მის მომავალზე ილოცებს ერი და ბერი, ყოველთვისაა შესაძლებელი ახალი ამირანების, ახალი ფარნავაზების თუ დავით აღმაშენებლის დაბადება, ქვეყნის ლეთარგიული ძილისაგან გამოყვანა.

ილია ჭავჭავაძემ შეძლო ქვეყნის ახალეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის რელსებზე გადაყვანა.

საკვანძო სიტყვები: მამულიშვილთა ნაკვალევი, მამულიშვილობის ცნება, მეფეთა ისტორია, საქართველოს ისტორიის საკვანძო ფურცლები, ქართველი წმინდანები.

**შესავალი**

თანამედროვეობაში ხშირად საუბრობენ მამულიშვილებზე, ვეძებთ ქართველ მამულიშვილთა ნაკვალევს და ვრწმუნდებით, რომ ქართველთა მამულიშვილური ფესვები ჯერ კიდევ უშორეს წარსულშია. ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის იქით გადავდივართ და ველოლიავებით ქართველ მამულიშვილთა სახელებს, მაგრამ როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობთ, ვფიქრობთ, უპირველესად მამულისა და მამულიშვილობის მცნებებია ასახსნელი. ის იდუმალი, ფარული მშვენიერების აღქმაა აუცილებელი, რაც ამ გრძნეულ სიტყვებში დევს. სადღაც უშორეს წარსულიდან გვესმის პირველი ქართული ანბანის დამამკვიდრებლის, მეფისა და ერისკაცის – ფარნაოზის დიდებული სახელი და ამ საუკუნეების განმავლობაში რომ კიდევ უფრო მეტად იტვირთებოდა მამულიშვილობისა და ერისკაცობის მნიშვნელობა, ეს უდავო ფაქტია, რადგანაც ქართველთა კულტურულ განვითარებას მამულიშვილობის არეალის გაფართოების აუცილებლობაც ერთვოდა, იგი თანდათან იხვეწებოდა, სრულქმნილი ხდებოდა მამულისა და მამულიშვილობის ცნების ქვეშ ნაგულისხმევი შინაარსი.

**ძირითადი ტექსტი**

საუკუნეებს თავისი წვლილი შეჰქონდათ როგორც მამულიშვილთა ახალი სახეების მოვლინებით, ისე მათი იდეისა და იდეალების მრავალფეროვნებით და ასე თანდათანობით, მისხალ-მისხალ იკრიბებოდა და ფართოვდებოდა მამულიშვილობის არსში ნაგულისხმევი აზრი. მოდიოდნენ ადამიანები, რომელთაც „ერის წყლული აჩნდათ წყლულად, ეწვოდათ მისი ტანჯვით სული“. მამულის ბედითა და უბედობით ზომავდნენ თავიანთი ყოფნა-არყოფნის ტრაგედიას და მაშინ სუნთქავდნენ თავისუფლად, როდესაც იგრძნობდნენ, რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელთანა შინა ჟამი ქართულად წარმოითქმის და ლოცვა - ყოველი აღესრულების“. მაშინ იყვნენ ვალმოხდილი სამშობლოს წინაშე, როდესაც სატრფოყოფილის შინაგანი ტანჯვით, მაგრამ მაინც გაბედულად, განუცხადებდნენ: „მაპატიე, დაო ჩემო, რომ შენი და ჩემი ბედნიერება საქართველოს შევწირე ტარიგად“; როდესაც ქაჯეთის ტყვეობაში მოქცეული გმირი ქალები სატრფოს დაცვისა და დახსნისათვის კი არ ევედრებოდნენ, არამედ მოუწოდებდნენ: „წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეიწრებულსა, მისგან ხელ აღუპყრობელსა“; მაშინ, როდესაც მამულის ტკივილები საკუთრად შეიგრძნობოდა და გულამოსკვნილნი ასე ღაღადებდნენ: „მე კი ვფარავ, მაგრამ სატკივარი არა ფარავსო“; მაშინ, როდესაც თვით ჩვენი თანამედროვენი ისეთი გრძნობით იტყოდნენ, ,,სიცოცხლეო მამულს“, რომ „გვაჟრჟოლებდა და ტანში გვზარავდა“ და ისტორიის გადარბენილი საუკუნეებიდან თქმულებებით, მოგონებებით, ლეგენდებითა და თანამედროვეთა გულისტკივილით მამულიშვილობის დაუწერელი ტრაქტატები იქმნებოდა.

„იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე და ღამ ნატრულობს,
ჩუმის ნატვრითა ქართველი“. –

კვნესოდა ილიას „ბაზალეთის ტბა“ და ვგრძნობდით, რომ საქართველოში კვლავაც დაირწეოდა მამულიშვილთა აკვანი, საქართველო შობდა გმირს, თუ მის მოსვლაზე ილოცებდა ერი და ბერი... და ნატვრასა და ოცნებაში ჟამიდან-ჟამზე, მართლაც იბადებოდნენ მამულიშვილები, გმირთა-გმირები,

ისინი, რომლებიც ყოველ ჟამს ამას ბუბუნებდნენ, „ღმერთო სამშობლო მიცოცხლეო“. და სანამ ამ დევგმირთა ლოცვა ისმის საქართველოში, ყოველ ჟამსაა მოსალოდნელი მისი ბედითი ბორბლის წაღმა ტრიალი. ყოველთვისაა შესაძლებელი ახალი ამირანების, ახალი ფარნაოზებისა თუ დავით აღმაშენებლების დაბადება, ქვეყნის ლეთარგიული ძილისაგან გამოყვანა. „მაგრამ ოხ, ღმერთო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“ - განა, ამაოდ ოხრავდა დიდი მამულიშვილი? და ვგრძნობთ, რომ თავისი ტკივილიანი გრძნობითა და სიტყვით, მართლაც, ილია ჭავჭავაძემ შეძლო ქვეყნის ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის რელსებზე გადაყვანა. მართლაც შესძრა ქართველში მამულიშვილური სული და თვით მამულისა და მამულიშვილობის არსშიც გაგვარკვია.

„მამული!.. ამ სიტყვის ყოვლადმპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითოეულობა – ეგ ჭირთაჭირი – არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მომნიჭებელი სულია, მთელი ხალხის მაჯის ერთიანი ძარღვი. იქ მაგ სიტყვის ხსენებად თვითოეულსა – მთელის ხალხის და მთელს ხალხს თვითოეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავისი ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებით დღესასწაულობს, იქ მაგ სიტყვაში ყოველია და ყოველში ყველა არის... ჩვენში?.. ეხლა ეს დიდებული სიტყვა თვითოეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავ ქონებას ნიშნავს და მარტო ხალხის სამშობლოს – ბინასა... სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურება ზედ მოსდევს... თვითოეულმა ჩვენგანმა თავისი ხვედრი, დიდის მამულის ნაშრი, თავ-თავად შემოიღობა, იმ შემოღობილში თვითოეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა ააშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითოეული ჩვენგანი თავის შემოღობილში ჩაიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი გაიჩინა; და რომ თვითოეულმა ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება საერთო საგანზე აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ თავისი ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა“.

არადა, ოდესღაც მამულიშვილთა „გმირთმ-ბადი“ საქართველო ამჟამობამდე სწორედ მამუ-ლის განსაკუთრებულმა სიყვარულმა და რწმენამ მოიყვანა. და ეს არა მარტო გრძნობა და რწმენა იყო ქართველთათვის, თანდაყოლილი ნიჭი და გუმანი მამულიშვილობისა. საუკუნეები მაგალითს აძლევდა მომავალს და მართლაც ტარიელობდნენ და ავთანდილობდნენ ქართველნი, მამულიშვილური გრძნობით იყვნენ მარადჟამს ანთებულნი. ეს რწმენა და ნიჭი ამაღლებული სულით უფრო იწრთობოდა და მტკიცდებოდა. შეიძლება ვთქვათ, რომ მამულიშვილობა ერთგვარი მეექვსე გრძნობა იყო ქართველთათვის, სხვა ხუთ ბუნებისეულ გრძნობასთან ერთად, სიცოცხლის აზრისა და მიზნის მომნიჭებელი და სწორედ დიდ შინაგან ენერგიასაც აღვივებდა და ასხივოსნებდა მამულიშვილობა ქართველში. ამ გრძნობის დასუსტებას და, მითუმეტეს, გაქრობას ერის დაცემა, გადაგვარება, ალბათ საბოლოოდ მიწის პირისაგან აღგვაც მოჰყვება. ამიტომაც ჟამიდან ჟამზე ყოველმა ქართველმა უკან უნდა მოუხედოს თავის წარსულს, ისტორიას, მამულიშვილთა ხსოვნას და „მათი ხსოვნა სანთლებად უნდა აინთოს“, ჟამიდან-ჟამზე, რაგინდ სხვა მაღალი მიზნებითა და საქმით არ უნდა იყოს დაკავებული თითოეული ქართველთაგანი –- თავის თავს უნდა მოჰკითხოს ეროვნული და საზოგადოდ რა შექმნა, მამულიშვილური სულის ათინათი თუ გამოკრთის მისი აზროვნებიდან თუ მოქმედებიდან... რათა გადავრჩეთ, რათა არ განვინთხეთ ისტორიის ლაბირინთებში, რათა ისევ ვიდგეთ „ერად სხვა ერთა შორის“, რათა გვწამდეს როგორც პიროვნული არსებობა ისე ერის აწმყო და მომავალი...

არადა, საქართველოს ისტორიის ანალები ისეა გაჯერებული მამულიშვილთა მაგალითის ძალით, ისეა ამაღლებული მათი „საქმენი საგმირონითა“, შეუძლებელია, გმირობისა და მამაცობის სურვილით არ აგვანთოს, შეუძლებელია ჩვენაც არ გვათქმევინოს: „წვეთი სისხლიც არ არის ჩვენში არაქართული“, და სწორედ ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გვსურს ქართველ მამულიშვილთა სახეების წარმოჩენა, ზოგიერთი მათგანის სახელი სადღაც იქ, ჩვენი წელთაღრიცხვამდელი საუკუნეების მიღმა შრეებში რომ ჩარჩენილა და მოელის გამომხსნელს, მოელის დღის სინათლეზე აელვარებას.

განა, ერთი და ორია საქართველოს ისტორიაში გმირ და ნამდვილ მამულიშვილ მეფეთა სახელი, მათი სისხლის მდინარეს მიწა, მართლაც, ქვესკნელამდის გაუჟღენთავს, მათ სიბრძნესა და გონიერებას კი საქართველო გადაურჩენია და აგერ, ჩვენამდის მოუტანია თითქმის მთლიანი და თავისი ღირსებებით გამორჩეული. ვფიქრობთ, თანამედროვეობამაც უნდა დააყურადოს და ბევრი ისწავლოს გარდასულ მამულიშვილთა

დიდებულ საქმეთაგან, არაჩვეულებრივ ადამიანურ ზნე-ჩვეულებათაგან, რაც მთავარია, ბრძნული აზროვნებისაგან.

ისტორიიდან ყოველთვის იგრძნობა მაგალითის ძალა და მიგვაჩნია, რომ ქართველ მეფეთა შორის მრავლად მოიძებნებიან სამაგალითონი და სალოცავნი, ქვეყნისათვის თავდადებულნიცა და თავშეწირულნიც... ალბათ, ამიტომაცაა, რომ ქართველებს ასე ძალიან უყვართ თავისი ისტორია, გმირობის, მამაცობისა და სიბრძნის სამაგალითო პერსონაჟებითა და სამშობლოს სიყვარულით სულანთებული გმირების მაგალითებით. თვით მეფეთა შორისაც იმდენია გმირი და რჩეული, რომ მარტო თეორიულად შეიძლება დაიწეროს ტომები...

ხშირად საქართველოს ისტორიის მისამართით საყვედური გამოითქმის -– საქართველოს ისტორია მარტო მეფეების ისტორიაარ. რა თქმა უნდა, ქართველი ერი თავის ხსოვნაში განადიდებდა ღირსეულ მეფეებს, ღირსეულ მამულიშვილებს, მაგრამ არც არავინ დაუვიწყებია ქართველ ხალხს და მის მემატიანეებს, ვინც სამშობლოსთვის იფიქრა, იღვაწა და იმოქმედა. რუდუნებით ელოლიავება მათ სახელს, ვისაც ნაღდ მამულიშვილად მიიჩნევს, ვისაც ქვეყნისა და ერისათვის არც დრო და არც სიცოცხლე არ დაუშურებია. უშურველად გაიმეტეს ყოველივე საუკეთესო, რასაც კი მამული შეიწირავდა, რაც და ვინც მის საკურთხეველზე შეიძლებოდა მიეტანათ. ქართველი წმინდანები, ქართველი მამულიშვილები საქართველოს ისტორიის ფურცლებს ამაღლებენ და ასულიერებენ, გვარწმუნებენ მასში, რომ მამული ის ადგილია, რომლისთვისაც სიცოცხლეც კი შეიძლება გაიმეტოს ადამიანმა და თავად ერსა ამაღლებულსა და მშვენიერ გრძნობას უღვიძებენ.

## დასკვნა

ქართველ მამულიშვილთა მრწამსი და გრძნობა არაერთგზის გამხდარა როგორც ისტორიის, ისე მხატვრული ლიტერატურის ასახვის ობიექტი და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ქართველი ერის სული და გული მათი მამულიშვილური გრძნობითაა გაჟღენთილი. ეს სწორედ მათ ჩაუნერგეს ქართველებს მამულისათვის თავდადებისა და თავგანწირვის გრძნობა. მათი მაგალითით აღფრთოვანებული ქართველები შრომასა თუ ბრძოლაში, ჭირსა თუ ლხინში, მხნეობისა და გამძლეობის მაგალითს იძლეოდნენ მუდამჟამს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ი. ჭავჭავაძე, „თხზულებანი“ - პავლე ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1957 წ.
2. გ. ციციშვილი, „მიხეილ ჯავახიშვილი – 125 წლისთავი, თბილისი, 2005 წ.
3. თ. ჯაგოდნიშვილი, „ისევ სუნთავენ ქართული ოცნებით მესხეთის მთაზე დიდი ტაძრები“, თბილისი, 2016 წ.
4. ვ. შუბითიძე, „საქართველოს დიდი მეფეები“, თბილისი, 2005 წ.
5. ი. ლომთაძე, „მამულიშვილობა და მამულიშვილები“, თბილისი, 2013 წ.


## In the footsteps of compatriot


***Tamaz Nutsubidze***
***Professor of Technical University of Georgia***


### Summary


In the presented work “The patriots’ cradle will rock again in Georgia” there is shown how love for the country has lead Georgia to the present day. Attention is focused on those patriots, who sacrificed their lives for devotion to their motherland.

The patriots’ cradle will rock again in Georgia, and Georgia will give birth to heroes; if monks and lay people will

pray for its future, the birth of new Amirani, new Pharnavaz or David Aghmashenebeli, and country's awakening from its lethargic sleep is always possible.

Ilia Chavchavadze was able to put a country of a footing of new national-liberation struggle.

The history of Georgia is often reproached - the history of Georgia is only the history of kings. Of course, the Kar-tveli nation glorified the worthy kings, worthy family members in its memory, but no one has forgotten the Georgian people and its chroniclers, who thought, acted and acted for the homeland. He mourns the name of those whom he considers to be his native land, who have not spared either time or life for the country and the nation. They eagerly devoured the best that the estate could offer, whatever and whomever could be brought to its altar. Georgian saints, Georgian landowners elevate and sanctify the pages of Georgian history, they convince us that the estate is a place for which a person can even sacrifice his life, and they awaken the sublime and beautiful feeling of the nation itself.

# საერთაშორისო ურთიერთობები

# INTERNATIONAL RELATIONS

## აშშ-ის ტრიუმფალიზმის თეორია და „ცივი ომის“ დასასრული

*თამარ დარჩია, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ტრიუმფალიზმის თეორიის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და განსაკუთრებით პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დამსახურებაა ცივი ომის დასრულება და საბჭოთა კავშირის კოლაფსი, რაც მისი მკაცრად ანტიკომუნისტური რიტორიკითა და ამავე დროს, თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკით გახდა შესაძლებელი. აღნიშნული შეხედულებით, სწორედ რეიგანის ფაქტორმა დააჩქარა აშშ-საბჭოთა კავშირს შორის მიმდინარე პროცესები. იგი არ ენდობოდა საბჭოელებს, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებულ პოლიტიკურ „განმუხტვას“ კრემლი ერთგვარ შირმად იყენებდა აგრესიის ჩვეული სტრატეგიის შესანიღბად. შესაბამისად, იგი დარწმუნებული იყო, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიები ხელახლა უნდა გადაფასებულიყო. რეიგანის ადმინისტრაციის უშუალო ამოცანას წარმოადგენდა აშშ-ის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, შემდეგ კი - მეტი ფინანსების მოზიდვა სამხედრო სფეროს გაძლიერებისთვის, რათა საბოლოოდ, მოსკოვი დაერწმუნებინა მისი ქვეყნის სიძლიერეში და მასთან უკვე ძლიერი მხარის პოზიციიდან ესაუბრა.

ე.წ. „რეიგანის დოქტრინის“ ფარგლებში, უპრეცედენტოდ გაიზარდა აშშ-ის სამხედრო ხარჯები, რაც მოიცავდა გადაიარაღებისა და „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის“ (SDI) პროგრამებს. რეიგანისთვის პრიორიტეტული მიმართულებას წარმოადგენდა აშშ-ის როგორც ზესახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება და განმტკიცება, ასევე მსოფლიოში კომუნიზმის ექსპანსიის არა მხოლოდ შეკავება, არამედ უკუგდება (Rolllback). ტრიუმფალისტების აზრით, მიხეილ გორბაჩოვის მიერ საბჭოთა კავშირში წამოწყებული რეფორმების ტალღა - ქვეყნის დემოკრატიზაციის, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებების მიმართულებით, რონალდ რეიგანის დამსახურებას უფრო წარმოადგენდა ვიდრე მის კეთილ ნებას, ვინაიდან შეზღუდული არჩევანის პირობებში, კრემლს აღარ შესწევდა უნარი დაპირისპირებოდა შეერთებულ შტატებს, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციამ ააღორძინა და განამტკიცა. თავისმხრივ, რეიგანი არასდროს შეწინააღმდეგებია მშვიდობიან და რეფორმების პროცესში მყოფი საბჭოთა კავშირის რეალურ ინტერესებს, ვინაიდან გორბაჩოვის ხელისუფლების პირობებში, არსებობდა ქვეყნის მართვის სისტემაში ძირეული ცვლილებების განხორციელების სურვილი - ისეთი ცვლილებების, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმის ხასიათი უნდა შეეცვალა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, საბჭოთა კომუნიზმმა გასაოცარი სისწრაფით განიცადა კრახი. კრემლმა ვერ შეძლო სოციალისტური ბლოკის შენარჩუნება. 1989 წლის ნოემბერში დაინგრა ბერლინის კედელი, წელიწადზე ნაკლებ დროში გაერთიანდა გერმანია როგორც ერთიანი კაპიტალისტური და დემოკრატიული სახელმწიფო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ანტიკომუნისტურმა რევოლუციებმა მოიცვა. დასრულდა ცივი ომი, 1991 წლის 21 დეკემბერს კი, თავად საბჭოთა კავშირმაც შეწყვიტა არსებობა.

საკვანძო სიტყვები: აშშ, ტრიუმფალიზმი, რეიგანის დოქტრინა, ცივი ომი, საბჭოთა კავშირი

**შესავალი**

ცივი ომის საწყისი ეტაპიდან, აშშ-ის ძირითად საგარეო პოლიტიკურ დოქტრინას საბჭოთა კავშირის გავლენის გაფართოებისა და კომუნიზმის გავრცელების შეკავების პოლიტიკა წარმოადგენდა

და შესაბამისად, პრეზიდენტ ჰარი თრუმენიდან მოყოლებული, ყველა პრეზიდენტი, მტკიცედ და ეფექტიანად ატარებდა ცივი ომის შესაბამის სტრატეგიებს ათწლეულების მანძილზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეიგანი და მისი ახლო გარემოცვა, იმ მემარჯვენე რესპუბლიკელთა წრეს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც არათუ ამართლებდნენ, არამედ აკრიტიკებდნენ კიდეც საბჭოთა კავშირის შეკავების პრაქტიკას, ზედმეტად პასიური და პესიმისტური ხასიათის გამო, რაც მათი შეხედულებით, აშშ-ს, „ცივ ომის“ მიმდინარეობისას, არამომგებიან პოზიციაში აყენებდა.

**ძირითადი ნაწილი**

ახლად არჩეულ რეიგანს, მართალია არ გააჩნდა საგარეო პოლიტიკური გამოცდილება, თუ სისტემატიზირებული ხედვები საერთაშორისო საქმეებში, იგი ფლობდა მტკიცე, თითქმის ინტუიციურ რწმენას, რაც გავლენას ახდენდა მისი ადმინისტრაციის ერთიან საგარეო პოლიტიკაზე. მას სწამდა, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ხელახლა უნდა გადასაფასებულიყო. ამისთვის კი საჭირო იყო საბჭოთა კავშირთან სტრატეგიული პარიტეტის დარღვევა უპირატესობის საილუსტრაციოდ, აღმოსავლეთ ევროპაზე კრემლის გავლენის შერყევა, ისევე როგორც, მესამე სამყაროს მნიშვნელოვანი რეგიონებიდან მისი განდევნა. ერთი სიტყვით, რეიგანისტებს, ამერიკის პოლიტიკური ელიტის ზომიერი ფრთის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, გარდაუვლად მიაჩნდათ გეოპოლიტიკური ძვრები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიში. მათ მტკიცედ სწამდათ კაპიტალისტური სისტემის უპირატესობის, სძულდათ კომუნიზმი, რომელიც ამერიკის ყველა საგარეო პოლიტიკური პრობლემის სათავედ მიაჩნდათ, რომელსაც, როგორც რეიგანი ამბობდა, საბოლოოდ „პოლიტიკურ სანაგვეზე“ მიუჩენდნენ ადგილს.

რეიგანს იმედს უმყარებდა საბჭოთა სისტემის კრიზისი ყველა მიმართულებით. ქვეყანა, რომელმაც ვერ შეძლო ეკონომიკის გარდაქმნა, მკვეთრად ჩამორჩებოდა დასავლეთის წამყვან ქვეყნებს პოსტინდუსტრიული ეკონომიკური ზრდის ტემპით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებითა, თუ ცხოვრების საერთო დონით. გარდა ამისა, ქვეყანაში არსებულ გაუარესებულ დემოგრაფიული სურათს, ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებებსა და მორალური კრიზისის ფონს, ემატებოდა ავღანეთის ძვირადღირებული და ქვეყნისთვის დამანგრეველი ეფექტის მქონე ომიც. ეს ყველაფერი წარმოდგენილი იყო ამერიკის სადაზვერვო სამსახურების ანგარიშებში, რაც თეთრ სახლს აძლევდა საბჭოთა კავშირის დაღმასვლის ნათელ და დეტალურ სურათს. აღნიშნული მონაცემების დეტალურმა შესწავლამ, როგორც შემდეგ აღნიშნავდა რეიგანი, დაარწმუნა იმაში, რომ საბჭოთა ეკონომიკა გაკოტრდა, მათ შორის უზარმაზარი სამხედრო დანახარჯების გამოისობით.

ზემოთაღნიშნული კრიზისი აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებზეც გავრცელდა: სწრაფად იზრდებოდა მათი ფინანსური დამოკიდებულება დასავლეთზე, ეცემოდა ეკონომიკის ეფექტიანობა, იზრდებოდა საზოგადოების უკმაყოფილება და ანტისაბჭოთა განწყობები. პოლონეთში, 1981 წელს, მასობრივი გამოსვლების აღსაკვეთად საომარი მდგომარეობის შემოღებამ კრემლის გავლენების არასტაბილურობა წარმოაჩინა, ანდროპოვის სიტყვებითვე, ამოიწურა „ინტერვენციის ლიმიტი“. აღმოსავლეთ ევროპული რეჟიმების ერთგულების შენარჩუნება კი, კრემლისგან სულ უფრო მეტ ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებას ითხოვდა, რაც დიდ ტვირთად ეწვა საბჭოთა მილიტარისტურ ეკონომიკას, რომელიც საკუთარი მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველყოფას ძლივს ართმევდა თავს. აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს მონაცემებით, 1980-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის „იმპერიული ხარჯების“ საერთო ტვირთი, ეროვნული პროდუქტის 20-დან 25 პროცენტამდე აღწევდა. როგორც სააგენტოს დირექტორი უილიამ ქეისი აღნიშნავდა, საბჭოთა კავშირმა უკიდურესად გადაამეტა მის შესაძლებლობებს, რამაც იგი უფრო მოწყვლადი გახადა. „...თუ ამერიკა საბჭოთა კავშირს გამოიწვევს ყველა მიმართულებით და ერთ მათგანში მაინც დაამარცხებს, ეს გაანადგურებს მითს კომუნიზმის შესახებ და საბოლოოდ ჩამოშლის მას“ - ამბობდა იგი. [6, 510]

**აშშ-ის ტრიუმფალიზმის თეორია და „ცივი ომის“ დასასრული**

რონალდ რეიგანი თეთრ სახლში იმ მტკიცე რწმენით მოვიდა, რომ ქვეყნის სამხედრო ძლიერება ახალ ნიშნულზე აეყვანა და ძირეული გარდატეხა მოეხდინა „ცივი ომის“ მსვლელობის პროცესში. ამ თვალსაზრისით, „რეიგანის დოქტრინა“ (Reagan Doctrine) გულისხმობდა კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის ექსპანსიის არა მხოლოდ გლობალურ შეკავებას, არამედ საწყის პოზიციებზე

დაბრუნებას, ანუ უკუგდებას (Rollback) - რაც კომუნიზმთან მებრძოლი ქვეყნების ფინანსურ და სამხედრო ხელშეწყობას ნიშნავდა, ისევე როგორც ანტიკომუნისტური საქმიანობის ღიად ან ფარულად განხორციელებას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სალვადორი, ან ნიკარაგუა, სადაც რეიგანის ადმინისტრაციამ სანდინისტების (მათი მთავრობაში მოსვლა აღქმული იქნა როგორც მთელ რეგიონში კომუნისტების შეღწევის საფრთხე) წინააღმდეგ მებრძოლ პარტიზანებს (კონტრებს) სამხედრო მხარდაჭერა შესთავაზა. რეიგანის დოქტრინამ, მისი შეკავებისა და უკუგდების კომპონენტების მეშვეობით საბოლოოდ შეაჩერა საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური წინსვლა რეგიონში. ნიკარაგუაში, სამშვიდობო გეგმის ფარგლებში, სანდინისტები აიძულეს დათანხმებოდნენ არჩევნების ჩატარებას, სადაც მათ მარცხი იწვნიეს. სალვადორშიც მიაღწიეს სამშვიდობო შეთანხმებას, რაც ასევე ითვალისწინებდა თავისუფალი არჩევნების ჩატარებას. ნიკარაგუის მსგავსად, არჩევნებში აქაც პროამერიკულმა ძალამ გაიმარჯვა.

კომუნიზმის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფარგლებში, აშშ-მა მხარი დაუჭირა ისრაელის შეჭრას ლიბანში 1982 წელს, რათა ხელი შეეშალა რეგიონში საბჭოთა კავშირის გავლენისა და სირიის ექსპანსიისთვის.

1983 წელს, აშშ-მა კარიბის აუზის კუნძულოვან სახელმწიფოში, გრენადაში, შეიყვანა სამხედრო შენაერთები, რის შედეგადაც, ხელისუფლებაში გადატრიალების შედეგად მოსულმა პროსაბჭოურმა რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა. რეიგანის ადმინისტრაცია საიდუმლოდ უწევდა ფართომასშტაბიან სამხედრო დახმარებას ავღანელ მოჯაჰედებს საბჭოელებსა და ქაბულის მარიონეტულ მთავრობასთან ბრძოლაში. ავღანეთის ომი დროში ძალიან გაიწელა და კრემლისთვის ფაქტობრივად მეორე „ვიეტნამად“ იქცა. 1989 წელს კი, საბჭოთა კავშირი იძულებული შეიქმნა სამხედრო შენაერთები ავღანეთიდან გაეყვანა.

„ცივ ომში“ გარდატეხის მოსახდენად, რეიგანის ადმინისტრაციას მიაჩნდა, რომ საჭირო იყო სამხედრო მოდერნიზაცია და სტრატეგიული უპირატესობის დაბრუნება, რაც გარკვეულწილად შესუსტდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების „განმუხტვისა“ და სტრატეგიული პარიტეტის დაცვის შედეგად. ამასთან ერთად, საჭირო იყო ეროვნული საბრძოლო მუხტის აღორძინება, რათა საბოლოოდ დაძლეულიყო 60-იანი და 70-იანი წლების მემკვიდრეობა - ე.წ. „ვიეტნამის სინდრომი“. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე, საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებას ქვეყნის ინტერვენციონისტულ საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში. რეიგანს და მის თანამოაზრეებს სჯეროდათ, რომ სამხედრო ძლიერებისა და პოლიტიკური ნების ამგვარი სინთეზი აშშ-ს თავდასხმით პოზიციაში ჩააყენებდა, რაც საშუალებას მისცემდა მას, შეევიწროვებინა საბჭოთა კავშირი მსოფლიო არენაზე და აიძულებდა უკან დახევას, ან თუნდაც, დამარცხების აღიარებას გლობალური კონფრონტაციის პროცესში.

რეიგანის დამოკიდებულება საბჭოთა ლიდერების მიმართ, მის პირველივე პრეს-კონფერენციაზე გამოჩნდა, როცა ისინი არამზადებად მოიხსენია, რომლებიც კომუნისტური მოსწრაფებების მისაღწევად, საკუთარ თავს „ტყუილის, თაღლითობისა და ქურდობის“ უფლებას აძლევდნენ. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ისტრუმენტს სამხედრო ძლიერება წარმოადგენდა. შესაბამისად, მისი დომინანტური ხასიათი განპირობებული იყო სამხედრო ძალის გამოყენებითა თუ გამოყენების მუქარით. ეკონომიკური ჩამორჩენა ვერ უშლიდა კრემლს ხელს, დასავლეთთან ურთიერთობა სამხედრო პარიტეტის პოზიციიდან ეწარმოებინა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეფციების პერიოდშიც, იქნებოდა ეს მშვიდობიანი თანაარსებობა თუ განმუხტვა, მის მიერ ხელმოწერილი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულებების (SALT I და SALT II) პირობებშიც კი, საბჭოთა სამხედრო ძლიერების ზრდა არ შეჩერებულა. რეიგანი მიიჩნევდა, რომ შეთანხმების სამართლიანობა განისაზღვრებოდა მონაწილე მხარეებზე უფლებებისა და შეზღუდვების თანაბარი გადანაწილებით, და ვინაიდან, კრემლის მხრიდან ადგილი ჰქონდა დადგენილი პირობების უგულებელყოფის ფაქტებს, იგი საერთოდ ეჭვქვეშ აყენებდა ზემოთხენებული შეთანხმების ადეკვატურობის საკითხს. შესაბამისად, რეიგანისთვის მიუღებელი იყო აშშ-ის პოლიტიკური ელიტის არაერთი წარმომადგენლის მიამიტური დამოკიდებულება საბჭოელების მიმართ, რომელთაც სჯეროდათ, რომ თუ აშშ განიარაღდებოდა, იგივეს გააკეთებდა საბჭოთა კავშირიც.

რონალდ რეიგანისთვის მიუღებელი იყო, რომ შეერთებული შტატები, დიდი ხნის მანძილზე, თავდაცვითი ტიპის პოლიტიკას აწარმოებდა და მხოლოდ საპასუხო რეაქციით შემოიფარგლებოდა

მსოფლიოში არსებულ კრიზისულ სიტუაციებთან თუ თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებთან მიმართებაში. ვაშინგტონი თანხმდებოდა ეთამაშა მოწინააღმდეგის მიერ შერჩეულ ტერიტორიაზე, განეხილა სხვის მიერ შემოთავაზებული საკითხები მისგან დამოუკიდებლად შერჩეულ დროის მონაკვეთში. მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფო, რომლისთვისაც პრიორიტეტული იყო თავდაცვით პოზიციაში ყოფნა, წინ ვერ წავიდოდა. შესაბამისად, ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ უკუსვლა იყო. [7, 2]

რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პირველ წლებში, სამხედრო ბიუჯეტი თითქმის გაორმაგდა. ნეიტრონის ბომბის წარმოებასთან ერთად, განახლდა სტრატეგიული ბომდამშენის B1 (Lancer) პროგრამა, რომელიც კარტერის პრეზიდენტობის პერიოდში შეჩერდა. მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო აგრეთვე „სტელსის“ ტიპის უჩინარ სტრატეგიულ ბომბდამშენებზე, „ტრაიდენტის“ (Trident) ტიპის ბირთვულ ნავებსა და MX ტიპის რაკეტებზე. ნატოს ქვეყნებთან შეთანხმებით, (როგორც ეს დაგეგმილი იყო კარტერის ადმინისტრაციის დროს) გადაწყდა დასავლეთ ევროპაში საშუალო რადიუსის ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტების განლაგება, რაც იძულებულს ხდიდა საბჭოთა მხარეს, მასაც განეხორციელებინა საპასუხო ღონისძიებები და გაცილებით მეტი ფინანსური რესურსი დაეხარჯა თავდაცვაზე.

1983 წელი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ და დაძაბულ პერიოდად ცივი ომის ისტორიაში. მარტის დასაწყისში, აშშ-ის პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა, ხოლო ორი კვირის შემდეგ, ტელევიზიით გამოსვლისას, საზოგადოებას ამცნო სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის პროგრამის (SDI) შესახებ. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა მეცნიერებს: „მე მივმართავ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებას, მათ, ვინც მოგვცა ბირთვული იარაღი, რათა ახლა თავიანთი უდიდესი ნიჭი მიმართონ ადამიანის გადარჩენისა და საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისკენ , რათა მოგვცენ ისეთი საშუალება, რომელიც ბირთვულ იარაღს გადააქცევს უძლურად და მოძველებულად.“ [3,207]

SDI იყო ბრძოლის წარმოების სრულიად ახალი, მათემატიკური მეთოდების დანერგვა, რაც გულისხმობდა ხმელეთზე და კოსმოსურ სივრცეში ისეთი ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის დაყენებას, რომელიც საიმედოდ დაიცავდა ჩრდილოეთ ამერიკის სრულ ტერიტორიას და დაფუძნებული იქნებოდა ახალ ფიზიკურ პრინციპზე, მათ შორის ბირთვული ენერგიის ლაზერულ სხივად გარდაქმნის პრინციპზე. რაც თავის მხრივ, საშუალებას აძლევდა აშშ-ს გაენადგურებინა ნებისმიერი საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტა ნებისმიერ დისტანციაზე. აღნიშნული პროექტის კვლევა უნდა განხორციელებულიყო ოცი წლის მანძილზე, ხოლო ფინანსური კუთხით, ის შეუფასებელი იყო (ვარაუდის დონეზე 100 მილიარდიდან - ერთ ტრილიონ დოლარამდე). SDI-ის პროგრამას უფრო თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე შეტევითი, თუმცა მისი მიზნებისა და მეთოდების გათვალისწინებით, ბევრისთვის იმდენად არარეალურად გამოიყურებოდა, რომ იგი „ვარსკვლავური ომების“ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში, 1977 წელს გადაღებული, ჯორჯ ლუკასის ფანტასტიკური კინოპროექტის სახელწოდების მიხედვით. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ახლოს იყო აღნიშნული ინიციატივა ფანტასტიკური ჟანრის ფილმებთან, ის ნამდვილ თავისტკივილად იქცა კრემლისთვის, ვინაიდან მისიის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის მთელი ომისშემდგომი ძალისხმევა, როგორც ბირთვულ სახელმწიფოს, შიშის ქვეშ ჰყოლოდა მთლიანად ევროპა და მსოფლიოც კი, არც მეტი, არ ნაკლები, კოტრდებოდა, ვინაიდან ძირითადად ბირთვული არსენალი ანიჭებდა საბჭოთა კავშირს ზესახელმწიფოს სტატუსს.

კრემლის პანიკა გამოწვეული იყო შიშით, რომ ინგრეოდა სტრატეგიული პარიტეტი აშშ-თან. ნათელი ხდებოდა, რომ საბჭოთა კავშირს ტექნოლოგიურად აღარ შესწევდა უნარი პაექრობა გაეწია ამ ურთულესი და უძვირესი პროექტისთვის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ კრემლი იმხანად ჩართული იყო ავღანეთის ომში, გასაგები ხდება ის შეშფოთება რაც გამოიწვია რეიგანის მხრიდან სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის (SDI) გამოცხადებამ. საბჭოთა ანალიტიკოსები საკმაოდ შემაშფოთებელ პროგნოზებს აკეთებდნენ: ვაშინგტონს საშუალება ეძლეოდა, დაუსჯელად განეხორციელებინა პირველი ბირთვული დარტყმა, რაც დაამხობდა ბოლო ათი წლის მანძილზე მიღწეულ სამხედრო-გეოპოლიტიკურ სტაბილურობას, ბათილდებოდა აშშ-თან მიღწეული ყველანაირი შეთანხმება და ბოლოს, საბჭოთა კავშირი კარგავდა ზესახელმწიფოს სტატუსს. საბჭოთა მეცნიერები კი ორჭოფობდნენ, მათი აზრით SDI-ს განხორციელება ფაქტობრივად არარეალური იყო, თუმცა 10-15

წლის შემდეგ თეორიულად უშვებდნენ მსგავსი სისტემის შექმნის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად არეალურად ეჩვენებოდა ვინმეს ამ სისტემის პრაქტიკული განხორციელება, იური ანდროპოვისთვის სიტუაცია იმდენად რთული იყო, რომ როგორც თავად აცხადებდა, მას არ სურდა იგნორირება გაეკეთებინა ნებისმიერი შესაძლებელი სცენარისთვის, მათ შორის ეფექტური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის ვარიანტისვისაც. ვინაიდან SDI ამერიკული პოლიტიკის რეალურ ფაქტორს წარმოადგენდა, კრემლს არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა მოვლენების ამგვარი განვითარება.

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დაძაბულობამ პიკს 1983 წლის 1 სექტემბერს მიაღწია, როცა საბჭოთა ავიაგამანადგურებელმა სამხრეთკორეული სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდო 269 მგზავრით ბოტრზე. აღნიშნული ტრაგიკული შემთხვევა თეთრმა სახლმა მაქსიმალურად გამოიყენა პროპაგანდისტული თვალსაზრისით. სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდებას რეიგანმა საბჭოთა მხეცობა უწოდა, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში აღნიშნული შემთხვევა შეფასდა როგორც დანაშაული მსოფლიოს წინაშე, რომელსაც არანაირი იურიდიული და მორალური გამართლება არ ჰქონდა. მსოფლიო ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, რეიგანს კი კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება გაემართლებინა მის მიერ გადადგმული ნაბიჯები სამხედრო შეიარაღების გაზრდის კუთხით.

ამგვარი ძალისხმევის მიუხედავად, რეიგანის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ მომხრე იყო მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და არა აგრესიისა, რომ მას არ გააჩნდა იმპერიალისტური მისწრაფებები და არ ემუქრებოდა საბჭოთა კავშირს რაიმე ტიპის აგრესიული სამხედრო ქმედებების განხორციელებით, რაც კიდევ უფრო წარმოჩინდა, მიხეილ გორბაჩოვის მთავრობაში მოსვლის შემდეგ. რეიგანი არასდროს შეწინააღმდეგებია მშვიდობიან და რეფორმების პროცესში მყოფი საბჭოთა კავშირის რეალურ ინტერესებს, ვინაიდან არსებობდა ქვეყნის მართვის სისტემაში ძირეული ცვლილებების განხორციელების სურვილი - ისეთი ცვლილებების, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმის ხასიათი უნდა შეეცვალა.

**დასკვნა**

უნდა აღინიშნოს, რომ არც უაღრესად დაძაბული ფონი და არც რეიგანის მორალისტური მოწოდებები ისეთ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა კრემლზე, როგორც ამერიკის ახალი თავდაცვის სისტემის ტექნოლოგიური პოტენციალი და ზოგადად, სტატეგიული შესაძლებლობების ზრდა. SDI-ის პროგრამამ აიძულა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა დაბრუნებოდა შეირაღების კონტროლის შესახებ მოლაპარაკებებს ჟენევაში, რომელიც შეწყვეტილ იქნა ევროპაში საშუალო რადიუსის რაკეტების განთავსების გამო.

მოსკოვი დათმობაზე წავიდა და დათანხმდა მოლაპარაკებების განახლებას, ვინაიდან მისთვის ნათელი გახდა რომ ვერ შეძლებდა, აჰყოლოდა ვაშინტონს და მით უმეტეს წარმატებებებისთვის მიეღწია ისეთ ტექნოლოგიურ შეჯიბრში, სადაც ახალი რეალობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი იყო რეიგანის სტრატეგიული თავდაცვის პროგრამა. ახალი დაპირისპირება მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებთან კრემლს კარგს არაფერს მოუტანდა. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ორმოცწლიანმა „ცივმა ომმა“ მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ ქვეყნები, როგორც არასდროს, ისე შეაკავშირა ერთანეთს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამერიკელებისთვის ტრიუმფი ერთ-ერთ ამერიკული პრინციპია. რეიგანის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მისმა მკაცრმა პოლიტიკამ აიძულა მიხეილ გორბაჩოვი ცვლილებები განეხორციელებინა, რასაც საბჭოთა კომუნიზმის გასაოცარი სისწრაფის კრახი დაემატა: 1989 წლის ნოემბერში დაინგრა ბერლინის კედელი, წელიწადზე ნაკლებ დროში გაერთიანდა გერმანია, როგორც ერთიანი კაპიტალისტური და დემოკრატიული სახელმწიფო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ანტიკომუნისტურმა რევოლუციებმა მოიცვა. 1991 წლის 21 დეკემბერს კი თავად საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა არსებობა.

ისმის კითხვა, მოხდებოდა თუ არა აღნიშნული პრობლემების ამგვარი ტემპითა და ფორმით გადაჭრა, აშშ-ის პოლიტიკა სხვანაირი რომ ყოფილიყო? როგორც აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში (1987-1991წწ.) ჯეკ მეტლოკი განმარტავს, რომელიც მიმდინარე მოვლენების უშუალო ეპიცენტრში იმყოფემოდა და, შესაბამისად, კარგად იცოდა თუ რა პირობებში ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება მოსკოვში, ამაში ეჭვი ეპარება. მისთვის ცივი ომი დასრულდა: 1. დასავლური სამყაროს ძალისა და სიმტკიცის გაერთიანებით სამართლიანი მოლაპარაკებების სურვილთან და 2. საბჭოთა ხელისუფლების გააზრებით, რომ ქვეყანა ასე ვეღარ გააგრძელებდა, რომ საჭირო იყო ცვლილებები ქვეყნის შიგნით, რაც გარე სამყაროსთან თანამშრომლობის გარეშე მიუღწევადი იქნებოდა. გორბაჩოვს, რეიგანს და ამერიკის მოკავშირეებს გადამწყვეტი

წვლილი მიუძღვით აღნიშნულ პროცესებში, თუმცა მიუხედავად გორბაჩოვზე მისი მაღალი წარმოადგენისა, როგორც მეტლოკი აღნიშნავს, სცენარი დაიწერა ვაშინგტონში და არა მოსკოვში. [2,670]

**ლიტერატურა:**


1. რონალდ რეიგანი, ამერიკული ცხოვრება, ავტობიოგრაფია, თბილისი, 2011;
2. Jack F. Matlock, Jr. Autopsy on an Empire, Random House, New York , 1995
3. Frances Fitzgerald, Way Out There in the Blue, Reagan Star Wars and the End of the Cold War, First Touchstone Edition 2001;
4. Bruce W. Jentleson, American Foreign Policy, The Dynamics of Choice in the 21st Century, Fifth Edition, Duke University, 2014;
5. Anatoly Dobrynin, In Confidence: Moscow's Ambassador to America's Six Cold War Presidents, United States of America 2008;
6. Robert D. Shulzinger, US Diplomacy Since 1900, New York, Oxford, Oxford University Press, 2008;
7. В.О. Печантов, А.С. Маныкин, История Внешней Политики США, „Международные Отношения" 2012;
8. United States Department of State, Bureau of Public Affairs; Realism, Strength, Negotiations; Key Foreign Policy Statements of the Reagan Administration, Washington, 1984;
9. Jack F. Matlock, Jr, Reagan and Gorbachev, How the Cold War Ended, Random House Trade Paperback Edition, 2005;
10. https://www.encyclopedia.com/defense/energy-government-and-defense-magazines/triumphalism'


## The theory of US triumphalism and the end of the "Cold War"


***Tamar Darchia, associate professor***
***Georgian Technical University***



**Summary**

U.S. Triumphalism theory gives the United States and especially Ronald Reagan the credit for ending the Cold War and dissolution of the Soviet Union by pursuing a tough anti-communist rhetoric and assertive foreign policy. According to their point of view, it was the Reagan factor that accelerated the processes between the US and the Soviet Union. He did not trust the Soviets, as believed that the Kremlin was using the political "detente" between the two countries as a kind of cover to disguise its usual strategy of aggression. Consequently, he was convinced that US foreign policy strategies should be reassessed. The immediate task of the Reagan administration was to promote the economic growth of the USA, and then - to raise more funds for the strengthening of the military sphere, in order to finally convince Moscow of the power of his country and keep negotiations from the stronger position.

Among top priorities of the White House was to preserve and strengthen the status of the USA as a superpower, so the Reagan Doctrine was developed as the basis not only for containment the Communist global expansion, but also to rollback it. The doctrine involved an unpreceded military funding increase, rearmament and the Strategic Defense Initiative (SDI) programs. According to the Triumphalists, even the wave of reforms initiated by Mikhail Gorbachev - in the direction of democratization, social and economic policies, represented the merit of Ronald Reagan more than his own good will, as under the condition of limited choice, the Kremlin would no longer have the ability to confront the United States - revived and powerfull under the president Reagan administration.

On the other hand, Reagan never opposed the real interests of the peaceful and reforming Soviet Union, because under Gorbachev's government, there was an eagerness to make fundamental changes in the country's management system – transformation that would modify the character of the Soviet regime. However, despite everything, Soviet communism collapsed with astonishing speed. The Kremlin failed to maintain the socialist bloc too. In November 1989, the Berlin Wall fell, and in less than a year, Germany was reunited as one capitalist and democratic state. Eastern European countries were swept by anti-communist revolutions. The Cold War ended, and on December 21, 1991, the Soviet Union ceased to exist tself.

# რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში

*ედიშერ ასათიანი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

XX საუკუნიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ სსრკ-ს შემადგენლობაში შედიოდნენ. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ რუსეთს საკმაოდ მძიმე პერიოდი დაუდგა და იგი საკუთარი ქვეყნის შენარჩუნების პრობლემებით იყო დაკავებული. თუმცა მან შეძლო ღრმა კრიზისიდან გამოსვლა, ისევ მყარად დადგა ფეხზე და კვლავ გაუჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე ზესახელმწიფოს რანგში დაბრუნების ამბიცია. სტრატეგიულად კავკასია მისთვის მნიშვნელოვანი რეგიონია. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გავლენის აღდგენა მისი ამოცანაა, რადგანაც ეს სამეზობლო არეალი მას საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების ზონად მიაჩნია.

XX საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონმა აამოქმედა მისი სტრატეგიული ფუნქცია, რომელიც მანამდე იმპერიის მიერ კონტროლდებოდა და მის ინტერესებს ემსახურებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ სტრატეგიული ფუნქციის სრულად გამოყენება, ათვისება და ამოქმედება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური მიზანი გახდა ამ რეგიონის ახალგაზრდა სახელმწიფოებისათვის, თუმცა, ამავე დროს ამუშავდა რუსული პოლიტიკური მიზნებიც, რომელიც მწვავე დაპირისპირებაში აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა ინტერესებთან. როგორც რუსეთის პოლიტიკური ლიდერების გამოსვლებში, ასევე, ამ ქვეყნის პოლიტიკურ დოქტრინებში, მუდმივად ხაზი ესმევა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობას რუსეთისათვის. როგორც შავი ზღვის რეგიონში ასევე, კასპიისპირეთში და მიმდებარე რეგიონებში გავლენის ქონა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია რუსეთისათვის იმდენად, რომ რუსეთმა მის სტრატეგიულ დოქტრინაში მკვეთრად ხისტი დამოკიდებულებაც კი დააფიქსირა ამ რეგიონთან მიმართებით და საჭიროების შემთხვევაში ლოკალური დაბომბვების შესაძლებლობაც კი დაუშვა.

რუსეთს აქვს თავისი სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში და ცდილობს დომინანტური პოზიციის დამკვიდრებას რეგიონში. მისი სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს როგორც ძლიერი, ასევე რბილი ძალის ინსტრუმენტებს, რომელთა მიზანია რუსეთის გავლენის გაფართოება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. ამ მიმართულებით, რუსეთმა მიაღწია განსხვავებულ შედეგებს და შეეჯახა მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს სამეზობლო პოლიტიკის გატარებისას სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, სამხრეთ კავკასია, რბილი ძალა, სამეზობლო პოლიტიკა.

**შესავალი**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონმა აამოქმედა მისი სტრატეგიული ფუნქცია, რომელიც მანამდე იმპერიის მიერ კონტროლდებოდა და მის ინტერესებს ემსახურებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ სტრატეგიული ფუნქციის სრულად გამოყენება, ათვისება და ამოქმედება ერთ-ერთი მნიშვნელოვანისაგარეოპოლიტიკურიმიზანიგახდა ამ რეგიონის ახალგაზრდა სახელმწიფოებისათვის, თუმცა, ამავე დროს ამუშავდა რუსული პოლიტიკური მიზნებიც, რომელიც მწვავე დაპირისპირებაში აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა ინტერესებთან. როგორც რუსეთის პოლიტიკური ლიდერების გამოსვლებში, ასევე, ამ ქვეყნის პოლიტიკურ დოქტრინებში, მუდმივად ხაზი ესმევა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობას რუსეთისათვის. როგორც შავი ზღვის რეგიონში ასევე, კასპიისპირეთში და მიმდებარე რეგიონებში გავლენის ქონა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია რუსეთისათვის იმდენად, რომ რუსეთმა მის სტრატეგიულ დოქტრინაში მკვეთრად ხისტი დამოკიდებულებაც კი დააფიქსირა ამ რეგიონთან მიმართებით და საჭიროების შემთხვევაში ლოკალური დაბომბვების შესაძლებლობაც კი დაუშვა. ამის საჭიროება კი მუდმივად დგას რუსეთისათვის სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულად მომგებიანი მდებარეობიდან გამომდინარე. რუსეთს, როგორც ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს მსოფლიოში, თავისი პოლიტიკური თუ სხვა სახის ამბიციები გააჩნია ამ რეგიონში და ახერხებს კიდეც მათ რეალიზებას. აქედან გამომდინარე სამხრეთ კავკასიის რეგიონი ძალიან რთულ მდგომარეობაშია; ერთი მხრივ ამ რეგიონის სახელმწიფოებს სურთ დამოუკიდებლობა და

განვითარებისა და პროგრესის გზით სიარული, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთის ამბიციების გამო, მუდმივად უწევთ ბრძოლა, როგორმე თავი დააღწიონ ამ გავლენებს. ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, ჩაკეტილ წრეზე ბრუნავს და ჯერჯერობით ვერც დასავლეთის თანადგომით, ვერც მითუმეტეს საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, რეგიონის სახელმწიფოები ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად აირჩიონ საგარეო პოლიტიკური ვექტორი და გაყვნენ ამ მიმართულებას. პატარა სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია ასეთი მდგომარეობა. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია ამ წრიდან გამოსვლა. თუმცა, არც ადვილია. ვთვლით, რომ თუ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში არ მოხდა გარღვევა რუსეთთან დამოკიდებულებაში, მისი მეზობელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მცირე რესპუბლიკები ვერ შეძლებენ შეცვალონ რეალობა მათ გარშემო. ამის მიუხედავად რუსეთი არ შეწყვეტს მცდელობას, უფრო გაზარდოს გავლენა ამ რეგიონში და ამ წნეხთან გამკლავება ადვილი არაა. მართალია, არაერთი ავტორი ეჭქვეშ აყენებს რუსეთის ყოვლისშემძლეობას, მაგალითად, ჰანის ადომითი (Hannes Adomeit) თვლის, რომ რუსული პოლიტიკა არცთუ ისე წარმატებულია არა მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე (Adomeit, 1944, pp. 35-68). ვალტერ ლექუიერი (Walter Laqueur) აღნიშნავს, რომ ახლა აქვს რუსეთს მისი ძლიერების ზენიტი და რომ ხედავს შავ ღრუბლებს რუსეთის ჰორიზონტზე ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური თვალსაზრისით და მოჩვენებით რუსულ სიძლიერეს, რუსული მმართველი ელიტის აგიტაციის შედეგს უწოდებს, ვიდრე რეალობას, მაგრამ, ფაქტია, რომ ჯერ-ჯერობით რუსეთი წარმატებით ახერხებს მართოს პროცესები სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ოკუპაციის ფაქტორის გამოყენებით, და არა მხოლოდ ამით (Laqueur, 2015, pp. 54-60).

**ძირითადი ნაწილი**

რუსეთი მუდმივად მუშაობს და მომავალშიც არ დააკლებს ამ მიმართულებით ძალისხმევას, რომ გამოასწოროს ის სტრატეგიული დისბალანსი და გარღვევა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისათვის და მომდევნო უახლოეს წლებში მისი გადასახედიდან წარმოიქმნა სამხეთ კავკასიაში. ვგულისხმობთ იმას, რომ დასავლეთმა შემოაღწია ამ რეგიონში ენერგეტიკული პროექტებით და რუსეთისათვის ამ ენერგოპროექტების ფუნქციონირება ძალიან მტკივნეული თემაა. რუსეთი ამ რეალობას ებრძვის მუდმივად: ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე უამრავი რამ დაიწერა რუსეთის გეგმების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში. რუსული სპეცსამსახურები თუ სამხედრო - ანალიტიკური წრეები მუდმივად ამუშავებენ ამ საკითხს და ეძებენ ახალ გზებსა და მეთოდებს (თუმცა, ხშირად ძველ მეთოდებს იყენებენ), რომ თავის სასარგებლოდ შეცვალონ რეალობა. ერთ-ერთ ბოლო გეგემას და რუსული გენერალიტეტის მიდგომას თუ განვიხილავთ ამ თემაზე, ვნახავთ, რომ მიზანი კვლავ იგივეა, მაგრამ ცდილობენ მეთოდები და სტრატეგია გააუმჯობესონ და გაამრავალფეროვნონ. მაგალითად, ერთ-ერთ რუსულ სამხედრო-ანალიტიკურ გამოცემაში - «Военно-промышленный курьер» - ავტორი ღიად ამბობს, რომ რუსეთისათვის სამხეთ კავკასიის რეგიონი სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და არ აპირებს მასზე კონტროლის დაკარგვას. ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს რეგიონში მიმდინარე პროცესებს: „რაც შეეხება ამიერკავკასიას: რუსეთი ამ რეგიონში თავის პოზიციებს ენერგიულად თმობს. თავდაპირველად საქართველოს ნება მისცა, რომ აშშ-ს საყრდენად გადაქცეულიყო. არადა, ამიერკავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საუკუნეთა მანძილზე, სწორედ საქართველო იყო ჯერ რუსეთის იმპერიასთან ყველაზე მეტად ინტეგრირებული, შემდეგ კი საბჭოთა კავშირთან... მოკლედ, თუ რუსეთი დაუშვებს იმას, რომ საქართველო აშშ-ს სრულ კონტროლქვეშ მოექცევა, ეს იქნება ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძალიან დიდი მარცხი“. მოყვანილი კომენტარიდან ნათლად და ლაკონურად ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის ათვის მუდმივად იქნება საფრთხე, მოექცეს რუსული ორბიტის ქვეშ. ამ პროცესებს აქვს მეორე მხარეც: პოსტ-საბჭოთა პერიოდის გამოწვევების გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოები ერთდოულად ორი საგარეო პოლიტიკური მიმართულებით იყურებიან და ეს თითქოს ბუნებრივია მათთვის. საბჭოთა კავშირის დროს ამ სახელმწიფოებს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა არ ქონდათ და თითქოს დამოკიდებულნი გახდნენ გარე ძალის მიერ ნაკარნახევი საგარეო კურსის გატარებას. ამიტომ, ამ რეგიონის სახელმწიფოები ჯერ კიდევ იკვებებიან საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური ცხოვრების წესით და მეთოდებით; ჯერ კიდევ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მიდგომები გვახასიათებს და სანამ არ მოხდება მენტალური ცვლა და ტრანსფორმირება, ვერ შეიცვლება პოლიტიკური გამოწვევებისადმი მიდგომა.

შესაბამისად, არა მხოლოდ ის, რომ რუსეთის ინტერესებშია, გავლენის ქვეშ ყავდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონი, თავად ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ საბჭოური მენტალიტეტი და მართვის საბჭოური ფორმები და მიდგომებია შემორჩენილი და ეს ხელს უწყობს რუსეთს, წარმატებით განახორციელოს თავისი ინტერესები რეგიონში. ანუ საბჭოთა მეთოდებითა და მენტალიტეტით დასავლეთისაკენ სვლა შეუძლებელია. ეს შიდა წინააღმდეგობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლებაა განვითარების გზაზე. ამ შიდა წინააღმდეგობის დაძლევის შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები წარმატებით გაართმევენ თავს ძლიერი პოლიტიკური აქტორის - რუსეთის მიერ თავსმოხვეული პროექტების გავლენიდან თავის აცილებას.

რაც შეეხება რუსეთის ინტერესთა დაპირისპირებას სამხრეთ კავკასიის რეგიონის სხვა პოლიტიკურ აქტორებთან; ბუნებრივია, რეგიონში სტრატეგიული ინტერესები გააჩნია თურქეთსა და დასავლეთს. ირანის ისლამური რესპუბლიკის აქტივობა ამ მიმართულებით ამ ეტაპისათვის სუსტია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ირანმა უარი თქვა თავის ინტერესებზე კავკასიაში. სანქციების დაწესება და თითქმის დაუძლეველი პოლიტიკური დაპირისპირება აშშ-თან ირანს არ აძლევს საშუალებას გააააქტიუროს კავკასიური პოლიტიკა. ეს კი ეხმარება რუსეთს უფრო თამამი იყოს თავის ქმედებებში. რუსეთი ცდილობს არ დაუშვას სხვა ძალების უფრო მყარად დამკვიდრება რეგიონში და ამისათვის ყველა მეთოდს მიმართავს. მაგალითად, აშშ-ის მიერ რუსეთისათვის დაწესებულ სანქციებს რუსეთის დუმამ უპასუხა კანონით. ამ კანონის მიხედვით რუსეთი მისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების ქმედებებს შესაბამისი ზომების მიღებით უპასუხებს. შესაბამის ზომებში იგულისხმება ურთიერთობების შეწყვეტაც, კონკრეტული ქვეყნიდან პროდუქციისა და ნედლეულის შემოტანაზე შეზღუდვების დაწესება, რუსეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მტრულად განწყობილი ქვეყნის საკუთრებაზე კონტროლი და საქმიანობის შეზღუდვა, იურიდიული პირებისათვის საქმიანობის შეზღუდვა და სხვა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობები მაინც დინამიურია. ეს ორი დიდი ძალა მაინც ახერხებს მორიგებას ერთმანეთთან, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა. სამხრეთ კავკასიაში მათი დაპირისპირებაც დინამიურია: ორივე მხარე იბრძვის თავისი სტრატეგიული ინტერესების რეალიზებისათვის. მაგრამ, მათი ბრძოლის მეთოდებია რადიკალურად განსხვავებული. ტრაფარეტულად, რუსული საგარეო უწყება ყოველთვის გამოთქვამს დიდ იმედს, რომ მოხდება კონფლიქტების დარეგულირება და რუსეთი ყველაფერს გააკეთებს ამისათვის, მაგრამ, რეალურად, რუსეთს განსხვავებულად ესმის უსაფრთხოება, ვიდრე აშშ-ს: რუსეთი ყოველთვის ცდილობს არ დაუშვას სხვა ძალის გავლენის გაზრდა მისი ე.წ. სტრატეგიული ინტერესების არეალში. რუსეთმა საქართველოში გაერო-სა და ეუთო-ს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მუშაობაც დაბლოკა და საერთოდ, რუსეთს არ სჭირდება დამკვირვებლები თავისი საქმიანობის განხორციელებისას. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული უსაფრთხოების მთავარ საფრთხეს სწორედ რუსეთი წარმოადგენს და განსაკუთრებით ისეთი პატარა სახელმწიფოს სუვერენიტეტისათვის, როგორიც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებია. რუსეთისათვის უხეში ძალის გამოყენებას ჯერ კიდევ გამართლება აქვს, რაც გამოჩნდა კიდეც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მაგალითზე. მაგრამ, რუსეთი ასევე არანაკლებ წარმატებით მიმართავს რბილი ძალის მეთოდებსაც. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში რუსეთი „რბილი ძალის“ კარგად ადაპტირებული მეთოდებით იბრძვის. რეგიონის პოლიტიკურ ველზე რუსეთის „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებია:

- რელიგია; რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ქრისტიანობა, რომელსაც ყოველთვის მოხერხებულად იყენებდა რუსეთი კოლონიური პოლიტიკის შესანიღბად.

- საინფორმაციო ომი; რუსულმა საინფორმაციო მანქანამ მოახერხა დასაყრდენი მოეძებნა ადგილობრივ, როგორც სომხურ, ასევე, ქართულ ბეჭდურ მედიაში, რომლებიც აწარმოებენ აგრესიულ, ანტიდასავლურ და ანტიამერიკულ საინფორმაციო კამპანიას. ჩამოყალიბდა მსხვილი ბეჭდური მედია საშუალებები, რომელთა ანტიდასავლური რიტორიკა გააზრებული სარედაქციო პოლიტიკის ნაწილია. მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხილვისას მათი გზავნილები ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების სფეროში ხაზს უსვამდა დასავლეთის მიერ გარყვნილი ცხოვრების წესის „დაკანონებას“. ისინი დასავლეთს წარმოაჩენენ მართლმადიდებლობასთან მებრძოლ ძალად და ხშირ შემთხვევებში, ამ საკითხს ქრისტიანულ რუსეთთან ბრძოლის კონტექსტში განიხილავენ ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული რუსეთის

სატელევიზიო არხები.

საინფორმაციო ომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი ანალიტიკური სტატიების გამოქვეყნებას, რომელშიც მძიმე ფორმებშია ასახული საქართველოსა და სომხეთის მომავალი, რომ მათ ემუქრებათ ისლამური სახელმწიფო და ა.შ. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციები.

- პრორუსული პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები; სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის დიდ ნაწილში პრორუსული იდეები დიდად პოპულარული არ არის, ამიტომ რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი პარტიები თავიანთ იდეოლოგიურ საქმიანობაში უპირატესობას არ ანიჭებენ ღია ანტიდასავლურ პროპაგანდას და აპელირებენ იმაზე, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია მიუღწეველია, რომ დასავლეთი სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოების გამო არ დაუპირისპირდება რუსეთს, რომ რუსეთთან ალიანსი ან ნეიტრალიტეტის გამოცხადება მათი იდენტობის შენარჩუნებისათვის უკეთესი არჩევანია.

- რუსული ინვესტიციები და ენერგომატარებლები; სამხრეთ კავკასიაში რუსული კაპიტალი ძირითადად წარმოდგენილია ენერგეტიკის, ნავთობპროდუქტების რეალიზაციის, მადნეულის წარმოების, მინერალური წყლების წარმოების სფეროში, საბანკო სექტორში, კვების ინდუსტრიაში. რეგიონში შეუფერხებლად საქმიანობენ ის რუსული კომპანიები, რომლებსაც აშშ-მა და ევროკავშირმა სანქციები დაუწესა ყირიმის ანექსიის გამო, მათ შორისაა „ლუკოილი“, „როსნეფტი“ და სხვა.

რუსულმა პოლიტიკამ მოახერხა, რომ სომხეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორი რუსეთისკენაა მიმართული. მაგრამ, რაც შეეხება საგანმანათლებლო და ეკონომიკურ კავშირებს, სომხეთმა მოახერხა გარღვევა მოეხდინა ამ კუთხით. თუ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით ვიმსჯელებთ, სომხეთი პირველ ადგილზეა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან აშშ-სა და დასავლურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით და ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების თვალსაზრისით კი ევროკავშირი ნომერ პირველი პარტნიორია სომხეთისათვის. ამ მონაცემებით სომხეთი ძალიან ამაყობს. ევროკავშირის „რბილმა ძალამ“ რადიკალური ნაბიჯებისაკენ უბიძგა მოსახლეობას და ცვლილებების დაჟინებული სურვილი აღმოჩნდა ის ძალა, რომელსაც საკმოდ დიდი გავლენების მქონე სომხეთის პოლიტიკური ელიტა ვერ შეეწინააღმდეგა. ამ ურთიერთკავშირზე არაერთი მკვლევარი მიანიშნებს. მაგალითად, ქართველი მკვლევარი კახა გოგოლაშვილიც წერდა: „როდესაც 2013 წლის 3 სექტემბერს მაშინდელმა სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ოფიციალურად განაცხადა უარი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ქვეყანამ თავისი გეოპოლიტიკური არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ საბოლოოდ გააკეთა. ლოგიკურად აქვე უნდა დასრულებულიყო სომხეთის შიდა ტრანსფორმაციაც და მისი ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერსპექტივაც, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ არც თავად სომხეთსა და არც ევროკავშირს უარი არ უთქვამთ თანამშრომლობის გაგრძელებაზე და გაღრმავებაზეც კი“ (გოგოლაშვილი, 2019, გვ. 32). იქმნება შთაბეჭდილება, რომ სომხეთმა (როგორც სერჯ სარქისიანის, ასევე, მისმა წინა-მორბედმა ხელისუფლებამ) გათვლა გააკეთა გრძელვადიან მიზნებზე და ევროკავშირის დახმარებით მიზანმიმართულად ზრუნავდა ქვეყანაში ინსტიტუტების განვითარებაზე, მოსახლეობაში თვითშეგნებისა და დემოკრატიული ნორმების გავრცელება / დამკვიდრებაზე. წლების განმავლობაში ამ პროექტებმა იმუშავა ძალიან წარმატებით: ქვეყნის შიგნიდან მოხდა განვითარებისაკენ დიდი ნაბიჯის გადადგმა, საზოგადოება გაიზარდა. უწყინარმა, მშვიდობიანმა, განვითარებასა და პროგრესზე ორიენტირებულმა დასავლურმა ძალამ უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის განვითარების გზაზე.

სომხეთი ორ ფრონტზე მოქმედებდა: არც რუსეთს ეწინააღმდეგებოდა და მას მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად აღიარებდა და არც ევროკავშირისაგან წამოსულ სიკეთეებზე ამბობდა უარს. ეს პროცესი, რათქმაუნდა, მიუღებელია რუსეთისათვის და ყველა ბერკეტს აამუშავებს, რომ შედეგების ანულირება მოახდინოს. რუსეთს არ აწყობს მეზობლად განვითარებული, პროგრესული, დემოკრატიული და დასავლური ტიპის სახელმწიფოები ორი მიზეზის გამო: ერთი იმიტომ, რომ ასეთი სახელმწიფოებისა და საზოგადოების მართვა და რუსეთისკენ მათი მიბრუნება ადვილი არაა და მეორეც - თავად რუსეთში ბიძგს მისცემს პროგრესული ძალების ამოძრავებას. რუსეთი კი ამისათვის ჯერ მზად არაა. ევროკავშირის თანმიმდევრული რეგიონული პოლიტიკა კი დროთა განმავლობაში გამოიღებს შედეგებს სამხრეთ კავკასიაში და უკვე შეუქცევად პროცესებს დაუდებს სათავეს, თუ ეს პროცესები უკვე დაწყებული

არაა. სომხეთში გარკვეული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები ხელისუფლებას მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ დაიწყოს რუსეთთან დაკავშირებული ორგანიზაციებიდან გასვლის პროცესი და ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანოს.ამავდროულადსომხეთისუსაფრთხოების საბჭოს მდივანის, არმენ გრიგორიანის თქმით - „აშშ-სთან ურთიერთობა საჭიროა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.“ (აშშ-სომხეთის ურთიერთობა ინტენსიურად ვითარდება, 2012, აპრილი)

აზერბაიჯანის მაგალითი განსხვავებულია: ვგულისხმობთ იმას, რომ რელიგიური განსხვავება და ენერგორესურსების დიდი მარაგის კონტროლი აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს შედარებით დამოუკიდებელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა გაატაროს. რელიგიური სხვაობა რუსეთს დიდ ბერკეტს აცლის აზერბაიჯანთან მიმართებით. მუსლიმური რელიგია განსხვავებული მენტალიტეტის მატარებელი საზოგადოების რელიგიაა, ვიდრე მართლმადიდებლობა. თუმცა, სამხრეთ კავკასია არის რეგიონი, სადაც ეს ორი რელიგია მშვიდობიანად თანაცხოვრობს, თუ პოლიტიკური მიზნებისთვის არ ხდება მისი შეგნებული გამოყენება. რელიგიის გამო აზერბაიჯანისათვის არა რუსეთი, არამედ თურქეთია ის სახელმწიფო, რომლის მოდელი მისთვის მისაბაძია და „ერთი ერი, ორი სახელმწიფოს“ დევიზი მათ შორის ძალიან მჭიდრო კავშირს წარმოშობს. აზერბაიჯანისათვის სახელმწიფოს ევროპული მოდელიც არაა მაინცადამაინც მისაბაძი. ამიტომაც, ევროკავშირთან (ისევე, როგორც რუსეთთან) ურთიერთობა უფრო განსხვავებულ ჭრილში მიმდინარეობს, ვიდრე საქართველოსა და სომხეთისათვის; ამ შემთხვევაში აზერბაიჯანი უფრო მეტად საჭირო პარტნიორია დასავლეთისთვისაც და რუსეთისთვისაც ენერგორესურსების გამო და ძირითადად ამ ჭრილში თანამშრომლობაზეა აქცენტი გადატანილი. თუმცა, რუსეთმა არაერთი შეთავაზება და წინადადება გაუკეთა აზერბაიჯანს, მისი ტერიტორიის გავლით გასულიყო აზერბაიჯანული რესურსები ევროპისაკენ, მაგრამ, მაინც აზერბაიჯანი რჩება თურქეთის გავლით ენერგომატარებლების გადამზიდავი და გამტარი სახელმწიფო და უფრო ფართო კონტექსტში რომ ვნახოთ, აშშ-ის ენერგო პოლიტიკის გეგმების ნაწილად მოიაზრება.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა აშშ-ის მიერ სამხრეთ კავკასიაში ლობირებულმა ენერგო მარშრუტებმა რეალიზება დაიწყო, თითქოს განისაზღვრა აზერბაიჯანის როლი, რომელსაც დღემდე ასრულებს. აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის მიერ მხარდაჭერილი აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით ენერგორესურსების გადაზიდვის მარშრუტი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ხელი შეუწყო სამხრეთ კავკასიის რეგიონით მსოფლიოს დაინტერესებას.

ენერგორესურსების საკითხია ის თემა, სადაც ამერიკის, რუსეთის, თურქეთისა და ევროპის ინტერესები გადაკვეთს ერთმანეთს. რუსეთი ამ პროცესს მტკივნეულად აღიქვამდა იმთავითვე და რადიკალურ ნაბიჯებს მიმართავდა მის საწინააღმდეგოდ.

**დასკვნა**

რომ შევაჯამოთ, რუსეთის საბრძოლო არსენალი საკმაოდ მრავალფეროვანია და მისი ერთადერთი მიზანი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე კონტროლია. ამ პროცესში კი ყოველგვარი წინაღობა და სხვა პოლიტიკური მოთამაშის შემოსვლის მცდელობა რუსეთის მხრიდან აღიქმება, როგორც მის ინტერესებზე თავდასხმა და ავტომატურ რეჟიმში იწყებს ამუშავებას რუსული გამოცდილი ბრძოლის მეთოდები უკვე სხვა/საჭირო მიმართულებითაც.

**ლიტერატურა:**


1. Hannes Adomeit, Russia as a 'Great Power' in World Affairs: Images and Reality, International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944-), Vol. 71, No.1 (Jan., 1995), pp. 35-68;
2. Walter Laqueur, STATE OF MIND: A Future Russia, World Affairs, Vol. 177, No. 5 (JANUARY / FEBRUARY 2015), pp. 54-60, Published by: Sage Publications, Inc.p. 3;
3. Дипломатия большогодубины, https:/ /vpk. name/news/ 218893_ diplomatiya_ bolshogo_ dubinyi.html;
4. Iwona Wiśniewska, Russia’s demonstrative response to US sanctions, https:// www.osw.waw.pl/en/ publikacje/ analyses/2018- 05-23/russias-demonstrative-response-to-us-sanctions;
5. სუს-ის უფროსმა პარლამენტს უწყების 2017 წლის ანგარიში წარუდგინა, https://ssg.gov.ge/news/339/ sus-is-ufrosma-parlaments- utsyebis-2017-tslis-angarishi-tsarudgina;

6. ანტიდასავლური პროპაგანდა. მედია მონიტორინგის ანგარიში, 2014-2015, მედიის განვითარების ფონდი. თბილისი, 2015, p. 10, 18; კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, პოლიტიკის დოკუმენტი, Institute of Development of Freedom of Information, pp.8- 9.;
7. TATIANA ZONOVA and ROMAN REINHARDT, Main vectors of Russia's foreign policy (1991-2014), Rivista di Studi Politici Internazionali, NUOVA SERIE, Vol. 81, No. 4 (324) (OTTOBRE- DICEMBRE 2014), pp. 11.;
8. ძველიშვილი ნატა, კუპრეიშვილი თაზო, რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში, თბილისი, 2015;
9. რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გზავნილების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე, Institute of Development of Freedom of Information, https://idfi.ge/ge/the-impact-of-russian-money-transfers-on-stability- of-georgian-economy;
10. http://mfa.am/en/country-by-country/eu/;
11. კახა გოგოლაშვილი, ევროკავშირის რბილი ძალა და სომხეთის რევოლუცია, https://gfsis.org/ge/eu-blog/ view/832;
12. „Россия заинтересована в нормализации отношений с Грузией в тех сферах, в которых к этому готова Грузинская Сторона, при учете политических реалий, сложившихся в Закавказье.“Концепция внешней политики Российской Федерации. .http://www.mid.ru/foreign_policy/news/-/asset_publisher/ cKNonkJE02 Bw/content/id/ 2542248;
13. https://tabula.ge/ge/news/700017-ashsh-somkhetis-urtiertoba-intensiurad-vitardeba

## Russian interests in the South Caucasus

***Edisher Asatiani, PhD student***
***Georgian Technical University***

### Summary

From the nineteenth century until the collapse of the Soviet Union, the countries of the South Caucasus were first part of the Russian Empire and then the USSR. After the collapse of the Soviet Empire, Russia faced a rather difficult period, and it was busy with the problems of maintaining its own country. However, it was able to get out of a deep crisis, stood firmly on its feet again and again had the ambition to return to the status of a superpower in the international arena. Strategically, the Caucasus is an important region for him. His task is to restore the influence on the former Soviet republics, because he considers this neighboring area as a zone of his own vital interests.

In the 90s of the 20th century, after the collapse of the Soviet Union, the South Caucasus region started its strategic function, which was previously controlled by the empire and served its interests. After gaining independence, the full use, utilization and implementation of this strategic function became one of the important foreign policy goals for the young states of this region, however, at the same time, Russian political goals were also developed, which came into sharp conflict with the interests of the states of the South Caucasus region. Both in the speeches of Russian political leaders and in the political doctrines of this country, the importance of the South Caucasus region for Russia is constantly emphasized. Having influence in the Black Sea region as well as in the Caspian Sea and the surrounding regions is strategically important for Russia, so much so that in its strategic doctrine, Russia has even adopted a very rigid attitude towards this region and even allowed the possibility of local bombing if necessary.

Russia has its strategic interests in the South Caucasus and is trying to establish a dominant position in the region. Its neighborhood policy includes both hard and soft power instruments aimed at expanding Russia's influence over the countries of the South Caucasus. In this direction, Russia has achieved mixed results and encountered significant contradictions in the implementation of its neighborhood policy in Armenia, Azerbaijan and Georgia.

Keywords: Russia and Southern Caucasus.

# რუსული „სუვერენული დემოკრატიისა“ და დასავლური ღირებულებების შედარებითი ანალიზი

*ელგუჯა ბიბინიძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

პოლიტიკური ღირებულებების ფონზე დაპირისპირება რუსეთსა და აშშ-ს, ზოგადად დასავლეთს შორის დიდი ხანია დაიწყო და ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან დიდი სახელმწიფოები თუ სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ყოველთვის უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და მათ შორის გეოპოლიტიკური წინააღმდეგობა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. გაცილებით ღრმა და ყოვლისმომცველი დაპირისპირება კი ზოგადად ადამიანური ყოფიერების ცივილიზაციურ საფუძვლებში იმალება. სწორედ ცივილიზაციური დაპირისპირებაა ყველაზე მნიშვნელოვანი რუსეთსა და დასავლეთს შორის. ერთი ეფუძნება ტრადიციას, ირაციონალიზმს პოლიტიკაში, მეორე კი რაციონალიზმს. დასავლური რაციონალური სამყაროსათვის რთული აღსაქმელი აღმოჩნდა რუსული, ირაციონალური სამყარო. თვით დემოკრატიის გაგებაშიც კი მათ შორის უდიდესი სხვაობაა. რუსეთი აქცენტს აკეთებს ე.წ. სუვერენულ დემოკრატიაზე და მიაჩნია, რომ ყველა ერს და ხალხს ტავის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე იმგვარი ტიპის დემოკრატია ჭირდება, როგორი მენტალობის ხალხი ცხოვრობს ამა თუ იმ სახელმწიფოში. ერთი შეხედვით ამაში ცუდი არაფერია. ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინება მართლაც არ არის ურიგო, მაგრამ თუ სიღრმეში ჩავხედავთ, რუსეთის დემოკრატიის პრინციპს თავისი საგარეო პოლიტიკური ამბიციების განსახორციელებლად იყენებს. დასავლეთისთვისაც პოლიტიკური იარაღია დემოკრატია მსოფლიოში თავისი იდეების გასავრცელებლად, მაგრამ იგი რუსეთისაგან გასხვავებით მიიჩნევს, რომ დემოკრატიები ერთმანეთში არ ომობენ. ამიტომ თუ დემოკრატიული იქნება გაცილებით მეტი სახელმწიფო, ვიდრე დღესაა, კონფლიქტები შემცირდება. რუსეთი კი მანიპულირებს ტრადიციებით, რელიგიური ფასეულობებითა და სხვა სენსიტიური საკითხებით.

განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, სადაც ინდივიდუალიზმი ეროვნული თვითმყოფადობის საბაზისო კომპონენტი გახდა, რუსეთისათვის კოლექტიური ინტუიციური მსოფლმხედველობა იქცა ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ფაქტორად.

რუსეთსა და აშშ-ს შორის წინააღმდეგობებში უმთავრესი, რა თქმა უნდა გეოპოლიტიკური ფაქტორი გახდა. „ცივ ომში“ დამარცხებული და დაშლილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ მემკვიდრედ რუსეთის ფედერაცია გამოცხადდა, რომელმაც თავდაპირველად რუსეთს სრულად უბიძგა პროდასავლური ორიენტაციისაკენ. რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის მმართველობა თავიდან ბოლომდე დასავლეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოებაზე იყო ორიენტირებული. ამან მთელი რიგი პრობლემები წარმოქმნა. სახელმწიფო აშკარად სუსტი იყო სამაგიეროდ ქვეყანაში ფეხს იკიდებდა სამოქალაქო საზოგადოება, რაც დემოკრატიული ინსტიტუტების რეალური დაფუძნების პერსპექტივას ქმნიდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ავტორიტარული სტილით მმართველობა შესისხლხორცებული ჰქონდა, ვერ ეგუებოდა ახალ რეალობას.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, ავტორიტატული, პოლიტიკური ღირებულებები, ევროპა, ევროატლანტიკური სივრცე.

**შესავალი**

რუსეთსა და დასავლეთს ყოველთვის ჰქონდა დაპირისპირება პოლიტიკური ღირებულებების გაგების თვალსაზრისით, მაგრამ მათ შორის ცივილიზაციური დაპირისპირება, ვფიქრობთ გაცილებით ღრმა და ყოვლისმომცველია. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთლიანად ევროატლანტიკურ სივრცეს თუ რაციონალისტურ-ინდივიდუალისტურ სამყაროდ წარმოვიდგენთ, რუსული სამყარო შეიძლება თავისუფლად მოვიხსენიოთ ირაციონალურ, ინტუიციურ სამყაროდ, რომელიც უფრო აღმოსავლურია, ვიდრე დასავლური. ზოგადად, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებიც აღმოსავლეთ - დასავლეთის დაპირისპირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. მართალია რუსეთი გეოგრაფიულად ურალამდე ევროპის განუყოფელ ნაწილად ითვლება და თუ რუსეთის წამყვან ევროპულ ქალაქებში ჩახვალთ თავს გარეგნულად ყოველთვის უფრო ევროპაში იგრძნობთ, ვიდრე

აღმოსავლეთში, მაგრამ საკმარისია ურთიერთობებში უფრო ღრმად შეხვიდე და აღმოაჩენ უდიდეს უფსკრულს რუსულ და დასავლურ მენტალიტეტს შორის. სწორედ ამას მივყავართ პოლიტიკური ღირებულებების დაპირისპირებასთან. ყველაზე მეტად კი ეს სწორედ რუსულ პოლიტიკურ ელიტაში იგრძნობა. რუსეთის ირაციონალურობაზე როდესაც ვსაუბრობთ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ რაციონალურობა და არაპროგნოზირებადობა.

საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება რუსეთის არაპროგნოზირებადობის შესახებ მეცნიერული თვალსაზრისით აბსოლიტურად არასწორი შეხედულებაა. ისტორიის არც ერთ მონაკვეთში რუსეთს არ გაუკეთებია ისეთი რამ, რომელიც მყარ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე არ ყოფილიყოს დაფუძნებული. ირაციონალურობაში უპირატესად იდეალიზმს ვგულისხმობთ, რუსეთისათვის, განსხვავებით დასავლეთისგან, სადაც ერისახელმწიფოს ჩამოყალიბებაც კი ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით მიმდინარეობდა, იდეა იყო განმსაზღვრელი, რომელიც საბოლოო ჯამში იმპერიულ იდეად ტრანსფორმირდებოდა ხოლმე. იდეის გარეშე, ცხადია, არც დასავლეთს უვლია. თვით ინდივიდუალიზმიც კი ლიბერალური იდეით იკვებებოდა. სწორედ ლიბერალური იდეით გაავრცელა თავისი გავლენა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მსოფლიოზე, მაგრამ მისთვის იდეა იყო მაშველი რგოლი თავისი ეკონომიკური თუ კომერციული მოგების გზაზე. რუსეთისათვის კი იდეა ყოველთვის მაღლა იდგა მატერიალურ სარგებელზე, კომერციაზე ზოგადად ეკონომიკაზე. მარქსისტულმა იდეამ, რომელიც მთლიანად მატერიალიზმზე იდგა, ყველაზე ფართო რეალიზაცია სწორედ რუსეთში ჰპოვა, მაგრამ იგივე რუსეთში (საბჭოთა კავშირში) დაიმსხვრა ამ იდეის ყველაზე მყარი საფუძვლები.

განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, სადაც ინდივიდუალიზმი ეროვნული თვითმყოფადობის საბაზისო კომპონენტი გახდა, რუსეთისათვის კოლექტიური ინტუიციური მსოფლმხედველობა იქცა ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ფაქტორად. ხშირად ტუტჩეივს ცნობილ გამონათქვამს „რუსეთს გონებით ვერ გაუგებ“ კონტექსტიდან ამოგლეჯილად იყენებენ. დიდმა მოაზროვნემ ეს წინადადება ასე დაასრულა „მას უნდა ერწმუნო“. აქ თითქმის ყველაფერია ნათქვამი რუსულ მენტალიტეტზე. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რუსეთი რასაც ამბობს უპირობოდ უნდა მიიღო, ეს ნიშნავს იმას, რომ რაციონალიზმზე (გონების უპირატესობაზე) მაღლა დგას სული და ცნობიერება. ამჯერად ჩვენს მიზნებში, ისევე როგორც ამერიკული ინდივიდუალიზმის, რუსეთის ფსიქოლოგიური და მენტალური ანატომიის სიღრმისეული სოციოლოგიური ანალიზი არ შედის, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სწორედ ამგვარი, დიამეტრულად განსხვავებული ცივილიზაციის დაპირისპირება პოლიტიკური ღირებულებების ირგვლივ სავსებით ლოგიკურ და კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია.

**ძრითადი ნაწილი**

დაპირისპირებათა შორის უმთავრესი, რა თქმა უნდა გეოპოლიტიკური ფაქტორი გახდა. „ცივ ომში“ დამარცხებული და დაშლილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ მემკვიდრედ რუსეთის ფედერაცია გამოცხადდა, რომელმაც თავდაპირველად რუსეთს სრულად უბიძგა პროდასავლური ორიენტაციისაკენ. რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის მმართველობა თავიდან ბოლომდე დასავლეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოებაზე იყო ორიენტირებული. ამან მთელი რიგი პრობლემები წარმოქმნა. სახელმწიფო აშკარად სუსტი იყო სამაგიეროდ ქვეყანაში ფეხს იკიდებდა სამოქალაქო საზოგადოება, რაც დემოკრატიული ინსტიტუტების რეალური დაფუძნების პერსპექტივას ქმნიდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის საზოგადოებრივ პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ავტორიტარული სტილით მმართველობა შესისხლხორცებული ჰქონდა, ვერ ეგუებოდა ახალ რეალობას. აქამდე ისტორიულად არ არსებობდა გამოცდილება კომუნისტური სისტემის რღვევიდან დემოკრატიულ (კაპიტალისტურ) სისტემაზე გადასვლისა. ამიტომაც კორუმპირებულმა საბჭოთა ელიტამ, რომელსაც დიდი ფული სწორედ საბჭოთა კავშირში ჰქონდა ნაშოვნი და მალავდა, იგი ახლა გამოაჩინა და ე.წ. პრივატიზაციაში აბანდებდა. ამან ოლიგარქთა ახალი ფენა წარმოშვა. ამას შემდეგში დაიმატა ქვეყნის შიდა არეულობა, ორი ომი ჩეჩნეთში და ლიბერალური რეფორმების სრული კრახი. დღეს ბევრი კამათობს იმაზე, თუ რატომ განიცადა რუსეთში ლიბერალურმა რეფორმებმა კრახი. მათ შორის ერთ-ერთი ჩვენი აზრით დასავლეთის შეცდომებიც იყო. მართალია ევროპის ბევრი სახელმწიფო (განსაკუთრებით გერმანია) რუსეთთან მჭიდრო ენერგეტიკული და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გზას დაადგა, მაგრამ ვფიქრობთ რუსეთის მაშინდელ ხელისუფლებას მეტი ეკონომიკური მხარდაჭერა სჭირდებოდა, რათა იგი რევანშის

გზას არ დადგომოდა. მართალია რუსეთი დიდი სახელმწიფოა და მას კოლოსალური რესურსები დასჭირდებოდა, მაგრამ დასავლეთს, ჩვენი აზრით მაინც უნდა გაეღო, თუ სურდა შემდეგ მოვლენები დრამატულად არ განვითარებულიყო, რომლის კულმინაციას ახლა ვხედავთ უკრაინაში, სადაც ომს ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს.

იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. ჯერ კიდევ ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთის პოლიტიკური ელიტა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის ფედერაციის პროდასავლური ორიენტაცია შეიცავდა საფრთხეს რუსეთის დასავლეთზე ზედმეტად დამოკიდებულებისა. ანუ თუ რუსეთი არ შეც-ვლიდა პოლიტიკურ კურსს, იგი გახდებოდა დასავლეთის სატელიტი. მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ ლიბერალური რეფორმების კრახი გახდა? რა თქმა უნდა არა. ეს პრობლემის მხოლოდ ზედაპირული მხარეა. სინამდვილეში კი რუსეთმა კომფორტს ევროპასთან ერთად, კვლავ იმპერიული იდეა ამჯობინა. მისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ერთპოლუსიანი მსოფლიოს იდეა ამერიკის შეერთებული შტატების დომინირებით. რუსეთმა დაიწყო მოქმედება ამგვარი პოლუსის დასასრულებლად, რომლის ყველაზე ნათელ გამოხატულებას მიუნხენის 2007 წლის კონფერენცია წარმოადგენდა. ამ კონფერენციას ბევრი პოლიტიკური ექსპერტი ახალი „ცივი ომის“ დასაწყისადაც კი მოიხსენიებს, რაც ჩვენი აზრით, სიმართლეს შეესაბამება.

2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა წარმოთქმულ სიტყვაში უკიდურესად გააკრიტიკა ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. მან აღნიშნა: „კაცობრიობის ისტორიას ერთპოლარული მსოფლიოს შექმნის ცდა ადრეც ჰქონია. მართლაც რა არ მომხდარა ისტორიაში, მაგრამ რა არის ერთ პოლარული სამყარო? რამდენადაც უნდა შეალამაზონ ეს ტერმინი, საბოლოო ჯამში იგი მაინც ნიშნავს ერთ რამეს: ესაა ძალაუფლების, ძალის ერთი ცენტრი, გადაწყვეტილების მიღების ერთი ცენტრი. ესაა ერთი ბატონის, ერთი სუვერენის სამყარო, რაც საბოლოო ჯამში დამღუპველია არა მარტო იმათთვის, ვინც ამგვარი სისტემის ფარგლებშია მოქცეული, არამედ თავად სუვერენისათვის, მასაც შინაგანად ანადგურებს.

ყოველივე ამას კი არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან, რადგან როგორც ცნობილია დემოკრატია, ესაა უმრავლესობის ბატონობა უმცირესობის ინტერესების გათვალისწინებით. ჩვენ რუსებს, სხვათაშორის, მუდმივად გვასწავლიან დემოკრატიას. მაგრამ ვინც გვასწავლის, რატომღაც თავად არ სურს სწავლა.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთპოლარული მოდელი არა მარტო მიუღებელია, არამედ შეუძლებელიცაა, არა მარტო იმიტომ, რომ თანამედროვე მსოფლიოს ერთპიროვნულ ლიდერობაში საკმარისი არ იქნება არც სამხედრო-პოლიტიკური და არც ეკონომიკური რესურსები, არამედ იმიტომ, რომ თავად ამგვარი მოდელი არ იმუშავებს, რადგან მის საფუძველში არ არის და არც შეიძლება იყოს თანამედროვე ცივი-ლიზაციის მორალურ-ზნეობრივი ბაზა“ (კოპალიანი & კვეტენაძე, 2021, გვ. 116).

რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხშირად აპელირებდა და დღემდე აპელირებს საერთაშორისო სამართლით და ამგვარი ნორმების უხეშ დარღვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებს და მის დასავლელ მოკავშირეებს ადანაშაულებს. მიუნხენის კონფერენციაზე სწორედ ამას გაუსვა ხაზი რუსეთის პრეზიდენტმა: „ჩვენ უფრო და უფრო ვხედავთ საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების უხეშ დარღვევას. ერთ სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეულმა ნორმებმა და უფლებებმა უკვე კარგა ხანია გადალახა ეროვნული საზღვრები ყველა სფეროში: ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ჰუმანიტარულ სფეროში და იგი თავს მოახვია სხვა სახელმწიფოებს. ვის მოეწონება ეს? (კოპალიანი & კვეტენაზე, 2021, გვ. 117)

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სასაცილოდ ჟღერს რუსეთის მხრიდან სამართლის ნორმების დაცვაზე საუბარი, ამის თქმის საფუძველი რუსეთის პრეზიდენტს გარკვეულწილად ნამდვილად ჰქონდა, რადგან აქამდე დემოკრატიული სამყაროს მხრიდანაც მოხდა საერთაშორისო სამართლის დარღვევა იუგოსლავიაში, ერაყში, გავიხსენოთ ე.წ. „კოსოვოს პრეცედენტი“, რომელმაც საქართველო განსაკუთრებით დააზარალა და ა.შ. ყოველივე ამას რუსეთი მოხერხებულად იყენებდა დიპლომატიური მანევრირების გზაზე. ამ კუთხით რუსეთს მართლაც ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ესოდენ დიდი ამბიციების გზაზე რუსეთი არასოდეს საუბრობდა იმაზე, თუ თავად რატომ გაურბოდა მას ყოფილი სატელიტები თუ პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოები. ამის მიზეზი მარტივი იყო. რუსეთი ვერ იქცა მიმზიდველ სახელმწიფოდ.

ამერიკულმა ეკონომიკურმა სისტემამ ბევრ გამოცდას გაუძლო, მაგრამ კარგად იმუშავა. სადაც

ის შედიოდა (ხშირად სამხედრო ძალით) თუ მას განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ ხვდებოდა, იქ იწყებოდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფორმირება, შემდეგ კი ეკონომიკური აღმავლობა. ეს ერთი შეხედვითაც კი ჩანს, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა მსოფლიოს ბევრ კუთხეში შესუსტდა. ავიღოთ თუნდაც ახლო აღმოსავლეთი. ამერიკის შეერთებული შტატები ხშირად მოკავშირეობის სანაცვლოდ თვალს ხუჭავდა იმაზე, თუ როგორი რეჟიმი იყო კონკრეტულ სახელმწიფოში (მაგ. საუდის არაბეთი), მაგრამ მიმართავდა „რბილ ძალას“ და ამ სახელმწიფოდან ახალგაზრდები სასწავლებლად მიჰყავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მას მაინც ჰქონდა სურვილი, მხარი დაეჭირა ისეთი პოლიტიკური სისტემისათვის, რომელიც მას ამა თუ იმ სახელმწიფოზე გავლენას შეუნარჩუნებდა. მიუხედავად ამისა, დღევანდელი რეალობა მეტყველებს იმაზე, რომ ცივილიზაციური წინააღმდეგობა, იდეური განსხვავება და მენტალიტეტი ეკონომიკურ ინტერესებზე მაღლა აღმოჩნდა. რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებში კი ეს ფაქტორი რომ წამყვანია, უკვე კარგა ხანია ნათელია.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, ზოგადად დასავლეთსა და რუსეთს შორის, როგორც ვხედავთ სერიოზული წინააღმდეგობა დაიწყო თავად დემოკრატიის გაგებაშიც. თავის დროზე ცნობილმა ფილოსოფოსმა, ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთმა აღიარებულმა წარმომადგენელმა კარლ იასპერსმა თავის წიგნში „ისტორიის აზრი და დანიშნულება“ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კაცობრიობის ყველაზე დიდი წინააღმდეგობები თავისუფლების იდეის ინტერპრეტაციას უკავშირდება, რომ თავისუფლების სახელით ადამიანები მონობის გზაზეც კი დამდგარანო“ (Ясперс, 1994. Ст. 84.).

რთულია შეეკამათა გერმანელ მოაზროვნეს, დავსძენთ მხოლოდ იმას, რომ პოლიტიკური ენა კიდევ უფრო თავისთავადი და განსაკუთრებულია. სწორედ „დემოკრატიულობით“ გაიმარჯვა დასავლეთმა აღმოსავლეთზე მრავალსაუკუნოვან დაპირისპირებაში. დღეს კი კიდევ უფრო „განსხვავებულ ენაზე დაიწყო წინააღმდეგობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის. რა თქმა უნდა საგარეო პოლიტიკური შეტევა რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიუნხენის კონფერენციამდე გაცილებით ადრე დაიწყო. ნატოს გაფართოებამ აღმოსავლეთით, ერაყის ომმა, ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განთავსებამ პოლონეთსა და რუმინეთში რუსეთის საგარეო პოლიტიკა სრულიად სხვა რელსებზე გადაიყვანა. ამას დაემატა დასავლეთის მხრიდან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროებში რუსეთის მკვეთრი კრიტიკა. ამას კი რუსეთის მხრიდან მოჰყვა „სუვერენული დემოკრატიის“ იდეის გაჟღერება.

„სუვერენული დემოკრატია“ 2006 წლის თებერვალში, ე.ი. პუტინის მიუნხენში გამოსვლამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, კრემლის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგია ვლადისლავ სურკოვმა გამოიყენა. სურკოვი პუტინის პრეზიდენტად არჩევამდე ცნობილი ოლიგარქის მიხეილ ხოდარკოვსკის (რომელიც შემდეგ დააპატიმრეს) ბანკ „მენატეპში“ (1991-1996წწ.) და ბორის ბერეზოვსკის ტელეკომპანია „ორტ“ (1998-1999წწ.) საზოგადოებასთან ურთიერთობათა მენეჯერად მუშაობდა. იმპერიოდისათვის ის რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო და კრემლის იდეოლოგად ითვლებოდა. ბევრი მიიჩნევს, რომ დღევანდელი მმართველი პარტია „ედინნაია რასია“, ნაციონალისტური „როდინა“ და რუსეთში ყველაზე ძლიერი ახალგაზრდული მოძრაობა „ნაში“ სწორედ მისი შექმნილია (ტოროშელიძე, 2008, გვ. 67).

„უვერენული დემოკრატიის“ არსი სურკოვისეულად შემდეგნაირად გამოიყურება: „სუვერენული დემოკრატია დასაშვებია განვსაზღვროთ, როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკური ცხოვრების ფორმა, რომლის დროსაც, ხელისუფლება, მისი ორგანოები და ქცევები ფორმირდება, ირჩევა და იმართება მხოლოდ და მხოლოდ რუსი ხალხის მიერ (ტოროშელიძე, 2008, გვ. 68).

სურკოვის კონცეფციის თანახმად რუსეთს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა თვითმყოფადი ეკონომიკისა და ტრადიციულ ფასეულობებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. სხვანაირად რუსეთი ვერაფრით ვერ დააღწევდა თავს ატლანტისთა გავლენას. ძლიერი ეკონომიკა მას დამოუკიდებლად მოქმედების ეფექტურ მექანიზმს შესძენდა საერთაშორისო არენაზე. დავაკვირდეთ მართლაც რა მოხდა შემდეგ. 2014 წელს, როდესაც რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა, უკრაინას ფაქტიურად ჯარი არ ჰყავდა. უფრო სწორად ძალზე სუსტი ჯარის ჰყავდა. რუსეთი რეგულარული არმიით მაშინ რომ შესულიყო უკრაინაში, ვფიქრობთ ძალზე სუსტი წინააღმდეგობა შეხვდებოდა, რაც უკრაინისთვის კატასტროფულ შედეგებს გამოიღებდა, მაგრამ

რუსეთმა ეს მაშინ იმიტომ არ გააკეთა, რომ დასავლეთის მხრიდან იმ მასშტაბების სანქციების შემთხვევაში, რომელიც ახლაა დაწესებული რუსეთისათვის, რუსეთის ეკონომიკა მართლად ჩამოიშლებოდა, ვერ გაუძლებდა ძლიერ წნეხს. როგორც ვხედავ რუსეთი მიზანმიმართულად მოქმედებდა თავისი გლობალური მიზნების განხორციელების გზაზე. მან ასე თუ ისე შეძლო ეკონომიკის მართვა და იმგვარ რელსებზე გადაყვანა, როცა მას ზეწოლის შემთხვევაში შეეძლო თავს გატანა. გარდა ამისა, რუსეთი კოლოსალური რესურსების მქონე სახელმწიფოა, რაც მას ბევრი მიმართულებით უპირატესობას ანიჭებს. მართალია, მას თანამედროვე ტექნოლოგიების დეფიციტი აქვს და ამას რუსეთი დასავლეთიდან ავსებდა, მაგრამ სანქციურმა რეჟიმმა და ომმა უკრაინაში იგი აიძულა, მაქსიმალურად მიაქციოს ყურადღება საკუთარ ინოვაციურ პროექტებს და გააგრძელოს მძიმე მრეწველობა.

რუსეთისათვის ეკონომიკური დამოუკიდებლობა ნიშნავს თავისუფალ მოქმედებას საერთაშორისო არენაზე. ამიტომაც ამ გზით იგი მიზანმიმართულად წავიდა. „სუვერენული დემოკრატია" რუსეთში მოიაზრება, როგორც დასავლეთის საპირწონე ფასეულობები, რომელშიც მოცემულია შემდგომი მოქმედების პროგრამა: „სუვერენული დემოკრატიის" კონცეფცია შემდეგ მიმართულებებს ეყრდნობა:

- ♦ ქვეყნის ხელისუფლების წყაროები და მისი გამოყენება უნდა განსაზღვროს რუსმა ხალხმა, რათა დაცული იქნას მატერიალური თანაფარდობა და სოციალური სამართლიანობა.
- ♦ საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთმა ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოების სუვერენულობის ზრდას - რაც დასავლეთის მიერ მის საშინაო საქმეებში ჩარევასთან მოსკოვის მუდმივ წინააღმდეგობას განასახიერებს;
- ♦ დემოკრატიული სახელმწიფო თავად, სუვერენულად უნდა წყვეტდეს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს და ირჩევდეს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციას - რაც ნატოს ახალი წევრებისა და ალიანსში შესვლის მსურველებისაგან მთავარ განსხვავებას წარმოადგენს, რომლებმაც რუსეთის აზრით, ალიანსს და შესაბამისად ამერიკის შეერთებულ შტატებს ზედმეტი გავლენა მიანიჭეს ეროვნულ უსაფრთხოებაზე (ტოროშელიძე, 2008, გვ. 68).

2023 წლის აპრილ-მაისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ლათინური ამერიკის, ხოლო შემდეგ აფრიკის რიგ ქვეყნებს ეწვია ვიზიტით. თუ დავაკვირდებით „ენას", რომლითაც რუსული დიპლომატია ესაუბრებოდა პლანეტის უაღრესად მნიშვნელოვანი კონტინენტების წარმომადგენლებს, თითქმის ერთი-ერთზე იმეორებდა „სუვერენული დემოკრატიის" ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს. კერძოდ რუსი დიპლომატი აჟღერებდა არაერთხელ ნათქვამ ფრაზებს, რომ ჩვენ თქვენთან გვაქვს ურთიერთობა ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში და რომ კატეგორიულად მიუღებელია ერების დაყოფა ე.წ. „ცივილიზებულ" და „არაცივილიზებულ" ერებად, რასაც დასავლური პოლიტიკა ეფუძნება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ამ შემთხვევაში ტერმინი „სუვერენული დემოკრატია" არ გამოუყენებია, მაგრამ სამაგიეროდ იგი გაცილებით ადრე არაერთხელ ყოფილა გამოყენებული წამყვანი რუსი პოლიტიკოსების მიერ. მათ შორის იყვნენ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ბორის გრიზლოვი. „სუვერენული დემოკრატიის" პრაქტიკაში რეალიზების ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ერთი პარტიის „ედინნაია რასსიას" დომინირებით პოლიტიკური სისტემის ფორმირება, შემდეგ კი „პუტინის დოქტრინა" ასევე „სუვერენული დემოკრატიის" კონცეფციის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. „სუვერენულობა" თავისი არსით ნიშნავს დასავლეთისაგან დამოუკიდებლობას „დემოკრატია" შეიცავს დასავლეთისა და რუსეთის ხარისხობრივ თანასწორობას (ტოროშელიძე, 2008, გვ. 69).

რუსული დემოკრატიის თავისებურებაც ისაა, რომ იგი დაფუძნებულია არა იმდენად ინსტიტუტებზე, რამდენადაც ხალხის ნდობაზე ქვეყნის ხელისუფლების მიმართ. ეს არის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი ამერიკის შეერთებული შტატების ინდივიდუალიზმითან. ეს არის ირაციონალიზმი და ტრადიციონალიზმი, რომელიც კარდინალურად განსხვავდება დასავლური, რაციონალისტური მსოფლმხედველობისაგან.

## დასკვნა

ამრიგად დაპირისპირება პოლიტიკური ღირებულებების ფონზე რუსეთსა და დასავლეთს შორის რრმა და ყოვლისმომცველია. რუსული ირაციონალური სამყარო სრულიად სხვა „სალაპარაკო ენას" იყენებს დასავლურ რაციონალურ სამყაროსთან. რუსეთსა და დასავლეთს შორის უმთავრესი რათქმა უნდა გეოპოლიტიკური დაპირისპირებაა. ეს კარგად ჩანს განსაკუთრებით დღეს, რუსეთ - უკრაინის ომის ფონზე. რეალურად

უკრაინაში რუსეთ-დასავლეთის ომი იმდინარეობს. განსაკუთრებული წინააღმდეგობაა რუსეთსა და აშშ-ს შორის. ყველაზე ღრმა და ყოვლის მომცველი პრობლემა კი მენტალურ და ცივილიზაციურ წინააღმდეგობებში უნდა ვეძებოთ. მესიანისტური იდეა როგორც რუსეთს, ისე აშშ-ს გააჩნია. მეტნაკლებად ეს ყველა დიდი სახელმწიფოსათვის იყო დამახასიათებელი. დღეისათვის კი თვალში საცემია დემოკრატიის გაგების პრინციპი რუსეთსა და დასავლეთს შორის. რუსული „სუვერენული დემოკრატია“ ითვალისწინებს ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებას და ყველა ხალხისათვის ადგილობრივი კულტურის სპეციფიკის დემოკრატიული ნორმების გაზიარებას დასავლეთი კი დემოკრატიული ნორმების გავრცელებით პლანეტარული მასშტაბით ასევე ცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას, თუმცა სხვაობა ისაა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ჯერჯერობით ერთმანეთის წინააღმდეგ არ უომიათ, შესაბამისად აშშ და დასავლეთი მიიჩნევს, რომ ლიბერალური დემოკრატია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო ფორმაა.

**ლიტერატურა:**


1. კოპალიანი კ., კვეტენაძე ზ., 2007 წლის მიუნხენის კონფერენცია და ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები, სტუ-ს შრომები, თბ., 2021 გვ. 116.
2. Ясперс К., Смысл и назначение историй, М., 1994. Ст. 84.
3. ტოროშელიძე ი., პუტინის საგარეო პოლიტიკა, თბ., 2008, გვ. 67.


## A Comparative Analysis of Russian "Sovereign Democracy" and Western Values


***Elguja Bibinidze, PhD student***
***Georgian Technical University***


**Summary**


Against the background of political values, the confrontation between Russia and the USA, and the West in general, began a long time ago, and there is nothing surprising in this, because big states or state associations have always faced each other, and geopolitical opposition between them was a common occurrence. A much deeper and comprehensive conflict is hidden in the civilizational foundations of human existence in general. It is the civilizational conflict that is the most important between Russia and the West. One is based on tradition, irrationalism in politics, and the other is based on rationalism. The Russian, irrational world turned out to be difficult for the Western rational world to understand. Even in the understanding of democracy itself, there is a huge difference between them. Russia focuses on the so-called sovereign democracy and believes that all nations and people need the kind of democracy based on their psychology, the mentality of people living in different states. At first glance, there is nothing wrong with this. Taking into account the local specifics is really not wrong, but if we look deeper, Russia uses the principle of democracy to realize its foreign policy ambitions. For the West, democracy is a political tool to spread its ideas in the world, but unlike Russia, it believes that democracies are not at war with each other. Therefore, if there are many more democratic states than there are today, conflicts will decrease. Russia manipulates traditions, religious values and other sensitive issues.

Unlike the United States of America, where individualism has become a basic component of national identity, for Russia, a collective intuitive worldview has become a determining factor in the way of life.

Of course, geopolitical factor became the main factor in the contradictions between Russia and the USA. The Russian Federation was announced as the political successor of the defeated and disintegrated Soviet Union in the "Cold War", which initially pushed Russia to a pro-Western orientation. The rule of Boris Yeltsin, the first president of Russia, was focused on rapprochement with the West and the United States of America. This created a number of problems. The state was clearly weak, but civil society was gaining ground in the country, which created the prospect of the real establishment of democratic institutions. Nevertheless, the Russian socio-political system, which was governed by an authoritarian style, could not adapt to the new reality.


Key words: Russia, authoritative, political values, Europe, Euro-Atlantic space.

# აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ცენტრალურ აზიაში: ავღანური ვექტორი

*გიორგი ბუბუნაური, ოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოს ბევრ რეგიონში გააჩნია თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელთა შორის ცენტრალური აზია ერთ-ერთია. ამ რეგიონში ბოლო დროს აშშ-ს გავლენა აშკარად შესუსტდა, რაც განპირობებულია ავღანეთში საერთაშორისო მისიის სრული კრახით. ყოველივე ამას თავისი მიზეზები გააჩნდა და მის მეცნიერულ გაანალიზებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აშშ ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ავღანეთს სხვადასხვა მიმართულებით; ისინი თანამშრომლობდნენ ავღანეთთან როგორც ორმხრივი კონტაქტის ფარგლებშიც, ისე ავღანური კრიზისის დარეგულირებისა და ავღანეთისთვის დახმარების გაწევის სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმებზე. აშშ-ს მიერ შემოთავაზებული მხარდაჭერა, მისი მოცულობები და სხვადასხვა მიმართულება კიდევ ერთ დიდ ამერიკულ მიზანს გამოხატავდა – დარჩენილიყო რეგიონში, გაეკონტროლებინა იგი და გავლენა მოეხდინა რეგიონის ქვეყნების მთავრობათა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. აშშ-ს მიერ განხორციელებული პოლიტიკა აიძულებდა ავღანეთის მთავრობას ყოფილიყო ლოიალური ქვეყანაში აშშ-ს ქმედებებისადმი, რაც ავღანეთს დამოკიდებულს გახდიდა და ხელი შეუშალა ავღანეთის მთავრობას საკუთარი პოლიტიკის წარმართვაში საერთაშორისო არენაზე.

მიუხედავად ავღანეთში შეერთებული შტატების მიერ ოფიციალურად გაცხადებული მიზნებისა, აშშ-ს ჭეშმარიტი ინტერესები სრულიად განსხვავებული იყო. თუმცა, აშშ ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ავღანეთს სხვადასხვა მიმართულებით: თანამშრომლობდნენ ავღანეთთან როგორც ორმხრივი კონტაქტის ფარგლებშიც, ისე ავღანური კრიზისის დარეგულირებისა და ავღანეთისთვის დახმარების გაწევის სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმებზე. აშშ-ს მიერ შემოთავაზებული მხარდაჭერა, მისი მოცულობები და სხვადასხვა მიმართულება კიდევ ერთ დიდ ამერიკულ მიზანს გამოხატავდა – დარჩენილიყო რეგიონში, გაეკონტროლებინა იგი და გავლენა მოეხდინა რეგიონის ქვეყნების მთავრობათა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. აშშ-ს მიერ განხორციელებული პოლიტიკა აიძულებდა ავღანეთის მთავრობას ყოფილიყო ლოიალური ქვეყანაში აშშ-ს ქმედებებისადმი, რაც ავღანეთს დამოუკიდებლობას აცლიდა საგარეო პოლიტიკის წარმართვაში.

ამგვარმა პოლიტიკამ კრახი განიცადა, რადგან იგი ცივილიზაციურად შეუთავსებელი აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ყოველივე ამან, ვფიქრობთ, რომ კაცობრიობა კიდევ ერთხელ უნდა დააფიქროს იმაზე, თუ რაოდენ რთულია დიალოგის წარმართვა განსხვავებული ცივილიზაციის წარმომადგენლებს შორის.

საკვანძო სიტყვები: ავღანეთი, პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა, ტერორიზმი, სამხედრო ძალა.

**შესავალი**

ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც მსოფლიოს ზესახელმწიფოს საკუთარი ინტერესები პლანეტის ბევრ რეგიონში გააჩნია, რომელთა შორის ცენტრალური აზია ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა აშკარად გვიჩვენა, რომ აღნიშნულ რეგიონში აშშ-ს გავლენა შესუსტდა. იმის გასარკვევად, თუ რამ განაპირობა მოვლენათა ამგვარი განვითარება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აშშ-ს საგარეო პოლიტიკისა და გეოპოლიტიკური ინტერესების გაანალიზება აღნიშნულ რეგიონთან მიმართებით.

ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა რეალიზმის, ე.ი. სამხედრო ძალის გამოყენებაზე დამყარებულ მეთოდებს ეფუძნებოდა და იგი ასახულია პრეზიდენტ დ. ტრამპის მიერ განახლებულ აშშ-ს სტრატეგიაში ავღანეთთან და სამხრეთ აზიასთან მიმართებაში. „ამერიკის მტრებმა არასდროს არ უნდა იცოდნენ ჩვენი გეგმების შესახებ ან ეგონოთ, რომ შეუძლიათ ჩვენი დალოდება. მე არ ვიტყვი, როდის ვაპირებთ შეტევას, მაგრამ ჩვენ შევუტევთ“ (Remarks by President Trump on the Strategy in Afghanistan and South Asia, August 21, 2017). აშშ-ს ძირითად მიზნებად ავღანეთში ტერორიზმთან ბრძოლა, ტერორისტებისთვის უსაფრთხო თავშესაფრების შექმნის შეწყვეტის აუცილებლობა და მათთვის ბირთვული იარაღის

ან მისი მასალების მიღებაში ხელის შეშლა იყო გამოცხადებული. ამასთან დაკავშირებით აშშ ცდილობდა გაეფართოვებინა ამერიკული შეიარაღებული ძალების უფლებამოსილებები, რომლებიც ავღანეთში ტერორისტული და კრიმინალური ქსელების განადგურებაზე იყო გამიზნული; უარი ეთქვა ჩვეულ ამერიკულ მიდგომაზე, რომელიც აშშ-ს რომელიმე ქმედებების დაწყების თარიღისა და სამხედრო ქმედებების გეგმების გამოცხადებას გულისხმობს; ასევე აემოქმედებინა ამერიკული ხელისუფლების ყველა ინსტრუმენტი – დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო ძალისხმევა – წარმატებული შედეგის მისაღწევად (Remarks by President Trump on the Strategy in Afghanistan and South Asia, August 21, 2017).

მიუხედავად ამისა, აშშ-ს ინტერესები ავღანეთში გაცილებით უფრო ფართოა. „აზიის გული“ – ავღანეთი –აშშ-ს შესაძლებლობას აძლევდა გაეკონტროლებინა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სატრანზიტო გზები და ისეთი უმსხვილესი სახელმწიფოები, როგორიცაა ჩინეთი და რუსეთი. გარდა ამისა, ავღანეთში მისი ყოფნა რეგიონში რფ-სა და ჩსრ-ის გაძლიერებისადმი წინააღმდეგობის გაწევაზეა გამიზნული, რაც ხელს შეუწყობს მათი გავლენის შეკავებას მსოფლიო პოლიტიკაში. აშშ-სადმი ლოიალური რეჟიმი ავღანეთში ასევე გააძლიერებდა აშშ-ს გეოპოლიტიკურ გავლენას მსოფლიოში. არანაკლებ მნიშნელოვანია ისიც, რომ რეგიონი მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით, რომლებთანაც წვდომის ხელში ჩაგდებას ესოდენ გულმოდგინებით ცდილობდა შეერთებული შტატები. რეგიონში ენერგორესურსების მოპოვების, სამხრეთის მიმართულებით, რფ-ს გვერდის ავლით, მათი ტრანსპორტირების შესაძლებლობა აშშ-ს საშუალებას აძლევდა შეესუსტებინა რუსეთის პოზიციები რეგიონსა და მსოფლიოში და, შესაბამისად, გაევრცელებინა თავისი გავლენა მოცემულ მიმართულებაზე.

ჩინეთი დღეს საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ავღანეთთან ეკონომიკური კავშირების განვითარებაში, ახდენს რა ინვესტირებას ქვეყნის აღდგენის სხვადასხვა პროექტებში და უწევს რა ეკონომიკურ დახმარებას ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკას (აირ) და, პირველ რიგში, საკუთარ ეკონომიკურ პროექტს ახორციელებს – „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, რომელიც დიდ ფინანსურ შესაძლებლობებს სთავაზობს. ჩინეთი მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რეგიონული ზესახელმწიფო. ამ ქვეყნის გავლენამ რეგიონში შეიძლება ხელი შეუშალოს აშშ-ს ინტერესებს, შესაბამისად, შტატების კიდევ ერთი მიზანია სხვადასხვა პირობებისა და დაბრკოლებების შექმნა ჩინეთის ეკონომიკური პროექტების რეალიზებისთვის.

აშშ-ს ძირითადი იდეა – მათი ყოფნა რეგიონში პირადი სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით – ყოფნის მიზეზის ფორმულირების აუცილებლობასაც გულისხმობს. 2001 წ. ნატოს ჯარების შეყვანა ავღანეთში ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლით იყო განპირობებული. მოგვიანებით აუცილებელი იყო შემდგომშიც ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის განთავსების გამართლება. ახალი მიზანი ქვეყანაში დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა გახდა, რაც სრული კრახით დამთავრდა.

ასეთი სვლა იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ გარკვეულ პერიოდში ვაშინგტონმა ვერ მოახერხა ქვეყანაში თავისი საკვანძო ამოცანის გადაჭრა – ბ. ლადენის დაჭერა, „ალ-ქაიდას“ ადგილობრივი უჯრედის განადგურება, ავღანური ექსტრემისტული მოძრაობა „თალიბანის“ ბოევიკთა ძიება და განადგურება, მთლიანად ტერორიზმთან ბრძოლა.

ავღანეთის და მთლიანად რეგიონის დემოკრატიზაციასთან დაკავშირებული აშშ-ს გეგმები მთელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის უფრო მასშტაბური გადაფორმატირების ნაწილი იყო, შესაბამისად რეგიონის პრაქტიკულად ყველა ქვეყნის, ე.ი. „მუსლიმურ სამყაროში ავღანეთიდან მაროკომდე“ დემოკრატიზაციით (Примаков). მითითებული კონცეფციის ავტორები ამოდიოდნენ იქიდან, რომ დასავლური დემოკრატია როგორც უნივერსალური საშუალება, უზრუნველყოფს მოდერნიზაციას, აყვავებას, სამართლიანობასა და კულტურათა დიალოგს. შესაბამისად, დიდი ახლო აღმოსავლეთის „რეკონსტრუქციის“ საფუძველზე ისეთი საზოგადოება უნდა შეიქმნას, რომელიც სრულად უპასუხებდა აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს (Евсеев, 2013 с. 621).

დიდი ახლო აღმოსავლეთის კონცეფციის ძირითადი ავტორები ჰ. კისინჯერი, გ. დოპრე, დ. რამსფელდი, დ. ჩეინი, კ. რაისი, რ. პერლი, პ. ვულფოვიცი, მ. გროსმანი და სხვა ამერიკელი პოლიტოლოგები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები გახდნენ. ზემოთ დასახელებული კონცეფციის ავტორები ამოდიოდნენ იქიდან, რომ დასავლური დემოკრატია როგორც უნივერსალური საშუალება უზრუნველყოფს მოდერნიზაციას, აყვავებას, სამართლიანობასა

და კულტურათა დიალოგს. შესაბამისად, დიდი ახლო აღმოსავლეთის რეკონსტრუქციის საფუძველზე ისეთი საზოგადოება უნდა შეიქმნას, რომელიც სრულად უპასუხებდა აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს. ეს პოლიტიკა ცენტრალური გახდა ტერორიზმთან ბრძოლაში (Евсеев, 2013).

2009წ. აშშ–ს პრეზიდენტმა ბ. ობამამ გამოაქვეყნა თავისი ადმინისტრაციის მიდგომა ავღანეთსა და პაკისტანთან მიმართებაში. მის მიერ შექმნილი იქნა ახალი ტერმინი „ავპაკ“.

კონცეფციაში პრობლემისადმი ასახული მიდგომა ეხებოდა კითხვას, თუ როგორ ავარიდოთ თავი ომს ავღანეთ-პაკისტანის („ავპაკ“) რეგიონში.

მოცემული პროგრამის ფარგლებში ხუთი მიზანი იყო გაცხადებული:

1) ტერორისტული ქსელების განადგურება ავღანეთში და განსაკუთრებით პაკისტანში;

2) ავღანეთში უფრო ეფექტიანი და ანგარიშვალდებული მთავრობის შექმნისადმი ხელშეწყობა, რომელიც შეიძლებს ფუნქციონირებას შეზღუდული საერთაშორისო მხარდაჭერით;

3) ავღანეთის უფრო დამოუკიდებელი უსაფრთოების ძალების განვითარება, რომლებიც დამოუკიდებელ ბრძოლას შეძლებენ მეამბოხეებთან და ტერორიზმთან;

4) პაკისტანში სამოქალაქო კონტროლზე და სტაბილური საკონსტიტუციო მმართველობის განმტკიცებაზე, ასევე აქტიური ეკონომიკის შექმნაზე მიმართული ძალისხმევისათვის ხელის შეწყობა;

5) საერთაშორისო საზოგადოების ჩაბმა აქტიურ დახმარებაში ავღანეთისა და პაკისტანის საკითხთა გადაჭრაში, გაეროს ხელმძღვანელი როლით. (White House white paper on U.S., 27.03.2009)

მიუხედავად ამისა, „ავპაკ“-ის რეგიონში მოსალოდნელი მოქმედებების პრინციპი აშშ-სთვის არა მხოლოდ მშვიდობიანი დარეგულირების შესაძლებლობაა, არამედ რეგიონში სხვა ზესახელმწიფოთა: რუსეთის, ჩსრ-ს, და პოტენციურად ეკ-ის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის ჩათვლით, გავლენისადმი წინააღმდეგობის მექანიზმი. (Фененко, 2013, с. 45)

მიუხედავად აშშ-ს აქტიური სტრატეგიული ძალისხმევისა ავღანეთის სახელმწიფოებრიობაში საკუთარი პოლიტიკური ხაზის გაძლიერებასთან დაკავშირებით და ამგვარად, ქვეყანაში თავისი როლის გაზრდის მცდელობებისა, უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატები, ისე, როგორც არც ერთი სხვა ქვეყანა, ყოველმხრივ: ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ, სამხედრო, პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევდა ავღანეთს.

2017 წ. პრეზიდენტმა დ. ტრამპმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ავღანეთში დამატებითი ჯარების გაშლის შესახებ, რის შედეგად ამერიკელ ჯარისკაცთა საერთო რაოდენობამ ქვეყენაში დაახლოებით 15 000 სამხედრო მოსამსახურე შეადგინა. (Clayton, 2018)

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ყოველმხრივი უზარმაზარი დახმარება ავღანეთის მთავრობისგან ამერიკელთა ყველა ქმედებისადმი ლოიალობას მოითხოვდა. როგორც შედეგი, აშშ-ს მეთაურობით ნატოს 15-წლიანმა ყოფნამ არა მარტო ვერ მოახერხა ქვეყანაში სიტუაციის დარეგულირება, არამედ, უფრო მეტიც, ვითარება კიდევ უფრო არასტაბილური ხდებოდა. ოპიუმის მოცულობები მხოლოდ იზრდებოდა. 2001-დან 2013 წლამდე პერიოდში ყაყაჩოს ნათესების ფართობები აქ 26-ზე მეტჯერ გაიზარდა და სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია – 209 000 ჰა (Новое поколение программ альтернативного развития для ликвидации афганского наркопроизводства, 2014). „ამ დროის განმავლობაში ავღანეთი ოპიუმის უმსხვილესი მიმწოდებელი გახდა, ე.ი. ამჟამად ეს პრაქტიკულად განადგურებული და არავის მიერ გაკონტროლებული ქვეყანაა“, – განაცხადა 2016წ. ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვლადიმირ ჯაბაროვმა (Увязли по уши, 07.10.2016). 2017 წ. ოპიუმის ყაყაჩოს ნათესთა ფართობი წინა წელთან შედარებით 60%-ზე მეტად გაიზარდა, ხოლო ოპიუმის წარმოება – თითქმის 90%-ით (Интервью директора второго департамента Азии З.Н. Кабулова, 11.02.2018).

ქაბულზე ვაშინგტონის გავლენაზე საუბრისას ნიშანდობლივია „მოსკოვის ფორმატში“ მშვიდობიანი პროცესის გაუქმებასთან დაკავშირებული სიტუაცია, რომელიც 2018 წ. 4 სექტემბერს უნდა შემდგარიყო თალიბთა მონაწილეობით. აშშ-მ და ავღანეთის მთავრობამ უარი თქვეს მოლაპარაკებაზე რუსეთში ჩასვლაზე. ეროვნული შერიგება (დროებითი ზავი) ავღანეთში არ პასუხობდა აშშ-ს ინტერესებს რეგიონში. შემდგომში ეს ავღანეთის ტერიტორიიდან ამერიკული ჯარების საბოლოო გაყვანის საფუძველი გახდება, რაც შეუძლებლად აქცევს აზიის რეგიონზე გავლენის მოხდენას. თავის ინტერვიუში ავღანეთში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა ზამირ კაბულოვმა განაცხადა, რომ „ამერიკელი კოლეგები... კვლავაც აგრძელებენ ავღანეთში სამხედრო ყოფნის გაზრდის პოლიტიკას. ამ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს აშშ-ს პრეზიდენტ ტრამპის განცხა-

დებები, რომლებიც მის მიერ იანვარში, გაეროს უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს გაკეთდა, რომ ვაშინგტონი უარს ამბობს „თალიბანის“ მოძრაობასთან მოლაპარაკებების გამართვაზე დაჯგუფების ბოევიკების მიერ ჩადენილ მასობრივ დანაშაულთა გამო“ (Интервью директора второго департамента Азии З.Н. Кабулова, 11.02.2018). ამრიგად, ცხადი გახდა, რომ ამერიკელთათვის არახელსაყრელი შერიგება ავღანეთში ვერასდროს მოხდებოდა.

აღნიშნული ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ რეგიონში აშშ-ს ყოფნის ჭეშმარიტი მიზეზები არა მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლაში და ავღანეთში სიტუაციის სტაბილიზებაში გამოიხატებოდა.

აშშ ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ავღანეთს სხვადასხვა მიმართულებით; ისინი თანამშრომლობდნენ ავღანეთთან როგორც ორმხრივი კონტაქტის ფარგლებშიც, ისე ავღანური კრიზისის დარეგულირებისა და ავღანეთისთვის დახმარების გაწევის სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმებზე. აშშ-ს მიერ შემოთავაზებული მხარდაჭერა, მისი მოცულობები და სხვადასხვა მიმართულება კიდევ ერთ დიდ ამერიკულ მიზანს გამოხატავდა – დარჩენილიყო რეგიონში, გაეკონტროლებინა იგი და გავლენა მოეხდინა რეგიონის ქვეყნების მთავრობათა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. აშშ-ს მიერ განხორციელებული პოლიტიკა აიძულებდა ავღანეთის მთავრობას ყოფილიყო ლოიალური ქვეყანაში აშშ-ს ქმედებებისადმი, რაც ავღანეთს დამოკიდებულს გახდიდა და ხელი შეუშალა ავღანეთის მთავრობას საკუთარი პოლიტიკის წარმართვაში საერთაშორისო არენაზე.

2019 წ. მაისში ვაშინგტონში აშშ-ნატოს ყოველწლიური სემინარი გაიმართა, რომლის შედეგების მიხედვით გამოქვეყნდა მოხსენება ავღანეთში არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში: „ავღანეთი 2019 წ. გაზაფხულზე. გამარჯვება, შეკავება, მიტოვება ან გაქცევა“. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ აშშ ავღანეთში რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: დარჩენილიყო და გაეგრძელებინა მშვიდობიანი დარეგულირების გზების ძიება; თუ წასულიყო და გადაუჭრელად დაეტოვებინა მოლაპარაკებების მშვიდობიანი გადაწყვეტის ამოცანები.

ამასთან დაკავშირებით შეგვეძლო გამოგვეყო ავღანეთში აშშ-ს საქმიანობის შესაძლო ვარიანტები:

1. დაედოს სამშვიდობო შეთანხმება აშშ-სა და მოკავშირეთა ჯარების გაყვანისას, შეეკვეცა დახმარება.

2. დაედოს სამშვიდობო შეთანხმება, მაგრამ აშშ უზრუნველყოფდა სამხედრო მხარდაჭერას ავღანეთისათვის და კვლავაც გააგრძელებდა მუდმივი სამხედრო და ეკონომიკური დახმარების გაწევას.

3. განეხორციელებინა აშშ-სა და მათი მოკავშირეების სამხედრო კონტინგენტის გაყვანა და შეემცირებინა მთავრობისთვის დახმარების დახმარება.

4. განეხორციელებინა აშშ-ს ჯარების გაყვანა, სამხედრო მხარდაჭერის შენარჩუნებით.

5. აშშ დარჩებოდა და აგრძელებს სამხედრო ოპერაციების წარმართვას, რომლებიც თუმცა ჯარისა და მთლიანად ქვეყნის ძალების გამოფიტვას გამოიწვევს.

6. აშშ დარჩებოდა ავღანეთის პრეზიდენტის 2019 წ. არჩევნების შემდეგაც ხელსაყრელი ვითარების შექმნამდე (Cordesman, 2020, p.328).

მოხსენებაში აღიარებული იყო, რომ ავღანეთში აშშ-ს ყოფნის/წასვლის შესახებ გადაწყვეტილებათა არც ერთი ვარიანტის უგულებელყოფა არ შეიძლებოდა, თუმცა გადაწყვეტილების გზების არჩევანის სისწორის რწმენა არ იყო. აშშ იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მიუხედავად მთელი თავისი საქმიანობისა, სამხედრო ვითარება ჩიხში შედიოდა ხოლო „თალიბანი“ საკმაოდ დამაჯერებლად გრძნობდა თავს ქვეყანაში (Cordesman, 2020, p.328).

ამრიგად, მიუხედავად ავღანეთში შეერთებული შტატების მიერ ოფიციალურად გაცხადებული მიზნებისა, აშშ-ს ჭეშმარიტი ინტერესები სრულიად განსხვავებული იყო. თუმცა, აშშ ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ავღანეთს სხვადასხვა მიმართულებით: თანამშრომლობდნენ ავღანეთთან როგორც ორმხრივი კონტაქტის ფარგლებშიც, ისე ავღანური კრიზისის დარეგულირებისა და ავღანეთისთვის დახმარების გაწევის სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმებზე. აშშ-ს მიერ შემოთავაზებული მხარდაჭერა, მისი მოცულობები და სხვადასხვა მიმართულება კიდევ ერთ დიდ ამერიკულ მიზანს გამოხატავდა – დარჩენილიყო რეგიონში, გაეკონტროლებინა იგი და გავლენა მოეხდინა რეგიონის ქვეყნების მთავრობათა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. აშშ-ს მიერ განხორციელებული პოლიტიკა აიძულებდა ავღანეთის მთავრობას ყოფილიყო ლოიალური ქვეყანაში აშშ-ს ქმედებებისადმი, რაც ავღანეთს დამოუკიდებლობას აცლიდა საგარეო პოლიტიკის წარმართვაში.

ლიტერატურა:


1. Remarks by President Trump on the Strategy in Afghanistan and South Asia, August 21, 2017, White House Office of the Press Secretary. www.whitehouse.gov/briefings-statements/remarks-president-trump-strategy-afghanistan-south-asia
2. Примаков Е., В чем сущность плана «Большой Ближний Восток»,InoSMI.ru. www.inosmi.ru/translation/210712.html
3. Евсеев В., Концепция «Большой Ближний Восток» под углом национальной безопасности, Nota Bene. Национальная безопасность. 2013. № 4 (27). С. 621. DOI: 10.7256/2073-8560.2013.4.7727. www.nbpublish.com/library_get_pdf.php?id=25426
4. Евсеев В., Концепция «Большой Ближний Восток» под углом национальной без-опасности, Nota Bene. Национальная безопасность. 2013. № 4 (27). DOI: 10.7256/2073-8560.2013.4.7727 www.nbpublish.com/library_get_pdf.php?id=25426
5. White House white paper on U.S. police to Afghanistan and Pakistan. Foreign Policy. 27.03.2009. www.foreignpolicy.com/2009/03/27/white-house-white-paper-on-u-s-policy-to-afghanistan-and-pakistan
6. Фененко А., Проблематика «АФПАК» в мировой политике, Вестн. Моск. ун-та. Сер. 25. Международные отношения и мировая политика. 2013. № 2. С. 45.
7. Clayton Th., Afghanistan: Background and U.S. Policy in Brief, Congressional Research Service. August 3, 2018. www.fas.org/sgp/crs/row/R45122.pdf
8. Новое поколение программ альтернативного развития для ликвидации афганского наркопроизводства, Проектно-аналитический доклад неправительственных организаций России и Беларуси. ИДМРР (РФ), ИСВИ (РБ). Москва, 2014.
9. Увязли по уши. Как США проиграли войну в Афганистане, Аргументы и факты. 07.10.2016. www.aif.ru/politics/world/uvyazli_po_ushi_kak_ssha_proigrali_voynu_v_afganistane
10. Интервью директора второго департамента Азии З.Н. Кабулова информационному агентству «Интерфакс» // МИД РФ. 11.02.2018. www.mid.ru/ru/maps/af/-/asset_publisher/gehUa6O4gSTV/content/id/3070528
11. Интервью директора второго департамента Азии З.Н. Кабулова информационному агентству «Интерфакс», МИД РФ. 11.02.2018. www.mid.ru/ru/maps/af/-/asset_ publisher/gehUa6O4gSTV/content/id/3070528
12. Cordesman A. Afghanistan: A War in Crisis, Center for strategic international studies


## The main directions of US foreign policy in Central Asia: the Afghan vector


***Giorgi Bubunauri, PhD student***
***Georgian Technical University***



**Summary**

The United States of America has its geopolitical interests in many regions of the world, among which Central Asia is one of them. Recently, the US influence in this region has clearly weakened, which is due to the complete collapse of the international mission in Afghanistan. All this had its reasons and its scientific analysis is of great importance.

The USA provided assistance to Afghanistan in various directions; They cooperated with Afghanistan both within the framework of bilateral contact and on various international platforms for settlement of the Afghan crisis and assistance to Afghanistan. The support offered by the USA, its volumes and different directions expressed another great American goal – to stay in the region, to control it and to influence the decisions made by the governments of

the countries of the region. The policies implemented by the US forced the Afghan government to be loyal to US actions in the country, which made Afghanistan dependent and prevented the Afghan government from conducting its own policies in the international arena.

Despite the officially stated goals of the United States in Afghanistan, the true interests of the United States were completely different. However, the US provided assistance to Afghanistan in various ways: they cooperated with Afghanistan both within the framework of bilateral contact and on various international platforms for the settlement of the Afghan crisis and providing assistance to Afghanistan. The support offered by the USA, its volumes and different directions expressed another great American goal – to stay in the region, to control it and to influence the decisions made by the governments of the countries of the region. The policy implemented by the US forced the Afghan government to be loyal to US actions in the country, which deprived Afghanistan of its independence in conducting foreign policy.

Such a policy failed because it was incompatible with civilization for the local population. All of this, we think, should make humanity think again about how difficult it is to conduct a dialogue between representatives of different civilizations.

Key words: Afghanistan, politics, foreign policy, terrorism, military power.

# ანტირუსული განწყობები პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინაში

*სალომე კანდელაკი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ხელმძღვანელი: მანანა დარჩაშვილი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები ძირითადად დაძაბული, კონფლიქტური და არასტაბილური იყო. დღევანდელობამდე ძირითადი სადაო საკითხი ამ ორ ქვეყანას შორის იყო ყირიმი, ხოლო დღეისათვის მიმდინარე ომმა სხვა მასშტაბები და ფუნქცია შეითავსა.

უკრაინა პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთია რომელსაც მკაფიოდ გამოხატული დასავლური კურსი აქვს. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყანაა და იბრძვის, რომ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდეს. ევროკავშირისთვის კი მნიშვნელოვან პრიორიტეტს მის სამეზობლოში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის ხელშეწყობა წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე, რომელიცქვეყნისუსაფრთხოებასდასტაბილურობას უზრუნველყოფს. ნატოს გაფართოებას, უკრაინის სწრაფვას ამ ორგანიზაციისკენ რუსეთი საფრთხედ აღიქვამს, რის გამოც ფაქტობრივად წელიწადი და შვიდი თვეა რუსეთის მტკიცებით „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ მიმდინარეობს, ხოლო მთელი ცივილიზებული მსოფლიო თანხმდება რომ ესაა რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესია უკრაინის წინააღმდეგ.

საკვანძო სიტყვები: უკრაინა, რუსეთი, პოსტსაბჭოთა სივრცე, ევროატლანტიკური სტრუქტურები.

**შესავალი**

ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები არც ისე სახარბიელოდ ვითარდებოდა. უკრაინა ნავთობის და ბუნებრივი რესურსების კუთხით არ არის მდიდარი ქვეყანა, ამ მიმართულებით ის რუსეთზეა დამოკიდებული, თუმცა, ის სატრანზიტო როლს ასრულებს რუსეთისთვის. ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულება ფაქტია, ერთის მხრივ უკრაინისთვის რუსეთი ბუნებრივი რესურსებით, მეორე მხრივ რუსეთისათვის უკრაინა სატრანზიტო მდებარეობის გამო, რისი დასტურიცაა რუსეთის ქმედებები უკრაინის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე.

რუსეთ-ამერიკას, რუსეთ-ევროპას, შორის არსებული პოლიტიკური გამოწვევების, კონკურენციის გაზრდის პარალელურად, მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, გაიზარდა უკრაინის, საბჭოთა კავშირიდან გასვლის შემდეგ, როლი დასავლეთისთვის, რამაც ფაქტობრივად მოჰყვა არსებული რეალობა მსოფლიოში.

**ძირითადი ნაწილი**

**პოსტსაბჭოთა უკრაინა და ანტირუსული განწყობები**

აღსანიშნავია, რომ ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, 1989 წელს, ნათელი გახდა რომ საბჭოთა კავშირი დიდი კრიზისი წინაშე აღმოჩნდა, რადაგნ მასში შემავალმა რესპუბლიკებმა დაიწყეს დამოუკიდებლობაზე ფიქრი. 1991 წლის 24 აგვისტოს უკრაინის პარლამენტმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ლიდერმა ლეონიდ კრავჩუკმა დეკემბერში უკრაინის რეფერენდუმი გამართა, რადგან დამოუკიდებლობის ლეგიტიმაცია მოეხდინა. რეფერენდუმის დღესვე 90%-იანი მხარდაჭრით კრავჩუკი უკრაინის პირველ პრეზიდენტადა ირჩიეს (Terajima, 2023). მანვე უკრაინის სახელით, ხელი მოაწერა ცნობილ ბელოვეჟის შეთანხმებას სსრკ-ის დაშლის შესახებ.

ამასთან, საბჭოთა კავშირის ყოფილი წევრი რესპუბლიკებიდან, თუკი რომელიმე ქვეყანა ისწრაფვის დღეს დასავლეთისკენ, ერთ-ერთი უკრაინაა. მისი დღევანდელი საგარეო პოლიტიკა მიმართულია ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების სრულფასოვან წევრობაზე.

სიტუაციის ესკალაცია რუსეთსა და უკრაინას შორის, ყველაზე მეტად გართულდა 2014 წელს, რაც საბოლოოდ ყირიმის ანექსიით დასრულდა. ვიდრე სიტუაციის ესკალაცია მოხდებოდა ამ ყველაფერს ბიძგი მისცა ევრომაიდნის რევოლუციამ, რა დროსაც ხალხი იმ დროინდელი მთავრობის დასამხობად ქუჩაში გამოვიდა, აღსანიშნავია რომ უკრაინას იმ პერიოდში ნამდვილად ჰქონდა პრობლემები რომლებიც არც ისე მარტივად მოსაგვარებელი იყო, ეს იყო კორუფცია, უმუშევრობის მაღალი

მაჩვენებელი, დემოკრატიულობის დაბალი დონე. ევრომაიდნის რევოლუცია მკაფიო პასუხი იყო ხალხისა, რომელთაც სურდათ დემოკრატია და წინსვლა/განვითარება, რაც დასავლეთის გზაზე სიარულს ნიშნავდა, სწორედ აღნიშნული იყო რუსეთის ქმედების პასუხი.

თუმცა, აღსანიშნავია მანამდე არსებული გართულებული პოლიტიკური პროცესი, „ნარინჯისფერი რევოლუცია“, რომელიც ხალხის ნების მკაფიო გამოხატულება იყო. სამოქალაქო მუხტი არჩევნების გაყალბებას მოჰყვა, 2004 წლის 21 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, 52%-ით უპირატესობა პროდასავლურმა კანდიდატმა ვ. იუშჩენკომ მოიპოვა, ხოლო კრემლის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატმა ვიქტორ იანუკოვიჩმა 43%. თუმცა, აღსანიშნავია რომ ოფიციალური შედეგების მიხედვით ვ. იანუკოვიჩმა 2,5%-ით აჯობა მეტოქეს. არჩევნების მასობრივი გაყალბება იყო ბოლო წვეთი უკრაინელებისთვის. პროტესტი როგორც კიევში ასევე სხვა ქალაქებში მიმდინარეობდა და 2005 წლის იანვრამდე გაგრძელდა. კიევის ცენტრში დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი შეიკრიბა, ეცვათ ნარინჯისფერი ტანისამოსი, აფრიალებდნენ ნარინჯისფერ დროშებს. პროტესტის დაწყებიდან მალევე კიევში, დამოუკიდებლობის მოედანზე გამოჩნდა კარვების ქალაქიც, ცნობილი როგორც - „მეიდანი“. პროტესტს უერთდებოდნენ მუსიკოსები და ცნობილი ადამიანები. აღსანიშნავია ისიც რომ ქვეყნის პრორუსულმა ძალებმა მხოლოდ არჩევნები კი არ გააყალბეს არამედ ფაქტობრივად სასიკვდილოდ გაიმეტეს მთავარი ოპოზიციური კანდიდატი ვიქტორ იუშჩენკო, ვინაიდან 2004 წლის 6 სექტემბერს ის მძიმედ დაავადდა. საპროტესტო აქციები იყო მშვიდობიანი და პოლიციას ძალა არ გამოუყენებია. უკვე დეკემბრის დასაწყისში, უკრაინის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა არჩევნების გაყალბება და შედეგები ბათილად ცნო, საბოლოოდ გამარჯვება ვ. იუშჩენკომ, იანვარში რევოლუცია დასრულდა.

ნარინჯისფერი რევოლუცია თავისი შინაარსით სცილდებოდა მხოლოდ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების იდეას. ეს იყო უფრო „ევროპული არჩევანი“, უკეთესი მომავლის ხედვა, რაც რევოლუციის ლოზუნგებშიც ასახული იყო. უკრაინელი პოლიტიკის ექსპერტი, ტარას კუზიო, ამბობს - 80-იან წლებში დაბადებული და 90-იან წლებში გაზრდილი ახალგაზრდები დასავლეთისკენ ეძებდნენ თავისუფლებას, კულტურას (Bivings L., *Ukraine's Orange Revolution*).

კიდევ ერთი დაპირისპირების გამომწვევი მიზეზი გახდა 2010 წელს, უკრაინის პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი, რომელიც ფაქტობრივად უარყოფდა ნატოში გაწევრიანების ამბიციას. კანონი, რომელიც ვიქტორ იანუკოვიჩმა წარადგინა ამტკიცებდა უკრაინის სტატუსს როგორც სამხედრო არამონაწილე ქვეყანა - თუმცა ის ნატოსთან თანამშრომლობას კვლავ აპირებდა (BBC, Ukraine's parliament votes to abandon NATO ambitions). მოგვიანებით, ვილნიუსში ევროკავშირის სამიტზე უკრაინის პრეზიდენტმა ვ. იანუკოვიჩმა, რუსეთის ზეწოლის გამო მოულოდნელად შეაჩერა ვაჭრობისა და რეფორმების შეთანხმების ხელმოწერაც, რასაც მოჰყვა საპროტესტო გამოსვლები რომელიც უკრაინის იმდროინდელი პრეზიდენტის, ვიქტორი იანუკოვიჩის წინააღმდეგ იყო მიმართული (ღირსების რევოლუცია). ვ. იანუკოვიჩმა თავი იმართლა - „ევროკავშირი არ გვთავაზობდა ადექვატურ ფინანსურ დახმარებას უკრაინის ეკონომიკის გასაუმჯობესებლადო“ (BBC, 2013).

საყურადღებოა, რომ რუსეთის გეოპოლიტიკა ყოველთვის დამყარებული იყო „ახლო საზღვარგარეთზე“, რომელიც მისთვის ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობასაც ატარებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთსა და უკრაინას შორის მნიშვნელოვანი დავა უკავშირდებოდა ყირიმის საკითხს, სევასტოპოლის სტატუსს და ასევე ქერჩის სრუტის პრობლემას.

მას შემდეგ რაც ვ. იანუკოვიჩი გადააყენეს (2014), ახალი პროდასავლური ხელისუფლების მოსვლის შედეგად კრემლს გაუჩნდა ეჭვები რომ თუკი უკრაინა ევროკავშირთან ურთიერთობებს ალაგებდა, შესაძლებელი იყო გეზი კვლავ ნატოსკენაც აეღო, რასაც რაღა თქმა უნდა არ მიესალმებოდა და საფრთხედაც აღიქვამდა.

უკრაინასთან მიმართებაში მკვლევრები ხშირად აღნიშნავენ, რომ 2014 წელს კრემლის ქმედებები იყო პასუხი - პრო-რუსული პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლების გადაგდების და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დადებასთან დაკავშირებული პროცესის გამო.

რუსეთმა ყირიმში შეჭრით დასავლეთს მიანიშნა, რომ ის საკუთარ ინტერესებს არ დათმობდა და ნათლად გამოხატავდა თუ რა მეთოდის გამოყენება შეეძლო მოსკოვს შემდგომში. ყირიმში შეჭრამ გაზარდა უკრაინის საზოგადოების წინააღმდეგობა რუსეთის მიმართ, გამძაფრდა კრიზისი. 2014 წლის 27 თებერვალს რუსეთი სამხედრო ძალის გამოყენებით შეიჭრა ყირიმის ნახევარკუნძულზე

და თავი არ შეიკავა სუვერენიტეტის აშკარა დარღვევისაგან. ამ შემთხვევამ არა მხოლოდ რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებზე იმოქმედა, არამედ გამოიწვია სერიოზული კრიზისი რუსეთსა და დასავლეთს შორის. ყირიმში 2014 წლის 16 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის საფუძველზეც ყირიმი შეუერთდა რუსეთს. დასავლეთმა აღნიშნული უკანონოდ მიიჩნია. ამასთან დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებმა, სადაც უფრო რუსი მოსახლეობა ცხოვრობს, ასევე გამოაცხადეს უკრაინისაგან დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ კიევის ადმინისტრაციის ჩარევის შედეგად დაიწყო სამოქალაქო ომი. ევროკავშირის მონაცემებით ინცინდენტების დროს ოთხი ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

მიუხედავად 2014 წლის ყირიმისა ანექსიისა და მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომისა, რომელსაც რუსეთი ჯერ კვლავ სპეციალურ სამხედრო ოპერაციად აფასებს უკრაინის პროდასავლური კურსი შეუქცევადია.

უკრაინული მხარის მტკიცებით, ყირიმის ანექსიით რუსეთმა დაარღვია 1991 წლის შეთანხმება, თუმცა რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ ეს იყო ხალხის არჩევანი რომელიც ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებმა აჩვენა. BBC-ს ცნობით, სადავო რეფერენდუმში ხმების ნახევარზე მეტის დათვლის შემდეგ ამომრჩეველთა დაახლოებით 95,5%-მა მხარი დაუჭირა რუსეთთან მიერთბას (BBC, 2014 ).

დღეისათვის კი, აქტუალურია მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც წელიწადზე მეტია გრძელდება და მსოფლიო გადანაწილების ახალი მიზეზი იქნება. გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გავლენები, როგორც რეგიონისთვის ასევე მთელი მსოფლიოსათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

„ვაშინგტონ პოსტმა“ ომის ერთი წლის თავზე თავისი ექსკლუზიური მასალა გამოაქვეყნა, (The Washington post, 2023) რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, უკრაინის, ევროპისა და ნატოს მაღალჩინოსნებზე დაკვირვებით ფაქტობრივად ომის ერთი წლისთავის რეზიუმე იყო. სტატიაში სადაც ნათლადაა გამოხატული, რომ ვლადიმერ პუტინი უკრაინის დიდი ტერიტორიის დაპყრობას, კიევის სამ დღეში აღებას, პრეზიდენტ ვ. ზელენსკის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას და თუ საჭირო გახდებოდა მის მკვლელობასაც გეგმავდა.

„ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში აღნიშნულია, რომ ამერიკულმა დაზვერვამ ინფორმაციის მიღება შეძლო რუსეთის პოლიტიკური ხელისუფლების, ჯაშუშური აპარატისა და სამხედროების რიგებიდან. გამოცემის ცნობით, პუტინის გეგმები ამჯერად ბევრად უფრო რადიკალური იყო, ვიდრე 2014 წელს და ახლა ის უკრაინის დიდი ნაწილის დაპყრობას ითვალისწინებდა.

ამერიკის დაზვერვის ინფორმაციით რუსეთის ჯარებს ჩრდილოეთიდან უკრაინაზე ორი მხრიდან უნდა შეეტიათ კიევისთვის, ძალების ერთი ნაწილი დედაქალაქისკენ ჩერნიგოვის გავლით უნდა დაძრულიყო, მაშინ როდესაც დანარჩენ ჯარებს დასავლეთიდან კიევი ალყაში უნდა მოექციათ.

სტატიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ვ. პუტინის მიერ შერჩეული დროის „სწორ“ გათვლაზე. ანალიტიკოსების აზრით პუტინი თავდასხმისთვის შერჩეულ დროს ხელსაყრელად მიიჩნევდა, რადგან მისი ვარაუდით ჯ. ბაიდენის ადმინისტრაცია ისედაც დასჯილი იყო ამერიკის ჯარების ავღანეთიდან დამამცირებელი გაყვანით და ახალ ომებში არ ჩაერთვებოდა. ამერიკა და ევროპა ჯერ კიდევ პანდემიას ებრძოდნენ. გერმანიაში ხელისუფლება ახალი შეცვლილი იყო, ემანუელ მაკრონს საფრანგეთში წინ ახალი არჩევნები ელოდა, დიდი ბრიტანეთი კი ბრექსითის ეკონომიკურ შედეგებს ებრძოდა. ეს ყველაფერი დიდი ომისთვის რუსეთის პრეზიდენტს ხელსაყრელი ეჩვენებოდა. კონტინენტის დიდი ნაწილი დამოკიდებული იყო რუსულ ნავთობსა და ბუნებრივ გაზზე, რაც მის უპირატესობაზე მიანიშნებდა. სტატიაში დეტალურადაა მოთხრობილი რა ხდებოდა ვაშინგტონში, ლონდონში, პარიზში, თუ კიევში 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის 24 თებერვლამდე. რა ვიზიტები და საუბრები განხორციელდა ქვეყნის პრეზიდენტებსა და უმაღლესი მთავრობის პირებს შორის. ამ სიტუაციაში მთავარი კითხვა რჩებოდა ის, თუ რატომ არ თქვა უკრაინის ხელისუფლებამ შესაძლო ომისა და მოსკოვის გეგმების შესახებ საჯაროდ, რამდენიმე თვით ადრე, თუკი ამის შესახებ უკვე ოქტომბერში ჰქონდათ საფუძვლიანი ეჭვები?

როგორც გამოცემა აღნიშნავს, შეერთებულ შტატებს გაუჭირდა პარტნიორების და უკრაინის ხელისუფლების დარწმუნება რომ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის საფრთხე რეალური იყო, ალბათ ახლაც, როგორც 2008-ში ცივილიზებულ სამყაროს ნაკლებად წარმოედგინა რომ რუსეთს კვლავ მხოლოდ „ბომბებით საუბარი“ შეეძლო.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. კულება აღნიშნავდა, რომ ამერიკის დაზვერვა გვიყვებოდა, სრულიად წარმოუდგენელ რამეს და მეორე მხრივ კი ყველა თვალს გიკრავდა და გეუბნებდა,

რომ ეს ის არ არის - რაც მათი აზრით მოხდებაო.

მოგვიანებით ა. ერმაკი, ზელენსკის ადმინისტრაციის უფროსი, იხსენებს, რომ „ჩვენ მივიღეთ ყველა ინფორმაცია პარტნიორებისგან, მაგრამ მოდით გულწრფელად ვთქვათ, წარმოიდგინეთ პანიკა, რომელიც დაიწყებოდა - პანიკის შექმნა რუსების მეთოდია, წარმოიდგინეთ პანიკა, რომელიც დაიწყებოდა 3 ან 4 თვით ადრე, რა დაემართებოდა ეკონომიკას, გავძლებდით ასე 5 თვეს როგორც ახლა შევძელით?“

“იმ მომენტისთვის, როცა რუსეთი შემოიჭრებოდა მართლა 3 დღეში აგვიღებდნენ. ჩვენი შინაგანი ინსტინქტი მართალი აღმოჩნდა. თუ ჩვენ ქაოსს დავთესავდით ხალხში თავდასხმამდე - რუსები გადაგვყლაპავდნენ - ამბობს მოგვიანებით ვ. ზელენსკი. მოდი მომავალში განსაჯოს ხალხმა სწორი იყო თუ არა ეს, მე მქონდა შეგრძნება რომ რუსებს სურდათ მოვემზადებინეთ იმისთვის, რომ იოლად დაგვეთმო ჩვენი ქვეყანა“.

ეს სტატია ასევე სრულდება თეთრ სახლში საგანგებო შეკრებით. 23 თებერვლის საღამოს თეთრმა სახლმა დაზვერვის სასწრაფო ცნობა მიიღო:

„დიდი ალბათობით სამხედრო აგრესია უკვე დაიწყო ჯარები დაიძრნენ, რუსებმა რამდენიმე რაკეტა უკრაინას ესროლა - უთხრეს ჯ. ბაიდენს.

ჯეკ სალივანმა, თეთრი სახლის უსაფრთხოების მრჩეველმა კიევში ა. ერმაკს დაურეკა, ა. ერმაკმა დალოდება სთხოვა. - წერია სტატიაში. მას ტელეფონთან ვ. ზელენსკის მოყვანა სურდა, რათა ჯ. ბაიდენს პირადად გასაუბრებოდა. ვ. ზელენსკიმ ჯ. ბაიდენს სთხოვა, რომ რაც შეიძლება მეტი ქვეყნის ლიდერსა და დიპლომატს დაკავშირებოდა, რათა საჯაროდ მიემართათ ვ. პუტინისთვის და მოეწოდებინათ შეჩერებულიყო.

ვ. ზელენსკი ამ დროს შეშფოთებული იყო, ეუბნება გამოცემას წყარო - მან ჯ. ბაიდენს უთხრა, ჩვენ ვიბრძლებთ, ჩვენს თავს დავიცავთ, მაგრამ თქვენი დახმარება დაგვჭირდება „პრეზიდენტო ბაიდენო, მომეცით იარაღი“.

**დასკვნა**

მიუხედავად იმისა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში მსოფლიო განვითარდა, ცივი ომის ეპოქა წარსულს ჩაბარდა, გეოპოლიტიკური კუთხით ვითარება მაინც შემაშფოთებელია, რუსეთის ფედერაცია კვლავ გავლენების განმტკიცებისთვის იბრძვის.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნარომში შევეცადეთ ფაქტების ანალიზის საფუძველზე წარმოგვედგინა ანტირუსული განწყობები პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინაში. ფაქტია, რომ რუსეთისთვის წითელი ხაზია უკრაინის პროდასავლური კურსი. მისთვის ეს ქვეყანა „საკუთარად“ არის მიჩნეული და ყველანაირად ცდილობს პროდასავლურ გზაზე საკმაოდ ხისტი პასუხითაც კი უპასუხოს.

ვლადიმერ პუტინი დღესაც, ომს უკრაინაში, რომელიც წელიწადი და 7 თვე მიმდინარეობს, კვლავ სპეციალურ სამხედრო ოპერაციაად მოიხსენიებს. ის საკუთარ იმპერიალისტურ ამბიციებზე უკრაინასთან დაკავშირებით დაუფარავად საუბრობს და ამბობს რომ უკრაინა, არა დამოუკიდებელი ქვეყანა, არამედ, კომუნისტური რუსეთის მიერ შექმნილი ფიქციაა, რუსები და უკრაინელები არიან ერთი ხალხი. უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები მას შემდეგ გაიზარდა რაც უკრაინა ჩამოშორდა რუსეთს და დაუახლოვდა დასავლეთს. ამ ომს სერიოზული შედეგები აქვს, ვინაიდან განადგურებულია ქალაქები, დაღუპულია უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე, გაზრდილია ლტოლვილთა რაოდენობა.

რუსეთის მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეში დარღვევა, მწვავე რეალობის წინაშე აყენებს არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთლიანად ევროპულ და ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Terajima A., Ukraine’s struggle for independence., https://kyivindependent.com/ukraines-struggle-for-independence/ გადამოწმებულია 8.07.2023
2. Bivings L., Ukraine's Orange Revolution., https://kyivindependent.com/ukraines-orange-revolution/ ნანახია 4.06.2023
3. Ukraine's parliament votes to abandon NATO ambitions., BBC., 2010 https://www.bbc.com/news/10229626
4. Ukraine protests after Yanukovych EU deal rejection., BBC., 2013 https://www.bbc.com/news/world-europe-25162563

5. Crimea referendum: Voters 'back Russia union'., BBC., March 16, 2014. https://www.bbc.com/news/world-europe-26606097 ნანახია 27.06.2013
6. Road to war: U.S. struggled to convince allies, and Zelensky, of risk of invasion., Harris SH, DeYoung K, Khurshudyan I, Parker A and Sly L., The Washington post
7. Road to war: U.S. struggled to convince allies, and Zelensky, of risk of invasion., Harris SH, DeYoung K, Khurshudyan I, Parker A and Sly L., The Washington post

**Anti-Russian attitudes in post-Soviet Ukraine**

***Salome Kandelaki, PHD student***
***Georgian technical university***

***Manana Darchashvili, Professor***
***Georgian technical university***

**Summary**

After the collapse of the Soviet Union, Russia-Ukraine relations were mostly tense, conflictual and unstable. Until today, the main contentious issue between these two countries was Crimea, and the current war has taken on other dimensions and functions.

Ukraine is one of the countries in the post-Soviet space that has a clearly expressed Western course. It is a member of the Eastern Partnership of the European Union and is striving to become a full member of the European Union. An important priority for the European Union is the promotion of a stable political situation in its neighborhood. The same can be said about the North Atlantic Alliance, which ensures the country's security and stability. Russia perceives NATO expansion, Ukraine's aspiration to join this organization as a threat, which is why a "special military operation" has been going on for a year and seven months, according to Russia, while the whole civilized world agrees that this is Russia's large-scale aggression against Ukraine.

Despite the fact that the world has developed in the twenty-first century, the era of the Cold War has passed, the situation from the geopolitical point of view is still worrying, the Russian Federation is still struggling to strengthen its influence.

In the article presented by us, we tried to present anti-Russian sentiments in post-Soviet Ukraine based on the analysis of facts. It is a fact that Ukraine's pro-Western course is a red line for Russia. For him, this country is considered "his" and he tries in every possible way to respond with a rather rigid answer in the pro-Western way.

Even today, Vladimir Putin still refers to the war in Ukraine, which has been going on for a year and 7 months, as a special military operation. He openly talks about his imperialist ambitions regarding Ukraine and says that Ukraine is not an independent country, but a fiction created by communist Russia, Russians and Ukrainians are one people. Threats to Ukraine's sovereignty and territorial integrity from Russia have increased since Ukraine moved away from Russia and closer to the West. This war has serious consequences, as cities have been destroyed, many civilians have died, and the number of refugees has increased.

The foreign policy carried out by Russia, a gross violation of the principles of international law, puts not only the region, but also European and Euro-Atlantic security in front of a harsh reality.

# რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები სპარსეთის ყურეში

*კახა პეტრიაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სპარსეთის ყურე უკვე დიდი ხანია მსოფლიოს მსხვილი აქტორების ინტერესთა შეჯახების ადგილია. სულ ახლახან ისრაელსა და ღაზის სექტორში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დააფიქრა კაცობრიობა. ახლო აღმოსავლეთი შესაძლოა კიდევ უფრო დიდი დაპირისპირების ეპიცენტრი გახდეს. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კი სპარსეთის ყურეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აღნიშნულ რეგიონში თავისი განსაკუთრებული ინტერესები გააჩნია თითქმის ყველა მსხვილ საერთაშორისო აქტორს. რუსეთის ფედერაცია, ცხადია, მათ შორის ერთ-ერთი წამყვანია. იგი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოა, საბჭოთა კავშირს კი ყოველთვის მსხვილი გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნდა სპარსეთის ყურეში. „ვიცი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა გავლენები მსოფლიოს ბევრ რეგიონზე დაკარგა, მაგრამ ამჟამად ცდილობს დაკარგულის აღდგენას. იგი არა მარტო აღდგენას ცდილობს, არამედ თვითონ სურს გახდეს ახალი საერთაშორისო გეოპოლიტიკური წესრიგის საფუძვლის ჩამყრელი. უკრაინაში ომიც, ჩვენი აზრით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. აღნიშნულის ფონზე უაღრესად აქტუალურია სპარსეთის ყურეში რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების გამოკვეთა და მეცნიერული გაანალიზება.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები სპარსეთის ყურეში ნაკარნახევია რეგიონში შექმნილი ახალი საერთაშორისო გეოპოლიტიკური ვითარებით. ამჟამად იმდენად რთული ვითარებაა სპარსეთის ყურეში, რომ რაიმე პროგნოზის გაკეთება ძალზე ჭირს. ალბათ ამ კითხვებს პასუხს ცხელ წერტილებში უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში გაჩაღებული ომების დასასრული გასცემს პასუხს.

საკვანძო სიტყვები: სპარსეთის ყურე, რუსეთი, საბჭოთა კავშირი, დაპირისპირება, პოლიტიკა.

**შესავალი**

სპარსეთის ყურე უკვე დიდი ხანია მსოფლიოს მსხვილი აქტორების ინტერესთა არეალშია მოქცეული. სულ ახლახან ისრაელსა და ღაზის სექტორში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დააფიქრა კაცობრიობა. ახლო აღმოსავლეთი შესაძლოა კიდევ უფრო დიდი დაპირისპირების ეპიცენტრი გახდეს. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კი სპარსეთის ყურეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აღნიშნულ რეგიონში თავისი განსაკუთრებული ინტერესები გააჩნია თითქმის ყველა მსხვილ საერთაშორისო აქტორს. რუსეთის ფედერაცია, ცხადია, მათ შორის ერთ-ერთი წამყვანია. იგი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოა, საბჭოთა კავშირს კი ყოველთვის მსხვილი გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნდა სპარსეთის ყურეში. „ვიცი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა გავლენები მსოფლიოს ბევრ რეგიონზე დაკარგა, მაგრამ ამჟამად ცდილობს დაკარგულის აღდგენას. იგი არა მარტო აღდგენას ცდილობს, არამედ თვითონ სურს გახდეს ახალი საერთაშორისო გეოპოლიტიკური წესრიგის საფუძვლის ჩამყრელი. უკრაინაში ომიც, ჩვენი აზრით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. აღნიშნულის ფონზე უაღრესად აქტუალურია სპარსეთის ყურეში რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების გამოკვეთა და მეცნიერული გაანალიზება.

2012 წლიდან აღინიშნებოდა რუსეთის დიპლომატიური აქტიურობის უპრეცედენტოდ მაღალი დონე ახლო აღმოსავლეთში. მოსკოვი ცდილობდა უფრო მეტად ჩაღრმავებოდა რეგიონულ პრობლემებს და მოეწესრიგებინა კონტაქტები ახლო აღმოსავლეთში არსებულ ძალათა მთელ სპექტრთან, გარდა სეპარატისტული ან მეამბოხეთა დაჯგუფებებისა, რომლებსაც ის უკანონოდ მიიჩნევს. თუ ადრე საერთაშორისო პოლიტიკური მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ „რუსეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება ორ შემადგენელად დაიყოს: ირანი და რეგიონის დანარჩენი ნაწილი, შემდგომში მისმა ურთიერთობებმა რეგიონთან უფრო რთული ხასიათი მიიღო (Oliker, 2009, p. 113).

მთავარ ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავდა რუსეთის ურთიერთობებს ახლო აღმოსავლეთის

ქვეყნებთან, იქცა მისი ურთიერთობა აშშ-სთან, რაც ყველაზე თვალნათლივ რუსულ-ირანული დიალოგის განვითარების მაგალითზე ჩანს. ასე მაგალითად, რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გაუმჯობესებამ, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტებს მოჰყვა, გაართულა რუსეთისა და ირანის ურთიერთობები. მოსკოვისა და თეირანის კონტაქტები კვლავ გააქტიურდა 2003წ. აშშ-ს ერაყში შეჭრის შემდეგ, რომელსაც როგორც რუსეთი, ისე ირანი ეწინააღმდეგებოდა. და ბოლოს, 2009 წ. ამერიკულ-რუსულმა „გადატვირთვამ“ კვლავ უკუ მიმართულებით შეარყია რუსულ-ირანული ურთიერთობები, აიძულა რა რუსეთი უფრო ხისტი პოზიცია დაეკავებინა ირანისა და მისი ბირთვული პროგრამის მიმართ.

აშშ-სთან დიალოგზე საერთო აქცენტის ფონზე, რუსეთი ახლო აღმოსავლეთში თავის პოზიციას განიხილავდა როგორც ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ის ვაშინგტონთან თავისი ურთიერთობების „დარეგულირებას“ შეძლებდა, აუცილებლობისას მათი ინტენსიციფირების ან გაცივების ხარჯზე. ამას, კერძოდ, მოწმობს ის პოზიცია, რომელიც მოსკოვმა 2011 წლის მარტში ლიბიის კრიზისთან მიმართებაში დაიკავა, როდესაც ის, ცდილობდა რა გაეუმჯობესებინა თავისი ურთიერთობები ვაშინგტონთან, არ დაადო ვეტო გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას №1973, რომელიც ლიბიაში სამხედრო ინტერვენციის მონაწილეებმა, ნატოს მეთაურობით, გამოიყენეს კადაფის ჯარების დაბომბვისა და სარაკეტო დარტყმების ლიგიტიმაციისათვის. თუმცა, რუსი დიპლომატები უარყოფენ რაიმე პასუხისმგებლობას ლიბიის რეჟიმის დამხობის საკითხში, ამტკიცებენ რა, რომ აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა უკანონოდ ბოროტად გამოიყენეს რეზოლუცია 1973, რათა დაემხოთ კადაფი, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ მოსკოვს არ ესმოდა ამ რეზოლუციის მიღების პოტენციური შედეგი.

2003წ. რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი აპირებს ისლამურ სამყაროსთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას, ხოლო მოგვიანებით აღნიშნა, რომ არაბული ქვეყნები რუსული დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი ვექტორია. 2003-2008 წწ-ში ეს განცხადებები მისმა ოფიციალურმა ვიზიტებმა დაადასტურა ეგვიპტეში, ალჟირში, იორდანიაში, ირანში და სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოს ზოგიერთ ქვეყანაში (კერძოდ, 2007წ. ვ. პუტინი ეწვია საუდის არაბეთს, ყატარსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, რაც გამოხატავდა რუსეთის მისწრაფებას იმ პერიოდში არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის პარტნიორებთან აღედგინა ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთში, არამედ გაეფართოვებინა მოსკოვის კავშირები რეგიონთან აქტიური დიალოგის საშუალებით. დ. მედვედევის პრეზიდენტობის პერიოდში (2008-2012წწ.) ახლო აღმოსავლეთმა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მეორე პლანზე გადაიწია, მაგრამ შემდგომში მოსკოვის აქტიურობა ახლო აღმოსავლეთს მიმართულებაზე ისევ გაიზარდა.

2012 წლიდან რუსეთი უკვე საბოლოოდ შეეშვა ახლო აღმოსავლეთის როგორც მეორეხარისხოვან ან დასავლეთთან პოლიტიკური თამაშების ასპარეზის აღქმას და დაადგა რეგიონში თავისი ინტერესების გაძლიერებისა და დაცვის გზას. ამასთან, რუსულმა დიპლომატიამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა, რომელიც შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს: 2012-დან 2013 წლის ბოლომდე; 2013 წლის ბოლოდან 2015 წლამდე და 2016 წლიდან დღემდე.

2012-2013 წწ.-ში რუსეთის ხელისუფალნი მიესალმებოდნენ  დიალოგს ყველა რეგიონულ მოთამაშესთან და ცდილობდნენ ჩაებათ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები საკითხთა ფართო წრესთან დაკავშირებულ დისკუსიებში (სტრატეგია, რომლის გატარებას კრემლი დღესაც აგრძელებს). კერძოდ, მოსკოვმა გააგრძელა მუშაობა სპარსეთის ყურეს არაბულ ქვეყნებთან 2011 წ. ნოემბერში რუსეთის მიერ ინიცირებული რუსეთი – სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოს სტრატეგიული დიალოგის ფარგლებში. 2013 წ. თებერვალში რუსეთის ფედერაციის მთავრობამ ასევე აამოქმედა თანამშრომლობის რუსულ-არაბული ფორუმი, რომელზეც რუსეთის ოფიციალურ პირებსა და არაბული ქვეყნების მაღალ თანამდებობათა წარმომადგენლებს შეეძლოთ საჭირბოროტო პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების განხილვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონულ ორგანიზაციებთან კონტაქტების განვითარებას, ისეთებთან, როგორიცაა ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია და არაბულ სახელმწიფოთა ლიგა.

რუსეთს ასეთი აქტივობისთვის რამდენიმე მოტივი ჰქონდა. ჯერ ერთი, ახლო აღმოსავლეთის წამყვან ქვეყნებთან ინტენსიური კონტაქტები მისი სტრატეგიის ნაწილი იყო, რომელიც დასავლეთთან ურთიერთობებში მზარდი დაძაბულობის ფონზე საერთაშორისო იზოლაციისგან თავის დაღწევისაკენ იყო მიმართული.

მეორე, მოსკოვს აღელვებდა ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ძალის მცდელობები წარ-

მოეჩინათ რუსეთი ისლამის მტრად და წაექეზებინათ არაბული და სხვა მუსლიმური ქვეყნების კონსერვატიული პოლიტიკური წრეები კავკასიისა და ცენტრალური აზიის რადიკალური ისლამისტების მხარდასაჭერად. რუსეთის ხელმძღვანელობა ცდილობდა ეჩვენებინა ამ ქვეყნებისთვის, რომ რუსეთი არ არის მუსლიმური სამყაროს მტერი. გარდა ამისა, მოსკოვი ოფიციალურად განუწყვეტლივ ადასტურებდა თავის შეხედულებას ახლოაღმოსავლური დარეგულირების პრინციპებისადმი „ორი სახელმწიფოს“ ფორმულის თანახმად და ხაზს უსვამდა თავის დაინტერესებულობას ყველა რეგიონული კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში.

მესამეც, თავისი ახლოაღმოსავლური პოლიტიკით რუსეთი ცდილობდა ეჩვენებინა აშშ-სა და ევროკავშირისათვის, რომ ის გადამწყვეტ როლს თამაშობს არსებული საერთაშორისო პრობლემების დარეგულირებაში და ახლო აღმოსავლეთში არსებულმა კონფლიქტებმა მას ამის დამტკიცების საშუალება მისცა. კერძოდ, 2012 წ-დან რუსეთი აქტიურად მუშაობდა ირანსა და დასავლეთს შორის ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით ეფექტიანი დიალოგის უზრუნველყოფაზე, რამაც გარკვეულწილად დაარწმუნა დასავლეთი იმაში, რომ რუსეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონში.

2015 წ. ივლისში აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დაურეკა კიდევაც ვ. პუტინს, რათა მადლობა გადაეხადა ირანთან „ბირთვული გარიგების“ დადებაში რუსეთის მიერ შეტანილი წვლილისათვის (Obama Thanks Putin for Russia's Role…, 2015). ნიშანდობლივია ისიც, რომ ჯერ კიდევ 2014წ. მარტში, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისა და ყირიმის ანექსიის გამო რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში მზარდი კრიზისის ფონზე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მეთაურის მოადგილის ს. რიაბკოვის განცხადებამ, რომ მოსკოვმა – დასავლეთის ქვეყნების ანტირუსულ სანქციებზე პასუხის სახით – შეიძლება დატოვოს ირანთან მოლაპარაკებებში მონაწილე საერთაშორისო შუამავალთა „ექვსეული“,დიდი შეშფოთება გამოიწვია აშშ-ში (Замглавы МИДа Сергей Рябков…, 2014).

2012-2015 წლების პერიოდიდან აღინიშნება ახლოაღმოსავლურ მიმართულებაზე რუსეთის აქტივობის მომდევნო ზრდა, რომლის კულმინაცია 2015წ. სექტემბერში სირიის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარ მოქმედებებში მისი შეიარაღებული ძალების ჩაბმა გახდა. თუმცა, ამ პერიოდში, რუსეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ჯერ კიდევ მნიშნელოვანწილად რეაგირების ხასიათს ატარებდა: თავისი ნაბიჯებით რეგიონში ის უფრო წარმოშობილ გამოწვევებს პასუხობდა, ვიდრე ცდილობდა მოვლენათა განვითარება თავისთვის საჭირო კალაპოტში მიემართა.

მზარდი კონფრონტაცია რუსეთსა, რომელიც ცდილობდა თავისი, როგორც გავლენიანი მსოფლიო ზესახელმწიფოს პოზიციების აღდგენას, და დასავლეთს შორის გახდა ის ფონი, რომელზეც მოსკოვი მხარს უჭერდა სირიის მთავრობას შეიარაღებულ ოპოზიციასთან მის კონფლიქტში, რომელიც 2011 წ. დაიწყო.

2013წ. ბოლოს რუსეთმა მოახერხა სირიაში დასავლეთის სამხედრო ჩარევის შეჩერება, რომელიც თითქმის გარდაუვალი ჩანდა. მსოფლიო მასმედიის ინფორმაციით, სამთავრობო ჯარებმა 2013წ. აგვისტოში დამასკოს ერთ-ერთ გარეუბანში ქიმიური იარაღი გამოიყენა. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის არცერთმა მხარემ არ აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა ამ აქციისათვის, დასავლეთის სახელმწიფოებმა და მათმა ახლოაღმოსავლურმა პარტნიორებმა მასში ასადის რეჟიმი დაადანაშულეს და შეეცადნენ გამოეყენებინათ ეს ბრალდება სირიაში სამხედრო ჩარევის საბაბის სახით. მაგრამ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის გულგრილმა დამოკიდებულებამ ასეთი პერსპექტივის მიმართ და ბრიტანეთის მთავრობის უუნარობამ მიეღო პარლამენტის მოწონება ინტერვენციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით რუსეთს დროის მოგების საშუალება მისცა, რათა შემოეთავაზებინა ალტერნატიული გადაწყვეტილება – ქიმიური იარაღის სირიული არსენალის განადგურება საერთაშორისო კონტროლის ქვეშ (Prince Turki al-Faisal, 2016).

ეს სირიის კონფლიქტის დაწყებიდან პირველი შემთხვევა იყო, როდესაც რუსეთმა აჩვენა, რომ მას აქვს გავლენის ბერკეტები, რათა მოვლენების განვითარება მისთვის სასურველი მიმართულებით წარმართოს. რუსეთის ხისტმა პოზიციამ განამტკიცა მისი ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთში. რეგიონის ის ქვეყნები, რომლებიც დადებითად ან ნეიტრალურად იყვნენ განწყობილი რუსეთის მიმართ, დარწმუნდნენ, რომ მოსკოვს შეუძლია თავისი პარტნიორების დაცვა. რუსეთმა კვლავ დააინტერესა ისინი აშშ-ს პოლიტიკური საპირწონის სახით, რომელიც ობამას დროს როგორც არასაიმედო პარტნიორი განიხილებოდა, პრეზიდენტის გადაწყვეტილების გამო შეეზღუდა ამერიკული მონაწილეობა ახლო

აღმოსავლეთის საქმეებში ზოგადად და კერძოდ სირიულ კრიზისში (Goldberg, 2016). თავის მხრივ, რუსეთის ოპონენტები, ისეთები როგორიცაა ყატარი და საუდის არაბეთი, იძულებულნი იყვნენ აღეარებინათ მისი როგორც მნიშვნელოვანი მოთამაშის როლი ახლო აღმოსავლეთში.

2015წ. სექტემბერში, როდესაც სირიის კონფლიქტის ესკალაციამ რეალური საფრთხე შეუქმნა სირიის არაბული რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ. ასადის ხელისუფლებას, ხოლო ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი უპრეცედენტო სისასტიკით ცნობილი ტერორისტული დაჯგუფება „ერაყისა და ლევანტას ისლამური სახელმწიფოს“ (ელის) კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა, რუსეთმა თავისი საჰაერო-კოსმოსური ძალების დაჯგუფება გააგზავნა სირიაში სამთავრობო ჯარების მხარეს საომარ მოქმედებებში მონაწილეობისთვის. ამ არცთუ იოლი გადაწყვეტილების მიღებისას, მოსკოვი ცდილობდა თავიდან აეცილებინა პრეზიდენტ ასადის მეგობრული და ლეგიტიმური რეჟიმის დამხობა, ჩაეშალა დასავლეთის ქვეყნების ძალისხმევა მის გადაყენებასთან დაკავშირებით, ერაყისა და ლიბიის ლიდერების შემდეგ. რუსეთისთვის მნიშვნელოვანი მიზანი იყო აგრეთვე ისლამური სახელმწიფოს მეთაურობით ტერორისტული ისლამური დაჯგუფებებისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენება, რომელთა რიგებში 2013 წ-დან გაძლიერდა „ჯიხადისტების“ შემოდინება რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა შუა აზიის მოქალაქეთა მხრიდან.

რუსეთის პირდაპირი სამხედრო მონაწილეობა სირიის კონფლიქტში სირიის არაბული რესპუბლიკის მთავრობის მხარეს ამ ქვეყანაში პოლიტიკურ დარეგულირებაში აქტიური ძალისხმევის მნიშვნელოვანი გაგრძელებაა. რუსეთი თანამიმდევრულად ამოდის იქიდან, რომ სირიის კონფლიქტი არ შეიძლება სხვაგვარად დარეგულირდეს, გარდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით გამართული მოლაპარაკებისა. ამავე დროს, რუსეთის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის კრიტიკოსთა აზრით, თავისი სამხედრო აქტივობით ის დროდადრო რეგიონსა და დასავლეთზე ასადის მოწინააღმდეგე ოპოზიციის მფარველებს აყენებს აუცილებლობის ქვეშ ან მოსკოვის პირობებით მშვიდობა აირჩიონ ან მისი მომდევნო სამხედრო ზეწოლა.

რუსეთის ახლოაღმოსავლური სტრატეგია რამდენიმე ელემენტისგან შედგება. ჯერ ერთი, რუსეთი, თანმიმდევრულად ატარებს რა რეგიონში პრაგმატულ, ოფიციალურად პოლიტიკას, ღიად აცხადებს თავის ზრახვებს წარმართოს დიალოგი რეგიონში არსებულ ყველა კანონიერ ძალასთან. მიუხედავად ახლოაღმოსავლური რეალიების სირთულისა, ყველა ძირითად მოთამაშეთა შორის ბალანსირების სტრატეგია საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა (Baklanov, 2019). რუსეთმა მოახერხა თავისი პოლიტიკური პარტნიორების დარწმუნება იმაში, რომ ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ საკითხთა განხილვაზე, რომელთა გადაწყვეტაში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს მასთან თანამშრომლობა შეუძლიათ, და არა ეცადათ მისი რეგიონულ უთანხმოებებში ჩათრევა. დასავლეთის პოლიტიკის მიმართ ქვეყნების საერთო იმედგაცრუება ასევე უბიძგებს მათ მიიღონ და აღიქვან რუსეთი ისეთად, როგორიც ის არის, და განიხილონ მასთან ურთიერთობები როგორც დასავლეთთან ურთიერთობების ალტერნატივა (Беленькая, 5.07.2019). მიმზიდველია ასევე რუსეთის უნარი ყველა დიდ მოთამაშესთან დაიჭიროს საქმე: ერთდროულად ირანთან, თურქეთთან, სირიასთან, საუდის არაბეთთან, ეგვიპტესა და ისრაელთან პოზიტიური ურთიერთობების შენარჩუნების უნარი რუსეთს ეფექტურ კანდიდატად აქცევს რეგიონში შუამავლის როლის შესასრულებლად (Мартынова, 2013, с. 15).

რუსეთის მიზანია ერთპოლარული მსოფლიოს შეცვლა მრავალპოლარულით. ეს მიზანი რუსეთის პრეზიდენტმა 2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენის კონფერენციაზე გაახმოვანა, როცა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ერთპოლარული მსოფლიოს არხებობა. ამას შემდეგ საქმეც მოაყოლა და ჯერ საქართველოში მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი, რასაც ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოჰყვა, შემდეგ კი 2014 წ. უკრაინაში რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, ხოლო აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტი გააჩაღა დონეცკისა და ლუგანსკის რაიონებში. საბოლოო აკორდი კი 2022 წლის 24 თებერვალი იყო, როცა რუსეთის ფედერაციამ უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრა მოახდინა. ომი დღემდე მიმდინარეობს.

საქართველო და უკრაინა დიდი ჯაჭვის ორი რგოლია, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებში კი სპარსეთის ყურე წარმოადგენს, სადაც ასევე უპირისპირდება დასავლეთს.

რუსეთი ცდილობს დაიბრუნოს აშშ-ს საპირწონე როლი, რომელსაც სსრკ ახლო აღმოსავლეთში თამაშობდა ცივი ომის პერიოდში, და რომლის

შესახებ ჯერ კიდევ ახსოვთ რეგიონის პოლიტიკურ წრეებში და ქვეყნის მოსახლეობას. რუსეთი ამ კოზირს ძალიან ფრთხილად ათამაშებს, ესმის რა, რომ საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, მას არც ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად არ შეუძლია აშშ-სთან კონკურენცია (Российская концепция безопасности…). ამიტომ რუსეთი აშშ-ს წინააღმდეგ არა პირდაპირ გამოდის, არამედ უფრო ვაშინგტონის ქმედებებით რეგიონის ადრე არსებულ იმედგაცრუებას იყენებს, მიმართავს რა ისეთ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებიც კონტრასტს ქმნის აშშ-ს (და ევროპის) ქმედებასთან. კერძოდ, ის მხარდაჭერა, რომელსაც მოსკოვი უწევდა და კვლავაც უწევს სირიის არაბული რესპუბლიკის პრეზიდენტს ბაშარ ასადს, აიძულებს რეგიონულ სახელმწიფოებს რუსეთი უფრო საიმედო პარტნიორად ჩათვალოს, ვიდრე აშშ, რომელმაც არ მოისურვა პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაკის ხელისუფლების დაცვა ეგვიპტეში (Ulrichsen, 2020. p. 8).

ამრიგად რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორები სპარსეთის ყურეში ნაკარნახევია რეგიონში შექმნილი ახალი საერთაშორისო გეოპოლიტიკური ვითარებით. ამჟამად იმდენად რთული ვითარებაა სპარსეთის ყურეში, რომ რაიმე პროგნოზის გაკეთება ძალზე ჭირს. ალბათ ამ კითხვებს პასუხს ცხელ წერტილებში უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში გაჩაღებული ომების დასასრული გასცემს პასუხს.

**ლიტერატურა:**


1. Russian Foreign Policy: Sources and Implications, Olga Oliker… at al. Santa Monica: RAND Corporation, 2009. P. 113.
2. Obama Thanks Putin for Russia's Role in Iran Nuclear Deal. NBCNews. July 16, 2015.
3. Замглавы МИДа Сергей Рябков: «Россия против "игры на повышение ставок" на переговорах по Ирану» (Интервью агентству «Интерфакс» 20.03.2014. www.interfax.ru/interview/366039
4. Goldberg J. The Obama Doctrine, The Atlantic, April 2016
5. Prince Turki al-Faisal. Mr. Obama, we are not 'free riders', Arab News. March 14, 2016.
6. Ulrichsen K. C. Rebalancing Regional Security in the Persian Gulf. Houston: Rice University's Baker Institute for Public Policy. February 2020. P. 8.
7. Мартынова Л.,. Международные отношения и региональная политическая безопасность в
8. странах Совета Сотрудничества Арабских Государств Персидского Залива (ССАГПЗ) Научные труды Северо-Западного института управления. 2013. Т. 4. № 5 (12). С. 15
9. Беленькая М. «Странам Ближнего Востока нужно осторожно подходить к подсказкам Запада». Посол Андрей Бакланов о российской Концепции безопасности в Персидском заливе, Коммерсантъ. 5.07.2019.
10. Andrei Baklanov, «Security in the Gulf Area: Russia's New Initiative,» Valdai Discussion Club, August 6, 2019.


**Main vectors of Russian foreign policy in the Persian Gulf**


***Kakha Petriashvili, PhD student***
***Georgian Technical University***


**Symmary**


The Persian Gulf has long been a place of conflict of interests of the world's major actors. Recently, the events in Israel and the Gaza Strip made humanity think again. The Middle East may become the epicenter of an even greater conflict. In the Middle East region, the Persian Gulf has a special place. Almost all major international actors have their special interests in the mentioned region. The Russian Federation is obviously one of the leaders among them. It is the successor state of the Soviet Union, and the Soviet Union has always had major geopolitical interests in the Persian Gulf. After the end of the "Cold War" and the collapse of the Soviet Union, Russia lost its influence in many regions of the world, but it is currently trying to restore what was lost. He is not only trying to restore,

but he himself wants to become the foundation stone of the new international geopolitical order. In our opinion, the war in Ukraine also serves this purpose. Against the background of the above, it is highly relevant to outline and scientifically analyze the main principles and directions of Russia's geopolitical interests in the Persian Gulf. The main vectors of Russia's foreign policy in the Persian Gulf are dictated by the new international geopolitical situation created in the region. Currently, the situation in the Persian Gulf is so difficult that it is very difficult to make any predictions. Perhaps these questions will be answered by the end of the wars raging in hot spots in Ukraine and the Middle East.
The main vectors of Russia's foreign policy in the Persian Gulf are dictated by the new international geopolitical situation created in the region. Currently, the situation in the Persian Gulf is so difficult that it is very difficult to make any predictions. Perhaps these questions will be answered by the end of the wars raging in hot spots in Ukraine and the Middle East.
Key words: Russia, Persian Gulf, geopolitics, Ukraine, "Cold War".

# რუსეთის დაპირისპირების საფუძველი დასავლურ სამყაროსთან

*გიორგი ხუბულაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

21-ე საუკუნის დასაწყისიდან ევროპაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადჰყო რუსეთის ფედერაციის სურვილი და მცდელობა, აღადგინოს საბჭოთა კავშირის დროინდელი პოლიტიკური გავლენის სფერო და დაიმკვიდროს რეგიონში დომინანტი სახელმწიფოს სტატუსი. ამ მიზნის განხორციელების პროცესში რუსეთის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას დასავლურ ღირებულებებთან ბრძოლა წარმოადგენს. დასავლური ღირებულებები რადიკალურად უპირისპირდება რუსეთის შეხედულებებს საზოგადოებრივი ფასეულობებისა და საერთაშორისო წესრიგის შესახებ. ასეთი შეუთავსებლობა უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია რუსეთის ისტორიით და „რუსული იდეის" კონცეფციით. ამ კონცეფციის მეშვეობით შესაძლებელია გაერთიანდეს ის თემები, იდეოლოგიური მიმდინარეობებები და პრობლემები, რომლებიც მე-19 და მე-20 საუკუნის რუსი ფილოსოფოსების მიერ ინტენსიურად განიხი-ლებოდა. აღნიშნულმა კონცეფციამ დიდი წვლილი შეიტანა რუსული კულტურის განვითარების გზების განსაზღვრაში. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს საზოგადოების ე. წ. „კომუნური" (საერთო საკუთრებისა და შრომის საფუძველზე გაერთიანებულ პირთა კოლექტივი) ცხოვრების წესი. (1)

რუსეთის ისტორიამ განაპირობა განსხვავებული შეხედულების შემუშავება ეროვნული იდენტობის მიმართ, რაც აუცილებლობას წარმოადგენდა იმპერიალისტური იდეებით შეპყრობილ მრავალეთნიკურ სახელმწიფოში. მის მიხედვით რუსია არა მხოლოდ ეროვნებით რუსი, არამედ ყველა ის, ვინც ლაპარაკობს რუსულ ენაზე, ასევე იზიარებს რუსულ კულტურას და ისტორიას. რაც შეეხება „რუსულ იდეას", შესაძლებელია ითქვას, რომ ის პრაქტიკულად არც აღიარებს სხვა იდენტობას რუსის გარდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილ სოციალისტურ ბანაკში შემავალი, ევროპის სახელმწიფოების უდიდესი ნაწილი ევროკავშირში და ნატო-ში გაწევრიანდა. დანარჩენ ქვეყნებთან (ბელორუსის გარდა), აღნიშნულ ორგანიზაციებს მჭიდრო თანამშრომლობა გააჩნიათ ეკონომიკური, სამხედრო და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების კუთხით, რაც სამომავლო პერსპექტივაში მათ დასავლურ ოჯახში გაერთიანებას ითვალისწინებს. ამგვარი გარემოება ყოვლად მიუღებელია რუსეთისთვის, რადგან ის პირდაპირ ეწინააღმდეგება მის ეროვნულ ინტერესებს და საფრთხეს უქმნის მმართველ რეჟიმს. აღნიშნული გულისხმობს, რომ რუსეთი დაკარგავს გავლენის სფეროებს, საერთაშორისო პატივისცემას და შეიქმნება საშიშროება, დასავლურმა დემოკრატიულმა შეხედულებებმა თავი იჩინონ რუსულ საზოგადოებაში, რაც „რუსული იდეის" წინააღმდეგ იქნება მიმართული. შესაბამისად, ეს გამოიწვევს „კომუნური" საზოგადოების ერთიანობის მოშლას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა ხალხების გამორკვევის მცდელობებს და სახელმწიფოს ტერიტორიულ რღვევას.

საკვანძო სიტყვები: „რუსული იდეა", „კომუნა", „დასავლური სამყარო", ინდივიდუალიზმი, „ევრაზიანიზმი", „ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა"

**შესავალი**

2005 წლის 25 აპრილს, რუსეთის ფედერაციის ფედერალურ ასამბლეასთან ყოველწლიური მიმართვის დროს, პრეზიდენტმა ვ. პუტინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა იყო მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა, რაც დიდ დრამად იქცა რუსი მოსახლეობისთვის.

აღნიშნული განცხადება აშკარად წარმოადგენდა გზავნილს, რომ რუსეთისთვის სასურველი და მისაღებია ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა საბჭოთა კავშირი, რითაც ფაქტიურად უგულველყოფილ იქნა დასავლეთის დემოკრატიული ღირებულებები.

კარნეგის მოსკოვის ცენტრის დირექტორი დ. ტრენინი, აღნიშნული ცენტრის პუბლიკაციაში - „დროა გადაიხედოს რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია" (It's time to rethink Russia's foreign policy strategy) აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომგანვითარებულმამოვლენებმათვალსაჩინო გახადა რუსეთის ნეგატიური დამოკიდებულება აშშ-ს ერთპიროვნული გლობალური ლიდერობის მიმართ, რაც ავტომატურად გამორიცხავდა მისი დასავლეთის კოლექტიურ სტრუქტურებში

გაწევრიანების შესაძლებლობას. თავის მხრივ, აშშ ვერ შეეგუებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ევროკავშირი კი რუსეთის შიდასახელმწიფოებრივ წესრიგს. ამგვარმა გარემოებამ არათუ უბრალოდ დახურა საკითხი რუსეთის ევროპასთან ინტეგრაციასთან დაკავშირებით, არამედ წარმოშვა საფუძველი, რათა განახლებულიყო დაპირისპირება რუსეთსა და დასავლურ სამყაროს შორის. (2)

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი ანგელა სტენტი, საკუთარ წიგნში ,,პუტინის მსოფლიო'' (PUTIN'S WORLD) განმარტავს, რომ დასვლეთმა დაუშვა შეცდომა, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიიჩნია, რომ რუსეთი მიიღებდა ცივი ომის შემდგომ შეთავაზებულ საერთაშორისო წესრიგს. ანუ დასავლეთს სწამდა, რომ კომუნისტური წყობილების დამხობის შემდეგ რუსეთი გაიზიარებდა დემოკრატიულ პრინციპებს და შეუერთდებოდა დასავლურ ოჯახს. თუმცა მალევე აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში საბჭოთა კავშირის პოლიტიკას განაპირობებდა არა მარქსის და ლენინის იდეოლოგია, არამედ ისტორია და კონცეფცია ,,რუსული იდეის'' შესახებ, რომელიც დაფუძნებულია რუსეთის ცივილიზაციის „უნიკალურობასა" და „უპირატესობაზე" სხვა ერებთან მიმართებაში. აღნიშნული განაპირობებს რუსეთის განსხვავებულ ხედვას მსოფლიო წესრიგის შესახებ. ყოველივე ეს გამოიხატება მის ეროვნულ ინტერესებში, იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებაში, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიული სამყაროსთვის. (3)

**ძირითადი ნაწილი**

**რუსეთი, როგორც „უნიკალური ცივილიზაცია"**

მე-16 საუკუნიდან რუსეთი გახდა კონსოლიდირებული სახელმწიფო, რომელმაც დაიწყო მოსაზღვრე ტერიტორიების დაპყრობა. შემდგომი სამასი წლის განმავლობაში რუსეთის ტერიტორია საგრძნობლად გაიზარდა. ამ პერიოდში რუსებს უწევდათ ომი სხვადასხვა ხალხებთან, რამაც გამოიწვია რუსეთის მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნება და შემდგომში უამრავი შერეული ქორწინება. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ რუსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობა გააჩნიათ. სწორედ ამიტომ, რუსული იდენტობის განსაზღვრისას რუსეთის ელიტამ ფოკუსირება მოახდინა იმდენად არა ეთნიკურობაზე, არამედ რუსული ცივილიზაციის უნიკალურობაზე, რასაც წარმოადგენს რუსეთის დამოუკიდებელი, თვითკმარი და უაღრესად ღირსეული კულტურული და ისტორიული ტრადიციები, რომლებიც არსებობენ დასავლური სამყაროსგან განცალკევებით და განაპირობებენ სახელმწიფოს კეთილდღეობას (3).

1833 წელს რუსეთის სახალხო განათლების მინისტრმა გრაფმა ს. უვაროვმა წარმოადგინა რუსეთის სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი სამი ძირითადი ინსტიტუციონალური სვეტი: მართლმადიდებელი ეკლესია, ავტოკრატია, ანუ მონარქია და გლეხური საზოგადოება ანუ კომუნა. რუსებს სწამდათ საზოგადოებრივი და კოლექტიური ცხოვრების ტიპის უპირატესობისა კონკურენტულ ინდივიდუალიზმზე, რომელიც მიღებული იყო უმეტეს განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებში. მონარქს, ეკლესიას და გლეხურ საზოგადოებას შორის არსებული ორგანული კავშირი აღარ ტოვებდა ადგილს საშუალო კლასისთვის, ხოლო ამგვარ სახელმწიფოში საზოგადოების (კომუნის) მიერ დასახული მიზნები, მოსაზრებები და ინტერესები გაცილებით პრიორიტეტულია ინდივიდების ინტერესებსა, თვითდამკვიდრებასა და თვითგამოხატვაზე. ფაქტიურად გლეხურმა კომუნამ წარმოქმნა წინაპირობა არა მარტო „რუსული იდეის" კონცეფციის, არამედ პოლიტიკური სისტემის საფუძვლების ჩამოყალიბებისთვის (3).

ტერმინი „რუსული იდეა" შემოღებულ იქნა ფიოდორ დოსტოევსკის მიერ 1860 წელს. მისი განმარტებით ის წარმოადგენს მსოფლიო ყველა ხალხების იდეას, რომელსაც გამიზნული აქვს კაცობრიობის ინტეგრაცია. ამის შედეგად შეწყდება ნებისმიერი სახის დაპირისპირება და ყველა ხალხი რუსი ერის ნიშნის ქვეშ გააერთიანებს. (4)

1888 წელს ვ. სოლოვიოვმა დახვეწა აღნიშნული კონცეფცია და სამი ძირითადი პრინციპი გამოყო: ა) ეროვნული იდეა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ უზენაეს ჭეშმარიტებას როგორიც არის რელიგია ბ) რუსული იდეა არ არის მხოლოდ ერთი ხალხისთვის განსაზღვრული კონცეფცია. ყოველი ერი არის კაცობრიობის და მსოფლიო საზოგადოების წევრი, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან, შესაბამისად რუსული იდეა ზოგადსაკაცობრიო იდეაა. გ) საყოველთაო ერთობის პრინციპი, რომლის მიიხედვითაც რუსეთს დაკისრებული აქვს უნიკალური ისტორიული მისია, როგორც საკუთარი, ასევე სხვა ხალხების მიმართ, მათი გაერთიანების მხრივ. (5)

1946 წელს ბერდიაევმა ზემოთ აღნიშნულ პრინციპებთან ერთად ასევე გამოყო „რუსული იდეის" ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი

- „კომუნური“ ცხოვრების წესი, რომელიც ეწინააღმდეგება ინდივიდუალიზმს. მისი მტკიცებით ინდივიდუალურად გადარჩენა შეუძლებელია და საზოგადოება ერთობლივ ანუ „კომუნურ“ მიდგომას საჭიროებს. (1)

საბჭოთა კავშირის პერიოდში მოსახლეობას აერთიანებდა საბჭოური იდეოლოგიის და ნაციონალიზმის სინთეზი. კომუნისტური ეპოქის დასაწყისში საბჭოთა მოქალაქეები დიდი რწმენით იყვნენ აღჭურვილნი მარქსიზმ-ლენინიზმის მიმართ. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მოსახლეობა უკვე ცინიკურად უყურებდა მას, როდესაც დაინახა განსხვავება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ კომუნისტურ სლოგანებსა და არსებულ რეალობას შორის. 74 წლიანი კომუნისტური მმართველობის დასრულების და საბჭოთა რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისშემდეგ, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო თუ რა იქნებოდა რუსეთის ახალი ეროვნული იდენტობა და რა იდეის გარშემო იქნებოდა გაერთიანებული რუსი ერი. 1996-97 წლებში რუსეთის მთავრობას ჰქონდა წარუმატებელი მცდელობა, რათა პრეზიდენტ ბ. იელცინის ერთ-ერთი პოლიტიკური მრჩევლის, გ. სატაროვის ხელმძღვანელობით სპეციალურად შექმნილი კომისიის მეშვეობით შემუშავებულიყო ე.წ. ,,ახალი რუსული იდეა''. მიუხედავად ამისა, ამან საფუძველი ჩაუყარა 2007 წელს, რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით, საერთაშორისო ორგანიზაცია ,,რუსკი მირის'' შექმნას, რომლის ხელმძღანელადაც დაინიშნა ვ. ნიკონოვი. აღნიშნული პიროვნება გამოირჩეოდა აშშ და ზოგადად დასავლური სამყაროს მკაცრი კრიტიკით. ამ ორგანიზაციის დანიშნულებას ძირითადად წარმოადგენს რუსული კულტურისა და ენის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ ნიკონოვის განმარტებით რუსად განისაზღვრება ყველა ის რუსულენოვანი ადამიანი რომელიც ასოცირებს საკუთარ თავს რუსულ კულტურასთან.

თავისი მმართველობის პერიოდში პრეზიდენტმა ვ. პუტინმა ჩამოაყალიბა ახალი „რუსული იდეა“, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ძველი რუსული იდეის ანარეკლს, ანუ რუსეთი არის უნიკალური ცივილიზაცია, რომელიც გაცილებით მაღლა დგას ვიდრე დასავლური სამყაროს ცივილიზაცია და გააჩნია, როგორც ევროპული, აგრეთვე ევრაზიული წარმომავლობა. ამ ახალი იდეის თანახმად, რუსეთს აქვს უფლება მოახდინოს საკუთარი ინტერესების გატარება, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის, ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე. რუსეთი იღებს ვალდებულებას დაიცვას საკუთარი თანამოქალაქეები რუსეთის საზღვრებს გარეთ. დასავლური სამყაროს კონცეფცია ინდივიდუალიზმის, კონკურენტობის და დაუბრკოლებელი თვითგამოხატვის შესახებ, უცხო და მიუღებელია რუსეთის კომუნური ფასეულობებისა და ინტერესებისთვის (3).

მაშასადამე, შესაძლებელია ითქვას, რომ რუსეთის ისტორიაზე დაფუძნებული იდეოლოგიური კონცეფციები, რომლებიც განსაზღვრავენ რუსეთის ადგილს და როლს მსოფლიოში, წარმოადგენენ მრავალეთნიკური სახელმწიფოს ერთიანი ნაციონალური ნიშნის ქვეშ გაერთიანების საფუძველს. მათი მიზანია 3 დიადი რუსული წარსულის“ საფუძველზე ცივილიზაციის უნიკალურობის წარმოჩენა და საკუთარი უპირატესობის დამტკიცება მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიმართ, რაც ძირითადად რუსეთის იმპერიალისტურ მიდგომებში და ხისტი საგარეო პოლიტიკის წარმართვაში გამოიხატება. აღნიშნულის მისაღწევად კი აუცილებელია, სახელმწიფოში კომუნის ინტერესები იყოს უზენაესი და მისი მიზნობრიობა არ იწვევდეს სკეპტიციზმს საზოგადოებასა და ცალკეულ ინდივიდებში.

**რუსეთის ეროვნული ინტერესები**

ცნობილია, რომ ზოგადად ეროვნული ინტერესები წარმოადგენენ ძირითად კონცეფციას, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, რასაც საფუძვლად უდევს ქვეყნის გადარჩენისა და უსაფრთხოების პრინციპები.

„რუსული იდეა“ წარმოადგენს სწორედ იმ ამოსავალ წერტილს, საიდანაც განისაზღვრება რუსეთის ზემოხსენებული პრინციპები და კეთილდღეობის განმსაზღვრელი პრიორიტეტები. რუსეთის სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები გამომდინარეობს რუსი ერის იმპერიალისტური შეხედულებებიდან და გამოიხატება რუსეთის სურვილში, მოახდინოს საკუთარი ზეგავლენის გავრცელება, განსაკუთრებით კი სხვისი ტერიტორიების მისაკუთრებით ან სხვა სახელმწიფოებზე პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის მოპოვების გზით. აღნიშნული რუსეთის მიერ აღქმულია, როგორც საკუთარი უსაფრთხოების გარანტია.

შესაძლებელია გამოვყოთ რუსეთის სამი ძირითადი ეროვნული ინტერესი:

- არსებული პოლიტიკური რეჟიმის შენარჩუნება;
- საერთაშორისო პატივისცემის მოპოვება;

- წამყვან საერთაშორისო აქტორებთან თანაბარი უფლებებით სარგებლობა. (6)

**არსებული პოლიტიკური რეჟიმის შენარჩუნებასთან** დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას მოსაზრება, რომ ეს არის არა ეროვნული, არამედ სამთავრობო ელიტის ინტერესი. თუმცა, რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს საკუთარი ხელისუფლების მიერ წარმოებულ იმპერიალისტური პოლიტიკის მიზნებს და ამართლებს აგრესიულ მოქმედებებს სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში. აღნიშნულზე მოწმობს ლევადას ცენტრის მიერ უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული კვლევები რუსეთის მოსახლეობის განწყობებთან დაკავშირებით. 2018 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რუსეთის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა (34%) საქართველოს მთავრობა დაადანაშაულა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებაში, ხოლო საკუთარი ხელისუფლების მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესია უმრავლესობამ (59%) მიიჩნია, როგორც აუცილებელი გამოსავალი, რადგანაც რუსეთის მთავრობამ გააკეთა ყველაფერი, რათა არ მომხდარიყო დაპირისპირების ესკალაცია და სისხლისღვრა. (7) 2019 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფითად იყო განწყობილი ცხოვრების სტანდარტების (64%) და ეკონომიკური მდგომარეობის (58%) მიმართ, რაც ძირითადად გამოწვეული იყო რუსეთის აგრესიით უკრაინაში, თუმცა, მოსახლეობის უმრავლესობა (70%) მაინც მხარს უჭერდა რუსეთის საგარეო პოლიტიკას და მის ქმედებებს ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინასთან მიმართებაში. (8) 2022 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ 2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (73%) მხარს უჭერს რუსეთის სამხედრო კამპანიას უკრაინაში. (9)

მაშასადამე, შესაძლებელია ითქვას, რომ რუსეთში არსებული პოლიტიკური რეჟიმი გამოხატავს არა მხოლოდ საკუთარი ელიტის, არამედ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს საგარეო პოლიტიკის განხორციელების სფეროში.

აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „კომუნის“ ინტერესები უზენაესია რუსულ აზროვნებაში და მიუხედავად იმისა, აწუხებს თუ არა ამა თუ იმ რუს მოქალაქეს სოციალური, ფინანსური, ან მის პირად უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული პრობლემები, ის ყოველთვის გაამართლებს საკუთარ ხელისუფლებას, როდესაც ის დახარჯავს უამრავ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს „დიადი რუსეთის“ ინტერესების გასატარებლად.

**საერთაშორისო პატივისცემის მოპოვება** განპირობებულია „დიადი რუსეთი“-ს ფაქტორით. რუსეთის ამგავრი აღქმა საკუთარ თავში მოიცავს მის დომინირებას, როგორც სამეზობლოში, ასევე რეგიონში.

ნატო-სა და ევროკავშირის მიერ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან თანამშრომლობის გაღვივება, მათი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მიზნით, რუსეთის მიერ აღქმულია, როგორც უპატივცემულობა და რუსეთის გავლენის სფეროებში უხეში ჩარევა. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას რუსეთი განსაზღვრავს იმით, თუ რამდენად მისაღები იქნება დასავლეთისთვის რუსეთის მიერ პოსტ საბჭოთა სივრცეში საკუთარი ინტერესების გატარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთი აღიქვამს დასავლეთისგან პატივისცემას მაშინ, როდესაც ის საკუთარი ნებით სრულად აღიარებს აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალს რუსეთის გავლენის სფეროდ და არ ჩაერევა ამ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში. თუმცა ასეთი აღიარებით დასავლეთი ხედავს რეალურ საფრთხეს, რომ რუსეთს, პოსტსაბჭოთა სივრცეზე ზეგავლენის მოპოვების შემდეგ გაუჩნდება სურვილი, მეტად გაზარდოს საკუთარი გავლენის სფეროები.

რუსეთის ფედერაციის 2015-2020 წლების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ითვალისწინებდა რუსეთის ნატო-სთან თანამშრომლობას ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების სფეროში, მხოლოდ იმ პირობით, თუ სამხედრო-პოლიტიკური დაგეგმარების დროს გათვალისწინებული იქნებოდა რუსეთის კანონიერი ინტერესები. ამავდროულად მიუღებლად რჩებოდა ნატო-ს გაფართოება და მისი სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება რუსეთის საზღვრების სიახლოვეს. (10)

აღნიშნული ხაზგასმით მიუთითებს რუსეთის სურვილზე, მოიპოვოს უპირობო ლიდერის როლი რეგიონში. რუსეთი აღიქვავს საფრთხედ, როდესაც ხედავს მისი მოსაზღვრე სახელმწიფოების ევროკავშირსა თუ ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივას, რაც გამოწვეულია, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ფაქტორებით. უშუალოდ ევროკავშირის და ნატო-ს რუსეთის საზღვრებთან მიახლოება მიუღებელია რუსეთისთვის იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ შესაძლებელია ეს ნეგატიურად აისახოს

თავად რუსულ საზოგადოებაზე. ანუ რუსეთი თვლის, რომ ამგვარი გაფართოება შეუქცევადი ხასიათისაა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ადრე თუ გვიან ზეგავლენას მოახდენს რუსეთის მოსახლეობაზეც, რომელიც შემდგომში დაიწყებს ბრძოლას მეტი თავისუფლების და გამოხატვის უფლების მოპოვებისთვის, ასევე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისა და ზოგადად, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისთვის. შესაბამისად, უგულველყოფილი იქნება კომუნური ინტერესები, რაც მიუღებელია ,,რუსული იდეის'' არსებობისთვის.

**წამყვან საერთაშორისო აქტორებთან თანა-ბარი უფლებებით სარგებლობა** ფაქტიურად წარმოადგენს ზემოხსენებული ეროვნული ინტერესების ლოგიკურ გაგრძელებას. რუსეთი არის სრულუფლებიანი წევრი ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისა, როგორიცაა გაერო, ეუთო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ევროსაბჭო, თუმცა ეს ორგანიზაციები არ წარმოადგენენ საერთაშორისო წესრიგის ძირითად განმსაზღვრელ პოლიტიკურ სუბიექტებს. ევროატლანტიკური სისტემის მთავარ ინსტიტუციონალურ საყრდენებად რჩებიან ნატო და ევროკავშირი, სადაც რუსეთის გავლენა ტრივიალურია. რუსეთი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს აღნიშნული სტრუქტურების წევრ სახელმწიფოს, თუმცა ნატო-ც და ევროკავშირიც საკუთარი ნებით სთავაზობდნენ რუსეთს თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორს. თანამშრომლობის ფორმატში ჩართულობის მიუხედავად, რუსეთი ყოველთვის თვლიდა, რომ მისი უფლებები შეზღუდულია და დამცირებულად მიიჩნევდა თავს. თანაბარი უფლებებით სარგებლობა რუსეთის აღქმაში წარმოადგენს წამყვან აქტორებთან თანამშრომლობას საკუთარი წესებით, სადაც პრიორიტეტული იქნება მისი ინტერესების და პირობების გათვალისწინება, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გეოპოლიტიკური ვეტოს გამოყენების უფლებას, რაც რუსეთს საშუალებას მისცემს ღიად მოახდინოს გავლენა ევროპის პოლიტიკურ ამინდზე. რუსეთის ინტერესია, ერთგვარი თანამშრომლობის ფორმატში აღჭურვილი იყოს ისეთი უფლებებით, რომლებითაც შეძლებს გავლენა მოახდინოს აღნიშნული ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რაც პირდაპირ კავშირში იქნება მისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენების განმტკიცებასა და გაფართოებასთან.

მაგალითისთვის შესაძლებელია მოვიყვანოთ 2009 წელს პრეზიდენტ დ. მედვედევის მიერ შემოთავაზებული პროექტი ახალი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურასთან დაკავშირებით. დამოუკიდებელი ანალიტიკოსის ბობო ლოს ერთ-ერთ პუბლიკაციაში - „მედვედევი და ახალი უსაფრთხოების არქიტექტურა (Medvedev and the new European security architecture) - ნათქვამია, რომ აღნიშნული პროექტი წარმოდგენდა რეალურ საფრთხეს ევროპისთვის, რადგანაც მისი განხორციელებით გამოირიცხებოდა ნატოსა და აშშ-ს როლი ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში და ფოკუსირება მოხდებოდა უშუალოდ ევროპის სახელმწიფოების კოლექტიურუსაფრთხოებაზე,სადაცწამყვანიროლი თავისთავად დაეკისრებოდა რუსეთის ფედერაციას. ამგვარი გარემოება კი მნიშვნელოვან საფუძველს უქმნიდა რუსეთს, თითქმის დაუბრკოლებლად გაეტარებინა საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები ევროკავშირისა და ევროპის დანარჩენ ტერიტორიაზე. (11)

რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ახალი ეკონომიკური ზრდის და პოლიტიკური გავლენის ცენტრების განმტკიცების შედეგად იქმნება ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია. ამ მხრივ ფორმირდება ახალი ტენდენცია, რაც გულისხმობს რეგიონალური კრიზისების დარეგულირებას არარეგიონალური ძალების გარეშე. არსებული გლობალური და რეგიონალური არქიტექტურა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ევროატლანტიკურ რეგიონზე, არ გააჩნია სრულყოფილი სამართლებრივი ინსტრუმენტები და მექანიზმები და შესაბამისად ქმნის საფრთხეს საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის.

წამყვან საერთაშორისო აქტორებთან ამგვარი უფლებებით სარგებლობა მნიშვნელოვანია რუსეთისთვის. ერთის მხრივ, ეს საშუალებას აძლევს რუსეთის მთავრობას თავი იგრძნოს მსოფლიო დონის მოთამაშედ, დაიკმაყოფილოს საკუთარი ამბიციები, როდესაც მას ეკითხებიან მოსაზრებას რომელიმე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მეორეს მხრივ, ეს საშუალებას მისცემს რუსეთს, აბსოლუტურად ლეგიტიმურად, დიპლომატიის მეშვეობით მოახდინოს ისეთი სახის შეთანხმებების მიღწევა, რომლებიც გაამყარებენ საფუძველს, მოიპოვოს გავლენა საკუთარი დაინტერესების სფეროებში.

**დასკვნა**

ამგვარად, კონცეფცია ,,რუსული იდეის'' შესახებ და მასზე დაფუძნებული ეროვნული ინტერესები

წარმოადგენენ დასავლურ სამყაროსთან რუსეთის დაპირისპირების ძირითად საფუძველს. ყოფილი გავლენის სფეროების დაბრუნებისა და ჰეგემონიის აღდგენის მიზნით რუსეთი იყენებს სახელმწიფო ძლიერების ყველა კომპონენტს. ხელისუფლების მმართველ რგოლს გააზრებული აქვს, რომ დომინანტი ქვეყნის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების დასუსტებით. შესაბამისად, მისი ძირითადი ძალისხმევა მიმართულია, მოახდინოს დასავლური კოლექტიური სტრუქტურების და მათი მთავარი ღირებულებების დაკნინება, ასევე მათი წევრი სახელმწიფოების ურთიერთდაპირისპირება, რაც შექმნის დეზორგანიზაციის საფუძველს აღნიშნულ სტრუქტურებში.

ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმპერიალისტური მსოფლმხედველობით და ამბიციურობით, რაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა რუსი ხალხის ცნობიერებაში. რუსეთის ისტორია, რომელიც წარმოჩენილია, როგორც უნიკალური და დიადი ერის ჰეროიკული წარსული, ხშირად დაკავშირებულია სხვა ხალხების დამორჩილებასთან, ტერიტორიების მიტაცებასა და საკუთარი გავლენის სფეროების გაზრდასთან, რაც წარმოადგენს ძლიერი შთაგონების წყაროს რუსი და პრორუსულად განწყობილი საზოგადოებისთვის. ამგვარი გარემოება ქმნის პროტესტის და ძლიერი წინააღმდეგობის საფუძველს ნებისმიერი გარეშე ძალის მიმართ, რომელიც ხელს შეუშლის რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებას.

**ლიტერატურა:**


1. Бердяев, Николай Александрович, „Русская идея. Миросозерцание Достоевского“, изд. Эксмо, Москва, 2016
2. Dmitri Trenin; It’s Time to Rethink Russia’s Foreign Policy Strategy https://carnegie.ru/commentary/78990
3. Stent A. 2019; Putin’s World; New York; Hachette Book Group
4. Николай Кофырин, Русская Идея Достоевского, 2022 https://strannik1990.livejournal.com/221436.html
5. Анна Карповаб, Христианство и «русская идея» Вл.Соловьева https://felicina.ru/nauka/hristianstvo-i-russkaja-ideja-vl-solovjova/
6. Givi Gigitashvili; Russia’s National Interests and Foreign Policy Preferences http://www.lai.lv/viedokli/russias-national-interests-and-foreign-policy-preferences-554
7. ЛЕВАДА-ЦЕНТР, АВГУСТ 2008 ГОДА, 2028 https://www.levada.ru/2018/08/06/avgust-2008-goda/
8. Want Crimea; Prefer Luhansk and Donetsk Independent https://www.thechicagocouncil.org/publication/lcc/russians-want-crimea-prefer-luhansk-and-donetsk-independent
9. LEVADA-CENTRE, Conflict With Ukraine: October 2022 https://www.levada.ru/en/2022/11/01/conflict-with-ukraine-october-2022/Russians
10. Стратегия национальной безопасности Российской Федерации до 2020 года http://kremlin.ru/supplement/424#sel=24:1:yil,24:33:jfl;31:1:ylc,32:8:gxg;33:1:yhV,33:20:wKD;39:1:CgW,39:71:z0D;85:2:zfV,85:60:jhU;5:1:ylV,5:38:Tfg;25:1:0jV,25:30:Teg
11. Bobo Lo; Medvedev and the new European security architecture https://www.cer.eu/sites/default/files/publications/attachments/pdf/2011/pbrief_medvedev_july09-741.pdf

**The basis of Russia's confrontation with the Western world**

*George Khubulashvili, PhD Student*
*Georgian Technical University*

**Summary**

The events that have developed in Europe since the beginning of the 21st century have revealed the desire and effort of the Russian Federation to restore the sphere of political influence of the time of the Soviet Union and to establish the status of the dominant state in the region. In the process of achieving this objective, one of Russia's primary tasks is to combat Western values. They radically oppose Russia's views on public values and international order, which as a whole creates the so-called "Russian idea" - that defines Russia's role and place in the world. This controversy is primarily caused by the "communal" type of life established in Russia and its history, which led to the creation of a different view of national identity. The development of the mentioned approach was a necessity in a multi-ethnic state, according to which a Russian is not Russian by nationality, but all those who speak the Russian language and share the Russian culture.

After the collapse of the Soviet Union, most of the states in the former socialist camp in the European region joined the European Union and NATO. With the rest of the countries (except Belarus), the mentioned organizations have close cooperation in terms of development of economic, military and democratic institutions, which envisages their unification in the western family in the future. Such a situation is completely unacceptable for Russia, as it directly contradicts its national interests and poses a threat to the ruling regime. This means that Russia will lose spheres of influence, international respect, and there will be a danger that Western democratic views will appear in Russian society, which will be directed against the "Russian idea". Accordingly, this will lead to the disintegration of the unity of the "commune" society, attempts of self-determination of different peoples within the Russian Federation, and the territorial disintegration of the state.

Keywords: "Russian Idea", "Commune", "Western World", Individualism, "Eurasianism", "European Security Architecture".

# სამართალმცოდნეობა

# LAW

## სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გავლენა მმართველობის პროცესებზე ირანში

*ნინო ნიშნიანიძე, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*მარი ტოხოსაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ირანში სამოქალაქო საზოგადოების ისტორია სათავეს იღებს ყაჯარების დინასტიის (1796-1925) დაღმასვლის წლებითა და მეოცე საუკუნის დასაწყისის კონსტიტუციური რევოლუციით.[1] ოპოზიციურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ლიბერალურ-დემოკრატიული, რელიგიური, ეთნონაციონალური და ნაციონალისტური მოძრაობებისა და პარტიების აღზევებას, რამაც აღმოაცენა კონსტიტუციური მონარქიის ეპოქა და განაპირობა სამოქალაქო საზოგადოების გავლენის ზრდა ირანში. საკონსტიტუციო რევოლუციის დროს, რამდენიმე პარტია და ჯგუფი, მათ შორის დემოკრატიული პარტია (Hezb-e Democrat), სოციალური ბალანსის პარტია (Hezb-e Ejtemaiyyun-E' etedaliyyun), კონსენსუსისა და წინსვლის პარტია (Hezb-e Ettefagh va Taragh'ghi), და წინსვლის მაძიებელთა პარტია (Hezb-e Taragh'ghi Khahan) შეადგენდა ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ბირთვს. იმ დროის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტია იყო დემოკრატიული პარტია (1288 წ. ჰიჯრის შემდე), რომელსაც ახასიათებდა ლიბერალურ-დემოკრატიული მიდრეკილებები და მისი ბევრი წევრი პროგრესული და სოციალ-დემოკრატიული პრინციპების მიმდევარი იყო (Moslem, 2000, გვ. 77-79). მიუხედავად იმისა, რომ პარტია ემხრობოდა რელიგიისა და პოლიტიკის გამიჯვნას, მის ზოგიერთ წევრს ჰქონდა რელიგიური ტენდენციები და ემხრობოდა რელიგიის როლს პოლიტიკაში (Benab, 2004, გვ. 61-62). დემოკრატიული პარტიის საწინააღმდეგოდ, სოციალური ბალანსის პარტია იყო სტატუს კვოზე ორიენტირებული და ეწინააღმდეგებოდა ლიბერალების პროგრესულ პოლიტიკას (Benab, 2004, გვ. 66). ფაჰლავების დინასტიის დაარსებისა და საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერების ამაღლების შედეგად, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო რეზა შაჰის მმართველობის დროის გაუმჯობესებული საგანმანათლებლო შესაძლებლობებით და დასავლური განათლების მქონე ირანელების დასავლური იდეების გაცნობით, მოხდა სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, უპრეცედენტო გავრცელება და მათი გავლენის ზრდა (Buchta, 2000, გვ. 22). რეფორმისტები (ესლაჰ ტალა-ბან), სოციალისტები და კომუნისტები, საკმაოდ აქტიურობდნენ რეზა შაჰის მმართველობის პირველ წლებში. რეფორმისტულმა და სოციალისტურმა ძალებმა ვერ გაუძლეს რეზა შაჰის დიქტატურას და მოკლე დროში განადგურდნენ. კომუნისტებმა შეძლეს გარკვეული დროის განმავლობაში არსებობა მათი ორგანიზაციული სიძლიერის წყალობით და გახდნენ კომუნისტური მოძრაობის ბირთვი

[1] ითვლება, რომ პირველი თანამედროვე ირანული პოლიტიკური ორგანიზაცია, სახელად ჰემმატი, დაარსდა ბაქოში 1904 წელს ირანელი ინტელექტუალების, მუშებისა და ბიზნესმენების მიერ, რომლებიც მიგრაციაში იმყოფოდნენ განათლების, სამუშაოს ან კომერციის მიზნით. ირანში პარტიებისა და ჯგუფების დეტალური ისტორიოგრაფიისთვის იხილეთ: Younes Parsa Benab, Iran (1284-1384) [One Hundred Year History of the Iranian Political Parties and Groups], 1, (Washington, DC: Ravandi Publications, 2004), 27.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (Benab, 2004, გვ. 162). მიუხედავად ბოლშევიკური სოციალისტური იდეოლოგიისა და საბჭოთა კავშირისადმი მათი სიმპათიისა, მეორე მსოფლიო ომამდე არსებული ირანის კომუნისტური მოძრაობა გაერთიანდა ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის მქონე პარტიებსა და ჯგუფებში, რადგან ქვეყანაში ნაკლებად ხდებოდა სოციალური და ეკონომიკური განვითარება, არ არსებობდა დინამიური შრომითი მოძრაობა და კომუნისტური მოძრაობასაც არ შესწვედა უნარი შეექმნა მნიშვნელოვანი ორგანიზაციები და მიეღო ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია, რელიგია, ლიბერალები.

## შესავალი

### სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ისტორია

1941 წელს რეზა შაჰის გადადგომამ და მოვლენებმა, რამაც 1951 წელს განაპირობა მუჰამედ მოსადეღის პრემიერ-მინისტრობის პოსტზე აყვანა, ქვეყანაში გახსნა ახალი ეტაპი დემოკრატიულ უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ზრდისათვის. ამ პერიოდის განმავლობაში, ირანის პოლიტიკურ სცენაზე გაჩნდა მრავალი პარტია, რომლებიც მხარს უჭერდნენ და წარმოადგენდნენ მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის სხვადასხვა იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამტარებლებს (Moslem, გვ. 78-79). თუმცა, იმ დროს, როდესაც მოკავშირეთა ძალებმა ტახტზე მაჰამედ რეზა შაჰი აიყვანეს, ირანული პარტიებისა და ჯგუფების უმეტესობა დაკავშირებული იყო უცხოურ ძალებთან. მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენდა ირანის პარტია, რომელიც აღიარებდა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს, ერთგულებდა ნაციონალისტურ და დამოუკიდებლობის იდეებს და იქცა ირანის იმდროინდელი სამოქალაქო საზოგადოების წამყვან ძალად/ბირთვად. სხვა პარტიათაგან უმეტესობა და მათი მხარდამჭერები სამხედრო ძალებსა და პარლამენტში იყვნენ დაკავშირებული, მხარს უჭერდნენ და მუშაობდნენ საგარეო ინტერესებისთვის. მაგალითად, სამშობლოს პარტია (Hezb-e Vatan) და ეროვნული ნება (Erade-ye Melli) იყო დაკავშირებული ბრიტანეთის ინტერესებთან, სამართლიანობის პარტია (Hezb-e Edalat) და თავისუფლების პარტია (Hezb-eAzadi) მუშაობდა ამერიკული ინტერესებისთვის, ბრძოლის პარტია (Hezb-e Peykar) დაკავშირებული იყო ფრანგებთან, ხოლო ირანის ნაციონალისტების პარტია (Hezb-e Melliyyun-e Iran) მხარს უჭერდა ნაცისტურ გერმანიას (Benab, 2004, გვ. 163-167). თავიანთი ეთნიკური უფლებების დაცვის მიზნით, ასევე გაჩნდა რამდენიმე ეთნიკური პარტია ქურთისტანის დემოკრატიული პარტიისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული ფრაქციის სახით. ეს პარტიები და სხვა მსგავსი ჯგუფები ისწრაფოდნენ მსგავსი მიზნებისაკენ, როგორიცაა ეკონომიკური უპირატესობები, საგანმანათლებლო შესაძლებლობები და ადგილობრივი ავტონომიაც კი. ირანის კომუნისტური მოძრაობა ჩამოყალიბდა უცხოეთში განათლებული ირანელების[1] ჯგუფის მიერ რეზა შაჰის მმართველობის დროს. რეჟიმი ვერ შეეგუა მათ ოპოზიციურ შეხედულებებს და საქმიანობას, რის გამოც დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს ზოგიერთი კომუნისტი ლიდერი. ჯგუფის დანარჩენმა ნაწილმა 1941 წელს დააარსა ირანის ტუდეჰ პარტია (Hezb-lTudeh-e Tran) (Benab, 2004, გვ. 165-167). ეს პარტია, რომელიც იზიარებდა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას და მხარს უჭერდა საბჭოთა ინტერესებს, თანდათან გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და ეფექტურ პოლიტიკურ პარტიად და დომინირებდა შრომით მოძრაობაში. პარტიის წარმატება დიდწილად განპირობებული იყო მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური კამპანიებით, წარმატებული ინიციატივებით ძირეული „შრომისა და შრომის საზოგადოებების“ შექმნისა და ირანელი ინტელექტუალების, მათ შორის გამოჩენილი მწერლებისა და პოეტების მოზიდვის შესაძლებლობით ("History of the Tudeh Party of Iran").

### ძირითადი ნაწილი

1940-იანი წლების ბოლოს, მოჰამად რეზა შაჰი ცდილობდა შეეზღუდა და ეკონტროლებინა ირანის სამოქალაქო საზოგადოება პროგრესული მოძრაობებისა და პარტიების მარგინალიზებით, თითქოსდა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ეროვნული ერთიანობის სახელითა და ეთნიკური აჯანყებების აღმოფხვრის მიზნით. როგორც ეს მოგვიანებით გახდა ცნობილი ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების მიმართ, შაჰის რეჟიმი მიჰყვებოდა ორმხრივ სტრატეგიას. ერთის მხრივ, მან აკრძალა პროგრესული და ოპოზიციური პარტიები და ჯგუფები, ჩამოართვა მათ პუბლიკაციები და დააპატიმრა და გადაასახლა

[1] ამ ჯგუფს მოგვიანებით უწოდებდნენ „53-იანების ჯგუფს“.

მათი ლიდერები და მხარდამჭერები, მეორე მხრივ, მან მხარი დაუჭირა ლოიალისტურ დომინანტურ პარტიულ სისტემას ირანის დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერითა და გაძლიერებით, რომელმაც რეჟიმის, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით მონოპოლია მოიპოვა ირანის პარლამენტში. ამ მცდელობებმა გააჩინა რეპრესიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ რეჟიმის შეუწყნარებლობის ახალი ერა (Moslem, გვ. 75-79). 1949 წელს შაჰზე მკვლელობის მცდელობის შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა საომარი მდგომარეობა და დახურა ოპოზიციური გამომცემლობები, აუკრძალა თუდეჰ პარტიას არსებობა და დააპატიმრა ოპოზიციის ლიდერები. ტერორის გაბატონების მიუხედავად, პროგრესული და ნაციონალისტური ძალები მაინც განაგრძობდნენ ოპოზიციას შაჰის რეჟიმისა და ირანის პოლიტიკაში დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მზარდი გავლენის მიმართ. მუჰამედ მოსადეღმა და მისმა თანამოაზრეებმა სახალხო პარტიის (Hezb-e Mardom) და ერთიანობის პარტიის (Hezb-e Vahdat) ლიდერებთან ერთად შექმნეს პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც მოუწოდებდა ღია და თავისუფალი არჩევნების ჩატარების, სიტყვისა და პრესის თავისუფლებისა და საომარი მდგომარეობის დასასრულისაკენ (Benab, 2004, გვ. 350). მოსადეღმა და მისმა კოლეგებმა ეროვნულ ფრონტში (Jebhe-ye Melli), რომელიც იყო პოლიტიკური პარტიების თანავარსკვლავედი იდეოლოგიებისა და პოლიტიკის უპირატესობების ფართო სპექტრით, წარმატებას მიაღწიეს 1949 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ეროვნული ფრონტის აღზევებამ, თავისუფლებისა და მეტი პოლიტიკური ჩართულობის მოთხოვნის ზრდამ და შემდგომი მთავრობების დაცემამ გაამძაფრა საზოგადოების მოწოდება მოსადეღის მმართველობისაკენ (Moslem, გვ. 78-79). როგორც ეროვნული ფრონტის ლიდერმა პარლამენტში, მოსადეღმა დაიკავა კონფრონტაციული პოზიცია მონარქის წინააღმდეგ და მოითხოვა მეტი დამოუკიდებლობა საგარეო და ეკონომიკურ პოლიტიკაში. ის ეფექტურად მუშაობდა 1948 წლის ბრიტანეთის ნავთობის კონცესიის წინააღმდეგ და, საბოლოოდ, პარლამენტმა მიიღო დათმობა და შემდგომში 1950 წელს მოახდინა ირანის ნავთობის ინდუსტრიის ნაციონალიზაცია. მოსადეღის ერთგულებამ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებისადმი და მისმა ნაციონალისტურმა და ანტიიმპერიალისტურმა პოზიციამ მას დიდი მხარდაჭერა მოუპოვა ირანის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო საზოგადოებაში. 1951 წელს, ხალხის მოთხოვნისა და მხარდაჭერის შედეგდ, მოსადეღის ხელმძღვანელობით ნაციონალური ფრონტი მოვიდა ხელისუფლებაში მეტი დემოკრატიისა და ნაციონალისტური პრინციპების ერთგულების დაპირებით. მოსადეღის პრემიერობის დროს, 1953 წლის გადატრიალებამდე, ირანი სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული განვითარების უპრეცედენტო ზრდის მოწმე გახდა (Buchta, 2000, გვ. 22-27).

განსხვავებით მისი წინამორბედებისგან[1] რეზა შაჰის ხელისუფლების გადაყენების შემდეგ, მუჰამედ მოსადეღი იყო დამოუკიდებელი მოაზროვნე, ნაციონალისტი ძლიერი ანტიიმპერიალისტური შეხედულებებით. მისი ხანგრძლივი და მღელვარე პოლიტიკური კარიერის განმავლობაში - რომელიც მოიცავდა ყაჯართა დინასტიის ბოლო მმართველობიდან რეზა შაჰის მეფობის პირველ ათწლეულს, მათ შორის გადასახლებების, პატიმრობის, სამთავრობო თანამდებობების, პარტიული წევრობისა და პარლამენტის ხელმძღვანელობის და პრემიერ მინისტრობის ეპოქას – ის მუდმივად ეწინააღმდეგებოდა დიქტატურას, ემხრობოდა ჯანსაღ სამოქალაქო საზოგადოებას და ეწინააღმდეგებოდა საგარეო ჩარევებს ირანის საშინაო საქმეებში (Buchta, 2000, გვ. 25-27). იუნუს ფარსა ბენაბეს თქმით, მოსადეღის მმართველობის დროს ირანის პოლიტიკურ სცენაზე მრავალი პოლიტიკური პარტია და ჯგუფი გამოჩნდა, რამაც ხელი შეუწყო მისი მმართველობის წარმატებასა თუ წარუმატებლობას (Benab, 2004, გვ. 410). სამოქალაქო საზოგადოების ეს ელემენტები მოიცავდა ეროვნულ ფრონტს და მის მიმდევრებს, თუდეჰ პარტიას, ხელისუფლების გარეთ არსებულ ნაკლებად პოპულარულ პარტიებსა და დამოუკიდებელ გაერთიანებებს. ეროვნულ ფრონტში ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიები მოიცავდა ირანის პარტიას (Hezb-e Iran), ირანის ერის პან-ირანისტულ პარტიას (Hezb-e Pan Iranist-e Mellat-e Iran) ისლამური მოჯაჰედინების პარტიასა (Hezb-e Mojahedin-e Islam) და ირანის მშრომელთა პარტიას (Hezb-e Zah-

[1] პრემიერ-მინისტრები მოჰამად ალი ფოროღი, აჰმად ღავამი, მოჰამად ალი სოჰეილი და აბდოლ ჰოსეინ ჰაზირი, ზოგადად, მხარს უჭერდნენ აშშ-ს ინტერესებსა და პოლიტიკას. პრემიერ-მინისტრები მოჰამად საედ-ე მარაგეი, მორთეზა ბაიატი, იბრაჰიმ ჰაკიმი, ალი მანსური, ალი რაზმ არა და ჰოსეინ ალა უფრო მეტად იზიარებდნენ ბრიტანეთის ინტერესებს.

matke - shan-e Iran) (Moslem, გვ. 79-83).

ირანის პარტიას არ ჰქონდა რაიმე სახის კავშირი უცხოურ ძალებთან და თავდაპირველად შეიქმნა ირანელი ინჟინრების გილდიის ზოგიერთი წევრის მიერ, რომლებსაც სჯეროდათ ტექნოკრატების მმართველობის და ემხრობოდნენ პოლიტიკურ განვითარებას. ვაჭრების გაერთიანებათა მხარდაჭერით პარტიის ბევრი ლიდერი მხარს უჭერდა ნაციონალისტურ და დემოკრატიულ ინიციატივებს და ასევე მხარდაჭერა გამოუცხადა მოსადეღს მისი პრემიერობის დროს. თუმცა, პარტიის ზოგიერთმა ახალგაზრდა და უფრო დინამიურმა წევრმა, რომლებსაც სოციალისტური და რელიგიური პრინციპები ამოძრავებდათ, დატოვეს პარტია და შექმნეს მოძრაობა სახელწოდებით „ღვთის თაყვანისმცემელი სოციალისტების მოძრაობა“ (Nehzat-e Khodaparastan-e Socialist) (Benab, 2004, გვ. 413). ეს რელიგიურად ორიენტირებული აქტივისტები, ზოგიერთ სასულიერო პირთან ერთად, ეწინააღმდეგებოდნენ ტუდეჰ პარტიას, ქადაგებდნენ ისლამური სოციალიზმის გარკვეულ მიმდინარეობას, ეწინააღმდეგებოდნენ ახლად დაარსებული ისრაელის სახელმწიფოს და მხარს უჭერდნენ პალესტინის ძალას. ბევრი ისტორიკოსის აზრით, ამ მოძრაობის მონაწილეობამ ეროვნულ ფრონტში ძალზედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირანის პოლიტიკურ ორგანოში ნაციონალისტურ-რელიგიური ალიანსის დასაწყისისათვის (Benab, 2004, გვ. 413). ეს რელიგიური მიმდევრები მოსადეღისა და მისი მიზნების ერთგული დარჩნენ 1953 წლის გადატრიალებამდე. შემდეგ მათ სახელი შეიცვალეს და დაირქვეს ირანის სახალხო პარტია (Hezb-e Mardom-e Iran) და შეუერთდნენ ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობას.

პან-ირანისტული პარტია იზიარებდა ულტრანაციონალისტურ და ხშირად რასისტულ შეხედულებებს და აქტიურობდა რიგ ნაციონალისტურ და ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს შორის. ზოგიერთი ულტრანაციონალისტი მხარს უჭერდა ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას გერმანიაში და ადიდებდა ჰიტლერს და მის რასისტულ განცხადებებს. თუმცა, მიუხედავად მნიშვნელოვანი განხეთქილებისა მათ შემადგენელ ჯგუფებს შორის, პან-ირანისტები მხარს უჭერდნენ მოსადეღის ნაციონალისტურ პოლიტიკას და ნავთობის ინდუსტრიის ნაციონალიზაციას (Benab, 2004, გვ. 417).

ისლამური მუჯაჰედინების პარტია, რომელსაც თავდაპირველად "მუსლიმთა მუჯაჰედის საზოგადოება" ეწოდებოდა, დაარსდა 1948 წელს აიათოლა აბოლღასემ კაშანის (1882-1962) მხარდაჭერით, რომელიც იმ დროს ლიბანში იმყოფებოდა გადასახლებაში (Benab, 2004, გვ. 423). კაშანი ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის ინტერესებს, ამჟღავნებდა პრო-გერმანულ განწყობებს და მუშაობდა გერმანიის დაზვერვასთან. მან, ასევე, დიდი პოპულარობა მოიპოვა სავაჭრო გაერთიანებებსა და სასულიერო პირებს შორის მოსადეღისა და ეროვნული ფრონტის მხარდაჭერით. ირონიულია ის, რომ კაშანი და ისლამური მუჯაჰედინების პარტია თავდაპირველად დაინტერესებულები იყვნენ ბრიტანელებთან დაპირისპირებით და მხარს უჭერდნენ მოსადეღს მანამ, სანამ ის ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის ინტერესებს. ხოლო მაშინ როდესაც მოსადეღი უფრო ფართო ნაციონალისტურ სტრატეგიას ატარებდა და აძლიერებდა თავის ოპოზიციას რეჟიმთან მიმართებით, სამხედრო ლიდერებმა, მიწის არისტოკრატებმა, შეერთებულმა შტატებმა და მსხვილმა საერთაშორისო ნავთობკომპანიებმა, კაშანმა და მუჯაჰედინებმა მას მხარდაჭერა მოუხსნეს (Benab, 2004, გვ. 425). ეროვნული ფრონტიდან მუჯაჰედინების გაყვანამ, კაშანისა და კომიტეტში გაერთიანებული ოფიცრების მხარდაჭერამ, რომელიც შეერთებულ შტატებთან ერთად აქტიურად მუშაობდა მოსადეღის მთავრობის დამხობის მიზნით, გადამწყვეტი როლი ითამაშა 1953 წლის გადატრიალების წარმატებაში. „ფაქტობრივად, [მოსადეღიდან] გასვლით კაშანმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ირანელი ხალხის ანტიიმპერიალისტურ ბრძოლებს“ (Moslem, გვ. 78-83).

მოსადეღის ეპოქის დემოკრატიულ ატმოსფეროში, ტუდეჰის პარტია, რომელსაც შეზღუდვები დაუწესეს და მისი მრავალი ლიდერი შაჰის მკვლელობის მცდელობის შემდეგ დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს, საოცრად გაიზარდა. როდესაც პარტიის ხელმძღვანელობა ძლიერდებოდა, მან შეძლო მუშების, გლეხების, სამხედრო ოფიცრებისა და ინტელექტუალების მობილიზება და ფართო ორგანიზაციების შექმნა, რამაც პარტია აქცია "ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ პარტიად არა მხოლოდ ირანში, არამედ ახლო აღმოსავლეთშიც" (Benab, 2004, გვ. 446). მოსადეღს ჰქონდა უდავო ვალდებულება სამოქალაქო თავისუფლებებისადმი და, მიუხედავად კომუნიზმისადმი მისი სიძულვილისა, თვლიდა, რომ ირანის კონსტიტუციურ

ჩარჩოებში თუდეჰ პარტია ნამდვილად უნდა ყოფილიყო აქტიური. ის თვლიდა, რომ ეს პარტია შეიძლება ყოფილიყო პოზიტიური ძალა ბრიტანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მოსადეღის პრემიერობისთვის მართლაც კრიტიკული აღმოჩნდა ამ კარგად ორგანიზებული პარტიის მხარდაჭერა, რომელსაც მუშებს, გლეხებს, ქალებს, სამხედრო მოსამსახურეებსა და ახალგაზრდებს შორის სხვადასხვა ძლიერი ორგანიზაციების ფართო მხარდაჭერა ჰქონდა. თუმცა შიდა უთანხმოებების გამო, პარტიამ დიდი მხარდაჭერა არ გაუწია მოსადეღს და მისი მთავრობა ამერიკული იმპერიალიზმის იარაღად წარმოაჩინა. პარტიის უფრო გამოცდილი, მაგრამ ნაკლებად გავლენიანი წევრები ემხრობოდნენ მოსადეღის მთავრობის მხარდაჭერას მისი ნაციონალისტური და ანტი-ბრიტანული იმპერიალისტური პოზიციის გამო და თვლიდნენ, რომ თანამშრომლობა მთავრობას სოციალისტურად გარდაქმნიდა (Benab, 2004, გვ. 450). თუმცა, უმრავლესობა და უფრო გავლენიანი წევრები თვლიდნენ, რომ მოსადეღი და მისი მთავრობა არ იყო ჭეშმარიტად ანტი-ბრიტანული, არამედ ისინი წარმოადგენდნენ ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელიც ამერიკის იმპერიალისტურ ინტერესების გამტარებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ტუდეჰ პარტიამ წინასწარი იცოდა 1953 წლის გადატრიალების შესახებ და გააჩნდა საჭირო ორგანიზაციული შესაძლებლობები ხელისუფლების ეფექტურად დასაცავად, მან უბრალოდ უარი თქვა მთავრობის მხარდაჭერაზე. 1953 წელს მოსადეღის მთავრობის დაცემამ, შაჰის ხელისუფლებაში დაბრუნებამ და შაჰის საიდუმლო სამსახურის (სავაკის) მიერ განხორციელებულმა ახალმა რეპრესიულმა ზომებმა დახურა ეს მნიშვნელოვანი და პერსპექტიული თავი ირანის სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრებაში (Moslem, გვ. 78-83).

შემდგომ წლებში თავისი ძალაუფლების კონსოლიდაციის მცდელობისას შაჰმა აკრძალა ყველა ნამდვილი ოპოზიციური პარტიის, ჯგუფისა და მოძრაობის არსებობა. პოლიტიკური აქტივისტები, რომლებიც აგრძელებდნენ რეჟიმის წინააღმდეგობას, დააკავეს, დააპატიმრეს, მოკლეს, გადაასახლეს ან აიძულეს დაეტოვებინათ ქვეყანა (Moslem, გვ. 79). რეჟიმისადმი თავდაპირველი გამოწვევების შემდეგ - განსაკუთრებით სტუდენტური ბუნტის სახით - ოპოზიციურმა მოძრაობებმა, პარტიებმა და ჯგუფებმა გადაინაცვლეს მიწისქვეშეთში ან შექმნეს წარმომადგენლობები უცხო ქვეყნებში. მათ ნაცვლად, ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინირებდნენ მონარქისტული პარტიები, რამაც ძირი გამოუთხარა ირანის სამოქალაქო საზოგადოებას და გამოიწვია საზოგადოების ცინიზმისა და აპათიის ზდრა. მომდევნო წლებში, მთავრობის პოლიტიკასა და ავტორიტეტს მშვიდობიანი თუ ძალადობრივი გზებით დაუპირისპირდნენ სტუდენტები, მასწავლებლები, ზოგიერთ სასულიერო პირები და ვაჭრები. მთავრობა ასეთ გამოწვევებზე, როგორც წესი რეაგირებდა სასტიკი ძალით, რასაც მოჰყვებოდა დაკავება, პატიმრობა, წამება და ხშირად ოპონენტების სიკვდილით დასჯაც კი. რეჟიმისადმი ორგანიზებული და მნიშვნელოვანი სეკულარული ოპოზიციის არარსებობით გამოწვეულ ვაკუუმში და 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში რეპრესიული პოლიტიკისა და ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის საპასუხოდ, ირანის პოლიტიკურ სცენაზე პირველად გამოჩნდა ახალი და პოტენციურად მნიშვნელოვანი რელიგიურ-სასულიერო ოპოზიციური ძალა (Benab, 2004, გვ. 443- 446).

ხომეინის მეთაურობით, ეს ახალი რელიგიურ-სასულიერო ოპოზიცია დაუპირისპირდა შაჰის 1963-1964 წლების[1] თეთრ რევოლუციას. რეჟიმი დაუპირისპირდა ამ პოზიციურ პარტიას და თავს დაესხა ყუმ ფაიზიეს რელიგიურ სკოლას, რამაც გამოიწვია ზოგიერთი რელიგიური სტუდენტის დაპატიმრება, დაჭრა და მკვლელობაც კი. ხომეინმა ეს სასტიკი ქმედებები შეადარა მონღოლთა წარსულ შემოსევას და თქვა, რომ „შაჰის მხარდაჭერა ნიშნავს ძარცვას, ისლამის მიტოვებას და მუსლიმების უფლებებზე თავდასხმას“ (Benab, 2004, გვ. 526). მან მოუწოდა რელიგიურ ლიდერებს და სტუდენტებს ებრძოლათ ისრაელისა და რეჟიმის საფრთხეების წინააღმდეგ. შაჰზე პირადი თავდასხმების საპასუხოდ ხომეინის დაპატიმრებამ, გამოიწვია ფართო საზოგადოებრივი აჯანყება, რომელიც სასტიკად და ეფექტურად ჩაახშეს რამდენიმე დღეში.

[1] შაჰის მიერ ინიცირებული თეთრი რევოლუცია მრავალ რეფორმას მოიცავდა, მათ შორის მიწის რეფორმას, ქალთა უფლებების რეფორმას, რესურსების ნაციონალიზაციასა და საგანმანათლებლო თუ რელიგიური კორპუსების შექმნას. სხვა მიზნებთან ერთად, ეს პოლიტიკის ინიციატივები მიზნად ისახავდა პოლიტიკური ხელისუფლების ცენტრალიზაციას მიწათმოქმედი არისტოკრატიის, ეთნიკური და ადგილობრივი მეთაურებისა და სასულიერო პირების ძალაუფლების შესუსტების გზით. სასულიერო გაერთიანებების წინააღმდეგობა ამ პოლიტიკის მიმართ ასევე გამოწვეული იყო მათი შეხედულებით, რომ მიწის ჩამორთმევა და ქალებისათვის უფლებამოსილების მინიჭება მართლაც ანტი-ისლამური პოლიტიკა იყო.

მომდევნო თხუთმეტი წლის განმავლობაში, 1978 წლის რევოლუციამდე, რეჟიმი არ ინტერესდებოდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებით. უფრო მეტიც, თავისივე სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ის ორიენტირებული იყო უსაფრთხოებასა და სამხედრო და ბიუროკრატიული ინფრასტრუქტურის შექმნაზე. ამ პერიოდის განმავლობაში, ყველა ლიბერალ-დემოკრატიული, მემარცხენე, ნაციონალისტური და რელიგიურ-კლერიკალური პოლიტიკური ოპოზიციური ძალა და მათი ლიდერები ან გაუჩინარდნენ, ან წავიდნენ მიწისქვეშეთში, ან გადავიდნენ უცხო ქვეყნებში. დემოკრატიის იერსახის შენარჩუნების მცდელობისას, რეჟიმმა დაუშვა პოლიტიკური აქტივიზმი და სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ „ტახტისადმი ლოიალური ოპოზიციის“ ფარგლებში. 1953 წლის გადატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე, რეჟიმმა დააარსა პრომონარქისტული ნაციონალისტური პარტია (Hezb-e Melliyyoun). ერთი წლის შემდეგ შეიქმნა სახალხო პარტია (Hezb-e Mardom), როგორც "ლოიალური ოპოზიცია" და მელიიუნის საპირწონე. მიუხედავად აშკარა კონფლიქტებისა, ორივე პარტია მხარს უჭერდა მონარქს და მხარს უჭერდა აშშ-სა და დასავლეთის ნავთობის ინტერესებს. პარტიული სისტემის ეს ნიმუში გაგრძელდა, როდესაც რეჟიმმა დააარსა თანამედროვე ირანის (Iran-e-Novin) პარტია დომინანტურ პარტიად და მარდომ პარტიას მიანიჭა მეფის ერთგული ოპოზიციის როლი. ამ პარტიას უფლება ჰქონდა გამოეხატა მცირე კრიტიკა მმართველი პარტიისა და მთავრობის მიმართ, მაგრამ არა მონარქის მიმართ. გამოხატვის ეს ხელოვნური და შეზღუდული არხები დაიხურა 1974 წელს, როდესაც მეფემ გამოაცხადა "ეროვნული ერთიანობის აუცილებლობა" და შექმნა "ერთპარტიული" სისტემა აღორძინების (Rastakhiz) პარტიის სახით, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთადერთი ინსტრუმენტი. ოფიციალურად რასტახიზის პარტიამ ხაზი გაუსვა კონსტიტუციისა და მონარქიული სისტემის ლეგიტიმურობას, თეთრი რევოლუციის პრინციპების პატივისცემასა და პლურალიზმის უარყოფას. რა თქმა უნდა, არც ერთმა ამ რეჟიმით შთაგონებულმა, შექმნილმა და კონტროლირებადმა პარტიამ არ მოიპოვა მნიშვნელოვანი სახალხო მხარდაჭერა, რომლის იმედიც რეჟიმს ჰქონდა (Benab, 2004, გვ. 581, 645).

ნებისმიერი სახის ოპოზიციისა და გამოწვევის მიმართ რეჟიმის შეუწყნარებლობამ და, შესაბამისმა უპრეცედენტო ტერორის მდგომარეობამ, გამოიწვია მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გაუცხოება და მოახდინა მრავალი ინტელექტუალის, სტუდენტისა თუ აქტივისტი სასულიერო პირის რადიკალიზაცია (Buchta, 2000, გვ. 25-27). ახლად გაჩენილმა და რეორგანიზებულმა ძველმა მოძრაობებმა, პარტიებმა და ჯგუფებმა დაიწყეს რეჟიმთან შეიარაღებული დაპირისპირების მოწოდება. ბევრი აქტიურად ჩადიოდა მკვლელობის მცდელობას უმაღლესი ლიდერებისა და სამხედრო სუბიექტების მიმართ და მონაწილეობდა დაბომბვაშიც. სწორედ ამ ჯგუფებმა და პარტიებმა შეადგინეს რევოლუციური ძალების ბირთვი და 1970-იანი წლების ბოლოს გადამწყვეტი როლი ითამაშეს რევოლუციის წარმატებაში (Moslem, Factional Politics, 78-83).

მაშინ როდესაც ნაციონალური ფრონტის გამოცდილი ლიდერები გვერდიდან აკვირდებოდნენ მოვლენებს, მოსადეღის მომხრე დამოუკიდებელი აქტივისტების დახმარებით ირანში, შეიქმნა ახალი ნაციონალური ფრონტის აფილირებული მოძრაობები, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებიც გააქტიურდნენ ჯერ კიდევ 1935 წელს. მათ შორის იყვნენ: ირანის ეროვნული ფრონტის სტუდენტების ორგანიზაცია(Sezeman-e Daneshjooyan-e Jebeh-ye Melli-e Iran), სოციალისტების საზოგადოება ან ირანის ნაციონალისტური მოძრაობა (Jame'eh-ye Socialishta-ye Nehzat-e Melli-ye), ირანის თავისუფლების მოძრაობა (Nehzat-e Azadi-e Iran), ირანის სახალხო პარტია (Hezb-e Mardom-e Iran) - რომელიც ასევე ცნობილი იყო როგორც ღმერთის თაყვანისმცემელი სოციალისტები (Nakshabiyyun) - და ირანის ერის პარტია (Hezb-e Mellat-e Iran) (Benab, 2000, გვ. 643). ამ ორგანიზაციებიდან უმეტესობა რეჟიმი სასტიკი რეპრესიების მსხვერპლი გახდა, ხოლო მათი ლიდერები დააპატიმრეს ან დახვრიტეს. ნაციონალური ფრონტის ზოგიერთი ყოფილი აქტივისტი აგრძელებდა პოლიტიკურ საქმიანობას ქვეყნის ფარგლებს გარეთ ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა ირანელი სოციალისტების საზოგადოება ევროპაში და ირანის თავისუფლების მოძრაობა საზღვარგარეთ. ამ პერიოდში ტუდეჰ პარტია დეზორგანიზებული იყო და უმნიშვნელო როლს თამაშობდა ქვეყანაში (Moslem, გვ. 81-83). საზღვარგარეთ, ტუდეჰ პარტიის ზოგიერთმა წევრმა და თანამგრძნობმა აქტიური მოღვაწეობა დაიწყო ირანელ სტუდენტთა კონფედერაციაში ევროპასა და შეერთებულ შტატებში. სხვები, რომლებიც გაიქცნენ

აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში და წამოიწყეს ახალი პოლიტიკური აქტივობები, თანდათანობით დაიყვნენ ფრაქციებად საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის იდეოლოგიური და სტრატეგიული დავების გამო.

პირველი ცნობილი ჯგუფები, რომლებიც რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ, შედგებოდა რამოდენიმე კომუნისტი იდეოლოგისაგან, მათ შორის არანის, ტუდეჰის, არაშის და პეივანდის ჯგუფებისაგან, რომელთა ნაწილი 1970-იანი წლების განმავლობაში სპორადულ პარტიზანულ ომში იყო ჩართული. ამ რადიკალური ჯგუფების გარდა, 1964 წლის აჯანყების შემდეგ შეიარაღებული ბრძოლისკენ მოუწოდა არაერთმა რელიგიურ-სასულიერო ორგანიზაციამ, რომელიც რევოლუციური პროცესების განმავლობაში ხომეინთან ერთად იბრძოდა. მათ შორის იყო მუსლიმური ერების პარტია (Hezb-e Mellal-e Eslami), ირანელი ხალხის ისლამური მოძრაობა (Jonbesh-e Elsmi-e Mardom-e Iran), ასევე ცნობილი როგორც ჯამა და სხვა ისლამისტური ჯგუფები (Benab, 2000, გვ. 647). მუსლიმური ერების პარტია, რომელმაც დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოიპოვა 1964 წლის აჯანყების დროს, მოუწოდებდა რეჟიმის ძალადობრივი დამხობისა და ისლამური სისტემის დამყარებისაკენ, ასევე ეს პარტია აქტიური იყო რევოლუციური პროცესების დროს. რევოლუციის შემდეგ, პარტიის ბევრი ლიდერი შეუერთდა ისლამურ რესპუბლიკურ პარტიას და დაიკავა მნიშვნელოვანი პოზიციები ისლამურ რესპუბლიკაში. ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი და პარტიაც, ასევე, შეუერთდა მოწოდებებს რეჟიმისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისკენ, მათ შორის იყო ქურთული მოძრაობა, ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის რევოლუციური კომიტეტი და ქაშქაის თურქული ტომები ფარსის პროვინციაში (Kamrava, 2001, გვ. 160-173).

რევოლუციის წარმატებით დასრულებისა და ისლამური რესპუბლიკის დამყარების შემდეგ, პლურალიზმი ირანის ახალ პოლიტიკაში სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, როგორც იდეოლოგიურ, ისე პრაქტიკულ ნიადაგზე. შაჰის რეჟიმის მსგავსად, ისლამურმა რესპუბლიკამაც დაადგინა რომ იკრძალებოდა ნებისმიერი ისეთი ოპოზიციური პოლიტიკური აქტივიზმი, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა სახელმწიფოს ავტორიტეტსა და მის ისლამურ-სასულიერო პრინციპებს. შაჰის ეპოქიდან ნასესხები „ერთი თავის“ თანახმად ისლამურმა რეჟიმმა დაუშვა ოპოზიციონერი აქტივისტების მონაწილეობა და ჩართვა პროცესებში მხოლოდ მკაცრი იდეოლოგიური და პოლიტიკური საზღვრების ფარგლებში, რომელიც შექმნილი იყო სისტემისა და მისი ელიტების დასაცავად (Moslem, გვ. 79-83). თუმცა ამჯერად მიზანი იყო არა მონარქიისა და მისი დიქტატორული მმართველობის შენარჩუნება, არამედ სასულიერო ბატონობისა და აბსოლუტიზმის უზრუნველყოფა.

## დასკვნა

ხაზგასასმელია, ისიც რომ ირანის სახელმწიფოს მსგავსად ფორმირებაში განსაკუთრებული როლი იქონია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობამ. სწორედ ამის შედეგია, რომ რევოლუციამდე პერიოდში ირანში გაცილებით მეტი დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობდა ვიდრე პოსტრევოლუციურ პერიოდში. მნიშვნელოვანია სწორედ ის, რომ მმართველობის განხორციელების პროცესების შედარებისას მეტი ყურადღება მიექცეს არა ფასადური დემოკრატიის ფორმებსა და ელემენტებს, არამედ მათი განხორციელების შედეგებს. შესაბამისად, მართალია სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა სახელწმიფოს ფორმირების პროცესში ფორმალურად წარმოადგენს დემოკრატიულობის ერთ-ერთ ელემენტს, თუმცა ამ შემთხვევაში, შინაარსობრივად ეხმარება თეოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბებას.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკაში საჯარო მმართველობა როგორც ადგილობრივ ისე ცენტრალურ დონეზე ხორციელდება აბსოლუტური რელიგიური გავლენით, რომლის მიზეზიც არის არა უშუალო პროცესების გადაფარვა ისლამური კანონიკით, არამედ რეალური მაკონტროლებელი ორგანოებისათვის ლეგიტიმაციის მინიჭება ტრანსედენტული საწყისებიდან.

ლიტერატურა:


1. Ray Takeyh, „Hidden Iran, Paradox and Power in the Islamic Republic“ (New York:Henry Holt and Company, 2006);
2. Shaul Bakhash, „The Reign of the Ayatollahs; Iran and the Islamic Revolution“ (New York: Basic Books, 1984);
3. Wilfred Buchta, „Who Rules Iran? The Structure of Power in the Islamic Republic“ (Washington, D.C.: Washington Institute of Near East Policy and the Konrad Adenauer Stiftung, 2000);
4. The Constitution of Islamic Republic of Iran;
5. Younes Parsa Benab, “Iran (1284-1384)” [One Hundred Year History of the Iranian Political Parties and Groups], 1, (Washington, DC: Ravandi Publications, 2004);
6. "History of the Tudeh Party of Iran," http://www.iranchamer.com/history/tudeh/tudeh_party02.php (11/12/2021, 13:30);
7. Mehran Kamrava, "The Civil Society Discourse in Iran" (British Journal of Middle Eastern Studies, 28. 2 (2001);
8. E. R. Povey, "Trade Unions and Women's NGOs: Diverse Civil Society Organizations in Iran" (Development in Practice 149 (2004);
9. BBC Monitoring Service, Oct. 25, 2002;
10. Robin Wright, “The Last Great Revolution: Turmoil and Transformation in Iran” (New York: Random House, 2001);
11. Abdol-Karim Soroush, “Reason, Freedom, and Democracy in Islam” (New York: Oxford University Press, 2000);
12. Abdol-Karim Soroush, “Modara and Modiriat” (Tehran: 1997);
13. Mohsen Kadivar, “shi ah and Islamic Law” (Tehran; 2000);
14. Haddad, Yvonne Y. "Ideologue of Islamic Revival." (edited by John L. Esposito, 67-98. New York: Oxford University Press, 1983);
15. Hasan, Ahmad. "Al-Shafi'i's Role in the Development of Islamic Jurisprudence" (Islamic Studies (1966);
16. Hendawi, Hamza. "Revolutionary Guards tighten hold in Iran crisis." Associated Press. http://hoted.ap.org/dynamic/stories/M/ML_IRAN_REVOLUTIONARY_GUAR ;
17. Hourani, George F. "The Basis of Authority of Consensus in Sunnite Islam." Studia Islamica 21 (1964);
18. The International Crisis Group Report, Middle East Briefing, 21. Iran: Ahmadi-Nejad's Tumultuous Presidency. Tehran/Brussels, February 6, 2007.
19. Iqbal, Muhammad. "Islam as a Moral and Political Ideal." In Thoughts and Reflections of Iqbal, edited by Syed Abdul Vahid, : Ashraf Press, 1964);
20. Mallat Chibli, „The Renewal of Islamic Law“( Cambridge: Cambridge University Press, 1993);
21. 'The Shari'a: A Methodology or a Body of Substantive Rules?" In Islamic Law and Jurisprudence, edited by N. Heer. 177-198. Seattle and London: University of Washingion Press, 1990;

**The impact of civil society development on governance processes in Iran**

*Nino Nishnianidze, professor*
*Georgian Technical University*

*Mari Tokhosashvili, PhD student*
*Georgian Technical University*

**Summary**

The Islamic institution occupies a special place in the political-legal space due to the particularity of its legitimate source. Apart from its purely religious cornerstone, Islam has invaded the daily lives of people and appears to be the main determinant of social relations. In Islam, as in other monotheistic religions, the creator of the universe is the main source of legitimacy for legislative, executive and judicial power. That is why the enactment of any normative act originates from God, and the legislative function of men is limited to mediation between God and society. Despite the originality of Islam, Islamic law-making is also saturated with earthly customary rules, which is echoed by the use of some local (Arabic) customary practices in divine Islamic decrees. Gradually and to varying degrees, this growing law was also influenced by foreign laws, including Roman Byzantine law, canon law of the Eastern Churches, Talmudic law, and Persian Sasanian law. Over time, however, these laws, as well as foreign political and ritual practices, became so thoroughly assimilated into Islamic customs and practices that they became almost impossible to distinguish.

That is why it is not accidental that one of the most interesting issues for the study of the relationship between religion and the state is precisely the Islamic state. Therefore, the current chapter will discuss the political-legal relations of the church and the state in Iran; The historical foundations of the formation of relations will be analyzed and a special emphasis will be placed on the characteristics that really distinguish the political structures of the Eastern government from the Western ones. It is also important that based on the purpose of this research, both the origin of individual legal elements and the forms of the public administration system and political institutions will be evaluated.

In addition to the historical aspects, the current work will review the role of civil society in the process of implementing Islamic governance, and thereby better show the flaws inherent in Iranian governance.

Keywords. Talmud law, Islam, monotheistic religion, church, state.

# საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების ნორმატიულ-თეორიული ანალიზი

*ქეთევან კარიჭაშვილი, თსუ კურსდამთავრებული*

**რეზიუმე**

საკონსტიტუციო რეფორმები კონსტიტუციონალიზმის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. კონსტიტუცია ცოცხალი დოკუმენტია, საზოგადოების განვითარებასთან და გარკვეული ევოლუციური პროცესების წარმართვისას ბუნებრივია, გარდაუვალია მასში ცვლილებების განხორციელება. შესაბამისად, კონსტიტუციური ცვლილებები არასდროს კარგავენ აქტუალობას.

სტატიის მიზანია მოკლედ მიმოიხილოს საკონსტიტუციო რეფორმების პროცესი მისი ძირითადი მახასიათებლებით. ნიშანდობლივია, რომ ადვილად განსახორციელებელი ცვლილებების შეტანის პროცესში საფრთხე ექმნება კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ქართული კონსტიტუციონალიზმის პირობებში განხორციელებულმა რეფორმებმა საზოგადოების განვითარებისა და ქვეყნის წინსვლის ჭრილში ფუნდამენტური ძვრები გამოიწვია. სხვადასხვა დროს, ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგა და შესაბამისად აუცილებელი ხდებოდა ქვეყნის ძირითადი კანონი ამ გამოწვევებს მორგებოდა. კონსტიტუციის ახალ რედაქციათა თავისებურებად უნდა ჩაითვალოს სწორედ ის, რომ იგი შინაარსობრივად ფუნდამენტურად სცილდება წინა რედაქციას.

ნაშრომში განხილული საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ პროცესების კომპლექსური გააზრება წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კურსის განსაზღვრისთვის.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციონალიზმი; საკონსტიტუციო რეფორმები; დემოკრატიული ინსტიტუტები; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

**შესავალი**

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმის პროცესის მიმოხილვას ისახავს მიზნად. თემის, რომელიც განაპირობებს კონსტიტუციის პრესტიჟს. კონსტიტუციის შესწორება არსებითად ტექნიკური ხასიათის მოვლენაა. აუცილებელი პირობაა, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა მკაცრი პროცედურების დაცვით მოხდეს, რადგან ამის გარეშე კონსტიტუცია დაკარგავს თავის მნიშვნელობას. თუკი კონსტიტუციაში ცვლილება შევა იმ პროცედურებით, რაც სხვა ნებისმიერი ნორმატიული აქტისთვისაა დადგენილი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება თავად კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი. მკაცრად განსაზღვრული პროცედურების გარეშე, კონსტიტუცია შესაძლოა მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესის მსხვერპლიც კი გახდეს. გამარტივებული წესით შეტანილი ცვლილებები საფრთხეს შეუქმნის პოლიტიკური ლეგიტიმაციასაც (შაიო, 2013, გვ. 49). 1995 წლიდან, ქართული კონსტიტუციური წესრიგი დემოკრატიულ პროცესში უმრავლესობის მქონე ძალებს სრულ თავისუფლებას აძლევდა, კონსტიტუციური წესრიგი საკუთარი ვიწრო ინტერესების მიხედვით განესაზღვრა (ზედელაშვილი, 2013, გვ. 170). კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ნაკლებად სარისკოა მაშინ, როდესაც ცვლილებები საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კონსენსუსის შედეგად მიიღწევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირი ცვლილებები გარკვეულწილად აკნინებს კონსტიტუციის მნიშვნელობას. საქართველოს კონსტიტუცია ამ მხრივ სიმყარისკენ გადახრილია. ქართული კონსტიტუციონალიზმისთვის რეფორმების ჭრილში 3 მნიშვნელოვანი თარიღი განიხილება. 2004 წლის 6 თებერვლის, 2010 წლის 15 ოქტომბრისა და 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმების გატარებამ ძირეული ცვლილებები შეიტანა 1995 წლის კონსტიტუციაში. 1995 წლის კონსტიტუცია თამამად შეიძლება დავუკავშიროთ „შიშის კონსტიტუციონალიზმად“ აღიარებულ ანდრაშ შაიოს ცნობილ დათქმას. კონსტიტუციის მიღების პროცესში კომისიის წევრები მოქმედებდნენ იმ შიშით, რომ ახალ რედაქციაში არ მოხვედრილიყო ის შეცდომები, რომლებმაც რიგი ინსტიტუტები წარსულში არაეფექტიანად წარმოაჩინა და პირველ რიგში, აღნიშნულ რედაქციას მოწონება დაემსახურებინა საერთაშორისო პარტნიორთა შორის. საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების განხილვა მნიშვნელოვან წარმოდგენებს ქმნის ქვეყნისა და საზოგადოების

განვითარების ჭრილშიც. ხელისუფალი არ უნდა ისახავდეს მიზნად საკონსტიტუციო რეფორმების მეშვეობით ძალაუფლების უზურპაცია მოახდინოს. ხელისუფლების ლეგიტიმურობა, ანუ ხელისუფლების დეკლარირებული მიზნების თანხვედრა საზოგადოების უმრავლესობის მიზნებთან და მისწრაფებებთან არის ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ხელისუფლების განშტოებათა ურთიერთთანამშრომლობას (არაქელიანი & ნოდია, 2005, გვ.19).

**ძირითადი ნაწილი**

2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები, 1995 წლის კონსტიტუციის მეორე რედაქციის შემუშავება

2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმა 2003 წლის ნოემბერში განხორციელებულ ე.წ „ვარდების რევოლუციას“ და ხელისუფლების ცვლილებას უკავშირდება. ხელისუფლებაში მოსულმა იმდროინდელმა ძალამ შეიმუშავა კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი, რომელიც ხანმოკლე და მეტწილად ფორმალური განხილვის შემდეგ 2004 წლის 6 თებერვალს დაამტკიცეს პარლამენტში. კონსტიტუციური კანონის ავტორთა აზრით, კონსტიტუციისახალრედაქციასუნდაუზრუნველყო სისტემური კორუფციით დაავადებული სახელმწიფოს გამოჯანმრთელება, რომელსაც თავის მხრივ, უნდა ჩაეტარებინა გადაუდებელი, საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმები ეკონომიკის, პოლიტიკის, განათლებისა და სხვა სფეროებში. სწორედ, ამ მიზნების სარეალიზაციოდ, გარდაუვალი იყო სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია (ბაბეკი, ფიში & რაიჰენბეჰერი, 2012, გვ. 17).

კონსტიტუციური კანონის განმარტებითი ბარათის მიხედვით, შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების კონცეფცია მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო ფრანგული მოდელიდან გამომდინარეობდა, თუმცა, ცალსახად საკონსტიტუციო რეფორმით დამკვიდრებული მოდელი ფრანგული შერეული მოდელის ნაცვლად რუსულ ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემასთან უფრო ახლოს აღმოჩნდა (გონაშვილი, თევდორაშვილი, კახიანი, კახიძე, კვერენჩხილაძე & ჭიღლაძე, 2020, გვ. 84). რეფორმამ ფუნდამენტურად შეცვალა ხელისუფლების სისტემა. შედეგად ჩამოყალიბდა ფრანგულ მოდელზე ორიენტირებული შერეული ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელი, თუმცა იგი ფაქტობრივად წლების განმავლობაში სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკად იქცა. 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები სწრაფი ტემპით წარიმართა. ცვლილებების ნორმალური რეჟიმით განხილვის მსურველებს განუცხადეს, რომ ახალი მმართველობის მოქმედება 7 წლით განისაზღვრებოდა, რის შემდეგაც კონსტიტუცია, აუცილებლად უნდა გადასინჯულიყო (დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, 2019, გვ. 55). 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმა კონსტიტუციით დადგენილი გადასინჯვის პროცედურათა დარღვევით, საყოველთაოსახალხო განხილვის გარეშე იქნა მიღებული. ხსენებული რეფორმით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლები. შესუსტდა პარლამენტის რიგი უფლებამოსილებები, ჩამოყალიბდა ხელისუფლების ახალი აღმასრულებელი ორგანო და პროკურატურა ჩამოშორდა სასამართლო ხელისუფლებას. ფაქტობრივად საფრთხე შეექმნა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპია. 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმით პრეზიდენტის უფლებამოსილებამ მოიცვა, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ნიშნები, ისე საპარლამენტო ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი უფლებამოსილებები, უგულებელყოფილი იქნა შეკავება-გაწონასწორების მექანიზმი. აქვე, კონსტიტუციას დაემატა სრულიად ახალი მეოთხე პრიმა თავი, რომელმაც საქართველოს მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სტატუსი განსაზღვრა (გონაშვილი, თევდორაშვილი, კახიანი, კახიძე, კვერენჩხილაძე & ჭიღლაძე, 2020, გვ. 84). იმ პერიოდში შემოიღეს ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი. ნიშანდობლივია, რომ პროკურატურის უფლებამოსილება და ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში კონსტიტუციით აღარ განისაზღვრა და ეს უკანასკნელი ორგანულ კანონს მიენდო. სასამართლოს თავში განხორციელებული ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსარჩელე პირთა წრესაც შეეხო და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მიეცა საქართველოს მთავრობასაც. 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომ იგი გარკვეულწილად „ძლიერი საპრეზიდენტო ხელის“ სურვილით იყო განპირობებული (არაქელიანი & ნოდია, 2005, გვ. 22.). რეფორმა პრეზიდენტს უქვემდებარებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. მთავრობას პარლამენტის ნდობა უნდა მიეღო, თუმცა ეს ასპექტი ფორმალობად რჩებოდა, რადგან თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებდა მთავრობას, პრეზიდენტი მაინც ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს და

ითხოვდა პარლამენტს. საკონსტიტუციო ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს მთავრობისთვის უნდობლობისა და უპირობო უნდობლობის გამოცხადების პროცედურაც. საქართველოს კონსტიტუციამ გაითვალისწინა პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება პარლამენტში განსახილველ სახელმწიფო ბიუჯეტის, საგადასახადო კოდექსის და მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტებზე პარლამენტში დაესვა მთავრობის ნდობის საკითხი. თუ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას არ გამოუცხადებდა მთავრობას, პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში გადააყენებდა მთავრობას ან დაითხოვდა პარლამენტს და დანიშნავდა რიგგარეშე არჩევნებს. პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შესაბამისი კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლებოდა. აღნიშნული ნორმის შედეგად, სასურველი კანონპროექტის განუხილველად მიღების მიზნით, პრემიერ-მინისტრს მიენიჭა პარლამენტზე ზემოქმედების შესაძლებლობა. პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შემდეგ მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ 5 წევრით განახლების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენდა პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის განახლებულ შემადგენლობას (გონაშვილი, თევდორაშვილი, კახიანი, კახიძე, კვერენჩხილაძე & ჭიღლაძე, 2020, გვ.85). ცალსახად, 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმით არ იყო გამიჯნული სახელმწიფოს მეთაური აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. პრეზიდენტი ამ მოდელით ერთდროულად ფლობდა, როგორც საკანონმდებლო ინიციატივის, ისე შეყოვნებითი ვეტოს უფლებას. ეს უცხო იყო, როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო და ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის ფორმებისთვის. სახელმწიფოს მეთაური ასეთი ფართო უფლებამოსილებებით მუდმივ წნეხში აქცევდა საკანონმდებლო ორგანოს. აქვე, მთავრობა უფლებამოსილი იყო ღიად ჩართულიყო საკანონმდებლო პროცესებში. საკონსტიტუციო რეფორმით გაიზარდა იმ საკითხთა წრე, რომელზედაც სახელმწიფოს მეთაურს დეკრეტის გამოცემის უფლებამოსილება ჰქონდა. პრეზიდენტს შეეძლო დეკრეტი საფინანსო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოეცა და დეკრეტითვე დაემტკიცებინა სახელმწიფო ბიუჯეტი.

რეფორმით გათვალისწინებულმა ცვლილებებმა უამრავი ბოლომდე გაუაზრებელი იდეა, დაუხვეწავი ნორმა და არასრულყოფილად დარეგულირებული მექანიზმი შემოიღო, რომელიც არაორგანულად ჩაიწერა იმდროინდელი კონსტიტუციის ტექსტში (მელქაძე, 2004, გვ. 642.). საჭირო იყო საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები რაციონალურად გადანაწილებულიყო. გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა შეკავება-გაწონასწორების მექანიზმის შემოღებაც. 2004 წელს ახლადმოსული ხელისუფლება შეეცადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გაეუქმებინა და იგი უზენაესი სასამართლოსთვის შეერთებინა, თუმცა უშედეგოდ. 2004 წლის 17 დეკემბერს საყოველთაო სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნებული კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა შეზღუდვას ისახავდა მიზნად არ მიღებულა. სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშრებული საკითხების გადაწყვეტა ორგანულად უკავშირდება პარლამენტის საქმიანობას. პარლამენტარიზმის ისტორიის თანახმად, სწორედ საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრა იყო საკანონმდებლო ორგანოთა შექმნის ძირითადი მიზანი. შესაბამისად საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხები სრულად უნდა დაქვემდებარებულიყო პარლამენტს, რადგან ეს ყოველივე პარლამენტარიზმისთვის დამახასიათებელი კონცეპტუალური თვისებაა (არაქელიანი & ნოდია, გვ. 23). პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუმცა მეტად გონივრული იქნებოდა ამ ფუნქციის დავიწროვება. რაც შეეხება პროკურატურის გამოცალკევებას სასამართლო ხელისუფლებისგან, ამასაც აქვს თავისი წინაპირობები. პროკურატურა მჭიდროდაა დაკავშირებული სასამართლო ხელისუფლებასთან. რეფორმამ სასამართლო ხელისუფლებისგან პროკურატურის ჩამოშორებით საფრთხე შეუქმნა მის ადგილს სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში. საბოლოოდ კი, უარი ითქვა პროკურატურის ფუნქციების კონსტიტუციით დეკლარირებაზე, ეს ყოველივე ორგანულ კანონს მიენდო. უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“.

**ვენეციის კომისიის დასკვნა 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციურ ცვლილებებზე**

რეფორმის განხილვის პროცესში გასათვალისწინებელია ვენეციის კომისიის დასკვნა. ვენეციის კომისიის შემუშავებული „საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების პროექტთან დაკავშირებული დასკვნა“ (№281/2004), რომელიც მიღებულია ვენეციის კომისიის პლენარულ სხდომაზე 12-13 მარტს მნიშვნელოვან რეკომენდაციებსა და შეფასებებს იძლევა 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ (Venice Commission). დასკვნაში მითითებულია, რომ აღნიშნული რეფორმით სახელმწიფომ ვერ შეძლო რეფორმის ძირითადი მიზნების სრულყოფილად რეალიზება. აგრეთვე აღნიშნულია ის ასპექტიც, რომ ცვლილება-დამატებები ხშირ შემთხვევაში პრეზიდენტს უტოვებს ფართო უფლებამოსილებებს (მელქაძე, 2004, გვ. 660). 2004 წლის 6 თებერვლის რეფორმის შედეგად აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ფორმალურად დისტანცირებული პრეზიდენტი ფაქტობრივად მის წარმმართველ ფიგურად დარჩა (გონაშვილი, თევდორაშვილი, კახიანი, კახიძე, კვერენჩხილაძე & ჭიღლაძე, 2020, გვ.86). ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ რეფორმით დამკვიდრებული მმართველობის სისტემა არ იყო კოჰერენტული და რაციონალური. საქართველოს მიეცა რეკომენდაცია, რომ სახელისუფლებო შტოებს შორის მიეღწია გარკვეული თანაფარდობისთვის. ეს ყოველივე კი გულისხმობდა იმას, რომ აუცილებელი იყო პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ძალაუფლების სწორი გადანაწილება და დისბალანსის აღმოფხვრა. ამ და სხვა პრობლემათა გადაჭრის მიზნით ჩატარდა საქართველოში შემდგომი საკონსტიტუციო რეფორმები.

**2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები, 1995 კონსტიტუციის მესამე რედაქციის განმსაზღვრელი ელემენტები**

სახელმწიფო ხელისუფლების ზედმეტმა ცენტრალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი. კონსტიტუციაში ხარვეზიანი იყო მმართველობის ფორმასთან, მეთოდებთან, საკანონმდებლო ორგა-ნოს კომპეტენციასთან და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებასთან დაკავშირებული დებულებები. ახალი საკონსტიტუციო რეფორმის მიზანი ამ ინსტიტუტების ბალანსირება უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა დემოკრატიული ინსტიტუტების კონსტიტუციური სტატუსის ხელახლა განსაზღვრა, რასაც დადებითი შედეგები უნდა მოეტანა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ჭრილშიც. კონსტიტუციის მაშინდელ რედაქციაში ძირითადი პრინციპების იგნორირება საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის გარკვეულ დისონანსს იწვევდა. საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა გაითვალისწინა ოპოზიციური პარტიების ინიციატივა (დემეტრაშვილი, 2012, გვ.2). ამ ინიციატივის ფარგლებში, პრეზიდენტის განკარგულებით 2009 წლის 8 ივნისს შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. ამ განკარგულებითვე განისაზღვრა მორიგი საკონსტიტუციო რეფორმის დასაწყისი. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია არსებითი ხასიათის ხარვეზებით შეიქმნა. აღნიშვის ღირსია ისიც, რომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ვერ შეიქმნა რეფორმისტული პროექტი, რამაც ერთგვარად დააკნინა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ლეგიტიმურობის ხარისხიც (დემეტრაშვილი, 2012, გვ. 77).

**ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზება და შტოებს შორის კომპეტენციათა გადანაწილების ფარგლები**

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ძირითადი მიზანი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციის გაზრდა იყო. ახალმა რედაქციამ პრეზიდენტს ჩამოართვა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პრეზიდენტს აღარ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის გაუქმების დისკრეციული უფლებამოსილება, პრეზიდენტი ვერ მოითხოვდა საკუთარი კანონპროექტის რიგგარეშე განხილვას. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პრეზიდენტის ვეტოს ჭრილშიც. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი პრომულგაციისთვის უნდა გადასცემოდა პრეზიდენტს. თუკი პრეზიდენტი მოცემულ კანონპროექტს ეთანხმებოდა ხელმოწერით უნდა დაედასტურებინა იგი, ხოლო თუკი ეწინააღმდეგებოდა იყენებდა ვეტოს უფლებას და მოტივირებული შენიშვნებით უგზავნიდა პარლამენტს კანონპროექტს. ზოგადი წესით, ვეტო, როგორც დოკუმენტი, სამართლებრივ-პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით განისაზღვრა, რომ სახელმწიფოს მეთაურის ვეტო სუსპენზიური უნდა ყოფილიყო, მისი დაძლევა საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობას შეეძლო, თუკი არ იზიარებდა პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს. ვეტოს ე.წ „დამძლევი უმრავლესობა“ სხვადასხვა ნორმატიული აქტისთვის სხვადასხვანაირად განისაზღვრა. საპარლამენტო კომპეტენციის ზრდა იმაშიც გამოიხატა, რომ საკანონ-

მდებლო ორგანოს შეეძლო იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაეყენებინა უმაღლესი თანამდებობის პირები. 2010 წლის რედაქციით მთავრობის ფორმირების წესი მკვეთრად შეიცვალა. მთავრობის ფორმირება ხდებოდა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ. სახელმწიფოს მეთაური მთავრობის ფორმირების პროცესში მაშინ ერთვებოდა, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა სახეზე არ იყო.

2004 წლის რედაქციისგან განსხვავებით მთავრობის ფორმირება ახალი ტექსტით მოყვებოდა არა საპრეზიდენტო, არამედ საპარლამენტო არჩევნებს. განისაზღვრა უნდობლობის გამოცხადების პროცედურაც, არჩევანი გაკეთდა უნდობლობის კონსტრუქციულ ვოტუმზე, თუმცა მასში განსხვავებული შტრიხებიც შევიდა, რამაც საზოგადოებაში სხვადასხვა ინტერპრეტაციები გაჩინა. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი ისეთი ფორმით იქნა ჩამოყალიბებული, რომ მისი პრაქტიკული რეალიზება თითქმის შეუძლებელი იყო, არც პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებები იყო სრულად გააზრებული, რამაც 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებისთანავე იჩინა თავი და კონსტიტუციურ ორგანოებს შორის ერთგვარი დაპირისპირების საგანიც კი გახდა (ხეცურიანი, 2018, გვ. 28.). ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ ორპალატიანი პარლამენტის მოწყობის საკითხმა უმრავლესობის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში განიხილებოდა ხელისუფლების დანაწილების სისტემაში პარლამენტის როლის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე წინადადება, რომლებმაც უმრავლესობის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ერთმნიშვნელოვნად, სამსჯელო იყო პარლამენტის ბიკამერალური, ორპალატიანი სტრუქტურის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ წინადადება კომისიის პლენალურ სხდომაზეც კი არ გასულა, კომისიამ არ გააუქმა მოქმედი ტექსტის ის ჩანაწერი, რომელიც ორპალატიან პარლამენტს შეეხება (მაჭარაძე, 2017, გვ. 191). გარკვეული შეხედულებით, ბიკამერული პარლამენტის არსებობა მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც იურისდიქცია ოკუპირებულ ტერიტორიებზეც აღდგება. უმრავლესობამ არ გაიზიარა საკითხი მოსამართლეთა საკანონმდებლო ორგანოს მიერ დანიშვნის შესახებაც. ამ წინადადების მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტი მოსამართლეთა პოლიტიზირების რისკს ეყრდნობოდა (დემეტრაშვილი, 2012, გვ. 14). 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი გახდა. კრიტიკოსები აცხადებდნენ, რომ მისი გაყვანა ხელისუფლების ტრიადიდან არასწორი გათვლა იყო. 2010 წლის საკონსტიტუციო კომისიამ 2005 წელს გამოთქმული ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა და პროკურატურა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოაქცია (არაქელიანი & ნოდია, 2005, გვ. 31).

ხსენებული რეფორმით საქართველო ჩამოყალიბდა არა კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკად, არამედ შერეულ ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად, რომელიც გაჯერებული იყო საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნებით და ორიენტირებული იყო საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმირებისკენ. კონსტიტუციის ეს რედაქცია 2013 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდა და 2018 წლამდე, ახალ საკონსტიტუციო რეფორმამდე იმოქმედა.

**2004 და 2010 წლების საკონსტიტუციო რეფორმების სისტემური ხარვეზების ურთიერთმიმართება**

საკონსტიტუციო კომისიის ჯერ სარედაქციო საბჭოს, შემდეგ კი კომისიის სრული შემადგენლობის სხდომებზე უარი ითქვა ახალი კონსტიტუციის შემუშავება-მიღებაზე, რაც სახელმწიფო ხელისუფლების აქტითაც განმტკიცდა (ბაბეკი, ფიში & რაიჰენბეჰერი, 2012, გვ. 22). კონსტიტუციის გადასინჯვა 2010 წლის რეფორმით ძირითადად შეეხო საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის თავებს. მეტწილად დაიხვეწა და გაიმიჯნა მათი კომპეტენციები. მესამე რედაქციამ კორექტირება შეიტანა პრეამბულაში და გამართა იგი. ცვლილებები შევიდა მეორე თავის რამდენიმე მუხლში, კერძოდ ეს შეეხო სახელმწიფო საქმეებში ბიპატრიდების ჩართულობას, საკუთრების უფლების დაცულობას, მიმოსვლის თავისუფლებას და ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობას. რეფორმის ახალ ტექსტში განისაზღვრა მოსამართლეთა უვადოდ განწესების ინსტიტუტიც, გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტთა წრე. გაჩნდა ახალი მეშვიდე თავიც, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობას ეხებოდა. იმ იდეამ, რომ საქართველო გამხდარიყო რეგიონალიზმის პრინციპებზე შექმნილი სახელმწიფო, რომელშიც რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულს, კერძოდ აჭარას, აფხაზეთს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს და ქალაქ თბილისს განსაკუთრებული

სტატუსი ექნებოდა მხარდაჭერა ვერ მოიპოვა (ბაბეკი, ფიში & რაიჰენბეჰერი, 2012, გვ. 23). 2010 წლის რეფორმა შესაძლოა შეფასდეს, როგორც პროგრესული გათვლა მაშინდელი მმართველი პოლიტიკური ძალისგან. 2010 წლის ნოემბრის პერსპექტივიდან ნათლად იკვეთება, რომ ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა და ვენეციის კომისიამ კონსტიტუციური რეფორმა შეაფასა, როგორც ტრანზიციის პროცესში მყოფი ახალგაზრდა დემოკრატიის განვითარების ობიექტური ეტაპი, „მნიშვნელოვანი გაუმჯობესება“, ხოლო არასაპარლამენტო ოპოზიციამ, როგორც მმართველი პარტიის განზრახვა შეექმნა თავის კონიუნქტურულ პოლიტიკურ ინტერესებზე მორგებული მმართველობის სისტემა. ცალსახად, ორივე პოზიცია იზიარებს გარკვეულ არგუმენტებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ კონსიტიტუციის ტექსტი და მისი პრაქტიკაში მოქმედება ხელს შეუწყობდა ევროპული კონსტიტუციონალიზმის იდეების გაზიარებას (ბაბეკი, ფიში & რაიჰენბეჰერი, 2012, გვ. 24).

**ვენეციის კომისიის დასკვნა 2010 წლის15 ოქტომბრის კონსტიტუციური რეფორმის თაობაზე**

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმასთან მიმართებით გასათვალისწინებელია ვენეციის კომისიის დასკვნა. ევროპული კომისიის „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ საბოლოო დასკვნა მნიშვნელოვან რეკომენდაციებს იძლევა გატარებული რეფორმის ხარვეზიანობასთან დაკავშირებით (Venice Commission). კომისია აღნიშნავს, რომ მიესალმება ისეთი საკითხების მომეტებულ დაცვას, როგორიცაა საპარლამენტო კომიტეტთა შემადგენლობა, მოქალაქეობის მიღება, საკუთრების ჩამორთმევა, შეკრების უფლება, სახალხო დამცველის ინსტიტუტი, პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, პრეზიდენტის არჩევა, პრეზიდენტის იმუნიტეტი, საკონსტიტუციო სასამართლო, მოსამართლეთა დანიშვნა, ეროვნული ბანკი, უშიშროების საბჭო და ადგილობრივი თვითმმართველობა (დემეტრაშვილი, 2012, გვ. 364). რეფორმით, საქართველო საპრეზიდენტო სისტემიდან შერეული ტიპის სისტემაზე გადავიდა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი მეტ-ნაკლებად მიიღწეოდა. რეფორმის ძალით, პრეზიდენტი აღარ იქნებოდა საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმმართველი, იგი წარმოდგენილი იყო, როგორც ნეიტრალური არბიტრი სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის. კომისიის დასკვნა ერთმნიშვნელოვნად იზიარებს განხორციელებული რეფორმის ეფექტურობას, თუმცა აღნიშნავს, რომ დასახვეწი იყო უნდობლობის საკითხი. აუცილებელი იყო პარლამენტის უფლებამოსილებების გადახედვა საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებითაც. ვენეციის კომისია დასკვნაში მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება უფრო მყარი გზით უნდა განხორციელდეს, თუმცა ის ცოცხალი დოკუმენტი უნდა დარჩეს იმდენად, რამდენადაც მასში ცვლილებების შეტანა საზოგადოების უმთავრესი მოთხოვნილებაა.

**2013-2015 წლები საქართველოში**

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმას მიუხედავად ბევრი დადებითი ელემენტისა მაინც ახასიათებდა ისეთი ნიუანსები, რომელთა გამოსწორებასაც ავტორიტეტული ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე ოპოზიციის წარმომადგენლები და საზოგადოების ფართო ფენები ისახავდნენ მიზნად. სწორედ ამ ე.წ გაპარული ხარვეზების გამო საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 4 ოქტომბერს გამოსცა დადგენილება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც მიზნად ახალი რეფორმის ჩატარება დაისახა. კომისიას კანონპროექტი 2015 წლის 1 მარტამდე უნდა წარედგინა (საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 30 ივლისი 2014, 2606-რს). სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომიიის დებულების“ მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ კომისიის უმთავრესი მიზანი წინა საკონსტიტუციო რეფორმების შედეგების „სალიკვიდაციო სამუშაოების“ წარმოება იყო (დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, 2019, გვ. 57). საბოლოო ჯამში, რიგი მიზეზების გამო შეთანხმება არ შედგა და კომისიის მუშაობას მორიგი საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელება არ მოჰყოლია.

**2017-2018 წლების საკონსტიტუციო ცვლილებები, 1995 კონსტიტუციის მეოთხე რედაქციის ძირითადი მახასიათებლები**

2017-2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმების შედეგად საქართველო საქართველო საბოლოოდ ჩამოყალიბდა საპარლამენტო რესპუბლიკად. 2016 წლის 15 დეკემბერს პარლამენტის დადგენილებით

შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის მომზადების მიზნით. პროცესი უზრუნველყოფდა კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპებთან სრულ შესაბამისობას და ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების ინტერესების შესაბამისი კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებას (საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 15 დეკემბერი, 2016 წ., N65-Iს).

2017-2018 წლის რეფორმების ანალიზისას ვლინდება ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ქართულმა კონსტიტუციონალიზმმა რეფორმებთან ერთად განვლო. აღსანიშნავია, რომ ასეთ მოკლე დროში, რესპუბლიკის ყველა სახის გამოცდა მეტად პრობლემატურად ჩაითვალა. საზოგადოების დიდი ნაწილი კონსტიტუციის ძირეულ პრობლემებს სწორედ მმართველობის შეუსაბამო მოდელს უკავშირებდა. გარკვეული თვალსაზრისით, კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების რეალიზების შემაფერხებელი არ უნდა იყოს რომელიმე მმართველობის ფორმა. ნებისმიერ შემთხვევაში, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა შესაძლოა წარმატებით განხორციელდეს, როგორც კონსტიტუციური მონარქიის, ისე საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში (ხეცურიანი, 2018, გვ. 27). ნიშანდობლივია, რომ იმ დროისთვის დაუხვეწავი იყო შეკავება-გაწონასწორების მექანიზმიც. ამ კუთხით ტექტონიკური ძვრების გამომწვევი აღმოჩნდა 2017-2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმა.

**საქართველოს პოლიტიკური სისტემის ევოლუციის პროცესის დასასრული საპარლამენტო სისტემისკენ**

რეფორმით ჩამოყალიბდა ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი მმართველობის საპარლამენტო სისტემა, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციები, განსაკუთრებით მისი საზედამხედველო ფუნქციები, გამარტივდა პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება, დადგინდა პრემიერ-მინისტრის პარლამენტისადმი ანგარიშვალდებულების წესი, განისაზღვრა პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი, პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლებიდან გამოიყო და დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოდ ჩამოყალიბდა. ცვლილებებით, მთავარ პროკურორს საპროკურორო საბჭოს წარდგინებით, პარლამენტი აირჩევს. პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებით ახალ რედაქციაში ინტერესის საგანია, როგორც პრეზიდენტის არჩევის წესის, ისე მისი უფლებამოსილების ასპექტების სრულყოფილი გააზრება. მოქმედი რედაქციით მომავალი საქართველოს პრეზიდენტის არჩევას მოახდენს საარჩევნო კოლეგია. საარჩევნო კოლეგიის შექმნის წესი კი განისაზღვრა საქართველოს კონსტიტუციით (საქართველოს კონსტიტუცია, 31-33, 24/08/1995, 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი). თუმცა, ცალკეულ ნორმებს ვხვდებით საარჩევნო კოდექსშიც. საარჩევნო კოლეგია პრეზიდენტის არჩევის მიზნით შექმნილი 300 წევრისგან შემდგარი ორგანოა, რომლის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით ხდება. საარჩევნო კოლეგია არ არის მუდმივმოქმედი ორგანო, პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე მისი უფლებამოსილება წყდება. საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარებულად რომ ჩაითვალოს არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. პირველ ტურში კანდიდატის გამარჯვებისთვის საჭიროა საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერა მაინც. სახელმწიფო მეთაურის მაღალი პოსტიდან გამომდინარე, კვალიფიცური უმრავლესობის მოთხოვნა, მეტწილად, უზრუნველყოფს კიდეც პოლიტიკურად ნეიტრალური კანდიდატის შერჩევას (გონაშვილი, თევდორაშვილი, კახიანი, კახიძე, კვერენჩხილაძე & ჭიღლაძე, 2020, გვ. 178). იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში გამარჯვებული კანდიდატი ვერ გამოვლინდა ინიშნება არჩევნების მეორე ტური. მასში მონაწილეობის უფლება აქვს უკეთესი შედეგების მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. მნიშვნელოვანია, რომ მეორე ტურის შემთხვევაშიც დადგენილია საარჩევნო კოლეგიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის კვორუმი. ისეთ შემთხვევაში თუ პირველ და მეორე ტურში საარჩევნო კოლეგიამ პრეზიდენტი არ აირჩია, ან არჩევნები არ შედგა, დღის წესრიგში, 30 დღის ვადაში, საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნების გამართვის საკითხი დგება (გონაშვილი, თევდორაშვილი, კახიანი, კახიძე, კვერენჩხილაძე & ჭიღლაძე, 2020, გვ. 178). აქვე, ცვლილებები შეეხო პრეზიდენტის, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის კომპეტენციებსაც. კერძოდ, მოქმედი რედაქცია უშიშროების საბჭოს გაუქმებას და მის ნაცვლად, თავდაცვის საბჭოს შექმნას ითვალისწინებს,

რომელიც მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს შეიკრიბება. საომარი მდგომარეობის დროს ოპერაციული მართვის ნაწილში, აღსანიშნავია, რომ ეს უფლებამოსილება პრემიერ-მინისტრს მიენიჭა.

2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმით შემცირდა პრეზიდენტის კომპეტენციები საგარეო ურთიერთობების ნაწილშიც. კერძოდ, მას აღარ აქვს შესაძლებლობა დაბლოკოს ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიების ცვლილებას, სამხედრო კავშირში და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებას შეეხება. კომპლექტაციის უფლებამოსილების ჭრილში კი აღნიშვნის ღირსია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების პარლამენტისთვის წარდგენის უფლების იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გადაცემა (მენაბდე, 2017, გვ.16). 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად დაიხვეწა ადამიანის უფლებების თავიც. გარდამავალმა დებულებებმა გაამყარა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი და ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია კონსტიტუციური ორგანოების უმთავრეს კონსტიტუციურ ვალდებულებად იქცა. ხსენებულიმუხლიავალდებულებსკონსტიტუციურ ორგანოებს მიიღონ ყველა შესაძლო ზომა დასახული მიზნების რეალიზების თვალსაზრისით (საქართველოს კონსტიტუცია, 31-33, 24/08/1995, 78-ე მუხლი). სიახლე იყო კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი წესი, ე.წ „სკანდინავიური ორმაგი ვოტუმის“ მოდელი, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო ცვლილებები მომდევნო მოწვევის პარლამენტის დამტკიცების შემდეგ ამოქმედდება (საქართველოს კონსტიტუცია, 31-33, 24/08/1995, 77-ე მუხლის მე-3 პუნქტი). კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით სკანდინავიური მოდელის გარეშე ცვლილება სასწრაფო და გარდაუვალი მდგომარეობისას შესაძლოა შევიდეს ¾ კვორუმით, ანუ 113 დეპუტატის ხმით, სახელმწიფოს მეთაურს ამ შემთხვევაში აქვს ვეტოს უფლება (საქართველოს კონსტიტუცია, 31-33, 24/08/1995, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტი). მოქმედი რედაქციის ფარგლებში, ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პარლამენტი ცვლილებების დამტკიცებისთვის შემდგომი მოწვევის პარლამენტს არ ელოდება და ცვლილებები ძალაში 2/3 უმრავლესობით შედის (საქართველოს კონსტიტუცია, 31-33, 24/08/1995, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტი). მნიშვნელოვნად დაიხვეწა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მისი ორგანოების უფლებამოსილებები. 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში კონსტიტუციის პირველ თავს დაემატა სამი ახალი მუხლი, რომელშიც დემოკრატიის, სამართლებრივ სახელმწიფოსა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპის განმამტკიცებელი ნორმებია თავმოყრილი. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის განმტკიცება პროგრესული ნაბიჯია სოციალური მიზნების რეალიზების თვალსაზრისით (საქართველოს კონსტიტუცია, 31-33, 24/08/1995, 5-ე მუხლი). ამ მუხლის ფარგლებში, სახელმწიფო მუდმივად ინარჩუნებს ვალდებულებას საზოგადოებაში განახორციელოს სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლიდარობის ფუნდამენტური პრინციპები (დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, 2019, გვ. 23). სოციალური უფლებების განმტკიცება კონსტიტუციით განსაზღვრავს საარსებო მინიმუმიმის უზრუნველყოფის პირობებსაც. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს შრომის თავისუფლება (საქართველოს კონსტიტუცია, 31-33, 24/08/1995, 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია კრძალავს მონოპოლიურ საქმიანობასაც (საქართველოს კონსტიტუცია, 31-33, 24/08/1995, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ამ უფლებათა დეკლარირება მიმართულია საზოგადოებაში ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებისკენ.

გარკვეულ ავტორთა შეხედულებით, კონსტიტუცია წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დამახინჯდა და მას დეონტური ლოგიკის თვალსაზრისითაც პრობლემები აქვს (დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, 2019, გვ. 57). 2018 წელს პარლამენტმა კონსტიტუციის ასამოქმედებელ ახალ რედაქციაში კვლავ შეიტანა ცვლილებები, ეს განპირობებული იყო იმით, რომ ვენეციის კომისიამ თავის დასკვნას თან დაურთო რეკომენდაციები რიგ ინსტიტუტებთან მიმართებით. არჩევნებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ხარვეზიანად ჩაითვალა, მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი პარლამენტს მეორე მოსმენით უკვე მიღებული ჰქონდა, რეკომენდაციათა გასათვალისწინებლად აუცილებელი გახდა საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ კანონპროექტის ხელახლა ინიცირება, რაც პროცედურათა სრული დაცვით წარიმართა და საკონსტიტუციო ცვლილებები საბოლოოდ 2018 წელს დასრულდა. 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმამ პარლამენტის რეგლამენტის იურიდიული ძალა ძირითადი კანონის ტექსტით განამტკიცა. კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ პარლამენტის რეგლამენტს აქვს კანონის ძალა, მას ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (გონაშვილი, თევდორაშვილი,

კახიანი, კახიძე, კვერენჩხილაძე & ჭიღლაძე, 2020, გვ. 196). აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ძირითადი კანონით ცალსახად არ არის განსაზღვრული ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა, თუმცა კონსტიტუციის პირველივე მუხლში გაკეთებული დათქმა მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანა უნიტარული ტერიტორიული მოწყობისაა, რეგიონალიზმის გარკვეული ელემენტებით. 2017-2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმა შეეხო საკონსტიტუციო სასამართლოსაც. მოქმედმა რედაქციამ შეამცირა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციები, გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი უფლებამოსილება, მათ შორის ნორმათა ფორმალური კონტროლი (ხეცურიანი, 2018, გვ. 27). პროკურატურასთან დაკავშირებით, მისი სასამართლო ხელისუფლების თავში გაერთიანება პირობითია. გარკვეული შეფასებებით პროკურატურა თავისი უფლებამოსილებებითა და ანგარიშვალდებულებით საკანონმდებლო ხელისუფლებას უფრო უკავშირდება, ვიდრე აღმასრულებელს (ხეცურიანი, 2018, გვ. 30).

**ვენეციის კომისიის დასკვნა 2017-2018 წლების კონსტიტუციურ ცვლილებებზე**

საქართველოში 2017-2018 წლებში განხორციელებულ მასშტაბურ საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან განმარტებებს აკეთებს ვენეციის კომისია. დასკვნა დეტალურად მიმოიხილავს საქართველოში გატარებულ მორიგ საკონსტიტუციო რეფორმას (Venice Commission). კომისია მიიჩნევს, რომ განხორციელებული რეფორმა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. აღნიშნული რეფორმა იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისითაც მეტად აუმჯობესებს კონსტიტუციის ტექსტს. მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა ადგილობრივი თვითთმართველობის საკითხებზე, კერძოდ, დასკვნაში მიეთითა, რომ აღნიშნული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის მყარად განმტკიცებას. დასკვნა ხაზს უსვამს, რომ ევროპის კავშირის მოქალაქეებს უნდა მიენიჭოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი თანამედროვე დემორკატიული საზოგადოების აუცილებელი ელემენტი და პოლიტიკური სისტემის პროგრესულობის ერთგვარი საზომია (ჭიღლაძე, 2011, გვ. 291). ვენეციის კომისიის შეფასება ღირებულია იმ თვალსაზრისითაც, რომ გამოკვეთს პერსპექტივებს, რომლის ძალითაც შესაძლებელი ხდება საქართველოს კონსტიტუციაში შევიდეს იმგვარი ცვლილებებბი, რომლითაც ევროპის კავშირის მოქალაქეებს ადგილობრივ არჩევნებში მიეცემათ მონაწილეობის მიღების უფლება. გასაზიარებელია ვენეციის კომისიის დასკვნის ფარგლებში განხილული ფულის ემისიის საკითხიც. კერძოდ, ევროკავშირში ფულის ემისიის ექსკლუზიური უფლება აქვს ევროპის ცენტრალურ ბანკს, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით კი - საქართველოს ეროვნულ ბანკს (საქართველოს კონსტიტუცია, 31-33, 24/08/1995, 68-ე მუხლის მე-4 პუნქტი). შესაბამისად, კონსტიტუციის ნორმა ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ხაზი გაესვას ევროპის ცენტრალური ბანკის უფლებრივ უპირატესობას მონეტარულ პოლიტიკაში სახელმწიფოს ეროვნულ ბანკთან მიმართებით. ცალსახად, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების ჭრილში, კონსტიტუციის ახალი რედაქციის ტექსტი მეტად დახვეწილია. კომისია აღნიშნავს, რომ სწორი გათვლაა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა და ამის გამო ე.წ ბონუსის სისტემის გაუქმება და გაუნაწილებელი მანდატების ყველა იმ პარტიაზე გადანაწილება, რომელიც გადალახავს საარჩევნო ბარიერს. ნიშანდობლივია, რომ მოქმედი რედაქცია მაქსიმალურად მორგებულია იმ ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებზე, რომლებიც ქვეყანაში დემოკრატიულობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

**დასკვნა**

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილული საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების ძირითადი მახასიათებლები, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვან სიახლეებს განაპირობებდა დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებისა და განვითარების კუთხით, ღირებული საკვლევი მასალა ხდებოდა მეცნიერ-იურისტთათვის. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, რეფორმათა ძირეული გააზრება და საზოგადოების ინფორმირება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ელემენტებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად ზრდის მოქალაქეთა ჩართულობას სახელმწიფოებრივ პროცესებში. ეს პროცესები კი თავის მხრივ განაპირობებენ კონსტიტუციის უზენაესობის პრაქტიკაში რეალიზებას. კლასიკური კონსტიტუციონალიზმის პირობებში, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ისე დაექვემდებაროს სამართალს,

რომ სახელმწიფო ორგანოები ვერ იჭრებოდნენ თავისუფლების სფეროში (შაიო, 2003, გვ. 39). კონსტიტუციაში შესწორებების შეტანა გარდაუვალია, თუმცა მნიშვნელოვანი ელემენტია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა ქვეყნის ძირითად კანონში შესწორებები მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით შეიტანოს, სწორედ ეს განაპირობებს კონსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობას. საბოლოოდ კი, საკონსტიტუციო რეფორმებთან, კონკრეტულად კი, წინამდებარე ნაშრომის ძირითად საკვლევ საკითხთან - საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების ანალიზთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ჭრილში გადამწყვეტია საკონსტიტუციო რეფორმების პროცესის წარმართვისა და მისი ძირითადი მახასიათებლების როლი.

**ლიტერატურა:**


1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ.მაისურაძის თარგმანი, თ.ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003.
3. ზედელაშვილი, დ., კონსტიტუციის გადასინჯვა საქართველოში: უმრავლესობების ვნებები და კონსტიტუციური წესრიგი, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში სტატიების კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.
4. არაქელიანი ა., ნოდია გ., საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები, თბილისი, 2005.
5. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019.
6. მელქაძე ო., საკონსტიტუციო რეფორმის კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა - ტომი 7. N 4. 2004
7. Venice Commission (European Commission For Democracy Through Law), Final opinion (No.CDL-AD(2004)008) on the draft amendments to the constitution of Georgia.
8. 8.დემეტრაშვილი ა., საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები, 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, ბათუმი, 2012.
9. ბაბეკი ვ., ფიში ს., რაიჰენბეჰერი ც., „კონსტიტუციის გადასინჯვა-საქართველოს გზა ევროპისაკენ“, ავთანდილ დემეტრაშვილის წინათქმით, თბილისი, 2013.
10. Venice Commission (European Commission For Democracy Through Law), Final opinion (No.CDL-AD(2010)028) on the draft constitutional law on amendments and changes to the constitution of Georgia.
11. საქართველოს პარლამენტის დადგენილება, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, ქუთაისი, 15 დეკემბერი, 2016 წ., N65-Iს.
12. გონაშვილი ვ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კახიძე ი.,კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2020.
13. 13.ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი #1., თბილისი, 2018.
14. Venice Commission (European Commission For Democracy Through Law), Final opinion (No.CDL-AD(2018)005 on the draft constitutional amendments adopted on 15 December 2017 at the second reading by the Parliament of Georgia.
15. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1479–Iს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 30 ივლისი 2014, 2606-რს.

16. ჭიღლაძე ნ., უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე; სტატიათა კრებული - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო; 2011.
17. მენაბდე ვ., საქართველოს კონსტიტუციის მესამე ფუნდამენტური გადასინჯვა, ქართული სამართლის ჟურნალი, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის პერიოდული გამოცემა, თბილისი, 2017.

**Normative and theoretical analysis of the constitutional reforms implemented in Georgia**

***Ketevan Karichashvili, TSU***

**Summary**

Constitutional amendments play a pivotal role in the evolution of governance and the protection of individual rights. The constitution is a living document, with the development of society and conducting certain evolutionary processes, it is vital to make changes in it. Constitutional amendments represent a crucial mechanism for adapting and evolving a country's or state's fundamental law.

The article's purpose is to briefly review the process of constitutional reforms by emphasizing the complexities and significance of constitutional amendments in the realm of governance and constitutional law. Constitutional amendments are the building rocks of constitutional law. In essence, understanding the intricacies of constitutional amendments is paramount for comprehending how societies evolve and adapt their governance structures. It is significant that in the process of making easy-to-implement changes, the impermanent and supreme values of a person recognized by the constitution are threatened. At various times, the country faced significant challenges and therefore it became necessary for the basic law of the country to adapt to these challenges. The peculiarity of the new editions of the constitution should be considered precisely because it is fundamentally beyond the previous edition in terms of content.

Constitutional amendments are typically used to adapt a country's fundamental law to changing circumstances, address issues not originally covered, or protect individual rights and freedoms. As political practices change over time, adjustments to the constitutional text keep it aligned with current practices and help ensure its continued relevance. The constitutional reforms implemented in Georgia discussed in the article are important to the extent that a complex understanding of these processes is a step forward for the development of democratic institutions and the country's integration into European and Euro-Atlantic structures.

Key words: Constitutionalism; Constitutional Reforms; Democratic institutions; European and Euro-Atlantic integration;

# ისტორიის მეცნიერებები

# HISTORY SCIENCES

## მესხური თამაშები: მითი თუ სინამდვილე?!

*ვაჟა დანელია,*
*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი*

**რეზიუმე**

სპორტი თითქმის ისეთივე ძველია, როგორც ცივილიზაცია. სანდო წყაროებით დასტურდება, რომ სპორტით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უხსოვარი დროიდან იყვნენ გატაცებული, თუმცა მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კლასიკური სახე მას ძველმა საბერძნეთმა მისცა.

ანტიკურ ოლიმპიაში სასპორტო ღონისძიებები ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე მე-9 საუკუნიდან იმართებოდა. ყველაზე ადრეული და ისტორიულად სარწმუნო ცნობა კი თარიღდება ძვ.წ. აღ. 776 წლით, როცა გამარჯვებულთა გვარების ჩაწერა და თამაშების აღრიცხვა დაიწყეს.

მართალია, ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში ქართველთა მონაწილეობა ისტორიულად დასაბუთებული არ არის, მაგრამ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ ქართველები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ელინთა ოლიმპიადების მსგავს სასპორტო თამაშებს თავად მართავდნენ.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ერთ-ერთი ასეთი წყარო - 1882 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული მესხი მკვლევარ-ეთნოგრაფ ივანე გვარამიძის სტატია, რომელიც მესხურ თამაშებს შეეხება. ის წინარექრისტიანული შეჯიბრება უნდა იყოს, რომლის პროგრამაშიც სპორტის რამდენიმე სახეობა შედიოდა და მასში ქალებიც ასპარეზობდნენ.

საგულისხმოა, რომ გვარამაძის „ოლიმპიურ ვარჯიშობები“ ბარონ პიერ დე კუბერტენის მიერ ოლიმპიური თამაშების აღორძინებამდე 14 წლით ადრე გამოქვეყნდა.

საკვანძო სიტყვები: მეხსური თამაშები, გართობა-ასპარეზობანი, ფიზიკური ვარჯიშობები, ანტიკური ოლიმპიური თამაშები.

**შესავალი**

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ჟურნალ-გაზეთები სისტემატურად ბეჭდავდნენ ინფორმაციებს საშეჯიბრო ღონისძიებებზე. ერთ-ერთი ასეთი მასალა 1866 წლის 15 (27) აპრილს „დროების“ მე-7 ნომერში გამოქვეყნდა. პუბლიკაცია 10 აპრილს მუშტაიდის მახლობლად დოღში გამართული ასპარეზობის შედეგებს გვამცნობს.

არადა, 16 წლის შემდეგ იმავე „დროებაში“ სინანულით აღსავსე ინფორმაცია დაიბეჭდა, რომ უკვე ვეღარ ხედავენ „იმ რაინდ ტაიჭოსნებს, რომელთა ჯირითობა იყო იდეალი ცხენოსნობისა, სიცქაფისა და სიმარდისა... ვერც იმ მარულას ჰნახავთ, რომელსაც სულითა და გულით ესწრაფოდნენ ხნიერნი და ჭაბუკნი“.

საგლეხო რეფორმის მერე მეფის რუსეთის მთავრობამ, რომელსაც ხალხის თავშეყრისა და „ბუნტის“ ეშინოდა, საქართველოში სახალხო გართობების ჩატარება აკრძალა, რის წინააღმდეგაც ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა გაილაშქრეს. აკაკი წერეთელი 1880 წლის „დროებაში“ წერდა: „ნათლისღებას ზურნა აუკრძალიათ, მეზურნეები დაუპატიმრებიათ... რა ქნას ჩვენმა ხალხმა... ნუთუ იმის ნება არ უნდა ჰქონდეს, რომ კვირაში ერთხელ შრომისა და ოფლის ღვრის შემდეგ გული გაიმხიარულოს?“

რუსეთის მთავრობას უფრო ადრეც აუკრძალავს ქართული ასპარეზობები. ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ თბილისში ყოველთვის იყო დიდი ინტერესი კრივისა და დოღის მიმართ. 1851 წელს მოკრივეთა ერთ-ერთი შეჯიბრებისას კონბერგის აფთიაქი დაზარალებულა. ამ შემთხვევის გამო კავკასიის მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვისთვის

საყვედური გამოუცხადებიათ, რადგან ქალაქში კრივის ჩატარების ნება მას მიუცია. ცნობილი მკვლევარი ი. ფერაძე 1919 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში წერს: „მას დაუსვეს შეკითხვა, მართალია თუ არა, რომ ამ დროს 5 კაცი მოკვდა და 300 დაიჭრაო. მეფისნაცვალმა უპასუხა, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება; ერთი კაცი მოკვდა იმის გამო, რომ შეეშინდა, დაეცა და ქვას დაარტყა თავი, დაჭრით კი არავინ დაჭრილა“.

იმპერატორისადმი გაგზავნილ ანგარიშში ვორონცოვი მიუთითებს, რომ რუსეთის მთავრობამ ქართველებს ძველი სავაჟკაცო ჩვეულებები არ უნდა დაუშალოს, რადგან ისინი ამის მეშვეობით არიან მზად, რუსეთის ჯართან ერთად დაიცვან ქვეყნის საზღვრები. აშკარად ჩანს, რომ ვორონცოვი დიპლომატიური პასუხით ქართველებს, მათს კულტურასა და ძველ ზნე-ჩვეულებებს იცავს, რაც სხვა დროსაც არაერთხელ გაუკეთებია, მეტიც, ჯირითში გამარჯვებულთათვის ჯილდო „ოქროს თასი - ყაბახიც“ კი დაუწესებია.

სამწუხაროდ, ქართული პრესის კრიტიკული პუბლიკაციებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. გართობა-ასპარეზობანი და ფიზიკური ვარჯიშობები, როგორც მაშინ უწოდებდნენ შეჯიბრებებს, თანდათან დავიწყებას მიეცა. „იქამდე მივიდა საქმე, - წერდა 1894 წელს „ივერია“. - რომ თამაშის წესებიც კი სრულიად აღარ ახსოვს ხალხსა. საჭიროა ვინც კარგად იცის რომელიმე თამაშობა, დაწვრილებით აღწეროს, რომ გავავრცელოთ“.

**ძირითადი ნაწილი**

ალბათ, შემთხვევითი არ ყოფილა 1882 წლის 17 ოქტომბერს გაზეთ „დროებაში“ (4. N217) ეთნოგრაფ ივანე გვარამაძის წერილის დაბეჭდვა მესხურ თამაშებზე. ამ ინფორმაციას ჯერ პროფესორმა ავთანდილ ციბაძემ, მერე კი ცნობილმა ჟურნალისტებმა - ნოდარ გუგუშვილმა და პაატა ნაცვლიშვილმა მიაქციეს ყურადღება.

ქართული „ოლიმპიური ენციკლოპედიის“ შემდგენელ ნოდარ გუგუშვილის მოსაზრებით, ქართველები, ანტიკური ოლიმპიადების მსგავსად, ოთხ წელიწადში ერთხელ „სპორტულ თამაშებს მართავდნენ“.

„დროებაში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში ქართული სპორტისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტებია დასახელებული. ეთნოგრაფი ხიზაბავრიდან ჯერ სოფელ ზველში (ძველში, ზედა ველში), მერე ერკოტაში გადასულა, სადაც 15 მოსახლე ცხოვრობდა თურმე. გვარამაძე ამ სოფლის სახელის ეტიმოლოგიას ასე ხსნის - „ერკოტა სახელი ნიშნავს ერის-კოტაობას (ვარჯისს თუ კეჭნაობას)“.

2001 წელს ასპინძაში მივლინებით ვიყავი ჩასული სასპორტო ღონისძიებაზე. მაშინ სოფელი ერკოტაც მოვინახულე, სადაც სამი კომლიღა იყო შემორჩენილი. როგორც ამიხსნეს, ომიდან დაბრუნებული დასახიჩრებული მეომრები, საზოგადოების სრულფასოვან წევრად რომ ეგრძნოთ თავი, ამ სოფელში მართავდნენ შეჯიბრებას ცალი ხელით, უხელებოდ (მკერდაობით), ყავარჯნებზე შემდგარი...

გვარამაძის პუბლიკაციით ირკვევა, რომ ხერთვისის ხეობაში მცხოვრებნი სამი წლის განმავლობაში ვარჯიშობდნენ და მე-4 წელიწადს „გადადიოდნენ ცხრა-წყაროს საქვეყნო ყრილობაში თავ-თავიანთი ვაჟკაცების თავ-გამოსაჩენად!“ თითოეული მონაწილე წარმართულად მხოლოდ თავის წყაროს წყალს სვამდა. გამარჯვებულებს ფიჭვის, დაფნის ან ძეწნის (ტირიფის) ტოტებისგან დაწნული გვირგვინით აჯილდოებდნენ.

პროფესორ პაატა ნაცვლიშვილის ვარაუდით, მესხური თამაშები, რადგან „დროების“ პუბლიკაციაში წარმართობაა ნახსენები, წინარექრისტიანული შეჯიბრება უნდა იყოს, რომლის პროგრამაშიც სპორტის რამდენიმე სახეობა შედიოდა - ჭიდაობა; მჯიღვით ბრძოლა; მხარდავედრა; ქოფი; ქალის გაქცევანი; ბურთობანი; რბევა სარბიელზედ ქვეითად, ცხენებით თუ ეტლებით; თუღოწრე; ქვის სროლა ფიქალისა ორი ხელით თუ ლოდებისა აწევ-დაწევა; ისრის სროლა; ჯირითი; კუნძის თრევა; მძიმე ნივთების აწევა; ხტომა; თავმოვლა; ჯორებუნა; ციხებუნა  და სხვა მრავალი, რომელთა ნაწილი მაშინაც „ხმარებული“ იყო, მაგრამ ხალხისთვის სასარგებლო ჩვეულება დღითიდღე დავიწყებას ეძლეოდა, რადგან გლეხობას ათასგვარი გასასახადი მძიმე ტვირთად აწვა და „სათამაშო სავარჯისოდ სადღა სცალია?“ [4, N217].

ავტორი გრძნობს, რომ კორესპონდენციაში დასახელებული ვარჯიშობების ზოგი სახეობის მნიშვნელობა მკითხველისთვის გაუგებარი იქნებოდა, ამიტომ მათ თავად განმარტავს:

**ჭიდაობა.** „ჯერ ტანისამოსით და შემდგომ შიშვლივ ჩვეულებად შემოვიდა. ზეთს წაისვამდნენ წელ-ზემოდ და წმიდა სილას (ქვიშას) შეიყრიდნენ ტანზედ, რომ შესძლებოდათ ხელის მოკიდება“ [4, N217]. მეტად საინტერესო ვერსიაა, თუმცა ქართული ჭიდაობისთვის ფრიად უჩვეულო. სპორტის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი ავთანდილ ციბაძე წერს: „ქართველი მემატიანე გვიმტკიცებს, რომ ჭიდაობა ჯერ ტანისამოსში და შემდეგ შიშვლივ ჩვეულებად შემოვიდა. როგორც

ჩანს, შიშვლად ჭიდაობა ქართულმა სინამდვილემ ვერ იგუა, ვერ გაითავისა, რადგან ასეთ მდგომარეობაში მთელი რიგი ქართული ილეთების ჩატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება და ეთიკურადაც არ იყო გამართლებული“.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ პირველწყაროებში ჭიდაობა **„რკენის“ ს**ახელწოდებით არის ცნობილი. სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ ასეთ განმარტებას იძლევა: „**ჭიდება** არს მხეცი და კაცი რა შეიჭიდნენ, განა მხეცი და მხეცი, ანუ პირუტყვი და პირუტყვი; ხოლო კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს, **რკენა** ეწოდების“ [1, 400]..

ეს ტერმინი ნახსენებია მეცხრე საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ძეგლში - „ცხოვრება სვიმეონ მესუეტისა“, რომელშიც წერია: „იწყო აღჭურვა ეშმაკმან სვიმეონსა, ვითა მორკინალმან“. არჩილ მეფე „საქართველოს ზნეობანში“ სხვა სასპორტო-საბრძოლო სახეობებთან ერთად ჭიდაობასაც ახსენებს და ერთ-ერთ ილეთსაც: „ხტომა, ქვის გდება, **რკინობა, მოგვერდი**, ფანდიც რამ არი“.

XV საუკუნის მატიანემ შემოგვინახა მზეჭაბუკ ათაბაგის შერკინების ამბავი თათრების ფალავან ძალანთან, სადაც მზეჭაბუკს გაუმარჯვია: „იყო უსჯულოსა მის მთავარსა კაცი ერთი, ფალავანთა თავი, დიდი და გოლიათი, რომელსაც სახელად ძალანი ეწოდებოდა და ჰმატებდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წყრთა ერთი ანუ უფროსცა, და არავინ გამოჩინებულ იყო სიმრავლესა მას შინა **მრკინობელ** მისსა- ამან ინება ოდესმე განმცდელობა მზეჭაბუკისა და ვითარცა ცნა ესე, არღარა ჰყოვნა, არამედ ვითარცა ლომმან მსწრაფლ შექმნა, აღიყვანა და უპატიოდ მიწისა ზედა დასცა“.

მეთერთმეტე საუკუნის ერთ-ერთი ისტორიული დოკუმენტი კი გვამცნობს: „სახედ ხელოვნისა **მორკინალისა** რიტორებნი დილიმმანნი გარეგმოაწყვნა რეცა თუ ხრიკად ორფეხებისა, უკეთუ ამიერ უგოს თეძო და იმერ სხვითა უკუეთუითა, ფილოსოფოსებრი და უფროისღა ზეცისა სიბრძნისგან შემოღებული შესაბრკოლებელი დაამთხვია, რამეთუ ამათ ადგილთა გარეშენი ესრეთ უწოდენ „ხრიკ“ და „ხუანჯ“ და „მაკარტო“ და რაიცა რაი არს მორკინალთა ხელოვნებისა“. ამ ტექსტში ნახსენები სიტყვა **„ხრიკი“,** ანუ, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, მორკინალთ ხელოვნება, მეხრიკეობა, მაკარტო, ხრიკის ცოდნა (მზაკვრობა) ძველ ქართულში გამოიყენებოდა დღევანდელი ტერმინების - ხერხის, ფანდისა თუ ილეთის ნაცვლად; **„ხუანჯი“ –** (ხრიკი და ხლათი - სულხან-საბა) არის ფეხებით მოქმედება მოწინააღმდეგის წვივზე, ქუსლზე და ა.შ. (სარმა ცერული). **„მაკარტო“** (ხრიკი(ა) მორკინალთა, **„დილიმმანი“** - მორკინალთ(ა) ხრიკია, რაც არს მორკინალთა ხელოვნება - სულხან-საბა) - გვერდ-მენჯ-ბეჭით მოქმედებაა, ანუ მოგვერდი. დღევანდელ ქართულ ჭიდაობაში კი მათ ნაცვლად ისეთი ტერმინები გამოიყენება, როგორებიცაა: სარმა, კაური, ცერული, მოგვერდი, თეძო, კისრული, ბრუნები თავიანთი ვარიანტებითურთ...

**მჯიღვით ბრძოლა.** „მაგარ ტყავის თათმანებს ჩაიცვამდნენ თითბერით მოჭედილს და ისე ურტყამდნენ ერთმანეთს თავ-პირში“. ბერძნულ კრივზეც იგივე ითქმის: ელინელებიც ორთაბრძოლებს ატარებდნენ ხელებზე დახვეული თასმებით, რომლებშიც რკინა იყო ჩატანებული. ასე რომ „მჯიღვით ბრძოლაში“ აშკარად იგრძნობა ბერძნულ კრივთან, ანუ „პიგმახიასთან“ (ძველბერძნულად **pyg-mahi** ნიშნავს მუშტს+ორთაბრძოლა) მსგავსება. რამ განაპირობა ეს, შემდგომი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს.

**მხარდავედრა.** „ორად გაიყოფებოდნენ ხელ-ფეხ მარჯვე ვაჟნი. ერთი რიგი წრეს შიგნით იყო, მეორე წრეს გარედ. უკანასკნელნი ცდილობდნენ საშუროდ ჩაჩი [გრძელი ქუდი - საბა, 1. 316] მოეტაცათ შიგანაებისგან და ისინიც მოოთხვით ერთსა და ერთ ფეხს გარდასცხემდნენ, წრეს გარედ თუ მოერტყმიათ, ის მხარე გაჭრილად დაითვლებოდა. მაშინ გარენი წრეში შედიოდნენ და შიგანაები გარედ მოექცეოდნენ“ [4, N217]... აშკარად ჩანს, რომ ლახტის (საბას განმარტებით, უმკვეთელო საცემი საომარი) მსგავსი თამაშობაა.

კვლევით დადგინდა, რომ ძველ საქართველოში მხარდავედრას სახელწოდებით იყო ცნობილი მაღალ ხტომებზე აგებული ქართული ხალხური ცეკვა, რომელსაც მამაკაცები ასრულებდნენ. არ არის გამორიცხული, მესხური თამაშების, როგორც დღესასწაულის, თანმდევი ყოფილიყო კულტურული პროგრამაც, რომლის შემადგენელი ნაწილი, ალბათ, ხალხური ცეკვა მხარდავედრაც იქნებოდა.

უძველეს დროში ყველა რიტუალი ხომ ღმერთებისადმი იყო მიძღვნილი, ამიტომ, შესაძლოა, **მხარდავედრა მაღლა შეხტომასთან ერთად მხარზე შედგომასაც, ანუ ღმერთთან მიახლოებით ვედრებასაც ითვალისწინებდა.**

**ქოფი.** „აქაც წრეში შესულთ მხარესა ერთი წრეს შუა ამოთხრილს ფოსში ჩასდგამდა ფეხს; გარეთაგანი, რომელიც ამას ფეხითგან ფეხს მოაცვლევინებდა და თვითან ჩასდგამდა, მისი მხარე მოიგებდა“ [4, N217].

განუმარტავია **თუღოწრე.** ვფიქრობთ, რომ ამ

სიტყვის დაწერილობაში გვარამაძეს ან რედაქციას აქვთ კორექტურული შეცდომა დაშვებული - ალბათ, უნდა ეწეროს **თულოწრე,** რადგან „თუღოწრის“ განმარტებას ვერსად მივაკვლიეთ. „თულო“ კი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „ფუნდრუკია ერთი“ [2, 313], რაც „არს ვაჟებთა მიერ თამაშობა, რომელნი რბიან, ხლდებიან და დღისით და ღამით მრავალთა რასმე იქმენ სხვადასხვაობათა“ (2, 298). „ხლდომა“ კი, საბას განმარტებითვე, „ხლტომას, მაღლა შეხლტომას“ (1, 425) ნიშნავს. გამოდის, რომ მესხური თამაშების პროგრამაში რბენებთან ერთად ხტომებიც (სიგრძეზე, სიმაღლეზე) შედიოდა.

გვარამაძის პუბლიკაციიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ისიც იქცევს, რომ მესხურ თამაშებში ქალებიც მონაწილეობდნენ, რაც ელინური ოლიმპიადებისთვის წარმოუდგენელი იყო. ანტიკურ თამაშებში ქალებს არა მარტო მონაწილეობა, არამედ დასწრებაც ეკრძალებოდათ. დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ. ერთადერთი ქალი, ვინც შეჯიბრების ფინიშის ხაზთან ახლოს იჯდა, იყო ნაყოფიერების ქალღმერთ დემეტრას ქურუმი. ალბათ იმიტომაც, რომ ანტიკური ოლიმპიადები მოსავლის დღესასწაულთან დაკავშირებული საერთო-სახალხო რელიგიური ზეიმი იყო, რომელიც ძველბერძნული პანთეონის უმაღლეს ღვთაებას - ზევსს ეძღვნებოდა.

ელინელებს მიაჩნდათ, რომ ასპარეზობებზე ქალების დასწრებას ათლეტებისთვის უბედურება მოჰქონდა. ბერძენი ისტორიკოსი, „ელადის აღწერის“ ავტორი პავსანიუსი (პავსანია) წერს, რომ ოლიმპიის ახლოს, ალფეოსის ნაპირზე, იყო მაღალი კლდე, სადაც მიჰყავდათ დამნაშავე ქალები, რომლებიც წმინდა თამაშებზე შეღწევას ცდილობდნენ და ამ კლდიდან აგდებდნენ.

პავსანიუსის მიხედვით, ყოფილა ერთი შემთხვევა, როცა შეჯიბრებაზე ქალი აღმოაჩინეს. ეს გახლდათ ლეგენდარული კალიფატერია, რომელსაც ზოგიერთები ფერენიკად (ბერძნულიდან: ფერეინ - მოაქვს, ნიკა - გამარჯვება, გამარჯვების მომტანი) მოიხსენიებენ. ის იყო დიაგორიდების საგვარეულოს წარმომადგენელი. კალიფატერიას მამა - როდოსელი სახელოვანი მოკრივე დიაგორასი, დიდი დინასტიის ფუძემდებელი, ორი ძმა და შვილები ცხრაჯერ გახდნენ ოლიმპიონიკები.

ფერენიკამ თურმე თავად მოამზადა შვილი პისიროდისი კრივში საასპარეზოდ. ოლიმპიას ჩვენს ერამდე 404 წელს ეწვია და ვაჟიშვილის გამარჯვებაში დარწმუნებულმა მოინდომა, მისი ტრიუმფის მოწმე გამხდარიყო. იგი მწვრთნელის ტანსაცმლით შეიპარა სტადიონზე. პისიროდისმა ზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონობა მოიპოვა. ბედნიერ დედას ყველაფერი დაავიწყდა, ბარიერს გადაევლო და შვილს მოეხვია, მაგრამ სირბილისას მწვრთნელის მანტია გასძვრა. კანონის მიხედვით, კალიფატერია კლდიდან უნდა გადაეგდოთ, მაგრამ მოსამართლეებმა მისი საგვარეულოს დამსახურების გათვალისწინებით შეიწყალეს, თუმცა ოლიმპიადების ორგანიზატორებმა ახალი კანონი მიიღეს, რომ ამიერიდან თამაშებზე ათლეტებთან ერთად მსაჯებიცა და საშეჯიბრო სარბიელთან ახლოს მყოფი ქომაგებიც შიშვლები უნდა ყოფილიყვნენ.

**დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, გენდერულ თანასწორობას სად და როდის ჩაეყარა საფუძველი. არც ის არის გამორიცხული, შემდგომმა კვლევა-ძიებამ მესხური თამაშები ანტიკური ოლიმპიადების პროტოტიპად თუ არა, თანამედროვედ მაინც მიიჩნიოს. რაც შეეხება გვარამაძის „ოლიმპიურ ვარჯიშობებს“, ის ბარონ პიერ დე კუბერტენის მიერ ოლიმპიური თამაშების აღორძინებამდე14 წლით ადრე გამოქვეყნდა „დროებაში“. საინტერესოა იმის მოძიება, ამ პუბლიკაციის მომზადებისას ავტორი რა ფაქტებს დაეყრდნო.

**ლიტერატურა:**


1. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, „მერანი, 1993;
2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, „მერანი, 1991;
3. „ივერია“, N53, 1894;
4. „დროება“, N217, 1882;

5. ილ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები. თბ., სახ. უნივერსიტეტის შრომები. ტ. III, 1938, გვ. 253-270;
6. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი (ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1949;
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), არნ. ჩიქობავას რედაქციით, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1986.

**Meskhuri games: myth or reality?!**

***Vaja Danelia***
***Doctor of Social Sciences***

**Summary**

Sports are almost as old as civilization. It is confirmed by reliable sources that many countries of the world have been fascinated by sports since time immemorial, although some researchersbelieve that ancient Greece gave it a classic look.

Sports events were held in Ancient Olympia from the 9th century BC. The earliest and historically reliable report dates back to BC. ag. In 776, when they started recording the names of the winners and recording the games.

Historical, archaeological and folklore-ethnographic materials, literary sources, reports of our and foreign chroniclers, their research and analysis prove that the Kartevian tribes have been good competitors and excellent warriors since time immemorial.

It is true that "participation of Georgians in the Greek Olympic Games is not historically substantiated, but it is known that every four years Georgians held sports games similar to the Hellenic Olympics". From this point of view, the story described by Meskhi researcher-ethnographer Ivane Gvaramidze in the newspaper "Droeba" in 1882 is interesting. Meskhuri competitions, in which all of Georgia participated.

According to Gvaramadze's publication, it is clear that the people living in Khertvisi valley trained for three years, and in the 4th year they "went to the national congress of Nikartskaro to show their bravery!"

The article also emphasizes that women also participated in the Meskhi Games, which was unimaginable for the Hellenic Olympics. In ancient games, women were forbidden not only to participate, but also to attend. Criminals were punished by death.

Considering all of the above, it can be safely said, where and when the foundation of gender equality was laid. It is also not excluded that further research will consider the Meskhi Games as a prototype of the ancient Olympics or not, at least as a modern one. As for Gvaramadze's "Olympic Exercises", it was published in "Droeba" 14 years before the revival of the Olympic Games by Pierre de Coubertin.

Key words: Mechsian Games, entertainment-athletics, physical exercises, ancient Olympic Games, gender equality.

# სოციალური მეცნიერებები

# SOCIAL SCIENCES

## სტრესი და მისი დაძლევის ფსიქოლოგიური მეთოდები

*არსენ ბურჯალიანი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ნათია არჩვაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ტერმინი „სტრესი“ ფსიქოლოგიაში პირველად უნგრელ-კანადელმა ბიოლოგმა, პათანატომმა ჰანს სელიემ შემოიტანა. სელიეს მიხედვით, შესაძლოა არსებობდეს საერთო რეაქცია განსხვავებულ სტრესორებზე, რომელთა რეაქციების ჯგუფს მან „გენერალური ადაპტაციის სინდრომი” უწოდა. მანვე აღმოაჩინა გენერალური ცვლილებებთან და ენდოკრინულ ფუნქციასთან ადაპტაციის სამი ეტაპი, თითოეული მათგანი ასოცირდებოდა: განგაშის სტადია, რეზისტენტულობის, ანუ შეწინააღმდეგების სტადია და გამოფიტვის სტადია.

სტრესის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენები, ასევე - პიროვნების გარე და შიდა ფაქტორები. ყველა ინდივიდი განსხვავებულად რეაგირებს სტრესისგან მომდინარე სტრესორებზე და შესაბამისად, მათთან შებრძოლების განსხვავებული მეთოდი აქვს.

თუ პიროვნება მიიჩნევს, რომ პრობლემის მოგვარებისთვის მას ფიზიკურად ძალა არ შესწევს, დიდი ალბათობით ის ემოციებზე ორიენტირებულ დაძლევის მეთოდს მიმართავს, როგორიცაა მაგალითად რაიმეს **სურვილი** („ვისურვებდი, რომ შემეძლოს ყველაფრის შეცვლა“), **დისტანცირება** („ვეცდები, დავივიწყო ყველაფერი“), ან **ხაზგასმით აღინიშნოს დადებითი მხარე** („ვეცდები, ყველა-ფერში რაღაც პოზიტიური დავინახო“). თუ ადამიანი იფიქრებს, რომ შეუძლია ფიზიკურად გაუმკლავდეს რაიმე ცხოვრებისეულ არასასურველ მოვლენას, მას, როგორც წესი, პრობლემებზე ორიენტირებული დაძლევის რეაქცია ექნება. ამ დროს პიროვნებამ შეიძლება სიტუაციის ერთგვარი ანალიზი გააკეთოს და მის დასაძლევად შესაბამისი სამოქმედო გეგმა შეიმუშავოს.

საკვნაძო სიტყვები: სტრესი, ფსიქოლოგიური მეთოდი, ადაპტაცია, გამოფიტვის სტადია.

**შესავალი**

ტერმინი სტრესი ლათინური სიტყვიდან „Stric-tus”-დან მომდინარეობს, რაც მკაცრს ნიშნავს. ყველა ადამიანი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე სტრესს განიცდის, რომლის გამომწვევი ფაქტორი, ეგრეთ წოდებული „სტრესორი“, შეიძლება გარემო, გენეტიკური განწყობა, ან ორივე ერთად იყოს. როდესაც ადამიანის ტვინი საფრთხის შესახებ ინფორმაციას იღებს, ხდება სტრესის ჰორმონების, მათ შორის, ადრენალინის გამომუშავება.

ზოგადად, სტრესის სამი სახეობა არსებობს: მწვავე სტრესი, ეპიზოდური სტრესი და ქრონიკული სტრესი, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობაზე განსხავებულად ზემოქმედებენ.

**მწვავე სტრესი,** როგორც წესი, ერთჯერადი ან მოკლევადიანი სტრესია. ამ დროს პიროვნებამ შეიძლება განიცადოს შფოთვა, ქოშინი, თავის ტკივილი და კუჭის ტკივილი. სტრესის შედეგები ხანმოკლეა. სტრესორის გაუჩინარების შემდეგ, ადამიანის ჰორმონების დონე ისევ ჯანსაღ დონეს უბრუნდება.

თუ ინდივიდი მწვავე სტრესს ხშირად განცდის, მაშინ საქმე **ეპიზოდურ სტრესთან** გვაქვს. ამ სახის

სტრესი მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს არარეალურ ან არაგონივრულ მოთხოვნებსა და მიზნებს უწესებს. მიუხედავად იმისა, რომ მწვავე სტრესისგან განსხვავებით ეპიზოდური სტრესი უფრო ხშირად განიცდება, მას არ ახასიათებს განგრძობითი ფორმა და დრო. ამ შემთხვევაში დრო ჩერდება კიდევაც.

როდესაც ადამიანი ხანგრძლივად მიმდინარე უსიამოვნო სიტუაციას ვერ ცვლის, ან მასთან გამკლავებას დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებს, შეიძლება **ქრონიკული სტრესი** განიცადოს, რაც მის ფიზიკური და მენტალურ ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება.

სტრესის და მისი დაძლევის მეთოდების შესახებ სხვადასხვა თეორია არსებობს, თუმცა ეს ფენომენი მეცნიერებისთვის დღემდე ინტენსიური შესწავლის საგანს წარმოადგენს.

**ძირითადი ნაწილი**

ტერმინი „სტრესი“ ჯანმრთელობის ფსიქოლოგიაში, პირველმა უნგრელ-კანადელმა ბიოლოგმა, პათანატომმა ჰანს სელიემ შემოიტანა 1926 წელს. მისთვის სტრესი შედგება ყველა იმ არასპეციფიკური ცვლილებებისგან (რომლებიც ორგანიზმშია), რაც მიყენებული ზიანით არის გამოწვეული. სელიეს მიხედვით შესაძლოა არსებობდეს საერთო რეაქცია განსხვავებულ სტრესორებზე და ამ რეაქციების ჯგუფს მან „გენერალური ადაპტაციის სინდრომი“ (GAS) უწოდა. მანვე აღმოაჩინა გენერალური ადაპტაციის სამი ეტაპი, რომელთაგან თითოეული ასოცირდებოდა ცვლილებებთან და ენდოკრინულ ფუნქციასთან: განგაშის სტადია, რეზისტენტობის, ანუ შეწინააღმდეგების სტადია და გამოფიტვის სტადია.

**განგაშის სტადიის** დროს ადამიანის ორგანიზმი იწყებს საადაპტაციო რესურსების მობილიზებას სტრესულ სიტუაციასთან გასამკლავებლად. **რეზისტენტული სტადიის** დროს პიროვნება ეწინააღმდეგება სტრესის გამომწვევ „სტრესორებს“. ისევე როგორც ბუნებაში აბსოლუტურად ყველაფერი, ადამიანის ადაპტაციური რესურსიც ამოწურვადია. შეზღუდულია წინააღმდეგობის გაწევის უნარიც. შესაბამისად, სტრესთან შებრძოლების მესამე ეტაპი, **გამოფიტვის სტადიას** ეხება, როდესაც პიროვნებას სტრესორებთან შებრძოლების შინაგანი და გარეგანი რესურსი უკვე გამოლეული აქვს. ამ შემთხვევაში ინდივიდის დახმარება შესაძლოა შეძლონ გარეშე პირებმა ან სტრესორის ზემოქმედება გაქრეს და შესაბამისად, ადამიანის სტრესის დონემაც დაიწიოს.

ხშირად სტრესი მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში განიხილება, თუმცა ჩრდილოეთ კაროლინას სამედიცინო ფსიქიატრიის სკოლის პროფესორის პატრიკ ჯეი სმიტის (1990) მიხედვით, სტრესი ის ფენომენია, რომელიც ინდივიდს რაღაცეების კეთებისკენ უბიძგებს; ის პიროვნებას ერთგვარ სტიმულს აძლევს, განსხვავებულად დაიწყოს ფიქრი და პრობლემებიც ოპტიმალურად გადაწყვიტოს (Smith, 1990, pp. 6-16; Turkington, 1998, pp. 17-23).

ზოგიერთი მკვლევარი „სტრესს“ და „დისტრესს“ ერთ კონტექსტში განიხილავს, რაც არაა მართებული. არსებული დილემის თავიდან ასაცილებლად, ჰანს სელიემ შემოიღო ტერმინი „დისტრესი“ და „ევსტრესი“. სელიეს მიხედვით, **დისტრესი** არის მავნე ან უსიამოვნო სტრესი. ამ ტერმინებით გამოხატული სტრესი დაახლოებით იგივეა, რაც შფოთვის, შიშის, ღელვის დროს. ამ დროს ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმდენად მტკივნეულ და უარყოფით ემოციებთანაა დაკავშირებული, რომ ინდივიდს მისი თავიდან აცილების დაუოკებელი სურვილი უჩნდება.

დისტრესის წარმოქმნაზე პასუხისმგებელია ადამიანის გარე და შიდა ფაქტორები. გარე ფაქტორი შეიძლება იყოს ისეთი უცვლელი სიტუაციები, რომლებიც პიროვნებას მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში ამყოფებენ. რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, ამ შემთხვევაში სტრესი შესაძლოა თავად ინდივიდის ფიქრის შედეგად წარმოიქმნას. შიშები და ფობიები, აკვიატებული აზროვნების ნიმუშები და პერფექციონიზმი, ადამიანის შიდა სტრესორებს წარმოადგენენ, რომლებიც შემდგომში დისტრესის გამომწვევი მიზეზები ხდებიან.

სტრესი შესაძლოა ცხოვრებისეულმა სასიამოვნო მოვლენებმაც გამოიწვიონ, რასაც ჰანს სელიე „ევსტრესს“ უწოდებს (Selye, 1974). ამგვარი სასიამოვნო მოვლენები შეიძლება იყოს: საქორწილო ცერემონიაში ან მოსალოდნელ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. ეს დადებითი სტრესია.

ყველა ადამიანი ნებისმიერ მოვლენას განსხვავებულად აფასებს და შესაბამისად, ნებისმიერი ინდივიდისთვის სტრესიც არაერთგვაროვნად აღიქმება. ზოგიერთისთვის სტრესი ის მოვლენა თუ სიტუაციაა, რომელიც მათში დაძაბულობას, უარყოფით ემოციებსა და წნეხის განცდას (შფოთვა და ბრაზი) იწვევს. სტრესს ასევე განიხილავენ, როგორც რეაქციას ამ სიტუაციებზე, ეს რეაქცია ეხება ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, რომელიც

გულისცემის აჩქარებით, კუნთების დაძაბულობის მატებით, ემოციური და ქცევითი ცვლილებებით გამოიხატება. თუმცა, ფსიქოლოგების უმეტესობა სტრესს ისეთ პროცესად მიიჩნევს, რომლის დროსაც პირი ინტერპრეტაციას უკეთებს კონკრეტულ სტრესორს და გარკვეულ რეაქციას ახორციელებს მისი მისამართით.

სელიეს მიხედვით, როდესაც ადამიანი სტრესში იმყოფება, მისი ორგანიზმი საპასუხო რეაქციის მობილიზებისთვის ემზადება. სტრესის წარმოშობაზე პასუხისმგებელია პიროვნების როგორც გარეგანი, ასევე შიდა ფაქტორები, რომლებთან ადაპტირებაც ინდივიდს უჭირს.

ზოგადად, ადამიანი მაშინ განიცდის სტრესს, როდესაც შფოთავს, ღელავს, რცხვენია ან ბრაზობს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს შეგრძნებების წყარო თავად პიროვნება, სხვა ადამიანი თუ სიტუაციაა. სტრესთან გამკლავება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მისი გამომწვევი ორივე მნიშვნელოვანი კომპონენტი: გარე მოვლენები და ადამიანის რეაქცია მათზე, მხედველობაშია მიღებული.

ზოგიერთი მეცნიერი სტრესს განიხილავს, როგორც ადამიანის ორგანიზმის ადაპტურ ფიზიოლოგიურ რეაქციას შიდა და გარე ძალებსა და მოვლენებზე, რომლებიც ინდივიდის ჰომეოსტატურ ბალანსს არღვევენ. ფსიქოლოგიური სტრესი წარმოიქმნება ადამიანის აღქმის შედეგად, როდესაც სტრესორთან გამკლავება ინდივიდის ძალებს აღემატება (Sandhu & et al., 1994).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში სტრესს სამი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: პირველ რიგში, ეს შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ მოვლენას ან გარემო სტიმულს, რომელიც ადამიანში დაძაბულობის ან აღელვების გრძნობას იწვევს. ამ თვალსაზრისით, სტრესი გარე სტიმულებითაა აღმოცენებული. მეორე შემთხვევაში სტრესი შეიძლება მიუთითებდეს სუბიექტურ რეაქციაზე. ამ თვალსაზრისით, სტრესი არის დაძაბულობის ან აგზნების შინაგანი ფსიქიკური მდგომარეობა. ის გამოიხატება ადამიანში მიმდინარე თავდაცვით და დაძლევის პროცესებში. ამგვარი პროცესი ადამიანის ზრდისა და სიმწიფის ხელშემწყობი პირობაა; თუმცა ამ შემთხვევაში მან ასევე შესაძლოა გონების გადაღლაც გამოიწვიოს. ბოლოს, სტრესი შეიძლება იყოს სხეულის ფიზიკური რეაქცია კონკრეტულ მოვლენაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე სიტუაცია სხვადასხვა ინდივიდში განსხვავებულ რეაქციებს იწვევს - ერთისთვის სტრესის გამომწვევი სიტუაცია, გარემოება ან მოვლენა სხვა პირისთვის სიამოვნების მომტანიც კი შეიძლება იყოს.

სტრესთან გამკლავება, როგორც ეს ამერიკელი ფსიქოლოგების რიჩარდ ლაზარუსისა და მისი კოლეგის სუზან ფოლკმენის მიერაა აღწერილი (Lazarus, & Folkman, 1987), გულისხმობს კოგნიტური შეფასების სპეციფიკურ პროცესს. - დადგენას, აქვს თუ არა ინდივიდს შესაბამისი რესურსები სტრესორით ან ცვლილებით გამოწვეულ ზიანზე ეფექტური რეაგირებისთვის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სტრესთან გამკლავების ორი საშუალებიდან პიროვნება რომელს აირჩევს: პრობლემაზე ორიენტირებულ დაძლევას, თუ ემოციებზე ორიენტირებულ დაძლევას, რომლებსაც ასევე აქტიურ და პასიურ დაძლევის სტილსაც უწოდებენ.

კონკრეტული პრობლემური სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში პიროვნება იწყებს მის შეფასებას, როგორც საფრთხის შემცველ ან საფრთხის არშემცველ მოვლენად. გარდა ამისა, ინდივიდი განსაზღვრავს, რამდენად აქვს მას სათანადო რესურსი, რომ სტრესორს გაუმკლავდეს. თუ პიროვნება მიიჩნევს, რომ ფიზიკურად მას ძალა არ შესწევს პრობლემის მოგვარებისთვის, დიდი ალბათობით, ის ემოციებზე ორიენტირებულ დაძლევის მეთოდს მიმართავს, როგორიცაა მაგალითად, რაიმეს სურვილი („ვისურვებდი, რომ შემეძლოს ყველაფრის შეცვლა“), დისტანცირება („ვეცდები დავივიწყო ყველაფერი“), ან ხაზგასმით აღინიშნოს დადებითი მხარე („ვეცდები ყველაფერში რაღაც პოზიტიური დავინახო“). თუ ადამიანი იფიქრებს, რომ აქვს უნარი, ფიზიკურად გაუმკლავდეს რაიმე ცხოვრებისეულ არასასურველ მოვლენას, მას, როგორც წესი, პრობლემებზე ორიენტირებული დაძლევის რეაქცია ექნება. ამ დროს მან შესაძლოა სიტუაციის ერთგვარი ანალიზი განახორციელოს და მის დასაძლევად შესაბამისი სამოქმედო გეგმა შეიმუშავოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანს დიდხანს არ შეუძლია სტრესულ გარემოში ყოფნა და ამიტომ ის მუდმივად ცდილობს გარე კონფლიქტებიდან (ოჯახი, მეგობრები, სამსახური და ა.შ.) თუ შიდა კონფლიქტებიდან (ემოციური მდგომარეობა, მაღალი სტანდარტები და ა.შ.) თავის დაღწევის გზები ეძიოს.

კანადელი ფსიქოლოგი ვილიამ გეკოსკის მიხედვით (Gekoski, 1994), ემოციებზე ფოკუსირებული დაძლევის სტილის მქონე ინდივიდი ცდილობს, მიუხედავად პრობლემური სიტუა-

ციისა, თავი კარგად იგრძნოს, იგი არ ცვლის არც პრობლემას და არც მის აღქმას. პრობლემაზე ორიენტირებული სტილის შემთხვევაში კი, პიროვნება ცდილობს შეცვალოს სიტუაცია ან სიტუაციის მისეული აღქმა, რათა აღნიშნული სიტუაცია მისთვის აღარ არსებობდეს ან ნაკლებად სტრესული გახადოს.

კვლევებმა აჩვენეს, რომ ყველაზე სტრესულ მოვლენებთან საბრძოლველად ადამიანები ორივე ტიპის სტრატეგიას იყენებენ. ერთი ტიპის სტრატეგიის უპირატესობა მეორეზე განისაზღვრება პირადი სტილით (ზოგიერთი ემოციებზე ფოკუსირებული დაძლევის სტილს ანიჭებს უპირატესობას, ზოგიერთი კი - პრობლემაზე ორიენტირებ დაძლევის სტილს) და ასევე მოქმედებს სტრესული მოვლენის ტიპის მიხედვით. მაგალითად, ადამიანი, პრობლემებზე ორიენტირებულ დაძლევას იმ შემთხვევაში მიმართავს, როდესაც კონკრეტული პრობლემა, მისი აზრით, მოგვარებადია. ასეთი შეიძლება იყოს სამსახურთან და ოჯახთან დაკავშირებული პრობლემები. თუ ინდივიდი კონკრეტული მოვლენიდან გამომდინარე სტრესორებს ნაკლებად კონტროლირებადად მიიჩნევს, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიკური ჯანმრთელობის გარკვეული სახის პრობლემები, ამ დროს ხდება ემოციებზე ორიენტირებული დაძლევის სტილის არჩევა.

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგთან კონსულტაციის გარდა, სტრესთან გამკლავების სხვადასხვა ტექნიკას გვთავაზობს:

- პიროვნებამ უნდა დაადგინოს, რა მოვლენა იწვევს მასში სტრესს და მის დასაძლევად იმოქმედოს;
- აუცილებელია მყარი, პოზიტიური ურთიერთობების ქონა, როგორც ოჯახის წევრებთან, ასევე მეგობრებთან, რომლებიც მძიმე ვითარების დროს მხარდასაჭერად მზად იქნებიან;
- რეგულარული ვარჯიში, სწორი კვება, სასიამოვნო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაც სტრესის დაძლევის წინაპირობაა;
- მნიშვნელოვანია რომ ინდივიდმა ფოკუსირება მოხდინოს პოზიტივზე და ნეგატიური ენერგია თავიდან აირიდოს;
- ასევე, კარგად ძილი, მედიტაცია, სწორი სუნთქვითი ვარჯიშები, ადამიანს სტრესთან გამკლავებაში ეხმარება.

## დასკვნა

სტრესი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მაშინაც კი, როდესაც მეცნიერებს სტრესის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ, ეს მის არსებობას ხელს არ უშლიდა. სტრესის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა, ეს შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მოვლენები, სიტუაციები და პიროვნების ცხოვრებაში არსებული სხვა ადამიანები. სტრესის სამი სახეობა: მწვავე, ეპიზოდური და ქრონიკული სტრესი განსხვავებულად მოქმედებს ინდივიდის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე. მათ შორის ყველაზე უარყოფითი გავლენა ქრონიკულ სტრესს შეიძლება ჰქონდეს.

ყველა პიროვნება განსხვავებულია და შესაბამისად, მათი სტრესთან გამკლავების სტილიც სხვადასხვაა. იმისდა მიხედვით, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი პრობლემას და შემდეგ საკუთარ თავს აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებით, იგი ირჩევს სტრესთან გამკლავების, პრობლემაზე ორიენტირებული დაძლევის ან ემოციაზე ორიენტირებულ მეთოდს.

ადამიანების განსხვავებულობის პრინციპიდან გამომდინარე, შესაბამისად არაერთგვაროვანია ყველაფრის მიმართ მათი აღქმა. სწორედ ამიტომ ერთი ადამიანის მიერ განცდილი სტრესორი, სხვა ინდივიდისთვის შეიძლება სიხარულის მომტანიც კი იყოს.

დღესდღეობით კაცობრიობას, ზოგადად, ისეთ სტრესულ გარემო-პირობებში უხდება ცხოვრება, რომ მენტალური ჯანმრთელობა ადამიანებისთვის ერთ-ერთ ძირეულ პრობლემას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ სტრესის მენეჯმენტი, საკუთარ თავში ინტროსპექცია, შიშებისა და ფობიების გაცნობიერება პიროვნებას დაეხმარება, მაქსიმალურად რეზისტენტული გახდეს ყველა იმ სტრესორის მიმართ, რომლებიც მისი სულიერი ბალანსის დარღვევის პოტენციურ რისკ-ფაქტორებს წარმოადგენენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Baum, A., (1990). Stress, intrusive imagery, and chronic distress. Health psychology, 9, 653-675
2. Cohen, F., & Lazarus, R.S., (1979). Coping with thestress of illness, in Stone, C.G., Cohen, F., Adler, N.E., editors. Health psychology: A handbook. San Francisco: 217-254. CA: Jossey-Bass.
3. Davis M. (2000) The Relaxation and Stress Reduction Work Book, New Harbinger inc.
4. Lazarus, R. S., (1966). Psychological Stress and the Coping Process. NewYork: McGraw- Hill
5. Lazarus, R. S., et al, (1986). Dynamics of stressful Encounter: Cognitive Appraisal, coping, and encounter outcomes. Journal of Personality and Social Psychology, 50 (5): 992-1003.
6. Payne R. (1995) Relaxation Techniques: a Practical Handbook for Healthcare Professionals, Churchill Livingstone.
7. Selye, H., (1973). The evolution of the stress concept. Am. Sci, 61692-699.
8. Selye, H., (1974). Stress without distress. McClelland Stewart, Toronto.


## Stress and Psychological Methods of Overcoming it


***Arsen Burjaliani, professor***
***Gorgian Technical University***

***Natia Archvadze, PhD student***
***Gorgian Technical University***



**Summery**

The term stress is derived from the Latin word "Strictus" which means strict. The first Hungarian-Canadian biologist, Pathanatom Hans Selye, introduced the term "stress" in health psychology in 1926.

According to Selye, there may be a common reaction to different stressors, a group of reactions of which he called the "general adaptation syndrome". He also discovered three stages of adaptation to general changes and endocrine function, each of which was associated with: the alarm stage, the resistance stage, and the exhaustion stage.

In general, there are three types of stress: acute stress, episodic stress and chronic stress, which clearly affect human health.

Acute stress is usually a one-time or short-term stress. At this time, the person may experience anxiety, shortness of breath, headache and stomachache. The effects of stress are short-lived. After the stressor is gone, a person's hormone levels return to healthy levels.

If an individual experiences acute stress frequently, then we are dealing with episodic stress. This type of stress occurs when a person sets unrealistic or unreasonable demands and goals on himself. Although episodic stress is experienced more often than acute stress, it is not characterized by a continuous form and time.

When a person cannot change a long-term unpleasant situation, or is unable to deal with it for a long time, he may experience chronic stress, which has a negative impact on his physical and mental health.

The cause of stress can be both positive and negative events, as well as external and internal factors of the person. Every individual reacts differently to stressors and therefore has different ways of dealing with them.

If a person believes that he/she is physically unable to deal with a problem, he/she is more likely to use an emotion-focused coping method, such as wishing for something ("I wish I could change everything"), distancing ("I'll try to forget everything"), or stressing Positive side ("I will try to see something positive in everything"). If a person believes that they can physically cope with an adverse life event, he/she will typically have a problem-focused coping response. At this time, a person can make a kind of analysis of the situation and develop an appropriate action plan to overcome it.

The American Psychological Association, in addition to counseling with a psychologist if necessary, offers various techniques for dealing with stress:

• A person should determine what event causes him/her stress and act to overcome it;

• It is necessary to have strong, positive relationships, both with family members and friends, who will be ready to support you in difficult situations;

• Regular exercise, proper nutrition, participation in pleasant events are prerequisites for overcoming stress;

• It is important for the individual to focus on the positive and avoid negative energy;

• Also, sleeping well, meditation, correct breathing exercises help a person to cope with stress.

# საჯარო სამსახურის განვითარების ეტაპები თანამედროვე საქართველოში

*ანა სვანიძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

საქართველოს კანონს საჯარო სამსახურის შესახებ ხელი მოეწერა 2015 წელს 2017 წლიდან შევიდა ძალაში. განხორციელებული რეფორმები საჯარო სამსახურზე პირდაპირ ორიენტირებული იყო საჯარო მოხელეების კარიერულ და პროფესიულ განვითარებაზე. მოქმედი კანონისაჯაროსამსახურის შესახებ, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოს კარიერულ დამსახურებაზე, წინსვლაზე, მიუკერძოებლობაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე და ასევე ანგარიშვალდებულებაზე სამართლებრივი ფუნქციონირების საფუძვლების შექმნა. საჯარო სამსახურის კანონი განსაზღვრავს საჯარო მოხელის სამუშაო პროცესს, მის სტატუსს ასევე, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს. საჯაარო სამსახურის მთავარი პრინციპებია: კანონიერება, თანასწორობა კანონის წინაშე, ერთგულება, მიუკერძოებლობა, ანგარიშვლადებულება, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი ,კარიერულუ განვითარება, გამჭვირვალეობა, ღიაობა და ასევე, მოხელის სამართლებრივი და სოციალური დაცვა. დღეის მდგომარეობით წინ წამოვიდა საჯარო მოხელის კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა. კანონში აღნიშნულია და სავალდებულო გახდა კვალიფიციური სისტემური შეფასება მოხელის , ასევე მნიშვნელოვანი მოხელის პროფესიული უნარების განვითარება. 2017-2018 წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერების როლი, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების კარიერულ განვითარებაში. სისტემატურად მუშაობს საჯარო სამსხურის ბიურო იმაზე, რომ რეფორმების სხვადასხვა საშუალებით გააუმჯობესოს საჯარო სამსახურში დაქმებულთა არსებული მდგომარეობა, შეირჩეს მოტივირებული და შრომისმოყვარე კადრები, ჩამოყალიბდეს პროფესიონალი მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, გატარდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები მათი კარიერული განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად ყველა ამ ცვლილებებისა საჯარო სექტორში დასაქმებულ გამოკითხულ მოხელეთა 55,3% თვლის, რომ მათ კარიერულ განვითარებაში, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი არ მონაწილეობს. გამოკითხულ საჯარო მოხელეთა 36,0 %-ის თვლის , რომ ადმაიანი, რომელიც მათ აწვდით ინფორმაციას სხვადსხვა სახის კურსების და ტრენინგების შესახებ, რომელიც შესაძლოა მათი შემდგომი კარიერული განვითარებისთვის კარგი იქნება. მხოლოდ 8,3% თვლის, რომ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი წარმოაგნეს შვაუმავალს, უშაულო ხელმძღვანელს შორის, როდესაც საქმე ამ საჯარო მოხელის კარიერულ განვითარებას ეხება.

საკვანძო სიტყვები: რეფორმა, საჯარო სამსახური, საჯარო მოხელე, კარიერული განვითარება.

**შესავალი**

თანამედროვე საქართველოს საჯაარო სამსახურის მთავარი პრინციპებია: კანონიერება, თანასწორობა კანონის წინაშე, ერთგულება, მიუკერძოებლობა, ანგარიშვლადებულება, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი ,კარიერულუ განვითარება, გამჭვირვალეობა, ღიაობა, და ასევე, მოხელის სამართლებრივი და სოციალური დაცვა. დღეის მდგომარეობით წინ წამოვიდა საჯარო მოხელის კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა. საქართველოს კანონს საჯარო სამსახურის შესახებ ხელი მოეწერა 2015 წელს, 2017 წლიდან შევიდა ძალაში, რის შედეგადაც განხორციელა სახელმწიფომ ფუნდამენტალური ცვლილებები საჯარო სამსახურში.

**ძირითადი ნაწილი**

2019 წლის საჯარო სამსახურის ბიუროს ანგარიშის თანახმად, საჯარო სამსახურში დასაქმებულია 16 565 ადამიანი, გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოხელეებისა. ასევე აღსანიშნავია 2020 წელს პერიოდში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა სადაც გამოიკითხა 1220 მოხელე. გამოიკითხა, როგორც სახელმწიფო სექტორში ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები. გამოკითხვა მიმდინარეობდა,

როგორც დისტანციურად ესევე ელექტრონული ანკეტების დახმარებით. საჯარო სექტორშია დასაქ-მებულ გამოკითხულ მოხელეთა 50,8%, და ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა გამოკითხულთა 49,2%. გამოკითხულ საჯარო მოხელეთა 4,1%-ეს საჯარო სამსახურში მუშაობის 1 წლამდე სტაჟი აქვთ, გამოკითხულ მოხელეთა 28,7%-ს მუშოაბის გამოცდილება აქვს 1-5 წლამდე. გამოკითხულთა 38,5%-დან სტაჟი აქვს 5-10 წლამდე .გამოკითხულ მოხელეთა 28,7%-ს 10 წელზე მეტი საჯარო სამსხურში მუშაობის სტაჟი აქვს. საჯარო სამსახურში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს 5-იდან 10 წლამდე მუშაობის გამოცდილება აქვთ. გამოკითხულთა 1,7%-მა მუშა-ობა დაიწყო სტაჟირებით. 22,4%-მა საჯრო სამსახურში სპეციალისტის პოზიცით დაიჭყო მუშაობა. ამჟამად გამოკითხულთაგან არავინ მუშა-ობს უმცროს სპეციალისტად. გამოკითხულთა 4,4% სპეციალისტად მუშაობს. უფროს და მთავარ სპეციალისტად დასაქმებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობაც გაიზარდა და 42%-ს შეადგენს. შემცი-რებულია ხელშეკრულებით დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა ბოლო მონაცემებით მხოლოდ 5%-ს შეადგენს. ხელშეკრულებით საჯარო სექტორში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა, რაოდენობის შემცირება შესაძლოა გამოწვეული იყოს ორი მიზეზით. ერთ შემთხვევაში ეს გამოწვეულია საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით, რომლის მიხედვითაც მკაფიოდ განისაზღვრა თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი შრომით ხელშეკრულების დადება და ასევე შესაძლებელია ხელშეკრუოებით დასაქმებული საჯარო მოხელე დროთა განმავლობაში ძირითად შტატში გადასულიყო. მოიმატა სხვადსხვა თანამ-დებობაზე მომუშავე საჯარო მოხელეთა რაოდენობაც, რაც იმის მანიშნებელი, რომ საჯარო სამსახურში თანამშრომელთა კარიერული ზრდა ხდება.

გამოკითხული საჯარო მოხელეთა 1000-ზე მეტი რესპონდენტიდან მხოლოდ 31,2%- სამსახურებრივი პოზიცია არ შეუცვლია, დანარჩენი გამოკითხულთა 33,3% დაწინაურდა იმავე სტრუქტურაში, რომელშიც იყო დასაქმებული თავიდან, 35%-მა კი დაკავებულ პოზიციასთან ერთად შეიცვალა დასაქმების ადგილი. საჯარო სამსახურში მუშაობის პერიოდში 68,3%-მა ერთხელ მაინც შეიცვალა სამუშაო პოზიცია ეს იმაზე მიუთითებს, რომ საჯარო სამსახურში წინსვლა და კარიერული განვითარება ხდება. თუმცა აღნიშნული მონაცემების მიუხედავად, გამოკითხული საჯარო მოხელეების ნახევარი თვლის, რომ საჯარო სამსახური მათ კარიერულ განვითარებაში არ მონაწილეობს. 5%-ი მიიჩნევს, რომ დამსაქმებელი ხელს უწყობს, განვითარდეს უშუალოდ დასაქმე-ბულის მიერ შერჩეული მიმართულებით. დამსაქ-მებლის მიერ შერჩეული სასწავლო კურსებით. დამსაქმებლის მიერ გაგზავნილი მოხელეთა 45% სხვადასხვა სახის კურსებზე და ტრენინგებზე. საჯარო მოხელეების 57,3%- თვლის ,რომლებმაც გაიარეს დამსაქმებლის მიერ მათთვის შერჩეული კურსები, ისინი მიიჩნევენ მათ მიერ გავლილი სასწავლო კურსები არაეფექტური .მხოლოდ 42,7% თვლის, რომ აღნიშნული კურსები მათ კარიერულ ზრდაში შეუწყობს ხელს. უნდა აღინიშნოს პოზიტიური დამოკიდებულება გავლილი ტრენინგების მიმართ, გამოკითხულ საჯარო მოხელეთა შედარებით ნაკლებ რაოდენობას აქვს, თუმცა განსხვავება კმაყოფილ და უკმაყოფილო რესპოდენტებს შორის მცირეა.

სისტემატურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის რეფორმები საჯარო სექტორში, რომელიც მიმართულია საჯარო სამსახურში არსებული ადამიანური რესურსების უფრო ეფექტიანად მართვისკენაა. რეფორმების მთავარი მიზანი უკვე არსებული ადამიანური რესურსის უკეთ განვითარება და ასევე პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას წარმოადგენს. აღნიშნულის მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს არ აქვთ იმის აღქმა ,რომ მათ კარიერულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავენ. დასაქ-მებულებისთვის საჯარო სექტორი წარმოადგენს სტაბილურ სამუშაო ადგილს. თუ მოხელეს აქვს კარიერული განვითარების ზრდის ამბიცია, ამ შემთხვევაში მან უნდა აირჩიოს კერძო სექტორს მიანიჭოს უპირატესობა. ასეთი მიდგომის გამო საჯარო სექტორი კარგავს ამბიციურ, კარი-ერულ წინსვლისკენ ორიენტირებულ თანამშ-რომლებს. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანები გამოხატავენ ნაკლებ ინიციატივას, ნაკლებ ამბიციას, ისინი ნაკლებად ზრუნავენ საკუთარ კარიერულ განვითარებაზე. ძირითადი მობილიზებული არიან შეინარჩუნონ არსებულია პოზიცია.

**დასკვნა**

სახელმწიფომ იმისათვის, რომ დანერგოს

ევროპული სტანდარტები საჯარო სამსახურში და მოხდინოს კარიერული განვითარების გამჭვირვალეობა, გატარებული რეფორმების ეფექტურობა . საჭიროა საჯარო სამსახურის ბიუროს დაევალოს საჯარო მოხელეების შეფასებასთან ერთად, თვითონ საჯარო მოხელეების მიერ უნდა ხდებოდეს სამუშაო გარემოს, გავლილი კურსების შეფასება. რაც ხელს შეუწყობს ევროპული ხედვის დანერგვას საჯარო სამსახურში და ესევე მოხელის მიღებული შედეგების ანალიზი მნიშვნელოვნად გაზრდის გატარებული რეფორმების ეფექტიანობას.

**ლიტერატურა:**


1. კანონი 2015- საქართველოს კანონი საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ. საქართველო, თბილისი 2015 წელი.
2. ანგარიში 2019 - საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში. საქართველო, თბილისი.2019 წელი.
3. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“. თბილისი 2017 წელი.
4. იზორია, ლ., ტურავა პ. – „საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია“. საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი, 2012.
5. საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია 2019.
6. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური: საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020.


**Development stages of public service in modern Georgia**


***Ana Svanidze, PhD student***
***Georgian Technical University***


## Summary


The Law of Georgia on Civil Service was signed in 2015 and entered into force in 2017. The implemented reforms in the public service were directly focused on the career and professional development of civil servants. The current law on public service, the main goal of which is to ensure career merit, advancement, impartiality, honesty, political neutrality, and accountability, as well as the creation of legal functioning bases. The Civil Service Law defines the work process of a civil servant, his status, as well as issues of public service management. The main principles of public service are: legality, equality before the law, loyalty, impartiality, accountability, political neutrality, career development, transparency, openness and also legal and social protection of the official. As of today, care for the career development of civil servants has come forward. The law mentions and made mandatory the qualified systematic assessment of the employee, as well as the development of professional skills of the important employee. In 2017-2018, according to the Law on Public Service, the role of human resource management managers in the career development of persons employed in the public service has changed significantly. The Public Service Bureau works systematically to improve the current situation of public service employees through various reforms, to select motivated and hard-working personnel, to form professional highly qualified employees, to conduct various measures for their career development. Despite all these changes, 55.3% of the surveyed officials employed in the public sector believe that the human resources management manager does not participate in their career development. 36.0% of the surveyed civil servants believe that the person who provides them with information about different types of courses and trainings, which may be good for their further career development. Only 8.3% believe that the manager of human resources management is considered to be a good leader when it comes to the career development of this civil servant.


Key words: reform, public service, civil servant, career development.

# საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

# S C I E N C E S

## $UMn_2$ - $UFe_2$ სისტემის მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებები

*პროფესორი ზურაბ ჩაჩხიანი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ლალიტა დარჩიაშვილი,*
*ფიზიკის დოქტორი*

**რეზიუმე**

შესწავლილია $UMn_2$ - $UFe_2$ მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებები. განსაზღვრულია $UMn_2$ ნაერთის მაგნიტური ამთვისებლობის ნამდვილი მნიშვნელობები. ნავარაუდევია, რომ $UMn_2$ ნაერთის მაგნიტური ამთვისებლობა არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. ექსპერიმენტულად განსაზღვრულია 90% $UMn_2$ – 10%$UFe_2$ ნაერთის კუთრი ამთვისებლობის ტემპერატურული დამოკიდებულება 4 კე და 8 კე დაძაბულობის მაგნიტურ ველში. გაანალიზებულია საკვლევი ნაერთების კუთრი ამთვისებლობის დამოკიდებულებები მაგნიტური ველის დაძაბულობასა და ტემპერატურაზე, მინარევების ფერომაგნეტიზმის გავლენის გათვალისწინებით.

ნაჩვენებია, რომ $UMn_2$ - $UFe_2$ სისტემის საკვლევი ნიმუშები ხასიათდებიან შებრუნებული კუთრი ამთვისებლობის მნიშვნელოვანი ტემპერატურული დამოკიდებულებით. თითქმის ყველა ნიმუშისათვის არ სრულდება კიური-ვეისის კანონი. განხილულია $UMn_2$ ნაერთში ფერომაგნეტიკური განწესრიგების გამოვლინების მიზეზები ფერმის ზედაპირზე მდგომარეობის სიმკვრივის სპეციფიკური ცვლილებების საფუძველზე. ტემპერატურაზე დამოკიდებული პარამაგნეტიზმის გამოვლინება დაკავშირებულია ფერმის დონის ამაღლებასთან $UMn_2$ პროცენტული შედგენილობის ამაღლების პირობებში.

საკვანძო სიტყვები: მყარი ხსნარები, კუთრი ამთვისებლობა, პარამაგნეტიზმი, მდგომარეობის სიმკვრივე, მაგნიტური მოუწესრიგებლობა.

**შესავალი**

აქტინოიდებისა და გარდამავალი მეტალების ინტერმეტალური ნაერთების მყარ ხსნარებში შემადგენელი კომპონენტების კონცენტრაციის ვარირებით შესაძლებელია მაგნიტური თვისებების მახასიათებლების მიზანმიმართული მართვა [1, 2]. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა რკინასა და მანგანუმთან ურანის $MgCu_2$ ტიპის ნაერთების მყარი ხსნარების სტრუქტურული მდგომარეობისა და მაგნიტური თვისებების კომპლექსური კვლევა კონცენტრაციის, ტემპერატურისა და მაგნიტური ველის დაძაბულობის ფართო ინტერვალში.

განსაზღვრული კონცენტრაციის საცდელი ნიმუშები მიღებულია რკალურ ღუმელში შედნობით არგონის ატმოსფეროში და შემდგომი მოწვით მაღალ ტემპერატურაზე. რენტგენული დიფრაქციული კვლევით დადგენილი იქნა სინთეზირებული ნაერთების შესაბამისი კრისტალური სტრუქტურების ფორმირება. მაგნიტური ამთვისებლობის გაზომვები სრულდებოდა მაღალი მგრძნობიარობის ქანქარიან სასწორზე მექანიკური კომპენსაციით [3].

**ძირითადი ნაწილი**

$UMn_2$-$UFe_2$ სისტემის ნიმუშების დამაგნიტების გაზომვამ აჩვენა, რომ 90% $UMn_2$-10% $UFe_2$, 80% $UMn_2$ -20% $UFe_2$ ნაერთებს გაზომვის ცდომილების ფარგლებში აქვთ ტემპერატურისგან დამოუკიდებელი პარამაგნიტური ამთვისებლობა. დანარჩენი ნაერთების ამთვისებლობა დამოკიდებულია ტემპერატურაზე და ეს დამოკიდებულება იზრდება, რადგან Mn ატომები იცვლება Fe

ატომებით. $UFe_2$ ნაერთები 90% $UFe_2$- 10% $UMn_2$, 80% $UFe_2$- 20% $UMn_2$ არიან ფერომაგნიტურები.

$UMn_2$ ნაერთის ამთვისებლობა 80K -300K ტემპერატურულ დიაპაზონში იზომებოდა სხვადასხვა მნიშვნელობის მაგნიტურ ველში 3 კე, 4 კე, 5 კე, 6 კე, 7 კე, 8 კე.

გაზომვები შესრულდა ამთვისებლობის ველზე დამოკიდებულების არსებობის დასადგენად და ასევე ფერომაგნიტური მინარევების აღმოსაფხვრელად, რომლებიც შესაძლებელია გამოვლინდნენ საკვლევ ნიმუშებში. მსგავსი მეთოდით განისაზღვრა სისტემის დანარჩენი ნიმუშების ამთვისებლობა პარამაგნიტურ ზონაში. ნახაზი 1 გვიჩვენებს $UMn_2$ ნაერთის სპეციფიკური ამთვისებლობის დამოკიდებულებას მაგნიტური ველის სიდიდეზე სხვადასხვა ტემპერატურისთვის. 1 მრუდი შეესაბამება 83K -114K ტემპერატურას, 2 მრუდი - 133°K ტემპერატურას, 3-143K, 4-157K, 5-166K, 6-178K - 300K.

როგორც ნაჩვენებია ნახ. 1-ზე, ყველა იზოთერმისთვის აღინიშნება ამთვისებლობის დამოკიდებულება ველზე. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს ტემპერატურის დამოკიდებულებას $UMn_2$ ნაერთის კუთრ ამთვისებლობაზე მაგნიტური ველების მნიშვნელობისთვის 4 кэ და 8 кэ (ზედა მრუდეები).

ნახ. 2-ზე ჩანს, რომ 80K -120K რეგიონში




ნახ. 1. $UMn_2$ ნიმუშის კუთრი ამთვისებლობის ველზე დამოკიდებულება

ამთვისებლობა არაა დამოკიდებული ტემპერატურაზე, შემდეგ ხდება დაკვირვება მკვეთრ ცვლილებაზე, ხოლო შემდეგ დაახლოებით 180K-დან ისევ ვლინდება ტემპერატურისაგან დამოუკიდებელი ამთვისებლობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ველზე დამოკიდებულება მკაცრად იკლებს ტემპერატურის მატებასთან ერთად ზუსტად იმ არეში, რომელშიც ხდება ამთვისებლობის ცვლილება და ველის დამოუკიდებლობა მუდმივია იმ არეში, სადაც ამთვისებლობა არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. ამ მხრივ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამთვისებლობის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ფერომაგნიტური მინარევების ზემოქმედებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შენადნო-ბების მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა ელექტროლიტური მანგანუმი. სპექტრულმა ანალიზმა აჩვენა, რომ Mn საწყისი არ შეიცავს არანაირ ფერომაგნიტურ მინარევებს.

ამრიგად, ფერომაგნიტური მინარევების გაწმენდა უნდა მომხდარიყო ნიმუშის მომზადებამდე.

საკვლევი ნაერთის $\chi_u$ კუთრი ამთვისებლობა შედგება ორი მდგენელით - $\chi_\phi = 0$ ნამდვილი ამთვისებლობით შესწავლილი ნაერთის და $\chi_\phi = 0$ - ფერომაგნიტური ნაერთების ამთვისებლობა.

$\chi_\phi = 0$ - არაა დამოკიდებული ველზე, $\chi_\phi = 0$ - მი-ისწრაფის ნულისკენ H → ∞. ამიტომ, თუ ავაგებთ $\chi_\phi = 0$ დამოკიდებულებას 1/H და გრაფიკის ექსტრაპოლაციით კოორდინატთა ღერძზე, მაშინ მიიღება ამთვისებლობის მნიშვნელობა მრუდის გადაკვეთაზე ორდინატის ღერძთან, სადაც $H = \infty \chi_\phi = 0.$

ამ პროცედურის შესრულების შემდეგ, ვიღებთ $UMn_2$ ნაერთის ამთვისებლობის ნამდვილ მნიშვნელობებს. გაზომვის ცდომილების ფარგლებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ $UMn_2$ ნაერთის ამთვისებლობა არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე.

ნახ. 2-ზე მოყვანილია კუთრი ამთვისებლობის დამოკიდებულება 90% $UMn_2$ - 10% $UFe_2$ ნაერთის ტემპერატურიდან ველების მნიშვნელობისთვის 4კე და 8კე (ზედა მრუდეები). ქვედა მრუდი აგებულია ფერომაგნიტური მინარევების ეფექტის გათვალისწინებით.




ნახ. 2. $UMn_2$ ნიმუშის კუთრი ამთვისებლობის ტემპერატურული დამოკიდებულება
მრუდი ---0--- ფერომაგნიტური მინარევების გათვალისწინებით




**ნახ. 3. 90% $UMn_2$ – 10%$UFe_2$ ნიმუშის კუთრი ამთვისებლობის ტემპერატურული დამოკიდებულება (მრუდი ---0--- ფერომაგნიტური მინარევების გათვალისწინებით )**

ნახ. 3 აჩვენებს კონკრეტული ამთვისებლობის გრაფიკის ფარდობით მდგომარეობას (ფერომაგნიტური მინარევების გათვალისწინებით) განსხვავებული ნიმუშებისთვის ტემპერატურისგან, დაწყებული $UMn_2$ და დამთავრებული 50% $UMn_2$ - 50% $UFe_2$.

ეს გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება ტემპერატურული ამთვისებლობის დამოკიდებულების ხასიათი, რადგან $UMn_2$ ნაერთში მანგანუმის ატომები იცვლება რკინის ატომებით.

ყველა მომდევნო ნიმუშს აქვს ძლიერი ტემპერატურული დამოკიდებულების ამთვისებლობა. შესწავლილია შემდეგი ნაერთების 40% $UMn_2$ - 60% $UFe_2$; 30% $UMn_2$ - 70% $UFe_2$; 20% $UMn_2$ - 80% $UFe_2$; 10% $UMn_2$ - 90% $UFe_2$; 100% $UFe_2$ ამთვისებლობა ფერომაგნიტური მინარევების ეფექტის გათვალისწინებით.

ნახ. 4-ზე ნაჩვენებია შებრუნებული კუთრი $1/\chi$ ამთვისებლობის ტემპერატურული დამოკიდებულება ყველა ნიმუშისთვის $UMn_2$ - $UFe_2$ სისტემის, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი ტემპერატურული დამოკიდებულება. ამ ნახაზიდან ჩანს, რომ თითქმის ყველა ნიმუშისთვის კიური-ვეისის კანონი არ სრულდება. გამონაკლისი შეიძლება დაუშვან $UFe_2$-ს მაღალი და სუფთა $UFe_2$ შემცველობის მქონე გრაფიკებმა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ გარკვეულ ხაზოვნებაზე შესწავლილ ტემპერატურულ ინტერვალში.

ჩვენ მიერ შესწავლილ ტემპერატურულ დიაპაზონში სამ ნაერთს 20% $UMn_2$ - 80% $UFe_2$; 10% $UMn_2$ - 90% $UFe_2$ და ნაერთს $UFe_2$ აქვს ფერომაგნიტური თვისებები. უფრო მეტიც, 20% $UMn_2$ - 80% $UFe_2$ ნაერთის ფერომაგნიტური გადასვლის ტემპერატურა მდებარეობს ჩვენი ტემპერატურული დიაპაზონის დაბალი ტემპერატურის საზღვართან და ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია სპონტანური მაგნეტიზაციის დამოკიდებულების გრაფიკის მოყვანა ამ ნაერთისთვის ტემპერატურიდან და მისგან კიურის ფერომაგნიტური ტემპერატურის ზუსტი მნიშვნელობის განსაზღვრა.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივუთითოთ, რომ ეს მნიშვნელობა დაახლოებით ტოლია 100 K.




**ნახ. 4. კუთრი ამთვისებლობის შებრუნებული სიდიდის ტემპერატურული დამოკიდებულება $UMn_2$ – $UFe_2$ სისტემის ყველა ნიმუშისთვის**

კიურის ფერომაგნიტური ტემპერატურის დასადგენად $UFe_2$ და 90% $UFe_2$ - 10% $UMn_2$ ნაერთებისთვის იქმნებოდა გრაფიკები მაგნეტიზაციაზე დამოკიდებული მაგნიტური ველის სიდიდიდან სხვადასხვა მნიშვნელობის ტემპერატურაზე.

აღმოჩნდა, რომ $\theta_F$ 90% $UFe_2$ - 10% $UMn_2$ ნაერთისთვის ტოლია 140K. ექსტრაპოლაციით T-დან გრაფიკი (ნახ. 4) ტემპერატურის ღერძამდე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფერომაგნიტური მოუწესრიგებლობა არსებობს 90% $UFe_2$ - 10% $UMn_2$ ნაერთამდე. კიურის პარამაგნიტური ტემპერატურა ამ ნაერთისთვის ნულზე მეტია და ტოლია დაახლოებით 40K. დანარჩენი ნაერთებისთვის $\theta_F$, $UFe_2$-ს მაღალი შემცველობით ტოლია 90K, 135K, 148K ნაერთებისთვის 80% $UFe_2$ - 20% $UMn_2$ , 90% $UFe_2$ - 10% $UMn_2$, 100% $UFe_2$ შესაბამისად.

ჩვენ მიერ მიღებული შედეგები $UMn_2$ - $UFe_2$ სისტემის მაგნიტური თვისებების გაზომვით, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას ფერომაგნეტიზმის შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით [4].

ვთქვათ $g(\varepsilon)$ - ფერმის ზედაპირზე სიმკვრივის მდგომარეობაა, $g(\varepsilon)$- გამტარი ელექტრონების გაცვლითი ურთიერთქმედების მახასიათებელი პარამეტრი.

მაშინ ფერომაგნიტური მოუწესრიგებლობის გამოჩენისთვის ნაერთში აუცილებელია, რომ [illegible] - იყოს 1-ზე მეტი ანუ [illegible] ალბათ $UMn_2$ ნაერთში ფერმის დონე გადის რეგიონში $g(\varepsilon)$ დაბალი მნიშვნელობებით $UFe_2$ ნაერთთან შედარებით, რაც იწვევს მითითებული ფერომაგნეტიზმის კრიტერიუმების შეუსრულებლობას.

როგორც UMn ატომები იცვლება Fe ატომებით, 3d ზონა თანდათან ივსება, ფერმის დონე გადადის დიდი მნიშვნელობის რეგიონში $g(\varepsilon)$.

უკანასკნელი კარგ თანხმობაშია აბსოლუტური მნიშვნელობის ზრდასთან ტემპერატურისგან დამოუკიდებელ ამთვისებლობაზე რკინის კონცენტრაციის ცვლილებით ნიმუშებში $UMn_2$ -ის დიდი შემადგენლობით.

შემდეგში $UMn_2$ -ის შემადგენლობის ზრდით ფერმის დონე გადადის უფრო დიდი მნიშვნელობის რეგიონში [illegible], ამასთან [illegible] მკვეთრად იცვლება [illegible] შეცვლით. ეს იწვევს ტემპერატურაზე დამოკიდებულ პარამაგნეტიზმს და საბოლოოდ, 60%$UFe_2$ ÷ 70%$UFe_2$ რიგის კონცენტრაციებშიალბათ მდგომარეობის სიმკვრივე აღმოჩნდება საკმაოდ მაღალი ფერომაგნეტიზმის წარმოქმნისთვის.

**ლიტერატურა:**


1. Grössiner R., Hilsher G., Komesborger I. et al. J. Magn. and Magn. Mater., 1981, v. 29, №1, p. 230;
2. Burzo E., Valeanu M. Rev. Roum. Phys., 1984, v. 40, №4, p. 375;
3. ზ. ჩაჩხიანი, ლ. ჩაჩხიანი, მაგნიტური კვლევის მეთოდები, ნაწილი I, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, 1996 წ.
4. ВОНСОВСКИЙ С.В. Магнетизм, Москва 1971 г.

# ორგანიზაციაში, ERP სისტემების შერჩევა/დანერგვისა და მისი თანმდევი, საწარმოო რეინჟინერინგის განხორციელების პრობლემები

*არჩილ გრიგალაშვილი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თეიმურაზ ბერძენიშვილი, დირექტორი*
*სტუ-ს სამეცნიერო კვლევის ცენტრი*

*ეკატერინე გობეჯიშვილი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ქეთევან ილურიძე, ასისტენტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატიაში ჩატარებული კვლევები, ძალზედ აქტუალური და პრაქტიკულად გამოყენებადი კვლევებია. ნაშრომის მიზანია: ERP სისტემებისა და მათი შესაბამისი, საწარმოო რეინჟინერინგის მეთოდების შერჩევა და კონკრეტულ საწარმოში დანერგვის რეკომენდაციების შემუშავება.

ERP სისტემა საწარმოს ხარისხიანი მართვის, კონტროლისა და ოპტიმიზაციის, ასევე ბიზნესის ზრდისა და გაფართოების საიმედო ინსტრუმენტია და ითვალისწინებს: ფინანსური რესურსების მართვას, ადამიანური რესურსებისა და აქტივების კონტროლს, პარტნიორებთან ურთიერთობას, მომხმარებლების ტრანზაქციების აღრიცხვას, გაყიდვების მართვასა და ბიზნესის სხვა სფეროებს. ის შეიცავს: მონაცემთა მართვის ინსტრუმენტებსა და საერთო პლატფორმასთან დაკავშირებულ მოდულებს.

ოპტიმალური ERP სისტემის შესარჩევად საჭიროა გამოითვალოს მისი განხორციელების ეკონომიკური ეფექტიანობა. არ არსებობს უნივერსალური ERP სისტემა და საკმაოდ დიდია რისკი იმისა, რომ კომპანიამ მიიღოს დაბალი ხარისხის პროდუქტი გაბერილ ფასად, ამიტომ ყოველი კომპანიისთვის უნდა შეირჩეს მისთვის ყველაზე ოპტიმალური პროდუქტი და შერჩევისას გამოითვალოს შემდეგი პარამეტრები: პერსონალისა და მარაგების შემცირება; პროდუქციის წარმოების სიჩქარისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდა, რაც შედეგად მოიტანს დამატებითი მოგებას ან/და ხარჯების შემცირებას. ERP სისტემის საერთო ხარჯი შედის როგორც პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება, ასევე სისტემის დანერგვისა და პერსონალის ტრენინგის ღირებულებაც.

ERP სისტემის თითოეულ მსხვილ მწარმოებელს შემუშავებული აქვს საკუთარი ტექნოლოგიები და ERP სისტემის პროგრამული და აპარატურული არქიტექტურის მიხედვით, დანერგვის განსხვავებული თანმიმდევრობა. სისტემის დანერგვა ერთ-ერთი ყველაზე რთული, შრომატევადი და ძვირადღირებული პროცესია და მისი განხორციელებისას ყოველთვის ჩნდება პრობლემები და შეცდომები, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხით გავლენას ახდენს პროექტის შესრულების ვადებზე, ღირებულებასა და ეფექტურობაზე.

იშვიათია ორგანიზაცია, რომელიც ERP სისტემის დანერგვისას რეინჟინერგს არ საჭიროებდეს, საწარმოო რეინჟინერინგის ძირითადი მიზანია: გააუქმოს უსარგებლო დამატებითი პროცესები, შეამციროს ოპერაციებს შორის დრო, სამუშაოების მოცულობა და დანახარჯები, მოახდინოს სამომავლო ხედვისა და მიზნების ჩამოყალიბება და სხვა. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოყვანილია სტუ-ს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ERP სისტემები, საწარმოო რეინჟინერინგი, სისტემების შერჩევა/დანერგვის პროცესები.

## შესავალი

ნებისმიერი კომპანიის წინსვლისთვის, დღევანდელ რეალიბაში, ყველაზე უფრო აქტუალურია არსებული IT სისტემების შემდგომი განვითარება, რაც შეიძლება განხორციელდეს მსოფლიო მოწინავე ფირმების მიერ წარმოებული ERP სისტემების შერჩევა/დანერგვისა და მისი თანმდევი, საწარმოო რეინჟინერინგის, განხორციელების მეშვეობით. ERP სისტემა საწარმოს ხარისხიანი მართვის, კონტროლის, ოპტიმიზაციის, ბიზნესის ზრდისა და გაფართოების საიმედო ინსტრუმენტია. ასე-

თი სისტემა კომპანიის ზოგადი სტრატეგიაა და ითვალისწინებს: ფინანსური რესურსების მართვას, ადამიანური რესურსებისა და აქტივების კონტროლს, პარტნიორებთან ურთიერთობას, მომხმარებლების ტრანზაქციების აღრიცხვას, გაყიდვების მართვასა და ბიზნესის სხვა სფეროებს. ის შეიცავს: მონაცემთა მართვის ინსტრუმენტებსა და საერთო პლატფორმასთან დაკავშირებულ მოდულებს. ოპტიმალური ERP სისტემის შესარჩევად საჭიროა გამოითვალოს მისი განხორციელების ეკონომიკური ეფექტიანობა, რამაც შედეგად შეიძლება დამატებითი მოგება ან/და ხარჯების შემცირება მოიტანოს.

ERP სისტემების შეძენის სამი გზა არსებობს: საკუთარი პროდუქტის შექმნა, მზა პლატფორმის შეძენა და ინდივიდუალურად კომპანიისთვის ERP სისტემების პროფესიული შემუშავება. აქვე აღსანიშნავია, რომ არ არსებობს უნივერსალური ERP სისტემა, რომელიც შესაფერისი იქნება ყველა კომპანიისთვის და საკმაოდ დიდია რისკი იმისა, რომ კომპანიამ მიიღოს დაბალი ხარისხის პროდუქტი გაბერილ ფასად, ამიტომ ყოველი კომპანიისთვის უნდა შეირჩეს მისთვის ყველაზე ოპტიმალური პროდუქტი, რომელიც შემდგომ, დანერგვის პროცესში, კორექტირდება. ოპტიმალური ERP სისტემის შესარჩევად საჭიროა გამოითვალოს მისი განხორციელების ეკონომიკური ეფექტიანობა შემდეგი პარამეტრების მეშვეობით: პერსონალისა და მარაგების შემცირება; პროდუქციის წარმოების სიჩქარისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდა, რაც, შედეგად მოიტანს დამატებითი მოგებას ან/და ხარჯების შემცირებას.

იშვიათია ორგანიზაცია, რომელიც ERP სისტემის დანერგვისას რეინჟინერგს არ საჭიროებდეს, ERP სისტემას რეინჟინერინგის ელექტრონულ განსახიერებასაც უწოდებენ. რეინჟინერინგის ძირითადი მიზანია: გააუქმოს უსარგებლო დამატებითი პროცესები, შეამციროს ოპერაციებს შორის დრო, სამუშაოების მოცულობა და დანახარჯები, მოახდინოს სამომავლო ხედვისა და მიზნების ჩამოყალიბება და სხვა.

ნაშრომის მიზანია: მსოფლიო ბაზარზე, მოწინავე მწარმოებელი ფირმების მიერ შემოთავაზებული ERP სისტემებისა და მათი შესაბამისი, საწარმოო რეინჟინერინგის მეთოდების შერჩევა და კონკრეტულ საწარმოში დანერგვის რეკომენდაციების შემუშავება. სტატიაში ჩატარებული კვლევები ეხება ERP სისტემების შეძენა/დანერგვისა და მისი თანმდევი, საწარმოო რეინჟინერინ-გის განხორციელების პრობლემებს, რაც ძალზედ აქტუალური და პრაქტიკულად გამოყენებადი კვლევებია. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია საქართველოს კომპანიებში ERP სისტემებისა და საწარმოო რეინჟინერინგის მეთო-დების შერჩევისა და დანერგვის პრაქტიკული რეკომენდაციები.

სტატიაში განხილული კვლევები ჩატარებულია სტუ-ს ენერგეტიკის ფაკულტეტთან არსებულ „საინჟინრო ამოცანებისა და ბიზნესპროცესების შემსწავლელ“ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

**ძირითადი ნაწილი**

ERP სისტემის დანერგვა ჩვეულებრივ ხანგრძლივი და რთული პროცესია. ERP სისტემის თითოეულ მსხვილ მწარმოებელს შემუშავებული აქვს საკუთარი ტექნოლოგიები და განხორციელების მეთოდები. ეს მეთოდები გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ზოგადი პროცედურა ძირითადად იგივეა. გარდა ამისა, ERP სისტემის დანერგვის თანმიმდევრობა შეიძლება განსხვავდებოდეს ERP სისტემის პროგრამული და აპარატურული არქიტექტურის მიხედვით. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნას სერვისის მიმწოდებლის არჩევისას. ERP სისტემის დანერგვა კომპანიის მოღვაწეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე რთული, შრომატევადი და ძვირადღირებული ამოცანაა და მისი განხორციელების პროცესში ყოველთვის ჩნდება პრობლემები და შეცდომები, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხით გავლენას ახდენს პროექტის შესრულების ვადებზე, ღირებულებასა და ეფექტიანობაზე. ERP სისტემის შერჩევისას საჭიროა კომპანიისთვის ყველაზე შესაფერისი სისტემების სიის შედგენა და უფრო არსებითი საუბარი იმ მომწოდებელი კომპანიების წარმომადგენლებთან, რომლებმაც უნდა მოახდინონ სისტემის ფუნქციონირების პრეზენტაცია. ERP სისტემის საერთო ხარჯი არა მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულებაა, არამედ მასში შედის დანერგვისა და პერსონალის ტრენინგის ღირებულებაც.

ERP სისტემების პრაქტიკული უპირატესობებია: სხვადასხვა ტიპის წარმოებაში შესაძლო ინტეგრაცია, საქმიანობის ფართო სპექტრთან სწრაფად ადაპტაცია და სხვა პროგრამულ საშუალებებსა და აპლიკაციებთან ინტეგრირების შესაძლებლობა, ხოლო ERP სისტემების ძირითადი ნაკლოვანებებია: სისტემის შეძენა/დანერგვის სიძვირე, მონაცემთა შენახვა/გადამუშავების მოწყობილობების გაზრდილი ღირებულება და უსაფრთხოების სისტემის ზედმიწევნით ზუსტი კონტროლის აუცილებლობა.

ყველა ტიპიური ERP სისტემის ამოცანა მოიცავს თანამედროვე კომპანიის ფინანსური და მენეჯმენტის აღრიცხვის ყველა სფეროს, პერსონალის

მენეჯმენტს, ოპერატიულ საქმიანობას და მისი სერვისის განმახორციელებელ განყოფილებებს. გარდა ამისა, აღნიშნული მწარმოებლების ERP-ს მონაცემთა სისტემები წარმოადგენს სისტემის ადმინისტრირების ინსტრუმენტს და შეუძლია გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორებიცაა მომხმარებლის მართვა, მონაცემთა ცენტრალიზებული მართვა და ვებსერვისების მართვა. ERP სისტემის დანერგვის ტიპიური პერიოდი ერთიდან ორ წლამდეა. თითოეულ შემთხვევაში, დრო და შესაბამისად, ფასი დამოკიდებულია პროექტისა და გადასაწყვეტი ამოცანების სირთულეზე. ასევე იმ გუნდის კვალიფიკაციაზე, რომელიც განახორციელებს დანერგვას. რა თქმა უნდა ყოველივე ამის შემდეგ, ამ გადაწყვეტილებების ტიპიური ფუნქციონირება მორგებული იქნება ორგანიზაციის საჭიროებებზე და ბიზნესამოცანებზე.

როგორც, ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, შესაფერისი ERP სისტემების შესარჩევად რეკომენდირებულია გაანალიზებულ იქნას ERP სისტემების მსოფლიო ბაზარზე არსებული მართვის თანამედროვე სისტემები და მათი ძირითადი კრიტერიუმები, მათ შორის: ERP სისტემის პლატფორმაზე გამოყენებული ტექნოლოგიების ფუნქციონალობა და ვენდორის ან ინტეგრატორის მიერ მისი ტექნიკური, საინფორმაციო და სერვისული მხარდაჭერის პირობები და ERP სისტემის შეძენასა და შემდგომ მუშაობასთან დაკავშირებული ყველა კრიტერიუმი.

ERP არჩევის ძირითად კრიტერიუმად შეიძლება რეკომენდირებულ იყოს შემდეგი ელემენტები:

- ERP სისტემის საბაზისო ფუნქციონალობა;
- ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის შექმნა და სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ორგანიზება ინტერნეტის საშუალებით;
- თანამედროვე, ინდუსტრიის სტანდარტებზე დაფუძნებული ინსტრუმენტების გამოყენება;
- მონაცემთა ბაზის მართვის მრავალპლატფორმიანი სისტემებისა გამოყენება;
- წარმოების კომპლექსური მართვის ავტომატიზაცია;
- ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, რა უნდა მიიღოს კომპანიამ ERP სისტემების განხორციელებისთანავე და რისი მიღებაა საჭირო მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

ERP სისტემის არჩევისას, რეკომენდირებულია მოქმედებების შემდეგი თანმიმდევრობა; პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მიზნების, ამოცანების დასახვა და საჭირო ფუნქციონირებისა და შეფასების კრიტერიუმების სისტემის განსაზღვრა, შეთანხმება და ბაზარზე შემოთავაზებული პროდუქტის შესწავლა. შემდეგ ხდება კრიტერიუმების მნიშვნელოვანებების შეფასება და წინასწარი შერჩევა. დასასრულს ტარდება სისტემის არჩევისა და სისტემის საბოლოო არჩევანის შესახებ რეკომენდაციების დეტალური ანალიზი. რომელ ERP სისტემას ავირჩევთ დამოკიდებულია კომპანიის ამოცანებსა და ბიუჯეტზე. პირველ რიგში, უნდა გავაანალიზოთ შემოთავაზებული ERP სისტემების დემოვერსიები (რაც, ხშირ შემთხვევაში, უფასოა), შემდეგ თუ ეს შესაძლებელია, დეტალურად გავეცნოთ ვენდორების ან ინტეგრატორის გუნდის გამოცდილებას. ამის შემდეგ, ვირჩევთ არა მხოლოდ პროგრამულ უზრუნველყოფას, არამედ ადამიანებს, რომლებიც დაგვეხმარება მის განხორციელებასა და შემდგომ მხარდაჭერაში. ამიტომ, მოლაპარაკება IT კომპანიის წარმომადგენელთან თავდაპირველად უნდა იყოს დიალოგის სახით, უნდა ვისაუბროთ ერთ ენაზე და მშვენივრად გვესმოდეს ერთმანეთის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ კომპეტენტურად და წარმატებით განვახორციელოთ ERP სისტემის დანერგვა ჩვენს საწარმოში და დავზოგოთ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი კომპანიის არჩევისას.

ყოველი ორგანიზაცია, განსაკუთრებით მსხვილი, მულტიფუნქციური და უკვე არსებული ან მომავალში დაგეგმილი ინოვაციური ტექნოლოგიების შემცველი საწარმოები, საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს, კერძოდ უსარგებლო დამატებითი პროცესების გაუქმებას, ოპერაციებს შორის დროის შემცირებას, სამუშაოების მოცულობის გაზრდასა და დანახარჯების შემცირებას და სხვა მსგავსი, პროცესების ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ ცვლილებების განხორციელებას. ყოველივე ამისათვის ძლიერი კომპანიების იმეტესება ანხორციელებს ERP სისტემის შერჩევას, თავის საწარმოში დანერგვას და ხშირ შემთხვევაში საწარმოო რეინჟინერინგის ჩატარებას.

არსებობს რეინჟინერინგის განხორციელების ორი, ძირითადი მეთოდი: სრული რეინჟინირინგი ე.წ. „სუფთა ფურცლიდან“ რეინჟინერინგი, როდესაც ხორციელდება ძირეული ცვლილებები (ცვლილებები ნოლიდან) და ნაწილობრივი რეინჟინერინგი, ე.წ. „ამძრავი ტექნოლოგიით“ რეინჟინერინგი, როდესაც ცვლილებები ხორციელდება საწარმოში უკვე არსებულ ტექნოლოგიაზე (ტექნოლოგიებზე) დაყრდნობით. პრაქტიკაში, მენეჯერების მიერ შეისწავლება თითოეული ამ მიდგომის უპირატესობა და უარყოფითი მაჩვენებელი და ამის მიხედვით ხდება ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა. რეინჟინერია სასურველია

განხორციელდეს ორივე მიდგომის შესაძლებლობების მთელი სპექტრის გათვალისწინებით.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ საწარმოო პროცესების „სუფთა ფურცლის“ რეინჟინერინგის უპირატესობები შემდეგია: ფირმები არ შემოიფარგლება კონკრეტული ინსტრუმენტებით; ფირმებს შეუძლია შექმნას პროცესის განხორციელების უნიკალური ფორმები; სრული რეინჟინერია, ტექნოლოგიების დანერგვასთან განსხვაცებით, შესაძლოა ერთადერთი გამოსავალი იყოს ახალი ტექნოლოგიური პროცესების შესაქმნელად.

საწარმოო პროცესების „ამძრავი ტექნოლოგიით“ რეინჟინერინგს შეუძლია: რეინჟინეიისთვის საჭირო ძალისხმევის სტრუქტურირება, მისი განხორცოელების აუცილებლობის ახსნა-განმარტება და რაციონალიზაცია; პროცესის განხორციელების ეფექტური ფორმების შექმნა; დანერგვის პროცესის დროის შემცირება და დამატებითი კონსულტანტების გამოყენების თავიდან აცილება.

ზოგადად სასურველია, რომ თვითოეულმა საწარმომ თვითონ შეარჩიოს რეინჟინერინგის ის მეთოდი, რომელიც სრულად შეესაბამება კომპანიის საჭიროებებსა და რესურსებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფირმებს, რომლებიც იყენებს "სუფთა ფურცლის“ რეინჟინერინგის მეთოდს, გარდა იმისა, რომ უნდა გააჩნდეს საკმარისი ფულადი და ადამიანური რესურსი, არ უნდა ჰქონდეს შეზღუდვები დანერგვის დროზე და კონკურენტული უპირატესობის საფუძვლად, უნდა იყენებდეს ან გეგმავდეს უნიკალურ საწარმოო პროცესების გამოყენებას. საპირისპიროდ ამისა, „ამძრავი ტექნოლოგიით“ რეინჟინერინგის გამოყენება უფრო დამახასიათებელია ბიუჯეტითა და დანერგვის დროში შეზღუდული და შედარებით სტანდარტული საწარმოო პროცესების მქონე ფირმებისთვის. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ფირმების უმეტესობა ცდილობს ორივე მეთოდის, ერთდროულ გამოყენებას.

## დასკვნა

სტატიის ფარგლებში, ავტორების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისთვის, წარმატებული და ეფექტიანი ERP სისტემის არჩევისას, საჭიროა გავაანალიზოთ კრიტერიუმების ხუთი ჯგუფი:

1. მოცემული ორგანიზაციის საჭიროებები. ეს ჯგუფი დაკავშირებულია ორგანიზაციის მასშტაბებთან, მუშაობის პირობებსა და ბაზრის მოთხოვნებთან.

2. ERP სისტემის პლატფორმაზე გამოყენებული ტექნოლოგიები. ეს ჯგუფი დაკავშირებულია ERP სისტემის მუშაობის ტექნოლოგიასა და განხორციელების მეთოდებთან.

3. ფუნქციონალობა. ეს ჯგუფი მოიცავს ERP სისტემის აუცილებელი ამოცანებისა და მოდულების შემადგენლობის განსაზღვრის კრიტერიუმების ერთობლიობას

4. მხარდაჭერა. ამ ჯგუფის კრიტერიუმების ნაკრები განსაზღვრავს ვენდორის ან ინტეგრატორის მიერ. ERP სისტემის ტექნიკური, საინფორმაციო და სერვისული მხარდაჭერის პირობებს

5. საკუთრების ღირებულება. ეს ჯგუფი მოიცავს ყველა კრიტერიუმს, რომელიც დაკავშირებულია ERP სისტემის შეძენასა და შემდგომ მუშაობასთან.

ქვემოთ მოყვანილია ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი ლიდერი კომპანიები, რომლებიც ვენდორებია და შეუძლია განახორციელოს დანერგვა დამოუკიდებლად ან თავისი პარტნიორების მეშვეობით, მათ შორის:

1. SAP, გერმანული კომპანია, ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სისტემა, ლიცენზიებისა და განხორციელების ღირებულების თვალსაზრისით.

2. ORACLE, საგრძნობლად სუსტი, ვიდრე მთავარი კონკურენტი SAP, მისი ჩამორჩენა, უმეტესწილად, გამოწვეულია ბაზარზე მოგვიანებით შემოსვლით.

3. "1C", კომპანიის პროდუქტს 1C "1 C : ERP Enterprise Management 2" აქვს ლიცენზიების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ფასი. კომპანია თავდაპირველად ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების შექმნით იყო დაკავებული, მაგრამ კომპანიის ზრდასთან ერთად, გადავიდა ERP სისტემების ბაზარზეც.

4. Microsoft, ძირითადად აწარმოებს ოპერაციულ სისტემებს, მაგრამ აგრეთვე აწარმოებს ERP გადაწყვეტილებებს ბიზნესისთვის. Microsoft-ის პროდუქტი Microsoft Dynamics საშუალებას აძლევს კომპანიას უკეთ მართოს საკუთარი ფინან-სები, ასევე გაამარტივოს მიწოდების ჯაჭვი, წარმოება და სამუშაო პროცესები.

ყველა ამ სისტემის ფუნქციონირება წარმატებულია ყველა ტიპიური ERP სისტემის ამოცანებთან და მოიცავს თანამედროვე კომპანიის ფინანსური და მენეჯმენტის აღრიცხვის ყველა სფეროს. სისტემის დანერგვის ტიპიური პერიოდი ერთიდან ორ წლამდეა. თითოეულ შემთხვევაში, დრო (და, შესაბამისად, ფასი) დამოკიდებულია პროექტის და გადასაწყვეტი ამოცანების სირთულეზე, ასევე იმ გუნდის კვალიფიკაციაზე, რომელიც განახორციელებს დანერგვას.

ლიტერატურა:

1. სამადაშვილი ა. „ბიზნესპროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი“ . თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2019, გვ.9-20, 171-192;
2. ტომპსონ ა.-უმც., სტრიკლენდი ა.ჯ. III, Strategic Management; [თაგმნ.:ხ. ჩხარტიშვილი და სხვ. რედ.: ე. ბახტაძე და სხვ.]. თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, 2010, გვ.123-140;
3. ბებიაშვილი ნ. “პროგრამული სისტემა SAP ERP ბიზნესის პროცესულ მართვასა და რეინჟინერინგში“, თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017, გვ.137;
4. Suchánek, P., Bucki, R., & Korjenic, A. Implemen-tation of optimization methods in the selected areas of production logistics. Forum Scientiae Oeconomia, 3(2), 2015, pp. 65-79.

## Challenges in the Selection and Implementation of ERP Systems in Organizations and Subsequent Production Reengineering

***Archil Grigalashvili, associate professor***
***Georgian Technical University***

***Teimuraz Berdzenishvili, director***
***Scientific Research Center of Stu***

***Ekaterine Gobejishvili, associate professor***
***Georgian Technical University***

***Ketevan Iluridze, assistant***
***Georgian Technical University***

## Summary

The research presented in this article is highly relevant and has direct practical applications. The primary objective of this study is to facilitate the selection of appropriate ERP systems along with their corresponding manufacturing reengineering methods, ultimately leading to the formulation of actionable recommendations for implementation within a specific enterprise.

An ERP system emerges as a robust toolkit, facilitating quality management, operational oversight, process optimization, and propelling business expansion. Its functional scope encompasses pivotal domains, including financial resource administration, human capital supervision, asset governance, partner relationship management, customer transaction bookkeeping, sales administration, and more. This holistic platform encompasses data management utilities and an array of interlinked modules.

When seeking the most suitable ERP system, a comprehensive assessment of its economic impact upon implementation becomes imperative. Given the absence of a universal ERP solution, the risk of procuring an overpriced, subpar product necessitates careful consideration. Thus, each company must judiciously select the optimal ERP system tailored to its needs and carry out an evaluation based on key parameters, including potential reductions in workforce and supply costs, accelerated production velocity, enhanced labor productivity, and resultant increments in profitability and/or cost savings. The total cost analysis of an ERP system encompasses both the software expenses and the associated costs of system implementation and personnel training.

Diverse ERP system manufacturers have formulated distinct methodologies and implementation sequences contingent upon the software and hardware architecture of their respective ERP systems. Implementing these systems represents a formidable, time-intensive, and financially demanding undertaking. It is inevitable that challenges and errors arise during the implementation phase, exerting varying degrees of influence on project timelines, expenses, and overall effectiveness.

Nearly every organizational foray into ERP integration necessitates concurrent process reengineering. The focal tenet of production reengineering pertains to streamlining operations, effectuating the elimination of superfluous processes, contraction of inter-process intervals, mitigation of workload volume, cost curtailment, and delineation of prospective trajectories. The article culminates by proffering practical recommendations emanating from the Scientific Research Center of GTU.

Keywords: ERP systems, reengineering, system selection and implementation processes.

# ფაზური გარდაქმნები. დნობა და გამყარება

*მანანა წულუკიძე, ასოცირებული პროფესორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*მალხაზ ბიბილური, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ლალი ჩაგელიშვილი, უფროსი მასწავლებელი*

**რეზიუმე**

ნაშრომი შეიცავს ძირითად თეორიულ ინ-ფორმაციას, რომელიც აუცი-ლებელია იმ პროცე-სების გასაგებად, რომლებსაც ადგილი აქვს ნივთიერების ერთი მდგომარეობიდან მეორეში ფაზური გადასვლებისას, კერძოდ მყარი მდგომა-რეობიდან თხევადში. ერთკომპონენტიანი ორ-ფაზიანი სისტემის დამოუკიდებელი თერმო-დინა-მიკური პარამეტრების რაოდენობა გამოთვლილია გიბსის ფაზათა წესის თანახმად.

ცნობილია, რომ პირველი გვარის ნებისმიერი ფაზური გარდაქმნის ტემპერატურა დამოკიდე-ბულია წნევაზე. ეს დამოკიდებულება გამოისახება კლაპეირონ-კლაუზიუსის განტოლებით, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან წონასწორული წნევის წარმოებულს ტემპერატურით ფაზური გადას-ვლის ფარულ სითბოსთან, ტემპერატურასთან და ფაზების კუთრი მოცულობის სხვაობასთან. ტემპე-რატურა და ფაზური გადასვლის კუთრი სითბო არსებითად დადებითი სიდიდეებია, მაშასადამე წარმოებულის ნიშანი დამოკიდებულია კუთრი მოცულობის, $\Delta V=V_2-V_1$, ცვლილების ნიშანზე. ორთქლადქცევისა და სუბლიმაციის დროს ეს ცვლილება ყოველთვის დადებითია, ამიტომ წარ-მოებულის ნიშანი დადებითია, რაც იმას ნიშნავს, რომ წნევის გადიდებით ტემპერატურა იზრდება.

დნობისას, ნივთიერების უმრავლესობისთვის მოცულობა იზრდება, $V_2>V_1$ ($V_1$ და $V_2$, შესაბამისად, მყარი და თხევადი ფაზის მოცულობებია) და მათთვის წნევის გადიდებით ტემპერატურა იზ-რდება, მაგრამ ზოგიერთი ნივთიერებისათვის (მათ ანომალური ნივთიერებები ეწოდება), რომელთა რიცხვს მიეკუთვნება წყალი, თხევადი ფაზის მოცულობა ნაკლებია მყარი ფაზის მოცულობაზე $V_2<V_1$, ამ შემთხვევაში წნევის გაზრდა იწვევს დნობის ტემპერატურის შემცირებას. ყინულის ძლი-ერი შეკუმშვით, ტემპერატურის $0^0$-მდე გაზრდის გარეშე, შეიძლება გამოვიწვიოთ მისი დნობა.

ფაზური გარდაქმნების ვიზუალური წარმოდ-გენისათვის მოყვანილია მდგომარეობის დიაგრა-მები, რომლებშიც p, T კოორდინატებში მოცემულია დამოკიდებულება ფაზური გადასვლის ტემპერა-ტურასა და წნევას შორის ორთქლადქცევის, დნობის და სუბლიმაციის მრუდების სახით. თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის მდგომარეობის დიაგრამა აგებულია ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე. მდგომარეობის დიაგრამის ცოდ-ნით შეგვიძლია წინასწარ განვსაზღვროთ რა მდგომარეობაში იქნება ნივთიერება (წნევის და ტემპერატურის სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის), და ასევე რა გარდაქმნას განიცდის ნივთიერება სხვადასხვა პროცესის დროს.

წერტილი დიაგრამაზე, რომელშიც იკვეთება დნობის, ორთქლადქცევის და სუბლიმაციის წირები, გამოსახავს იმ წნევას და ტემპერატურას, რომლის დროსაც მოცემული ნივთიერების სამივე ფაზა (მყარი, თხევადი და აირადი) წონასწორობაშია. მას სამმაგი წერტილი ეწოდება. მდგომარეობის დიაგრამიდან გამომდინარეობს, რომ თხევადი ფაზა შეიძლება იმყოფებოდეს წონასწორობაში მხოლოდ ისეთ წნევებზე, რომელებიც მეტია სამმაგი წერტილის წნევაზე. იმ წნევებზე კი, რომელიც ნაკლებია სამმაგი წერტილის წნევაზე, შეიმჩნევა მხოლოდ გადაცივებული სითხეები.

საკვანძო სიტყვები: ფაზა, დნობა, სუბლიმაცია, სამმაგი წერტილი.

**შესავალი**

მასალების მაღალტემპერატურული დამუშავე-ბასა და მათი წარმოების პროცესებს აუცილებლად თან ახლავს ფაზური გარდაქმნები, რომელთა შორისაა დნობა და კრისტალიზაცია, სუბლიმაცია (აორთქლება) და კონდენსაცია, და ბუნებრივია საჭიროა ფაზურ გარდაქმნებთან დაკავშირებული (სითბოს შთანთქმის ან განთავისუფლების გათვა-ლისწინებით) პროცესების შესწავლა. სხვადასხვა ფაზა შეიძლება იმყოფებოდეს წონასწორობაში ერთნაირ პირობებში, რომლებიც დგინდება თერმოდინამიკის კანონების საფუძველზე.

**ძირითადი ნაწილი**

გარეგანი პირობების (ტემპერატურა, წნევა) მიხედვით ნივთიერება შეიძლება იმყოფებოდეს განსხვავებულ მდგომარეობაში, რომელთაც აგრეგატული მდგომარეობები ეწოდება.

არსებობს სამი ძირითადი აგრეგატული მდგომარეობა: მყარი, თხევადი, აირადი. გვაქვს სხვებიც, რომლებიც წარმოიქმნებიან ნახსენები მდგომარეობების ერთიმეორეში გადასვლის მიჯნაზე, აგრეთვე პლაზმა, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად იონიზირებული აირია.

თერმოდინამიკაში ფაზა არის ნივთიერების თერმოდინამიკურად წონასწორული მდგომარეობა, რომელიც განსხვავდება ფიზიკური თვისებებით იმავე ნივთიერების სხვა შესაძლო წონასწორული მდგომარეობებისაგან და ერთმანეთისგან გამოყოფილია შემხები ზედაპირებით [1]. მაგალითად, თუ დახშულ ჭურჭელში მოთავსებულია წყალი, მისი ორთქლი, ჰაერი და ვერცხლისწყალი სისტემა იქნება სამფაზიანი, რომელთაგან ერთი აირადია: წყლის ორთქლის და ჰაერის ნარევი და ორი თხევადი: წყალი და ვერცხლისწყალი (ვერცხლისწყალი არ შეერევა წყალს). სისტემაში შეიძლება იყოს რამდენიმე მყარი და თხევადი ფაზა, მაგრამ აირადი ფაზა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი.

ნივთიერების ფაზა და აგრეგატული მდგომარეობა (მყარი, თხევადი და აირადი) არ არის იდენტური. ფაზის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე აგრეგატული მდგომარეობა. რაიმე ნივთიერების სხვადასხვა კრისტალური მოდიფიკაციები აგრეთვე წარმოადგენენ სხვადასხვა ფაზებს. მაგალითად, ნახშირბადს მყარ აგრეგატულ მდგომარეობაში შეიძლება ჰქონდეს ორი კრისტალური მოდიფიკაცია: ალმასი და გრაფიტი, რომლებიც ნახშირბადის სხვადასხვა მყარი ფაზაა, ე.ი. ერთი და იგივე აგრეგატულ მდგომარეობაში მყოფი მყარი ნივთიერება შიეძლება იმყოფებოდეს სხვადასხვა ფაზაში. მათი აღნაგობა და თვისებები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ფაზებს შეუძლიათ ურთიერთგადასვლა. ნივთიერების გადასვლას ერთი

მდგომარეობიდან მეორეში ფაზური გადასვლები (გარდაქმნები) ეწოდება. სისტემები, რომლებშიც ხდება ფაზური გარდაქმნები, რასაც თან ახლავს მასის გადანაწილება ფაზებს შორის, რთული სისტემებია. ასეთი რთული სისტემის მდგომარეობა განისაზღვრება ნებისმიერი ორი თერმოდინამიკური პარამეტრით (მაგალითად, P და T, P და V, T და S) და ფაზების კონცენტრაციით.

არსებობს ორგვარი ფაზური გარდაქმნა _ პირველი გვარის და მეორე გვარის. პირველი გვარის გარდაქმნა ეწოდება ისეთ გარდაქმნას, რომლის დროსაც ადგილი აქვს გარკვეული რაოდენობის სითბოს გამოყოფას ან შთანთქმას. ამ დროს ნახტომისებურად იცვლება სხეულის სიმკვრივე, შინაგანი ენერგია. ასეთ გარდაქმნებს მიეკუთვნება ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობის შეცვლა (დნობა და გამყარება, სუბლიმაცია, ორთქლადქცევა და კონდენსაცია) და მყარი სხეულის კრისტალური სტრუქტურის ცვლილება.

განვიხილოთ ფაზური გარდაქმნა - დნობა. დნობის ქვეშ იგულისხმება მყარი ფაზიდან გადასვლა თხევად ფაზაში. თერმოდინამიკის I პრინციპის თანახმად სხეულზე გადაცემული სითბო ხმარდება მისი შინაგანი ენერგიის ცვლილებას და მუშაობის შესრულებას. მეორე წევრი მყარი სხეულებითვის მეტად მცირეა, ამიტომ გადაცემული სითბო ძირითადად სხეულის შინაგანი ენერგიის გაზრდას ხმარდება. თუ ჩვენ კრისტალურ მდგომარეობაში მყოფ მყარ სხეულს თანაბრად გავათბობთ, თავდაპირველად გადაცემული სითბო მოხმარდება კრისტალის შინაგანი ენერგიის გაზრდას, შესაბამისად ტემპერატურა სულ იზრდება. ეს ენერგია შედგება კრისტალის მესერის კვანძებში მოთავსებული ნაწილაკების სითბური რხევის კინეტიკური (იგი მჟღავნდება სხეულის ტემპერატურის გაზრდაში) და ამ ნაწილაკების ურთიერთქმედების პოტენციური ენერგიების (რომელიც გამოიხატება ნაწილაკებს შორის მანძილის გაზრდაში, რომელიც ასუსტებს მათ შორის არსებულ ბმას) ჯამისაგან. გარკვეულ ტემპერატურაზე $T_{დნ}$ იწყება დნობის პროცესი. ტემპერატურა $T_{დნ}$ დამოკიდებულია წნევაზე, რომელსაც განიცდის მდნობარე ნივთიერება. თუ p წნევა მუდმივია, მაშინ მუდმივია ფაზური გარდაქმნის ტემპერატურაც Tდნ. ნორმალურ წნევას (760 ტორი) დნობის ნორმალური ტემპერატურა შეესაბამება [2].

I ცხრილში მოყვანილია დნობის ტემპერატურები ნორმალური წნევის დროს.

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, თუ რა დიდია განხვადასხვა სხვადასხვა ნივთიერების დნობის ტემპერატურათა შორის.

დაიწყება რა კრისტალური მყარი სხეულის დნობა, სისტემაში გვექნება ორი ფაზა, მყარიც და თხევადიც. თუ სისტემა თერმულად იზოლირებულია, მაშინ თითოეული ფაზის რაოდენობა რჩება მუდმივი _ მყარდება წონასწორობა. თუ გავაგრძელებთ სითბოს მიწოდებას, მაშინ

ცხრილი 1

| ნივთიერება | | დნობის ტემპერატურა, °C | დნობის ფარული სითბო, კალ/გ |
|---|---|---|---|
| ვერცხლისწყალი | Ag | -38,87 | 2,75 |
| წყალი | $H_20$ | 0 | 79,7 |
| კალა | Sn | 231,9 | 14,2 |
| თუთია | Zn | 419,5 | 26,0 |
| ალუმინი | Al | 660,1 | 94,0 |
| ნატრიუმის ქლორიდი | NaCl | 800 | 126 |
| სპილენძი | Cu | 1083 | 49 |
| პლატინა | Pt | 1769 | 27 |
| მოლიბდენი | Mo | 2625 | - |
| ვოლფრანი | W | 3419 | - |

თხევადი ფაზის რაოდენობა გაიზრდება, მყარის შემცირდება და მიუხედავად იმისა რომ სხეულს ისევ გადაეცემა სითბოს გარკვეული რაოდენობა, მისი ტემპერატურა არ იცვლება. ეს ნიშნავს, რომ ნაწილაკთა კინეტიკური ენერგია უცვლელია და მთელი გადაცემული სითბო ხმარდება ნაწილაკთა პოტენციური ენერგიის გაზრდას, მესერი იწყებს რღვევას და ნივთიერება გადადის თხევად მდგომარეობაში.

ამ სითბოს დნობის ფარული სითბო ეწოდება [2] ფარული სითბო განისაზღვრება როგორც სითბო, რომელიც საჭიროა ერთი ფაზის 1 მოლი, რომელიც გამთბარია ფაზური გადასვლის ტემპერატურამდე, გადაიქცეს იგივე ტემპერატურის მეორე ფაზად. ფარული სითბო აღინიშნება L ასოთი და მისი ერთეულია

$$\frac{\text{ჯ}}{\text{მოლი}}, \text{ ან } \frac{\text{კალ}}{\text{მოლი}}.$$

დნობის ფარული სითბოს მნიშვნელობები ზოგიერთი ნივთიერებისათვის მოყვანილია ცხრილში I.

დავუშვათ, რომელიმე ნივთიერების გარკვეული ფაზური გარდაქმნისას მიწოდებული იქნა ფარული სითბო L. თუ შინაგანი ენერგია პირველი ფაზის ერთი მოლისათვის არის $U_1$, მოცულობა $V_1$, ანალოგიურად, მეორე ფაზის შინაგანი ენერგია _ $U_2$, მოცულობა $V_2$, მაშინ განხილული ფაზური გარდაქმნის ფარული სითბოსათვის თერმოდინამიკის I საწყისიდან გამომდინარე, შეიძლება დავწეროთ თანაფარდობა:

$$L = U_2 - U_1 + p(V_2 - V_1), \quad (1)$$

სადაც p არის წნევა, რომლის დროსაც მიმდინარეობს ეს პროცესი. (1) განტოლება გადავწეროთ ასეთი სახით:

$$L = L_{\text{შ}} + L_{\text{გ}}$$

სადაც $L_{\text{შ}} = p(V_2 - V_1)$ ვუწოდებთ შინაგან ფარულ სითბოს, ხოლო $L_{\text{გ}} = p(V_2 - V_1)$ გარეგან ფარულ სითბოს.

შინაგანი ფარული სითბო $L_{\text{შ}}$ წარმოადგენს მთლიანი L სითბოს უდიდეს ნაწილს, რომელიც იხარჯება შინაგანი ენერგიის გაზრდაზე, მაშინ როცესაც გარე ფარული სითბო $L_{\text{გ}}$, როგორც წესი, გაცილებით ნაკლებია და იხარჯება მუშაობაზე, რომელიც სრულდება მოცემული ნივთიერების მოცულობის გაზრდაზე.

დნობისას, სისტემაში დამყარებული წონასწორობა შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა წნევების დროს [2]. რადგანაც სისტება წარმოქმნილია მყარი და თხევადი ფაზებით (ფაზების რაოდენობა f=2) ერთი და იგივე ნივთიერებისაა (კომპონენტების რაოდენობა s = 1), ამიტომ გიბსის ფაზური წესის თანახმად (v=s-f+2, სადაც v არის წონასწორობაში მყოფი სისტემის თავისუფლების ხარისხთა რიცხვი, რომელიც წარმოადგენს იმ დამოუკიდებელი პარამეტრების რაოდენობას, რომლებიც ცალსახად განსაზღვრავენ სისტემის წონასწორულ მდგომარეობას) v=1-2+2, ე.ი. v=1, სისტემა მონოვარიანტულია, და ამიტომ, წნევის თითოეულ მნიშვნელობას შეესაბამება ერთი დნობის ტემპერატურა. სისტემის წონასწორულ მდგომარეობაში აგრეთვე იგულისხმება მისი ისეთი მდგომარეობა რომელიც არ იცვლება სპონტანურად. მაგრამ ტემპერატურის ცვლილება წნევის მიხედვით უმნიშვნელოა და კლაპეირონ-კლაუზიუსის განტოლებიდან

$$L = T(V_2 - V_1)\frac{dp}{dT},$$

გამომდინარეობს, რომ

$$dV_2 < V_1$$

ძირითადად, დნობისას ნივთიერების მოცულობა იზრდება $V_2$-$V_1$>0, წნევის გაზრდა იწვევს დნობის ტემპერატურის უმნიშვნელო გაზრდას: მაგალითად, წნევის გაზრდა 1 ატმ-თი იწვევს ცინკის დნობის ტემპერატურის გაზრდას $0{,}006^0$-ით, კადმიუმის _ $0{,}003^0$ და ა.შ.

ზოგიერთი ნივთიერების მოცულობა, მაგალითად, ყინულის, დნობისას მცირდება ($V_2$<$V_1$). ასეთი ნივთიერებები მაღალი წნევის დროს დნება კიდევ უფრო დაბალ ტემპერატურაზე. ყინულისათვის წნევის 1 ატმ-თი გაზრდა იწვევს დნობის ტემპერატურის შემცირებას $0{,}0075^0$-ით.

ფაზური გარდაქმნების ვიზუალური წარმოდგენისათვის გამოიყენება მდგომარეობის დიაგრამა (სურ. 1), რომელზედაც p, T კოორდინატებში მოცემულია დამოკიდებულება ფაზური გადასვლის ტემპერატურასა და წნევას შორის ორთქლადქცევის, დნობის და სუბლიმაციის მრუდების სახით. თითოეული წერტილის აგება ხდება ექსპერიმენტულად ან კლაპეირონ-კლაუზიუსის განტოლების მეშვეობით.




სურ. 1

თუ ორთქლადქცევის, დნობის და სუბლიმაციის წირებს გამოვსახავთ ერთ ნახაზზე აღმოჩნდება, რომ ისინი იკვეთება ერთ A წერტილში. A წერტილი გამოსახავს იმ წნევას და ტემპერატურას, რომლის დროსაც სამივე ფაზა (მყარი, თხევადი და აირადი) იმყოფება წონასწორობაში. ამ წერტილს სამმაგი წერტილი ეწოდება.

ფაზურ დიაგრამაზე (სურ. 1) მოცემულია დნობის მრუდები - ორფაზიანი სისტემის „მყარი - თხევადი“ წონასწორობის მრუდები. მრუდი $a_1$ გამოსახავს ნივთიერების დნობისას მოცულობის ზრდას $V_2$>$V_1$, როცა

მრუდი $a_2$ შეესაბამება დნობისას მოცულობის შემცირებას $V_2$<$V_1$ და

$C_{10}H_8$ შეიძლება მივიყვანოთ

.

ეს ორივე მრუდი ციცაბოა, რაც იმას ნიშნავს, რომ დნობის ტემპერატურის დამოკიდებულება წნევაზე უმნიშვნელოა. ისეთი წნევების დროს, რომლებიც მცირედ განსხვავდებიან ატმოსფერულისაგან, დნობის ტემპერატურა ფაქტიურად ემთხვევა სამმაგი წერტილის ტემპერატურას (ორი ფაზის ამ წონასწორობის მრუდებს შორის არის ერთფაზიანი მდგომარეობების არეები, სადაც P და T შეიძლება შეიცვალოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მოცემული ფაზის მდგომარეობის დარღვევის გარეშე, მრუდი c გამოსახავს სუბლიმაციის პროცესს, ხოლო მრუდი b ორთქლადქცევის. ეს მრუდი მთავრდება K წერტილში, რაც შეესაბამება წნევისა და ტემპერატურის ერთადერთ კომბინაციას მოცემული ნივთიერებისთვის ($P_K$ და $T_k$). ამ წერტილს კრიტიკული წერტილი ეწოდება. T>$T_k$-ზე სითხე და აირი ვერ თანაარსებობენ, როგორც წონასწორობის ორფაზიანი სისტემა.

გამყარებას უწოდებენ თხევადი ფაზიდან მყარში გადასვლას, ანუ დნობის შებრუნებულ პროცესს. თუ სითხეს გავაცივებთ, ტემპერატურა დაეცემა გამყარების ტემპერატურამდე, რომელიც სუფთა ნივთიერებებისათვის იგივეა, რაც დნობის ტემპერატურა. გამყარებისას გამოიყოფა სითბო, რომელიც დნობის ფარული სითბოს ტოლია.

ნივთიერების გადასვლა მყარი ფაზიდან თხევადში შესაძლებელია მხოლოდ იმ p წნევაზე, რომელიც აღემატება $p_A$ წნევას, რაც შეესაბამება ამ ნივთიერების სამმაგ წერილს. როცა წნევა p<-$p_A$-ზე, ნივთიერების თხევადი მდგომარეობა შეუძლებელია, ნივთიერება განიცდის სუბლიმა-ციას, ანუ გათბობისას იგი მყარი ფაზიდან პირდა-პირ გადადის აირადში თხევადი ფაზის გავლის გარეშე.

თუ თხევად ნივთიერებას თანაბრად და საკმაოდ ნელა გავათბობთ, შეიძ-ლება მივაღწიოთ რომ მან იარსებოს თხევად მდგომარეობაში გამყარების უფრო დაბალ ტემპერატურაზე. ამ მოვლენას გადაცივება ეწოდება. წყალი, რომელიც ჰა-ერს არ შეიცავს, შეიძლება გადავაცივოთ თითქმის $10^0$-ით.

ნატრიუმის ტრიოსულფატი $C_{10}H_8$ შეიძლება მივიყვანოთ შეიძლებაგადავაცივოთ$30^0$-ზემეტი ტემპერატურით და იგი არ გამყარდეს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ არის სტაბილური, მეტასტაბილურია. იგი ადვილად ირღვევა, მაგალითად, თუ გადაცივებულ სითხეში შევიტანთ მისივე მყარი ფაზის მცირე ზომის კრისტალს, იგი სწრაფად გამყარდება.

მეტასტაბილურ მდგომარეობას წარმოადგენს

აგრეთვე მყარი სხეულის გადახურება დნობის ტემპერატურაზე უფრო მაღალ ტემპერატურამდე. მაგალითად, ნაფტალინი $C_{10}H_8$ შეიძლება მივიყვანოთ $80^0$-ით უფრო მაღალ ტემპერატურამდეც და იგი არ გადნეს.

## დასკვნა

ნაშრომში მოცემულია თეორიული ინფორმაცია ფაზური გარდაქმნების პროცესების გასაგებად, კერძოდ მყარი მდგომარეობიდან თხე-ვადში გადასვლისას. წონასწორობაში მყოფი სისტემის თავისუფლების ხარისხთა რიცხვი გამოთვლილია გიბსის ფაზათა წესის თანახმად. დნობის ტემპერატურის დამოკიდებულება წნევაზე მო-ცემულია კლაპეირონ-კლაუზიუსის განტოლებით.

ფაზური გარდაქმნის ვიზუალური წარმოდგენისათვის მოცემულია ფაზური დიაგრამა, რომელზედაც დამოკიდებულება ფაზური გადასვლის ტემპერატურასა და წნევას შორის (ერთ-კომპონენტიანი, ორფაზიანი სისტემისთვის) წარმოდგენილია ორთქლადქცევის, დნობის და სუბლიმაციის მრუდების სახით.

## ლიტერატურა


1. Чачхиани З.Б. „Основы молекулярной физики“. Грузинский Технический университет, Тб, 2009.
2. Савельев И. В. „Курс общей физики“. Т. I. М.: Наука, Гл. ред. физ.- мат.лит, 1986.


## Phase transitions. Melting and solidification


***Manana Tsulukidze, associate professor,***
***Georgian Technical University***

***Malkhaz Bibiluri, associate professor***
***Georgian Technical University***

***Lali Chagelishvili, senior teacher***



**Summary**

The work contains basic theoretical information, which is necessary to understand the processes that take place during phase transitions of matter from one state to another, namely from a solid state to a liquid state. The number of independent thermodynamic parameters of a one-component two-phase system is calculated according to the Gibbs phase rule. It is known that the temperature of any phase transformation of the first kind depends on the pressure. This relationship is expressed by the Clapeyron-Clausius equation, which relates the derivative of the equilibrium pressure with temperature to the latent heat of the phase transition, the temperature, and the volume difference between the phases. Temperature and heat of phase transition are essentially positive quantities, so the sign of the derivative depends on the sign of change in volume, $\Delta V=V_2-V_1$. During evaporation and sublimation, this change is always positive, so the sign of the derivative is positive, which means that as the pressure increases, the temperature increases.

When melting, for most substances the volume increases, $V_2>V_1$ ($V_1$ and $V_2$ are the volumes of the solid and liquid phases, respectively), and for them the temperature increases with increasing pressure, but for some substances (they are called anomalous substances), which include water, the volume of the liquid phase is less than the solid At the phase volume $V_2<V_1$, in this case, increasing the pressure leads to a decrease in the melting temperature. By compressing the ice strongly, without raising the temperature to 00, we can cause it to melt. For the visual representation of phase transformations, state diagrams are provided, in which p, T coordinates show the relationship between the temperature and pressure of the phase transition in the form of vaporization, melting and sublimation curves. For each specific case, the state diagram is built on the basis of experimental data. By knowing the state diagram, we can determine in advance what state the substance will be in (for different values of pressure and temperature), and also what transformation the substance will undergo during various processes. The point on the diagram where the melting, vaporization, and sublimation lines intersect represents the pressure and temperature at which all three phases (solid, liquid, and gas) of a given substance are in equilibrium. It is called the triple point. From the phase diagram it follows that the liquid phase can be in equilibrium only at pressures greater than the triple point pressure. At pressures below the triple point, supercooled liquids are observed.


Keyword: phase, melting, sublimation, triple point.

# სამკურნალო და საკვები მცენარეები პირიქითა ხევსურეთში

*მზია წიკლაური, ასისტენტ-პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ნაშრომში – „სამკურნალო და საკვები მცენარეები პირიქითა ხევსურეთში“ – მოთხრობილია საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ბუნებაში გავრცელებული სხვა და სხვა საკვები თუ სამკურნალო მცენარეების მნიშვნელობა-დანიშნულება და მისი გამოყენების წესები. რაც ძველი ხევსურული **აქიმ**-დასტაქრობისა თუ ჩვეულებრივი მკურნალობის (ტკივილ-გამაყუჩებელი). სხვადასხვა შემთხვევაში, ყოველთვის გამოყენებადი იყო, ხევსურეთში და არა მარტო ხევსურეთში, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა კუთხეებშიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს დიდი ყურადღება ეთმობა მთის რეგიონების ათვისება-განსახლებასა და ტურიზმის განვითარებას. მძლავრად არის მოძალებული უცხოელი ტურისტიც - მთის ველური ბუნებისა თუ განსხვავებული, ჯანსაღი კლიმატის ნახვა-აღქმით დაინტერესებული. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიმაჩნია ნაკლებად ცნობილი და ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკვებისა და მკურნალობის მეთოდების ტრადიცია, რომელიც ვფიქრობ გარკვეულ ადგილს დაიკავებს იმ ძირითად კომპონენტებს შორის, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნას მთაში ზოგადი, ჯანსაღი ყოფაცხოვრების არგუმენტად.

ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე იმ ავტორთა კვლევები, რომელთაც უშუალოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფლორის შესწავლას დაუთმეს სამეცნიერო მოღვაწეობის გარკვეული დრო. ასევე ჩემ მიერ წლების მანძილზე ველზე მოპოვებული მასალა, მთხრობელებისა თუ უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის პრაქტიკული გამოცდილების შედეგად მიღებული დასკვნები, რომელიც საუკუნეობრივი გამოცდილების შედეგია. უნდა ითქვას, რომ ტრადიციის უკვდავება ამ სფეროში და ხევსურულ ყოფაცხოვრების სხვა დანარჩენ ასპექტებში ნათლად ჩანს. მინდა მადლიერება გამოვხატო, იმ სულმნათი მთხრობელების მიმართ, რომელთაც კვალი დატოვეს ეთნოგრაფიულ კვლევებში და ზოგადად საისტორიო მეცნიერებებში.

აღსანიშნავია, რომ წერილში განხილული მცენარეული კულტურები დღესაც აქტუალურია ხევსურეთში და არა მარტო ხევსურეთში. მისი მომზადების წესი ნაწილობრივ შეიცვალა კიდეც, რაც საუკუნეობრივი გამოცდილებითაა გამოწვეული, მაგრამ მთის მცენარეების ვარგისიანობასა და არომატულობაში, მაინც მისი შემადგენლობა და სამკურნალო თვისებები სჭარბობს, რაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის უმთავრესია.

საკვანძო სიტყვები: პირიქითა ხევსურეთი, მცენარეები, სამკურნალო, ბალახი.

## შესავალი

საქართველოში საყოველთაოდ ცნობილია ხალხური მედიცინა, ბალახეული მცენარეებით მკურნალობა და მისი შედეგიანობა. ამ საკითხებთან დაკავშირებით არაერთი ნაშრომია შექმნილი.

წარმოდგენილი წერილი ძირითადად ხევსურეთში არსებულ სამკურნალო და საკვებ მცენარეებს ეძღვნება. მათი გამოყენების სპეციფიკა, წინათ და ახლაც, საკმაოდ აქტუალურია. ნაშრომში ჩემ მიერ, ველზე მოძიებული მასალა, იმ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობითა და გათვალისწინებითაა წარმოდგენილი, რომელთაც ხევსურეთში უმუშავიათ. ქვემოთ ჩამოთვლილი მცენარეების უმრავლესობა დამახასიათებელია საქართველოს მაღალმთიანი ადგილებისთვის. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული, განსხვავებული მცენარე აქ არ მომიყვანია, მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით, საკვებად თუ სამკურნალოდ (ხშირ შემთხვევაში ორივე სახით ხდებოდა მათი გამოყენება), მათი დამზადება-გამოყენების სპეციფიკა განსხვავდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

## ტკივილგამაყუჩებელი სამკურნალო ბალახები

საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში ტკივილგამაყუჩებელი ბალახებიდან გამოირჩევა ოფლმდენი და სიცხის დამწევი საშუალება **ყინტორა.** ყინტორას ყვავილს, როგორც ნედლს, ისე გამხმარს წყალში ადუღებდნენ და ნახარშს სვამდნენ.

**დიდგულა** ბუჩქნარის მსგავსი მცენარეა. მისი ყვავილი სურნელოვანი და ტკბილია. მას გრძელი ფოთლები აქვს. მისი ნახარში გამოიყენებოდა გაციების შედეგად გამოწვეული დაავადებების საწინააღმდეგოდ (ქარების სამკურნალოდ, სხეულის სხვადასხვა ადგილზე მიღებული დაავადებების მოსაშუშებლად).

**ცაცხვი** ყვავილოვანი ხე-მცენარეა. ყვავილს

გაზაფხულზე კრეფდნენ და როგორც ნედლს, ისე გამხმარს ინახავდნენ. გამოიყენებოდა გაციებულის სამკურნალოდ. ყვავილს სასიამოვნო სუნი აქვს.

**ანწლი** ერთ-ერთი შინაური სამკურნალო წამალია. ანწლს ინახავენ არაყში ჩაყრილს, გამოიყენება, როგორც ტკივილგამაყუჩებელი. ასევე, ანწლის ფოთლების ნახარშით რევმატიზმებსაც მკურნალობენ. უნდა აღინიშნოს, რომ საფაღარათო საშუალებაცაა.

**ჩაღალდი** ჭაობის წვრილღეროიანი ბალახია, რომელსაც ყვავილი არ გააჩნია. მცენარეს ნაყავენ და ისე ადებენ შესიებულ ადგილზე.

**აბზინდა**.ამ მცენარეს მძაფრი სუნი აქვს, ნაცრისფერია და მშრალ ადგილებში იზრდება. მას კრეფდნენ ხევისკენ (სტეფანწმინდაში გადამავალ გზა-ბილიკების მიდამოებში). ჯუთის (ჯუთა-ხევსურებით დასახლებული სოფელი სტეფანწმინდაში) ხორხში. აშრობდნენ, ფშვნეტდნენ და ყელის ტკივილის დროს ყელში ჩაგვაყრიდნენ, მწარე გემო ჰქონდა და კარგი წამალი იყოო (საველე მასალა-2). იგი აგრეთვე კუჭის ტკივილის გასაყუჩებლად და სამკურნალოდ გამოიყენებოდა, როგორც ნედლს, ასევე გამხმარსაც ნახარშის სახით იღებდნენ უშაქროდ). ზოგჯერ გამხმარ ფოთლებს დაფშვნეტდნენ, ჩაყრიდნენ არაყში და ასე იყენებდნენ. ხევსურები მოხევეებში რომ გადადიოდნენ ჯუთის ხორხით იქიდან მოჰქონდათ,“ ამბობს ჩალხა წიკლაური. (საველე მასალა -2).

**კულმუხო** იგივე მიწის ქონია. დაჭრიან პატარ-პატარა ნაჭრებად, ჩაყრიან ქილაში და დაასხამენ არაყს. 10-15 დღის შემდეგ მზადდება წამალი. იყენებდნენ სახსრებისა და რადიკულიტის განკურნებისათვის. ისვამდნენ მტკივნეულ ადგილას. ინახებოდა ბნელ ადგილას. კულმუხო ძაღლყურძენას ძირია. ღრმად თხრიან მიწას მცენარის ძირში და ისე პოულობენ. 70 – 80 სმ-ის სიღრმეზე მაინც უნდა გაეთხარათ.(საველე მასალა1).

**ძაღლყურძენა** ველის ყურძენი (ხევსურულად ბაბილო). დაახლოებით 50 სმ სიმაღლის ბალახია. ფოთოლი ისეთივე აქვს, როგორც დილის ვარდს. ძაღლყურძენას წითელ მწიფე მარცვლებს(წითლად მწიფდება) რადიკულიტით დაავადებულს წელზე ასრესენ და უზელენ. ძალიან მწარეა, ძნელი გასაძლებია, მაგრამ პროცედურის რამდენჯერმე განმეორება კურნავს დაავადებას.(საველე მასალა).

**შუპყა** გარეგნულად ჰგავს დიყს, დიდი ფოთლები აქვს. ღეროს იყენებდნენ კბილის ტკივილის დროს, როგორც გამაყუჩებელს.საერთოდ კი უმადაც მიირთმევდნენ და მწნილადაც ინახავდნენ (საველე მასალა).

**დუცი** მისი ღეროები მაღალი ტემპერატურის (სიცხის) დასაწევად გამოიყენება.პირიქითა ხევსურეთში იყო და იქიდან მიჰქონდათ ბუდე ხევსურეთშიც. (საველე მასალა2). ალ. არაბულის მონაც ემებით ბაქტერიოზული მცენარეა. (წმენდს კუჭნაწლავს)6.36.

**კვლია** (ხევსურულად) იგივე ძირა, როგორც სამკურნალო მცენარე, კუჭის ტკივილის, გაზების დაგროვების საწინააღმდეგოდ გამოიყენება. სვამენ წყალში ჩაყრილს. კვლია ძირითადი სანელებელი არის ხორცეულში (ხინკალი,ხორც-წვენი) და ა.შ. (საველე მასალა 2).

**ხოხნოტა** ამ მცენარეს გველის ნაკბენზე იყენებდნენ და შედეგიანიც იყო. ,,ქერქს მოვაცილებდით და ისე ვჭამდით, მომწარო, არომატული გემო ჰქონდა“. (საველე მასალა 2). ერთხელ მწყემსობად მყოფმა ბავშვებმა ნახეს, რომ მოფრინდა ძერა და ნისკარტით ხოხნოტას გლეჯა დაიწყო. იქვე ქვების ძირს ინახავდა .ბავშვებს გაგონილი ჰქონდა, ამას იმიტომ აკეთებს ,როცა გველს შეჭამს ,მერე დააყოლებსო.ბავშვებმა დაუმალეს ძერას ბალახი და დაელოდნენ. ძერა დაბრუნდა და ხოხნოტას რომ ვეღარ მიაგნო იქვე მოკვდა თურმე.(საველე მასალა2). დ. ოჩიაურის კვლევებში ხოხნოტას კრეფენ ღეროებს, ფცქვნიან და ისე მიირთმევენ,იჭმევა ნაყოფიც. (1).

**შალნის ძირი** ლურჯი ყვავილი აქვს.ღერო თეთრი. დანაყილს ხარშავდნენ რძეში და გაციებისას იღებდნენ. გაგრილებულს დასივებულ- შეშუპებულ ადგილზე უსვამდნენ. მგელიკა ლიქოკელის (დასტაქარი მე-20 სკ-ის დასაწყისში) თქმით სიმსივნე (შეშუპება) მე-2 დღესვე ქრება. (4.59).

**კენკეშა** ამ მცენარეს ძმარში (ხევსურული ძმარი) იყენებდნენ. ხევსურული ძმარი -ნაღებს ცოტა წყალს გაურევდნენ გათხელების მიზნით, მარილს მოაყრიდნენ გემოვნებით და დაუმატებდნენ წვრილად დაჭრილ (ზევით ნახსენებ) მცენარეს, ძალიან გემრიელი საჭმელია.

**წერთხალა** მჟავე ბალახია. ჭამენ მარტო გაფცქვნილ ღეროს და ხევსურულ ძმარსაც ამზადებენ. წერთხალა მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ალ. არაბულის მონაცემებით მკურნალობენ ანთებით პროცესებს (ყურის, ყელის, ცხვირის). ასევე შედეგიანია გასტრიტის, კოლიტის, თავის ტკივილის, ნივთიერებათა ცვლის მოშლის შემთხვევაში.მარგებელია ნევროზისა, ტუბერკულოზისა და ვენერული დაავადებებისათვის. (6.23)

**ველის წიწმატი** მომწაროა, დებდნენ მწნილად სანამ დაბერდება, წყალში გააჩერებდნენ ერთი დღე,

შემდეგ გადაწურავდნენ, რომ სიმწარე გამოსვლოდა და ამის შემდეგ დებდნენ მწნილად ჩვეულებრივი წესით. (საველე მასალა).

**მჟავია** (ხევსურულად) იჭმევა როგორც მწვანილი მჟაუნა. გაზაფხულზე ჯერ კიდევ ქორფას დებენ მწნილად. (საველე მასალა).

**ძირტკბილა** მრგვალი ძირი აქვს,ტკბილია. იჭმევა მხოლოდ ძირი. ძალიან შედეგიანია ხველის დროს. (საველე მასალა).

**დიყი** დიდი ფოთლები აქვს. ტკბილია, მხოლოდ ღეროს ფცქვნიან და ისე ჭამენ. დიყი ხევსურულად თოფჩაის შტო-სამკურნალოა ჭრილობის მოსაშუშებლად. დასახელებული მცენარის თვისებებსა და შემადგენლობაზე დედი-კა ოჩიაური წერს: ხევსურეთში ფართოდაა გავრცელებული, დიყის ნორჩი გვერდითი ტოტები გაფცქვნილი (ყვავილის გაშლამდე) გამოიყენება საკვებად. დიყს ფრთხილად ჭამენ, რადგან კანზე გამონაყარს ე.წ. ,,ნადიყარას“ აჩენს. (2.)

### სამკურნალო ბალახები ჭრილობის მოსაშუშებლად

ცნობილია ხევსური დასტაქრების საქმიანობა და მკურნალობის მეთოდები,,ჭრა-ჭრილობა,“ ,,თავმეთავეობა“ (სისხლის აღება) ხევსურებისათვის იშვიათობა არ იყო. ამისთვის კი კარგი ცოდნა და გამოცდილება სჭირდებოდა დაჭრილის (პაციენტის) სამკურნალოდ აქიმ-დასტაქრებს, მათ კონკრეტულ ქირურგიულ საქმიანობებს ცალკე განვიხილავთ. გარდა ქირურგიული ჩარევებისა უმნიშვნელოვანესი იყო ბალახეულით წამლობა (მკურნალობა).მისი დაყენებისა და გამოყენების წესი.

**წყლულის წამალა** დაჭრილის წამალია. გაახმობენ, დანაყავენ და ჭრილობაზე დააყრიან. (საველე მასალა 2).

**მთის ბორბალა** წვრილი ფოთოლი აქვს. გამოიყენებოდა ჭრილობის სამკურნალოდ, როგორც ნედლ ასევე გამხმარს დანაყავდნენ და აყრიდნენ ჭრილობაზე. (იმ განსხვავებით რომ ხმელი დიდხანს ინახება).

**ხარის ენა** მცენარეა, რომელიც ჩრდილში იზრდება. ფოთოლი ბრტყელი აქვს და ამიტომაც შეარქვეს ხარის ენა.ფოთოლს ახმობდნენ და ინახავდნენ. საჭიროების შემთხვევაში ფხვნიდნენ და ისე აყრიდნენ ჭრილობაზე(საველე მასალა).

**მელისკუდა-ციცისკუდა** ღეჭავდნენ ან დანაყინს დაადებდნენ ჭრილობაზე, რომელსაც წინასწარ ერბო ჰქონდა წასმული. მელისკუდას საქონლისთვისაც იყენებდნენ ჭრილობაზე დასადებად (საველე მასალა).

**სამყურა** მინდვრის ბალახია. საჭიროების შემთხვევაში დაღეჭავდნენ ან დანაყავდნენ და ასეთი სახით დაადებდნენ ჭრილობაზე. ,,სისხლი რომ დამედინებოდა, დედაჩემი მაგას დამადებდა თითზეო“ ამბობს ჩალხა წიკლაური (საველე მასალა). ალ. არაბული მცენარეს ახასიათებს , როგორც ჭრილობის შემხორცებელი უნაწიბუროდ. (6.38).

**კლდის ვაშლა** (კლდის დუმა) კლდეზე მოდის. მას გიორგი თედორაძეც ახსენებს, როგორც სამკურნალო მცენარეს. აღსანიშნავია, რომ ეს მცენარე დღეს საოჯახო მცენარედაა მომრავლებული საქართველოში. თუმცა ბევრმა არ იცის მისი მნიშვნელობა-დანიშნულება. მთაში წინათ და ახლაც იგი გამოიყენებოდა ჭრილობის მოსაშუშებლად. მას კანს გადააცლიდნენ და რბილ მასას ჭრილობაზე დაადებდნენ. ტკივილსაც აყუჩებდა და ჭრილობასაც კურნავდა. ,,ორსულობაში ქალები კლდეს ებღატებოდნენ იმის საჭმელადო ამბობს მთხრობელი, ფშავლის ქალები ეძებდნენ პროსტატის წამალიაო (როგორ ამზადებდნენ ან იყენებდნენ არ ვიცით)“ (საველე მასალა2).

ალ. არაბულის მონაცემებით კლდისვაშლა მრავალმხრივ სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. (ჭამენ ნორჩობისას). მკურნალობენ მაზოლებს, მეჭეჭებს, ჭრილობებს, დამწვრობას, ეპილეფსიას, რევმატიზმს და ა.შ. (6.20) გავრცელებულია თუშ-ფშავ-ხევსურეთში. (2.)

**სისხლიანი ბალახი** (ხევსურულად).-იზრდება ქვაღორღიან ადგილებში. ყვავილს არ იკეთებს. აქვს მრგვალი ფოთოლი, რომელსაც ახმობენ და ისე ინახავენ. ჭრილობაზე დაფქულს(კარგად გაფშვნეტილს) აყრიან. ამ მცენარეს სისხლიანი ბალახი იმიტომ ჰქვია, რომ წითელი წვენი აქვს. მწვანე ფურცლები აქვს. ჭრილობისგან გამოწვეული ტკივილების გასაყუჩებლად იყენებენ.გარე კანს აცლიან და ისე ადებენ ჭრილობას.

**ცხენის ტერფა** მრგვალი, სქელი და თეთრი ფოთოლია. ამოდის კლდეზე და იხმარება სასწრაფო დახმარების მიზნით. მაგ: გზაზე დაშავებისას ექიმთან მიყვანამდე. (4.57)

**გველის წამალი** მინდვრის ბალახია. ყვითელი ყვავილი აქვს.თქმულების თანახმად ეს წამალი ვინმე ხევსურს გველისგან უსწავლია. თიბვისას შემთხვევით გველი დაუჭრია ცელით. გველი გასრიალებულა,რაღაც ბალახის ყვავილი მოუწყვეტია და პირით ჭრილობაზე დაუდია, მერე დახვეულა და კლდის ძირში განაბულა. ხევსურს თვალი არ მოუშორებია მისთვის.ერთი დღეღამის განმავლობაში გველი განკურნებულა. იმ

ხევსურს ყვავილი ჯერ პირუტყვზე უცდია, როცა დარწმუნებულა მის მარგებლობაში, ამის შემდეგ სამკურნალოდ გამოყენება დაუწყიათ.ეს თქმულება ხევსურეთში დღესაც შემონახულია. მასზე გიორგი თევდორაძეც საუბრობს(1.58), (საველე მასალა 2).

**საჭმელი ბალახები:**

**კენკეშა** მინდვრის ბალახია, იჭმევა მხოლოდ გაფცქვნილი ღერო, რომელსაც ძირითადად მგზავრობისას დააგემოვნებენ ხოლმე. ალ. ჭინჭარაული ხევსურულ ლექსიკონში განმარტავს ბალახმცენარეა, მისი გაფცქვნილი ღერო იჭმევა. (3.)

**ბიბუ** მინდვრის ბალახია, ნივრის გემო აქვს. (ძაღლნიორა). მწნილსაც აკეთებენ მისგან.

**ხიფხოლა-ყინტორა** იჭმევა გაფცქვნილი ღერო, მწნილად დებდნენ და მხალადაც ხარშავდნენ. ანელებდნენ ერბოთი და მარილით. (გან. იხ. ზევით).

**ჭიმა** იფცქვნება და ისე იჭმევა, მზადდება ხევსურული ძმარიც. ჩაჭრიან ნაღებში წვრილად, მარილს მოაყრიდნენ და ძალიან გემრიელი საჭმელი იყოო-იხსენებს ჩალხა წიკლაური.

**ძირხვენა** დიდი ფოთლები აქვს. სანამ ამოღერდება ძირსაც ჭამენ სანამ ახალია, ამოთხრიან ,ფცქვნიან და ისე.

**ხოზო** ისეთ ადგილებში ამოდის, სადაც ჭიმა (ღობის ძირებში). იფცქვნება და ისე იჭმევა.

**ალოშა**-საჭმელი ბალახია, იჭმევა ღერო. (საველე მასალა 2). ალოშას კუჭ-ნაწლავის გამწმენდ საშუალებად ასახელებს ალ. არაბული (6).

**კრავისთვალა** მისი ნაყოფი თხილსა ჰგავს. იჭმევა მხოლოდ ძირი, ჭამის წინ აუცილებლად უნდა გაირეცხოს.

**ბაჩიკა-ძირტკბილა** მინდვრის ბალახია, ტკბილია, ჭამენ ძირსა და ღეროს.ძირითადად ხვნათესვის დროს გამოჩნდება ხოლმე. რეცხავენ და ისე მიირთმევენ ხოლმე. გაფცქვნაც შეიძლება (საველე მასალა).

**მჭივანა** მის ფოთოლს ჭამენ ძმარში ჩაყრილს (იგულისხმება ხევსურული ძმარი ნაღებს ამატებენ მარილს და მცენარეებს, სეზონის შესაფერისად, რომელი მცენარეც ეგულებოდათ).

**ჭიმა და წერთხალა** სადაც ხორბალი ითესებოდა იქ ამოდიოდა. ყინტორას მსგავსი მცენარეებია. წნილად დებდნენ და მხალსაც ამზადებდნენ. (იხარშებოდა და ერბოთი და მარილით ანელებდნენ). დ. ოჩიაური ახასიათებს თავის ნაშრომში-მისი მონაცემებით მკურნალობენ ანთებით პროცესებს ნახარშის მიღებით (1).

**თვითმავალა** წითელი მხალია.წელიწადში ორჯერ მოდის.საკმაოდ არომატულია და მისგან ხევსურული ძმარიც მზადდება.სერგი მაკალათიას ინფორმაციით თვითმავალას როგორც მხალს, მარილწყალში ხარშავენ,შემდეგ ერბოში მოშუშავენ და ისე მიირთმევენ. (5.112) მისივე ინფორმაციით უმად ჭამენ ჭიმას, დიყს,წერთხალას, კენკეშას და შუპყას. (იქვე)

**ნაცარქათამა** მხალია, ხარშავენ და აზავებენ ერბოთი და მარილით. უნდა ითქვას, რომ დღესაც მიღებულია როგორც მხლოვანა ცომეულში.მისი საკვებად, მხალეულად მომზადება გავრცელებულია მთელ საქართველოში.

**არჯეკანი** მხალია. ხარშავენ და ანელებენ მარილითა და ერბოთი.

**მწნილა**-(ფშავში), **ყვავის ბწკალა** (ხევსურეთში)-ინახება მწნილადაც ზამთრისთვის.

**დეკა** ხევსურეთში სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა. მისი ნაყენი, როგორც დეკას ყვავილისა, ასევე ფოთლებისაც წმენდს თირკმელებს, სისხლს და პროფილაქტიკის მიზნითაც სვამენ ჩაის სახით. თუმცა სამკურნალო თვისებების შესანარჩუნებლად უშაქროდ ან თაფლით უნდა მიიღონ. გამოიყენება გაციებისა და მაღალი ტემპერატურის დროსაც.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ განხილული მხალეული კულტურების საკვებად მომზადების წესი თითქმის ერთგვარი იყო მთაში. გარჩევა-გარეცხვის შემდეგ მდუღარე წყალში ჩაყრიდნენ, ამოიღებდნენ ქაფქირით (დიდი ზომის ხის ნასვრეტებიანი კოვზი), გაწურავდნენ და ერბოში მოშუშავდნენ.შეანელებდნენ ძირითადად მარილით და პრასით (ხახვის მრავალწლიანი სახეობა). მწვანილეული კულტურები: ქინძი, ოხრახუში და ა. შ. მთაში არ მოიპოვებოდა, თუმცა მოგვიანებით მისი მოყვანა-შენახვაც შესაძლებელი გახდა.

**დასკვნა**

უნდა ითქვას, რომ ჩემ მიერ განხილული მცენარეული კულტურები დღესაც აქტუალურია ხევსურეთში. მისი მომზადების წესი ნაწილობრივ შეიცვალა კიდეც, რაც საუკუნეობრივი გამოცდილებით იქნა გამოწვეული, მაგრამ მთის მცენარეების ვარგისიანობასა და არომატულობაში, მაინც მისი შემადგენლობა და სამკურნალო თვისებები სჭარბობს, რაც უმთავრესია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ბალახეული მცენარეებით მკურნალობის წესები და მისი საკვებად ვარგისიანობა არაერთ მკვლევარს აქვს განხილული, რაც გარკვეულ თანხვედრაში მოდის ნაშრომთან, ამიტომ მითითებებს თან ვურთავ მკვლევართა ვინაობასა და ნაშრომს, რომელთაც ხევსურეთში უმუშავია.

**ლიტერატურა:**

1. ოჩიაური დ. მასალები ფშავ-ხევსურეთის ფლორის შესწავლისათვის.თბილისი 1965 წ.
2. ოჩიაური დ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიის წიგნებში აღნიშნული ზოგიერთი ბოტანიკური ცნების გაგებისათვის. თბილისი 1980 წ.
3. ჭინჭარაული ალ. ხევსურული ლექსიკონი. თბილისი 2005 წ.
4. თევდორაძე გ. 5 წელი ფშავ-ხევსურეთში. თბილისი 1939 წ.
5. მაკალათია ს. ხევსურეთი. თბილისი 1935 წ.
6. არაბული ალ. ბუნების მოყვარულთა მეგზური. თბილისი 2002 წ.
7. მთხრობელები (საველე მასალა).
8. გიგაური მზექალა ღვთისოს ას. დაბ. 1915 წელს სოფ. ბლო პირაქეთა ხევსურეთი. მასალა ჩაწერილია თიანეთის რაიონში 1996 წელს.
9. ჩალხა ბერდიხას ძე წიკლაური დაბ. 1939 წ. სოფ. როშკა, პირაქეთა ხევსურეთი.მასალა ჩაწერილია სოფ. არხილოს კალოში. დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტი. 2018 წ.

## Medial and food plants in „pirikita khevsureti"

***Mzia Tsiklauri, assistant professor***
***Georgian Technical University***

### Summary

In the article medicinal and food plants are the opposite in Khevsureti - the meaning and purpose of other food and medicinal plants common in the nature of the eastern mountainous region of Georgia and the rules of their use are told. What is the old Khevsuri achemist or conventional treatment (pain-reliever). In different cases, it was always applicable, not only in Khevsureti, but also in different corners of Tianeti in Eastern Georgia.

It is also worth noting that today much attention is paid to the utilization and settlement of mountain regions and the development of tourism. There is also a strong influx of foreign tourists interested in seeing and perceiving the mountain wildlife and a different, healthy climate. From this point of view, I consider the little-known and seemingly insignificant tradition of food and treatment methods to be important, which I think will occupy a certain place among the main components that can be considered as an argument for a general, healthy life in the mountains.

The work also uses the researches of those authors who devoted some time of their scientific work directly to the study of the flora of the mountainous region of Eastern Georgia. Also, the material collected by me in the field over the years, the conclusions obtained as a result of the practical experience of the narrators or the local population, which is the result of centuries of experience. It must be said that the immortality of tradition in this area and in other aspects of Khevsuri life is clearly visible. I would like to express my gratitude to those spiritual storytellers who left a mark in ethnographic studies and historical sciences in general.

It should be noted that the vegetable crops discussed in the letter are still relevant today in Khevsureti and not only in Khevsureti. The method of its preparation has partially changed, which is caused by centuries of experience, but in the suitability and aromaticity of mountain plants, its composition and healing properties prevail, which are the most important for human health.

Keywords: Khevsureti on the contrary, plants, medicinal, grass.

1.ძაღლყურძენა.solanum nigrum L.

შუპყა.hearacleum.

თავსისხლა.sangiusorba officianalis.

სამყურა.menainthes trifolata

ცხენის ტერფა.horses'foot.

კლდის ვაშლა.sempervivum.

დეკა.phododendron caucasium.

კვლიავი.carum.

აბზინდა.antemisia absintium.

დიდგულა.sambucus nigra.

ჩაღალდი.veronika

მანტეგაცის დიყი .hearacleum mantegazzianum

წერთხალა.polygonum alpinum.

ძირტკბილა.glycurriza glabra.

ანწლი.sambucus ebulus.

ცაცხვი.tilliacaucasica.

შუპყა.hearcleum.

ნაცარქათამა.chenopodium.

კენკეშა.chenopodium

# ეკონომიკა და ბიზნესი

# ECONOMICS AND BUSINESS

## ინოვაციური მენეჯმენტის როლი ტელეკომუნიკაციაში

*ელისაბედ ხახუტაშვილი ასოც.პროფ.*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ინოვაციური მენეჯ-მენტის როლი ტელეკომუნიკაციაში. მენეჯმენტის მიზანი და ამოცანები, მისი განვითარების ეტაპები, ინოვატიკა, როგორც ცოდნის სფერო; ინოვაციების განვითარების თეორიები; ინოვაციის ცნება, მისი განსაკუთრებულობა, ნოვაციები; ინოვაციის კავშირი ბაზართან, მისი კლასიფიკაცია, სტრუქტურა, ეფექტურობა; ინოვაციის სუბიექტები, მოტივები, ეკონომიკური ინტერესები ინოვაციურ საქმიანობაში. ასევე განხილულია სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, ინოვაციური მიზნების და ამოცანების მარკეტინგი; განხილულია სარისკო ბიზნესი, როგორც ინოვაციური პროცესის ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა; ინოვაციური პროექტების ექს-პერტიზა, ეკონომიკური ეფექტურობა, ძირითადი მაჩვენებლები და ა.შ. ინოვაციური მენეჯმენტის როლი ტელეკომუნიკაციაში; მისი მარკეტინგი, სარისკო ბიზნესი და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური მენეჯ-მენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ტელეკო-მუნიკაცია, ბიზნესი, მარკეტინგი, ინოვაციის სუბიექტები, პროექტის ექსპერტიზა, ციფრული ეკონომიკა.

**შესავალი**

ინოვაციური მენეჯმენტის როლი ტელეკომუ-ნიკაციაში ეს არის რეალური საფუძველი კავშირ-გაბმულობის დარგისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციური მენეჯმენტი მომ-ხმარებელთა რეალური საფუძველია შექმნას მა-ღალხარისხოვანი ქსელური ინფრასტრუქტურა მსოფლიოში უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებით. ინოვაციური მენეჯმენტი საფუძველია ტელეკომუნიკაციისათვის, ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლმხედველობის, ერუდიციის, ცოდნის, შემოქმედებითი საქმიანობის კულტუ-რული ფასეულობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკური ურთიერთობის, ციფრული მენეჯ-მენტის რომელიც იძლევა ეკონომიკურ ეფექტს.

**ძირითადი ნაწილი**

ინოვაციური მეცნიერება მიმართულია სტიმუ-ლირებაზე და ეფექტურ მმართველობაზე ინოვა-ციური პროცესების მაკრო და მიკრო დონეზე. ტრადიციული მენეჯ-მენტისგან განსხვავებით, ინოვაციური მენეჯმენტის მართვა დაკავშირებულია ორგანიზაციის არასტაბილურ შიდა და გარეთა პირობებზე, რისკებზე, რომელთა მართვისთვის განსაკუთრებული მეთოდები და მიდგომებია საჭირო. ინოვაციური მენეჯმენტის მიზანია შე-ინარჩუნოს ბაზარზე კონკურენტუნარიანობა, სიახლის კომერციალიზაცია დარგის ეკონომიკაში შემდეგი ამოცანების გათვალისწინებით: სამეც-ნიერო-ტექნიკური პროგრესის ტენდენციების განსაზღვრით ეკონომიკის სექტორში; მართვის ორგანიზაცია, პერსპექტიული საქმიანობის მიმარ-თულების განსაზღვრით; შეფასდეს ინოვაციის პროცესის ეფექტურობა; შეიქმნას ინოვაციური მმართველობის სისტემა ინოვაციური აქტივობის სტიმულირებით.

ინოვაციური მენეჯმენტის განვითარება, რო-გორც მეცნიერების სფერო მოიცავს ოთხ ეტაპს [1]

1.ფაქტორულ მიდგომას.

2.სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს დაკავშირე-ბულს წარმოების პოტენცია-ლთან.

3.ინოვაციური პროცესების მართვას.

4.სიტუაციურ მიდგომას.

ინოვატიკა, როგორც (ეკონომიკური მეცნიერება) ცოდნის სფერო შეისწავლის კანონზომიერ ცვლილებებს მაკრო და მიკროეკონომიკის სისტემებში. ინოვატიკა _ ეს მეცნიერება შეისწავლის:

1. ახლად შექმნილ ინოვაციურ პროცესებს, მათ თავისებურებას.

2. საქმიან ტექნოლოგიურ ციკლს.

3. ნოვაციის ცნებას.

4. ინოვაციის სასიცოცხლო ციკლს.

5. ინოვაციის კლასიფიკაციების მახასიათებლებს.

7. ინოვაციური მენეჯმენტის მეთოდებს.

8. ინოვაციური ეფექტების სახეობებს.

ინოვაციური პროცესების საქმიანობა კომპლექსურია, რომელიც შედგება: ინოვაციის სასიცოცხლო ციკლისგან: პროდუქტის, ტექნოლოგიის, ახლად შექმნილი პროდუქტებისა და სხვა პროცესებისგან [2].

ინოვაციას კავშირი აქვს ბაზართან. ახლადშექმნილი პროდუქტი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს: ინოვაცია _ ეს სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის შედეგია. მჭიდრო კავშირია მეცნიერებასა და საწარმოს შორის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს მაღალი რისკების სფეროს. ინოვაციების ახლად წარმონაქმნები იყოფა მატერიალურ და არამატერიალურ საქმეებად: ფუნქციონალური გამოყენების მიხედვით ტექნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ-მმართველობით და სხვა სახეობად.

ინოვაციის მოდერნიზაცია ეს საბაზო ცვლილებები არსებულში, ხოლო ფსევდო ინოვაცია _ ეს უმნიშვნელო გადაწყვეტილების მიღება ახლადწარმოქმნილ გადაწყვეტებში.

საბაზრო სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება განხორციელდეს რეაქციული ან სტრატეგიული ახლადწარმოქმნილი მეთოდები.

ფირმა-ინოვატორები სტრატეგიული ინოვაციების დანერგვისას უსწრებენ თავიანთ კონკურენტებს, რაც ხელს უწყობს ბაზრის მონოპოლიაში.

ინოვაციური პროცესები ეს ახლადშექმნილი იდეების რეგულირებადი პროცესია, რომელიც იძლევა ეფექტურობას ბიზნეს-საქმიანობაში. ინოვაციური პროცესი დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებზე. როგორიც არის: ინოვაციური პოტენციალი, ინოვაციური საქმიანობის მიმართულება; ინოვაციის განხორციელების სიჩქარე, ფირმის მარკეტინგული სტრატეგია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხელს უწყობს ფირმის პროდუქციას წინწაწევაში.

ინოვაციურ პროცესებს აწარმოებენ სუბიექტები, რომლებიც არიან ნოვატორები, ინვესტორები; რომელთა მიზანია რისკ-ფაქტორების შემცირება, ინოვაციების დანერგვა. მნიშვნელოვანია ინოვაციურ მენეჯმენტში შემდეგი სიახლეები ინვესტორების მიერ: სახელმწიფო და კომერციული ბანკების; ინოვაციური, სადაზღვევო, საპენსიო, სპეციალიზების, კერძო პირების კომპანიები და ასევე ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკური მოტივები, რომლებიც საწარმოსთვის წარმოადგენენ: დამატებით კონკურენტულ უპირატესობას. ესენია: საქმიანი კეთილგანწყობილი რეპუტაციის შექმნა მომხმარებლისთვის; პოტენციური პარტნიორებისა და ინვესტორებისათვის. ასევეა საწარმოს ეფექტურობის გაზრდა-მოდერნიზაციის ზეგავლენით უზრუნველყოფილია და საქმეების დივერსიფიკაციით; გაყიდვების, ბაზრის გაფართოება, ბაზარზე გეგმის ზემოთ მაღალი მოგების მიღება. რადიკალური სიახლეები ზრდის პროდუქტის ხარისხისა და ამაღლებს კონკურენტუნარიანობას; ასევე ბაზარზე გასაყიდი პროდუქტის. რაოდენობის გაზრდა სპეციალური შეღავათებით, რომელიც ზრდის მოგებას[3]

ინოვაციური ბაზარი წარმოშობს საინვესტიციო პროექტებს, რომლებსაც სჭირდებათ დაფინანსება და დანერგვა. საინვესტიციო ბაზარს ქმნიან ის კომპონენტი, რომლებიც ნერგავენ ინოვაციურ საქმიანობას ფირმებში, ხოლო ინვესტიციების ბაზარს ქმნს კაპიტალის საშუალებით ინოვაციური წინადადების დანერგვით. ინოვაციური პროცესი აერთიანებს მეცნიერებას, ტექნიკას, საქმიანობის ყველა სფეროს მრეწველობასთან, მომხმარებელთან დაკავშირებულს. მთავარი სუბიექტები ინოვაციური საქმიანობისა არიან: ნოვატორები რომლებიც ეძებენ ინოვაციურ იდეებს და მათ ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები. ინოვატორი ზრუნავს ინოვაციის დანერგვისათვის ფირმებთან ერთად.

ინვესტორები ხშირად არიან აგრეთვე: რისკების დამნერგავი ფირმები; კონცერნები, საფინანსო-სამრეწველო ბანკები, სახელმწიფო, კერძო კაპიტალი, მოსახლეობა.

სახელმწიფოს ინტერესი ინვესტიციაში მნიშვნელოვანია: აფინანსებს პრიორიტეტულ საქმიანობას კერძო სტრუქტურებთან, სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციებთან ერთად. არსებობს ვენჩურული ინოვაციური ფონდი, რომელიც აფინანსებს მაღალი რისკების ინოვაციურ პროექტებს.

ძალიან მნიშვნელოვანია ინოვაციური პროცესების დამუშავება მართვა-მენეჯმენტი, პროგრამული მიზნობრივი ინოვაციური პროექტებისა დაკავშირებულს შემდეგ პროცესებთან: სელექციურთან (შერჩევითი) ეკონომიკის, საწარმოს კონ-

ცეფციის განვითარებასთან. ასევე უზრუნველყოს აუცილებელი რესურსებით პროექტის გასახორციელებლად.

ინოვაციური მენეჯმენტის მთავარი მიზანია ინოვაციური შედეგიანობა; მაქსიმალური ეფექტი, რომლის კომერციალიზაცია იძლევა მთავარი მიზნის მიღწევას ეფექტური საქმიანობით, ინოვაციური იდეების მოძიება, სიახლის დამუშავება და მისი დანერგვა.

ინოვაციური პროექტების ორგანიზაციის ფორმებია: მატრიცული;, სტრატეგიული, ფუნქციონალური, თემატური და მატერიალური. აქედან ყველაზე ეფექტურია მატრიცული, თუმცა ყველას თავისი წვლილი შეაქვს პროექტის განხორციელებაში. ინოვაციური პროექტის დაგეგმარების სახეობა შინაარსის მიხედვით აღსანიშნავია ტექნიკურ-ეკონომიკური, რომელიც ითვალისწინებს ბიზნეს-გეგმას, რისკ-ფაქტორებს. ინფორმაციას, კონკურენტებს და პარტნიორებს. ის წარმოადგენს საინვესტიციო დოკუმენტს საინვესტიციო პროექტების ინვესტორებისათვის.

ინოვაციური პროექტების განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია მარკეტინგი მენეჯმენტში. [3] მარკეტინგი ინოვაციური მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს ახლადწარმოქმნილის კონმერციალიზაციას. შეისწავლოს კონკურენციის პირობებს და ფირმის შესაძლებლობებს, რათა განახორციელოს წარმატებული ინოვაციები მოცემულ პირობებში. ინოვაციური მარკეტინგი დამოკიდებულია ინოვაციურ პროცესებზე, რომელიც შედგება რამოდენიმე ეტაპისგან. ყველაზე პროგრესულია მიმართულების გამოვლენა; არსებული მიმართულების ალტერნატივის განსაზღვრა. მარკეტინგის ძირითადი ამოცანის დანერგვისას ხდება სიახლის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. შემდეგ ეტაპზე ფასწარმოქმნა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის მარკეტინგულ სტრატეგიაზე. აუცილებელი და მნიშვნელოვანია ინოვაციური იდეის კომერციალიზაცია და სარეკლამო პოლიტიკის გატარება. ახალი პროდუქტის რეალიზაციისთვის. გამოიყენება კომერციულ საფუძველზე, ფრანჩაიზინგი ფრანჩიზული კონცეფციის ლიცენზიის შეძენით, რომელიც ცნობილია კომპანიისთვის.

დაცული უნდა იყოს სიახლეების მონაწილენი საპატენტო უფლებით. ინოვაციური მენეჯმენტის დროს ორგანიზაციის პოტენციალი შედგება: მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, ორგანიზაციული, საკადრო, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებისგან.

ფირმის ინოვაციური სტრატეგია ეს არის ინოვაციური ეფექტური პოტენციალის ღონისძიებათა კომპლექსი ხანგრძლივ პერიოდში. ინოვაციური სტრატეგია განისაზღვრება კონკურენტული უპირატესობით, რომელიც მიმართულია დიფერენციისკენ, დანახარჯების შემცირებისკენ.

ინოვაციური მენეჯმენტი ხელს უწყობს მრავალპროფილიანი ბიზნესის განვითარებას. არსებობს ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციული ფორები: ბიზნეს-ინკუბატორი, სარისკო ბიზნესი, ტექნოპარკი, ტექნოპოლისი, ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფი, ერთობლივი საწარმო, სტრატეგიული ალიანსი, სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-საწარმოო ალიანსები. ორგანიზაციის ინოვაციური პროცესების ერთ-ერთი ფორმა არის სარისკო ბიზნესი, რომელიც დაფუძნებულია სამ შემადგენელზე: სამეცნიერო-კვლევით, ინოვაციური იდეების დამნერგავ ფორმებზე და ვენჩურული კაპიტალის ფონდზე (სარისკო ინვესტიციები).

ინოვაციური პროექტის სასიცოცხლო ციკლი შედგება სამი სტადიისგან:

1. წინასაინვესტიციო.

2. საინვესტიციო.

3. ექსპლოტაციური ინოვაციური პროექტისათვის.

ინოვაციური პროექტი მოიცავს აგრეთვე ინოვაციურ პროგრამას, რომელიც დამოკიდებულია მიღებულ გადაწყვეტილებებზე, სხვადასხვა ამოცანებთან, მის გადაწყვეტასთან, სოციოლოგიას-თან, ეკოლოგიასთან, კულტურის სფეროსთან.

ინოვაციური პროექტების რეალიზაცია ხდება ექსპერტიზის მიერ, სამეცნიერო-კვლევითი, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ეფექტურობის მიღებაში.

ინოვაციური პროექტის დაფინანსების ერთ-ერთი სახეა ვენჩური, რომელიც ხორციელდება რისკ-კაპიტალის ფონდებიდან ფულადი რესურსების დაბრუნებით გარანტიის გარეშე [4].

ვენჩურული ფონდების საქმიანობა ინოვაციური პროექტების დაფინანსებაში ხასიათდება შემდეგი განსაკუთრებულობით:

1. რისკ ინვესტორები მზად არიან კაპიტალის დაკარგვისათვის, არ ითხოვენ გარანტიებს.

2. რისკ-კაპიტალი გაიცემა 5-7 წლით.

3. რისკ-კაპიტალი განლაგებულია მხოლოდ სააქციო კაპიტალის ფორმით.

ვენჩურული ინვესტორების რისკი ძალიან დიდია, თუმცა იღბალის შემთხვევაში კომპესირდება მოგების ზემოთ (15:25%).

ასევე ინვესტიციური პროექტები შეიძლება და-

ფინანსდეს შერეულად სხვადასხვა წყაროებიდან.

უნდა აღინიშნოს ინოვაციის ეკონომიკური ეფექტი, რომელიც განისაზღვრება სტატისტიკური და დინამიკური მეთოდებით. სტატისტიკური მეთოდი გამოიყენება პროექტის სწრაფი და მიახლოებითი შეფასების დროს, ხოლო დინამიკური მეთოდი სხვადასხვა დროს მოსული ფულადი ნაკადები ერთიანდება დროის მიხედვით, რასაც ეწოდება დისკონტირება, კაპიტალის დაბანდების შეფასების მეთოდით d=a+b+c, სადაც a - ურისკო განაკვეთი (თანხა), ურისკო პროექტის, სუფთა მოგება ალტერნატიული პროექტებისა; b-ინვესტიციური პროექტების რისკის დროის დონე; c-პროექტის რეალიზაციის ინფლაციური მოლოდინი.

ინოვაციური პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას რეკომენდი-რებულია გამოყენებული იყოს მეთოდური რეკომენდაციები. ინვესტიციური პროექტების ეკონომიკური ეფექტურობისათვის, რომელიც შემდგომ ამის საფუძველზე მოხდება პროექტის დამტკიცება, განხორციელება.

ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელია წმინდა დისკონტირებული შემოსავალი, რომელიც ახასიათებს ინოვაციური პროექტის ეფექტურობას.

ინოვაციურ პროექტებს ახასიათებთ რისკი, რომელიც წარმოადგენს არახელსაყრელ მოვლენებს. ამისთვის საჭიროა მათი მართვა შემდეგი პროცესებით. ესენია: რისკის გამოვლენა; მისი ანალიზი და შეფასება; ღონისძიების შემუშავება რისკ-ფაქტორების შესამცირებლად, ინოვაციურ სფეროში წარმოქნილი რისკები დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ფუნქციონალურ, კონკურენტულ, შიდა ფაქტორებზე, რომელთა პროგნოზირებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ანალიზის, გადაწყვეტის, მონტე-კარლოს და ექსპერტის შეფასების. ყველა რისკ-ფაქტორების შესამცირებლად შემუშავებულია შემდეგი ღონისძიებები და მეთოდები: ყველაზე გავრცელებულია: რისკების აცილება ინოვაციური ბაზრებით; რისკების არ მიღება წინასწარ დაგეგმილი მოგება ინოვაციური პროექტით; რისკების არ მიღება ინოვაციური საქმიანობის შედეგად; საპატენტო უფლებების დარღვევის რისკების თავიდან აცილება; ნოუ-ჰაუ კომპანიის დაკარგვის რისკი და ა.შ.

რისკების მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია დაზღვევით, ლიმიტირებით, დივერსიფიკაციით საკრედიტო რისკის მინიმუმამდე დაყვანა. მთლიანი დაჯამებული რისკის სიდიდე დივერსიფირებული პორტფელით უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ცალკე აღებული პროექტების რისკი[5] .

ინოვაციური მენეჯმენტი ზეგავლენას ახდენს ტელეკომუნიკაციაზე. ის გადამწყვეტ როლს იღებს ციფრული ეკონომიკის დანერგვაში და მსოფლიო კავშირგაბმულობის სფეროში. ტელეკომუნიკაციაში რთულია კომუნიკაციის არხებიდან არსებული კომუნიკაციურ პაკეტებზე გადასვლა, რომელიც ილუსტრირებულია ტელეკომუნიკაციის ქსელებით და ინფორმაციული არხებით.

ტელეკომუნიკაციის მომავალი ინოვაციური მენეჯმენტის დროს დამოკიდებულია ბიზნეს-მოდელის ინოვაციაზე, რათა შეინარჩუნოს ბაზარზე პოზიციები. ექსპერტიზა მოუწოდებს ბიზნეს-მენებს ახალი ინოვაციებისკენ გაფართოვდეს პროდუქტიული წინადადებები; სხვა კომპანიების ჩაძირვა-გაუქმება-ჩაყლაპვას; პარტნიორობის გაფართოებას; შერეულ ბაზარზე გასვლას პოზიციის დასაკავებლად; ბიზნეს ინოვაციური მოდელის შექმნას. ტელეკომუნიკაციის გამოწვევა განვითარების ამ სფეროში ზრდის ეკონომიკურ ეფექტს და ემზადება 5G-ს გამოყენებისთვის საბაზისო მოდიფიცირებული ფსევდო-სტრატეგიული მოდელით.

## დასკვნა

დიდია ინოვაციური მენეჯმენტის როლი ბიზნესში, ტელეკომუნიკაციაში. ხდება ინოვაციური მენეჯმენტის, იდეების, მოდელების, პროექტების განხორციელება, გენერირება. ტელეკომუნიკაციის კომპანიებში ინოვაციური საქმიანობით მაღალწარმადობითი ბიზნეს-გეგმების საშუალებით და ინოვაციური მენეჯმენტით მიიღება დიდი ეკონომიკური ეფექტი.

ლიტერატურა


1. 1.ბახტაძე გ. ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები საქართ-ველოში. ბათუმი, 2019.
2. 2.ერქომაიშვილი გ. ხარაიშვილი ე. ტალიკიძე ნ. ინოვაცია და პროექტის კონკურენტუნარიანობა თბ.2007 თსუ.
3. 3.ერქომაიშვილი გ. ხარაიშვილი ე. ინოვაციები და პროდუქტის კონკურენტუნარიანობა, თბილისი 2017 გამომც. უნივერსალი.
4. 4.შუბლაძე გ. მღებრიშვილი ბ. წოწკოლაური ვ. მენეჯმენტის საფუძვლები, გამომცემლობა უნივერსალი, თბ 2008.
5. 5.ქოქიაური ლ. ქოქიაური ნ. გეჩბაია ბ, ინოვაციური ეკონომიკა, თბ 2016.


**The Role of Innovation Management in Telecommunications**


***Elisabed Khakhutashvili, Associate Professor***
***Georgian Technical University***


**Summary**


The article discusses innovative management and its role in telecommunications, as well as the goal and tasks of management, the stages of its development, innovatics as a field of knowledge; theories of innovation development; the concept of innovation, its uniqueness, innovations; Connection of innovation with the market, its classification and structure; efficiency; subjects of innovation, functions, motives, economic interests in innovative activity. In the article there are also discussed state innovation policy, introduction and dissemination of innovative ideas, projects in telecommunications, marketing of uninnovative goals and objectives, venture business as one of the forms of innovative process organization; expertise, economic efficiency, main indicators of innovative projects; financing of innovative projects: determination of economic efficiency by statistical and dynamic methods; the net discounted income of the economic efficiency; innovative project risk and its minimization.

Innovative management influences telecommunications, especially when considering the digital economy.

There is a great deal of difficulty in solving the problems in the transition from communication channels to communication packages faced by communication, which are illustrated by networks and information.

The future of telecommunications depends on business model innovation, by which it is possible to maintain market positions unlike traditional businesses that are at risk.

The challenge of telecommunications in this area of development as cloud computing are mobile ads, digital services, advertising digital, e-commerce, “Internet of things”.

Taking all of the above into account contributes to the success of the telecommunications market for financial, stock, insurance and other types of companies. We achieve economic success with innovative management.



Key words: innovative management, information technologies, telecommunications, business, marketing, innovation entities, project expertise, digital economy.

# მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის კრიტერიუმები

*თამარ როსტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*სალომე ფოდიაშვილი, მაგისტრანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისათვის არსებობს დამატებითი პირობები, რომელთა შესაბამისად ხდება მათი მიკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესისადმი. კერძოდ, შემოტანილია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ე.წ. დამოუკიდებლობის კრიტერიუმი. რომლის მიზანია - მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, მსხვილი ბიზნესისაგან.

ნაშრომში წარმოდგენილია შეზღუდვები, რომლებიც შეტანილია მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებებში მცირე და საშუალო საწარმოთა შესახებ, რომლებიც ყველაზე ზუსტად ასახავს სიტუაციას გაანალიზებულ სფეროში.

აქვე მოცემულია ევროკომისიის მიერ განსაზღვრული საწარმოს მცირე და საშუალო ბიზნესად კლასიფიკაციის კრიტერიუმები. მცირე და საშუალო ბიზნესის კლასიფიკაციის ერთიანი კრიტერიუმები საზღვარგარეთ არ არსებობს. თუმცა ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების მიხედვით გამოიყენება კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც წარმოდგენილია სტატიაში.

საწარმოების მცირე და საშუალო ბიზნესისადმი მიკუთვნების რაოდენობრივი კრიტერიუმების განსაზღვრა იწვევს დებატებს ექსპერტთა საზოგადოების ფარგლებში. მაგალითისთვის მოცემულია ზოგიერთი ექსპერტის შეხედულება რომ ინოვაციურმა საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი ზრდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების საქმიანობის სტატისტიკური დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ უკანასკნელ წლებში მცირე ბიზნესი შექმნილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის ადგილსა და როლს საბაზრო ეკონომიკაში, ისინი განისაზღვრება მცირე და საშუალო საწარმოთა ფუნქციების სპექტრით, როგორც ეკონომიკური, ასევე სხვა (სოციალური, პოლიტიკური) ხასიათით. ნაშრომში გამოყოფილია მეწარმეობის მთელი რიგი ინტეგრაციული ფუნქციები. ასევე გამოყოფილია მეწარმეობის მთელი რიგი პოლიტიკური ფუნქციები.

მოცემულია მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკის შეფასება.

საკვანძო სიტყვები: მცირე და ბიზნესი, სარგებლიანობის ფუნქცია, მწარმოებლურობა, კაპიტალი, საწესდებო კაპიტალი, ინოვაცია, კრიტერიუმი.

**შესავალი**

ბიზნეს კომპანიებისთვის, ბიზნეს პარტნიორობამ უნდა შეასრულოს მინიმუმ ერთი მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით არსებული შემდეგი მოთხოვნებიდან: მაგალითად, შემოღებულ იქნა შეზღუდვები ქვეყნის მონაწილეობის საერთო წილით და ასევე შეზღუდვები ეხება მის სუბიექტებს, მუნიციპალიტეტებს, საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს (ასოციაციებს) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების საწესდებო კაპიტალში. კერძოდ, არ უნდა აღემატებოდეს 25%; შეზღუდვებია დაწესებული უცხოური იურიდიული პირების ასეთ კაპიტალში მონაწილეობის ჯამურ წილებზე (ან/და იურიდიულ პირებზე, რომლებიც არ არიან მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტები) – 49% (ადრე – 25%); მოთხოვნების დარჩენილი ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ აქციები რომლებიც ბრუნავს ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ ბაზარზე, უნდა იყოს მიკუთვნებული, ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური (ინოვაციური) სექტორისადმი და ა.შ. როგორც ხედავთ, კანონმდებელი ზღუდავს საჯარო იურიდიული პირების, უცხოური იურიდიული პირების, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების, ფონდების მონაწილეობას, საწარმოების საწესდებო კაპიტალში, რომლებიც მიეკუთვნებიან მცირე და საშუალო ბიზნესს.

**ძირითადი ნაწილი**

ამავდროულად, მთელი რიგი შეზღუდვები (მაგალითად, უცხოური იურიდიული პირების მონაწილეობის ჯამურ წილი) ამოღებულია საწარმოებთან მიმართებაში რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ საქმიანობას, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას (დანერგვას), ექსკლუზიური უფლებები, რომელიც ეკუთვნის მოცემული საწარმოს დამფუძნებლებს (მონაწილეებს) (საბიუჯეტო, ავტონომიურ სამეცნიერო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს), ასევე იურიდიულ პირებს, რომლებმაც მიიღეს განსაკუთრებული პროექტის მონაწილის სტატუსი.

იმავდროულად, დამოუკიდებლობის პრინციპისადმი დამოკიდებულება სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანია. კერძოდ, ზოგიერთი ავტორი მთლიანად ემხრობა აკრძალვას, რომელიც ეხება მცირე საწარმოს საწესდებო კაპიტალის ფორმირებას სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციების საკუთრების ორგანიზაციების ხარჯზე. შეზღუდვები, რომლებიც შეტანილია მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებებში მცირე და საშუალო საწარმოთა შესახებ, ყველაზე ზუსტად ასახავს სიტუაციას გაანალიზებულ სფეროში.

ამჟამად პარამეტრები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ასევე ინდივიდუალური მეწარმეებისთვის დადგენილია ერთნაირად, არ გამოიყენება დიფერენციაცია საქმიანობის ტიპის მიხედვით. აქტივების საბალანსო ღირებულების ზღვრული ღირებულებები არ არის დადადგენილი.

ევროკომისია განსაზღვრავს საწარმოს მცირე და საშუალო ბიზნესად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს:

- საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა;
- საკუთრების სტრუქტურა (ეკონომიკური დამოუკიდებლობა);
- ფინანსური კრიტერიუმები (წლიური ბრუნვა, აქტივების საბალანსო ღირებულება).

ამრიგად, ევროკომისიის რეკომენდაციებში მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების განმარტებაში, რომელიც მიღებულია 2003 წლის 6 მაისს, მცირე ბიზნესს მიეკუთვნება საწარმოები, სადაც დასაქმებულია 11-დან 50-მდე ადამიანი, ხოლო წლიური შემოსავალი არ აღემატება 10 მილიონ ევროს [18]. ასეთ საწარმოებს შორის ასევე გამოყოფილია მიკრო საწარმოები, რომლებშიც 10-მდე ადამიანია დასაქმებული, ხოლო წლიური შემოსავალი არ აღემატება 2 მილიონ ევროს, შესაბამისად, საშუალო ზომისაა საწარმოები – სადაც დასაქმებულთა რაოდენობაა არის 51-250 ადამიანი, ხოლო წლიური ბრუნვა 50 მილიონ ევრომდეა. ასევე გამოყოფილია მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების სამი კატეგორია: მიკროსაწარმოები (პატარა ტიპის საწარმოები), მცირე და საშუალო საწარმოები.

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესის კლასიფიკაციის ერთიანი კრიტერიუმები საზღვარგარეთ არ არსებობს. თუმცა ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების მიხედვით გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: დასაქმებულია 19 კაცამდე. - ძალიან მცირე (მიკრო), 20-დან 99 კაცი – მცირე, 100-დან 499 კაცამდე – საშუალო და 500-ზე მეტი ადამიანი მსხვილი ბიზნესია. [15].

საწარმოების მცირე და საშუალო ბიზნესისადმი მიკუთვნების რაოდენობრივი კრიტერიუმების განსაზღვრა იწვევს დებატებს ექსპერტთა საზოგადოების ფარგლებში. მაგალითად, ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ინოვაციურმა საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი ზრდა, რაც გამოიწვევს შესრულებული სამუშაოს მოცულობის ზრდას, შესაბამისად, გაიზრდება მოგება, რამაც შეიძლება გადააჭარბოს დადგენილ კრიტერიუმებს. შედეგად კი ამა თუ იმ საწარმომ შეიძლება დაკარგოს მცირე და საშუალო ბიზნესისადმი მიკუთვნების უფლება. და შესაბამისად, ხელისუფლების მხარდაჭერის უფლება. ამიტომ სთავაზობენ რომ საწარმოს ან ბიზნესის მფლობელს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელონ ერთ-ერთი რაოდენობრივი მაჩვენებელი (ან დასაქმებულთა რაოდენობა ან შემოსავალის დონე) [14].

ამჟამად კანონმდებლობით დადგენილი შემოსავლების მაჩვენებლები რეალურზე მნიშვნელოვნად მაღალია, და ეს ხსნის ზემოხსენებულ პრობლემას. გარდა ამისა, საწარმოს მიკროსაწარმოად, მცირე ან საშუალო საწარმოდ კლასიფიკაცია განისაზღვრება ერთ-ერთი ინდიკატორის უმაღლესი მნიშვნელობის მიხედვით (შესაბა-მისად, ამ მაჩვენებლების ცვლილებამ სამი წლის განმავლობაში ზედიზედ, ზემოთ ან ქვემოთ შესაძლოა შეცვალოს საწარმოს სტატუსი).

დასაქმებულთა რაოდენობის რიცხობრივი მაჩვენებლები ზოგადად შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ფაქტიურ რაოდენობას. ასე რომ გამოკითხვის მიხედვით, რომელიც ჩატარდა 2022 წელს წელიწადში მიკროსაწარმოებში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 1-2 დასაქმებული ადამიანია, მცირე საწარმოებში - 28-29 ადამიანი. დასაქმებულთა

რაოდენობის ფაქტიური საშუალო მაჩვენებელი კანონმდებლობით დადგენილ მაჩვენებლებზე საკმაოდ დაბალია, რაც ზოგადად შეესაბამება ევროპულ გამოცდილებას.

ამავე დროს, დასაქმებულთა საშუალო შემადგენლობაში მცირე და საშუალო საწარმოებში შედის მომუშავე პირები სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებებით. ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს მათ გამორიცხვას საშუალო სიობრივი შემადგენლობიდან [14]. ძნელია დაეთანხმო ამ პოზიციას მხოლოდ იმიტომ, რომ დამსაქმებელი ასეთი მუშაკების მომხრეა, იხდის სადაზღვევო პრემიებს და მათი შემოსავალი შედის კომპანიის სახელფასო სიაში.

თუ ადრე გამარტივებულ საგადასახადო სისტემას იყენებდა როგორც მიკრო, ისე მცირე საწარმოები, ახლა მხოლოდ მიკრო საწარმოები იყენებენ. უფრო მეტიც, თუ ასეთი საწარმოში დასაქმდება 15 ადამიანზე მეტი, მაშინ ის უკვე კლასიფიცირდება როგორც მცირე საწარმო.

ძნელია დაეთანხმო ავტორებს, რომლე-ბიც ცდილობენ მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგინონ იურიდიული პირის დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად. ვინაიდან არ არის საჭირო რაიმე განსაკუთრებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის (გარდა კომერციული ან არაკომერციული ორგანიზაციებისა) გამოყოფა მოცემული საწარმოების იდენტიფიცირებისას.

მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების საქმიანობის სტატისტიკური დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით უკანასკნელ წლებში ყველაზე მეტად მცირე ბიზნესი შექმნილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

გასათვალისწინებელია, რომ საწარმოს მცირე და საშუალო ბიზნესისადმი მიკუთვნების კრიტერიუმების გამოყოფის პრობლემას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა: მასზეა დამოკიდებული სახელმწიფო მხარდაჭერა, გადასახადები, შესაბამისი სუბიექტების დაკრედიტება.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის ადგილსა და როლს საბაზრო ეკონომიკაში, ისინი განისაზღვრება მცირე და საშუალო საწარმოთა ფუნქციების სპექტრით, როგორც ეკონომიკური, ასევე სხვა (სოციალური, პოლიტიკური) ხასიათით [26].

გარდა ამისა, შეგვიძლია გამოვყოთ მეწარმეობის მთელი რიგი ინტეგრაციული ფუნქციები. კერძოდ, მას შეუძლია იმოქმედოს როგორც განვითარების ერთ-ერთმა ფაქტორმა, შეასრულოს ინოვაციური ფუნქციები. ფაქტობრივად, ეკონომიკური ფუნ-ქციებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი: ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ანიჭებს მას მოქნილობას და, შესაბამისად, ავსებს ეკონომიურ ნიშებს, სადაც დიდი ბიზნესი არ მიისწრაფვის; წვლილი შეაქვს კონკურენტული გარემოს განვითარებაში; ოპერატიულად რეაგირებს ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებაზე; მონაწილეობს საქონლისა და მომსახურების ფართო სპექტრის შექმნაში, რომელიც უწრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მათზე. მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ შესრულებულ სოციალურ ფუნქციებს შორის, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: ხელს უწყობს მოსახლების დასაქმების პრობლემების გადაჭრას სამუშაო ადგილების შექმნით, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის; არბილებს სოციალურ დაძაბულობას; ქმნის მესაკუთრეების ფართო ფენას; ქმნის საფუძველს საშუალო კლასის ფორმირებისთვის; ხელს უწყობს მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების კერძო ინიციატივის განვითარებას ზოგადად [23].

შესაძლებელია გამოვყოთ მეწარმეობის მთელი რიგი პოლიტიკური ფუნქციები, მაგალითად, მას შეუძლია იყოს პოლიტიკური პარტიების ფორმირების საფუძველი, რომლებიც გამოხატავენ მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებს, დაეხმაროს სახოგადოებას პოლიტიკური დაძაბულობის შემცირებაში და ა.შ.

მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა გვიჩვენებს რომ:

- მცირე ბიზნესის საწარმოთა რაოდენობა წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდება (აღნიშნულ პერიოდში თითქმის 128%-ით), ეს ასევე ეხება მიკროსაწარმოებს (მათმა ზრდამ უკანასკნელ პერიოდში შეადგინა 132%);

-თუმცა საშუალო ზომის საწარმოების რაოდენობა 2020-2023 წლებში წლებში თითქმის ნახევარით შემცირდა;

- მცირე ბიზნესში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა გაიზარდა, მათ შორის მიკროსაწარმოში დასაქმებულთა რაოდენობაც; ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა რომლებიც დასაქმებული არიან საშუალო ბიზნესში, მთელი ამ წლების განმავლობაში შემცირდა. მცირე და საშუალო საწარმოებში ამჟამად დასაქმებულია დაახლოებით დასაქმებულთა 25%.

- გაიზარდა მცირე ბიზნესის ბრუნვაც;

ამავდროულად, საშუალო საწარმოების ბრუნვა შემცირდა განსახილველ პერიოდში;

- მცირე და საშუალო საწარმოების წილი საწარმოთა ბრუნვაში ზოგადად ქვეყნის მასშტაბით თანდათან მცირდება.

- მცირდება მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო პოტენციალი; ინვესტიციების მოცულობა საშუალო საწარმოების ძირითად კაპიტალში 50%-ზე მეტით შემცირდა; ინვესტიცია მცირე საწარმოების ძირითად კაპიტალში 2021 წლიდან დაეცა. თუ განვიხილავთ მთლიანობაში, ამჟამად მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან ჩვენი კომერციული საწარმოების 95%-ს.

მათი წვლილი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ეკონომიკაში არის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 1/5. (შედარებისთვის: აშშ-ში წილი მცირე ბიზნესი მშპ შეადგენს 50-52%, იტალია ახლოსაა 60%, ესპანეთსა და ნორვეგიაში 65-75%-ს აღწევს ზოგადად ევროკავშირის მცირე ბიზნესის საწარმოები მთლიანი რაოდენობის 90%-ს შეადგენს [13; 21]). უფრო მეტიც, თუ მცირე ბიზნესის საწარმოები ძირითადად კონცენტრირებულია ვაჭრობის სფეროებში, მოსახლეობისთვის სხვადასხვა სერვისის მიწოდებისთვის, საშუალო ბიზნესი წარმოდგენილია ისეთ სფეროებში სადაც უფრო მაღალია დამატებითი ღირებულება [16].

ამავდროულად, მცირე და საშუალო ბიზნესის წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად დაბალია (ეს საწარმოები მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 5-6%-ს შეადგენს ძირითადი საშუალებების მოცულობა და ინვესტიციების მოცულობის 6-7%. ძირითად კაპიტალში მთლიანად ქვეყანაში და ასეთი მეწარმეობა ძირითადად მოიცავს მიკროსაწარმოები 62,6%-ს შეადგენენ მცირე და საშუალო ბიზნესი და ინდივიდუალური მეწარმეები- 32.9%, შესაბამისად), როგორ ყველაზე არა მხოლოდ ეკონომიკურად განვითარებული, არამედ განვითარებადი ქვეყნები.

**დასკვნა**

ამრიგად, მცირე ბიზნესის განვითარებაში გარკვეული წარმატების მიუხედავად, შეიძლება ითქვას სერიოზული პრობლემები არსებობს საწარმოთა საქმიანობაში, რომლებიც კლასიფიცირდება ძირითადად, როგორც საშუალო ბიზნესი.

პირველ რიგში, ასეთი საწარმოების რაოდენობა დიდი არაა (შესაბამისად 2022 წელს მათ მცირე საწარმოთა 0,65% შეადგინეს. ხოლო მცირე და საშუალო სუბიექტების მთლიანი რაოდენობის - 0.2%).

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს მთელი რიგი ზოგადი პუნქტები ნეგატიური ბუნება, რომელიც დამახასიათებელია მცირე და საშუალო ბიზნესისათვის: საწარმოთა ბრუნვის წილის შემცირება როგორც მცირე, ისე საშუალო ბიზნესისათვის (თუმცა მცირე ბიზნესისთვის ეს კლება არც ისე მნიშვნელოვანია); ინვესტიციების შემოდინების შემცირება მცირე და საშუალო ბიზნესში; დაბალია ინოვაციური საქმიანობა მცირე და საშუალო საწარმოების დონეზე; ასევე არათანაბარია განვითარება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა ქვეყნის ტერიტორიაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Боробов Д.В. Эволюция, проблемы и перспективы развития малого предпринимательства в России // Современная наука: актуальные проблемы теории и практики. Серия «Экономика и право». – 2012. – №8-9 [электронный ресурс] //URL: http: //www.nauteh-journal.ru/index.php/ru/---ep12-08/613a
2. Вайпан В.А. Основы правового регулирования деятельности субъектов малого и среднего предпринимательства //Право и экономика. – 2015. – №12. – С.4-19.
3. Ершова И.В. Дефиниция субъекта малого и среднего предпринимательства: законодательные, статистические, доктринальные подходы //Актуальные проблемы российского права.2013. №9. С.1130-1138.
4. Леликова Н.А., Конвисарова Е.В. Зарубежный опыт налогообложения малого бизнеса //Успехи современного естествознания. – 2014. – №12-2. – С.127-129.
5. Малое и среднее предпринимательство: правовое обеспечение /Л.В.Андреева, Т.А.Андронова, Н.Г.Апресова и др.; ответственный редактор: И.В.Ершова. Монография. – М.: Издательство «Юриспруденция», 2014. – 460 с.
6. Организация экономического сотрудничества и развития [электронный ресурс] //URL: http: //www. oecd.org

7. Райзберг Б.А., Лозовский Л.Ш., Стародубцева Е.Б. Современный экономический словарь. 2-е издание, исправленное. М.: Издательство «ИНФРА-М», 1999. 479 с.
8. Рекомендации Еврокомиссии об определении микро-, малых и средних предприятий 2003/361/ЕС [электронный ресурс] //URL: http: //base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?base=NT;n=54727;req=d oc
9. Романенко Е.В. Сектор малого предпринимательства:особенности формирования взаимосвязей // Российское предпринимательство. – 2010. – №7. – Выпуск 1 (162). – С.11-16.

**Small and medium business management criteria**

***Tamar Rostiashvili, associate professor***
***Georgian Technical University***

***Salome Podiashvili, Master's student***
***Georgian Technical University***

***Asmat Fifia, Doctor of Business Administration***
***Georgian Technical University***

**Summary**

There are additional conditions for various organizational-legal forms, according to which they are assigned to small and medium-sized businesses. In particular, the so-called independence criterion has been introduced for small and medium-sized enterprises. The purpose of which is to ensure their independence, first of all, from big business.

The paper presents the restrictions included in the amendments to the current legislation on small and medium-sized enterprises, which most accurately reflect the situation in the analyzed area.

Here are the criteria for classifying an enterprise as a small and medium-sized business determined by the European Commission. There are no unified criteria for the classification of small and medium-sized businesses abroad. However, according to the statute of the International Organization for Economic Cooperation, specific criteria are used, which are presented in the article.

Determining the quantitative criteria for classifying enterprises as small and medium-sized businesses causes debate within the expert community. For example, some experts believe that innovative activities can lead to a sharp increase in labor productivity.

Based on the results of statistical observation of activities of small and medium-sized business entities, it was concluded that in recent years, small businesses were created in the organizational-legal form of limited liability.

As for the place and role of small and medium-sized businesses in the market economy, they are determined by the range of functions of small and medium-sized enterprises, both economic and other (social, political) in nature. A number of integrative functions of entrepreneurship are distinguished in the work. A number of political functions of entrepreneurship are also distinguished.

An assessment of the dynamics of the main indicators of small and medium-sized businesses is given.

Key words: small and business, utility function, productivity, capital, authorized capital, innovation, criterion.

# მცირე და საშუალო ბიზნესის როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკაში

*მაია სოსელია, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*დავით ფოდიაშვილი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატიაში განსაზღვრულია მცირე და საშუალო ბიზნესის ცნებები, რომლებიც დაფუძნებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. დაზუსტებულია მცირე და საშუალო ბიზნესის მახასიათებლები. მოტანილია ავტორების მოსაზრება მცირე და საშუალო ბიზ-ნესის განმარტებასთან დაკავშირებით. რიგი ავტორები აყალიბებენ განსხვავებულ მიდგომებს მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრის მიმართ. კერძოდ, გამოიყოფა განმარტებები, რომლებიც ეფუძნება მცირე და საშუალო მეწარმეობის რო-გორც ეკონომიკის სექტორის განხილვას, რომელიც მასში გარკვეულ ნიშას იკავებს. ეს მიდგომა ძალიან ევრისტიკულია მცირე და საშუალო მეწარმეობის ფუნქციების გამოსავლენად ქვეყნის ეკონომიკაში.

შემოთავაზებულია ხარისხობრივი კრიტერი-უმები, რომლებიც განასხვავებენ მცირე ბიზნესს საშუალო ბიზნესისაგან ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ დიდი საწარმოებისაგან. წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების არსებითი მახასიათებლები, მცირე და საშუალო ბიზნესის იდენტიფიცირების კრიტერიუმები.

კერძოდ, მცირე მეწარმეობის ფუნქციონირების მექანიზმსა და სტრუქტურაში ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირების გამოყოფას ეხება მისი როგორც სამეურნეო სისტემის განსაზღვრება.

აღნიშნულია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი - ეს მცირე და საშუალო მეწარმეობაა, რომელიც დაფუძნებულია მცირე და საშუალო საწარმოს საქმიანობაზე, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეების საქმიანობის ჩათვლით. თავის მხრივ, მცირე და საშუალო საწარმოები შედის მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბიექტების ცნებაში, რომელშიც მოიაზრება სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები, რომლებიც შეესაბამება დადგენილი შესაბამისი კანონმდებლობის კრიტერიუმებს, მათი მცირე და საშუალო საწარმოებად კლასიფიკაციის კატეგორიაში.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, საშუალო ბიზნესი, მცირე და საშუალო მეწარმეობა, კრიტერიუმები, კერძო მეწარმეები, მენეჯერები, სტატისტიკური აღრიცხვის ობიექტი.

**შესავალი**

ბიზნესის ფორმები და ტიპები შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა მიზეზის გამო. ერთ-ერთ ასეთ მიზეზად განიხილება რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს ბიზნესის მასშტაბს (დასაქმებულთა რაოდენობა, მიღებული შემოსავლის დონე და ა.შ.), რის მიხედვითაც განასხვავებენ დიდ, საშუალო და მცირე ბიზნესის სახეობებს. სამეცნიერო, სასწავლო ლიტერატურაში, მარეგულირებელ სამართლებრივი აქტების ტექტებში ხშირად იყენებენ ცნებებს "მცირე ბიზნესი" და "მცირე მეწარმეობა" (და, შესაბამისად, „საშუალო ბიზნესი“ და „საშუალო მეწარმეობა"). ზოგიერთი ავტორი თვლის რომ ამ ცნებებს შორის არის განსხვავებები. მაგალითად, მ.ვ. კოჩანოვსკი მცირე ბიზნესს განმარტავს, როგორც ეკონომიკურ საქმიანობას მცირე საწარმოებში, რომელსაც მოაქვს მოგება. ხოლო მცირე მეწარმეობას განიხილავს მცირე ბიზნესად, რომლის მთავარ სუბიექტად გამოდის მეწარმე. როგორც ჩანს, ამ მიდგომით განსხვავებები გაანალიზებულ ცნებებს შორის არ ჩანს. ამავე დროს, საკვლევ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურისა და ტექსტების ანალიზმა აჩვენა, რომ ფუნდამენტური განსხვავებები ამ ცნებებს შორის არ არსებობს, ამიტომ სწორი იქნებოდა მათი სინონიმებად მიჩნევა.

კერძოდ, „თანამედროვე ეკონომიკურ ლექსი-კონში“ ეს ძალიან ნათლად არის მითითებული: „მცირე ბიზნესი – არის ბიზნესი, განხორციელებული მცირე ფორმებში, რომელიც ეყრდნობა კერძო მეწარმეების, მცირე ფირმების, მცირე საწარმოების სამეწარმეო საქმიანობას.

ტერმინი „მცირე ბიზნესი“ (მსგავსად „საშუალო ბიზნესისა“) ნასესხებია უცხოური პრაქტიკიდან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებები

"მცირე ბიზნესის" და "მცირე მეწარმეობის" ცნებებს შორის არ არსებობს და (შესაბამისად, „საშუალო ბიზნესი" და „საშუალო საწარმო" მეწარმეობა") არ არსებობს, ამიტომ ამ კვლევაში ისინი გამოყენებული იქნება სინონიმებად.

**ძირითადი ნაწილი**

რიგი ავტორები აყალიბებენ განსხვავებულ მიდგომებს მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრის მიმართ. კერძოდ, გამოიყოფა განმარტებები, რომლებიც ეფუძნება მცირე და საშუალო მეწარმეობის როგორც ეკონომიკის სექტორის განხილვას, რომელიც მასში გარკვეულ ნიშას იკავებს. ეს მიდგომა ძალიან ევრისტიკულია მცირე და საშუალო მეწარმეობის ფუნქციების გამოსავლენად ქვეყნის ეკონომიკაში.

მცირე მეწარმეობის ფუნქციონირების მექანიზმსა და სტრუქტურაში ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირების გამოყოფას ეხება მისი როგორც სამეურნეო სისტემის განსაზღვრება. როგორც ჩანს, ჩამოთვლილი მცირე და საშუალო მეწარმეობის ცნებების განსაზღვრის მიდგომები დამოკიდებულია კვლევის მიზნებზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის იდენტიფიცირების მრავალი კრიტერიუმი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განიხილება ეს მოვლენები: როგორც გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, სტატისტიკური აღრიცხვის ობიექტი ან როგორც სახელმწიფო ზემოქმედების ობიექტი (მაგალითად, სახელმწიფო მხარდაჭერის, დაბეგვრის ობიექტი და ა.შ.). თუმცა, ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის არსებითი ნიშნები, პირველ რიგში, დაკავშირებულია მეწარმეობის მასშტაბის რაოდენობრივ შეფასებასთან. ამავე დროს, ჩნდება ასეთი რაოდენობრივი შეფასების დასაბუთების საკითხი, და ამ მიზნებისათვის გამოიყენება სტატისტიკური მონაცემები, მონიტორინგული კვლევები, უცხოური გამოცდილება. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ასეთი რაოდენობრივი დაყოფის პირობითობა.

ზოგიერთ ავტორთა მიერ შემოთავაზებული ხარისხობრივი კრიტერიუმები რომლებიც განასხვავებენ მცირე ბიზნესს საშუალო ბიზნესისაგან ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ დიდი საწარმოებისაგან, ბევრ კითხვას აჩენს. ამრიგად, შემოთავაზებულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოების ხარისხობრივ კრიტერიუმებს მივაკუთვნოთ შემდეგი: ქონებრივი უფლებების ერთიანობა და უშუალოდ საწარმოს მართვა; მცირე საწარმოს გამჭვირვალეობა, რომლის მასშტაბები მფლობელს საშუალებას აძლევს პრაქტიკულად იცოდნენ ყველაფერი, რაც მასში ხდება; მეწარმესა და პარტნიორებს შორის ურთიერთობის პერსონალიზებული ხასიათი, როგორებიც არიან - რესურსების მომწოდებლები და მზა პროდუქციის მყიდველები. ასევე არაფორმალური, პირადული სახის ურთიერთობის ხასიათი თითოეულ დაქირავებულ თანამშრომელთან მიმართებაში და სხვა. ჩამოთვლილ ნიშნებს რთულია ეწოდოს სპეციალურად მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისათვის: მათი უმეტესობა, უფრო ეხება მცირე ჯგუფებს (მაგ. ურთიერთობის პერსონალიზებული ხასიათი), დანარჩენი კი -არ წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განმასხვავებელ ნიშნებს. მაგალითად, მცირე და განსაკუთრებით საშუალო ბიზნესის მფლობელს შეუძლია თავისი ბიზნესის მართვა დაქირავებული მენეჯერების დახმარებით და ამავე დროს მისი იურიდიული სტატუსი, როგორც პატარა ან საშუალო ბიზნესისა არ შეიცვლება. ანალოგიური სიტუაციაა მცირე ან საშუალო ბიზნესში ურთიერთობის პერსონიფიკაციასთან დაკავშირებით. ასეთი ურთიერთობების არარსებობამ შეიძლება არანაირი გავლენა არ მოახდინოს მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრაზე.

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება კანონმდებლობაში წარმოდგენილია მისი სუბიექტების კატეგორიების მეშვეობით, რაც, ჩვენი აზრით, არ არის სრულიად სწორი, რადგან ის განსაზღვრავს კატეგორიებს ბიზნეს სუბიექტი და თავად სამეწარმეო ბიზნეს აქტივობა, როგორც სოციალურ ფენომენს. ამდენად, კანონში „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესახებ " არსებით მახასიათებლებს შორის, რომლითაც კლასიფიცირდება მცირე და საშუალო ბიზნესი, ხაზგასმულია შემდეგი:

- სამეურნეო საქმიანობის წარმართვა (ამავდროულად სამეურნეო სუბიექტის იურიდიული სტატუსი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული პირი, ასევე ინდივიდუალური მეწარმე, ხოლო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, ეს შეიძლება იყოს სამეურნეო საზოგადოება, პარტნიორობები, სამრეწველო კოოპერატივები, სოფლის მეურნეობის მომხმარებელი კოოპერატივები, გლეხური მეურნეობები / ფერმები და ინდივიდუალური მეწარმეები);

- მცირე (მათ შორის მიკრო საწარმოებთან) და საშუალო საწარმოებთან მიკუთვნება.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მცირე და საშუალო მეწარმეობად შეიძლება კლასიფიცირდეს

როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული ორგანიზაციები (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერატივები), თუმცა არაკომერციული ორგანიზაციების კლასიფიკაცია მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ დისკუსიას იწვევს. ამრიგად, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ეს ეწინააღმდეგება არაკომერციული ორგანიზაციების არსს, რამდენადაც ხდება მათი სამეწარმეო საქმიანობის ფუნქციით განხილვა, რომლის მიზანია მოგების ამოღება [9, გვ.21], სხვა ავტორები, პირიქით, ხედავენ მთავრობის მხარდაჭერის საჭიროებას ასეთი ტიპის ორგანიზაციებისადმი და არ გამორიცხავენ სხვა ტიპის არაკომერციული ორგანიზაციების მიკუთვნების შესაძლებლობას (მაგალითად, ინოვაციური საქმიანობით დაკავებულების) მცირე და საშუალო ბიზნესისადმი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომერციულ ორგანიზაციებში კანონმდებლის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ სახელმწიფო და მუნიციპალური უნიტარული საწარმოები არ შედის. გარდა ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესის სტრუქტურულ-ორგანიზაციულ საფუძველს ქმნიან ფაქტობრივად, მცირე და საშუალო საწარმოები. ამიტომ, პატარა და საშუალო ზომის საწარმოები, პირველ რიგში, ვლინდება მცირე და საშუალო საწარმოს საქმიანობით (აქ „საწარმოს“ ცნება გამოიყენება ფართო ინტერპრეტაციით, როგორც ბიზნესში გამოყენებული ქონებრივი კომპლექსი), დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტების, საქონლის მწარმოებელი, მიმწოდებელი სუბიექტების მომსახურებით, რომლებიც ეწევიან სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობას.

## დასკვნა

ამრიგად მცირე და საშუალო ბიზნესი - ეს მცირე და საშუალო მეწარმეობაა, რომელიც დაფუძნებულია მცირე და საშუალო საწარმოს საქმიანობაზე, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეების საქმიანობის ჩათვლით. თავის მხრივ, მცირე და საშუალო საწარმოები შედის მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბიექტების ცნებაში, რომელშიც მოიაზრება სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები, რომლებიც შეესაბამება დადგენილი შესაბამისი კანონმდებლობის კრიტერიუმებს, მათი მცირე და საშუალო საწარმოებად კლასიფიკაციის კატეგორიაში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Боробов Д.В. Эволюция, проблемы и перспективы развития малого предпринимательства в России // Современная наука: актуальные проблемы теории и практики. Серия «Экономика и право». – 2012. – №8-9 [электронный ресурс] //URL: http: //www.nauteh-journal.ru/index.php/ru/---ep12-08/613a
2. Вайпан В.А. Основы правового регулирования деятельности субъектов малого и среднего предпринимательства //Право и экономика. – 2015. – №12. – С.4-19.
3. Костыкова М.Ю. Особенности идентификации малого бизнеса как объекта банковского кредитования [электронный ресурс] //URL: http: //www.sworld.com.ua/index.php/uk/economy-112/financial-cashflow-and-credit-112/12545 112-501
4. Леликова Н.А., Конвисарова Е.В. Зарубежный опыт налогообложения малого бизнеса //Успехи современного естествознания. – 2014. – №12-2. – С.127-129.
5. Проект Стратегии развития малого и среднего предпринимательства на период до 2030-го года [электронный ресурс] //URL: http: //economy.gov.ru/wps/wcm/connect/29769081-8256-4eed-b0ffdc97be2dfd17

**The role and importance of small and medium-sized businesses in the market economy**

*Maya Soselia, associate professor*
*Georgian Technical University*

*Davit Fodiashvili, associate professor*
*Georgian Technical University*

*Asmat Pipia, Doctor of Business Administration*
*Georgian Technical University*

**Summary**

The article defines the concepts of small and medium business based on quantitative indicators of small and medium entrepreneurship. The characteristics of small and medium businesses are clarified. The opinion of the authors regarding the definition of small and medium business is presented. A number of authors develop different approaches to the definition of small and medium-sized businesses. In particular, definitions based on consideration of small and medium entrepreneurship as a sector of the economy, which occupies a certain niche in it, will be distinguished. This approach is very heuristic to identify the functions of small and medium entrepreneurship in the country's economy.

Qualitative criteria are proposed that distinguish small businesses from medium-sized businesses on the one hand, and from large enterprises on the other. The essential characteristics of the development of small and medium-sized businesses, the criteria for identifying small and medium-sized businesses are presented.

In particular, the definition of it as an economic system refers to the separation of horizontal and vertical connections in the functioning mechanism and structure of small business.

It is noted that small and medium business is small and medium entrepreneurship, which is based on the activities of small and medium enterprises, including the activities of individual entrepreneurs. On the other hand, small and medium-sized enterprises are included in the concept of small and medium-sized entrepreneurship entities, which includes entrepreneurial activity entities of various organizational and legal forms, which comply with the criteria of the established relevant legislation, in the category of classifying them as small and medium-sized enterprises.

Key words: small business, medium business, small and medium entrepreneurship, criteria, private entrepreneurs, managers, object of statistical registration.

# ტურიზმი როგორც ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი

*ბაკურ ქრისტესიაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**აბსტრაქტი**

ტურიზმი და ინვესტიცია დღეს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის პირობებში ორი ურთიერთმოთხოვნადი მოცემულობაა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება არსებობს. თუ ტურიზმის სფერო ითხოვს ინვესტიციებს ეს სრულიად კანონზომიერია, რამდენადაც ინვესტიცია მთლიანად ეკონომიკის განვითარების, მთლიანად საზოგადოების და მისი თვითოეული წევრის კეთილდღეობის ამაღლების წინაპირობად ყალიბდება. ამიტომაც ფაქტია, რომ თვისობრივად სრულიად ახალი მოთხოვნების ფონზე ეკონომიკა შინაგანად ითხოვს მთლიანად ტურიზმის ინდუსტრიის ახალებურად წაკითხვას.

ტურიზმის თანამედროვე მოცემულობა ეკონომიკის განვითარების შედეგია, და შემდეგში თვით ეს შედეგი სრულიად ახალი სახის მოთხოვნების, დათქმების და პირობების წარმოშობის პროვოცირებას ახდენს. ამ დროს კი სრულად მოქმედებს ტურიზმის სფეროს უკუგების ეფექტის გაცნობიერების მოთხოვნა - ბიზნესის მთავარი ორიენტირი, და მთავარი - ტურიზმის მულტიპლიკატორის ეფექტის ფონზე ფისკალური პოლიტიკის რეალიზაციის მოთხოვნა. აღნიშნული რეალობა ყველა ცივილური ეკონომიკის ქვეყნებისთვის ერთ-ერთ არსებით ორიენტირად ჩამოყალიბდა. აღნიშნული რეალობა მწვავედ დგას და ძალზედ მგრძნობიერად აღიქმება ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების ფონზე ტურიზმის სფეროში ინვესტირების წარმატება ურთიერთობის ყველა დონეზე შინაგანად ითხოვს რიგი საკითხების არა თუ ახლებურად წაკითხვა და აღქმას, არამედ თითქოს-და მარტივი საკითხის ტურისტული იმიჯის, როგორც უხილავიმექანიზმის სიღრმისეულ გააზრებას.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული სექტორი, ტურისტული იმიჯი, ჩრდილოვანი ექსპორტი, საინვესტიციო მიმზიდველობა, მარკეტინგზე გაწეული დანახარჯები.

**შესავალი**

ტურიზმი როგორც ინდუსტრია მრავალფეროვანია. ტურისტული ინდუსტრია კვებავს ქვეყნის ეკონომიკას, ასტიმულირებს განვითარების პროცესს და აღადგენს კულტურულ მემკვიდრეობას. ეს ინდუსტრია სარგებლობს დიდი უპირატესობით სხვა ინდუსტრიებთან შედარებით უნიკალური პროდუქტის ქონაში, რომელიც შეიძლება უნიკალური იყოს  და განსხვავდებოდეს ყველა სხვა ქვეყნისგან.

მაგალითად, გოა, სეიშელის კუნძულები ცნობილია თავისი მზიანი პლაჟებითა და კოლონიური ხიბლით, სასახლეებით, რომლებიც სამეფო ეპოქის შეხსენებაა.

მსოფლიოში  1960-იან წლებში დიდი აქცენტი გაკეთდა ტურიზმზე, როგორც სავალუტო შემოდინებების ერთერთ მნიშვნელოვან წყაროზე. ტურიზმი არის ერთადერთი ინდუსტრია, რომელიც იღებს უცხოურ ვალუტას ქვეყნისთვის ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და რაიმე მატერიალური საქონლის ექსპორტის გარეშე. შესაბამისად მას ხშირად ჩრდილოვან ექსპორტადაც კი მოიხსენიებენ.  რიგ ქვეყნებში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი უფრო მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე საქონლის ექსპორტი.

**ძირითადი ნაწილი**

**ტურიზმი და ზოგადად ეკონომიკა**

21 საუკუნის ტენდენციაა რომ ახლა უფრო მდიდარი და განვითარებული ქვეყნებიდან ადამიანები (რადგან მათი მშპ ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალია) მოგზაურობენ არცთუ ისე მდიდარ და განვითარებად ქვეყნებში, რაც ზრდის ამ უკანასკნელის ექსპორტის შემოსავალს და ეკონომიკური ზრდის ტემპს.

მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ინდოეთი,ესპანეთი, საქართველო ტურიზმი არის უცხოური ვალუტის ყველაზე დიდი შემომტანი. ოფიციალური ესპანური წყაროების მიხედვით, 2022 წელს ესპანეთში უფრო მეტი ვიზიტორი იყო (70 მილიონი), ვიდრე ქვეყნის რეალური მოსახლეობა (47.4 მილიონი). ანალოგიური ვითარებაა საქართველოში როდესაც 2019 წელს 9 მილიონზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა ჩვენს ქვეყანას ხოლო საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 3,7 მილიონი ადამიანია. ამრიგად, ტურიზმი არის შემოსავლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო მრავალი ქვეყნისთვის.

საქართველოს ტურიზმის მიმზიდველობის

უზრუნველყოფის პოპულარიზაციის მიზნით 12 მილიონი ლარის დანახარჯის გაწერილი გეგმა ქვეყნის საერთაშორისო მარკეტინგის, ონლაინ და ბეჭდური რეკლამის და ა.შ. სხვა ხარჯებს მოიცავს. ერთის შეხედვით ეს ძალიან მისაღები უნდა იყოს, მაგრამ ეს მარკეტინგული ხარჯები, როგორც საერთო ისე მუხლობრივი სახე ჩემის აზრით ვერანაირად ვერ წარმოაჩენს საკითხის ეფექტიანად გადაწყვეტის სარწმუნო და დამაჯერებელ გზას და თუ სიღრმისეულად ჩავწვდებით საკითხის არსს, აღმოჩნდება რომ ჩვენის აზრით ტურიზმის ეროვნული სააგენტო დაინტერესებულია ხარჯების ე.წ. მოცულობითი ნიშნულით, და არა თვით ხარჯების სტრუქტურული დინამიკაზე ორიენტაციით და რაც მთავარია უკუეფექტის ნიშნულის გარკვევით.

ამ პოზიციის მართებულობას ჩვენ შევეცდებით მთელი რიგი გათვლებით; კერძოდ თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ ამოცანის მიზანი: თუ გვაინტერესებს იმიჯის რეალური სახის დანახვა და სრულყოფილად შეცნობა, ანუ მთლი-ანობაში დადებითი და ცნობადი იმიჯის საკითხი გააზრება, უთუოდ უნდა გამოვიყენოთ შედარებითი მაჩვენებლები და შევაფასოთ საქართველოს მარკეტინგული ეფექტიანობა. ამ მიზნით მოვიყვანთ 2022 წლის მდგომარეობით საქართველოს მარკეტინგული ეფექტიანობის შეფასების ცხრილს. (იხ. ცხრილი N1) ამ ცხრილის გაანალიზებით აღმოჩნდება, რომ ფულადი შემოსავლები სერიოზულად აღემატება ტერიტორიის მარკეტზე გაწეული ხარჯებს, და ეს ოპონენტმა შესაძლოა წარმატების ყველაზე შედეგობრივ მხარედ აღიაროს; მაგრამ თუ შინაარსობრივად გავაანალიზებთ შექმნილ რეალობას, მაშინ ვნახავთ რომ ტურისტული მიმზიდველობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ცნობადობის საჭირო დონეს, როცა ეს შესაბამება რეგიონში ისეთი „ტურისტული მონსტრის“ როგორიც არის თურქეთი მეზობლად ყოფნას და მდგარ რეალობას; ანალოგიურად დგას საკითხი კონკურენტუნარიანობის მიმართ - აქაც ძალზე ბევრი ფარული რეზერვები გვაქვს და მათ სისტემური მიდგომა სჭირდება.

ცხრილი N 1 საქართველოს მარკეტინგული ეფექტიანობის შეფასება 2022 წლის მდგომარეობით

ინფრასტრუქტურული ობიექტების განვითარება და გაუმჯობესება, ტურიზმიდან დაგენერირებული თანხის გარდა ინდუსტრიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა.

ინფრასტრუქტურული ობიექტები, როგორიცაა: აეროპორტები, გზები, რკინიგზა, წყალმომარაგება და სხვა ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის სხვა სექტორებშიც.

ტურიზმი ერთგვარად ხელს უწყობს „ბუსტავს“ ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფუნქციების განვითარებასაც. ამრიგად ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სარგებელს ანიჭებს ქვეყნის მოსახლეობას რომლითაც ისინი სხვაგვარად ვერ ისარგებლებდნენ.

გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის განვითარებამ რომელიც უპირველესად გამოიწვია ტურისტულმა სექტორმა შეიძლება შექმნას საფუძველი სხვა ეკონომიკური სექტორების მდგრადი განვითარების. შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ისეთი ინდუსტრიები, რომელიც არ ემსახურებოდეს ტურიზმის საჭიროებებს. ამრიგად, ირიბად, ტურიზმიდან დაგენერირებულმა თანხებმა, შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის სხვა ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირება.

ცალკე აღნიშვნის საგანია რომ, ტურიზმის განვითარება დიდი სარგებლის მომტანია ქვეყნის განუვითარებელ რეგიონებისთვისაც.

ამ ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებს ძირითადად აქვთ ძალიან ლამაზი ადგილები, რომლებიც თუ განვითარდება ტურისტული ინდუსტრიისთვის, პირდაპირ ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობას კეთილდღეობის ამაღლებას. ტურისტების მიერ დახარჯული ფული ამ რეგიონებში ხელს უწობს უცხოურ და ადგილობრივ ბიზნესებს კერძო ინვესტიცია განახორციელონ აღნიშნულ მხარეებში.

ადრე ბევრი ჩამორჩენილი ტერიტორია იყო, მაგრამ ტურიზმის განვითარების გამო ამ ადგილებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. მაგალითად, სვანეთი 1990 წლებში ითვლებოდა შორეულ და უცნობ პატარა რეგიონად, რომელიც ძირითად ქართველების გარდა არავინ იცოდა და არავინ საუბრობდა, მაგრამ დღეს ის საერთაშორისოდ ცნობილი ტურისტული ადგილია, მასზედ წერენ ისეთი ცნობილი ჟურნალები და გაზეთები როგორიცაა New York Times, Guardian და სხვები.

ტურიზმის განვითარების გარეშე უშგული დღემდე შორეულ და უცნობ თემად დარჩებოდა.

ამ ყველაფრის შედეგად სვანეთში მაგალითად შეიქმნა ასობით სამუშაო ადგილი, სასტუმროებში, რესტორნებში, ტურისტულ სააგენტოებში, ხელნაკეთი ნივთების მაღაზიებში და ა.შ.

ტურიზმის ინდუსტრია ეკონომიკის ის დარგია სადაც საქართველოს 10 პროცენტზე მეტი დასაქმებულია. ის არის მაღალკვალიფიციური,

ნახევრად კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშაკებისთვისაც თავსებადი. სასტუმროში ერთი დამატებითი ნომერი ეხმარება მინიმუმ 1 ადამიანს სამუშაოს მიღებაში.

**დასკვნა**

საბოლოოდ ტურიზმი ძირითადად კულტურულ ფენომენად რჩება. ტურიზმი ყოველთვის უნიკალური საშუალებაა კულტურული პოპულარიზაციისთვის. წარსულში მოგზაურობა ძირითად ეფუძნებოდა კულტურულ ინტერესებს.

დღესაც უამრავი ადამიანი მიემგზავრება უცხო ქვეყნებში მათი კულტურისა და ტრადიციების გასაცნობად. ტურიზმი ინარჩუნებს გარემოს, ხელს უშლის ფართომასშტაბიანი ინდუსტრიალიზაციას იმ ადგილებში, სადაც ბუნებრივი სილამაზე ხელუხლებელი უნდა დარჩეს. ამრიგად, ის ეხმარება ქვეყანას აღადგინოს უძველესი ძეგლები და არქეოლოგიური საგანძური. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობას, რომლებსაც აქვთ უძველესი ცივილიზაცია, შეუძლიათ დიდად ისარგებლონ ტურიზმისგან.

ამ ქვეყნებში ჩამოსულ ტურისტებს დიდი სურვილი აქვთ გაეცნონ უძველეს ცივილიზაციებს. კულტურული ნაკეთობების, აქსესუარების შეძენის და ასევე კულინარიული კერძების დაგემოვნების შედეგად რომელიც ნებისმიერი ტურისტული მარშრუტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ყალიბდება ტურისტისთვის ხალხის შესახებ დადებითი იმიჯი რომელსაც ქვეყნის სუვერენიტეტის და ერის ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი ენიჭება.

ტურიზმმა ასევე ახალი სიცოცხლე შესძინა ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს, კოსტიუმებს, ფესტივალებსა და ცეკვებს. ტურიზმს შეუძლია ერისთვის უნიკალური სარგებელი შეიტანოს მისი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლით და შეიძლება ირიბად ემსახურებოდეს როგორც ეროვნული, ისე უცხოელი ტურისტების ინდივიდუალური კულტურული დონის გაუმჯობესებას.

ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო კეთილგანწყობის შექმნაში. ეს ამაღლებს სხვა ქვეყნების კულტურების, ტრადიციების ცნობიერებას და შესაძლებელს ხდის ხალხთაშორის კულტურის გაზიარებას.

**ლიტერატურა:**


1. "გამომყევი აჭარაში" - როგორ მიდის სეზონი? https://bm.ge/en/news/gamomyevi-acharashi---rogor-midis-sezoni/42831
2. ჩარლზ რ. გელდნერი ჯ.რ ბრენტ რითჩი. ტურიზმი, საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია. მეთორმეტე გამოცემა. თბილისი, 2013.


**Tourism as a tool of economic development**


***Bakur Christosiashvili, PhD student***
***Georgian Technical University***


**Summary**


Tourism and investment are two mutually demanding conditions in the modern world economy, and there is a cause-effect relationship between them. If tourism requires investments, it is completely okay, as long as the investment is a prerequisite for the development of the economy, the welfare of the society as a whole and its individual members. That is why, it is a fact that there are completely new requirements, and the economy internally demands a new understanding of the tourism industry as a whole.

The modern situation of tourism is a result of the development of the economy, and then this result itself pro-

vokes the emergence of completely new types of requirements and conditions. At this time, the requirement to realize the return effect of the tourism sector is fully effective - the main focus of business, and the main requirement - the requirement to realize the fiscal policy of the multiplier effect of tourism. This reality has become one of the main goal for all developed economies. This is quite a challenge and is very cautiously perceived in Georgia. The background of Georgia's economic opportunities, the success of investing in the field of tourism at all levels of the relationship internally requires not only a new understanding and perception of a number of issues, but also an in-depth understanding of the simple issue of the tourist image as an invisible mechanism.

As an industry the impacts of tourism are numerous. The tourism industry nourishes a country's economy, stimulates the development process and restores the cultural heritage. This industry enjoys a major advantage over other industries of having a unique product that might differ from state to state.

For example, Goa and seychelles island are renowned for its sunny beaches and colonial charms, palaces that are reminders of the Kingdom Era. During the 1960s great emphasis was placed on tourism as a source of foreign exchange-earners. Tourism is the one industry that earns foreign exchange for a country without exploiting natural resources and without actually exporting any material goods. The income from tourism has tended to increase at a higher rate than merchandise export in a number of countries.

Key words: Tourism sector, Tourism image, Shadow export, Investment attractiveness, Marketing expenses.

# შრომის მწარმოებლურობის ტრანსფორმირება სხვადასხვა სექტორში, ხელოვნური ინტელექტის რევოლუციის საფუძველზე

*გურამ ლომაია, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*დემნა კვარაცხელია, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

შრომის მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პროცესების საყრდენია. მყარი ეკონომიკური პროგრესის მისაღწევად, შრომის მწარმოებლურობის ტექნოლოგიური განვითარების გაგება და გამოყენება ბიზნეს ლიდერებისთვის, სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის, ცალკეული ინდივიდებისთვის აუცილებელია. მისი საშუალებით მიიღწევა საზოგადოების ცხოვრების დონის ხარისხის გაუმჯობესება. ამავდროულად, შრომის მწარმოებლურობის ტექნოლოგიური განვითარება ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელია. ვინაიდან, ადამიანური რესურსები ტექნოლოგიური შესაძლებლობების საფუძველზე მიიღებენ მეტ გამოშვებულ პროდუქციას. ამ ფაქტორით მიიღება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ცხოვრების მაღალ დონეს და გაუმჯობესებულ ეკონომიკურ კეთილდღეობას.

გარდა ამისა, შრომის მწარმოებლურობის ტექნოლოგიურ განვითარებას პირდაპირი და რთული კავშირი აქვს უმუშევრობასთან. კერძოდ, ტექნოლოგიების ათვისებისა და სრულყოფის ფონზე, თანამედროვე ორგანიზაციები ცდილობენ მცირე ადამიანური რესურსების საფუძველზე მეტი ეფექტურობის მიღწევას, რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია უმუშევრობასთან. ამ პრობლემის გასამკლავებლად მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მიზანმიმართული და პერმანენტული განვითარება.

შრომის მწარმოებლურობის ტექნოლოგიური განვითარების ეფექტი არაერთგვაროვანია. კერძოდ, როგორც წესი, სტრუქტურირებული სექტორის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ მუშაკების ხელფასების ზრდას. ხოლო, ამას ვერ ახორციელებენ ნაკლებად განვითარებული ინდუსტრიის წარმომადგენლები, რა დროსაც შესაბამისი შედეგიანობა ვერ მიიღწევა. მაშასადამე, პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა მოაგვარონ შემოსავლების უთანასწორობა ქმედუნარიანი ღონისძიებების განხორციელებით. ზოგადად, მზარდ, ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში შრომის მწარმოებლურობის ტექნოლოგიური განვითარება, გლობალური კონკურენტუნარიანობის კრიტიკული ფაქტორია. მაღალ მწარმოებლური სამუშაო ძალის მქონე ქვეყნებს მეტი შესაძლებლობა აქვთ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რაც უზრუნლველყოფს საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობას.

მოკლედ, შრომის მწარმოებლურობის ტექნოლოგიური განვითარება მუდმივად აუმჯობესებს ეკონომიკურ შედეგიანობას. ვინაიდან, ტექნოლოგიების შემქმნელების მიზანია პროდუქციის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მცირე დროში პროცესების გამარტივებას და ამოცანების ავტომატიზაციას. ამასთან, სხვადასხვა საქმიანი სფეროსთვის მცირე რესურსების გამოყენებით, მაღალ ეფექტიანობას. აქვე, აღსანიშნავია, რომ შრომის მწარმოებლურობის ტექნოლოგიური განვითარება არაა სტატიკური პროცესი, იგი მოითხოვს მუდმივ სრულყოფას, არსებული გამოწვევების გადასალახად.

საკვანძო სიტყვები: შრომის მწარმოებლურობა, ეფექტიანობა, ხელოვნური ინტელექტი, ჩეტბოტები.

## შესავალი

მომავალზე ორიენტირებულ ადამიანურ რესურსებს საშუალება აქვთ თანამედროვე მიჯნაზე შექმნან მყარი ეკონომიკური შედეგი. ამის საფუძველია შრომის მწარმოებლურობის ზრდა, რომლის განვითარებაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხელოვნური ინტელექტი. შესაბამისად, წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია შრომის მწარმოებლურობაზე ხელოვნური ინტელექტის გავლენის პროცესი. ამავდროულად, საუბარია ხელოვნური ინტელექტის დამახასიათებელ თავისებურებებზე, რომელიც ადამიანურ რესურსებზე როგორც დადებით, ასევე გარკვეულწილად უარყოფით გავლენას ახდენს. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტი ზრდის შრომის მწარმოებლურობას, რაც თავის მხრივ გარკვეულწილად ამცირებს სამუშაო ადგილებს, თუმცა მან წარმოშო ახალი მიმართულებებით დასაქმების შესაძლებლობები. ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში განზოგადებუ-

ლია ადამიანური რესურსების მიერ განსახორციელებელი ქმედებები, რომელიც უზრუნველყოფს რთულ და სპეციფიკურ გამოწვევებთან ადაპტირებას.

აგრეთვე, სტატიაში განხილულია ხელოვნური ინტელექტის გავლენა ეკონომიკის სექტორებთან ერთად სხვადასხვა სფეროებში. ვინაიდან, ეკონომიკის მსგავსად სხვა მიმართულებებითაც პრიორიტეტულია შრომის მწარმოებლურობის განვითარება. მაშასადამე, ნაშრომში მოყვანილია სექტორებში მიღებული კონკრეტული ეკონომიკური შედეგები.

**ძირითადი ნაწილი**

დღესდღეობით, შრომის მწარმოებლურობაზე დიდი გავლენა მოახდინა ტექნოლოგიურმა პროგრესმა. შედეგად, დავალებები რომლებსაც ოდესღაც ადამიანები ასრულებდნენ, ახლა უფრო ეფექტურად და ზუსტად შეიძლება შესრულდეს ტექნოლოგიური საშუალებებით. ამან, გამოიწვია შრომის მწარმოებლურობის ზრდა ოპერაციების გამარტივებით, შეცდომების დაშვების შემცირებით და ამოცანების შესრულებისთვის საჭირო დროის მინიმუმამდე დაყვანით. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტებსა და მანქანებს შეუძლიათ პროდუქტების აწყობა ბევრად უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე მუშაკებს. ამავდროულად, ლოჯისტიკაში ალგორითმები ოპტიმიზაციას უკეთებენ მარშრუტებს და ამცირებენ მიწოდების დროს. გარდა ამისა, მომსახურების სფეროებში, ვირტუალური ასისტენტები ამუშავებენ და ჰპასუხობენ რუტინულ შეკითხვებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნის შემცირებას. [1, 7-8]

ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენებით გაძლიერებული გადაწყვეტილების მიღებაა შესაძლებელი. მისი საშუალებით ხდება მონაცემთა უზარმაზარი ნაკრების ანალიზი, რა დროსაც განისაზღვრება ტენდენციები, შაბლონები და პოტენციური შესაძლებლობები, რომლებიც შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩეს ანალიტიკოსებისთვის. ამ მონაცემების საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღება იწვევს უფრო ინფორმირებულ და ეფექტურ არჩევანს, რაც საბოლოოდ ზრდის შრომის შედეგიანობას.

მართალია ხელოვნური ინტელექტის სისტემებმა ჩაანაცვლა ადამიანების სამუშაო ადგილები, თუმცა იგი ასევე ქმნის მოთხოვნას ახალ უნარებზე. მის საფუძველზე გაიზარდა ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტების, მონაცემთა მეცნიერების და მანქანათმცოდნეობის ინჟინრების საჭიროება. შესაბამისად, თანამშრომლებს სულ უფრო მეტად უწევთ კვალიფიკაციის ამაღლება და ხელახალი უნარების დაუფლება, რამაც შეიძლება გაზარდოს მათი მწარმოებლური შესაძლებლობები და დასაქმება. პირობითად, თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობენ ტრადიციული წარმოების პროცესში, შეუძლიათ ისწავლონ ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე მექანიზმების მართვა, ხოლო მომსახურების სფეროში დასაქმებულები სპეციალიზდნენ მონაცემთა ანალიზსა და პროგრამირებაზე.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტის გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე არარის შაბლონური ყველა ინდუსტრიაში. ზოგიერთ სექტორს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი შეფერხებები. კერძოდ, ინდუსტრიები რომლებიც ძლიერ არიან დამოკიდებული რუტინულ, განმეორებით ამოცანების შესრულებაზე, ამ საქმიანობის ჩანაცვლება შეუძლია ხელოვნურ ინტელექტს. მაშინ როდესაც კრეატიულობაზე ორიენტირებული ინდუსტრიები ნაკლებად სავარაუდოა, რომ ავტომატიზებული იყოს.

ქვემოთ წარმოდგენილია სხვადასხვა სექტორში, ხელოვნური ინტელექტის გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე:

**ჯანმრთელობის დაცვა** - ამავე სფეროში ხელოვნურმა ინტელექტმა მკვეთრად გააუმჯობესა შრომის მწარმოებლურობა. მისი საშუალებით დიაგნოსტიკური ხელსაწყოები აანალიზებენ სამედიცინო მონაცემებს სწრაფად და ზუსტად. მაგალითად, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ სამედიცინო ტექნოლოგიებს შეუძლია შაბლონების იდენტიფიცირება და მკურნალობის ვარიანტების შეთავაზება, რაც ამცირებს ჯანდაცვის მუშაკების დატვირთვას. ასევე, ხელოვნურ ინტელექტზე დაყრდნობით 50%-ით გაზარდა პათოლოგების განხილვის სიჩქარე. [2. 41-43]

**ფინანსები** - სექტორმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებით, რამაც უზრუნველყო ამავე სექტორში შრომის მწარმოებლურობის ზრდა. სავაჭრო ალგორითმებმა, თაღლითობის აღმოჩენის სისტემებმა და მომხმარებელთა მომსახურების საკომუნიკაციო საშუალებებმა განაპირობა ეფექტურობისა და შედეგიანობის აღმასვლა. გარდა ამისა, ფინანსების სფეროში, სასურველი რეზულტატის მისაღწევად, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ალგორითმების საშუალებით შესაძლებელი გახდა საინვესტიციო რისკების შეფასება

და რეკომენდაციის გაწევა ოპტიმალურ პორტფელებზე.

საფინანსო სექტორში ხელოვნურმა ინტელექტმა შეამცირა იურიდიული დოკუმენტების განხილვისთვის საჭირო დრო 360,000 საათიდან ერთ წამამდე. [3, 16-19]

**წარმოება** - საწარმოო პროცესებში ხელოვნურმა ინტელექტმა რევოლუცია მოახდინა, რამაც შედეგად გამოიწვია შრომის მწარმოებლურობის ზრდა. ხელოვნური ინტელექტის სისტემებით აღჭურვილი პროგნოზირებადი მართვის საშუალებამ განაპირობა მანქანების ეფექტური მუშაობა. ჩინეთში, ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტებმა წარმოებული პროდუქციის მოცულობა გაზარდეს 60%-ით. გარდა ამისა, საავტომობილო ინდუსტრიაში ავტომწარმოებელმა კომპანიებმა მიაღწიეს მაღალ შედეგიანობას. ეს შედეგი განაპირობა ისეთი ხელოვნური ინტელექტის მქონე ტექნოლოგიებმა, როგორიცაა ავტონომიური მანქანები, პროგნოზირებადი მოვლა და წარმოების ოპტიმიზაცია. კერძოდ, ავტონომიურმა მანქანებმა აშშ-ს ეკონომიკაში ყოველწლიურად 800 მილიარდი დოლარის დაზოგვის პოტენციალი შექმნეს. პროგნოზირებადმა ტექნიკურმა მოვლა-პატრონობამ ავტომობილების წარმოებაში პროდუქციის მისაღებად საჭირო დრო შეამცირა 30%-ით, რამაც მნიშვნელოვნად დაზოგა დანახარჯები. [4, 334-335]

**საცალო ვაჭრობა** - ხელოვნური ინტელექტის საშუალებით გამარტივდა მომხმარებელთან კომუნიკაცია ე.წ. ჩეთბოტების სისტემით, მისი საშუალებით შესაძლებელია მომხმარებელთა მოთხოვნის დამოუკიდებლად დამუშავება, რა დროსაც იგი დამოუკიდებლად უზრუნველყოფს შესაბამის უკუკავშირს. „ამაზონი“, ამავე საშუალებას იყენებს, რომელიც კომპანიის გაყიდვების 35%-ს გარანტიას იძლევა. [5, 15-17]

**სოფლის მეურნეობა** - სექტორში ხელოვნურმა ინტელექტმა განაპირობა ეფექტური ფერმერული პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება. მას, საფუძვლად დაედო შემცირებულ დროში მონაცემთა გენერირება. არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობა 20%-მდე გაიზარდა. ამავდროულად, აღსანიშნავია დრონის ტექნოლოგია, რომელსაც მოსავლიანობის ზრდისა და მისი ხარისხის შესანარჩუნებლად შეუძლია ხელოვნური ინტელექტის დახმარებით უზრუნველყოს მავნებლების/დაავადებების ადრეულ პერიოდში გამოვლენა. [6, 32-35]

**განათლება** - ხელოვნურმა ინტელექტმა გავლენა მოახდინა როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციულ ამოცანებზე. კერძოდ, ადაპტირებულმა სასწავლო პლატფორმებმა ჩამოაყალიბა საგანმანათლებლო შინაარსი ცალკეულ სტუდენტებზე, რამაც გააძლიერა სწავლის შედეგი. ხოლო, ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე მართულმა ადმინისტრაციულმა სისტემებმა შეამცირა ადამიანების მიერ დროის დიდ ინტერვალში შესასრულებელი სამუშაო. შედეგად, გამარტივდა საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა, ასევე დაჩქარდა ნაშრომების შესწორების პროცესი. [7, 28-29]

**ენერგეტიკა** - სექტორს, ხელოვნური ინტელექტმა მისცა, პროგნოზირებადი მოვლის, ქსელის მუშაობის ოპტიმიზაციისა და ენერგიის მოხმარების შაბლონების გაუმჯობესების საშუალება. ციფრულმა ტექნოლოგიამ 5%-ით შეამცირა დაუგეგმავი შეფერხების დრო ელექტროსადგურებში, რამაც საერთო ეფექტურობა 1%-ით გაზარდა. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე მოთხოვნის პროგნოზირებამ ზემოხსენებულ სექტორში გამოიწვია ენერგიის მოხმარების 10%-ით შემცირება. [8, 15-17]

**გარემოს დაცვა** - სფეროში, ხელოვნურმა ინტელექტმა შრომის მწარმოებლურობა განავითარა შემდეგი მიმართულებებით: გარემოს მონიტორინგი; პროგნოზირებადი ანალიტიკა; ველური ბუნების დაცვა; ნარჩენების, ჰაერის, წყლი ხარისხის მენეჯმენტი; კლიმატის მოდელირება; ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება. მოკლედ, ზემოხსენებული მიმართულებებით ხელოვნურმა ინტელექტმა შეამცირა მონიტორინგისა და ინტერვენციისთვის საჭირო შრომა. ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტი გაზარდა გარემოს დაცვისთვის საჭირო ძალისხმევის ეფექტურობა. [9, 4-6]

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ და სხვა სექტორებში, ხელოვმურმა ინტელექტმა უზრუნველყო შრომის მწარმოებლურობის ზრდა, რამაც თავის მხრივ დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკური განვითარების პროცესზე.

**დასკვნა**

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვა, რომ 21-ე საუკუნის პირობებში შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები საგრძნობლად გაიზარდა, რომელზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტექნოლოგიური პროცესების განვითარებამ. საგულისხმოა, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა შეამცირა წარმოებისთვის საჭირო დრო და ადამიანური რესურსები. თუმცა, სამუშაო

ადგილების შემცირება საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრობლემად დარჩა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ნებისმიერმა თანამედროვე კომპანიამ გარკვეული პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე და მოახდინოს კადრების შესაბამისი გადამზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამედროვე ტექ-ნოლოგიებთან ადაპტირებას. ამავე საკითხს, ადამიანურმა რესურსებმა უნდა შეხედონ სწორ-ხაზოვნად, ვინაიდან მომავალი ტექნოლოგიურ განვითარებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მიიღონ ტექნოლოგიების შექმნისა და მართვისთვის საჭირო განათლება

გარდა ამისა, ნებისმიერმა მზარდმა ორგანი-ზაციამ შრომის მწარმოებლურობის განვითარების პროცესში, რესურსები უნდა მიმართოს ტექნო-ლოგიურ სრულყოფაზე. ვინაიდან, შესაბამისი ბაზისის გარეშე თანამედროვე პირობებში სასურ-ველი რეზულტატის მიღწევა შეუძლებელია.

**ლიტერატურა:**


1. Supachet Chansarn School of Economics - Labor Productivity Growth, Education, Health and Technological Progress: A Cross-Country Analysis 2010;
2. AJANTH VASEIGARAN GOBI SRIPATHY - Artificial Intelligence in Healthcare 2021;
3. Joao Castro - The Impact of Artificial Intelligence in Banking 2021;
4. Qiran Yue - Study on the Impact of Artificial Intelligence on Employment and Income Inequality, Based on Technological Determinism Theory 2023;
5. Sukhmani Agrawani - The Role of Artificial Intelligence (AI) in Personalized Marketing in Fashion and Apparel Industry 2022;
6. Carl Johan Casten Carlberg & Elsa Jerhamre - Artificial Intelligence in Agriculture 2021;
7. Alex Muriuki Njogu - The use of AI as a tool to support teachers and students in creating and using educational content for higher education 2022-2023;
8. Mir Sayed Shah Danish - AI in Energy Overcoming Unforeseen Obstacles 2023;
9. Olena Lozo, Oleksii Onishchenko - The Potential Role of the Artificial Intelligence in Combating Climate Change and Natural Resources Management: Political, Legal and Ethical Challenges 2021.


## Transforming labor productivity in various sectors based on the artificial intelligence revolution


***Guram Lomaia, Ph.D***
***Georgian Technical University***

***Demna Kvaratskhelia, associate professor***
***Georgian Technical University***


### Summary


The growth of labor productivity, based on the use of technology, is the backbone of any country's economic processes. To achieve solid economic progress, the understanding and application of the technological development of labor productivity is essential for business leaders, various organizations, and individuals. It helps to improve the quality of life of the society. At the same time, the technological development of labor productivity is the main driver of economic growth. human resources, technological capabilities will get more output. This factor results in an increase in gross domestic product (GDP), which ultimately leads to a higher standard of living and improved economic well-being.

In addition, the technological development of labor productivity has a direct and complex relationship with

unemployment. In particular, against the backdrop of technology adoption and perfection, modern organizations try to achieve more efficiency based on small human resources, which in turn is directly related to unemployment. Purposeful and permanent development of human resources is important to deal with this problem.

The effect of technological development on labor productivity is heterogeneous. In particular, as a rule, the representatives of the structured sector provide an increase in the wages of workers. And, this cannot be done by the representatives of the less developed industry, in which case the corresponding efficiency cannot be achieved. Therefore, policy makers should address income inequality by implementing actionable measures. In general, in an increasingly interconnected world, the technological development of labor productivity is a critical factor in global competitiveness. Countries with a highly productive labor force have more opportunities to attract foreign investment, which ensures competitiveness in international markets.

In short, the technological development of labor productivity constantly improves economic efficiency. Since, the goal of technology developers is to create products that provide simplification of processes and automation of tasks in a short time. In addition, various business areas to fulfill small resources, with high efficiency. It should be noted that the technology of labor production is not a static process here, it is a constant improvement, again to overcome the challenge.

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“**

**ავტორთა საყურადღებოდ**

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 20 ნაბეჭდი გვერდი, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

შეგიძლიათ ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. უცხოურ ენაზე დაწერილი ნაშრომის ტექსტი იწყება რეზიუმეთი იმ ენაზე რა ენაზეც არის თვითონ ტექსტი.

**სტატიის სტრუქტურა:**

1. სტატიის სათაური;
2. ავტორის/ავტორების სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.
3. რეზიუმე ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რა ენაზეც არის სტატია (მინიმუმ 230 სიტყვა);
4. საკვანძო სიტყვები (4-5 სიტყვა);
5. შესავალი
6. ძირითადი ნაწილი
7. დასკვნა
8. ლიტერატურის სია ქართულ და ინგლისურ ენაზე
9. რეზიუმე ინგლისურ ენაზე (მინიმუმ 300 სიტყვა)
10. ციტირების მითითება უნდა მოხდეს აპა სტილით.

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ♦ ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი უნდა იყოს JPJ ან TIF ფორმატში;
- ♦ ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- ♦ სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ♦ ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- ♦ ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;
- ♦ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.
- ♦ რედაქცია უფლებას იტოვებს, საჭიროების შემთხვევაში, გამოსაქვეყნებელ ნაშრომს ჩაუტაროს დამატებითი რეცენზირება, გამოქვეყნების მიზანშეწონილობის დასადგენად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპ. VI, სართ. VIII, ოთახი № 805ბ

**ტელ.: +995 599 557 993; +995 577 938 858; ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com**

ჟურნალის ყველა ნომრის ნახვა შეგიძლიათ **web**-გვერდზე:
https://old.gtu.ge/Journals/newsletters/
**DOI: https://old.doi.org/10.36073/2346-8300**